
გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები



ლევან ტყეშელაშვილი

ქუთაისი 2014

იბეჭდება საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის თავმჯდომარის, რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის ლოცვა-კურთხევით

წინამდებარე მონოგრაფიის მიზანია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ სპეციალური ნაშრომის შექმნა, რომელშიც ყველა მნიშვნელოვანი საკითხია შესწავლილი შესაბამისი პრობლემური და აქტუალური თემატიკით, რასაც ადგილი ჰქონდა V-XX საუკუნებში.

ნაშრომში თავმოყრილია და შესწავლილია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომელბიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან არის კავშირში და ამ მხრივ, იგი სიახლეს წარმოადგენს.

წიგნი არის სადოქტორო დისერტაციის ერთგვარი გაგრძელება და, ვფიქრობთ, იგი თავის წვლილს შეიტანს საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში. ნაშრომზე დაყრდნობით შეიძლება მომზადდეს ავტოკეფალიის ისტორიის ზოგადი საეკლესიო კურსი, რომელიც განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს ისტორიის სპეციალობის, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებს, თეოლოგებსა და საქართველოს ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებსა და მკითხველეთა ფართო მასებს.

რედაქტორი:

გიორგი მჭედლიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები:

1. გაბრიელ გურული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. ელდარ ხუბულაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კორექტორები: ჯონდო ქართველიშვილი

მაია ჯოლბორდი

დამკაბადონებელი: ლაშა გენელიძე

ISBN 978-9941-429-62-0

შინაარსი

შესავალი.....6

თავი I.
საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება (V საუკუნის 60-80- იანი წ.წ.).....20

I.1. ავტოკეფალიის მოპოვების ადრეული ისტორიიდან.....20

I.2 მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება.....80

თავი II.
ქართველი სასულიერო მოღვაწეების ბრძოლა ავტოკეფალიის შენარჩუნებისათვის (VIII-XI) საუკუნეებში.....92

II.1 ავტოკეფალიის აღიარებისათვის ბრძოლა და პატრიარქობის ტიტულის მოპოვება.....92

II.2. ბერძენთა მიერ ქართული ეკლესიის ხელყოფის მცდელობა და ავტოკეფალიის "ხელახალი დაბადასტურება".....145

თავი III.
მცხეთისა და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა ურთიერთმიმართების საკითხი.....163

III.1. აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩამოყალიბებისა და მისი მცხეთასთან გაერთიანების პროცესი.....163

III.2. ეკლესიის ავტოკეფალიისა და ერთიანობის საკითხი XV-XVII საუკუნეების საქართველოში.....193

თავი IV.
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება.....225

თავი V.
ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მისი საერთაშორისო აღიარებისათვის..... 249

V.1 ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა XX საუკუნის I ოცწლეულში და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.....249

V.2. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ.....303

თავი VI.
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლებრივ–კანონიკური მხარე..... 330

დასკვნები..... 378

დიპტიქი 387

საქართველოს ეკლესიის მამამთავართა უძველესი ნუსხები....401

საქართველოს ეკლესიის მამათავრები.....403

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) უცნობი კათალიკოსები.. 420

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსოები.....431

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი, 1990 წლის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტულის ცნობის საპატრიარქო განჩინებები.....437

კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის-446

რეზიუმე ინგლისურ ენაზე.....454
პირთა საძიებელი.....459
დამოწმებული ლიტერატურა.....474

შესავალი

საქართველოს სამოციქულო ეკლესია თავისი ორიათასწლოვანი ისტორიით ეკლესიის მკვლევართა მხრიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ივერიის ეკლესია, რომელიც ქრისტეს უპირველესმა მოწაფემ ანდრია პირველწოდებულმა დააარსა, შესაბამისად სამოციქულო ეკლესიის პატივით სარგებლობს.დღეისათვის მსოფლიოში 15 ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიაა. ავტოკეფალია (αυτοκεφαια) ბერძნული სიტყვაა და თავისთავადობას ნიშნავს. (avtos- „თვითონ", „თავად" და kephalion- „თავი,"- ზუსტი შესატყვისი კი „თვითმწყემსობაა"). ავტოკეფალურ ეკლესიებს აქვს როგორც თვითმწყემსობის უფლება, ასევე საკუთარი წინამძღვრის (მამამთავრის) არჩევის უფლება, მირონის მოხარშვის უფლება და ა.შ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია ავტოკეფალური გახდა V საუკუნეში, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის პერიოდში. 681 წლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ მცხეთის კათალიკოსი აიყვანა იმავე პატივსა და ღირსებაში, რომელშიც მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელი პატრიარქები იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ ბერძენთა მხრიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რამდენჯერმე გახდა წინააღმდეგობისა და განხილვის საგანი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიამ V საუკუნის მეორე ნახევარში საეკლესიო კანონების სრული დაცვით ანტიოქიის საპატრიარქოსგან მიიღო ავტოკეფალია, ბერძნები ყოველნაირად ცდილობდნენ, შეელახათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები. ქართველ მოღვაწეებს არაერთხელ მოუწიათ ბრძოლა, რათა დაეცვათ ქართული ეკლესიის კანონიერი უფლებები. როგორც ავღნიშნეთ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მრავალჯერ დააყენეს ეჭვის ქვეშ (VIII,XI,XV,XX). XX საუკუნის დასაწყისში, როცა მიმდინარეობდა 1811 წელს უკანონოდ

გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა, ამჯერად უკვე რუს მეცნიერთა და საეკლესიო იერარქების მხრიდან, ბერძნების მსგავსად გაისმა ბრალდებები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ. ბუნებრივია, ასეთმა არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ, ქართველ მეცნიერებშიც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.ავტოკეფალიის საკითხებისადმი ინტერესი არც XX საუკუნის განმავლობაში განელებულა და აქტუალურია თანამედროვე ეტაპზეც, ვინაიდან საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი საქართველოს ეკლესიის კანონიერი ადგილი მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში.

ჯერ კიდევ 1905 წლიდან, როცა ჩამოყალიბდა ავტოკეფალური მოძრაობა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თემატიკას მრავალი სტატია თუ მონოგრაფია მიეძღვნა, მათ შორის: კალისტრატე ცინცაძის, ნიკო მარისა,ალექსანდრე ცაგარელის, ნიკოლოზ დურნოვოს, ევსევი ნიკოლაძის, კირიონ საძაგლიშვილისა და სხვა მეცნიერთა მიერ. დასახელებულ მეცნიერთა შრომები შეიქმნა ავტოკეფალიის აღდგენამდე და შესაბამისად მათ განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ.საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ცალკეული პერიოდების შესახებ მნიშვნელოვანი კვლევები გამოქვეყნდა:ექვთიმე თაყაიშვილის, სარგის კაკაბაძის, ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, კორნელი კეკელიძის მიერ.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ავტოკეფალიის შესახებ საინტერესო ნაშრომები გამოაქვეყნეს: ზაზა ალექსიძემ, ანრი ბოგვერაძემ, ბაბილინა ლომინაძემ, გიორგი მამულიამ, ვახტანგ გოილაძემ, მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ, ბიჭიკო დიასამიძემ, სერგო ვარდოსანიძემ, ელდარ ბუბულაშვილმა, ქეთევან პავლიაშვილმა, მედეა ბენდელიანმა, შორენა ჯაფარიძემ, ირინა არაბიძემ, ვახტანგ გურულმა, გვანცა ბურდულმა და სხვებმა. სამეცნიერო ნაშ-

რმოების ანალიზის საფუძველზე ნათელია, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები სრულად და მაშტაბურად არ არის შესწავლილი. ავტოკეფალიის თემაზე გამოქვეყნებულმა უახლესმა ლიტერატურამ შესაძლებელი გახადა უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ავტოკეფალიის ისტორიის უმთავრეს მოვლენებზე.

წიგნში შესწავლილი და გაანალიზებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით V საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძირითადი საკითხები.

თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძველი ქართული წყაროების შესწავლას, რომელთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განხილვამ ძველ ქართულ წყაროებში მოცემულ ავტოკეფალიის საკითხებს მეტი დამაჯერებლობა შესძინა. ჩვენი აზრით, არ არის სწორი ის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც, თითქოს, ქართლის პირველი კათალიკოსის ხელდასხმა ანტიოქიის მონოფიზიტმა მწვალებელმა პატრიარქმა პეტრე ფულონმა აღასრულა. საქართველოს სამოციქულო ეკლესია, თავისი არსებობის მანძილზე, მუდამ მართლმადიდებლობის ერთგული დამცველი იყო. ჯერ კიდევ XI საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთხელ შეცნობის შემდეგ საქართველოს ეკლესია ყოველთვის მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი იყო. მან, პირიქით, მწვალებლობაში ბერძნებს დასდო ბრალი. XI საუკუნეში მომხდარი მოვლენები კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია წმიდად იცავდა ქრისტიანულ ეკლესიაში დადგენილ წესებს, ამასთან საჭიროების შემთხვევაში მტკიცედ იცავდა თავის სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის უფლებებსაც. 1811 წლიდან საქართველოს ეკლესიის ისტორიაში დაიწყო ყველაზე მძიმე პერიოდი, რომელიც 106 წლის მანძილ-

ზე გაგრძელდა. რუსეთის იმპერატორისა და სინოდის უხეში გადაწყვეტილებით არსებობა შეწყვიტა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულმა ორმა უძველესმა-მცხეთისა და აფხაზეთის (დას. საქართველოს) ავტოკეფალურმა ეკლესიებმა. 1917 წლის 12 მარტს აღსრულდა ისტორიული სამართლიანობა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა. 1990 წლის 4 მარტს კი კონსტანტინეპოლში საბოლოოდ იქნა აღიარებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტული. აღნიშნული ორი დოკუმენტის მიღებით საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნა თავისი კუთვნილი ღირსეული ადგილი მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა დიდ ოჯახში.

წყაროები

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ადრეული პერიოდის წყაროთმცოდნეობითი ბაზა საკმაოდ მწირია. VII-VIII საუკუნეთა ავტოკეფალიის ისტორიის საკითხები ძალზე ფრაგმენტულია, ბუნდოვანია აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს დაარსებისა და ადრეული პერიოდის ისტორიის საკითხები.

I თავში მოცემულია ძირითადი ინფორმაცია V საუკუნეში საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების შესახებ, რომლებზეც უმნიშვნელოვანეს წყაროებს წარმოადგენს ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, "(ქართლის ცხოვრება.I.1955), რომელშიც მოთხრობილია ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ, რასაც მიქაელის მღვიძარე მამათა მონასტერში გამწესება და კათალიკოსად საკურთხებელი კანდიდატის-პეტრეს ჯერ კონსტანტინეპოლში, ხოლო შემდეგ ანტიოქიაში გაგზავნა მოჰ-

ყვა. ჯუანშერი არ ახსენებს ანტიოქიის პატრიარქის სახელს, ვის მიერაც მოხდა პეტრეს კათალიკოსად კურთხევა, რაც იწვევს მთავარ წინააღმდეგობას კათალიკოსის კურთხევის თარიღის დადგენისას. ავტოკეფალიის მოპოვების თარიღის დადგენისათვის საინტერესო ცნობებს გვაწვდის „მოქცევაი ქართლისაი"(ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.I.1964), რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს ეკლესიას ვახტანგ გორგასლის პერიოდიდან მამამთავრები განაგებდნენ. მეფე-მღვდელმთავარს შორის დაპირისპირებასა და მიქაელ მთავარეპისკოპოსის გულისწყრომაზეა საუბარი „ქართლის ცხოვრების" სომხურ (ქართლის ცხოვრება. ძველი სომხური ვარიანტი.1953) და ჭელიშურ(Такаишвили, Описание рукописей.II. 1906-1912) ვარიანტებში. საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგიოგრაფიული თხზულება იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება," (ჯანაშია, „შუშანიკის წამება". ისტორიულ წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა.1988), რომელშიც ნახსენებია ეპისკოპოსთა თავიცა და კათალიკოსიც.

VIII-XI საუკუნეთა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლია „მატიანე ქართლისა," (ქართლის ცხოვრება.I.1955), სადაც საქართველოს ეკლესიის მეთაური პირველად არის მოხსენიებული კათოლიკოს -პატრიარქის ტიტულით. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, X საუკუნის ძეგლის შატბერდის კრებულში ჩართული თხზულება „მოქცევაი ქართლისაი", რომელშიც იხსენიება VIII საუკუნეში მოღვაწე თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ ნაკურთხი მცხეთის კათალიკოსი იოანე III. ავტოკეფალიის საკითხებზე უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის ეფრემ მცირის თხზულება - „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა"(ეფრემ მცირე.უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა.1959). ეფრემ მცირეს ცნობები საქართველოს ეკლესიის შესახებ „ანტიოქოური ქრონოგრაფიდან" ამოუღია. წყაროში საქართველოს ეკლესიის ანტიოქიურ

წარმომავლობაზე და VIII საუკუნეში ქართველი ბერების ანტიოქიაში ჩასვლასა და ერთ-ერთი მათგანის იოანეს კათალიკოსად კურთხევაზეა საუბარი. გიორგი მცირის თხზულება „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“(გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა.1994) გადმოგვცემს გიორგი მთაწმინდელის ანტიოქიის პატრიარქ თეოდოს III-სთან კამათის ამბავს, სადაც ღირსმა მამამ დაუსაბუთა ბერძნებს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, „იოანე გუთელის ცხოვრება“(Житие Иоана Готского.1873), რომელიც ძველ ბერძნულ წყაროს წარმოადგენს და XIX საუკუნეში ითარგმნა რუსულად. მასში დაცულია იოანე გუთელის მცხეთაში კურთხევის ფაქტი, რითაც ნათლად დასტურდება, რომ ქართული ეკლესია ამ დროისათვის მართლმადიდებლობის მტკიცე დასაყრდენი იყო მთელ აღმოსავლეთში .

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ბერძენი საეკლესიო კანონისტისა და ანტიოქიის პატრიარქ თეოდორე ბალსამონის ცნობა საქართველოს ეკლესიის თავისთავადობის შესახებ, რაზეც ის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების II კანონზე განმარტებისას საუბრობს. ბალსამონის ცნობებს იმეორებს XIV საუკუნის ბერძენი მწერალი მათე ბლასტარესი. (გეორგიკა ტ.VIII.ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა.1970). ავტოკეფალიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVIII საუკუნეში მოღვაწე ანტიოქიელი მღვდელი მიქაელ ბრეკი თავის თხზულებაში „Список Антиохиискихъ Патриарховъ“(Михаил Брек. Труди Киевской Духовнои Академии. 1874), სადაც აღნიშნულია, რომ ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ის დროს, XI საუკუნეში, ანტიოქიაში ჩასულან ქართველები, რათა მიეღოთ ხელდასხმა ძველი წესის თანახმად. პატრიარქს ქართველთათვის

დაუდგენია კათალიკოსი, რომელსაც ლოცვის დროს ანტიოქიის პატრიარქი უნდა მოეხსენებინა. მართალია, აღნიშნული ცნობა ტენდენციურია, თუმცა მას გარკვეული ღირებულება მაინც გააჩნია.

ასევე სიახლეს წარმოადგენს ავტოკეფალიის საკითხზე სიმონ დე სენ კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ(ნინიძე. ქართველთა მირონისა და ავტოკეფალიის საკითხისათვის.2005), რომელშიც გადმოცემულია, VIII საუკუნეში თეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობის პერიოდში, დასავლეთ საქართველოდან დელეგაციის გამგზავრების, კათალიკოსის ხელდასხმისა და მირონის კურთხევის ნებართვის უფლების შესახებ. ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ სხვადასხვა სახის წყაროები, რომლებიც შეხებაშია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან. ამ ცნობების საფუძველზე საშუალება მოგვეცა, შესასწავლ საკითხს ახლებურად მივსდგომოდით და ავტოკეფალიის ისტორიის პრობლემაზე ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა.

საკითხის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გვიანი პერიოდის წყაროებს, როგორიცაა: სხვადასხვა სიგელები, ფიცის წიგნები, წყალობის სიგელები და სხვა. ამ წყაროთა საფუძველზე ირკვევა რომ, ანტიოქიის ბერძენი პატრიარქები, ცდილობდნენ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის საქმეებში აშკარად ჩარეულიყვნენ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის წყაროებად შეიძლება ჩაითვალოს ასევე მსოფლიო საეკლესიო და საქართველოს საეკლესიო კრებათა დადგენილებები, მათ შორის, რუის-ურბნისის (გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების მეგლისწერა. 1978), სადაც მოხსენიებულია საქართველოს ეკლესიის ოთხი უმაღლესი საეკლესიო იერარქი, რომელთაგან ერთ -ერთი აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი უნდა იყოს. 1470-1477 ფერარა-ფლორენციის (ტაბაღუა ი.საქართველო

ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში.1984). საეკლესიო კრებაზე საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს მართლმადიდებელ პატრიარქთა შემდეგ მეხუთე ადგილი ეკავა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიპტიქში საქართველოს ეკლესიის რიგითობის დადგენის საქმეში. 1917 წლების საეკლესიო კრებათა კანონები.

ავტოკეფალიის აღდგენისა და მისი საბოლოო აღიარებისათვის ბრძოლის შესახებ უმთავრეს წყაროებს წარმოადგენს 1906 წლის რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის, 1917 წლის 12 მარტისა და 1990 წლის 4 მარტის კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებათა დადგენილებები.

მთელ რიგ საკითხებზე ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის და წყაროებად უნდა ჩაითვალოს ეპიგრაფიკული ძეგლები, სიგელები, ანდერძები, ჯვარ-ხატების, ფრესკული მხატვრობის, ეკლესია-მონასტრების წარწერები, ლაპიდარული წარწერების მონაცემები და სხვა სახის ისტორიული საბუთები.

ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

ისტორიოგრაფიული მასალების მიმოხილვისას აღსანიშნავია კალისტრატე ცინცაძის, თედო ჟორდანიას, ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მარის, ალექსანდრე ცაგარელის განსაკუთრებული ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის კვლევის საქმეში.

აღნიშნული საკითხის კვლევა განსაკუთრებული აქტიურობით 1905 წლიდან დაიწყო. ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია კალისტრატე ცინცაძის ნაშრომი: „Автокефалия Церкви Грузинскои"(Цинцадзе, 1905), ავტორი ნაშრომში აყალიბებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძირითად საკითხებს,

სადაც ხაზგასმულია, რომ ქართული ეკლესია ავტოკეფალურია ჯერ კიდევ V საუკუნიდან.

1906 წელს კალისტრატე ცინცაძე აქვეყნებს ახალ ნაშრომს „Историческая справка по вопросу Автокефалий Грузинской церкви"(Цинцадзе, 1906). აღნიშნულ ნაშრომში ავტორი საუბრობს საქართველოს ეკლესიის ძირითად მოვლენებზე, სადაც აშკარად ჩანს, რომ ქართული ეკლესია სრული ავტოკეფალურობით სარგებლობდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მელიტონ კელენჯერიძის წიგნი „Правда обь Автокефалий Грузинской Церкви"(Ton'emelis.1906), რომელიც 1906 წელს გამოვიდა, სადაც ავტორი მიიჩნევს, რომ ივერიის ეკლესია ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ის დროს 1053 წელს გახდა დამოუკიდებელი და თავისუფალი. მელიტონ კელენჯერიძის აზრით, ქართულ ეკლესიას არ შეიძლებოდა, სრული დამოუკიდებლობა მიეღო ორჯერ, ანდა პირიქით „არასრული ავტოკეფალია ორჯერ", მისი აზრით, ეს საკმაოდ რთული გასარკვევია და ძალზე უცნაურად გამოიყურება. ვფიქრობთ, კელენჯერიძის მოსაზრება ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ის პერიოდში ქართული ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ საეჭვოდ გამოიყურება, ამ დროისათვის ივერიის ეკლესიას დიდი ხნის მოპოვებული ჰქონდა დამოუკიდებლობა. 1905 წელს ქუთაისში გამოდის თედო ჟორდანიას ნაშრომი „Краткая историческая сведения об Автокефалий Грузинской Церкви"(Жорданя, 1905). ავტორი საინტერესოდ მსჯელობს იმაზე, თუ ანტიოქიის რომელი პატრიარქის დროს მოიპოვა საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია V საუკუნეში.

1907 წელს მოსკოვში გამოდის ნიკოლოზ დურნოვოს წიგნი „Судьба Грузинскои Церкви", რომელშიც მეცნიერი გადმოგვცემს იმ ფაქტებს, რომლებიც XIX საუკუნეში რუსმა ექზარქოსებმა

ჩაიდინეს ქართული ეკლესიის საწინააღმდეგოდ. 1910 წელს გამოდის ნ. დურნოვოს წიგნი „Историческии очерк Автокефалных церквей: Иверской и Имеретинской"(Дурново, 1910). ნაშრომში ავტორი მრავალ საინტერესო მოვლენაზე მსჯელობს, მისი აზრით, 820 წელს აფხაზეთის საკათალიკოსომ მიიღო გარკვეული უფლება ავტოკეფალიაზე, ხოლო 950 წელს მცხეთის მთავარეპისკოპოსმა მიიღო კათალიკოს-პატრიარქის ტიტული.

1912 წელს პეტერბურგში გამოდის ალექსანდრე ცაგარელის წიგნი „Статии и заметки по Грузинскому вопросу"(Цагарели, 1912). მეცნიერი წიგნში საინტერესოდ მსჯელობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებზე, იგი საუბრობს საქართველოს ეკლესიის თავისთავადობის კანონიერებაზე, რომელიც ხელყვეს რუსეთის იმპერატორმა და სინოდმა, რითაც დაირღვა მსოფლიოსა და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა დადგენილებები. აღსანიშნავია, რომ წიგნი საკმაოდ ვრცელია და მასში სიღრმისეულადაა გაშუქებული ავტოკეფალიის საკითხები.

უნდა აღინიშნოს, რომ 1905-1917 წლებში ავტოკეფალიის თემაზე დაიბეჭდა მრავალი წიგნი, მოხსენება თუ სტატია ქართულ და რუსულ ენებზე, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მიმდინარეობდა ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის რაც სავსებით ლოგიკური იყო. აღნიშნულ ნაშრომებს სამეცნიერო ღირებულებები დღესაც არ დაუკარგავს. ამ ავტორების მიერ გამოთქმულ მრავალ ჰიპოთეზას ავტოკეფალიის ისტორიის კვლევის საქმეში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს.

საკვლევ თემასთან დაკავშრებულ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის სხვადასხვა საკითხები აისახა შემდეგ მეცნიერთა შრომებში: დიმიტრი ბაქრაძის-„ისტორია საქართველოსი" (ბაქრაძე.1882), მიხეილ საბინინის История Грузинскои

Церкви(Савинин, 1877), მარი ბროსეს „საქართველოს ისტორია“ (ბროსე.1895), პოლიევქტოს კარბელაშვილის „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ (კარბელაშვილი, 1900), ევსევი ნიკოლაძის „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (ნიკოლაძე. 1918), მოსე ჯანაშვილის „საქართველოს საეკლესიო ისტორია“ (ჯანაშვილი, 1886) და სხვათა შრომებში.

XX საუკუნის 70-იან წლებიდან კვლავ გააქტიურდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. 1976 წელს დაიბეჭდა ზაზა ალექსიძის საინტერესო გამოკვლევა: „ვახტანგ გორგასლისა და მიქაელ. მთავარეპისკოპოსის კონფლიქტის გამო“(ალექსიძე. 1976). მეცნიერი აყალიბებს აზრს აღნიშნული დაპირისპირების მიზეზისა და შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ. აღნიშნულმა ნაშრომმა დიდი დახმარება გაგვიწია ქართლის პირველი კათალიკოსის კურთხევის თარიღის მიახლოებით დადგენაში.

ავტოკეფალიის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები აქვს შესწავლილი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორია“ (ჯავახიშვილი,I, II, III,IV, VIII ტომი).

1979 წელს გამოვიდა ანრი ბოგვერაძის ნაშრომი „ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში“ (ბოგვერაძე. 1979), სადაც ავტორი საინტერესოდ მსჯელობს ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების არაერთ საკითხზე.

წიგნზე მუშაობისას დიდად დახმარება გაგვიწია ასევე ბაბილინა ლომინაძის ნაშრომებმა „საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია“ (ლომინაძე, 1981). 1999 წელს გამოქვეყნდა ბაბილინა ლომინაძის ნაშრომი-„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია V საუკუნეში“(ლომინაძე. 1999).

ცალკეული საკითხების კვლევისას ვისარგებლეთ: მარიამ

ლორთქიფანიძის „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება," (ლორთქიფანიძე, 1963), კორნელი კეკელიძის-„კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში," (კეკელიძე, 1957), ლევან მენაბდე „ძველი ქართული მწერლობის კერები," (მენაბდე, 1980).

თანამედროვე ისტორიკოსთაგან უნდა დავასახელოთ ვახტანგ გოილაძე, რომლის ნაშრომმა „ქართული ეკლესიის სათავეებთან" (გოილაძე, 1991) დიდად შეგვიწყო ხელი ჩვენთვის საინტერესო არაერთი საკითხის კვლევისას. მიუხედავათ იმისა, რომ ავტოკეფალიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ჩვენს ნაშრომში სხვაგვარად არის გააზრებული და განსხვავებული პოზიციებია დაფიქსირებული, წიგნში შევეცადეთ, საკუთარი მოსაზრებები სათანადო არგუმენტებით გაგვემყარებინა, აუცლებლად უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ გოილაძის ნაშრომში საგანგებოდ არის გამოკვლეული ავტოკეფალის ისტორიის მთელი რიგი საკითხებისა, მათ შორის, საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებისა და შემდგომი პერიოდის არაერთი მოვლენა.

ცალკე უნდა აღინიშნოს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის შრომები: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია" (ჯაფარიძე, 2009) და „საქართველოს საეკლესიო კრებები" (ჯაფარიძე, 2003), რომლებშიც შესწავლილია ავტოკეფალიის მოპოვების, აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნისა და ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის მრავალი საინტერესო ფაქტი.

ასევე ვისარგებლეთ ნაშრომებით, რომლებიც ეხება აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს შექმნისა და შემდგომი განვითარების ეტაპებს, მათ შორის: ნიკო ბერძენიშვილის „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესყობილება" (ბერძენიშვილი, 1926), ბიჭიკო დიასამიძის „დასავლეთ საქართველოს ეკლესია I-X საუკუნეებში" (დიასამიძე, 2001), თამარ ქორი-

ძის „აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია“ (IX-XVIსს) (ქორიძე, 2003), ბუბა კუდავას „დასავლეთ საქართველოს ეკლესია“ (IX-XI) (კუდავა,2003), ჯემალ გამახარიას „აფხაზეთი და მართმადიდებლობა“ (გამახარია, 2005), გიორგი მჭედლიძისა და მერაბ კეზევაძის-„ქუთაის გაენათის ეპარქია“ (მჭედლიძე, კეზევაძე, 2008), შრომები. აღნიშნულ ავტორთა მიერ გამოთქმულ არაერთი მოსაზრება იქნა გათვალისწინებული წიგნზე მუშაობისას.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ თანამედროვე ეტაპზე საინტერესო ნაშრომები გამოაქვეყნეს ელდარ ბუბულაშვილმა „საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქი ანტონ II“ (ბუბულაშვილი, 2002), „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში“ (ავტორეფერატი)(ბუბულაშვილი, 2006) და ვახტანგ გურულმა - „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება,“ (გურული, 2010), აღნიშნულ ავტორთა კვლევების საფუძველზე, ნათელი წარმოდგენა გვექმნება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების მნიშვნელოვან საკითხებზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნაშრომები, რომლებიც მიეძღვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მცდელობის საკითხს. აღნიშნულ თემაზე გამოქვეყნდა მრავალი საინტერესო შრომა, რომელთა ავტორები არიან: ნიკო მარი-„ქართველთ ეროვნება,“ (მარი,1905), მირიან ხუციშვილი-„საქართველოს ეკლესიის სოციალ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში.“ (ხუციშვილი.1987), გვანცა ბურდული -„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ქართველ მეცნიერთა ღვაწლი.1906წ“ (ბურდული, 2010), შორენა ჯაფარიძე „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი“ 1905-1907 წლების რევოლუციურ საქართველოში, (ავტორეფერატი) (ჯაფარიძე, 2003), ხათუნა ქოქრაშვილი - „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი და ქართველი სამღვდელოება,“ (ქოქრაშვი-

ლი,2004), მათი ნაშრომების მიხედვით ირკვევა, რაოდენ რთული გზა განვლო ქართველმა სამღვდელოებამ და ინტელიგენციამ ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის დროს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასა და მის საბოლო აღიარების საკითხს საინტერესო კვლევები მიუძღვნეს სერგო ვარდოსანიძემ -„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში," (ვარდოსანიძე,2001), ქეთევან პავლიაშვილმა -„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1800-1945 წლებში," (პავლიაშვილი,2009), მედეა ბენდელიანმა -„ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება 1941-1945," (ბენდელიანი,1999) და სხვებმა. ნაშრომების ანალიზისა და კვლევის შედეგად ჩამოვაყალიბეთ ძირითადი დასკვნები და ხაზი გავუსვით იმ პრობლემებს, რომლებიც იდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხის წინშე.

ვინაიდან საკვლევი თემის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს რამდენიმესაუკუნოვან პერიოდს, ამის შესაბამისად გამოვიყენეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობისადმი მიძღვნილი არაერთი ლიტერატურა, რომელთა ავტორები არიან: სიმონ ჯანაშია - „შრომები," (ჯანაშია,1949), დავით მუსხელიშვილი -„საქართველო IV-VIII საუკუნეებში," (მუსხელიშვილი, 2003), ნოდარ ლომოური - „ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან," (ლომოური,1975), მიხეილ გონიკაშვილი - „ბაგრატიონების გადასახლება რუსეთში," (გონიკაშვილი,2002) და სხვები.

ნაშრომში დავიმოწმეთ აგრეთვე ქართულენოვანი და რუსულენოვანი პრესა, ელექტრონული რესურსების მასალები, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ შესწავლილ პრობლემებს.

თავი I
საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება (V საუკუნის 70-80-იანი წწ.)

I.1. ავტოკეფალიის მოპოვების ადრეული ისტორიიდან

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ეკლესიაა. პირველი საუკუნის 30-იან წლებში ქართველ ებრაელებს მცხეთაში ჩამოაქვთ უდიდესი სიწმინდე - საუფლო კვართი, რომლითაც დაიწინდა ქართველი ერი ქრისტეში, ეს მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება დაიწყებოდა მსოფლიოში, ვინაიდან უფლის კვართი წარმოადგენს ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოს, შესაბამისად, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მთლიანობა არასოდეს დარღვეულა, ამასთანავე, ივერიის ეკლესიამ დაარსებიდან დღემდე წმინდად დაიცვა ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ქრისტეს წმიდა მოციქულების (ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, ბართლომე, თადეოზი და მატათა) ქადაგების შედეგად ქრისტეს შობიდან 40-იან წლებში დაარსდა საქართველოს ეკლესია, რომელიც იწოდება სამოციქულოდ, რადგან ქრისტეს მოციქულების მიერ არის დაფუძნებული. IV საუკუნის 20-იან წლებში კი მოციქულთასწორის წმიდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოება გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. ისმის კითხვა, ვის ექვემდებარებოდა ახლადდაარსებული ქართული ეკლესია იერარქიულად და საიდან მიიღო ხელდასხმა ქართლის მთავარეპისკოპოსმა იოანემ? ქრისტიანული ეკლესიის დაარსებიდან პირველი სამი საუკუნის განმავლობაში რომის იმპერიის ტერიტორიაზე დაწინაურდა სამი ეკლესია. იმპერიის დასავლეთში, ევროპულ ნაწილში რომის ეკლესია, აფრიკულ ნაწილში ალექსანდრიის ეკლესია და მცირე

აზიისა და იმპერიის აზიურ ნაწილში - ანტიოქიის ეკლესია. სწორედ ანტიოქიის მცხოვრებლებს ეწოდათ პირველად ქრისტიანები ჯერ კიდევ მოციქულთა პერიოდში. ანტიოქიის ეკლესიამ აზიაში დაწინაურებული მდგომარეობა მეორე მსოფლიო 381 წლის საეკლესიო კრებამდე შეინარჩუნა, თუმცა 325 წელს ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მეექვსე კანონით ანტიოქიის ეპისკოპოსის ძლიერება შეიზღუდა (გოილაძე, 1990:10). როგორც მიიჩნევენ, პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების თავმჯდომარე ევსტათი ანტიოქიელი იყო, როგორც რანგით უპირატესი ეპისკოპოსი აზიაში, რომელმაც კრება გახსნა (Карташев. 2002:37). ძველთაგანვე მომდინარე ტრადიციით, რომელიმე საკლესიო კრებას თუ რომისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსები არ ესწრებოდნენ, კრების თავმჯდომარე ანტიოქიის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, თუ კრება იმპერიის აზიურ ნაწილში გაიმართებოდა, მაშინ კრებაზე რომისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსებიც რომ ყოფილიყვნენ, კრებას მაინც ანტიოქიელი ეპისკოპოსი თავმჯდომარეობდა (გოილაძე, 1991:11). როგორც ვხედავთ, ანტიოქიის საეპისკოპოსოს განსაკუთრებული და, რაც მთავარია, უპირველესი ადგილი ეჭირა იმპერიის აზიურ ნაწილში. IX საუკუნეში მოღვაწე ბასილი სოფონელი გადმოგვცემს: - ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქცია „იბერიამდე და აბასგიამდე და არმენიამდე და შიდაუდაბნომდე ხორასანისა, სპარსელებამდე და მიდიელებამდე ვრცელდებოდა" (გეორგიკა IV. ნაწ. I:138).

ანტიოქიის ეპისკოპოსის უპირატესობის შესუსტება დაიწყო 381 წლის მეორე მსოფლიო კრებაზე, მე-3 კანონით „კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს დაე ჰქონდეს უპირატესობა ღირსებისა რომის ეპისკოპოსის შემდეგ, რადგანაც კონსტანტინეპოლი ახალი რომია" (ჯაფარიძე, 2009:290). კონსტანტინეპოლის ეკლესიამ რომის შემდეგ მიიღო ადგილი, რადგან იგი აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქი იყო და ამასთანავე მეორე მსოფლიო სა-

ეკლესიო კრება კონსტანტინეპოლში ჩატარდა. IV-V საუკუნეებში ანტიოქიის მიტროპოლიტებს ექვემდებარებოდა სირიის, კილიკიის, ევფრატის, ისავრიის, ფინიკიისა და არაბეთის ეპარქიები. ანტიოქიის მიტროპოლიტს შეეძლო გაევრცელებინა თავისი ხელისუფლება პალესტინის, პონტოსა და აზიის ტერიტორიაზე და ჰქონდა კიდეც გარკვეული წარმატებები, ვიდრე არ წააწყდა წინააღმდეგობას, ერთის მხრივ, ქრისტიანულ სამყაროში თავისი გაზრდილი ავტორიტეტის გამო ჯერ იერუსალიმის შემდეგ კი კონსტანტინეპოლის მხრიდან (Успенский, 2001:297). IV-V საუკუნეებიდან ბრძოლა უპირატესობის მოსაპოვებლად ანტიოქიის ეკლესიასა და ალექსანდრიის ეკლესიას შორისაც მიმდინარეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ V საუკუნის მეორე ნახევრიდან ანტიოქიის საპატრიარქოს უპირატესი მდგომარეობა ნელ-ნელა შემცირდა (Сказкин, 1967:155).

451 წლის ქალკედონიის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე კანონით კი ანტიოქიის ეკლესიას დაქვემდებარებული: პონტოს, ასიის, თრაკიის ოლქების ეპისკოპოსები კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის დაქვემდებარებაში გადადიან.

აღსანიშნავია, რომ წარსულში სხვადასხვა ქართველი მეცნიერი ცდილობდა დაესაბუთებინა საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება პონტოს ავტოკეფალურ სამიტროპოლიტოსა თუ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოზე. თუმცა ჯერ კიდევ 1905 წელს სერგი გორგაძემ, 1997 წელს კი ზაზა აბაშიძემ უარყვეს აღნიშნული ორი ვარაუდი საქართველოს ეკლესიის თავდაპირველი იერარქიული მდგომარეობის შესახებ. ს. გორგაძემ უარყო საქართველოს ეკლესიის თავდაპირველი დამოკიდებულება პონტოს სამიტროპოლიტოზე და კალისტრატე ცინცაძის აზრიც ამასთან დაკავშრებით, თითქოს ქართლის ეკლესია პონტოს მიტროპოლიტის მეშვეობით ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს. ამ მოსაზრებას კ. ცინცაძე ამყარებდა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში

„იბერიის ეპისკოპოსის“ პანტოფილეს მოხსენიების გამო. ს.გორგაძემ საეჭვოდ მიიჩნია ეს ფაქტი და პანტოფილე მიიჩნია მდინარე ჰალისის სათავესთან მდებარე ქალაქ იბორას ეპისკოპოსად და არა ქართველად. იბორა მდებარეობდა ჰელენოპონტოს პროვინციაში მდინარე ჰალისის სათავესთან(აბაშიძე.1997:16). თავი, რომ დავანებოთ ყველაფერს, არც ერთი ქართული წყარო არ იცნობს ქართლში მოღვაწე არც ეპისკოპოს პანტოფილეს, არც ურანიუსს, არადა ორივე რომ ერთი და იმავე კათედრის მღვდელმთავრები არიან, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს (იქვე:19)*.[1]

ჩვენთვის ანტიოქიის ეკლესიის წარსული მნიშვნელოვანია, რადგან ძველი ქართული ტრადიციით სწორედ ანტიოქიის ეკლესიას ექვემდებარებოდა იერარქიულად ქართული ეკლესია. IV საუკუნეში თითქოს საქართველოში ჩამოდის ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი და აარსებს ქართულ ეკლესიას. აღნიშნულ საკითხზე ჩვენთვის მნიშვნელოვანი წყაროები, როგორიცაა: „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაჲ“ არაფერს გვეუბნება.

ზოგიერთი იზიარებს ინფორმაციას, ევსტათი ანტიოქიელის საქართველოში მოსვლის შესახებ, მკვლევართა ერთი ნაწილი კი გადაჭრით უარყოფს. ერთობ საეჭვოდ გამოიყურება ის ფაქტი, რომ აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ XII საუკუნეში ჩნდება და იგი „ანტიოქიური ქრონოგრაფიდან“ მომდინარეობს.

ეფრემ მცირე თავის თხზულებაში „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისაი“ გადმოგვცემს: „ეგრეთვე სახელიცა მივლინებულისა მის ეპისკოპოსისაი ესრეთ პოვნილ არს, ვათარმედ თვით ევსტათი იყო ანტიოქიელი პატრიარქი, რომელმან დაამყარა ეკლესიაი იგი მირიანის მიერ მცხეთის აღმშენებელი და უკურთხა მათ კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი“ (ეფრემ მცირე, 1959:8).

1.ს. გორგაძეს ამ აზრის განსამტკიცებლად მოჰყავდა მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებიდან ადგილები, სადაც დასახელებულია ასევე იბორას ეპისკოპოსი ურანიუსი და პრესვიტერი პავლე. მეოთხე კრებამ კი პონტოს დიოცეზი პირდაპირ კონსტანტინეპოლს დაუქვემდებარა.

იგივე ცნობები აქვთ ნიკონ შავმთელს და XII საუკუნეში მოღვაწე არსენ ბერს (გადამეტაფრასებული) წმიდა ნინოს ცხოვრებისა და რუის-ურბნისის ძეგლის-წერის ავტორს. რუის-ურბნისის კრება ევსტათი ანტიოქიელის ქართლში მოსვლის ამბავს ასე აღწერს: „და თვით პატრიარქთა შორის სახელგანთქმულმან ევსტათი ხელითა თვისითა შთადვა საფუძველი მაშინ სადმე მცხეთის აღშენებულისა ეკლესიისაი, რომელიც ფრიადის თანა გულმოდგინებისა განასრულეს. რაი მათ განწმენდაი იგი და ხელდასხმულ იყო მას შინა მათთვის ეპისკოპოსი კათალიკოსი“ (იქვე: 017).

ორივე ეს ცნობა ძალზე საინტერესოა და ძირითადად ეთანხმება ერთმანეთს. არსენ ბერი უფრო აკონკრეტებს მოვლენებს და აღნიშნავს, რომ მცხეთის სვეტიცხოვლის საფუძველი უშუალოდ ევსტათი ანტიოქიელს ჩაუყრია, თან მის დროს დასრულებულა, მასვე უკურთხებია, შემდეგ კი ახლადნაკურთხ ტაძარში ხელი დაასხა ეპისკოპოს იოანეს. XII საუკუნეში მოღვაწე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ გულაბერიძე კრიტიკულად უდგება ევსტათი ანტიოქიელის საქართველოში მოსვლის ფაქტს, თუმცა თვითონვე იძლევა განმარტებას „რამეთუ უკუე იგი თეოდორიტე, მეფისა კონსტანტინესაგან წარმოვლენილსა ეპისკოპოზისასა, თვით ევსტათი ანტიოქიელ პატრიარქისასა იტყვის ქართლის განმართვისათვის საღმრთოთა სჯულთა და საქმეთა განკაზმვისათვის; ხოლო აქა იოანეს იტყვის და თუ ვითარ წინაალმდგომ არს სიტყუა სიტყუისა ფრიად საძიებელ არს ესე; უეჭველად არს, რამეთუ თვით თავადი ევსტათი წარმოგზავნილ არს, თეოდორიტე ჭეშმარიტი უწყოდა, ვინაიდგან იგიცა ანტიოქიელი იყო, გარნა ევსტათის გვერდით მაშინ უეჭველად იოანეცა ყოფილ არს“ (იქვე:18). არსენ ბერი უფრო კონკრეტულად გადმოგვცემს, რომ იმპერატორმა კონსტანტინემ გამოაგზავნა საქართველოში ევსტათი ანტიოქიელი, ქრისტეს სჯულის განმართვისათვის, თან აღნიშნავს, რომ თეოდორიტემ, ვინაიდან ანტიოქიელია, ზუსტად

იცოდა ევსტათის ქართლში მოსვლის ამბავი და ევსტათი დროებით იყო მოვლინებული მცხეთაში, იოანე კი დასარჩენად და ქართლში სამოღვაწეოდ მოავლინეს.

როგორც ვხედავთ, IV საუკუნეში საქართველოში ანტიოქიიდან ევსტათის მოსვლის ფაქტს ერთიმეორის მიყოლებით იზიარებენ ეფრემ მცირე, ნიკონ შავმთელი, კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერიძე და შემდგომი დროის მოღვაწენი. თვითონ ცნობა კი ანტიოქიურია და, სავარაუდოდ, იგი ეფრემ მცირემ რაღაც უძველესი წყაროდან ამოიღო. როგორც ავღნიშნეთ, ევსტათი ანტიოქიელი ძალზე განათლებული და მართლმადიდებელი სარწმუნოების მიმდევარი, ამავდროულად, პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების თავმჯდომარე იყო. შემდგომში მისი დამსახურების გამო ეკლესიამ იგი წმინდანთა დასში შერაცხა. როგორც გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე მიიჩნევდა, ევსტათი ანტიოქიელი საქართველოში 328 წელს უნდა მოსულიყო, მარი ბროსე კი აღნიშნულ ფაქტს 325 წელზე დებდა. აღსანიშნავია, რომ ევსტათის ანტიოქიის ეკლესიის კათედრა 325-331 წლებში ეკავა და, ბუნებრივია, მისი მცხეთაში მოსვლაც ამ წლებში მოხდებოდა. 331 წელს იგი ანტიოქიის საეპისკოპოსო ტახტიდან გადააყენეს (ბაქრაძე,1889:146). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის, ცხოველსმყოფელი სვეტის XVII საუკუნის მხატვრობა, რომელიც გრიგოლ გულჯავრიშვილის მიერ არის შესრულებული, „ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი, რომელიც საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, მცხეთაში ჩამოვიდა ახლადაგებული სვეტიცხოვლის ტაძრის საკურთხებლად, სახარებას გადასცემს მეფე მირიანს, ქრისტიანობაზე მოქცევის ნიშნად“ (ბუბულაშვილი, 2007:47).

„საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ პირველი ავტორი პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს, რომ საქართველოში ჩამოსულა ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი სამღვდელოებასთან, მრევლთან

და ქართლის ტახტის მემკვიდრე ბაქართან ერთად. მათ მეფისთვის მიუტანიათ მაცხოვრის ჯვარცმისდროინდელი ნივთები, რამდენიმე წმინდანის წმიდა ნაწილი, ასევე მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები (Иоселиани, 1843:13). პლატონ იოსელიანი იქვე შენიშნავს, რომ ანტიოქიის პატრიარქ ევსტათის საქართველოში ჩამოსვლის ამბავს არ იხსენიებს არცერთი ქრონოგრაფი და ბიზანტიელი მწერალი. ამ ფაქტის შესახებ შემორჩენილია ცნობა ქართულ გადმოცემაში, უფრო კონკრეტულად, ბიზანტიის იმპერატორთა სიგელში, რომელიც ქართველი მეფეებისადმი იყო მიძღვნილი და ეხებოდა ათონის ივერთა მონასტერს, სადაც ინახებოდა აღნიშნული სიგელი (იქვე:13).

დღეისათვის ძნელდება იმის დადგენა, თუ რომელი სიგელი ჰქონდა მხედველობაში პლატონ იოსელიანს და უფრო კონკრეტულად რა ცნობებს შეიცავდა ეს სიგელი. მოსე ჯანაშვილს კი საეჭვოდ მიაჩნდა ევსტათი ანტიოქიელის საქართველოში ჩამოსვლა, რადგან ეს ცნობა XII საუკუნიდან გავრცელდა და იგი ანტიოქური წყაროდან მომდინარეობდა (Джанашвили, 1898:61). სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არ არის XII საუკუნეზე უფრო ადრინდელი ცნობა ევსტათი ანტიოქიელის ქართლში ჩამოსვლის შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, ფრიად საეჭვოს ხდის მომხდარ ფაქტს. თუმც კი ერთი უდავოა, ახლადდაარსებული ქართული ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის ეკლესიას ექვემდებარებოდა, რაც დადასტურდა კიდეც V საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ევსტათი ანტიოქიელის საქართველოში ჩამოსვლა საეჭვოდ მიაჩნდა სერგი გორგაძეს: პირველი მღვდელმთავარი, რომელიც საქართველომ ბიზანტიიდან მიიღო, ევსტათი ანტიოქიელი არ ყოფილა, არამედ იგი ამ უკანასკნელის ხელდასხმული და მისივე სამწყსოს ერთი წევრთაგანი უნდა ყოფილიყო (გორგაძე, 1905:29). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ გულაბერიძე კრიტი-

კულად უდგებოდა ევსტათის ქართლში ჩამოსვლას. ფაქტია, რომ ცნობა გვიანდელია, რადგან ევსტათი ანტიოქიელი პატრიარქად იხსენიება, რეალურად ის პატრიარქი არ ყოფილა და პატრიარქის ინსტიტუტი ეკლესიაში V საუკუნიდან შემოდის, ასევე საეჭვოდ მიგვაჩნია ეფრემ მცირეს ცნობა „უკურთხა მათ კათოლიკოს-მთავარაეპისკოპოსი“. კათალიკოსის ტიტულიც უფრო გვიან შემოდის ეკლესიაში და მცხეთის პირველი მთავარეპისკოპოსი იოანე კათალიკოსის ხარისხში ვერ იქნებოდა. თუკი დავუშვებთ ალბათობას ევსტათის ქართლში ჩამოსვლის შესახებ. როდის შეიძლებოდა იგი საქართველოში ჩამოსულიყო?

როგორც ცნობილია, ევსტათი ანტიოქიელმა ანტიოქიის საეპისკოპოსო კათედრა დაახლოებით 323-324 წლებში დაიკავა, 325 წელს კი იგი ნიკეის პირველ მსოფლიო კრებას ხელმძღვანელობდა. ბუნებრივია, ამ წლებში იგი საქართველოში ვერ ჩამოვიდოდა. დანარჩენ 326-331 წლებში ძალზე საეჭვოა ევსტათის ანტიოქია დაეტოვებინა, რადგან სწორედ ანტიოქიაში იყო არიოზელების ძირითადი დასაყრდენი და მათი ჩარევის შედეგად 331 წელს ევსტათიმ დაკარგა საეპისკოპოსო ტახტი. მის შემდეგ კი ანტიოქიის ექვსი მთავარეპისკოპოსი ერთიმეორის მიყოლებით არიოზელი იყო. ბოლოს ავღნიშნავთ, რომ ევსტათი ანტიოქიელი საქართველოში თუკი რეალურად მართლაც ჩამოვიდა, რაც ძალზე საეჭვოა, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართული ეკლესიის ავტორიტეტს, რადგან მართლმადიდებლურ სამყაროში ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის და წმინდანის საქართველოში ჩამოსვლა უდავოდ დიდი მნიშვნელობის ფაქტი იქნებოდა.

ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის, დამოუკიდებლობის მოპოვებას ძველი ქართული წყაროები V საუკუნის მეორე ნახევარში წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირებს. თუმცა არაერთმა მკვლევარმა V საუკუნეში მოპოვებული ავტოკეფალია საეჭვოდ ან არასრულყოფილად მიიჩნია, ხოლო XX სა-

უკუნის დასაწყისში ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა საერთოდ საეჭვოდ მიიჩნიეს არამარტო V საუკუნის, არამედ VIII და XI საუკუნეებში თითქოს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია არ იყო სრულყოფილი და ქართული ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა. მართლაც, უცნაური და ძალზე გაუგებარია, რისთვის გახდა აუცილებელი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სამჯერ მოპოვება. ისტორიულად თუ განვიხილავთ ამ საკითხს, IV საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით, ბერძნების მხრიდან გვესმის ერთი და იგივე - ქართული ეკლესია მხოლოდ ანტიოქიას უნდა ექვემდებარებოდეს და რომ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია არ არის სრულყოფილი, რომ საქართველოს ეკლესიაში მოიხსენიებდნენ ანტიოქიის პატრიარქს, რომელსაც თითქოს საქართველოში 1000 სოფლის, თუ 1000 კომლის შემოსავალი გააჩნდა. ბერძნებმა არაერთხელ შეიტანეს ეჭვი არამარტო ქართული ეკლესიის თავისთავადობაში, არამედ ქართველთა სარწმუნოების ჭეშმარიტებაში VIII- XI საუკუნეებში და ჩვენი ეკლესიის ღირსეული შვილების მიერ შესაბამისი პასუხიც მიიღეს.

სწორად შენიშნავს ისტორიკოსი ნ. ლომოური, როცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე საუბრობს. „ანტიოქიის საპატრირქო ცდილობს კვლავ დაიქვემდებაროს ქართული ეკლესია ან ყოველ შემთხვევაში მასზე რაღაც უფლებები შეინარჩუნოს, მაგრამ ეს ცნობები ვერაფრით ვერ შეარყევს დებულებას ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის V საუკუნის ბოლოს მიღების შესახებ. პირიქით, ეს ცნობები მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ვახტანგის დროს ქართლის ეკლესიის მიერ მიღებული ავტოკეფალია იმდენად კანონიერი და ზუსტად არგუმენტირებული იყო, მიუხედავად ანტიოქიის პატრიარქატის მცდელობისა, საეჭვოდ გაეხადა ეს უფლება, იგი ორივეგზის დადასტურდა საეკლესიო კრებების მიერ“ (ლომოური; 2009:41). ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების საკითხს არაერთი მეცნიერი

შეეხო და მრავალი ნაშრომიც არის გამოქვეყნებული აღნიშნულ საკითხზე. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძველ ქართულ წყაროებს: „ქართლის ცხოვრებას“ და „მოქცევაი ქართლისაის“. მრავალმა საკითხმა, რომელიც წინათ ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული და აღნიშნულ წყაროებში მოცემულ მასალას მხოლოდ ლეგენდებისა და გადმოცემების დონეზე განიხილავდნენ, დღეისათვის მეტი დამაჯერებლობა შეიძინა. არაერთი ცნობა, რომელსაც გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი“ კრიტიკულად იქნა განხილული, რომელთა რეალურობაც დადასტურდა. სწორედ ამის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ „ავტოკეფალიის მოპოვების“ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია გაცილებით მეტი ყურადღება მიექცეს უძველეს ქართულ წყაროებს. მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა V საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, 467-488 წლებში.

ავტოკეფალიის მოპოვება მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობასთან. წყაროების სიმწირე საშუალებას არ იძლევა აღნიშნულ საკითხზე სრული წარმოდგენა ვიქონიოთ. თანაც უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ეკლესიაში მომხდარი ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა უკავშირდება წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ხანას (442-502). მისი ისტორიკოსი ჯუანშერი საკმაოდ ბევრს მოგვითხრობს, თუმცა რიგ შემთხვევებში არაერთი საკითხი მაინც ბუნდოვნადაა წარმოდგენილი.

კათალიკოსობის დაწესებამდე საქართველოს ეკლესიას მთავარეპისკოპოსი მიქაელი მართავდა. ვინაიდან მიქაელი მთავარეპისკოპოსის ხარისხში იყო, ბუნებრივია, ქართულ ეკლესიაში იყვნენ კიდევ სხვა ეპისკოპოსები, რომლებიც, ალბათ, მთავარეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ. მეცნიერთა აზრი ამასთან დაკავშირებითაც ორად იყოფა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ კათა-

ლიკოსობის დაწესებამდე ქართლში მხოლოდ ერთი ეპარქია იყო: „კათალიკოსობის დაწესებამდე ქართლის სახელმწიფოში მოქმედი იყო მხოლოდ ერთი ქართლის საეპისკოპოსო ანუ „მცხეთის საეპისკოპოსო“, სხვა ეკლესიები, რომლებიც ადგილებზე შემდეგ აშენდა და შენდებოდა, ქმნიდნენ მცხეთის ფილიალ-სამრევლოებს“ (ლომინაძე, 1999:17). ასევე საინტერესოა გიორგი მონაზონის ხრონოღრაფის ქართული თარგმანი „საეკლესიო მოთხრობათაგან“, სადაც ნათქვამია „სკვითეთს ყოველთავე ქალაქთა მხოლოდ ერთი ოდენ აქუს ეპისკოპოსი“ (კეკელიძე, 1957:330). კორნელი კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ქართლის ეკლესიაში არსებობდა „სახლის ეპისკოპოზი“, რომელიც შუშანიკ დედოფლის „მარტვილობაშია“ მოხსენიებული. აღნიშნული ეპისკოპოსი მეფეთა კარზე იჯდა. „ეპისკოპოზი იგი სახლისაი მის პიტიახშისა, რომელსა სახელი ერქვა აფუც“ (იქვე:331). კეკელიძის საბოლოო დასკვნა შემდეგი იყო: ვახტანგ გორგასლამდე იბერია წარმოადგენდა ერთ განუყოფელ მთლიან, ერთ ეპარქიას და მას ერთი მწყემსმთავარი განაგებდა.

მეცნიერთა მეორე ნაწილი თვლის, რომ ქართლში კათალიკოსობის დაწესებამდე ყოფილა მრავალი საეპისკოპოსო და ზოგიერთი ეპისკოპოსი ვახტანგ გორგასალს შეუცვლია კათალიკოსობის დაწესების დროს. საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებამდე ქართლის სამეფოში რამდენიმე საერისთავო არსებობდა, შესაბამისად, წარმოუდგენელია, საერისთავოებს არ ჰყოლოდა ეპისკოპოსები. ექვთიმე თაყაიშვილის ვარაუდით: „საქართველოში ვახტანგამდეც უნდა ყოფილიყო არა თუ თორმეტი, ამაზე ორჯერ მეტი რიცხვი ეპისკოპოსებისა.ცხადია, მცხეთის მღვდელმთავრებს „მთავარეპისკოპოსს“ ვერ უწოდებდნენ, თუ მათს ხელქვეშ უბრალო ეპისკოპოსებიც არ ყოფილიყვნენ.“(თაყაიშვილი,1913:78). სარგის კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ ავტოკეფალიის მოპოვებამდე, „ქართლის სახელმწიფოში 470 წლის ახლოს საგუ-

ლისხმებელია 8 საეპისკოპოსო მაინც“ (კაკაბაძე,1994:331).

ნ. ჯანაშია მიიჩნევს, რომ „შეუძლებელია ასეთ დიდ საერისთავო ცენტრში, სამეფო საგვარეულოს ერთ-ერთ შტოს რეზიდენციაში, რუსთავში მანამდე ეპისკოპოსი არ მჯდარიყო. ამ დროს ქართლში სულ ოცამდე საეპისკოპოსო ყოფილა“ (ჯანაშია, 1988:45-46). „419 წელს სელევკიაში ჩატარებულა საეკლესიო კრება კათალიკოს მარ იაჰბალაჰის დროს, ამ კრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ „ეპისკოპოსები გურზანიდან“ ე.ი. საქართველოდან“ (თარხნიშვილი, 1994:135). ისტორიკოს ვახტანგ გოილაძის აზრით: „ქრისტიანობის ისეთ უძველეს ცენტრებში, როგორიც იყო: არტაანი, ერუშეთი, წუნდა, ჯავახეთი, მანგლისი, ქვემო ქართლი, სადაც ქართულ წყაროთა ცნობით, ეკლესიები ჯერ კიდევ IV ს-ის 20-30-იან წლებში აიგო, არ შეიძლებოდა ადრევე არ ყოფილიყო საეპისკოპოსო ცენტრები. რით უნდა აიხსნას ბიზანტიიდან მოსულ სასულიერო პირთაგან ვახტანგმა შიდა ქართლში არც ერთი ეპისკოპოსი რომ არ დასვა?“ (გოილაძე. 1991:148). სავსებით მისაღებია ვ. გოილაძის მსჯელობა და მართლაც, ძნელი წარმოსადგენია V საუკუნის შუახანამდე ქართულ ეკლესიაში ერთ ეპარქიის არსებობა, თუნდაც ტერიტორიული პრინციპი, რომ ერთ ეპისკოპოსს ძალიან გაუჭირდებოდა მრავალი ქალაქისა და სამრევლოს მართვა. იგივე მოსაზრება აქვს ამ საკითხზე აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს, რომლის აზრით „ქართლში კათალიკოსობის დაარსებამდე არსებობდნენ საეპისკოპოსო კათედრები“ (ლორთქიფანიძე, 1979:67).

ასევე პრინციპულად ეწინააღმდეგება და მიუღებლად მიაჩნია ქართლში ერთი საეპისკოპოსოს არსებობა ისტორიკოს გიორგი მამულიას, ქართლში კათალიკოსობის დაწესებამდე. „ეპარქიული ეპისკოპოსების არსებობას კორიუნისა და იაკობ ცურტაველის ცნობებიც ადასტურებს“. კორიუნი მაშტოცის ქართლში პირველ ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოიხსენიებს ქართლის ეპისკოპოსს

მოვსეს, ხოლო „შუშანიკის წამებაში“, პიტიახშის სახლის ეპისკოპოს აფოცთან ერთად, მოიხსენიებიან აგრეთვე იოანე და სამოელ ეპისკოპოსები“ (მამულია, 1992:20). ვფიქრობთ, რომ ქართული ეკლესიაც იმავე პრინციპით იყო მოწყობილი, როგორც ბერძნული. ჯერ კიდევ IV საუკუნეში პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 325 წელს რომის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ეპისკოპოსებს ათეულობით ეპისკოპოსი ექვემდებარებოდა, თუმცა, როგორც ვიცით, აღნიშნული ეკლესიების მეთაურებმა მთავარეპისკოპოსისა და პატრიარქის ტიტული გაცილებით გვიან მიიღეს. ასეთივე პროცესია სავარაუდებელი ქართული ეკლესიის იერარქიული წყობის განვითარებაში (გოილაძე, 1991:150).

უფრო კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება აღნიშნულ საკითხზე ცნობების სიმწირის გამო ვერ ხერხდება, თუმცა მოყვანილი მასალების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართლში V საუკუნის მეორე ნახევარში არსებობდა რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრა, რომლებიც ძირითადად, ალბათ, დიდ ქალაქებსა და მსხვილ საეკლესიო ცენტრებში იყვნენ წარმოდგენილი, რომლებიც იერარქიულად მცხეთის მთავარეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ, სავარაუდოდ, მათი რიცხვი შესაძლებელია ათამდე იყო, ყოველ შემთხვევაში, ჯუანშერის ცნობით ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ კათალიკოსობის დამკვიდრების შემდეგ შეიქმნა ქართლში 13 საეპისკოპოსო. კათალიკოსობის დაწესებაზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ, თუ როგორი პოლიტიკური სიტუაცია იყო საქართველოში V საუკუნის მეორე ნახევარში. სწორედ პოლიტიკურმა სიტუაციამ ითამაშა უდიდესი როლი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საქმეში.

ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძველი არის ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა. საეკლესიო და პოლიტიკური საზღვრები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. წარსულში მრავალი სახელმწიფო როცა დამოუკიდებელი ხდებოდა, სწორედ ამის შემდეგ

დგებოდა საკითხი ქვეყანა ეკლესიურადაც დამოუკიდებელი გამხდარიყო. „ყოველი ერის ეპისკოპოსები უნდა ცნობდნენ პირველს, მათ შორის, აღიარებდნენ მას, როგორც თავ ეპისკოპოსს და თავიანთ ძალაუფლებაზე აღმატებული არაფერი მოიმოქმედონ მისი ნებართვის გარეშე. მათ მხოლოდ ის საქმეები აწარმოონ, რაც თავიანთ ეპარქიებსა და მათთან მიმდებარე ადგილებს ეხება“ (მილაში, 2007:75). მოციქულების მიერ დადგენილი 34-ე კანონი ავალდებულებს ქრისტიანებს, რომ ყველა ერში, სადაც რამდენიმე საეპისკოპოსო მაინც იარსებებდა, აუცილებელი იყო მათ შორის ერთი ყველას მიერ აღიარებულიყო, როგორც უპირატესი და თავი ყველასი, ვინაიდან თავდაპირველად წმიდა მოციქულების მიერ ეკლესია ჩამოყალიბდა ცალკეული საეკლესიო თემების სახით, ამ თემებს გეოგრაფიულად თავიანთი საზღვრები ჰქონდათ. (იქვე:76).

პირველი ქრისტიანული თემები საქართველოში სწორედ მოციქულებმა დააარსეს, ქრისტიანული ეკლესიის განვითარებასა და კანონიკურად ჩამოყალიბებასთან ერთად საქართველოს ეკლესიაც განვითარდა. მისი ფორმირება ხდებოდა ისე, როგორც ვითარდებოდა ქრისტანული ეკლესია რომის იმპერიის ტერიტორიაზე. ქრისტეს ეკლესია ხომ ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენს, ამიტომ ქართული ეკლესიაც კათოლიკე მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენელი ნაწილია. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში საქართველოში დაარსდა ქრისტიანული თემები, რომლებსაც ეპისკოპოსები ჩაუდგნენ სათავეში, ჩვენში პირველი საუკუნეებიდან არსებობს ქრისტიანული ეკლესიის სამი იერარქიული საფეხური: დიაკონი, მღვდელი, ეპისკოპოსი. შემდგომ, უკვე IV საუკუნიდან, როცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ცხადდება იმპერიის ტერიტორიაზე, საქართველოშიც მოციქულთასწორ მეფე მირიანის მმართველობის დროს, დაახლოებით 326 წელს, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. V საუკუნე-

ში იმპერიის ტერიტორიაზე წარმოიშვა ხუთი ავტოკეფალური ეკლესია, რომლებსაც პატრიარქები მართავდნენ, ამიტომ სრულიად ბუნებრივი პროცესი მოხდა საქართველოში, როდესაც წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის დამსახურებით ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ისე, როგორც საქართველოს ეკლესიას, ასევე ჩვენი მეზობელი სომხეთის, ალბანეთისა და სპარსეთის ეკლესიებსაც კათალიკოსები მართავდნენ უკვე V საუკუნიდან, ამიტომ ბუნებრივია, საქართველოს ეკლესია ცალკე არ განიხილება. იგი ისევე თანაბრად და მიზანმიმართულად ვითარდება, როგორც სხვა უძველესი ეკლესიები. ქართულ ეკლესიას ჯერ კიდევ პირველი საუკუნიდან ძალზე ახლო ურთიერთობა და კავშირები გააჩნია იერუსალიმთან, ანტიოქიასთან და ა. შ.

ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებით მეოთხე საუკუნიდან განისაზღვრა ქართული სახელმწიფოს დასავლური ორიენტაცია. მირიან მეფის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება პრორომაული ორიენტაციის გამარჯვებასა და იბერიის სამეფო კარის რომაელთა მხარეზე აშკარა და საბოლოო გადასვლას ნიშნავდა. ამ დროიდან დაწყებული ქართლის მმართველნი ყოველთვის სასანური ირანის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იმყოფებოდნენ. რომსა და ირანის ხანგრძლივი ომების მთელ მანძილზე, ომებისა, რომლებიც მცირე ხარვეზებით თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა IV-VI საუკუნეებში (ლომოური. 1975:94). შესაბამისად ქართული ეკლესიის ორიენტაციაც პრორომაული, პრობიზანტიური იყო. ვახტანგ გორგასლის მეფობაში მართლმადიდებლურ სამყაროსთან ურთიერთობა კიდევ უფრო მტკიცე და მჭიდრო გახდა.

ქართლში V საუკუნეში ძალზე მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა იყო. ჯერ კიდევ ყმაწვილ მეფეს ვახტანგ გორგასალს რთული მემკვიდრეობა ერგო. საქართველო განიცდიდა ორი დიდი მეზობლის სპარსეთისა და ბიზანტიის ზეგავლენას, ამას ემატე-

ბოდა ოსების თარეში შიდა ქართლის რეგიონში. ღვთის რწმენით აღვსილმა ჭაბუკმა მეფემ თავისი ბრწყინვალე სამხედრო მოქმედებით საქართველო გაწმინდა უცხოელ დამპყრობელთაგან და პოლიტიკურად გააერთიანა. თუმცა მან ვერ შეძლო საბოლოოდ სპარსული უღლის გადაგდება. სწორედ ამის გამო, ქართველ მეფეს თავის ჯართან ერთად მოუწია ლაშქრობა სპარსელების სასარგებლოდ პონტოში ანუ საბერძნეთში, როგორც გადმოგვცემს ჯუანშერი თავის თხზულებაში. სწორედ ამ ცნობილი ლაშქრობის დროს ნახა ვახტანგ მეფემ ხილვა, თუმცა ბევრი ისტორიკოსი მას სიზმარს და დაუჯერებელ ამბავს უწოდებს. სწორედ ამ ხილვაში არის პირველად „ქართლის ცხოვრებაში“ კათალიკოსზე საუბარი, ვახტანგ მეფეს, როცა პონტოში ლაშქრობა მოუწია. ვახტანგი აფრთხილებს ყველას, მათ შორის სომხებსაც, რომლებიც მათთან ერთად იბრძოდნენ პონტოში, რომ არაფერი ევნოთ ეკლესიებისა და ღვთისმსახურებისათვის. მან მიავლინა ხალხი და ყველას ამცნო, რომ ყოველი მოწესე, დიაკონი და სამღვდელო პირი გამოსულიყო სამალავიდან. აი, ამ დროს მასთან მივიდა ორი პიროვნება პეტრე მღვდელი, რომელიც იყო გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწაფე „რამეთუ საფლავსა მისსა ზედა „მღვდელობდა“ და სამოელ მონაზონი. ჯუანშერი სავსებით ნათლად წარმოგვიდგენს პეტრესა და სამოელის მოსვლის მიზანს. მათი სურვილია, რომ ვახტანგმა შეწყვიტოს ლაშქრობა და ბერძნებს დაუახლოვდეს: „უმეცრებამან აღძრა ბრძოლად ძეთა ზედა ღმრთისათა, არამედ შუელისათვის ნათესავისა შენისა სპარსთასა და არა უწყია, რამეთუ ბერძენნი ნათესავნი ღმრთისანი არიან აღთქმისა მისთვის“ (ქართლის ცხოვრება.I, 1955:165).

ამის შემდეგ ვახტანგ მეფე ითხოვს, რომ ღამით „მაჩვენოთ ლოცვითა თქვენითა ამას ღამესა კეისარი და მე შეკრებულნი... და ვცნა მე, ვითარმედ სთნავს ქრისტესა ზრახვა ესე შენი ჩემდა მომართ“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვიმ-

სჯელოთ, რომ ვახტანგ მეფის ლაშქრობის დროს ნადგურდებოდა ქრისტიანული ეკლესიები და იღუპებოდნენ ქრისტიანებიც. სწორედ ამის სამხილებლად მასთან მივიდა ორი სასულიერო პირი. პირველი პეტრე მღვდელი, რომელიც იწოდება გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწაფედ, რაც ქრონოლოგიურ ჩარჩოში არ ჯდება, რადგან წმიდა მამა გრიგოლ ღვთისმეტყველი ანუ ნაზიანზელი აღესრულა 387 წელს და იგი მთელი ასი წლით ადრე მოღვაწეობდა, მაგრამ ჯუანშერს ამით იმის თქმა სურს, რომ პეტრე მღვდელი იყო მართლმადიდებელი მრწამსის და იგი ქალაქ ნაზიანზში წმინდანის საფლავზე მოღვაწეობდა. ღამით ვახტანგ მეფემ ილოცა და შემდეგი ნახა: „მოვიდა დედაკაცი იგი, რომელი იყო წმიდა ნინო, და რქუა: აღდეგ მეფეო და განკრძალულად მიეგებვოდე, რამეთუ ორნი მეფენი ზეცისა და ქვეყანისანი მოვლენ შენდა“(იქვე:167). შემდეგ იხილა ორი საყდარი და ორი ტახტი. ერთზე იჯდა ჭაბუკი გვირგვინოსანი საჭურვლით, მეორეზე მოხუცი ბრწყინვალე სამოსლით, რომელსაც თავს ადგა ნათლის გვირგვინი, მის ფერხთით კი წმიდა ნინო იჯდა. ვახტანგ მეფის მარჯვენა ხელი პეტრე მღვდელს ეჭირა, ხოლო მარცხენა სამოელ მონაზონს. შემდეგ გრიგოლ ღვთისმეტყველი რისხვით მიმართავს ვახტანგ მეფეს: „რა ესე ჰყავ, ბოროტო კაცო, რამეთუ მოაოხრე ბანაკი ჩემი და მხეცთა შეაჭამენ საცხოვარნი ჩემნი. უკეთუმცა ორნი ეგე არა, რომელნი გვერდით გიდგანან და დედაკაცისა ამისთვის სათნოსა, რომელი მარადის იღუწის მარიამის თანა თქვენთვის,.. და მისცა ხელი და ამბორს უყო, რეცა და მიჰყო ხელი გვირგვინსა ნათლისასა, რეცა ეგევითარივე გვირგვინი მისცა ვახტანგს, და რქუა: „დაარქუ ეგე პეტრეს, და აღიღო პეტრე მისვე გვირგვინისგან რეცა უდარესი და დაარქუა სამოელს მონაზონსა“ (იქვე:167).

ჯუაშერის მიერ მოთხრობილი აღნიშნული ხილვა ძალზე მნიშვნელოვანია ავტოკეფალიის საკითხზე მსჯელობისას. ჯუანშერის რეტროსფექტული განხილვა ვახტანგის ხილვის შესახებ

საყურადღებოა. ხილვაში წარმოდგენილია ორი წმინდანი: გრიგოლ ღვთისმეტყველი და წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელი. ასევე ბიზანტიის იმპერატორი, ვახტანგ გორგასალი, პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი. გრიგოლ ღვთისმეტყველი ასახელებს წმიდა ნინოსთან ერთად კიდევ მარიამს, რომლებიც მარადის იღწვიან საქართველოსთვის, ხომ არ გულისხმობს ღვთისმშობელ მარიამს? რადგან საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა და შეუძლებელია ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საქმეში ქართველი ერის მფარველ წმინდანს და ქართველთა განმანათლებელს მონაწილეობა არ მიეღოთ. გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვები ხომ ერთგვარი წინასწარმეტყველება იყო, რომ ქართული ეკლესია ავტოკეფალური ანუ დამოუკიდებელი გახდებოდა, რომელიც წმიდა მეფე ვახტანგის მიერ აღსრულდა. შემდეგ ხილვაში ვახტანგ მეფეს იმპერატორი თავის გვერდით სვამს ტახტზე, აძლევს თავის ბეჭედს და აღუთქვამს ჯვრის გვირგვინს. ბოლოს კი გრიგოლ ღვთისმეტყველმა სამგზის მიმართა მეფეს: „ვახტანგ, ვახტანგ, ვახტანგ! უმეტეს მორწმუნე იყო შენ ყოველთა შორის ნათესავსა სპარსთასა“. მეორედ: „შენგან აღეშენენ ეკლესანი და განეწესენ ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსთა მთავარი“ და მესამედ: „გვირგვინიცა წამებისა მიიღო.“ ამის შემდეგ ძილშივე მოუწოდა ვახტანგ მეფემ პეტრეს და სამოელს, რომელთაც მოუთხრო ჩვენება და იქვე მიიღო მათგან ახსნა აღნიშნულ ხილვაზე: „საყდართა ზედა გვირვგინოსანი ნათლითა გვირგვინისა მისგან მომცა ეპისკოპოსთა მთავრობა; და მე რომელ მოვეც გვირგვინისა ჩემისაგან მოყვასსა ჩემსა, ჩემ მიერ ყოფად არს ეპისკოპოსად (იქვე:168).

ძალზე საინტერესოა ბოლო აბზაცი, სადაც პეტრე და სამოელი ხილვის დედააზრს უხსნიან ვახტანგ მეფეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პეტრე მღვდლის აზრი. პეტრე მღვდელი თავად აღნიშნავს, რომ მას გრიგოლ ღვთისმეტყველისაგან მიეცა „ეპის-

კოპოსთა მთავრობა“. რას უნდა ნიშნავდეს „ეპისკოპოსთა მთავარი“, „ეპისკოპოსთა მთავრობა“ — ეს იგივეა, რაც კათალიკოსი ანუ მამამთავარი. ყველაზე მთავარი ამ ხილვაში კი ის არის, რომ ყველაფერი, რაც იწინასწარმეტყველა გრიგოლ ღვთისმეტყველმა, ზედმიწევნით აღსრულდა. ვახტანგმა ააშენა მრავალი ეკლესია, პეტრე გახდა ქართველთათვის პირველი კათალიკოსი, სამოელი ეპისკოპოსი, ვახტანგ მეფე კი მოწამეობრივად აღესრულა ბრძოლაში. მართლაც, ეს იყო სასწაულებრივი ხილვა, რომელიც წინასწარ ეუწყა წმიდა მეფეს ღვთისაგან და მასში, როგორც აღვნიშნეთ მონაწილეობდა წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი და მოციქულთასწორი წმიდა ნინო. რა თქმა უნდა, აუცილებელია, მეცნიერულად დაზუსტდეს მრავალი ფაქტი, რაც დაკავშირებულია კათალიკოსობის დაწესებასთან. ვახტანგ მეფის ხილვის უარყოფა, მართებული არ იქნება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ვახტანგი 22 წლის იყო, როდესაც პონტოში ილაშქრა, თუკი ზუსტია ეს ცნობა, გამოდის რომ მას 463-464 წლებში ულაშქრია პონტოში. საკმაოდ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჯუანშერი, ქართლში დაბრუნებულ ვახტანგ მეფეზე, რომელმაც უბრძანა არტანუჯის ციხის აგება. ასევე იმავე ხევში უნდა გამოენახა მას სამონასტრო ადგილი, სადაც აიგებოდა ეკლესია „ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი „. ზემოთქმულიდან ვგებულობთ, რომ ვახტანგ მეფემ საბერძნეთში იხილა მონასტრები და მათ მსგავსად გადაწყვიტა მის სამეფოშიც აეგო ისინი. მეფის ბრძანების შემდეგ არტავაზ ერისთავმა ააგო არტანუჯის ციხე და საქართველოს ეკლესიაში პირველი მონასტერი, რომელსაც უწოდეს ოპიზა. ამავე დროს აგებულა სამი ეკლესია: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა.

აღსანიშნავია, რომ საბერძნეთიდან დაბრუნებული ვახტანგ მეფე უკვე იწყებს ეკლესია მონასტრების მშენებლობას, რაც გარკვეულწილად ნიშნავდა მზადებას ქართული ეკლესიის ავტოკე-

ფალიისათვის. სწორედ V საუკუნეში დაიწყო სამონასტრო ინ-სტიტუტის ჩამოყალიბება ეგვიპტეში, პალესტინასა და სირიაში. ამავე პერიოდიდან არსებობდა მონასტრები კაბადოკიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ფაქტია,რომ ქართული ეკლესიაც ისევე განვითარდა, როგორც ბერძნული ეკლესია. ჯუანშერი კიდევ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის: სპარსთა მეფეს შეუტყვია ვახტანგის ბერძნებთან და-ახლოება, თუმცა იგი მალე გარდაცვლილა, ხოლო ტახტზე მისი მცირეწლოვანი ძე ასულა და ვიდრე იგი მოწიფული ასაკის გახ-დებოდა, გასულა სამი წელი. ამ დროს ვახტანგ მეფეს შეძენია ვა-ჟი დაჩი და გარდაცვლილა მეუღლე ბალენდუხტ დედოფალი. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ არის კათალიკოსზე საუბარი მეორედ „ქართლის ცხოვრებაში“: „მაშინ ვახტანგ მეფემან ვერ მოიცალა მოყვანებად ცოლი ბერძენთა მეფის ასული და ვერცა კათალი-კოსისა და ეპისკოპოსთა, რამეთუ მოელოდა იგი სპარსთა მეფის მოსვლას“ (ქ.ცხ.I:178). თუკი ჯუანშერის ზემოთქმულს დავეყ-რდნობით, გამოდის, რომ ვახტანგ მეფეს ჯერ კიდევ ინდოეთში გალაშქრებამდე ჰქონია სურვილი კათალიკოსობის დაწესებისა, მაგრამ წინააღმდეგობას იწვევს კვლავ ქრონოლოგიური ჩარჩო. თუკი ვახტანგი 22 წლის გაემართა პონტოში, შემდეგ გადის დრო. მას შეეძინება შვილი, გარდაეცვლება მეუღლე, სპარსეთს ახალი შაჰი მართავს და გადის კიდევ სამი წელი. გამოდის, რომ ვახტან-გი ამ დროს 25-26 წლის იყო. ხოლო სპარსეთის შაჰი, რომელიც მცირეწლოვანი ადის ტახტზე, უნდა იყოს პეროზი, რომელმაც ტახტი დაიკავა 459 წელს. ასე რომ, ჯუანშერი მოგვითხრობს რეა-ლურ ამბებს, თუმცა რიგ შემთხვევებში თითქოს ფაქტები არადა-მაჯერებელია და ქრონოლოგია სრულიად დარღვეული. მაგალი-თად, ჯუანშერის მიხედვით გამოდის, რომ ეს ამბები მომხდარა 442+25=467 წელს. აღსანიშნავია, რომ მეცნიერებს შორის არ არის ერთი პოზიცია ვახტანგ მეფის დაბადებისა და გარდაცვალების

თარიღზე, შესაძლოა, ვახტანგი უფრო ადრე იყოს დაბადებული, ამ შემთხვევაში ბევრი რამ შეიცვლებოდა. ამ წელს კი სპარსეთს უკვე ჰყავდა შაჰი პეროზი, რომელიც უკვე 8 წლის ასული იყო ტახტზე. კათალიკოსობის დაწესების საკითხის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით სპარსეთში გამგზავრების ამბავს, შემდგომ კი სპარსეთიდან დაბრუნებული მეფე ვახტანგი როგორ ახორციელებს უმთავრეს რეფორმას ქართულ ეკლესიაში. შევნიშნავთ, ერთ საკითხს, რომელზეც ჯუანშერს აქვს საუბარი. ვიდრე მეფე ვახტანგი სპარსეთში გაემგზავრებოდა, „ევედრნეს დედა და დაი მისი ხუარანძე, რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალიმის". ვახტანგ მეფემ თხოვნა აუსრულა დედას და დას „შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წამოვიდეს ანტიოქიას" (იქვე:186).

ანტიოქიაში ვახტანგ მეფეს ელოდა სპარსეთის შაჰი ხოსრო, თუკი 459 წელს სპარსეთის შაჰი პეროზი გახდა, V საუკუნის სამოციან წლებში კვლავ ხოსრო როგორ იყო სპარსეთის შაჰი? აქაც იგივე წინააღმდეგობას ვაწყდებით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ქრონოლოგიურ შეუსაბამობას. დავუბრუნდეთ ახლა მთავარ საკითხს. ფაქტია, რომ ვახტანგ მეფის ოჯახის მიერ იერუსალიმის მოლოცვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ არ შეგვიძლია, დაწვრილებით ვიმსჯელოთ, თუ რამდენი ხანი დაყო მეფემ იერუსალიმში და ვის შეჰხვდა იგი იქ. ჯუანშერი, სამწუხაროდ, აქაც მწირ ცნობებს გვაწვდის. კერძოდ, მეფის ოჯახს მოულოცავს მრავალი წმიდა ადგილი, მათ შორის აღდგომის სახელობის ტაძარი, სადაც მრავალი შესაწირი შეუწირავთ, ბოლოს კი ანტიოქიაში დაბრუნებულან. არ არის გამორიცხული, რომ იერუსალიმსა და ანტიოქიაში ყოფნის დროს ვახტანგ მეფეს არ ეფიქროს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე. შესაძლოა, სწორედ ამ დროს გადაწყდა მრავალი საკითხი, რაც დაკავშირებული იყო ქართული ეკლესიის შემდგომ განვითარებასთან.

როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, კათალიკოსობის დაწესებას უკავშირებენ ვახტანგ მეფის სპარსეთიდან დაბრუნებას. ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგს 7 წელიწადი ლაშქრობაში გაუტარებია და მერვე წელს დაბრუნებულა (ჯავახიშვილი I. 1979:370). როდის გაემგზავრა ვახტანგ მეფე საქართველოდან, ზუსტად არც ეს თარიღია დადგენილი. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ვახტანგი 465 წელს უნდა გამგზავრებულიყო საქართველოდან. სამწუხაროდ, ამ თარიღის დადგენა მაინც შეუძლებელია, იგი შესაძლებლობას მოგვცემდა კათალიკოსობის დაწესების მიახლოებითი თარიღი დაგვედგინა. ვახტანგ მეფის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ვარაუდობდა კათალიკოსობის დაწესებას მარი ბროსეც: „ვახტანგი დაბრუნდა სპარსეთიდან რვა წლის შემდეგ...უბრძანა მხლებლებს მოყვანა კათალიკოზისა პეტრესი და თორმეტ ეპისკოპოზისა, რომლებზედაც მაშინ მოლაპარაკება ჰქონდათ, ვინაიდან სურდათ ივერიის ეკლესია დამოუკიდებელი ყოფილიყო"(ბროსე,1895:77).

ვახტანგ მეფის სპარსეთიდან დაბრუნებას „ქართლის ცხოვრება" ასე გადმოგვცემს: „და წარმოვიდა ვახტანგ წესლა მერვესა შესვლით მისითგან სპარსეთად ვიდრე ანტიოქიამდე, და მოვიდა ურაჰად" (ქ.ცხ. I:196). ამის შემდეგ სპარსთა მეფეს ვახტანგისათვის შეუთავაზებია ცოლად შეერთო თავისი და, თუმცა ვახტანგ მეფემ უარყო ეს შეთავაზება: „არა ჯერ არს ჩემგან ორთა ცოლთა პყრობა, რამეთუ მივის მე ცოლი ასული კეისრისა" (იქვე:196). მეფე ხოსროს ძლიერ წყენია, თუმცა არაფერი უთქვამს ვახტანგისათვის. შემდეგ ვახტანგ მეფემ მშვიდობით იპოვა დედა და დაჲ მისი და წამოვიდა „განსაყოფელსა ბერძენთა და სომეხთასა". „ქართლის ცხოვრების" ამ აბზაცებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ვახტანგ მეფეს ამ დროს გარდაცვლილი ჰყავდა პირველი მეუღლე და ცოლად კეისრის ასული ჰყავდა. სწორედ ამ დროს დგამს მთავარ ნაბიჯს, რასაც ქართულ ეკლესიაში ძირეული ცვლილებე-

ბი მოჰყვა. „ხოლო ვახტანგ წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესთვის კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა. წარმოვიდა ვახტანგ (ქართლად) და მიეგება ძე მისი დაჩი და მის თანა ყოველნი სპასალარნი, და მათ თანა ეპისკოპოსნი“. ვახტანგ მეფეს ჯერ კიდევ არ ჰყავდა ბერძენი მეუღლე ჩამოყვანილი საქართველოში, თუმცა მისი ჩამოყვანა მან დაამთხვია სწორედ კათალიკოსისა და ეპისკოპოსის ჩამოყვანას.უცხოელი მკვლევარი კ. ტაუმენოფი მიიჩნევს, რომ ვახტანგ მეფემ პირველი მეუღლე შეირთო 458 წელს, 460 წელს კი ბალენდუხტ დედოფალი გარდაცვლილა. (Toumanoff. 1996:379).

ეს ალბათ პოლიტიკური ნაბიჯიც იყო და ამასთანავე მეფეს სურდა მისი დიდი ხნის ოცნებაც აესრულებინა. ქართლში დაბრუნებულ მეფეს მიეგება ძე მისი დაჩი და „მათ თანა ეპისკოპოსნი“, ანუ ეპისკოპოსები. ამ შემთხვევაშიც კარგად ჩანს, რომ ქართლში კათალიკოსობის დაწესებამდე რამდენიმე საეპისკოპოსო ცენტრი არსებობდა. სწორედ ამის შემდეგ მოხდა მართლაც დიდად არასასიამოვნო ამბავი, რომელიც მაშინ ქართლის მთავარეპისკოპოსს მიქაელს შეემთხვა, როცა მან შეიტყო კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა ჩამოსვლის შესახებ. მიქაელ მთავარეპისკოპოსი ძლიერ გაბრაზებულა: „დაუმძიმდა მას ზედა და იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად“. მიქაელ მთავარეპისკოპოსი დაუპირისპირდა მეფეს და მას აშკარად ცილი დასწამა: „შენ დაგიტევნია ქრისტე და ცეცხლსა ესავ“. ეს მართლაც დიდი ცილისწამება იყო და თვითონ ვახტანგმაც აღნიშნა: „ძალითა ქრისტესითა შევედი და სიმართლით გამოვედ ძალითავე ქრისტესითა, უბრალო ვარ, ღმერთმან იცის! მაგრამ წარმივლენია მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა“. მეფის სიტყვები სავსებით გასაგებია, ღვთისნიერი მეფე მხოლოდ ქრისტეს ძალას ესავს, ის თავს არაფერში იდანაშაულებს და ყოველივე ღმერთმა იცის.

მირონცხებული მეფის დადანაშაულება მაზდეანობაში, მაშინ

როცა მეფე თავის სამეფოში კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს იწვევს და იგი იმედს მხოლოდ ქრისტეზე ამყარებს, ნამდვილად ცილისწამებაა. ვახტანგ მეფე თავად აღიარებს, რომ იგი ქრისტეს ძალით შევიდა სალაშქროდ, ასევე ქრისტეს ძალითვე მართალი გამოვიდა და იგი თავს დამნაშავედ არ გრძნობს. ამის შემდეგ კი მან მოციქული გააგზავნა კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა ჩამოსაყვანად. ვახტანგ მეფე სავსებით გარკვევით ამბობს, რომ მან მოციქული კათალიკოსის ჩამოსაყვანად სპარსეთიდან წამოსვლის შემდეგ გააგზავნა". თუმცა რაც შემდეგ მოხდა, ყოველგვარ ზღვარს სცილდება.სწორად შენიშნავდა ექვთიმე თაყაიშვილი: „კათალიკოზის თხოვას ქართლის ცხოვრება მიქაელისგან ვახტანგისადმი ფერხის მიმთხვევამდის მოიხსენიებს და პირველს მეორის მიზეზათ უჩვენებს"(თაყაიშვილი,1890:29). ცხადია, რომ ვახტანგს სპარსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ გადაწყვეტილი ჰქონდა კათალიკოსის ჩამოყვანა, რამაც მიქაელ მთავარეპისკოპოსის გაღიზიანება გამოიწვია. სარგის კაკაბაძე ასე ხსნიდა ამ ამბავს: „სპარსეთიდან დაბრუნებულ ვახტანგს მცხეთაში მთავარეპისკოპოსი მიქაელი დახვდა მეტად მტრულად. მიზეზი იყო ის, რომ ვახტანგი უკვე შუამდგომლობდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის მთავრობასთან და კონსტანტინეპოლის პატრიარქთან კათალიკოსად პეტრე ეპისკოპოსის და მის მოადგილედ სამოელ ეპისკოპოსის დანიშვნის შესახებ. (მაშინ არსებული წესით მთავარეპისკოპოსს, როგორც ქართული ეკლესიის მეთაურს ფეხზე ემთხვეოდნენ)." (კაკაბაძე,1994:215).

ეპისკოპოსმა მიქაელმა, აღშფოთებულმა „კრულ-ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი". ვახტანგ მეფე კვლავ ქრისტიანული სიმდაბლით იტანს ამ შეურაცხყოფას „დაღაცთუ უბრალო ვართ, სიმდაბლე ჯერ არს ჩუენგან" და მივიდა მეფე და გარდახდა სახედარსა, რათამცა შეემთხვა ფერხთა ეპისკოპოსთა და განაძრა ფერხი და მიამთხვა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი

მისი“. ქრისტიანული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მიუღებელია სასულიერო პირის მსგავსი ქმედება, მღვდელმთავარმა ჯერ დაწყევლა მეფე თავისი ჯარით, შემდეგ კი მასთან სამთხვევად მისულ მეფეს წიხლი უთავაზა და კბილი ჩაუმტვრია, ეს მოხდა აღშფოთების ნიადაგზე და იმის გამო, რომ მიქაელი ვერ დაიკავებდა კათალიკოსის ტახტს. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური ვარიანტი მეფესა და ეპისკოპოს შორის დაპირისპირებას ასე ხსნის: „მაგრამ როცა მიქაელ ეპისკოპოსმა შეიტყო, რომ ქართლს მოდიან კათალიკოსი და ეპისკოპოსი მისი ნების გარეშე, დაუმძიმდა, აყვედრიდა ვახტანგს მომიზეზებით, ვითომც მას თაყვანი ეცეს ცეცხლისათვის. ხოლო მეფე ეფიცებოდა და ევედრებოდა მას, რომ ქრისტეა ჩემი ჭეშმარიტი ღმერთი და ნუ მაბრალებ მე ტყუილადო“ (ქ.ცხ.1953:179).

ფაქტია, რომ მიქაელ მთავარეპისკოპოსი გაბრაზდა, რადგან მისი ნების გარეშე მოხდა ყველაფერი და ამის გამო ვახტანგს ბრალი დასდო ცეცხლთაყვანისმცემლობაში. ამასთანავე, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური ვარიანტის მიხედვით მიქაელის გადაყენებას თან მოჰყვა პეტრე კათალიკოსის და სამოელ ეპისკოპოსის ჩამოსვლა.

მეფე-მღვდელმთავარს შორის მომხდარ კონფლიქტზე მრავალმა მეცნიერმა იმსჯელა. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის უთანხმოება სარწმუნოებრივ ნიადაგზე მოხდა, რაკი მიქაელი და მისი თანამოაზრენი ქალკედონიანნი ყოფილან, უნდა დავასკვნათ, რომ ვახტანგ გორგასალი და მისი „სპა“ მონოფიზიტობის მიმდევარნი უნდა ყოფილიყვნენ“ (ჯავახიშვილი, 1979:381). თუმცა ეს მოსაზრება მიუღებელია და ეწინააღმდეგება ქართულ ტრადიციას, მეფე-მღვდელმთავარს შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე არავითარი დაპირისპირება არ ყოფილა და ორივენი მართლმადიდებლები იყვნენ. ვახტანგ მეფე თვით მიქაელ მთავარეპისკოპოსის აღზრდილი იყო: „მაშინ ყოველ-

სა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყვარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა“ (ქ.ცხ. I:146).

ასევე ძველი ქართული ტრადიცია მიქაელ მთავარეპისკოპოსსაც მართლმადიდებლობის დამცველად მიიჩნევს. ჯუანშერი მას „ჭეშმარიტ ეპისკოპოსს“ და „ჭეშმარიტ მღვდელს“ უწოდებს (მამულია, 1992:22). ჯუანშერის მიხედვით, მიქაელ მთავარეპისკოპოსი „რამეთუ ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჭეშმარიტსა“. ზაზა ალექსიძე მიიჩნევს, რომ არავითარი საყრდენი ჯუანშერთან ვახტანგ გორგასლის მონოფიზიტობის სამტკიცებლად არ მოიპოვება და მრწამსის საკითხში მეფესა და ეპისკოპოსს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა“ (ალექსიძე, 1976:102).

ს.ჯანაშიას აზრით, მიქაელ მთავარეპისკოპოსი მონოფიზიტობის, ხოლო ვახტანგ გორგასალი დიოფიზიტობის მომხრე იყო. „თვით ეს მიქაელი როგორც ჩანს მონოფიზიტია, ე.ი. ირანის მთავრობის მფარველობის ქვეშ მყოფი ერთ-ერთი ქრისტიანული სექტის მიმდევარი“ (ჯანაშია, 1949:292). მიქაელ მთავარეპისკოპოსი მონოფიზიტი რომ ყოფილიყო, მაშინ მას ვახტანგ გორგასალი კონსტანტინეპოლის პატრიარქთან არ გააგზავნიდა, რადგან კონსტანტინეპოლის ეკლესია ამ პერიოდში მართლმადიდებლურ მრწამსზე იდგა. „ვან ესბროკის სამართლიანი შეხედულებით, მიქაელის მღვიძარე მამათა მონასტერში აღკვეცის ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ქართლში ამ დროს ისეთივე რელიგიური სიტუაცია სუფევდა, როგორც კონსტანტინეპოლში“ (მამულია. 1992:29). მიქაელ მთავარეპისკოპოსი გაამწესეს აკემიტთა-ანუ (ბერძ.უძინარნი) მონასტერში, რომელიც კონსტანტინეპოლში მდებარეობდა. აკემიტები წმიდა ალექსანდრე კონსტანტინეპოლელის (V საუკუნე) მიმდევრები იყვნენ.აკემიტების მონასტრის განსაკუთრებულება ის იყო რომ სამ სმენად დაყოფილი მონაზვნები მთელი დღისა და ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ აღავლენდნენ წირვა-ლოცვას,საიდანაც წარმოდგა მათი სახელწოდება. (მსოფ.

საეკლ. კრებები.2009:109).

არც „მოქცევაი ქართლისა“ და არც ჯუანშერი არაფერს გვეუბნებიან ქართლში სარწმუნოებრივ დაპირისპირებაზე. XIV საუკუნის „მოქცევაი ქართლისაი“ ჭელიშური ხელნაწერი განსხვავებულ ცნობას გვაწვდის: „იმან (მიქაელმა“ მიამთხვია ფერხი გორგასალსა რომელისა მიზეზისათვის და განაძო ეკლესიისგან. მაშინ მეფე აღივსო გულისწყრომითა მრავლითა და ექცა ფეხი პირისა მისისა და განიზრახვიდა მრავალთა ბოროტთა (და) დამხობად ქრისტიანობისა“ (Такаишвили, 1912:722). ამ ცნობაზე დაყრდნობით მ. თარხნიშვილი მიიჩნევდა, რომ: ვახტანგ მეფესა და მიქაელ ეპისკოპოსს შორის ამტყდარი დავის მიზეზი მათ რელიგიურ მრწამსში უნდა ვეძიოთ, ამიტომ გამორიცხული არ არის ვახტანგი ქართველი მონოფიზიტების საშუალებით დაუკავშირდა პეტრე ფულონს „ანტიოქიის პატრიარქს, რომელმაც საქართველოს საპატრიარქო მონოფიზიტი მღვდელმთავრით გააბედნიერა“ (თარხნიშვილი, 1994:142).

გამოდის, რომ მეფე ვახტანგ გორგასალი და ქართლის პირველი კათოლიკოსი პეტრე მწვალებლები ყოფილან, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქმის ასე გადაწყვეტა მიუღებელია და მკრეხელურიც, რადგან ქართულმა ეკლესიამ წმინდანთა დასში ჯერ კიდევ უძველეს დროში წმინდანად შერაცხა წმიდა კეთილმსახური მეფე ვახტანგ გორგასალი, 2000 წელს კი საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა წმიდანთა დასში შერაცხა ქართლის პირველი კათოლიკოსი პეტრე. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წმიდა მეფე ქრისტიანული თავმდაბლობით პასუხობს თავის დამცირებას და უკავშირდება კონსტანტინეპოლის პატრიარქს, როგორც მართლმადიდებელი და ისე განახორციელებს ამ მნიშვნელოვან რეფორმას. მ. ლორთქიფანიძე ლოგიკურად შენიშნავს, რომ, „ვახტანგ მეფესა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტური სიტუაცია რომ არ ყოფილიყო, მეფე ალბათ მასვე აღაზევებდა

კათალიკოსად“ (ლორთქიფანიძე, 1979:67). მიქაელ მთავარეპისკოპოსმა სავსებით უსაფუძვლოდ ვახტანგ მეფეს ქრისტიანობის დატევება და ცეცხლთაყვანისმცემლობაშიც კი დასდო ბრალი, რისი საფუძველი მას არ ჰქონდა. იბადება კითხვა - რა იყო იმის მიზეზი, რომ ვახტანგ მეფემ მიქაელი კათალიკოსად არ აირჩია?

ამ მიზეზს თვითონ ჯუანშერი გვაუწყებს და გადმოგვცემს, რომ, როგორც კი მიქაელ მთავარეპისკოპოსმა შეიტყო კათალიკოსის ჩამოსვლის ამბავი: „იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად“. თავად ვახტანგ მეფე მიმართავს მიქაელს, რომ იგი „აღეგზნო შურითა ბოროტითა“, შემდეგ კი მას მიმართავს: „რამეთუ შენ ხარ ვითარცა იუდა, ხოლო ეკლესია ვითარცა პეტრე. ვერცხლის მოყუარე ხარ შენ, რამეთუ შენცა მეგუადრუცე ხარ ქრისტესი“ (ქ.ცხ.I:197). შეუძლებელია ვახტანგ მეფეს უსაფუძვლოდ მთავარეპისკოპოსისათვის ასეთი ბრალდებები წაეყენებინა, რადგან იგი მისი გამზრდელი იყო. ქრისტეს მეგვადრუცე იუდა ისკარიოტელი იყო, მას ებარებოდა ის ჩანთა (გუადრუცი), რომელშიც ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად ფულს ინახავდა გლახაკთათვის დასარიგებლად. როგორც აკ. ვარაზაშვილი შენიშნავს: „სხვა წყაროებში მიქაელ მთავარეპისკოპოსის ვერცხლის მოყვარულობის შესახებ“ არაფერია ნათქვამი. თვითონ ჯუანშერი ვარდება წინააღმდეგობაში მიქაელის პიროვნების შეფასებაში, გვაცნობს მას როგორც „ჭეშმარიტ ეპისკოპოსს“, მან მისი წინამორბედის ნაწერი წიგნები „ყოვლისა საცთურებისა“ დაწვა (ვარაზაშვილი, 1990:9).ნოდარ ლომოურის აზრით, - „ვახტანგისა და მიქაელის კომფლიქტი ანარეკლია იმ დაპირისპირებისა, რომელიც ვახტანგსა და ქართლის დიდაზნაურობას შორის მიმდინარეობდა...ე.ი. მიქაელის რეაქციული დიდაზნაურთა მხარეს ყოფნას უნდა გამოეწვია მეფისა და მთავარეპისკოპოსის დაპირისპირება.პეტრეში კი ვახტანგი, როგორც ჩანს, თავის პოლიტიკურ მოკავშირეს ხედავდა. წინასწარ კონტაქტებით ეს კავშირი მომზადებული ჰქონდა და ეკლესიის

კათალიკოსის მეთაურობით ქვეყნის ხელისუფლების ცენტრალიზაციაში თავისი გეგმების მხარდაჭერას ხედავდა“ (ლომოური.2000:139).

მიქაელ მთავარეპისკოპოსი ერთ-ერთ მოქმედ პირად გვევლინება საპოლემიკო ნაწარმოებში „უწყებაი სუბულის ძისა სარგისის-თვის“ და იგი იხსენიება ასევე ღრტილის საეპარქიო კრების აღწერილობაში, რომელსაც ეწოდება „სიტყვისგებაი ეფვთიმე გრძელისაი სოსთენის მიმართ სომეხთა მოძღურისა“ (ჯავახიშვილი I, 1979:378). აღნიშნულ ძეგლში მიქაელ მთავარეპისკოპოსი ამარცხებს პეტრე მკაწვრელს, ანტიოქიის პატრიარქს, რომელიც შემდეგ ქვით „განტვინა უღმრთო იგი“. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე უდავოა მიქაელ მთავარეპისკოპოსის მართლმადიდებლობა და მისი ღვაწლი სარწმუნოების დაცვის საქმეში. ამასთანავე, იგი მეფის აღმზრდელად გვევლინება: „სიყმირთვე დღეთა შეაყვარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართველთა“. გვამცნობს ჯუანშერი. აი, ასეთი ღირსეული პიროვნება, ვახტანგ მეფის მიხედვით, ვარდება ვერცხლისმოყვარეობაში, რომელიც კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, როცა მეფეს მიაყენა შეურაცხყოფა და წიხლი უთავაზა. წმიდა მამათა განმარტებით ვერცხლისმოყვარეობა სასულიერო პირთა ერთ-ერთ საცთურს წარმოადგენს და შესაძლოა, თუკი ვახტანგ მეფის სიტყვებს ვერწმუნებით, მღვდელმთავარი მართლაც ჩავარდა ამ ცოდვაში, რაც გახდებოდა საფუძველი მათ ურთიერთობაში განხეთქილების ჩამოგდებისა. ვახტანგ მეფე ჩამტვრეულ კბილს დესპანების ხელით აგზავნის კონსტანტინეპოლის პატრიარქთან და მას მიანდო ამ საქმის მოგვარება. მიქაელ მთავარეპისკოპოსი, როგორც ჩანს, წარდგა პატრიარქის წინაშე, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა მას: „ვინათგან დაითხია სისხლი შენ მიერ ქვეყანასა ზედა, არღარა ღირს ხარ შენ ეპისკოპოსად, და

კადრებისათვის მეფისა თანაგაც შენ სიკვდილი“. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ასეთი შეფასება მისცა მიქაელ მთავარეპისკოპოსის საქციელს და შემდეგ გაამწესა მღვიძარე მამათა მონასტერში. შემდგომი მისი ბედი ჩვენთვის უცნობია.

როგორც აკ. ვარაზაშვილი შენიშნავს: თითქმის ათასი წლის შემდეგ იქნებ მიქაელ მთავარეპისკოპოსს მოვაშოროთ დაუმსახურებელი სახელი „ვერცხლის მოყვარეობისა“ და დავუმკვიდროთ მას ღირსეული ადგილი.

მართლაც ქართველი ერის უდიდესი მეფის აღმზრდელს და ჭეშმარიტ ეპისკოპოსს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ეკლესიის აღორძინების საქმეში. საინტერესო იქნება მსჯელობა იმაზე, თუ რატომ გაუგზავნა მიქაელ მთავარეპისკოპოსი ვახტანგ მეფემ კონსტანტინეპოლის პატრიარქს. 451 წლის ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების 28 კანონმა აღაზევა კონსტანტინეპოლის კათედრა: „რამეთუ ის იყო სამეფო ქალაქი, ქალაქი, რომელსაც პატივი ერგო ყოფილიყო მეფისა და სენატის ადგილსამყოფელი და ძველ სამეფო ქალაქ რომის თანასწორი უპირატესობა მიეღო“ (მართლმ.ეკლ. კანონები, I:362). აღნიშნული გადაწყვეტილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მცირე აზიაში, პონტოში და თრაკიაში ეპისკოპოსების დადგინებით გამოწვეული იყო უწესრიგობანი და განუწყვეტელი შფოთი, რაც საეკლესიო საქმეებზე არასახარბიელოდ აისახებოდა. კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსის იოანე ოქროპირის მოღვაწეობის დროს, 400, წელს კონსტანტინეპოლში სხვადასხვა ქვეყნიდან 29 ეპისკოპოსმა მოიყარა თავი. ერთი მათგანი მეორეს სიმონიაში სდებდა ბრალს, ზოგი კი საჩივრით მიმართავდა ოქროპირს. არც ერთ კრებას კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსის ზედამხედველობა არ დაუწესებია. საეკლესიო კანონისტი თეოდორ ბალსამონი მე-2 მსოფლიო კრების მე-2 კანონის განხილვისას აღნიშნავს, რომ პროვინციების ყველა მიტროპოლიტი ავტოკეფალური იყო. მეორე მსოფლიო კრების

დადგენილებით: „სამთავროთა ეპისკოპოსები ნუ გაავრცელებენ თავიანთ ხელისუფლებას იმ ეკლესიებზე, რომლებიც მათ სამთავროს საზღვრებს გარეთ არიან განლაგებულნი, რათა ამით არ მოახდინონ ეკლესიების აღრევა (იქვე:220).

იმ ეკლესიების შესახებ, რომლებიც (რომის იმპერიის საზღვრებს გარეთ) ძალიან მცირერიცხოვანნი იყვნენ იმისათვის, რომ ცალკე დიოცეზები შეედგინათ, კრება არაფერს განაჩინებს და მათ მმართველობას ძველებურად ტოვებს: ისინი უნდა დაქვემდებარებოდნენ ცალკეულ დიოცეზურ ეპისკოპოსს ან თავად იმართებოდნენ დამოუკიდებლად ამა თუ იმ ეპისკოპოსისაგან. ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 325 წელს ნიკეაში მე-6 კანონით დადგინდა რომის ეკლესიის უპირატესობა სხვა ეკლესიებთან მიმართებაში, თუმცა ამ წელს, ჯერ კიდევ არ არსებობდა კონსტანტინეპოლის კათედრა. ამიტომ, ბუნებრივია, V საუკუნეში შეიქმნა აუცილებლობა და თვით იმპერატორმა მარკიანემ მიაქცია ყურადღება ამ საქმეს, რათა არ დაცემულიყო დედაქალაქის ეპისკოპოსის პრესტიჟი ორი პაპის მიმართ (ალექსანდრიის და რომისა), როგორც მანამდე ხდებოდა (Карташев, 2002:352). სწორედ ქალკედონის მეოთხე კრების მე-17 სხდომაზე გადაწყდა კონსტანტინეპოლის კათედრის უპირატესობა. კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი იმავე პატივით უნდა სარგებლობდეს, რითაც რომის ეპისკოპოსი და ასევე უნდა ჰქონდეს „პონტოს, ასიისა და თრაკიის დიოცეზების მიტროპოლიტების ქიროტონიის დამოუკიდებელი უფლება“. „ეს სამართლიანი გადაწყვეტილებაა“ - დადაასტურეს ეპისკოპოსებმა, ხოლო რომის პაპის ლეგატები ამ საკითხს არ დაეთანხმნენ (მსოფ. საეკ. კრებები, 2009:195). ამ კანონის მიღება გამოიწვია არა კონსტანტინეპოლის პატრიარქის პატივმოყვარეობამ, არამედ ცოცხალმა მოთხოვნილებამ ბოლო მოეღებოდა ამ უწესრიგობას, ეკლესიას დაცემით რომ ემუქრებოდა.

როგორც ვხედავთ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს უფლებები მეოთხე მსოფლიო კრების 28-ე კანონის მიხედვით ძალზე გაზრდილა. ამიტომ სავსებით ლოგიკურია ვახტანგ მეფის საქციელი. იგი საეკლესიო კანონიკის მიხედვით სწორედ კონსტანტინეპოლში აგზავნის მიქაელ მთავარეპისკოპოსს, რათა მეფე-მღვდელმთავარს შორის ატეხილი დავა, როგორც იმ პერიოდის საეკლესიო სამართალი მოითხოვდა, ისე გადაწყვეტილიყო. თუ როდის მოხდა კონკრეტულად ეს კონფლიქტი მეფე-მღვდელმთავარს შორის, ამის შესახებ თვით ჯუანშერი გვაუწყებს: „და წარმოვიდა ვახტანგ წელსა მერვესა შესვლით მისითგან სპარსეთად ვიდრე ანტიოქიამდე“. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ჯუანშერის ცნობაში ჰუნების წინააღმდეგ პეროზ მეფის მეორე ლაშქრობა უნდა იგულისხმებოდეს და ამ ლაშქრობას 466 წელზე დებდა (ჯავახიშვილი, 1979:385). ჯუანშერი გარკვევით გვაუწყებს, რომ ვახტანგ მეფემ სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ლეონ კეისრის (457-474) დროს „წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა, და პეტრესთვის კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა“. თვითონ კი ქართლში დაბრუნდა, სადაც მას ელოდებოდა მისი ძე დაჩი, სპასალარნი და ეპისკოპოსნი. ქართლში კათალიკოსობის თარიღის დადგენისას მეცნიერთა აზრი კვლავ ორად იყოფა.

ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ კათალიკოსობა ქართლში იმპერატორ ლეონ დიდის მოღვაწეობის წლებში მოხდა, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი 486-488 წლებში მოხდა. პირველ შემთხვევაში მეცნიერები - ივ. ჯავახიშვილი, ბაბილინა ლომინაძე მიიჩნევენ, რომ კათალიკოსობის დაწესება მოხდა ვახტანგის უშუალოდ სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ვახუშტი ბატონიშვილი 473 წელს აჩვენებდა, პლატონ იოსელიანი კი ქართლში კათალიკოსობის დაწესებას გენადი კონსტანტინეპოლელი პატრიარქის ხანას (458-471) უკავშირებდა.

მეცნიერთა მეორე ნაწილი - მ. საბინინი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ვ. გოილაძე ქართლში კათალიკოსობის დაწესებას 486-488 წლებზე დებენ. აღნიშნული თარიღის მიღებისას მეცნიერთა უმეტესობა იზიარებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში მოტანილ ცნობას: „ქართლის მოქცევიდან კათალიკოსობის დაწესებამდე 170 წელი (რ-ო) გასულა“. ვ. გოილაძის შეხედულებით: „ქართლის მოქცევის თარიღად ჩემ მიერ მიღებული 317-318 წელს თუ 170 წელს მივუმატებთ, მაშინ ქართულ წყაროებში შემონახული ცნობის საფუძველზე ქართლში კათალიკოსობის დაწესება 487-488 წლებით უნდა დათარიღდეს“ (გოილაძე, 1991:135). თუმცა ჯუანშერი გარკვევით გვეუბნება „ქართლის ცხოვრებაში“, რომ კათალიკოსობის დაწესება, მეფესა და მღვდელმთავარს შორის მომხდარი კონფლიქტის დამთავრებისთანავე მოხდა: მიქაელ მთავრეპისკოპოსის მღვიძარეთა მონასტერში განწესების შემდეგ, პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიას წარავლინეს, რომლებმაც ანტიოქიაში ჩაიტანეს მეფისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქის წერილები, სადაც განმარტებული იყო, რომ წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის დროს სპარსთა და ბერძენთა შორის შფოთის გამო „მით ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისამებრ სჯულისა: რამეთუ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდარისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა“.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ვგებულობთ, წმიდა ნინოს პერიოდში ბიზანტიისა და სპარსეთის პოლიტიკური დაპირისპირების გამო ქართული ეკლესიის საქმე ვერ გადაწყდა, როგორც ამას საეკლესიო წესები მოითხოვდა. კონსტანტინეპოლიდან ანტიოქიის პატრიარქს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მიზეზად მოახსენეს ზემოთმოყვანილი პოლიტიკური მდგომარეობა „შფოთი ბერძენთა და სპარსელთა შორის“, ხოლო შემდეგ აუწყებენ, რომ მოციქულთა განწესების თანახმად, რადგანაც აღ-

მოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ეკლესიები ანტიოქიის საპატრიარქო საყდარს უნდა ექვემდებარებოდეს, ამიტომაც ქართული ეკლესიაც შენი გავლენის სფეროში უნდა შედიოდესო. ქართული წყარო ზუსტად ასახავს იმ საეკლესიო პოლიტიკას, რომელიც V საუკუნის ბიზანტიაში არსებობდა, კერძოდ, გაძლიერებული ბიზანტიური საპატრიარქოები იერთებდნენ მეზობელ ეკლესიებსა და დიოცეზებს (ჯაფარიძე, 2009:279). ასე რომ, ქართლის ცხოვრება სავსებით რეალურ ამბავს გვაუწყებს და გადმოგვცემს, რომ: „ჯერ კიდევ წმიდა ნინოს დროს მიავლინეს ქართლში ეპისკოპოსი“. ჯუანშერი გარკვევით ამბობს, რომ „ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან“. ჯუანშერი ფაქტიურად ეთანხმება ეფრემ მცირეს ცნობას ქართული ეკლესიის ანტიოქიაზე დაქვემდებარების შესახებ. ანტიოქიის პატრიარქს წერილით ატყობინებენ ვახტანგ მეფის სურვილს: „ეპისკოპოსი იგი, რომელი მათ მიერ დადგინებული იყო, უკუვადგინეთ, და დღეს იცოდეთ ახალნერგად ჭეშმარიტად ქართლი. აწ ორნი ესე მათნი თხოილნი აკურთხენ, სხვანი თორმეტნი, ვინაცა-ვინ შენ გენებოს, იგინი აკურთხენ და ჩვენდა წარმოვიდნენ“ (ქ.ცხ. I:198). ამ ცნობით ვიგებთ, რომ მიქაელ ეპისკოპოსიც ანტიოქიის ეკლესიას დაუდგენია მღვდელმთავრად ქართლში, რომელიც უკან იქნა გაბრუნებული, ქართლის ეკლესიას კი „ახალნერგად ჭეშმარიტად“ მიიჩნევდნენ.

ანტიოქიის პატრიარქს წერილში ეუბნებიან, რომ ვახტანგ მეფის მიერ გაგზავნილი „ორნი თხოილნი“ აკურთხოს, ხოლო სხვა თორმეტი ეპისკოპოსი თავისი სურვილისამებრ აკურთხოს. ამ წერილის საფუძველზე ანტიოქიის პატრიარქმა „აკურთხნა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად“. როგორც არაერთმა მეცნიერმა შენიშნა, კათალიკოსობის დაწესება ქართლში მოხდა მაშინ, როცა ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი და ანტიოქიის პატრიარქი სარწმუნოებით მართლმადი-

დებლები იყვნენ. როდესაც „ქართლის მეფის მიერ კათალიკოსად შერჩეულ კანდიდატს კონსტანტინეპოლიდან ანტიოქიაში აგზავნიან საკურთხებლად და იქ ნაკურთხს შემდეგ კონსტანტინეპოლიდან სათანადო „ნიჭითა და სახმრით“ აღჭურვილს ქართლში ისტუმრებენ“ (ლორთქიფანიძე, 1979:69). ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი ჯუანშერი არ ასახელებს ვინ იყო ანტიოქიის პატრიარქი, ვინაც ქართლის პირველ კათალიკოსს პეტრეს ხელი დაასხა, თუმცა იგი გარკვევით გვეუბნება, რომ ვახტანგ მეფემ ბიზანტიის იმპერატორ ლეონ I-ის მოღვაწეობის დროს (457-474 წწ.) წარავლინა მოციქულები. ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ეს მოხდა ვახტანგ მეფის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც მეფეს უკვე კეისრის ასული ესვა ცოლად. „და წარვიდა ლეონ ბერძენი და სპა მისი შიმშატად, ხოლო ვახტანგ წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესთვის კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა“ (ქ.ცხ. I:196).

ჯუანშერი აღნიშნავს, რომ ქართლის პირველი კათალიკოსი პეტრე ლეონ I იმპერატორის დროს ჩამოიყვანეს, ე.ი. ეს უნდა მომხდარიყო 457-474 წლებში. რატომ საუბრობს ჯუანშერი კათალიკოსის ჩამოყვანაზე, როგორც უკვე გადაწყვეტილ საკითხზე, ამის შესახებ კვლავ „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება, რომ ვახტანგ გორგასალი დედასთან და დასთან ერთად იმყოფებოდა იერუსალიმში: „წარვიდეს ვახტანგ და დედა და დაი მისი იერუსალიმს, და ხოსრო ელოდა ანტიოქიას. შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოიწიეს ყოველნი ადგილნი წმიდანი, და შევედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს ანტიოქიას“. მნიშვნელოვანია, რომ ვახტანგ მეფე ჩადის იერუსალიმში და მოილოცავს წმიდა ადგილებს. საინტერესოა, იერუსალიმსა და ანტიოქიაში ყოფნის დროს ვახტანგ მეფე ხვდება თუ არა იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქებს, ამაზე „ქართლის ცხოვრება“ დუმს.

1877 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ „საქართველოს ეკლესიის ისტორიაში“ მიხეილ საბინინი ამ ფაქტის შესახებ გვაუწყებს, რომ იერუსალიმში ჩასულმა ვახტანგ გორგასალმა მოინახულა იერუსალიმის პატრიარქი, რომელსაც გადასცა საჩუქრები და მისგან გამოითხოვა ადგილი ეკლესიის ასაშენებლად ქართველი მომლოცველებისათვის. იერუსალიმის პატრიარქს დაუკმაყოფილებია ვახტანგ მეფის სურვილი და გადაეცა ადგილი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის ასაშენებლად. იერუსალიმიდან ვახტანგ მეფე ანტიოქიაში დაბრუნებულა, სადაც იგი შეჰხვდა ანტიოქიის პატრიარქს, როგორც მთავარ მმართველს თავისი ეკლესიისა, მიურთმევია მისთვის ძვირფასი საჩუქრები და უსაუბრია მიქაელ მთავარეპისკოპოსის მიერ ქართული ეკლესიის მიმართ მიყენებული ზიანის შესახებ. მეფეს გამოუთქვამს სურვილი, რათა მიქაელის მაგივრად ქართული ეკლესიის მმართველად დადგენილიყო წმიდა გრიგოლ ნაზიაზელის მოწაფე პეტრე. ყველაფერზე თანხმობა განუცხადებია ანტიოქიის პატრიარქს ვახტანგ მეფისათვის. მეფე აღტაცებაში მოუყვანია ანტიოქიის ტაძრებს თავიანთი ბრწყინვალების გამო და მას გადაუწყვეტია, საქართველოშიც აეგო ასეთივე ტაძრები, ხოლო ქართული ეკლესიის მთავარეპისკოპოსი გაეხადა ეკლესიის დამოუკიდებელი მმართველი. ამის შემდეგ ანტიოქიიდან სპარსეთის შაჰი პეროზი და ვახტანგ მეფე ბაღდადში დაბრუნებულან, სადაც პეროზ მეფის ქორწილი ექვსი თვე გაგრძელებულა (Сабининь, 1877:86).

აღნიშნული ცნობა ძალზე საინტერესოა, მ. საბინინი აღნიშნავს, რომ ეს ცნობები სამეგრელოს მთავარ დადიანის მდიდარ ბიბლიოთეკაში მოიპოვა. თუკი ზემოთ მოყვანილი ცნობები რეალურია, მაშინ ავტოკეფალიის მოპოვება, როგორც ავღნიშნეთ, ვახტანგ მეფის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ უნდა მომხდარიყო, მაგრამ, რაც მთავარია, ვახტანგ მეფეს ამ წყაროს მიხედვით მიქაელის გადაყენება და პეტრეს კათალიკოსად აღზევება ანტიოქიის პატ-

რიარქთან შეუთანხმებია.

კირიონ საძაგლიშვილის აზრით კი „458 წლის ახლო პერიოდში კონსტანტინეპოლის პატრიაქმა ანატოლიმ, ვახტანგ გორგასლის თხოვნის საფუძველზე და იმპერატორ ლეონ პირველის თანხმობის შემდეგ,დაადგინა მცხეთაში უნეტარესი პეტრე,რომელიც კათალიკოსის ხარისხში აიყვანა,რომელიც კათალიკოსის ტიტულის მატარებელი იყო“ (Епископ Кирион.1901:2). უნდა აღინიშნოს, რომ 458 წელს ქართლში კათალიკოსის დადგენა ძალიან საეჭვოა, თუმცა აღსანიშნავია რომ ეპისკოპოსი კირიონიც კათალიკოსობის დაწესებას იმპერატორ ლეონ პირველის მეფობის პერიოდს უკავშირებდა.

ვახტანგ მეფის იერუსალიმში ვიზიტის შესახებ შესაძლოა მიგვანიშნებდეს ვახტანგ მეფის ფრესკა, რომელიც იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტერში XIX საუკუნის ბოლომდე არსებობდა. 1881 წელს წმიდა მიწაზე იმყოფებოდა ალექსანდრე ცაგარელი, რომელსაც ქაღალდზე გადმოუღია ქართველ მეფეთა ფრესკები: „ჯვრის მონასტრის შესასვლელის მარცხენა მხარეს დიდ ნავზე გამოსახული არის სამი ქართველი მეფე ერთმანეთის გვერდიგვერდ: პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის, ვახტანგ გორგასლისა და ბაგრატ IV კურაპალატის“ (Прав. Пал. сборник, 1888, IV:104). მიგვაჩნია, რომ დასახელებული მეფეები თავიანთი დიდი დამსახურების გამო გამოსახეს ჯვრის მონასტერში, ვახტანგ მეფის ფრესკა ჯვრის მონასტერში ისტორიულ რეალობას გადმოგვცემს და შესაბამისობაშია ჯუანშერის ცნობებთან. საინტერესოა, ვინ იჯდა ლეონ I-ის მმართველობის დროს ანტიოქიის საპატრიარქო ტახტზე? 456-468 წლებში ანტიოქიის საპატრიარქო ტახტი ეკავა მარტვირი (მარტირიუსი) ანტიოქიელს.

„ქართლის ცხოვრებაში“ კონსტანტინეპოლის დასახელებული პატრიარქი, ვისაც ლეონ I-ის დროს ეკავა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ტახტი, იყო წმიდა გენადი კონსტანტინეპოლელი (458-

471 წწ.), რომელიც იყო მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი. ლოგიკურია ის მოსაზრება, რომელსაც მიიჩნევდა ბ. ლომინაძე, კონსტანტინეპოლისა პატრიარქისა და იმპერატორის ლეონ დიდის დავალებით, ანტიოქიის პატრიარქი აკურთხებს თორმეტ ეპისკოპოსს და პეტრეს კათალიკოსად. ავტოკეფალიის რომელიმე ეკლესიისათვის მინიჭება ხდებოდა იმპერატორისა და მსოფლიო პატრიარქთა თანხმობით, რათა მას არ გამოეწვია კათოლიკე ეკლესიის გათიშვა, მთავარი როლი ამ აქტში კონსტანტინეპოლის პატრიარქს ჰქონდა, როგორც მსოფლიო პატრიარქს, მაგრამ პირველი სიტყვა იმ ეკლესიას ეკუთვნოდა, რომლის იურისდიქციაშიც ავტოკეფალიის მაძიებელი ეკლესია შედიოდა. (ლომინაძე,1999:26). სწორედ ასეთივე თანმიმდევრობით ახორციელებს და სავსებით კანონიკურად მოიპოვებს ქართული ეკლესია დამოუკიდებლობას,ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესიის პირველმა მეთაურმა, ხელდასხმა მიიღო მართლმადიდებელი პატრიარქისაგან, ვინაიდან წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალიც და ქართული ეკლესიაც მართლმადიდებლურ პრინციპებზე იდგნენ.

დასახელებული ეკლესიის პატრიარქები მართლმადიდებლები იყვნენ და შეუძლებელია მათ არ გაეთვალისწინებინათ გაძლიერებული ქართული სახელმწიფოს მმართველის თხოვნა, რათა ქართული ეკლესიაც ყოფილიყო დამოუკიდებელი ეკლესია და მას კათალიკოსი ჰყოლოდა სათავეში. აღნიშნულ მოსაზრებას ორი საკითხი ეწინააღმდეგება და შეუძლებელია მათზე ყურადღება არ გამახვილდეს. ავტოკეფალიის საკითხის გარკვევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებს. ამავე წყაროშიც ვახტანგ გორგასლის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ მეფე-მღვდელმთავარს შორის მომხდარ დაპირისპირებაზეა საუბარი. თუმცა რა მიზეზით დაუპირისპირდა მთავარეპისკოპოსი მეფეს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ დუმს და „რომლისათვის მიზეზისათვის“ მიამთხვია მეფეს ფეხი ეპისკოპოსმა. ამის შემდეგ

მეფემ მალევე წარავლინა მოციქულები ბიზანტიაში და მეფისაგან და პატრიარქისაგან ითხოვა კათალიკოზი. ეს ცნობები თითქმის იდენტურია ჯუანშერის ცნობებისა. მაგრამ „მოქცევაჲ ქართლსაჲ“ ძალზე მოკლედ გადმოგვცემს აღნიშნულ ამბავს: „და მოსცეს კათალიკოზი პეტრე, და თანა ჰყვანდა სამუელი, მონაზონი კაცი წმიდაჲ და ღირსი. და აღაშენა ქუემოი ეკლესია ვახტანგ მეფემან და დასუა მუნ შიგან პეტრე კათალიკოზი. და ესე იყო ქართლისა მოქცევითგან ას სამეოც და მეათესა წელსა. მაშინ გარდაცვალებულ იყვნეს მეფენი ათნი და კათალიკოზნი ცამეტნი. აქათგან იწყეს კათალიკოზთა მამამთავრობად. პირველი კათალიკოზი იყო პეტრე ვახტანგ მეფისაზე“ (მოქცევაი ქართლისაი. 1964:93). ამ საკითხზე „მოქცევაი ქართლისაის“ სინური რედაქცია გადმოგვცემს: „მაშინ წარიყვანეს ვახტანგ გორგასარი სპარსთა და შემდგომად რავდენისამე ჟამსა მოიქცა. და მთავარეპისკოპოსი იყო მიქაელ ამან მიამთხვა ფერხი ვახტანგ გორგასარსა და განაძო ეკლესიისაგან. ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთსა და ითხოა მეფისაგან და პატრიარქისა კათალიკოზი. და მოსცეს კათალიკოზი პეტრე“(მოქცევაი ქართლისაი.2007:17). „მოქცევაის“ სინური რედაქციაც კათალიკოს პეტრეს ჩამოყვანას მეფე-მღვდელმთავარს შორის მომხდარ კონფლიქტს უკავშირებს და, რაც მთავარია, ვახტანგ მეფის თხოვნა დააკმაყოფილეს „ითხოა მეფისაგან და პატრიარქისა კათალიკოზი. და მოსცეს კათალიკოზი პეტრე“. უდაოა, რომ კათალიკოსის ჩამოყვანა მიქაელ მთავარეპისკოპოსის გაძევებისთანავე მოხდა. ისტორიკოსმა ზაზა ალექსიძემ „მოქცევაის“ სამივე რედაქციის სიები შეადარა ერთმანეთს (შატბერდული, ჭელიშური და სინური sin 50, sin48) და დაასკვნა, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ ოთხი სხვადასხვა რედაქცია არსებითად იდენტურ სურათს უჩვენებს, რაც მისი სისწორის ალბათობას ზრდის (ალექსიძე.2006:175). ყოველივე ეს სრულ საფუძველს გვაძლევს, რომ „მოქცევაის“ ცნობებს დამაჯერებლობით მოვეკიდოთ და გან-

ვსაზღვროთ ავტოკეფალიის დაწესების მიახლოებითი თარიღი.

ორივე ქართული წყარო გარკვევით გადმოგვცემს, რომ პეტრე კათალიკოსი ბიზანტიის იმპერატორისა და კონსტანტინეპოლის პატრიანქთან შეთანხმებით აკურთხეს კათალიკოსად. ვ. გოილაძე მართებულად შენიშნავს, რომ თუკი ქართლის მოქცევა 317 წელს მოხდა და ამის შემდეგ 170 წელი გავიდა, მაშინ ლოგიკურია, რომ ქართული ეკლესიის მეთაურის კურთხევა 487-488 წელს მოხდა (გოილაძე, 1991:136), მაგრამ საქმის ასეთი გადაწყვეტა პირველ რიგში ეწინააღმდეგება თვით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს. რადგან ქართული ეკლესიის მეთაურის ხელდასხმა ვახტანგ მეფის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ მოხდა, იმპერატორ ლეონ I-ის მოღვაწეობის დროს 457-474 წლებში, მაშინ, როცა კათალიკოსად საკურთხებელი პიროვნება პეტრე, კონსტანტინეპოლის პატრიარქი და ანტიოქიის პატრიარქი, ვახტანგ მეფე და იმპერატორი ლეონ I ყველანი მართლმადიდებლები იყვნენ.

მაშინ, როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ვახტანგ მეფის მიერ გადაყენებული მიქაელ მთავარეპისკოპოსი სპარსეთიდან მეფის დაბრუნების შემდეგ 466-468 წლებში იქნა გადაყენებული თანამდებობიდან, 488 წლამდე ვინ მართავდა საქართველოს ეკლესიას? ნაკლებ სავარაუდოა, რომ მთელი 20 წლის განმავლობაში ქართული ეკლესია უმეთაუროდ დარჩენილიყო, ან ორი ათეული წელი დალოდებოდნენ ანტიოქიიდან პეტრეს ჩამოსვლას. თუმცა მთავარი წინააღმდეგობა მოდის იმაზე, თუ ვისგან მიიღო ხელდასხმა ქართული ეკლესიის პირველმა მეთაურმა. ამის შესახებ XII საუკუნის ცნობილი საეკლესიო კანონისტი თეოდორ ბალსამონი კონსტანტინეპოლის II მსოფლიო საეკლესიო კანონის განმარტებისას საუბრობს. ვ. გოილაძემ თავის ცნობილ ნაშრომში განიხილა II მსოფლიო საეკლესიო კრების ლათინურიდან და ბერძნულიდან რუსულად ნათარგმნი ვარიანტები: ლათინური ვარიანტი

პირველად ჯერ კიდევ პ. იოსელიანს გამოუქვეყნებია 1845 წელს, შემდეგ მ. ბროსემ გამოაქვეყნა ფრანგულად, შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ქართულად, 2007 წელს კი ქართულად გამოიცა ნიკოდიმ მილაშის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონების განმარტებები. აღნიშნულ ვარიანტებს შორის არსებობს განსხვავებები:

1. პლატონ იოსელიანის თარგმანი: „ამბობენ, რომ ანტიოქიის უწმიდესი პატრიარქის, მეუფე პეტრეს დროს კრებამ დაადგინა იბერიის ეკლესია თავისუფალი და ავტოკეფალური იყოს, მაგრამ ანტიოქიის პატრიარქის ქვეშ“ (Иоселиани, 1843:35).

2. ივანე ჯავახიშვილს მ. ბროსეს ვარიანტი აქვს ნათარგმნი: „ამბობენ, რომ ანტიოქიის უწმიდესი პატრიარქის, მეუფე პეტრეს დროს კრებამ დაადგინა იბერიის ეკლესია თავისუფალი და ავტოკეფალური იყოს, მაგრამ ანტიოქიის პატრიარქის ქვეშ.“ (ჯავახიშვილი, 1979:384).

3. ბერძნული ვარიანტის რუსული თარგმანი: „ნუ გაიკვირვებ თუ სხვა ეკლესიებსაც იპოვი ავტოკეფალურად, როგორც ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და იბერიისას. იბერიის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც ღვთაებრივი ქალაქის დიდი ანტიოქიის უწმინდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე, გამოტანილ იქმნა კრების დადგენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს“ (გოილაძე, 1991).

4. ნიკოდიმ მილაშის საეკლესიო კრების ქართული თარგმანი: „არ მოგვეჩვენოს უცნაურად, როცა ვხედავთ სხვა დამოუკიდებელ (ავტოკეფალურ) ეკლესიებსაც ისეთებს, როგორიცაა: ბულგარეთის, კვიპროსის, ივერიის“ (მართლმ. ეკლ. კანონები I, 2007:277). ვ. გოილაძემ მიიჩნია,რომ ბერძნული ვარიანტი დედნიდან უნდა მომდინარეობდეს. მის რუსულ თარგმანში, სადაც „ანტიოქიის

პატრიარქის ქვეშ“ დამოკიდებლობაზე არაფერია ნათქვამი. ყველაზე დიდ ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ თეოდორ ბალსამონი, ცნობილი საეკლესიო კანონისტი და შემდგომში ანტიოქიის პატრიარქი (1186-1203) გვაუწყებს: „ამბობენ რომ“ არც საეკლესიო სამართალში და არც წმიდა ისტორიულ ცნობად ამ სიტყვას სრულად სარწმუნოდ ვერ მივიჩნევთ. თითქოს ბალსამონი რაღაც ძველ გაგონილ ამბავზე საუბრობს, სადაც გარკვევით ვერ გვეუბნება ვინ იყო პეტრე ანტიოქიელი? ვ. გოილაძის აზრით ეს იყო პეტრე I ფულონი, იგივე მკაწვრელი, იგივე კნაფეა. პეტრე ფალონი ცნობილი მონოფიზიტი, ახალგაზრდობაში მაუდის მთელავი ყოფილა. V საუკუნის შუა ხანებში იგი კონსტანტინეპოლში მოღვაწეობდა, სადაც მომავალმა ბერმა „სამწიდაოს“ საგალობელს დაუმატა მწვალებლური მოძღვრება „რომელი ჯვარ ეცვი ჩვენთვის“. მონოფიზიტური მწვალებლური მოძღვრების გამო იგი მალე გააძევეს კონსტანტინეპოლიდან. 471 წელს რამდენიმე თვე პეტრე ფულონი ახერხებს და ანტიოქიის საპატრიარქო ტახტიდან აძევებს მარტირიუსს და თავად იკავებს საპატრიარქო ტახტს, თუმცა რამდენიმე თვეში ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე იგი განკვეთეს და გააძევეს ანტიოქიიდან.

ეს იყო პეტრე ფულონის პირველი ასვლა ტახტზე, რომელიც რამდენიმე თვე გაგრძელდა და შეუძლებელი იყო ამ მოკლე დროში ხელი დაესხა ქართლის ეკლესიის მეთაურისათვის. ზ.ალექსიძე შენიშნავს, რომ: „ამ თავგამოდებულ მონოფიზიტს მკაცრი სასჯელი ელოდა, მაგრამ ბოლო წუთს „მღვიძარეთა“ მონასტერში გამოკეტვით შეუცვალეს.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად მარი ბროსემ გამოთქვა ვარაუდი 1849 წელს ბალსამონის მიერ დასახელებული პატრიარქ პეტრეს შესახებ: „მიმაჩნია, რომ ხელდასხმა აღასრულა პეტრე კნაფეამ 471 წელს. ბალსამონი აღნიშნავს, რომ იბერიის ეკლესია უნდა ყოფილიყო თავისუფალი და ავტოკეფალური ანტიოქი-

ის პატრიარქის დროს. რაკი ანტიოქიაში არ იყო პეტრეს სახელის მქონე პიროვნება ამ პერიოდში, ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ კათალიკოსობა საქართველოში 475-488 წლებში პეტრე ფულონის დროს დაწესდა“ (Brosset, 1849:192-193). მარი ბროსეს ვარაუდი დაფუძნებულია ბალსამონის ცნობაზე, თუმცა სერიოზული არგუმენტი აღნიშნულის მტკიცებისათვის არ არსებობს. მ. თამარაშვილმა გაიზიარა ბროსეს მოსაზრება პეტრე ფულონის მიერ ქართლის პირველი კათალიკოსის კურთხევის შესახებ: „ამბობენ, რომ ანტიოქიის დიდი ქალაქის უწმიდესი პატრიარქის უფალ პეტრეს (ფულონის 471) დროს მიუღიათ სინოდალური დადგენილება, რომლის მიხედვითაც იბერიის ეკლესია თავისუფალი და ავტოკეფალური უნდა ყოფილიყო, თუმცა იგი ანტიოქიის პატრიარქის მფარველობაში რჩებოდა“ (თამარაშვილი, 1995:248). როგორც ავღნიშნეთ, 471 წელს პეტრე ფულონის პატრიარქობის რამდენიმე თვიანი დროის შუალედში გამორიცხულია პეტრე ფულონის მიერ ქართლის კათალიკოსის კურთხევა, ამასთანავე ამ პერიოდში, კონსტანტინეპოლის პატრიარქის ტახტი ეკავა წმიდა გენადი კონსტანტინეპოლელს. შესაბამისად, კათალიკოსად საკურთხებელ კანდიდატს მწვალებელ პატრიარქთან ანტიოქიაში არავითარ შემთხვევაში არ გააგზავნიდა. ამის გათვალისწინებით მ. ბროსესა და მ. თამარაშვილის ვარაუდი არასწორად უნდა ჩაითვალოს. სარგის კაკაბაძის აზრით: ანტიოქიაში დადგენილება ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მიცემის შესახებ მიღებულ იქნა 474-475 წლის ახლო. ალბათ საჭირო შეიქმნა საკითხის შეთანხმება სხვა პატრიარქებთან, უპირველეს ყოვლისა კონსტანტინეპოლის მსოფლი პატრიარქთან. ავტოკეფალიის საბოლოო გაფორმება და მისი განხორციელება მოხდა 475-476 წელს (კაკაბაძე,1994:326).

475 წელს ბიზანტიის იმპერატორის ტახტი მცირე ხნით ხელში ჩაიგდო უზურპატორმა ბასილისკმა. ამის გამო პეტრე ფულონ-

მა შეძლო, მეორედ ასულიყო ანტიოქიის საპატრიარქო ტახტზე (ალექსიძე 1976:105), მეორედ პეტრე ფულონს 475 წლის იანვრიდან 476 წლის აგვისტომდე ეკავა პატრიარქის თანამდებობა, ხოლო მესამედ - 485-488 წლებში.

მ. ლორთქიფანიძე ეჭვის ქვეშ აყენებს პეტრე ფულონის მეორედ პატრიარქობის პერიოდში კათალიკოსად პეტრეს კურთხევას: „რეორგანიზაცია მაინცდამაინც ამ მოკლე ხანში არ მომხდარა (475, I-476, VIII), რის მიმართ ეჭვი ჩვენც მართებულად გვეჩვენება“ (ლორთქიფანიძე, 1979:70). 485 წელს პეტრე ფულონი გაასამართლეს რომის ეკლესიის ერთ-ერთ კრებაზე და დაგმეს მისი მოძღვრება. ძალზე სერიოზულ ეჭვს იწვევს, პეტრე ფულონს თავის მესამედ პატრიარქობის პერიოდში დაესხა ხელი ქართლის კათალიკოსისათვის. „იმ სავარაუდო 12 წლიდან, რომლის მანძილზეც შეიძლებოდა ანტიოქიაში ხელდასახმელი პირები გაეგზავნათ, ათ წელზე მეტი ქალკედონიტ პატრიარქების ზეობაზე მოდის, ხოლო მონოფიზიტ მკაწვრელ პატრიარქს სულ დიდი წელიწადნახევარი რჩება. ვახტანგ გორგასალი მონოფიზიტი რომ ყოფილიყო, ამ ხნის მანძილზე უნდა მოესწრო არა მარტო ანტიოქიის საყდარზე მონოფიზიტი პატრიარქის ასვლის შეტყობა, არამედ ხელდასასხმელი იერარქების გაგზავნაც. თავისთავად ინფორმაციის გავრცელებისა და მიმოსვლის მაშინდელი საშუალებების გათვალისწინებით ასეთი ვარაუდი სერიოზულ ეჭვს იწვევს“ (ალექსიძე, 1976:106).

როგორც ავღნიშნეთ, ქართლის ეკლესიის მეთაურის კურთხევის საკითხის გარკვევისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს, კონსტანტინეპოლის პატრიარქისა და ანტიოქიის პატრიარქის სარწმუნოებრივ მიმართულებას. თუკი „ქართლის ცხოვრება“ ასახელებს ლეონ I-ს, რომელიც მართლმადიდებელი იყო, მაშინ გამოდის, რომ მისი თანამედროვეები კონსტანტინეპოლის პატრიარქი წმ. გენადი (458-471) და ანტიოქიის პატრიარქი მარტირიუსი (456-468), ორივე პატრიარქი მართლმადიდებლობის მტკიცე

დამცველები იყვნენ. ამიტომ შეუძლებელია, კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელ პატრიარქს, კათალიკოსად საკურთხებელი კანდიდატი ანტიოქიის მონოფიზიტ პატრიარქთან გაეგზავნა. საეკლესიო კანონებით ასეთი ფაქტი დაუშვებელია და მსგავსი შემთხვევა არ არსებობს ეკლესიის ისტორიაში.

თედო ჟორდანია ერთ განსხვავებულ ცნობას გვაწვდის, რომელიც მან ამოიღო წიგნიდან „Иерархия всероссийской церкви". 488 წლის ახლოს, ანტიოქიის პატრიარქი, ვინც პეტრე კათალიკოსის პატივში აიყვანა, იყო ანტიოქიის პატრიარქი პალადი" (Жордания, 1905:2). საიდან მოიპოვა ეს ცნობა რუსული საეკლესიო იერარქიის ავტორმა, უცნობია. გ. როგავა კი ამ საკითხთან დაკავშირებით გვაუწყებს: „რამდენადაც პეტრე ჯერ კიდევ არ იყო ჩასული ანტიოქიაში, ხოლო ფულონი მალე გარდაიცვალა, პეტრეს ხელდასხმა მოხდა პატრიარქ პალადის მიერ" (როგავა, 1996:31). თუკი დავუშვებთ ალბათობას, რომ პეტრეს კათალიკოსად დასმა 488 წლის ახლო ხანებში მოხდა, საკითხი მაინც სერიოზული ეჭვის ქვეშ დგას, რადგან ამ დროს კონსტანტინეპოლის პატრიარქის ტახტი პატრიარქ აკაკის (472-489) ეკავა. იგი იყო მართლმადიდებლობის აქტიური დამცველი, ამიტომ შეუძლებელია პატრიარქ აკაკის კათალიკოსად ხელდასასხმელი პიროვნება ანტიოქიის მწვალებელ პატრიარქთან გაეგზავნა. ამასთანავე, პეტრე ფულონიცა და პატრიარქი პალადიც მონოფიზიტები იყვნენ და მათ მიერ პეტრეს კათალიკოსად ხელდასხმა სერიოზულ ეჭვს იწვევს. ასეთივე შეფასებას აძლევს ამ ფაქტს ზ. ალექსიძე, კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის პატრიარქებს შორის სრული თანხმობა და კეთილი ურთიერთობა სუფევს, რაც 472-489 წლებში შესაძლებელია მხოლოდ ქალკედონიტობის ნიადაგზე. კონსტანტინეპოლის პატრიარქი აკაკიუსი, რომელმაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია უზურპატორ ბასილისკის და მისი ჩამოგდების ერთ-ერთი ინიციატორიც გახდა. აკაკიუსმა არა მარტო მიაღწია პეტრე ანტიოქი-

ელის ტახტიდან გადაყენებას, არამედ მასთან ურთიერთობა თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდშიც არ აღუდგენია (ალექსიძე, 1976:106). ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი პატრიარქის აკაკის მოღვაწეობის წლებში 472-489 წლებში, ვერ მოხდებოდა პეტრეს საკურთხებლად გაგზავნა ანტიოქიაში, მაგრამ თუკი ასეთი ფაქტი მართლაც მოხდა, მოხდებოდა იმ შემთხვევაში, როცა ანტიოქიის საპატრიარქო ტახტზე მართლმადიდებელი პატრიარქი იჯდა.

პლატონ იოსელიანი თავის „საეკლესიო ისტორიაში“ გადმოგვცემს, რომ კონსტანტინეპოლში ჩასული ქართლის მთავარეპისკოპოსი მიქაელი, გაასამართლა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა წმიდა გენადიმ და გააგზავნა მღვიძარე მამათა მონასტერში. მიქაელ მთავარეპისკოპოსის ნაცვლად საქართველოში გააგზავნეს კათალიკოსი პეტრე, რომელსაც მიუღია შემდეგი ტიტული: „სრულიად საქართველოს კათალიკოსი“ და ყველა უფლება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლად მართვისა (Иоселиани, 1843:35). თუკი ეს ცნობა რეალურია, მაშინ გამოდის, რომ კათალიკოს პეტრეს ხელდასხმა კონსტანტინეპოლის პატრიარქ გენადის მოღვაწეობის (458-471) წლებში მომხდარა, ამიტომ ჯუანშერის ცნობა სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება.

მართლმადიდებლობის დამცველი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი გენადი მღვიძარე მამათა მონასტერში ამწესებს მიქაელ მთავარეპისკოპოსს, მაგრამ ამ ცნობაში არ ჩანს, გააგზავნა თუ არა ანტიოქიაში კათალიკოსად საკურთხებელი პეტრე, თუ თვითონ დაასხა ხელი კათალიკოსად. თუკი პეტრე მართლაც იქნა გაგზავნილი ანტიოქიაში გენადი კონსტანტინეპოლელის მოღვაწეობის პერიოდში, მაშინ იგი შესაძლოა კათალიკოსად აკურთხა ანტიოქიის მართლმადიდებელმა პატრიარქმა მარტირიუსმა (456-468). ასეთ შემთხვევაში ყველა გაუგებრობა იხსნება და ბ. ლომინაძის

დადგენილი კათალიკოსობის დაწესების თარიღი რეალური გამოდის. მაგრამ სავსებით გადაწყვეტილად ამ ვერსიის მტკიცება მაინც გაძნელდება, რადგან, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენენ აღნიშნულ საკითხს.

ძნელი წარმოსადგენია, თეოდორ ბალსამონის მიერ მოხსენიებული „ანტიოქიის უწმიდესი პატრიარქი მეუფე პეტრე“, ან „ანტიოქიის უწმინდესი პატრიარქი უფალი პეტრე“, იყოს ანტიოქიის მონოფიზიტი პატრიარქი პეტრე ფულონი. XII საუკუნეში მოღვაწე ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქი თ. ბალსამონი, რომელიც საეკლესიო კანონების ბრწყინვალე მცოდნე იყო, მისგან ძალზე გასაკვირია, რატომ უწოდებს მონოფიზიტ, მწვალებელ პატრიარქს: „უწმიდესი პატრიარქი უფალი პეტრე“. ეს ეჭვი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გამოთქვა დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ. ეჭვის საფუძველი ნამდვილად არსებობს და ანტიოქიის პატრიარქი პეტრე ფულონი, ქართულ სინამდვილეში მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლ პიროვნებად არის წარმოდგენილი, ამავე საკითხს უკავშირდება ქართლში ვიღაც პეტრე ანტიოქიელის ჩაქოლვის ამბავი. ბერძნებმა მას ზედმეტსახელად „მგელი“ შეარქვეს, რადგან პეტრე ფულონი ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებას გამოქცევია.

ძველი ქართული წყარო ასე აფასებს პეტრე ფულონის პიროვნებას: „მოძღვრებასა უსჯულოსა პეტროს მკაწვრალისასა, რომელი იღებვიდა წუერსა ოქროჲთა, რომელი აღვიდოდა საყდარსა ცა ზედა ანტიოქიელთა, წმიდა მამათა მიერ შეიჩვენა და განიკვეთა საყდრისაგან თვისისა და განიდევნა და მიერ მოიწია სომხითად... და მოუწოდა მან ნეტარსა მიქაელს კათალიკოზს ქართლისასა, რათა ანუ სჯულსა მისსა ეზიაროს ხოლო ღვთივ განხმობილმან მიქაელ უპყრა სახელსა და შთამოიზიდნა ძლიერად და შთამოითრია და ქუეყნად დააკუეთა და სცა ქვითა მით, რომელ აქუნდა ქუდსა მას

შინა მისსა განტვინა უღმრთო.“ (Меллкисет-Вековь,1917:93-95). ამ ცნობით მიქაელი მართლმადიდებლობის დამცველად, პეტრე ფულონი კი მწვალებლად არის წარმოდგენილი, როგორც მელქისეთ-ბეგი შენიშნავდა: პეტრე მკაწვრელზე გადმოცემა თაობიდან თაობებს გადაეცემოდა საქართველოში და პეტრე მკაწვრელის მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის უარყოფითი იყო, როგორც მწვალებლისა. ამის საფუძველზე წარმოუდგენელია, რომ იგი ქართლის პირველი კათალიკოსის მაკურთხებელი პატრიარქი იყოს.მეცნიერის აზრით, მიქაელ მთავარეპისკოპოსს ტახტი 449-472 წლებში ეკავა, აღნიშნული დათარიღება რეალობას მიახლოებულია და ჩვენც ვიზიარებთ.

კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა პეტრე ფულონის მიერ ქართლის კათალიკოსის კურთხევას დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე: „პეტრე ფულონი იყო ერეტიკოსი და ბალსამონის „ბატონი პეტრე“ ეს პეტრე არ არის, არამედ ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III-ა (1052-1062). პეტრე კნაფეას არ მიუცია ავტოკეფალია ქართული ეკლესიისათვის, ეს სავსებით ცხადია, რომ ქართული ეკლესია V საუკუნის შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს. ქართულ ეკლესიაში ანტიოქიიდან ინიშნებოდა პატრიარქი მღვდელმოწამე ანასტასის მოღვაწეობამდე 598-610“ (цинцадзе, 1905:18). ჩვენ სავსებით ვიზიარებთ კ. ცინცაძის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ერეტიკოსი და მწვალებელი ანტიოქიის პატრიარქი პეტრე არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქართული ეკლესიის პირველი მეთაურის მაკურთხებელი, რადგან, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ კათალიკოსად საკურთხებელი კანდიდატი პეტრე, ვახტანგ გორგასალი და კონსტანტინეპოლის პატრიარქი ყველანი მართლმადიდებლები იყვნენ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეუძლებელია, კონსტანტინეპოლის პატრიარქ აკაკის, ანტიოქიაში პეტრე ფულონთან

გაეგზავნა საკურთხებლად პეტრე, ქართლის პირველი კათალიკოსი. მართებულად შენიშნავს კ. კეკელიძე, რომ პირველი იერარქი იბერიაში ბიზანტიის კეისარმა გამოგზავნა IV საუკუნეში. ვინაიდან ერთ-ერთი მოტივი მირიანის მოქცევისა იყო ბიზანტიასთან კულტურულ-პოლიტიკური კავშირის განმტკიცება და გაძლიერება ქრისტიანობის თვალსაზრისით (კეკელიძე, 1957:328). ასევე მოხდა V საუკუნეში, როგორც ამას მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, კათალიკოსობის დაწესება მოხდა მაშინ, როცა ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი და ანტიოქიის პატრიარქი იყვნენ ერთ სარწმუნოებრივ მიმდინარეობაზე და მათთან შეთანხმებით მოქმედებდა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი.

. 485-488 წლებში პეტრეს კათალიკოსად კურთხევას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ეწინააღმდეგება.

კათალიკოსობის დაწესების თარიღის განსაზღვრისას, ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ იმსჯელეს „შუშანიკის წამებაში“ მოხსენიებულ „თავი იგი ეპისკოპოსთაის“ შესახებ. ორივე მეცნიერმა ლოგიკურად მიიჩნია, რომ „თავი იგი ეპისკოპოსთაი,“ „მთავარეპისკოპოზსს“ ნიშნავს და არა კათალიკოზს. „შუშანიკის წამების“ ტექსტიდან შემდეგი სიტყვები მართლაც ასე უნდა აიხსნას: „მოიწია თავი იგი ეპისკოპოსთაჲ სამოელ და იოვანე ეპისკოპოსი“ (ქართული მწერლობა, 1:241). მ. საბინინი თავის ნაშრომში „საქართველოს სამოთხე“ აღნიშნულ აბზაცს ბევრად განსხვავებულად წარმოგვიდგენს: „მოვიდა თავი იგი ეპისკოპოზთა სამოელ პირველი, კათალიკოზი და იოანე ეპისკოპოსი“ (საბინინი, 1882:191). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მ. საბინინი საუბრობს კათალიკოსზე, თუმცა სამოელს იგი „თავი იგი ეპისკოპოსთაის“ და ამასთანავე პირველს უწოდებს. თუკი 475 წელს, შუშანიკ დედოფლის მოწამეობრივი აღსასრულის წინ, კათალიკოზი არსებობს, მაშინ გამოდის, რომ კათალიკოსობის დაწესება 475 წლამდე მომხდარა. არსებობს „შუშანიკის წამების“ რამდენიმე რედაქცია:

ქართული და სომხური ვარიანტები, ი. აბულაძემ დაადგინა, რომ მ. საბინინს უნდა ესარგებლა H ფონდის №2121 ხელნაწერით, ჩვენამდე მოღწეულია ასევე ორი ნუსხით: - ერთი X საუკუნის შატბერდის კრებულში მოთავსებული და მეორე XIV-XV საუკუნის ჭელიშური ნუსხა, თუმცა ზოგი ცნობა ემთხვევა „შუშანიკის წამების“ ცნობებს, ზოგი კი განსხვავდება მათგან (ჯანაშია, 1988:9:70). თუკი „შუშანიკის წამებაში“ სიტყვა კათალიკოსი გვიანდელ პერიოდში გადაწერის დროს ჩამატებული არ არის, მაშინ უდავოა, რომ 475 წლისათვის ქართლში კათალიკოსის ინსტიტუტი უკვე არსებობს. მ. საბინინი თავის წინასიტყვაობაში გვაუწყებს, რომ „საქართველოს სამოთხის“ მასალები შეკრიბა საქართველოს სხვადასხვა მონასტრებში, ასევე პეტერბურგის, მოსკოვის და რუმიანცევის ხელნაწერთა ფონდებში და ნაწილი მასალებისა შეუკრებია ქართველ ბატონიშვილებთან: „რომელთაგან აღმოვიღე და შეუცვლელად დავბეჭდე“. ამ საკითხთან დაკავშირებით ექვთიმე თაყაიშვილი შენიშნავდა: „საბინინის გამოცემის „პირველი კათალიკოზი“ ნაგვიანევათ ჩამატებული გლოსაა და, როგორც აგეთი, პირველი კათალიკოსის ვინაობის გამოსარკვევად ვერ გამოდგება“ (თაყაიშვილი,1913:82).

ავტოკეფალიის საკითხზე იმსჯელა ცნობილმა მეცნიერმა თ. ჟორდანიამ, რომელმაც ძალზე განსხვავებული ფაქტები წარმოადგინა.

თედო ჟორდანია მიიჩნევდა, რომ ქართულ ეკლესიაში კათალიკოსობა დაწესდა 460 წლის ახლო ხანებში, ვახტანგ გორგასლის მეფობის და იმპერატორ ლეონ დიდის მოღვაწეობის დროს. ჟორდანია იმოწმებს 1892 წელს მოსკოვში გამოცემულ ნ. დურნოვოს ნაშრომს „Иерархиа Русскои церкви“, რომელშიც შემდეგი ცნობაა დაცული: 458 წელს იმპერატორ ლეონ დიდის და კონსტანტინეპოლის წმიდა პატრიარქის ანატოლის (449-458) მოღვაწეობის პერიოდში, გადაწყდა რათა ქართულ ეკლესიას ჰყოლოდა დამოუკი-

დებელი ეკლესიის მეთაური (Жордания, 1905:2-3). თ. ჟორდანიას აზრით, ეს ცნობა შესაბამისობაში მოდის ძველ ქართულ წყაროებთან. ნ. დურნოვოს ნაშრომი კიდევ ერთ განსხვავებულ ცნობას გადმოგვცემს, თითქოს 488 წლის ახლო ხანებში ანტიოქიის მონოფიზიტი პატრიარქის მემკვიდრემ, შემდგომმა პატრიარქმა პალადიმ აკურთხა ქართული ეკლესიის პირველი კათალიკოსი.

თეოდორ ბალსამონისა და რუსული საეკლესიო იერარქიის ცნობები სავსებით ბუნდოვანს ხდის საკითხს, მიიჩნევდა თ. ჟორდანია. მთავარი წინააღმდეგობა კვლავ მრწამსის საკითხია. თუკი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი კონსტანტინეპოლის პატრიარქ წმიდა ანატოლის პატრიარქობისას გადაწყდა, ალბათ ლოგიკურია, რომ კათალიკოს პეტრეს კურთხევა მისი მომდევნო პატრიარქის წმიდა გენადი კონსტანტინეპოლელის (458-471) წლებში აღსრულებულიყო, როდესაც ანტიოქიის საპატრიარქო ტახტზე მარტირიუსი იჯდა. როგორც თ. ჟორდანია შენიშნავს - ქართული ტრადიციით და „ქართლის ცხოვრების“ ცნობითაც პეტრეს კათალიკოსად ხელდასხმა ბიზანტიის იმპერატორ ლეონ დიდის წლებში აღსრულდა. საეკლესიო წესების მიხედვით, პეტრეს კათალიკოსად ხელდასხმა არ შეიძლებოდა მომხდარიყო მონოფიზიტი მწვალებელი პატრიარქის პეტრე ფულონის მიერ, ანდა მისი მემკვიდრე, ასევე მონოფიზიტი პატრიარქის პალადის (496-505) მიერ. კათალიკოს პეტრეს და სამოელის ქართლში ჩამოსვლის შემდეგ ვახტანგ მეფე აშენებს სვეტიცხოვლის ქვითკირის ახალ ტაძარს, სადაც დაიწყებს მოღვაწეობას ქართლის პირველი კათალიკოსი. სამოელი კი სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარში იწყებს მოღვაწეობას. ამის შემდგომ ვახტანგ მეფე თორმეტ ეპისკოპოსს შემდეგ კათედრებში გაანაწილებს: კლარჯეთში, არტაანში, ჯავახეთში, მანგლისში, ბოლნისში, რუსთავში, ნინოწმინდაში, ჭერემს, ჩელეთს, ხორნაბუჯში, აგარაკს და „შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა და დასუა ეპისკოპოსი“. დასა-

ხელებული საეპისკოპოსოებიდან ნაწილი არსებობდა კათალიკოსის ჩამოყვანამდე, ნაწილი კი კათალიკოსის ჩამოყვანის შემდეგ, ვახტანგ მეფემ ააშენა ახალი ტაძრები და დასვა იქ ეპისკოპოსები. სვეტიცხოვლის აგებასა და ახალი საეპისკოპოსო ტაძრების აგებას საკმაო პერიოდი დასჭირდებოდა, რასაც ადასტურებს კიდევაც „ქართლის ცხოვრება“. „და ვითარცა წარხდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, მოკუდა ხოსრო, მეფე სპარსთა, და დაჯდა მის წილ ძე მისი ხუასრო“. როგორც ჯუანშერი გვაუწყებს, ვახტანგ მეფის მიერ განხორციელებული საეკლესიო რეფორმის შემდეგ გავიდა „ჟამნი რაოდენნიმე“ და ამის შემდეგ გარდაიცვალა სპარსეთის შაჰი პეროზი (459-484).

ჯუანშერი შეცდომით პეროზ მეფეს ხოსროს უწოდებს. პეროზ შაჰი გარდაიცვალა 484 წელს, სავარაუდოდ საეკლესიო რეფორმა 484 წლამდე უნდა მომხდარიყო. საინტერესოა მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის მოსაზრება ქართლის პირველი კათალიკოსის პეტრეს წარმომავლობასთან დაკავშირებით. პეტრე I 472-510 წლებში კაპადოკიელი ქართველი მღვდელი... პეტრემ დიდი ამაგი დასდო ბიზანტიის იმპერატორს ლეონს, რომლის საიდუმლო მინდობილობა ვახტანგთან მშვენივრად შეასრულა (კარბელაშვილი, 1903:33). კათოლიკოს პატრიარქ კირიონ საძაგლიშვილის ცნობით წმიდა გრიგოლ ნაზიაზელი, არაგვის ხეობის განმანათლებლად არის მიჩნეული, იგი წარმოშობით კაბადოკიელი იყო (ქართული მწერლობა.2005:250). შემთხვევით არ არის, რომ პოლიევქტოს კარბელაშვილიც კათალიკოსობის დაწესებას იმპერატორ ლეონს უკავშირებს, თუმცა საიდან ისარგებლა ცნობა პეტრეს წარმომავლობის შესახებ, უცნობია. თანამედროვე ეტაპზე იგივე აზრს იზიარებს პეტრეს წარმომავლობასთან დაკავშირებით ისტორიკოსი ვ. გოილაძე.

ვფიქრობთ, ძალზე საინტერესოა აღნიშნული მოსაზრება, რადგან როგორც ცნობილია ქართველი ერის განმანათლებელი წმიდა

ნინო და ასურელი მამები, როგორც მიიჩნევენ, კაპადოკიელები იყვნენ.

აქვე უნდა შევეხოთ ივანე ჯავახიშვილის ერთ მოსაზრებას, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ 170-წლიან პერიოდდთან დაკავშირებით. როგორც დიდი მეცნიერი მიიჩნევდა, წმიდა ნინოს შატბერდულ ცხოვრებაში ქართლის მოქცევის თარიღად 344 წელი გამოდის, კათალიკოსობის დაწესების წელიწადის გამოანგარიშების დროს 344+169=513 წელს მივიღებთ, ამ დროს კი ვახტანგ მეფე უკვე გარდაცვლილი იყო. მაგრამ, თუკი ქართლის მოქცევის მატიანეს 311 წელი ამაღლებიდან კი არა ქრისტეს შობიდან იქნება ათვლილი, მაშინ კათალიკოსობის დაწესების თარიღი 470-471 წელზე მოდის და ვახუშტის დასახელებულ თარიღს უახლოვდება (ჯავახიშვილი I, 1979:385).

ამავე საკითხს ვახტანგ გოილაძეც ეხება თავის ნაშრომში, რომლის აზრით საინტერესოა „თუ რატომ არ ითვალისწინებს კათალიკოსობის თარიღის დადგენისას 170-წლიან პერიოდს ვახუშტი ბატონიშვილი და რის საფუძველზე გამოაქვს 470-471 წელი გაუგებარია“. ინტერესს იწვევს კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, ვ.გოილაძის აზრით 491 წელს ჯუანშერი იხსენიებს პეტრეს ქართლის კათალიკოსად „იორსა ზედა“ ბრძოლისას. თუკი 488 წელს დაიკავა პეტრემ ქართლის ეკლესიის საკათალიკოსო ტახტი, ამ დროს უკვე დასრულებული იყო სვეტიცხოვლისა და სხვა მრავალი ტაძრის მშენებლობა, რაც თავისთავად სამ წელიწადში შეუძლებელი იყო, რადგან, ამ პერიოდში ვახტანგ მეფეს საომარი ოპერაციები ჰქონდა ირანთან. ვფიქრობთ, ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის და ბიზანტიის იმპერატორ ლეონ დიდის მოღვაწეობის პერიოდში 468-470 წლებში, მაშინ, როდესაც კონსტანტინეპოლის პატრიარქი წმიდა გენადი (457-471) და ანტიოქიის პატრიარქი მარტირიუსი (459-470) იყო. ამავე პერიოდიდან დაარსდა 12 საეპისკოპოსო,

რომლის გარეშეც ადგილობრივ ეკლესიას არ შეეძლო ფუნქციონირება. აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსი ვახტანგ გოილაძე ვახტანგის ირანიდან ჩამოსვლას 468 წლით, ხოლო ვახტანგის მეორე მეუღლის ბიზანტიიდან ჩამოყვანას 469 წლით ათარიღებს, ასევე მეფის უფროსი ძის ლეონის დაბადებას 470, ხოლო მირდატისას კი 472 წლით ათარიღებს (გოილაძე.1991:87). უნდა შევნიშნოთ, რომ ჯუანშერის მიხედვით პეტრე კათალიკოსი, თორმეტი ეპისკოპოსი, და ელენე დედოფალი ქართლში ერთდროულად ჩამოდიან: „ანტიოქიელმან პატრიარქმან აკურთხა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად და მოვიდეს კონსტანტინეპოლედ, და მეფემან მისცა ნიჭი დიდძალი, და ასული თვისი მისცა სახელით ელენე, მეფესა ვახტანგს და გამოავლინა იგი სპითა დიდითა(ქრ.ცხ.1955:198)“. ე.ი. 468-469 წლებში პეტრე კათალიკოსი და ელენე დედოფალი ბიზანტიიდან ერთდროულად ჩამოდიან. ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კათალიკოსობის დაწესება და ელენე დედოფლის ქართლში ჩამოსვლა თანადროული მოვლენა იყო და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ანუ ეს კავშირი ქართული და ბერძნული სამეფოებისათვის მომგებიანი იყო. ირანსა და ბიზანტიას შორის არსებული დაპირისპირების ვითარებაში, ბიზანტიისთვის არცთუ მცირე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ქართლის სამეფოს პოზიციას. კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქისა და ანტიოქიის საპატრიარქოსათვის, რომლის უშუალო სამწყსოს შეადგენდა მცხეთის ტახტი, არ უნდა ყოფილიყო სასურველი ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიაზე დათანხმება, მაგრამ, ჩანს, იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც მაშინ კავკასიის ფრონტზე არსებობდა, ქართლის სამეფოს პოზიციას დიდი ფასი ჰქონდა(საქ.ისტ.2008:123).

ავტოკეფალის მოპოვების თარიღის გარკვევისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რათა დადგინდეს ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების მიახლოებითი თარიღი მაინც. დღეს-

დღეობით დამკვიდრებულია ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ივანე ჯავახიშვილის მიერ დადგენილი თარიღი 442-502წწ. რაც ეფუძნება ბიზანტია-ირანს შორის წარმოებულ 502-506 წლებში წარმოებულ ომს. ისტორიკოსმა ვახტანგ გოილაძემ კი ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა 431-491 წლებით დაათარიღა. მისი აზრით, ბიზანტიის წინააღმდეგ წარმოებული მეორე ომი ირანის შაჰმა კავად I-მა (488-497, 499-531) წამოიწყო და ომის პირველსავე წელს ბრძოლები მცირე აზიაში მიმდინარეობდა, იგი ქართლში არ შემოსულა. ჯუანშერის ცნობით კი ვახტანგ გორგასალი „იორსა ზედა“ ბრძოლაში დაიჭრა და უჯარმაში გარდაიცვალა(გოილაძე.1991:70). ჩვენი კვლევის საგანს ამჟამად ამ საკითხის გამოკვლევა არ წარმოადგენს, მაგრამ, თუ გავიზიარებთ გოილაძის მიერ დადგენილ ვახტანგის გარდაცვალებისა და ავტოკეფალიის მოპოვების თარიღს, მაშინ გამოდის, რომ ავტოკეფალიის მოპოვების 488 წლის შემდეგ იგი სამ წელიწადში გარდაცვლილა. ე.ი. ვახტანგ გორგასალს სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძარი სამ წელიწადში 488-491 წლებში აუგია, ასევე სამ წელიწადში დაუსვამს 12 ეპისკოპოსი, აუგია ნიქოზის ეკლესია და ა. შ., რაც რა თქმა უნდა ნაკლებ სარწმუნოა. პეტრე კათალიკოსისა და 12 ეპისკოპოსის კონსტანტინეპოლიდან ჩამოსვლის შემდეგ, ჯუანშერი გარკვევით ამბობს: „მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სვეტი ცხოველი, და უპყრა სუეტსა შინა სამხრით ადგილსა მას, სადა იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი. და მუნ შინა დასვა პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპიკოპოსოსა“(ქრ.ცხ.1955:198).

ნათელია, რომ ვახტანგ მეფემ სვეტიცხოველი ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგ ააგო. ს. კაკაბაძე კი სვეტიცხოვლის აგებას კათალიკოსობის დაწესებამდე ვარაუდობდა: „რადგანაც ასეთი დიდი ტაძრის აშენებას მოუნდებოდა 10-12 წელიწადი, ამიტომ სვეტიცხოვლის საყდრის აგება უნდა მიეკუთვნოს 463-475 წლებს

ახლოს(კაკაბაძე.1994:243). სვეტიცხოვლის აგება კათალიკოსობის დაწესებამდე ფრიად საეჭვოა, თუმცა ჩვენი ვარაუდი ემთხვევა ს. კაკაბაძის მოსაზრებას, რომ სვეტიცხოვლის გრანდიოზული ტაძრის მშენებლობისათვის არანაკლებ 10-12 წელი მაინც იყო საჭირო, რაც კიდევ ერთხელ გამორიცხავს, 488 წლისათვის კათალიკოსობის დაწესებას. ა. ბოგვერაძის შეხედულებით კი: სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძრის აგებამდე, რომელსაც ცხადია, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდა, მისი საჯდომი (პეტრეს) უნდა ყოფილიყო მცხეთის მეორე ეკლესია, ე.წ. „ზემო ეკლესია“. ყოველივე ამის საფუძველზე მეცნიერი აცხადებს, რომ ვახტანგის საეკლესიო რეფორმების გადმოტანა 480-იან წლებისათვის ძნელი წარმოსადგენია. 482-484 წლებში ვახტანგი აქტიური მონაწილეა ირანელი აგრესორების წინააღმდეგ მიმართული ქართველებისა და სომხების დიდი აჯანყებისა, რომლის დამარცხების შემდეგ ერთხანს ეგრისში იყო თავშეფარებული. ქართული წყაროების ერთობლივი მოწმობით, ვახტანგმა ქართული ეკლესიის რეორგანიზაცია მოახდინა ირანიდან დაბრუნების შემდეგ(ბოგვერაძე.1998:66-72). ამ შემთხვევაში ა. ბოგვერაძეც გამორიცხავს ავტოკეფალიის მოპოვებას 480-იან წლებში, რაც ჩვენს მიერ ავტოკეფალიის მოპოვების სავარაუდო თარიღს კიდევ უფრო ამყარებს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართული ეკლესიის მეთაურს არ მიუღია ხელდასხმა მონოფიზიტ პატრიარქისაგან. ისტორიკოს გიორგი მამულიას თავის ნაშრომში მეტად საყურადღებო ცნობა აქვს მოხმობილი: „ანტიოქიის პატრიარქ ანასტასიუს I-ის დროს შედგენილი ნოტაცია (570 წ.), რომელიც, ჩამოთვლის რა აღნიშნულ პერიოდში ანტიოქიის საყდრისადმი დამოკიდებულ იერარქებს, არსად არ ასახელებს ქართლის კათალიკოსს.“(მამულია.1992:81). ვფიქრობთ ეს ცნობა კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ვახტანგ გორგასლის დროს ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების სანდოობას, რადგან 570 წელს ქართლის ეკლესია ანტიოქიის

დაქვემდებარებაში აღარ იყო.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის დამსახურება იყო. მის მიერ გატარებულმა საშინაო თუ საგარეო ღონისძიებებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ქართულ სახელმწიფოს სათანადო ანგარიშს უწევდა, როგორც ბიზანტიის იმპერია, ასევე ირანი. გაძლიერებული ქრისტიანული სახელმწიფოს დღის წესრიგში დადგა საკითხი, რათა მას ჰყოლოდა დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაური, რომელიც თანასწორი იქნებოდა იმ პერიოდში არსებული სხვა ეკლესიების მეთაურებისა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ანტიოქიის საპატრიარქო ვერ შეეგუა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას და შემდგომში რამდენჯერმე იყო მცდელობა ჩვენი ეკლესიის უფლებების შელახვისა, რასაც წინ აღუდგა არაერთი ქართველი მოღვაწე. აღსანიშნავია, რომ ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის V საუკუნეში მოპოვებას, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში, იზიარებენ უცხოელი მეცნიერებიც.

ჯერ კიდევ 1966 წელს დ. მარშალ ლანგი თავის ნაშრომში „The Georgians“ აღნიშნავდა: „საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალმა მოუპოვა დამოუკიდებლობა და ავტოკეფალია ქართულ ეროვნულ ეკლესიას, მის დროს არჩეული იქნა კათალიკოსი“ (Marshall Lang, 1966:99). ქართული ეკლესიის თავდაპირველ ურთიერთობაზე ბერძნებთან საუბრობს ვ. ალენი თავის წიგნში „History of the Georgian People“. „ქართული ეკლესია ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო საბერძნეთთან. ქართველი ბერები მრავლად იყვნენ სირიასა და საბერძნეთში. საქართველოს ეკლესია თავდაპირველად ექვემდებარებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს“ (Allen, 1932:269). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვა დონალდ რაიფილდმა, მისი აზრით: 467 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ ომის დაწყებამდე, ვახტანგმა ბიზანტიაში გაგზავნა ელჩები თხოვნით, რომ ეღიარებინათ იბერიის ეკლესი-

ის ავტოკეფალია. 467 წელს ასევე კონფლიქტი მომხდარა ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ ეპისკოპოსს შორის, რის გამოც მიქაელი გაგზავნილ იქნა კონსტანტინეპოლში დიოფიზიტურ მონასტერში (Raifild,2012:45). შევნიშნავთ, რომ ავტოკეფალიის მოპოვებას რაიფილდიც მეფე-მღვდელმთავარს შორის მომხდარ დაპირისპირებას უკავშირებს და ამ ფაქტს 467 წლით ათარიღებს, რაც ჩვენ მიერ ნავარაუდევ თარიღს უახლოვდება. ინგლისურენოვანი ნაშრომებიდან უნდა გამოვარჩიოთ 1912 წელს ლონდონში არქიდიაკონ დ. დოულინგის წიგნი „საქართველოს ეკლესიის ისტორია“. ავტორი ნაშრომში საუბრობს ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის საქართველოში მოღვაწეობაზე და ანტიოქიის ეკლესიასთან, საქართველოს ეკლესიის თავდაპირველ ურთიერთობასა და დაქვემდებარებაზე. მისი აზრით, გარკვეული დროის შემდეგ საქართველოს ეკლესია კონსტანტინეპოლის ეკლესიას გადაეცა, ვისგანაც მიიღო თანხმობა არქიეპისკოპოსმა პეტრემ მცხეთის კათალიკოსის ტიტული და გახდა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მმართველი, რომელსაც 37 ეპისკოპოსი ემორჩილებოდა (dowling.1912:50).

მეოცე საუკუნეში ინგლისელი სასულიერო პირის მიერ საქართველოს ეკლესიაზე ნაშრომის გამოცემა განპირობებული იყო საქართველოში ავტოკეფალური მოძრაობის აღმავლობით. არქიდიაკონ დოულინგიც აღიარებს, რომ საქართველოს ეკლესია V საუკუნიდან ავტოკეფალურია, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის დაფიქსირებას, რადგან იმ პერიოდის რუსი მეცნიერები საერთოდ მალავდნენ ამ ფაქტს. საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალური სტატუსი აღიარებულია ჯონ მეიენდორფის ნაშრომში „THe orthodox church“. სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ; საქართველოს ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის საპატრიარქოსთან იყო დაკავშირებული, საიდანაც ღებულობდნენ ეპისკოპოსებს, შუასაუკუნეებში კი

მას უკვე ჰყავდა საკუთარი კათალიკოსი(ამ ტიტულს ატარებდნენ ბიზანტიის იმპერიის საზღვრებს გარეთ არსებულ ეკლესიათა მეთაურები) (meyendorff.1996:158-159). მიუხედავად გარკვეული უზუსტობებისა, წიგნში საქართველოს ეკლესია მოხსენიებულია მართლმადიდებლურ სამყაროში არსებულ უძველეს ეკლესიებს შორის. მომავალში აუცილებელია, საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის მიმართულებით, უცხოურ ენებზე გამოიცეს ქართველი ავტორების ნაშრომები, რომელთა საფუძველზეც თავიდან იქნება აცილებული მსგავსი გაუგებრობები. მიზანშეწონილია, ასევე ქართველ მეცნიერთა კვლევები განთავსდეს უცხოურ საიტებსა და ელექტრონულ ენციკლოპედიების გვერდებზე, რათა ჩვენი ისტორიისა და კულტურის პოპულარიზება მოხდეს.

მნიშვნელოვანია, რომ არაქართველი მეცნიერებიც აღიარებენ ქართული ეკლესიის თავდაპირველ დამოკიდებულებას ანტიოქიის საპატრიარქოზე, V საუკუნიდან კი საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ V საუკუნეში რომის იმპერიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ხუთი საპატრიარქო. ამის პარალელურად ქართულ სახელმწიფოშიც გაჩნდა აუცილებლობა, რათა ქართულ ეკლესიასაც ჰყოლოდა თავისი დამოუკიდებელი მეთაური, რომელიც აღასრულებდა ყველა აუცილებელ წესსა და რიგს, რომელიც უნდა აღსრულებულიყო დამოუკიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიაში. გარკვეული დროის მანძილზე კათალიკოსებად ბერძნები იგზავნებოდნენ ბიზანტიიდან, თუმცა დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, ქართულმა ეკლესიამ ანტიოქიასთან ამგვარი დამოკიდებულება გააუქმა და VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლის კათალიკოსის ტახტს უკვე ქართველები იკავებდნენ.

ქართლის პირველი კათალიკოსი იყო პეტრე, რომელმაც ხელდასხმა მიიღო ანტიოქიის პატრიარქისაგან. პეტრე კათალიკო-

სის ხელდასხმა განხორციელდა ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლისა და ბიზანტიის იმპერატორ ლეონის შეთანხმებით, ხოლო უშუალოდ კურთხევა აღასრულა ანტიოქიის პატრიარქმა, კონსტანტინეპოლის პატრიარქთან შეთანხმებით. რაც მთავარია, ოთხივე პირი, რომლებმაც მთავარი როლი შეასრულეს ამ უდიდეს საქმეში, იყვნენ მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი შეთანხმებული, მიზანმიმართული გადაწყვეტილება არ აღსრულდებოდა. პეტრე კათალიკოსის კურთხევას ხელი შეუწყო ასევე ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურმა სიძლიერემ და წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის დიდმა საერთაშორისო ავტორიტეტმა. ბიზანტიასთან მიმართებით ვახტანგ მეფის საეკლესიო თუ საერო საკითხებში მჭიდრო კავშირმა ხაზი გაუსვა ქართული სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიის მართლმადიდებლურ ორიენტაციას, რაც სავსებით კანონზომიერი და ლოგიკური იყო. შემდგომ საუკუნეებშიც ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის განვითარება სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდა. ჩვენი აზრით, არ არის მართებული ის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც თითქოს ქართლის პირველი კათალიკოსის ხელდასხმა ანტიოქიის მონოფიზიტმა, მწვალებელმა პატრიარქმა პეტრე ფულონმა აღასრულა. საქართველოს სამოციქულო ეკლესია თავისი არსებობის მანძილზე მუდამ მართლმადიდებელი სარწმუნოების ერთგული დამცველი იყო. შემდეგ საუკუნეებში საქართველოს ეკლესია სრულიად გათავისუფლდა და ანტიოქიის საპატრიარქოსთან მას უკვე არავითარი დამოკიდებულება აღარ გააჩნდა.

I.2. მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა

V საუკუნეში, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის დროს, მოპოვებული ავტოკეფალია, როგორც ქართული წყაროებიდან ჩანს, არ იყო სრულყოფილი. ამ ფაქტზე ისიც მეტყველებს, რომ დაახლოებით VI საუკუნის 20-იან წლებამდე ქართულ ეკლესიას ბერძენი ეროვნების სასულიერო მოღვაწეები მართავდნენ. საქართველოდან კვლავ ბიზანტიის იმპერატორს უკავშირდებიან, როგორც IV საუკუნეში, წმიდა ნინოს პერიოდში მოციქულთა სწორ კონსტანტინე დიდს და V საუკუნეში — ლეონ დიდს, ამჯერად ითხოვეს იუსტინიანესაგან ქართველთა, „რათა დასხდებოდენ კ-ზად ნათესავნი ქართველნი. რამეთუ მოვიდოდიან კათალიკოსნი საბერძნეთით, ხოლო იუსტინიანემ დაწერა წიგნი და დაბეჭდა თვისითა ბეჭდითა ესრეთ, რათა დასხდებოდნენ ეკლესიათა და მღვდელმთავართა ზედა“ (ქ. ცხ. I:207). ჯუანშერის ეს ცნობა არ უნდა იყოს რეალობას მოკლებული, რადგან ქართული ეკლესიის სტრუქტურულ ჩამოყალიბებასთან ერთად დღის წესრიგში დადგებოდა საკითხი, რომ ქართული ეკლესია ეროვნებით ქართველს ემართა.

იუსტინიანემ ქართველების თხოვნა დააკმაყოფილა, დაწერა ბრძანება, რომელიც სამეფო ბეჭდით დაბეჭდა და ამის შემდეგ ქართველებს კათალიკოსებად კურთხევის ნება მიეცათ. საეკლესიო წესების მიხედვით იმპერატორ იუსტინიანეს ეს ბრძანება კონსტანტინეპოლის პატრიარქთან უნდა შეეთანხმებინა, თუმცა ჯუანშერი ამის შესახებ არაფერს გვეუბნება. ამის შემდეგ ჯუანშერი გვაუწყებს, რომ „მოკუდა კათალიკოსი ჩერმაგ, და ამანვე ფარსმან მეფემან დასვა საბა. აქათგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი“ (იქვე:207). ჯუანშერი ასახელებს პირველ ქართველ კათალიკოსის სახელს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბას შემ-

დგომ საბერძნეთიდან აღარ ხდებოდა კათალიკოსის მოყვანა. აღსანიშნავია, რომ კათალიკოსის ტახტს ქართველი წარჩინებული გვარის წარმომადგენლები იკავებდნენ. კათალიკოსის ტახტზე ქართველი წარჩინებულების ასვლა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი იყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის სრულყოფის გზაზე. საეკლესიო კანონმდებლობის მიხედვით აუცილებელი იყო, ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები მსოფლიო საეკლესიო კრებას ეღიარებინა. პირველი ქართველი კათალიკოსის - საბას მოღვაწეობას 523-552 წლებით ათარიღებენ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კათალიკოსი საბა, ფარსმან მეფის მოღვაწეობის დროს ასულა ტახტზე. „მეფობდა ფარსმან VI; კაცი კეთილ -გონიერი და ღვთის მოყვარე, იგი ეცადა აგრეთვე, რომ საქართველოს ეკლესია სრულიად გაენთავისუფლებინა გარეშე ეკლესიათა დაქვემდებარებისაგან. იმპერატორის ნებაყოფლობით დაწესდა დანიშვნა საქართველოს კათალიკოსთა ქართ;კელთაგან და „არღარა მოიყვანებდეს საბერძნეთიდამ“ (ჯანაშვილი, 1886:43).

შევნიშნავთ, რომ კათალიკოს საბას მოღვაწეობის დროს,,ქართლში ფარსმანის მეფობა საეჭვოა, რადგან ამ დროისათვის ქართლში მეფობა გაუქმებული იყო. უდავოა, რომ, როდესაც საქართველოში გაიშალა ფართო სამონასტრო ცხოვრება, აუცილებელი გახდა, რათა ქართული ეკლესია ქართველი ეროვნების იერარქს ემართა. მ. საბინინი თავის ნაშრომში „История Грузинской церкви“ აღნიშნავს: „ ქართველი კათალიკოსები წმიდა პეტრედან მოყოლებული კათალიკოს საბას მოღვაწეობამდე ყველანი ბერძნები იყვნენ და ანტიოქიის პატრიარქისაგან იღებდნენ თანხმობას ტახტზე ასვლისას. გაუთავებელი სახელმწიფო გადატრიალებებისა და იმდროინდელი ბიზანტია-სპარსეთის ომის გამო, თუ რომელიმე კათალიკოსი გარდაიცვლებოდა, კათალიკოსის ტახტი ცარიელი რჩებოდა, რაც ძალზე არასახარბიელო მდგომარეობას ქმნიდა საქართველოს ეკლესიის საერთო ვითარებისთვის. ფარ-

სმან VI-მ ითხოვა იმპერატორისაგან, რათა ქართველებს ჰყოლოდა თავისი კათალიკოსი. იმპერატორმა იუსტინიანემ გამოსცა სათანადო სიგელი და სამუდამოდ მიეცათ ნება ქართველებს ჰყოლოდათ თავიანთი არჩეული კათალიკოსი, ხოლო აღმოსავლეთის ყველა ქრისტიანულმა ეკლესიამ აღიარა თავის თანასწორად და დამოუკიდებლად ქართლის ეკლესიის კათალიკოსი თავისი წოდებულებით" (Сабинин, 1877:100-101).

აღნიშნული ცნობები ძალზე საგულისხმოა და მნიშვნელოვანია, თუმცა მ. საბინინი წყაროს არ უთითებს. 1905 წელს ავტოკეფალიისადმი მიძღვნილ ნაშრომში თ. ჟორდანია ამ საკითხზე უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის.„იუსტინიანე დიდმა განსაკუთრებული ქარტიით ნება მისცა ქართველებს, რათა კათალიკოსი აერჩიათ ადგილობრივი მოსახლეობიდან, მაგრამ ქართველები კათალიკოსის საკურთხებლად ძველებურად მაინც ანტიოქიაში მიემგზავრებოდნენ. ავტორი ცნობილი ნაშრომისა „Иерархия всероссиской церкви" აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი მოხდა 542 წელს პატრიარქ მინას მოღვწეობის დროს" (Жордания, 1905:5). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იუსტინიანე დიდი დამოუკიდებლად ასეთ ქარტიას ვერ გამოსცემდა, დასახელებული პატრიარქი მინა არის იუსტინიანე დიდის (527-565) თანამედროვე კონსტანტინეპოლის წმიდა პატრიარქი მინა (536-552). აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული მეფეები თუ საეკლესიო მოღვაწეები ერთმანეთის თანამედროვენი არიან და „ქართლის ცხოვრება" სავსებით რეალურ ამბავს გადმოგვცემს. შევნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაშიც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი კვლავ მართლმადიდებელ იმპერატორსა და კონსტანტინეპოლის წმინდან პატრიარქს უკავშირდება. ანტიოქიის პატრიარქის მიერ ქართლის კათალიკოსის ხელდასხმის შესახებ, ეპისკოპოსი ზოსიმე შიოშვილი აღნიშნავს: „ანტიოქიელი პატრიარქის მიერ საქართველოს ეკლესიის კათალიკოსთა კურთხევა არც ისე უნდა იქნას გაგებული,

როგორც ქართული ეკლესიის ანტიოქიელისადმი დამოკიდებულება. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ანტიოქიის ეკლესია სულიერი მშობელია ქართული ეკლესიისა. კათალიკოსის ანტიოქიელისაგან დადგენაში ჩვენ უნდა დავინახოთ დედა ეკლესიის ახალნერგ ეკლესიაზე ზრუნვა“ (ჯვარი ვაზისა, 1990, №1:39). პირველ ეტაპზე ეს მართლაც ასე იყო და შესაძლოა დავეთანხმოთ ეპისკოპოს ზოსიმეს, თუმცა შემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენების გაანალიზებისას, ანტიოქიის ეკლესიის მესვეურთა ქმედებებს ქართული ეკლესიის მიმართ ზრუნვას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

თ. ჟორდანია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ XII საუკუნის ცნობილი საეკლესიო კანონისტი თ. ბალსამონი (შემდგომში ანტიოქიის პატრიარქი) ადასტურებს აზრს, იუსტინიანეს პერიოდში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების შესახებ: „იუსტინიანემ დააარსა რამდენიმე ავტოკეფალური ანუ დამოუკიდებელი ეკლესია და მათ შორის ივერიის ეკლესიაც (Жордания,1905:6). აღნიშნული ცნობა თ. ჟორდანიას ამოღებული აქვს 1620 წელს პარიზში გამოცემული ნაშრომიდან „Canones S.S. Apostolorum“. უდავოა, რომ ამ დროს მოხდა ადრე მიღებული გადაწყვეტილების დადასტურება, რადგან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქებმა და მსოფლიო საეკლესიო კრებამ არაფერი იცოდა. ვფიქრობთ, ქართულ ეკლესიაში VI საუკუნის შუა ხანებში მომხდარი მოვლენები სავსებით კანონზომიერი იყო, ქართული ეკლესია ეტაპობრივად ვითარდებოდა. ამჯერად მან უფლება მიიღო კათალიკოსის ტახტზე ქართველი დიდგვაროვნები ასულიყვნენ, თუმცა გარკვეული ვალდებულებები ქართულ ეკლესიას ანტიოქიის ეკლესიასთან კვლავ ჰქონდა, რაც შემდგომ საუკუნეებში გამოიკვეთა კიდეც. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაუწყებს, რომ კათალიკოსები მცხეთის ორი სახლის წარმომადგენლები ხდებოდნენ. „ამის შემდგომად მეფობდა

ფარსმან სხუა და კათალიკოზი იყო და საბია მკვიდრი მცხეთელი და აქაითგან ორთა სახლთა აღიღეს კათალიკოზობაჲ მცხეთელთა მკვიდრთა“ (შატბერდის კრებული; 1979:326). სამწუხაროდ, ქართული წყარო უფრო კონკრეტულ ცნობებს არ გვაწვდის იმასთან დაკავშირებით, თუ რა გვარის წარმომადგენლები ადიოდნენ ქართლის კათალიკოსის ტახტზე. ჯუანშერის თხზულებაში იმ პერიოდის რეალური მოვლენები აისახა.

აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრება“ თანმიმდევრობით ეხება იმ პროცესებს, რასაც ადგილი ჰქონდა მსოფლიო ეკლესიაში. „ოცდამეექუსესა წელსა იუსტინიანეს მეფობისასა იქმნა კრება მეხუთე, ას სამეოცდახუთთა წმიდათა მამათაგან, ქრისტეს აქეთ ფკზ, კონსტანტინეპოლის, ვიგილიოს წმიდისა ჰრომთა პაპისაზე, რომლისა წინამძღუარ იყვნეს ევტიქიოს კოსტანტნეპოლელი, აპოლინარი ალექსანდრიელი, დომნოს ანტიოქიელი, სტეფანოს, გიორგი და დამიანოს ეპისკოპოსნი“ (ქ. ცხ.I:215). თარიღის გარდა ჯუანშერი ზედმიწევნით სიზუსტით გვამცნობს მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრების წარმომადგენელთა ვინაობას და ჩამოთვლის იმ პირთა სახელებს, რომელთა მწვალებლური მოძღვრებაც დაგმო და შეაჩვენა კრებამ. ბ. დიასამიძე მიიჩნევს, რომ 553 წელს კონსტანტინეპოლის V მსოფლიო საეკლესიო კრებას დაესწრნენ პეტრას, ფაზისისა და სებასტოპოლისის ეპისკოპოსები. მაგრამ, როგორც მიტროპოლიტი ან. ჯაფარიძე აღნიშნავს, მეხუთე მსოფლიო კრების ხელისმომწერთა სიაში ამ ეპისკოპოსთა ხელისმოწერები არ არსებობს (ჯაფარიძე,2003:265). საქართველოს სამოციქულო ეკლესია ყოველთვის იმ პროცესებში იყო ჩართული, რაც ითვალისწინებდა მართლმადიდებელი სარწმუნოების უმწიკვლოდ დაცვასა და აღიარებას. ამისი ნათელი მაგალითია თუნდაც მეხუთე და მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებათა აღიარება და ჩანართების სახით მათი წარმოდგენა ჯუანშერის თხზულებაში. ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ კათალიკოს თაბო-

რის გარდაცვალების შემდეგ, კათალიკოსის ტახტი სამოელს დაუკავებია, ამის შემდგომ გასულა გარკვეული დრო და მოუწვევიათ მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება. მცხეთის კათალიკოსი თაბორი დაახლოებით 629-634 წლებში მოღვაწეობდა, ხოლო მომდევნო კათალიკოსი სამოელი - 634-640 წლებში. ამის შემდგომ გადის დაახლოებით 40 წელი და იწვევენ მსოფლიო საეკლესიო კრებას, სადაც დაგმობილი იქნა მონოთელიტობის სახელით ცნობილი ერესი და მიღებული იქნა დოგმატი-რომის ეკლესიის მრწამსი ქრისტეში ორი ნების და ორი მოქმედების შესახებ. VI მსოფლიო საეკლესიო კრება მიმდინარეობდა 680 წლის 7 ნოემბრიდან 681 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით ტრულის სახელის მქონე იმპერატორის სასახლეში. სულ გაიმართა 18 სხდომა, საიდანაც 12 სხდომას თვით იმპერატორი კონსტანტინე პოგონატი დაესწრო. კრების მონაწილე ეპისკოპოსთა რიცხვი 170 იყო (Карташев; 2002:546). 7 ნოემბრის სხდომას ესწრებოდნენ რომის პაპის აღათონის წარმომადგენლები, მღვდლები: თეოდორე, გიორგი და დიაკონი იოანე, ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი გიორგი. რომის ეკლესიების წარმომადგენლებმა დიოთელიტობის დასაცავად მოიყვანეს მაგალითები. გიორგი კონსტანტინეპოლელი დაეთანხმა აღათონ პაპისა და 125 დასავლელი ეპისკოპოსის წერილებს. მაკარი ანტიოქიელმა კატეგორიული უარი განაცხადა დიოთელიტობის მიღებაზე. კრებას არ ჰქონდა მაკარის გულითადი სინანულის იმედი, რის გამოც მის ადგილზე თეოფანე აირჩიეს. (ბოლოტოვი, 2009:626).

ახლა შევადაროთ რამდენად შეესაბამება „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ზემოთდასახელებულ მონაცემებს. „იქმნა კრება მეექუსე, რ˜ო წმიდათა მამათა კონსტანტინეპოლს შინა, მეათცამეტესა წელსა პოლონატი კოსტანტინეს მეფობისასა, რომელი იყო მამა იუსტინიანესი, რომლისა წინამძღუარი იყვნეს თეოდორე და გიორგი ხუცესნი და იოანე დიაკონი, ადგილის-მცველნი აღათონ

ჰრომთა პაპისანი, და გიორგი კონსტანტინეპოლელი, თეოფანე ანტიოქიელი. ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა, და სამწყსოსა თვისისა ქართლსა გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წამოვლით მთისა ადგილისათა სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულად ოვსეთისა და ყოველსა ზემოქართლსა სამცხე-საათაბაგოს. მისთვის მიგვითვლია საქართველოს ეკლესიანი, მას ჰმონებდნენ და მის ხელ-ქუეშე იყვნენ, და სჯულსა მისსა ერჩდნენ, და მისგან იმწყესებოდნენ და მიგვიცემია ხელმწიფება შეკვრისა და გახსნისა... ხოლო პირველთაგან ანტიოქიის კრებისა მიერ განპატიოსნებული იყო, და ამ კრების მიერ დაგვიმტკიცებია პატრიარქად, რამეთუ ნუ იქმნებიან მიტროპოლიტი, ნუცა ეპისკოპოსი კათალიკოსისა შეუნდობრად“ (ქ.ცხ.I:232).

„ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული ჩანართი მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის. პირველ რიგში ქართული წყარო ზუსტად გადმოგვცემს VI მსოფლიო კრების მონაწილე ეპისკოპოსთა რაოდენობისა და ამ კრებაზე წარმოდგენილი საეკლესიო პირების შესახებ. ჩანართში საერთოდ არ იხსენიება ანტიოქიის მონოთელიტი პატრიარქი მაკარი, სამაგიეროდ ჩამონათვალში მოხსენიებულია ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქი თეოფანე. სწორედ ამ კრებაზე უმსჯელიათ საქართველოს ეკლესიაზე და გამოუტანიათ გადაწყვეტილება „იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა“. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიუღიათ გადაწყვეტილება, რომ ყოფილიყო თანასწორ პატივითა და ღირსებით მსოფლიოს წმი-

და კათოლიკე სამოციქულო ეკლესიებისა. საინტერესოა ასევე, რომ ჩანართში ქართული ეკლესიის საზღვრებზეც არის საუბარი, რომლის მიხედვით ვგებულობთ, რომ ამ პერიოდში ქართლის კათალიკოსის იურისდიქციაში შედიოდა მთელი საქართველო. შედიოდა თუ არა ამ პერიოდში მცხეთის კათალიკოსის დაქვემდებარებაში დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში არსებული საეპისკოპოსოები, არ ჩანს.

ზ. ალექსიძე მიიჩნევს, რომ: „ჩანართი, მისი ტერმინოლოგიისა და ნაგულისხმევი ისტორიული სიტუაციის მიხედვით, XV ს-ზე ადრეული ხანით ვერ დათარიღდება, თუ საერთოდ სწავლულ კაცთა კომისიის მიერ არ არის შეთხზული. ცნობა VI მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ, შეითხზა მაკარი ანტიოქიელის 1665 წელს საქართველოში მოგზაურობის შემდეგ და შედეგად"(ალექსიძე.2002:321). ვფიქრობთ, აღნიშნული მოსაზრება სინამდვილეს შეესაბამება.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ VII ს-ის ბოლოსათვის შავი ზღვისპირა ქართული მხარეები ქართული ეკლესიის იურისდიქციაში არ შედიოდა. საქართველოს ზღვისპირა ნაწილი, ვიდრე ე.წ. „სკანდა შორაპნის" ხაზამდე, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციას ეკუთვნოდა, თანაც აქ იყო ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები (ჯაფარიძე; 2003:276).

ცნობაში დასახელებული კრების თარიღი „ქრისტეს აქეთ ქ¯ნვ იქმნა კრება მეექვსე" არ არის სწორი. თავისთავად 656 წელს მსოფლიო კრება არ გამართულა. თუმცა, ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პოგონატი ტახტზე მართლაც ავიდა 668 წელს და ცნობაში მოტანილი ინფორმაცია „კონსტანტინეპოლს შინა, მეათსამეტესა წელსა პოღონატი კოსტანტინეს მეფობისისა, რომელი იყო მამა იუსტინიანესი", სავსებით სწორია, სწორედ კონსტანტინე პოგონატის მეფობის მეცამეტე წელს 668+13=681 მიმდინარეობდა აღნიშნული კრება. ასევე რეალურია ქართული ცნობა, რომ

კონსტანტინე პოგონატი იყო იუსტინიანე II-ის მამა (685-699). ვ. გოილაძე შენიშნავს: „ანტიოქიის პატრიარქად ქართულ ცნობაში თუ თეოფანეა დასახელებული, 680 წლის 7 ნოემბერს კრების გახსნას ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი ესწრებოდა, ეს განსხვავება ძენს ქართულ ცნობას სანდოობას და გვარწმუნებს, რომ იგი კრებაზე მიღებული დადგენილების ზუსტი ასლია, დაახლოებით 681 წლის 5 აპრილიდან თეოფანეს ანტიოქიის პატრიარქის ტიტული ჰქონდა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ, ჩანს 681 წლის 5 აპრილიდან 16 სექტემბრამდე გამართულ სხდომებზე განიხილა“ (გოილაძე, 1991:191:192). როგორც ჩანს, ქართული წყარო რეალურ ფაქტებს ეყრდნობოდა, რაც აისახა კიდეც ჯუანშერის თხზულებაში. აღნიშნული საკითხი დაფიქსირდა კიდევ ერთ ქართულ ხელნაწერში, რომელიც ექ. თაყაიშვილმა გამოსცა 1913-1914 წლებში და „მარტვილის ხელნაწერების“ სახელით არის ცნობილი. თხზულების სახელწოდებაა „სიტყვისგებაჲ ლათინთა მიმართ ჩ-ნ მართლმადიდებელთა მიერ“, სადაც ვკითხულობთ: „რამეთუ ესრეთ შესასწავებელ არს ტახტიკონსა შინა კონსტანტინეპოლისასა, ვითარმედ მას ჟამსა წმიდა მეექუსესა კრებასა კონსტანტინე პოღონატისასა და აღათონ რომთა პაპისა, გიორგი კონსტანტინეპოლისასა და თეოფანე ანტიოქიელისასა და მათ-თანა ასოცდაათთა მამათაგან გაპატიოსნდა კათალიკოზი ქართლისა და ყვეს მამამთავრად და თავისუფლად და უფლად ყოველსა ზედა საქართველოსა: და მერმე ყოვლადვე კრებასა შინა ანტიოქიასა განთავისუფლდა და განპატიოსნდა, რამეთუ არღარავისაგან ხელ ქვეშ არს, არამედ თავისუფალ და მამამთავარი არს“ (თაყაიშვილი, 1913-1914:117).

აღნიშნული ცნობა პირდაპირ გვაუწყებს, რომ ეს ინფორმაცია „კონსტანტინოპოლურ ტახტიკონიდან“ ყოფილა აღებული, რაც მთავარია იგი „ქართლის ცხოვრების“ ჩანართის მსგავსია. „საეჭვო

აღარ უნდა იყოს ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალია კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებას რომ დაუდასტურებია“ (გოილაძე, 1991:194).

ინტერესს იწვევს ერთი საკითხი: „ქართლის ცხოვრების“ ჩანართის ცნობა „ხოლო პირველითგან ანტიოქიის კრებისა მიერ გაპატიოსნებულ იყო, და ამ კრებისა მიერ დაგვიმტკიცებია პატრიარქად“, „მარტვილურ ხელნაწერების“ ცნობით: „და მერმე კვალადვე კრებასა შინა ანტიოქიისასა განთავისუფლდა და განპატიოსნდა, რამეთუ არღარავისაგან ხელ ქვეშ არს, არამედ თავისუფალ და მამამთავარ არს“. პირველ ცნობაში ალბათ იგულისხმება თეოფილაქტე ანტიოქიელის 741-751 წლებში ანტიოქიაში გამართული საეკლესიო კრება. უნდა აღინიშნოს, რომ 1903 წელს ალ. ხახანაშვილმა მოსკოვში გამოსცა ქართული ხელნაწერი „Правила VI Вселенского собора“. ეს ხელნაწერი ჯერ კიდევ ექვთიმე მთაწმინდელს უთარგმნია ბერძნულიდან XI საუკუნეში. „და თავადმან კონსტანტინე მეფემან თ˜სითა ხელითა წითლითა წამლითა სიმტკიცე საღმთოისა მის ძეგლისა დაწერა... ასსამოცდარვა წმიდა, რომელნი შეიკრიბნეს კონსტანტინეპოლს ახალსა რომსა კონსტანტინე ღვთისმსახურისა მეფისაზე, ძის წულისა ძისა ირაკლი მეფისა: იყუნეს წინა მძღვარ კრებისა ამის აღათონ პაპა რომისა და გიორგი პატრიარქი კონსტანტინეპოლისა და თეოფანე ანტიოქიისა და სხვანი იგი (Хаханов, 1903:5-6). ქართული ხელნაწერი აქაც თითქმის იგივე ინფორმაციას გვაწვდის და კრებაზე მოღვაწე მამებსაც იგივე თანმიმდევრობით ჩამოთვლის.

ხელნაწერში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მართლმადიდებლობასა და მის ჭეშმარიტებაზე, თუმცა იქვე იხსენიება პეტრე მკაწვრელი, იგივე პეტრე ფულონი და მისი მწვალებლობა. „უსჯულომან მან პეტროზ მკაწვრელმან, ვ˜ა ხაჩეცარი ასწავა ეგრეთვე ესეცა სმენაი მებრ ამის უჯერობისა“ (იქვე:45). პეტრე მკაწვრელი რომ ქართული ეკლესიის პირველი მე-

თაურის მაკურთხეველი პატრიარქი იყოს, მას ასე უარყოფითად შემდგომი დროინდელი წყაროები არ მოიხსენიებდნენ. „ესე არს სარწმუნოება მოციქულთა, ესე არს სარწმუნოება მამათა, ესე არს სარწმუნოება მართლმადიდებელთა, ესე სარწმუნოება დაამტკიცენ კათოლიკე ეკლესიასა შინა წმიდამან სამებამან“ — ბრძანებს VI მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება.

საუკუნეების განმავლობაში უძველესი ქართული სამოციქულო ეკლესია ამ ჭეშმარიტი სარწმუნოების მატარებელი იყო და ყოველთვის იმ საეკლესიო წესებით სარგებლობდა, რასაც მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებდა. ასე რომ, ძველი ქართული წყაროები ქართული ეკლესიის შესახებ უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდიან, რაც მთავარია, ცნობები სავსებით რეალური გახლავთ და იმ მოვლენებს გადმოსცემენ, რასაც ადგილი ჰქონდა მართლმადიდებელ ეკლესიაში. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით VI მსოფლიო საეკლესიო კრებას საქართველოს ეკლესიისათვის მირონის კურთხევის უფლებაც მიუნიჭებია: „ხოლო ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თვისსა ეკლესიასა“ (ქ.ცხ. I:232). ამ ცნობის მიხედვით, ქართულმა ეკლესიამ მირონის კურთხევის ნებართვა მიიღო. როგორც მიიჩნევენ, მანამდე მირონის კურთხევის უფლება ქართულ ეკლესიას არ ჰქონდა.

787 წელს ნიკეაში გაიმართა მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც დაგმო და შეაჩვენა ხატმებრძოლეობის ერესი. მნიშვნელოვანია, რომ იმ 367 ეპისკოპოს შორის, რომლებმაც განიხილეს ხატთა თაყვანისცემის საკითხი, იყო „ქრისტეფორე, ეპისკოპოსი ფასისისა ანუ ტრაპიზონისა“ (კეკელიძე, 1935:28).

650 წელს ფაზისი, როგორც ბერძნული ტაქტიკონი ადასტურებს, სამიტროპოლიტოდ ითვლებოდა და კონსტანტინეპოლის პატრიარქის ხელქვეითი იყო. თუკი 786 წელს მოხდა ფაზისის დაპყრობა აფხაზეთის მიერ, მაშინ გასაგები შეიქმნება აქაური ეპისკოპოსის უცნაური ტიტულატურაც, ეს ხომ არ მიგვითითებს

იმაზე, რომ ფაზისის აღების შემდეგ, ეპისკოპოსმა გადაინაცვლა ტრაპიზონში და მხოლოდ ტრადიციის ძალით კვლავ თავის თავს ფაზისელსაც უწოდებდა (ბერძენიშვილი, 1979:186). გადაჭრით ამ ფაქტის მტკიცება საკმაოდ ძნელია, თუმცა შემდგომ ხანებში მრავლად იყო შემთხვევები, როცა ერთ ეპისკოპოსს ორ სხვადასხვა მხარეში ეკავა თანამდებობა.

როგორც წინათ, VIII საუკუნეშიც ქართველები ტრადიციულად ერთგულნი იყვნენ ქრისტეს მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, უფრო მეტიც, ქართული ეკლესია ერთადერთი იყო აღმოსავლეთში, რომელსაც არ შეხებია ხატმებრძოლეობის საშინელი მწვალებლობა.

როგორც უკვე ითქვა, 681 წლის მსოფლიოს VI საეკლესიო კრებამ მცხეთის კათალიკოსი აიყვანა იმავე პატივსა და ღირსებაში, რომელშიც მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელი პატრიარქები იმყოფებოდნენ. ამასთანავე, ამ დროს ჩვენმა ეკლესიამ მცხეთაში დაიწყო წმიდა მირონის კურთხევა. ეს მოვლენები, რომლებიც ქართულ ეკლესიაში განხორციელდა, სრულიად კანონზომიერი იყო, თუმცა რამდენიმე საუკუნე მაინც დასჭირდა, რომ ქართული ეკლესია ორგანიზაციულად და ადმინისტრაციულად განმტკიცებულიყო და აღმოსავლეთში მართლმადიდებელთა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი გამხდარიყო.

თავი II.
ქართველი სასულიერო მოღვაწეების ბრძოლა ავტოკეფალიის შენარჩუნებისათის (VIII-XI საუკუნეებში)

II.1. ავტოკეფალიის აღიარებისათვის ბრძოლა და პატრიარქობის ტიტულის მოპოვება

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების პროცესი, როგორც ჩანს, 681 წელს მსოფლიოს VI საეკლესიო კრებაზე არ დასრულებულა. VIII საუკუნეში იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმის (741-775) დროს, საქართველოდან ანტიოქიაში წარგზავნილი იქნენ ბერები, რომელთაგან ერთ-ერთი იოანე, ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს (744-750) მიერ ნაკურთხი იქნა ქართლის კათალიკოსად. ზემოთ აღნიშნულ ცნობებს გვაწვდიან XI საუკუნეში მოღვაწე ბერები ეფრემ მცირე და ნიკონ შავმთელი, რომლებსაც უსარგებლიათ „ანტიოქიური ქრონოგრაფით". გარკვეული განსხვავებით იმავე ცნობებს იმეორებენ XVII საუკუნის ანტიოქიის პატრიარქი მაკარი და მომდევნო საუკუნეში მცხოვრები ანტიოქიელი მღვდელი მიქაელ ბრეკი.

თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ იოანეს კათალიკოსად ხელდასხმის შესახებ ძალზე საინტერესო მასალებს შეიცავს სიმონ დე სენ კვენტინის „თათართა ისტორია", რომელიც ბოლო ხანებში თარგმნა ქართულ ენაზე დავით ნინიძემ და, სადაც მრავალი მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული. არაერთმა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა იმსჯელა ზემოთდასახელებულ საკითხზე, მათ შორის კალისტრატე ცინცაძემ, კირიონ საბაგლიშვილმა, ევსევი ნიკოლაძემ, ალექსანდრე ცაგარელმა, თედო ჟორდანიამ, ბაბილინა ლომინაძემ. აღნიშნულ საკითხს 1991 წელს ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა ვახტანგ გოილაძემ.

744-750 წლებში თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ ქართლის კათალიკოსის კურთხევის შესახებ გვაწვდის ცნობებს ეფრემ მცი-

რის შრომა „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა შინა მოიხსენების," რომლის რამდენიმე ხელნაწერი არსებობს. ეფრემ მცირეს ქართული თარგმანი შემდეგი შინაარსისაა: "დღეთა კონსტანტინე სკორის მოსახელისათა, ანტიოქიის პატრიარქობასა ნეტარისა თეოფილაქტესსა, მოვიდეს ქართლით მოციქულად მონაზონნი ორნი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელ-მოწამისა ანტიოქიელ პატრიარქისა არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერვინ იკადრებს სვლად. ხოლო მან ბჭობითა კრებისათა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვისთა თანა მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს განხსნითი, რათა თვით მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ხელნი დაესხმოდინ ჟამად-ჟამადსა კათოლიკოსსა ქართლისასა, რაიცა საღმრთომან მადლმან უჩუენოს მათ და რომელი გამოირჩიონ მოყუასთა მის ეკლესიისათა თანადგომითა და წამებითა ეპისკოპოსთაითა წესთაებრ საეკლესიოთა და შეუქმნა მათ აღწერით მოსახსენებელი თავისა თვისისათვის და მუნ შემოკრებულისა კრებისათვის, და ხელთ-დასხმულ ყო ერთი ორთა მათ მისსა მოვლინებულთა მონაზონთაგანი სახელით იოანე მის ჟამისა კათალიკოსად მათდა" (ეფრემ მცირე, 1959:9).

როგორც ვხედავთ, საქართველოდან ანტიოქიაში გაგზავნილიქნა ორი მონაზონი, რომლებმაც ანტიოქიის პატრიარქს თავიანთი გასაჭირის შესახებ მოუთხრეს. წყაროში მოხსენიებულნი არიან იმპერატორი კონსტანტინე კოპრონიმი და ანტიოქიის პატრიარქი თეოფილაქტე, რომელთა დროს ქართლიდან გაიგზავნა მონაზვნები, რომელთაგან ერთ-ერთი, იოანე, ქართლის კათალიკოსად იქნა ხელდასხმული. რეალობას მოკლებულია შემდეგი ცნობა „რამეთუ დღითაგან ნეტარისა ანასტასი მღვდელ-მოწამისა

ანტიოქიელ პატრიარქისა არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა". ამასთან დაკავშირებით აყალიბებს აზრს ბ. ლომინაძე: მღვდელ-მოწამე ანასტასში იგულისხმება ანტიოქიის პატრიარქი ანასტასი II (602-610), თითქოს ამ დროიდან შეწყვეტილი იყო ქართველების გამგზავრება აგარიანთაგან გზის სიძნელის გამო, რადგან ანტიოქია არაბებმა დაიპყრეს 635 წელს, ხოლო საქართველოში არაბები გამოჩნდნენ 642-643 წლებში (ლომინაძე,1999:34).

შესაბამისად, „ანტიოქიის ქრონოგრაფის" ცნობები ეწინააღმდეგება ასევე ქართულ წყაროებს, თუკი ანასტასი ანტიოქიელის მოღვაწეობიდან თეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობამდე „არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი". გამოდის, რომ მთელი 140 წლის მანძილზე ქართულ ეკლესიას კათალიკოსი არ ჰყავდა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით 16 კათალიკოსი მოღვაწეობდა მცხეთის საკათალიკოსო ტახტზე. ამასთანავე „ქართლის ცხოვრების" ცნობით, VI საუკუნის 20-იანი წლებიდან „არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით" და ქართლის კათალიკოს საბას მოღვაწეობიდან (დაახლოებით 523 წლიდან) ეკლესიის მეთაურის ტახტზე ქართველები ადიოდნენ.

თეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობის პერიოდში ანტიოქიაში ჩატარებულა საეკლესიო კრება, სადაც ქართველებმა მოიპოვეს პროტრეპტიკონი, ანუ უფლება, რათა ქართლის კათალიკოსის ხელდასხმა მომხარიყო საქართველოშივე ქართველი მღვდელმთავრების მიერ. მაშასადამე, „თეოფილაქტე ანტიოქიელმა ის დადგენილება თვითონვე დაარღვია, რადგან მან ქართლის კათალიკოსი ამ კრებაზევე აკურთხა, რის საჭიროება სრულებით არ იყო" (იქვე: 35).

თეოფილაქტე ანტიოქიელმა ქართველებს „შეუქმნა აღწერითი მოსახსენებელი თავისა თვისისათვის", ხოლო შემდეგ ერთ-ერთი

მონაზონი სახელად იოანე კათალიკოსად აკურთხა, თუმცა ყოველივე ამის გამო მათ დაუწესა „რაითა წლითიწლად მოსცემდნდნენ ჟამად-ჟამადთა პატრიარქთა ანტიოქიისათა ათასსა დრაჰკანსა". ეფრემ მცირის ცნობით, ქართველები ათას დრაჰკანს იხდიდნენ ანტიოქიის პატრიარქ იოანე III-ის (996-1021) მოღვაწეობამდე. ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის (976-1025) დახმარებითა და ანტიოქიის პატრიარქ პეტრე II-ის სურვილით, საქართველოს ეკლესიის შემოსავალი გადასცემია იერუსალიმის პატრიარქ ორესტის (986-1006). ასევე VIII საუკუნიდან საქართველოში ეფრემის ცნობით დაწესებულა ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიება, ხოლო „უკეთუ გამოჩნდეს წვალებაი, მაშინღა მიავლინებდეს მუნ ექსარხოსსა განხილვად და განმართვად წვალებათა და ცთომათა სულიერთა, ვითარ იგი ნეტარისა თეოდორე პატრიარქისა დღეთა წარივლინა ბასილი ღრამატიკოსი წვალებისათვის აკაკთაისა". როგორც ისტორიკოსმა ვ. გოილაძემ გამოარკვია:

1. ქართული საისტორიო მასალით არ დასტურდება თეოფილაქტეს დროიდან საქართველოში წირვა-ლოცვის დროს ანტიოქიის პატრიარქის მოხსენება.

2. არავითარი ცნობა არაა XI ს-ის საქართველოში არსებულ მწვალებლობათა გამო ანტიოქიიდან რომელიმე სასულიერო პირის, ანდა ბასილი გრამატიკოსის ჩამოსვლის შესახებ (გოილაძე, 1991:154).

ეფრემ მცირის მიერ ამოღებული ინფორმაცია „ანტიოქიური ქრონოგრაფიდან", მრავალ არარეალურ და ტენდენციურ ცნობას შეიცავს და ხშირად წარმოადგენს უფრო ბერძნების დაუოკებელ სურვილს, რათა შექმნან „კანონიკური საფუძველი" და ქართული ეკლესია თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფად წარმოადგინონ. ამის გამო, ეფრემ მცირის თხზულებაში ბევრი რამ ურთიერთსაპირისპიროდ არის წარმოადგენილი, მიუხედავად ამისა, თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ იოანეს ქართლის კათალიკოსად კურ-

თხევას საეჭვოდ ვერ მივიჩნევთ. აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მონათხრობი ამბავი მთელი ასი წლით ადრე ადარნასე I-ის ერისმთავრობის (603-639) პერიოდში არის ჩასმული: „და მოკუდა კათალიკოსი ბართლომე, და ამან ადარნასემ დასუა კათალიკოსად იოანე“ (ქ. ცხ.I.226). ეს აშკარა შეცდომაა, რადგან, გარდა-ქრონოლოგიური შეცდომისა, აქ ნათლადაა მითითებული, რომ ადარნასე ერისმთავარს დაუსვამს კათალიკოსად იოანე. ჩანართის ტექსტი ოდნავ განსხვავებულია ეფრემ მცირეს თხზულების ტექსტისაგან: „და წარგზავნეს ანტიოქიას და მის თანა მონაზონი ერთი მოციქულთაცა და საკურთხეველთაცა. რამეთუ განწესებულ იყო კურთხევა ანტიოქიით კათალიკოსისა და ვერღარავის ხელეწიფებოდა სვლად გზასა ანტიოქიისასა. ამისთვის დიდი ზრუნვა აქუნდა ქართველთა... ხოლო ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა და განთავისუფლდა მათგან კათალიკოსი. რამეთუ ხელქვით აღარ არის პატრიარქთა, აღარც აკურთხევენ, არამედ თვისნი ეპისკოპოსნი აკურთხევენ და მიერითგან განეფინა ქვეყანასა ზედა, ვითარმედ განთავისუფლდა კრებასა შინა ანტიოქისასა“ (იქვე: 226). ჩანართში არ არის საუბარი ანტიოქიის პატრიარქიის მოხსენიებაზე და ათასი დრაჰკანის გადახდაზე. პირიქით, ხაზგასმულია, რომ ანტიოქიის აღნიშნულ კრებაზე განთავისუფლდა ქართლის კათალიკოსი და მას უკვე არანაირი ვალდებულება აღარ ჰქონდა ანტიოქიის პატრიარქთან. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართში საუბარია ასევე ამ პერიოდში იოანე გუთელი ეპისკოპოსის მცხეთაში კურთხევაზე.

„მაშინ უკვე იოანე გუთელი ეპისკოპოსი თვისისა სამწყსოსა და ერისა მიერ მოივლინა ქართლად, და ქართლისა კათალიკოსისა იოანეს მიერ მიიღო ხელდასხმა მცხეთას, რამეთუ მას ჟამსა საბერძნეთისა კერძონი ხატთა ბრძოლისა წვალებასა დაეპყრნეს“. აშკარაა, რომ ჩანართის ავტორმა იცის იოანე გუთელის მცხეთაში ხელდასხმის ამბავი, რომ სწორედ ქართლის კათალიკოს იოა-

ნეს მიერ განხორციელდა იოანე გუთელის კურთხევა. იოანე ქართლის კათალიკოსი კი სწორედ ის იოანეა, რომელიც თეოფილაქტე ანტიოქიელმა აკურთხა 744-750 წლებში. თ. ჟორდანია მიიჩნევდა, რომ ამ ჩანართის ავტორი თეიმურაზ ბატონიშვილია. ეფრემის ჩანართი თითქმის სიტყვა-სიტყვით შეტანილია (ქართლის ცხოვრებაში, I. გვ.171) როგორც ეფრემის წერილითგან, მაგრამ არა ვახტანგის მიერ (წინააღმდეგ ექ. თაყაიშვილის რწმუნებისა), არამედ შემდეგ ვახტანგისა, ვგონებ, თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ (ქრონიკები, I. 1892:78).

ისტორიკოსი ვ. გოილაძე მიიჩნევს, რომ 744-750 წლებში საქართველოს კათალიკოსად ხელდასხმული იოანე დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) პირველ (ავტოკეფალურ) კათალიკოსად უნდა იქნეს მიჩნეული. მისი მოღვაწეობა 744 წლის შემდგომ ხანაზე მოვა (გოილაძე, 1991:169,170). ეს ვარაუდი გაიზიარა მიტროპოლიტმა ან. ჯაფარიძემ: „744-750 წლებში თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად იოანეს ხელდასხმის შესახებ ცნობა, ჩანს, „ანტიოქიურ ქრონოგრაფში“ შევიდა და, როცა XI საუკუნეში მას ეფრემ მცირემ მიაკვლია, მთელი საქართველოს ეკლესიაზე გავრცელდა“ (ჯაფარიძე, 2009:506).

თავდაპირველად ჩვენც ვიზიარებდით აღნიშნულ მოსაზრებას, მაგრამ მომდევნო კვლევებმა გვიჩვენა, თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ ნაკურთხი იოანე შეუძლებელია, აფხაზეთის კათალიკოსი ყოფილიყო.

ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი (1648-1672) შემდეგ ცნობებს გვაწვდის: „ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს, აფხაზეთის მეფემ დავითმა ანტიოქიაში ეპისკოპოსად ხელდასასხმელად გაგზავნა რამდენიმე პირი, რომელთაც გზაზე ყაჩაღები დაჰხვდნენ და დახოცეს. ორი მათგანი გადარჩა. ისინი ჩავიდნენ ანტიოქიაში, გზაში მომხდარი მოუთხრეს თეოფილაქტეს და ამცნეს, რომ მათი ქვეყანა ძალიან შეწუხებულია, რომ არ ჰყავთ ისე-

თი პიროვნება, რომელიც მათთვის ეპისკოპოსებს აკურთხებს. თეოფილაქტემ მოიწვია კრება, სადაც გადაწყდა, აფხაზეთისთვის დაენიშნათ დამოუკიდებელი კათალიკოსი“ (Жузе, 1905:9-10). ამის შემდეგ ანტიოქიის პატრიარქს მათთვის მიუცია სიგელი და წილის ყრის შემდეგ ერთი მათგანი, იოანე, კათალიკოსად აკურთხა. შემდეგ მაკარიოსი საუბრობს საქართველოში მწვალებლობის აღმოცენებაზე და ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსის (970-975) მიერ თავისი პირადი მდივნის ბასილის გამოგზავნის შესახებ. მაკარიოსს აღნიშნული ცნობები „ანტიოქიური ქრონოგრაფიდან“ უნდა ჰქონდეს ამოღებული. თეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობის პერიოდში, 744-750 წლებში, აფხაზეთის სამეფო ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. ამიტომ აფხაზეთის მეფე დავითის მიერ ანტიოქიაში ელჩების გაგზავნა საეჭვო უნდა იყოს. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ცენტრები ისტორიკოს ბ. კუდავას აზრით, ნოტაციებისა და არსებული წყაროების მონაცემების თანახმად, „როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან IX საუკუნის 80-90-იან წლებში გამოვიდა“ (კუდავა, 2002:43).

აქედან გამომდინარე ძნელი წარმოსადგენია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული საეკლესიო ცენტრები ჯერ კიდევ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სამეფოს დაარსებამდე გამოსულიყო ბერძნული ეკლესიის იურისდიქციიდან. სავსებით გასაგებად შენიშნავს ბ. კუდავა, რომ დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა სამეფოს) პოლიტიკურ დამოუკიდებლობას უშუალოდ არ მოჰყოლია ეკლესიის დამოუკიდებლობა (იქვე:26). ეფრემ მცირე თავის შრომაში გარკვევით მიუთითებს, რომ „მოვიდეს ქართლით მოციქულად მონაზონნი ორნი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითა-

გან ნეტარისა ანასტასი მღვდელ-მოწამისა ანტიოქიელ პატრიარქისა არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი სიძნელისათვის გზისა“. ტექსტში ნათლად არის გადმოცემული, რომ საუბარია ქართლზე: „მოვიდეს ქართლით“. ასევე ქართლიდან ჩასულმა ორმა მონაზონმა ფეოფილაქტეს აუწყა, რომ გზის სიძნელის გამო არ არის ნაკურთხი მათი კათალიკოსი ანტიოქიის პატრიარქ ანასტასის დროიდან. სავსებით ცხადია, რომ აქ საუბარია ქართლის კათალიკოსზე, რადგან VII საუკუნეში პატრიარქ ანასტასიის (602-610) მოღვაწეობის წლებში აფხაზეთის კათალიკოსის არსებობა გამორიცხულია. ვფიქრობთ, აღნიშნული დასკვნა რეალური უნდა იყოს, ამის საფუძველზე კი მიუღებელი იქნება ზემოთ აღნიშნული მოსაზრების გაზიარება-თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ იოანეს აფხაზეთის პირველ ავტოკეფალურ კათალიკოსად კურთხევა. ამასთანავე, აფხაზეთის კათალიკოსის ხელდასხმა ვერ მოხდებოდა ანტიოქიის პატრიარქის მიერ, რადგან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საეკლესიო ცენტრები კონსტანტინეპოლის პატრიარქის დაქვემდებარებაში შედიოდა. ამიტომ ბუნებრივია, საეკლესიო კანონიკიდან გამომდინარე, აფხაზეთის კათალიკოსს ხელდასხმა სწორედ კონსტანტინეპოლის პატრიარქისგან უნდა მიეღო. ვ. გოილაძე მიიჩნევს, რომ „744 წლის ახლო ხანებში ქართლის კათალიკოსთა შორის იოანეს სახელის მქონე პიროვნება არ ჩანს. თეოფილაქტეს მიერ ხელდასხმული იოანე აფხაზეთის კათალიკოსად უნდა იქნეს მიჩნეული“ (გოილაძე, 1991:169).

თუმცა ეს მოსაზრება საეჭვო უნდა იყოს, რადგან საქართველოს ეკლესიის მამათმთავართა სიაში ქართლის კათალიკოს წმიდა მამაის (731-744) მომდევნო კათალიკოსია იოანე III (744-760). ამ ფაქტს ადასტურებს X საუკუნის ძეგლი შატბერდის კრებული, რომელშიც ჩართულია „მოქცევაი ქართლისაი“, სადაც მოცემულია ქართლის კათალიკოსთა ჩამონათვალი. „ხოლო კათალიკოზნი, რომელ ევნონითგან მომართ იყვნეს: თავაფეჩაგ, ევლალე, იოველ,

სამოველ, გიორგი, კვირონ, იზიდ-ბოზიდ, თეოდორე, პეტრე, ესე ცხრანი ცოლოსანნი იყვნენ. მერმე: მამა, იოვანე, გრიგოლ, კლემენტოს, სარმეან, თალალე, სამოველ, კირილე, გრიგოლ" (შატბერდის კრებული, 1979:327). კათალიკოს მამაის შემდეგ ქართლის კათალიკოსად იოანეა წარმოდგენილი. სწორედ ეს იოანე აკურთხა ქართლის კათალიკოსად თეოფილაქტე ანტიოქიელმა, ხოლო იოანეს მოუხსენიებლობა „ქართლის ცხოვრებაში" გასაკვირი არ უნდა იყოს. ს. კაკაბაძე შენიშნავს, რომ მოსე კალანკატუელი იხსენიებს ქართლის კათალიკოზს თალილეს, რომელიც ალბანელთა კათალიკოზის მიქაელის თანამედროვე იყო, მიქაელ ალბანთა კათალიკოზი ზეობდა 707-744 წლებში. ჩვენის ქრონოლოგიით 733 წლიდან ქართლის კათალიკოზად მამაი იჯდა, თალილეს კათოლიკოსობა დაახლოებით საგულისხმებელია 710-730 წლის ახლო ხანაში, თალილე უცნობია ქართულ წყაროებში. ცნობილია კიდევ უწინარეს VIII ს-ის ნახევრისა „პამა ქართლის კათალიკოზი". ეს პამაც უცნობია სხვა წყაროებში. თალილეს და პამა კათალიკოზის მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, რომ ჩვენ არ გვაქვს VII- VIII საუკუნეების ქართლის კათალიკოსთა შესახებ საკმარისი ცნობები. (კაკაბაძე, II. 1928:52). მიუხედავად ამისა კათალიკოს იოანეს შესახებ საკმარისი ცნობები მაინც შემორჩა. ვფიქრობთ, ქართლის კათალიკოსთა მოღვაწეობის წლები რეალობას სავსებით მიახლოებულია და თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ ნაკურთხი იოანე სწორედ ზემოთ დასახელებული ქართლის კათალიკოსი იოანე III არის, რომლის მოღვაწეობის წლებიც ემთხვევა თეოფილაქტეს მოღვაწეობის წლებს.

თედო ჟორდანიაც თვლიდა, რომ კათალიკოს მამაის შემდეგ ქართლის საკათალიკოსო ტახტზე იოანე კათალიკოსი იჯდა. „კათალიკოზი „მამა" ჩანს ქართლის მოქცევის ქრონიკის კათალიკოზთა სიაში იოანეს კათალიკოზის წინ, რომელიც სცხოვრობდა ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს დროს და ამისგანც ეკურ-

თხა... ეს ის იოანეა, რომელიც მოხსენიებულია ეფრემის წერილში და რომლის დროს სრული თავისუფლება მიენიჭა საქართველოს თეოფილაქტე პატრიარქის დროს (ჟორდანია, 1892:74;78). იმავეს ადასტურებს 2000 წელს აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქტორობით გამოცემული წიგნი „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“. ქართლის კათალიკოსი იოანე III კათალიკოსად აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა თეოფიალაქტემ. ამავე კათალიკოსის მიერ უნდა იყოს ხელადსხმული იოანე გუთელი ეპისკოპოსი (საქ. კათოლიკოს-პატრიარქები,2000:34). ქართულ ცნობებთან შესაბამისობაშია „იოანე გუთელის ცხოვრება“ რომელიც ადასტურებს იოანეს საქართველოში ჩამოსვლის ამბავს.

754 წელს გუთების ეპისკოპოსმა იოანემ იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმის დარწმუნებით კონსტანტინეპოლში ხელი მოაწერა ხატმებრძოლების გამოტანილ განაჩენს, ამის გამო იგი გადაიყვანეს ჰერაკლიის მიტროპოლიტად. ადგილობრივმა მოსახლეობამ მწვალებლის ადგილზე აირჩია იოანე (Министерства народн.просв. 1873:65). იერუსალიმიდან იოანე გუთელი დაბრუნდა გუთეთში, საიდანაც ადგილობრივმა მოსახლეობამ იგი საქართველოში (ივერიაში) გააგზავნა, რათა საკათალიკოსო ტაძარში ქართლის კათალიკოსის მიერ ხელდასხმული ყოფილიყო ეპისკოპოსად. „იოანე გუთელის“ ცხოვრებაში მისი საქართველოში წამოსვლა თარიღდება 758-760 წლებით (Министерства народн. просв.1878:65). აფხაზეთის კათალიკოსის მიერ იოანე გუთელის ხელდასხმა, როგორც აღვნიშნეთ, საეჭვოდ უნდა იქნეს მიჩნეული, ამ მოსაზრებას იზიარებს ისტორიკოსი ბ. კუდავაც. რადგან იერუსალიმის პატრიარქს არ ჰქონდა იოანე გუთელის კურთხევის უფლება, მით უფრო ნაკლები უფლება ექნებოდა იოანეს კურთხევისა აფხაზეთის კათალიკოსს, თუკი მის არსებობას დავუშვებთ ამ პერიდისათვის (რაც, ჩვენის აზრით, მთლიანად გამორიცხულია, არავითარი ოდნავ მაინც მყარი ინფორმაციის არარსებობის გამო).

აფხაზთა კათალიკოსი ხომ თავად უნდა დამორჩილებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქს და მის მიერ ხალდასხმას, მით უმეტეს, არ ექნებოდა იურიდიული ძალა... ვფიქრობთ, იოანეს არჩევანი მცხეთაზე სრულიად ლოგიკურად შეჩერდა, თუმცა მცხეთაში მის კურთხევასაც საეკლესიო სამართლის თვალსაზრისით იურიდიული ძალა ნაკლებად უნდა ჰქონოდა. (კუდავა, 2002:41). ბ. კუდავას მსჯელობა სავსებით მისაღებია და იოანე გუთელის მცხეთაში ხელდასხმა რეალური ფაქტი უნდა იყოს, რასაც ასევე ადასტურებს ქართული წყაროებიც.

გიორგი მთაწმინდელმა XI საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას აღნიშნა, რომ „ყოველსა საბერძნეთსა შინა“ მართლმადიდებლობა არ იპოვებოდა, ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გუთების ადგილობრივმა მოსახლეობამ დაუშვა გამონაკლისი და მათთვის ეპისსკოპოსად საკუთრხებელი კანდიდატი მცხეთაში გააგზავნა. ამასთანავე, გეოგრაფიულადაც გუთების ეპარქია ყირიმში მდებარეობდა და საქართველოში მისი გამომგზავრება სავსებით ლოგიკური ჩანს, კირიონ საძაგლიშვილი თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ: „მცხეთის საპატრიარქო ტაძარში სვეტიცხოველში 758 წლის 26 ივნისს ქართველმა კათალიკოსმა იოანემ აკურთხა“ იოანე გუთელი (ქართული მწერლობა, ტ.23. 2005:247). აღნიშნული ცნობა კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოუღია, თუმცა საიდან ისარგებლა ზემოთ მოტანილი წელი, თვე და რიცხვი, გაურკვეველია. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით კი 758 წელს, ქართლის კათალიკოსის ტახტი იოანე III-ს (744-760) ეკავა. ასევე გარკვევით ამბობს გიორგი მთაწმინდელი: „იოანე გუთელი ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა“ (საბინინი, 1882:463). საქართველოს ეკლესიის ისტორიის ბრწყინვალე მცოდნემ, გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას მოიშველია დიდი სვინაქსარი, რომელშიც აღიარებუ-

ლი ყოფილა, რომ იოანე გუთელი ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა. იგივე ცნობას გვაწვდის „ქართლის ცხოვრების“ ჩანართი: „იოანე გუთელი ეპისკოპოსი თვისისა სამწყსოსა და ერისა მიერ მოივლინა ქართლად და ქართლისა კათალიკოსისა იოანეს მიერ მიიღო ხელთდასხმა მცხეთას“ (ქ. ცხ. I:227).

ალბათ სადავო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ თეოფილაქტე ანტიოქიელმა 744-750 წლებში, ანტიოქიაში ხელი დაასხა ქართლის კათალიკოსად იოანეს, რომელმაც შემდეგ აკურთხა იოანე გუთელი ეპისკოპოსი. როგორც თ. ჟორდანია შენიშნავდა, VIII საუკუნეში კვლავ მოხდა დადასტურება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა. ამ დროს საბოლოოდ განთავისუფლდა ქართული ეკლესია ანტიოქიის ზეგავლენისაგან. ამ დროიდან კათალიკოსებს ირჩევდნენ და აკურთხევდნენ კიდევაც მცხეთაში (Жорданиа, 1905:12). კალისტრატე ცინცაძის აზრით, ავტოკეფალია VIII საუკუნეში მიიღეს, თუმცა ეს არ იყო სრული დამოუკიდებლობა. ქართველებს ჰქონდათ უფლება კათალიკოსთა არჩევისა და კურთხევისა ადგილობრივი მღვდელმთავრების მიერ.(Цинцадзе, 1906:38). ამასთან დაკავშირებით ბ. ლომინაძე მიიჩნევდა, რომ ისტორიოგრაფიულმა კვლევამ (ნ. მარი, კ. ცინცაძე) ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში გაარკვია, რომ ანტიოქიური ცნობების სიტყვა-სიტყვით ჭეშმარიტებად მიღება არ შეიძლებოდა, თუმცა მათი მთავარი ღირებულება იმაშია, რომ ისინი ადასტურებენ ანტიოქიის საპატრიარქო კრების დადგენილების არსებობას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე (ლომინაძე,1999:34).

„ანტიოქიური ქრონოგრაფის“ განსაკუთრებული ღირებულება იმაშია, რომ იგი ადასტურებს ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს მიერ წერილობითი დოკუმენტის გაცემას, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ამ ფაქტს ადასტურებს ასევე ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი. „ანტიოქიური ქრონოგრაფის“ მიხედვით, თეოფილაქტეს მიერ ნაბოძები პროტრეპტიკონი ავალ-

დებულებდა ქართული ეკლესიის მესვეურებს, რათა მსახურებაზე მოეხსენიებინათ ანტიოქიის პატრიარქი. იხსენიებდნენ თუ არა ანტიოქიის პატრიარქს საქართველოში მსახურებაზე? კ.კეკელიძე ამ საკითხის განხილვისას მიუთითებს, რომ „ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში არც XI საუკუნემდე და არც XI საუკუნის შემდგომაც ანტიოქიის პატრიარქის სახელს ვერსად ვხვდებით. ქართული ეკლესია ჯერ კიდევ IX საუკუნეში, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის პერიოდში, გახდა მთლიანად თავისუფალი და დამოუკიდებელი (კეკელიძე. 1961:255). ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე საუბრისას ერთი რამ ნათლად ჩანს, ბერძნული ეკლესიის მესვეურები თითქმის ყოველთვის ცდილობენ, წარმოადგინონ საქმე ისე და „კანონიერი“ საფუძველი მისცენ, თითქოს ქართული ეკლესია დამოუკიდებელია, მაგრამ მას გარკვეული ვალდებულებები აკისრია ანტიოქიის საპატრირქოსადმი. იქნება ეს „ათასი კომლის გადასახადი“, ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიება მსახურებაზე თუ საქართველოში ანტიოქიის პატრიარქის პირადი წარმომადგენლის გამოგზავნა. ხშირ შემთხვევაში კი, როგორც ეს მეცნიერულმა გამოკვლევებმა აჩვენა, ეს არის ბერძნების ამბიციური სურვილი, ისტორიული რეალობა კი სულ სხვა ფაქტებს გადმოგვცემს. VIII საუკუნის შემდეგაც მათი ეს მისწრაფება არაერთხელ გამოვლინდა.

არის კიდევ ერთი გასარკვევი საკითხი, რომელზეც მსჯელობა დღემდე არ ყოფილა. XVII საუკუნის ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი (1648-1672) საუბრობს, რომ თეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობის წლებში აფხაზეთის მეფე დავითმა ანტიოქიაში ხელდასასხმელად მრავალი პიროვნება გააგზავნა. 744-750 წლებში აფხაზეთის სამეფო ჯერ კიდევ არ არსებობდა. აფხაზეთის პირველი მეფის ლეონ II-ის მეფობას 754-758-798 წლებზე ვარაუდობენ. ასე რომ, მაკარიოსის ცნობა პირდაპირი გაგებით შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რადგან თეოფილაქტეს მოღვაწეობის პერიოდში ჯერ

არ იყო ჩამოყალიბებული აფხაზეთის სამეფო, ასევე დავით მეფის სახელის მქონე პიროვნება VIII საუკუნეში არსად იხსენიება. ისმის კითხვა: მაკარიოსს ხომ არ ჰქონდა მხედველობაში საქართველოში მოღვაწე სხვა მეფე, რომელიც ანტიოქიაში გააგზავნიდა წარმომადგენლებს? შესაძლებელია თუ არა, რომ ანტიოქიაში თავისი წარმომადგენლები გაეგზავნა წმიდა მეფე არჩილს? 735 წელს საქართველოს უზარმაზარი არმიით შემოესია მურვან-ყრუ, არაბებთან უთანასწორო ბრძოლას შეეწირა არჩილ მეფის ძმა მირი, რომელიც მტერთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა დაახლოებით 738 წელს. მის შემდგომ კი სამეფო ტახტი დაიკავა არჩილ მეფემ (738-762). „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს არჩილ მეფისა და აფხაზთა მთავრის ლეონ II-ის შეთანხმების ამბავს: „ხოლო არჩილ მოუწოდა ლეონს და ჰრქუა: კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ... წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს“ (ქ.ცხ.I:242). როგორც ვხედავთ, არჩილ მეფე დამკვიდრდა ქუთაისში, ქალაქში, რომელიც რამდენიმე წელიწადში აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი გახდა. არჩილ მეფემ საკმაო ხანი დაჰყო ქუთაისში „წარმოვიდა არჩილ და დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე შორაპნამდე... და წარხდა ამათ შინა წელიწადი თორმეტი და იწყო შენებად ქართლმან“. „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული ცნობით არჩილ მეფე ეგრისში იმყოფებოდა (738+12=750) 12 წლის განმავლობაში, ე.ი. თეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობის პერიოდში ეგრისისს ანუ დასავლეთ საქართველოს განაგებდა არჩილ მეფე. მ. ლორთქიფანიძე გარკვევით გვაუწყებს, რომ VIII საუკუნის შუა წლების მოღვაწე არჩილი მეფეა და ის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფეა (ლორთქიფანიძე. 1963:124;125). [2]

2. 744-750 წლებში თუ არჩილი გაერთიანებული (თუნდაც ფორმალურად) ქართლ-ეგრისის სახელმწიფოს მეთაური (რომლის ვასალი გახდა „ერისთავი კეისრისა“ ლეონი) არა, მისი მემკვიდრე იოვანე (სწორედ ის იხსენიება ეგრისის მმართველად არჩილის გარდაცვალების შემდეგ (პაპასქირი. 2006:204). აღსანიშნავია, რომ ქარ-

ისტორიკოსი თ. ბერაძე აღნიშნავს, რომ არჩილ მეფე 739 წლიდან მამის-სტეფანოზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ავიდა ტახტზე. სტეფანოზ ერისმთავრის გარდაცვალების შემდეგ ეგრისის სამეფო მცირე ხნით აღდგა. არჩილის მმართველობა ეგრისში, თორმეტი წელი გაგრძელდა, შემდეგ ის იძულებული გახდა ჯერ ქართლში, შემდეგ კახეთში გადასულიყო (ბერაძე. 1999:120). ნათელია, რომ თეოფილაქტე ანტიოქიელის დროს 744-750 წლებში, არჩილი განაგებდა დასავლეთ საქართველოს.

მკვლევარი ვ. ზარიძე კი თავის ნაშრომში გვაუწყებს, რომ „არჩილის სამეფოში მთელი საქართველო იყო გაერთიანებული. არჩილის სახელმწიფო დასახელებულ დროს მოიცავს ტერიტორიას ნუხიდან (დღევანდელი შაქი) მდინარე ჭოროხის საზღვრებამდე. მიუხედავად ქართული მიწების ხანმოკლე გაერთიანებისა, არჩილ მეორემ შექმნა ძლიერი არმია არაბთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთან, გაატარა რა ქართული ეკლესიის მისეული რეფორმა, ეკლესია გამოეყო ანტიოქიის პატრიარქს და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. (ვ. ზარიძე, 2004:23). ჯერ კიდევ 2004 წელს გამოთქვა ეს მოსაზრება ვლადიმერ ზარიძემ, არჩილ მეფის მიერ ქართულ ეკლესიაში გატარებული რეფორმის შესახებ, რომლის დროსაც ქართული ეკლესია განთავისუფლდა ანტიოქიის ეკლესიის დამოკიდებულებისაგან, რადგან 744-759 წლებში ერთიანი საქართველოს მეფე არჩილ II იყო, შესაბამისად შესაძლებელია, ის იყო მეფე, რომელმაც ანტიოქიაში გაგაზავნა კათალიკოსად ხელდასასხმელი პირები. არჩილ მეფეს ამისი ყოველგვარი შესაძ-

---

თველ წმინდანთა ცხოვრებასა და საქართველოს ეკლესიის კალენდარში არჩილ მეფის მოწამეობრივი გარდაცვალება შეცდომით 744 წლით თარიღდება, რაც არ არის სწორი, რადგან ამ წელს არჩილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მისი მოწამეობრივი აღსასრული სავარაუდებელია 750-იანი წლების ბოლოს ან 760-იანი წლების დასაწყისში. ვფიქრობთ არჩილ მეფის მოწამეობის წელი გადახედვას ექვემდებარება.

ლებლობა ჰქონდა. „არჩილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ფრიად თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეა. მის სახელთან არის დაკავშირებული განმათავისუფლებელი ბრძოლა ქართველებისა არაბთა მძლავრობის წინააღმდეგ. მის დროს, და ნაწილობრივ მისი ენერგიული მცდელობის შედეგად, მთავრდება გარკვეული ეტაპი ქართული ფეოდალური კულტურის მძლავრი ნაკადების გავრცელებისა, როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით, და შესაბამისად, მისი მეტოქეობისა, ერთი მხრივ, ბერძნულ და, მეორე მხრივ, სომხურ-ალვანურ ქრისტიანულ კულტურებთან. არჩილის ზეობის დროს აფხაზეთი საბოლოოდ შემოვიდა ქართულ კულტურულ, სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში. ასევე ჰერეთი და ტაოც უბრუნდება ქართულ სამყაროს (მუსხელიშვილი, 2003:387). არჩილ მეფის დაჟინებითი მცდელობებით გაერთიანებულა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, გაერთიანებულ ქვეყანაში კი, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა, საკითხი ქართული ეკლესია სრულიად თავისუფალი გამხდარიყო ბერძნული ეკლესიის დამოკიდებულებისაგან.

შეეძლო თუ არა არჩილ მეფეს ანტიოქიაში გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები? პირდაპირი ცნობა ამის შესახებ არ არსებობს. თუმცა შემორჩენილია ერთი ასეთი ცნობა: „დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ეპისკოპოსთა ცილობისაგან და ღმრთივგვირგვინოსანმან მეფემან არჩილ არა სათნო იჩინა და ხელ-ვყავით მე, გლახაკმან მიქაელ ქართლისა კათალიკოზმან და ვაკურთხეთ წმიდაი მირონი“ (ქართ.სამართ.ძეგლები. II. 1965:47). კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ მირონი იკურთხებოდა საქართველოში თეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობამდე. ამას მოწმობს ზემოთ აღწერილი ცნობა, ქართლის კათალიკოს მიქაელის მიერ მირონის დამზადების შესახებ. კ. კეკელიძის აზრით, მიქაელის მოღვაწეობა 720 წლამდე საეჭვოა. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება ამ პერიოდის ქართლის კათალიკოსთა ზუსტი სია. მაგრამ

უნდა შევნიშნოთ, რომ მიქაელის კათალიკოსობა არჩილ მეფის მოღვაწეობამდე არარეალური ჩანს, რადგან ცნობაში სავსებით ნათლად არის მითითებული, რომ არჩილ მეფის ბრძანებით განაჩინეს და დაამზადეს მირონი. ქართლის კათალიკოსთა სიაში კათალიკოსი მიქაელ II (774-780) წლებში იხსენიება. იგი წმიდა სარმეანე ქართლის კათალიკოსის შემდეგ მოღვაწეობდა. თუკი ისევ აღნიშნულ ცნობას დავუბრუნდებით და კრიტიკულად განვიხილავთ, აშკარად დავინახავთ, რომ მირონის დამზადება შესაძლოა, მიქაელის კათალიკოსაბამდეც ხდებოდა. „ეპისკოპოსებს შორის ხდებოდა ამბოხი და კონფლიქტი ადგილების განაწილებაზე მირონის კურთხევის დროს“ (კეკელიძე, 1961, VII:254). თუკი ქართლის მეფე არჩილს არ ექნებოდა არავითარი საფუძველი, ალბათ, ვერ უბრძანებდა ქართლის კათალიკოსს „ვითა ნიშანთა შეტყუებოდა“ მირონის კურთხევას. ხომ არ იყო არჩილ მეფე მაკარიოსის მიერ მოხსენიებული აფხაზეთის მეფე დავითი? ძნელია ამის თქმა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება მტკიცება იმისა, რომ თეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობის წლებში ეგრისის ანუ დასავლეთ საქართველოს მეფე არჩილი იყო. აღსანიშნავია, რომ ქართულ წყაროებში სწორედ წმიდა მეფე არჩილის მოღვაწეობის პერიოდში იხსენიება პირველად მირონის კურთხევა, რომელსაც ქართლის კათალიკოსი მიქაელი აკურთხებს. არ არის გამორიცხული, რომ ეს მოხდა სწორედ თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ მინიჭებული პროტრეპტიკონის საფუძველზე, რაც კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სისრულისა.

მირონის საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია, ავღნიშნოთ გიორგი მერჩულეს ცნობა - იერუსალიმის პატრიარქის განწესებითა და ეფრემ მაწყვერელის დამსახურებით ქართლში მირონის კურთხევის დაწესების შესახებ:„რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეფ-

რემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონის კურთხევაი ქართლს განეწესა იერუსალიმის პატრიარქის განწესებითა.“(ძეგლები.I. 1964:290). აღნიშნული ცნობა მეტად საყურადღებოა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი გარკვეულ გაუგებრობას ქმნის. თუკი ქართულმა ეკლესიამ მირონის კურთხევის უფლება, VI მსოფლიო 681 წლის საეკლესიო კრებაზე ან, უკიდურეს შემთხვევაში, თეოფილაქტე ანტიოქიელის (744-750) მოღვაწეობის ხანაში მოიპოვა, მაშინ რაღა საჭირო იყო IX საუკუნის შუახანებში მირონის კურთხევის უფლების გამოთხოვა იერუსალიმის პატრიარქისაგან?

ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველ მეცნიერებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ „შემდეგდროინდელ გადამწერს სწორად ვერ გაუხსნია ქარაგმა „ა-სა“, ქარაგმა „ა-სა“ კონტექსტის მიხედვით, უნდა გაიხსნეს „აფხაზეთისა.“(ჯაფარიძე,2009:513). ამ მოსაზრებას არ იზიარებს ისტორიკოსი გიორგი მჭედლიძე, რომელიც შენიშნავს: „ ძველი ქართულის უბადლო მცოდნე და ტექსტოლოგი ნ. მარი ქართულ ტექსტში აღმოსავლისას ბეჭდავს, რუსულად კი მას თარგმნის „Каталикоси вастока“, მაგრამ თუ დაუშვებთ, რომ ტექსტში მართლაც „აფხაზეთი“ იყო, მაშინ მრავლობით რიცხვში „კათალიკოსთა“ რაღა შუაშია. IX საუკუნის მეორე ნახევარში, რა დროის ამბებსაც ამ შემთხვევაში მერჩულე გადმოგვცემს, რამდენი კათალიკოსი ეყოლებოდა გამოცვლილი აფხაზეთს, ავტორს, რომ ისინი მრავლობითი რიცხვით მოეხსენებინა“(მჭედლიძე,კეზევაძე,2008:39). განსაკუთრებით ეჭვის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ფაქტი: თუკი აფხაზეთის საკათალიკოსომ მოიპოვა მირონის კურთხევის უფლება, ეფრემ მაწყვერელს, რომელიც მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდა, რა უფლება ჰქონდა , ჩარეულიყო აფხაზეთის საკათალიკოსოს საქმეებში? ინტერესს იწვევს „ანტიოქიის ქრონოგრაფის“ ცნობები - თითქოს ქართველები ანტიოქიის პატრიარქისადმი მირონის შესაძენად დათქმულ ფულად თანხებს

პატრიარქ იოანე III ანტიოქიელის (996-1021) დრომდე იხდიდნენ, რომელმაც აღნიშნული თანხა იერუსალიმის პატრიარქ ორესტის (986-1006) დაუთმო. ამასთან დაკავშირებით, ისტორიკოსი ვახტანგ გოილაძე აღნიშნავს, რომ: „გამორიცხული არაა, ბასილ II-ის თანხმობით იერუსალიმის პატრიარქს იმპერიის ფარგლებში მოქცეული იმ ქართული მიწების ეკლესიის შემოსავალი გადასცემოდა, რომელიც იმპერიამ 1001 წელს დავით III კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ მიიღო“(გოილაძე,2008:25).

ისტორიკოსი გიორგი მამულია კი ძალიან საინტერესოს უწოდებს ამ ფაქტს და აღნიშნავს, რომ, ვინაიდან ბაგრატიონები წარმოშობით იერუსალიმიდან ყოფილან, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფლება იერუსალიმის საპატრიარქოსთან კავშირის განმტკიცებისკენ მიისწრაფვოდა (მამულია.1992:83). რადგანაც ეს საკითხი კავშირშია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან, შემდგომში მისი კვლევა-ძიება განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენს.

უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე ახალი ინფორმაციის შემცველი ნაშრომი გამოაქვეყნა ისტორიკოსმა დავით ნინიძემ. სიმონ დე სენ კვენტინის „თათართა ისტორია“ ძალზე საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და მირონის კურთხევის შესახებ. რომის პაპმა ინოკენტი IV-მ გადაწყვიტა მონღოლებთან საგანგებო ელჩების გაგზავნა, რომლის სათავეში დომინიკანელი ბერი ასცელინი ჩააყენა. ასცელინს თან ახლდა სენ კვენტინი, რომელმაც შეადგინა ელჩობის ანგარიში. სიმონის ნაშრომის დედანი დაკარგულია. თუმცა იგი მანამდე თავის ენციკლოპედიურ ნაშრომში ჩართო ვინსენტ დე ბოვემ, (1190-1264). 1965 წელს ჟან-რიშარმა წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე ვინსენტ დე ბოვედან სიმონ დე სენ-კვენტინისეული ტექსტი გამოაცალკევა და შესაბამის გამოკვლევასთან ერთად გამოსცა. ელჩობაში

აღწერილი ამბები 1247 წლის მახლობელ პერიოდს ეხება. ბერებმა გარკვეული დრო თბილისში დაყვეს, სადაც სწორედ მაშინ ჩაიწერეს აღნიშნული ცნობები. „მოხდა ისე, რომ თურქეთში ომის გამო ქართველებმა პატრიარქთან ანტიოქიაში თურქეთის გავლით მისვლა ვერ მოახერხეს, რათა იგი მოენახულებინათ რწმენის განმტკიცებისა და სხვა საქმეების გამო. მაშინ ითათბირეს და ზღვით კონსტანტინეპოლის გავლით ანტიოქიაში ელჩობა გააგზავნეს, რათა მათ პატრიარქისთვის ერთი კათოლიკე საყოველთაო ეპისკოპოსის გაგზავნა ეთხოვათ, ვინც მათთან პატრიარქის ადგილს დაიჭერდა. ანტიოქიის პატრიარქმა მირონთან ერთად ერთ არქიეპისკოპოსს წერილი გაუგზავნა, სადაც ეწერა, რომ, ვისაც აირჩევდნენ, მას კათალიკოსის კანონიკური უფლება ეძლეოდა“ (ნინიძე, 2005:15).

რიგ შემთხვევებში სენ-კვენტინის ცნობები ემთხვევა ეფრემ მცირის თხზულებას „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“, რომელმაც ასევე გამოიყენა „ანტიოქიური ქრონოგრაფი“, ზოგ შემთხვევაში კი ცნობები განსხვავებულ ინფორმაციას გვაძლევს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობები თათბირისა და ზღვით კონსტანტინეპოლის გავლით ანტიოქიაში წასვლის შესახებ. ანტიოქიაში ზღვით გამგზავრება სავსებით უახლესი ინფორაციაა, ამიტომ, თუკი ამ ცნობას რეალურად მივიჩნევთ, გამოდის, რომ დასავლეთ საქართველოდან დელეგაცია წავიდა რომელიმე ზღვისპირა ქალაქიდან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არჩილ მეფე ეგრისის ორ მთავარ ქალაქში ციხე-გოჯსა და ქუთაისში ცხოვრობდა, არ არის გამორიცხული, აღნიშნული თათბირი, სწორედ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შედგა შემდეგ კი ქართული დელეგაცია ზღვით, კონსტანტინეპოლის გავლით ანტიოქიაში გაემგზავრა. საინტერესოა კიდევ ერთი ცნობა: ანტიოქიის პატრიარქმა ერთ არქიეპისკოპოსს წერილი გაუგზავნა მირონთან ერთად. „მადლიერმა ქართველებმა პატრიარქს

ასი კასალია უძღვნეს. „თუკი სიმონ დე სენ-კვენტინის და ეფრემ მცირის ცნობებს შევაჯერებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიმონიც ანტიოქიის საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას თეოფილაქტეს პატრიარქობის პერიოდში აღნიშნავს.“ (იქვე, 2005:20).

ქართული წყაროების მიხედვით, თეფილაქტე ანტიოქიელმა ქართულ ეკლესიას მიანიჭა პროტრეპტიკონი ანუ წერილობითი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ქართველებს შეეძლოთ თავადვე ეკურთხებინათ კათალიკოსი. მ. თარხნიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართველი ბერების თხოვნის შემდეგ თეოფილაქტე პატრიარქმა „სინოდის სიგელი“ გასცა. პატრიარქის წერილზე საუბრობს კ. ცინცაძე. ალბათ საეჭვო არ უნდა იყოს წერილობითი დოკუმენტის არსებობა, რომელიც ადასტურებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას. თუმცა ამ დოკუმენტს ჩვენამდე არ მოუღწევია და ალბათ ჟამთა სიავის გამო დაიკარგა.

ვფიქრობთ, ზემოთ მითითებული ცნობების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ საეკლესიო კანონიკის დაცვით VIII საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს (744-750) მმართველობის პერიოდში მოიპოვა სრული ავტოკეფალია. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართში გასაგებად არის მითითებული: „ხოლო ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა და განთავისუფლდა მათგან კათალიკოსი, რამეთუ ხელქვეით აღარ არის პატრიარქთა, აღარც აკურთხევენ, არამედ თვისნი ეპისკოპოსნი აკურთხევენ“ (ქ. ცხ. I:227). ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საუბარია მცხეთის კათალიკოსზე, რომელსაც ანტიოქიის კრებამდე გარკვეული ვალდებულებები ჰქონდა ანტიოქიის პატრიარქთან და კრების შემდეგ იგი არცერთი პატრიარქის მორჩილების ქვეშ აღარ არის. ამასთანავე ქართლის კათალიკოსის კურთხევა მცხეთაში ხდებოდა.

საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებს შორის, ურთიერ-

თობებსა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროებია: არსენ საფარელის „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, „ეპისტოლეთა წიგნი“ და უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“. აღნიშნული წყაროები უკავშირდება 607-608 წლებში მომხდარ საქართველო-სომხეთის საეკლესიო განხეთქილებას. დასახელებული წყაროები კრიტიკულად შეისწავლეს და გაანალიზეს ივანე ჯავახიშვილმა და ზაზა ალექსიძემ, რომლებიც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქართული და სომხური წყაროები რიგ შემთხვევაში მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. როგორც ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია თვით სომხური წყაროებიც კი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ანუ გვიანი პერიოდის სომხური წყაროები (იოანე დრასხანაკერტელი, უხტანესი) არ ემთხვევა „ეპისტოლეთა წიგნს“, რომელიც უფრო ძველია და მასში არაფერია ნათქვამი სომეხთა კათალიკოს მოსე ელვარდელის მიერ ქართლის კათალიკოს კირიონის ხელდასხმის შესახებ. როგორც ავღნიშნეთ, ჯავახიშვილმა შეისწავლა ძველი სომხური წყაროები და არგუმენტირებული დასკვნა დადო.

ქართული ეკლესიის სომეხთა კათალიკოსისაგან უფლებრივი დამოკიდებულების დამცველებს საბუთად, მხოლოდ ორი ცნობა მოეპოვებათ: უძველესი ხანისათვის აგათანგელოს-ფაუსტოსისა და VI საუკუნის დამლევისათვის იოანე კათალიკოსისა და უხტანესისა. ფაუსტოსის ცნობა დამოუკიდებელ მოწმობას კი არ წარმოადგენს, არამედ იმავე აგათანგელოსის თხზულებაზეა დამყარებული და გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არსებულის მსგავსი რედაქცია უნდა ჰქონდეს მას საფუძვლად, რომელშიც გრიგოლი სომხების გარდა ქართველთა, ალბანელთა, აფხაზთა თვით დურძუკთა და მასქუტთა გამქრისტიანებლადაც არის გამოყვანილი“(ჯავახიშვილი.1979:366). დიდი მეცნიერის აზრით, აგათანგელოსის სახელით ცნობილი ნაწარმოები სახელნატყუარ

ტენდენციურ თხზულებას წარმოადგენს, რომელშიც ისტორიული სინამდვილის ნიშანწყალიც არ არის. როგორც ვხედავთ, დასახელებული სომხური წყაროები ძირითადად იმით გამოირჩევა, რომ როგორმე თავიანთი განმანათლებელი მთელი კავკასიის განმანათლებლად გამოიყვანონ და წყაროში აფხაზეთიც იხსენიება, რომელიც IV საუკუნეში ჯერ კიდევ არ არსებობდა. აქედან გამომდინარე აღნიშნული წყარო მართლაც ტენდენციურია და მასში არარეალური ფაქტებია მოყვანილი. რაც შეეხება იოანე კათალიკოსსა და უხტანესის თხზულებებში კირიონის მიერ სომეხთა კათალიკოსისაგან ხელდასხმის შესახებ არც ერთი წერილობითი წყაროთი დამოწმებული არ აქვთ და მხოლოდ ზეპირ გარდამოცემაზე დამყარებული ჩანს (იქვე:366).

კათოლიკოს კირიონის აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მეორე ეპისტოლის პასუხში, რომელიც „ეპისტოლეთა წიგნშია“ მოცემული, კირიონი განხეთქილებამდე არსებულ მდგომარეობაზე საუბრობს: „ისინი და ჩვენი მოძღვარნი ერთმანეთისაგან მშვიდობით ცხოვრობდნენ, ერთმანეთისგან სწავლობდნენ და ერთმანეთს ასწავლიდნენ, ჩვენ, ჩვენ მამებზე მეტი არც დაგვიტოვებია სარწმუნოებისათვის. აზნაურები, რომლებიც სომეხთაგან ქართლს დაუმოყვრდებიან, წმინდა შუშანიკის მსახურებაზე და მცხეთის წმინდა ჯვარს მიდიოდნენ, რომ მოელოცათ და სჯულს ზიარებოდნენ. ასევე აქედან მანდ მოდიოდნენ წმინდა კათოლიკეს და სხვა ეკლესიებში მოსალოცად და უბიწოდ ერთმანეთს სჯულში ეზიარებოდნენ. ერთობა იყო ქართველთა და სომეხთა შორის. (ეპისტოლეთა წიგნი:89).

როგორც სომხური წყაროდან ვგებულობთ, კათალიკოსი კირიონი ნათლად აღნიშნავს, რომ ქართველები და სომხები ერთმანეთისაგან სწავლობდნენ, ერთმანეთს უმოყვრდებოდნენ და რაც მთავარია სომხები ქართლში, ხოლო ქართველები სომხეთში დადიოდნენ სალოცავად. ეს ფაქტი არც არის გასაკვირი, რადგან

სომხები, ქართველებთან სარწმუნოებრივ ერთობაში იყვნენ და მათი ურთიერთობაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სომეხთა მიერ მონოფიზიტობის მიღების შემდეგ კი მათი ერთობა შეწყდა, ხოლო ჩვენთვის რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სომხურ წყაროში არაფერია ნათქვამი ქართლის კათალიკოსის სომეხთა კათალიკოსზე დაქვემდებარების შესახებ. ქართლის კათალიკოსი კირიონი სომეხთა კათოლიკოს აბრაამის თანასწორად თვლის თავს და „ეპისტოლეთა წიგნში“ არაფერია ისეთი, სადაც სომეხთა კათალიკოსი რაიმე უპირატესობის მატარებელი იყოს ქართლის კათალიკოსთან მიმართებაში.

X საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ისტორიკოსი უხტანესი კი მკვეთრად განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის. წყარო საკმაოდ არადამაჯერებელია, როცა უხტანესი განხეთქილების მიზეზზე საუბრობს: „ასე ამბობენ მოხუცების გადმოცემით, რომ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის დროს, როცა იგი თავის საპატრიარქო საყდარზე დაჯდა, მოვიდნენ მასთან ქართველთა და ალბანელთა კათალიკოსები, სიყვარულისა და მორჩილების გამოსაცხადებლად, რადგან მაშინ წმინდა გრიგორის საყდარს არქიეპისკოპოსის პატივი ჰქონდა. ხოლო მან ისინი დიდი პატივითა და სულიერი სიყვარულით მიიღო, როგორც წესია, და დასვა თვითოეული საყდარზე მათი ჯდომის ჩვეულების მიხედვით.(უხტანესი.181). აღნიშნულ საკითხზე საუბრისას უხტანესი წყაროს დასახელების მაგივრად, მოხუცების გადმოცემაზე საუბრობს, რაც კიდევ უფრო არასარწმუნოს ხდის მის თხრობას. მთავარი დედააზრი წყაროში ის არის, რომ თითქოს ქართველთა და ალბანელთა კათალიკოსები სომეხთა პატრიარქს ემორჩილებოდნენ. განხეთქილების უშუალო მიზეზი კი ერთადერთი სასმისი ყოფილა, რომელიც სერობის დროს „აბრაამ კათალიკოსმა, აკურთხა და მისცა ჯერ ალბანელთა კათალიკოსს, ხოლო მეორედ უნდოდა კირიონისათვის მიეცა, მან არ მოისურვა აღება განრისხებულმა გუნებაში. აბრაამმა

მიზეზი ჰკითხა, ხოლო მან მიუგო: „რისთვის დამამცირე ასე, როცა მე უფროსი ვარ და დიდი ჩემს სახლში, ვიდრე ეგ? ამ სახლის უხუცესობა ჯერ ჩემი იყო და მერმე მისი, რადგან სამწყსოთი მასზე უმეტესი ვარ და ეპისკოპოსებიც უფრო მეტი მყავს"(იქვე:181).

უხტანესი დაპირისპირების მთავარ მიზეზს მალავს და იგი ცდილობს დაამტკიცოს დაპირისპირება თითქოს მართლაც ერთი სასმისის გამო მოხდა. რა აიძულებდა სომეხ ისტორიკოსს განხეთქილების მთავარი მიზეზი დაემალა და მოეგონებინა სავსებით არადამაჯერებელი ამბავი? ამასთან დაკავშირებით, ზაზა ალექსიძე ნათლად აყალიბებს თავის აზრს. ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარი საეკლესიო განხეთქილების ისტორიის დაწერას სომხური ეკლესია საშურ საქმედ თვლიდა. მაგ. სომხეთის კათალიკოსის ტახტზე 967-969 წწ. ზის ვაჰან I სივინიელი, რომელმაც სომხური წყაროების ცნობით, ქართველებთან კავშირი შეკრა და ქალკედონიტობა მიიღო, რისთვისაც ანისის საეკლესიო კრებამ იგი დაწყევლა (იქვე:234). როგორც ვხედავთ, ეს ფაქტი მომხდარა უხტანესის მოღვაწეობის პერიოდში, რომელმაც დაპირისპირების მიზეზი მშვენივრად იცოდა, სწორედ ამიტომ მას თავისი ტენდენციური თხზულების დასაწერად დასჭირდა „მოხუცების გადმოცემა" და რეალურ ისტორიულ წყაროებს თავი აარიდა. ივანე ჯავახიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არანაირი შეხვედრა ქართველ და სომეხ კათალიკოსებს შორის არ მომხდარა. ბერძენთა მსგავსად სომეხი ისტორიკოსებიც ყოველნაირად ცდილობდნენ, ქართლის კათალიკოსი სომეხთა კათალიკოსზე დამოკიდებულად გამოეყვანათ და ამისათვის არაფერს ერიდებოდნენ.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს „ეპისტოლეთა წიგნის" კიდევ ერთი ცნობა, სადაც ქართლის კათალიკოსი კირიონი ხუთ საპატრიარქოზე საუბრობს, რითაც ხაზს უსვამს ქართული ეკლესიის სარწმუნოებრივ ერთობას ბერძნულ საპატრიარქოებთან.„რომის მამამთავარი წმინდა პეტრეს საყდარზე ზის, ალექსა-

ნდრიელი წმინდა მარკოზ მახარებლისა, ანტიოქიის წმინდა ლუკა მახარებლისა, კონსტანტინეპოლელი წმინდა იოანე ნათლისმცემლისა და იერუსალიმელი უფლის ძმის წმიდა იაკობისაზე, რა სარწმუნოებაც მათ ეპყრათ, ჩვენც (ის) მოგვცეს, ჩვენ და ჩვენი მამები აქამდე ვიცავდით, ეხლა რისთვის დავტოვოთ და თქვენ გერწმუნოთ"(ეპისტოლეთა წიგნი:90).

კირიონის საუბრიდან ვგებულობთ, რომ საქართველოს ეკლესია VII საუკუნის დასაწყისამდე მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას და ცდებიან ის მეცნიერები, რომლებიც მიიჩნევენ, თითქოს ქართლში მონოფიზიტურ ერესს ფეხი მოეკიდებინოს. ამის დასტურად კირიონ კათალიკოსი ამატებს, რომ: „ეგეც არ იყოს ქართლში სულ 35 ეპისკოპოსია, ეგ მოსე საიდან აღმოჩნდა მხოლოდ (ერთი) მეცნიერი და მართლმადიდებელი და სხვა ყველა მწვალებელი?" აქედან ნათელია, რომ VII საუკუნის დამდეგს ქართლში არსებული 35 ეპისკოპოსიდან მხოლოდ ერთი-მოსე ცურტავის ეპისკოპოსი მიდრეკილა მონოფიზიტურ მიმდინარეობაზე. ამ საკითხზე კომენტარისას ზ. ალექსიძე აღნიშნავს: კირიონი ხუთ საპატრიარქოს იმიტომ ასახელებს, რომ თავისი დროის რეალური ვითარებიდან ამოდის, სომხებთან კამათისას კირიონ ქართლის კათალიკოსი ორჯერ მიუთითებს იმ ეკლესიაზე, საიდანაც კავკასიაში ქრისტიანობა შემოვიდა და ორივეჯერ იერუსალიმს ასახელებს (არსენ საფარელი:1980.125). აღსანიშნავია, რომ ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარი განხეთქილების შესახებ, ძველი ქართული წყაროს ავტორი არსენ საფარელიც დაპირისპირების შესახებ საუბრისას სწორედ სომეხთა მიერ ჭეშმარიტი სარწმუნოების უარყოფას ასახელებს: „და ვითარცა იხილეს კათალიკოზთა ქართველთა კვირონ და კათალიკოზმან ჰერთა აბაზ, რამეთუ ხელითა აბდიშო ასურისაითა კრებაი ყვეს სომეხთა ქალაქსა დვინსა და შეჩვენებით განდგეს აღსარებისაგან წმიდის კათოლიკე ეკლესიასა და განეყენეს ოთხთა საპატრიარქოსა-

გან და გარდააქციეს აღთქმა იგი“ (იქვე:81). IX საუკუნეში მოღვაწე მცხეთის კათალიკოსის თხზულება „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, ცხადად გადმოგვცემს, რომ ქართლის კათალიკოსს არანაირი ვალდებულება არ აკავშირებდა სომეხთა კათალიკოსთან და იგი მის თანასწორად მიიჩნეოდა, თუმცა ქართლისა და ალბანეთის კათალიკოსები, ურთიერთობას წყვეტენ სომეხთა კათალიკოსთან სარწმუნოებრივი სიტუაციის გამო.

ამრიგად, ზემოთაღნიშნული ქართული და სომხური წყაროების მიხედვით ნათელია, რომ VII-ს დამდეგისათვის ქართული ეკლესია ავტოკეფალური იყო და ამასთანავე იგი მტკიცედ იცავდა მართლმადიდებელი სარწმუნოების ნორმებს. სომხური წყაროების ტენდენციური მიმართება, შეიძლება შევაფასოთ როგორც მათი მცდელობა, მიეჩქმალათ დაპირისპირების რეალური მიზეზი და ამასთანავე ქართული ეკლესია სომხურ ეკლესიაზე დაქვემდებარებულად წარმოეჩინათ.

ერთგვარად გაუგებარია, რატომ გახდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია საეჭვო XI საუკუნეში და, შესაბამისად, მეცნიერთა აზრი ამასთან დაკავშირებით კვლავ განსხვავებულია. ბ. ლომინაძე ანტიოქიის საპატრიარქოში საკითხის კვლავ წამოჭრას უკავშირებდა ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას და „ეს იყო ჭიდილი ორ დიდ ეკლესიას შორის არა დოგმატურ, არამედ იერარქიულ-ადმინისტრაციული წყობილების ირგვლივ“ (ლომინაძე,1999:33). ბ. ლომინაძე მიიჩნევდა, რომ თ. ბალსამონის მიერ მოხსენიებული „მეუფე პეტრე“ ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III არის (1052-1056). დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ ეს აზრი ჯერ კიდევ 1905 წელს გამოთქვა „უფალი პეტრე“ ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III-ა შესაბამისად, არ დასტურდება, რომ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა პეტრე კნაფეამ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს პატრიარქი იყო ერეტიკოსი და ბალსამონის „ბატონი პეტრე“ ეს პეტრე ფულონი კი არ არის, არამედ ანტიო-

ქიის პატრიარქი პეტრე III (1052-1056). პეტრე კნაფეას არ მიუცია ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალია. ეს სავსებით ცხადია, რომ ქართული ეკლესია ამის შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს. მღვდელმოწამე ანასტასის მოღვაწეობამდე (598-610) ინიშნებოდნენ ანტიოქიიდან კათალიკოსები ქართულ ეკლესიაში (Цинцадзе; 1905:15;18).

სწორად შენიშნავს კალისტრატე ცინცაძე, რომ, თუკი პეტრე ფულონის დროს ქართული ეკლესია სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი გახდა, მაშინ შემდგომში, რატომ დადგა კვლავ ეჭვის ქვეშ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია VIII და XI საუკუნეში? ნიკო მარის აზრით, XI საუკუნეში ქართულმა ეკლესიამ, და არა მისმა რომელიმე ნაწილმა, მოიპოვა ავტოკეფალია. პატრიარქ პეტრე III-ის დროს ავტოკეფალიის საკითხი აღიძრა პოლიტიკური ვითარების გამო. ქართული ეკლესია მანამდე საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა სრული დამოუკიდებლობით (Марр.1906 :136). ევსევი ნიკოლაძის შეხედულებითაც, „ანტიოქიის პატრიარქის პეტრე III-ის დროს კვლავ აღიძრა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, ანტიოქიის კრებაზე ის ხელახლად გადაწყვიტეს ქართველების სასარგებლოდ“ (ნიკოლაძე. 1918:47). ვ. გოილაძე ამასთან დაკავშირებით ვარაუდობს, რომ „მეუფე პეტრე“ XI საუკუნეში მოღვაწე პეტრე III რომ ყოფილიყო, როგორც ეს დღესაც მიაჩნიათ, და პეტრე III-ის დროს დაემტკიცებინა ანტიოქიის საეკლესიო კრებას ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალია, მაშინ არ შეიძლებოდა, ეს ამბავი, როგორც გიორგი მთაწმინდელს, ისე თეოდოსი III ანტიოქიელს არ სცოდნოდა. რადგან ანტიოქიის საპატრიარქო კათედრაზე პეტრე III თითქმის თეოდოსი III-მ (1057-1059) შეცვალა (გოილაძე, 1991:159). ვ. გოილაძის აზრით, შეუძლებელია, რომ მე-XI საუკუნეში მოღვაწე ანტიოქიის ორ პატრიარქს, რომლებიც ერთ ეპოქაში მოღვაწეობდნენ, არ სცოდნოდათ ქართული ეკლესიის დამოუკი-

დებლობა. საეკლესიო კანონიკიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიას VIII საუკუნის შემდეგ აღარ სჭირდებოდა ავტოკეფალური უფლებებისათვის ბრძოლა. ამის არავითარი საჭიროება არ არსებობდა. ქართველები თავადვე ირჩევდნენ კათალიკოსს, აკურთხევდნენ მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში, ასევე თავადვე ხარშავდნენ მირონს მცხეთაში და ყოველივე საეკლესიო წესი ქართულ ენაზე სრულდებოდა. ეს დასტურდება როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროებითაც. მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის აზრით, „ცდებიან ის მკვლევარები, რომლებიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას ათარიღებენ XI საუკუნის 50-იანი წლებით. ამ დროისათვის ქართული ეკლესია არ ექვემდებარება არც ერთ უცხოეთის პატრიარქს და არ არის რომელიმე საპატრიარქოს ხელმწიფების ქვეშ“ (ჯაფარიძე, 2009:594).

X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ქართული სახელმწიფო ერთიანდება და ქართველ მეფეთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა წმიდა მიწაზე თუ უცხოეთში მდებარე არაეთრი ქრისტიანული სავანე. „ქართველები სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ბერძენ საეკლესიო მოღვაწეებს ტოლს არაფერში უდებენ, ხშირად კი ქართველ ბერ-მონაზონთა სულიერებას თუ განათლებას ბერძნებიც განცვიფრებაში მოჰყავს. თვით იმპერიის ცენტრებში: კონსტანტინეპოლში, ათონზე, პეტრიწონში გაჩნდნენ ქართული კულტურული ცენტრები მონასტრების სახით, სადაც უშუალოდ ჰხვდებოდნენ ერთმანეთს ქართველი და ბერძენი მოღვაწენი. ყველაფერი ეს საკმაო მიზეზსა და შემთხვევას იძლეოდა ქართულ-ბიზანტიური კონფლიქტების წარმოშობისთვის. ქართველების ძლიერება, მათი პოლიტიკური, ეკლესიური და კულტურული დაწინაურება წონასწორობას აკარგვინებდა ბერძნებს, რომელნიც არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ მათ შესავიწროვებლად და დასამცირებლად“ (კეკელიძე, 1949:12-13). კ. კეკელიძის ეს შეფასება კარგად ასახავს იმდროინდელ სიტუაციას,

როგორც იგი მიიჩნევდა, „კულტურული მეტოქეობა ქართველთა და ბიზანტიელთა შორის უფრო გამწვავდა XI საუკუნიდან“. იმპერატორ რომანოზის მეფობისას (1028-1034), როდესაც ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარ გიორგი მაშენებლის დროს ბერძენთა რაოდენობა გაზრდილა ივერთა მონასტერში. რასაც ჰქონია „თუ ვითარ იქნა ღმერთმან უწყის“, ორგულობა დასწამეს მეფისა და გადაასახლეს კუნძულ მონოვატზე, სადაც გარდაიცვალა. (მთაწმ. მამების ბერძ. ცხოვრება, 1982:51). ასე გაწირეს ივერთა მონასტერში მომრავლებულმა ბერძენმა ბერებმა იმპერატორთან დაახლოებული ქართველი ბერი.

ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ის მოღვაწეობის დროს, თუკი მართლაც მოხდა კვლავ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დადასტურება, მაშინ რამდენიმე წელიწადში იგივე საკითხი რატომ დადგა დღის წესრიგში? ეს მართლაც გაუგებარია. ბ. ლომინაძის აზრით, „თეოდოს III-ის დროს გამართული კრება უნდა ვიგულისხმოთ კანონისტ ბალსამონის მიერ მითითებულ პატრიარქ პეტრეს დროინდელ კრებად, რომელმაც, ბალსამონის თქმით, საქართველოს ეკლესიას მისცა ავტოკეფალია“ (ლომინაძე,1999:41).

XI საუკუნეში ქართველთა და ბერძენთა შორის ეკლესიურ-კულტურული კონფლიქტის წარმომშობი მიზეზი ბიზანტია-საქართველოს შორის არსებული დაპირისპირება იყო. 1054-1057 წლებში სამწლიანი მოლაპარაკება ბიზანტია-საქართველოს შორის დამთავრდა სამშვიდობო ზავით. 1054-57 წლების მოლაპარაკების დროს საქართველოს საპატრიარქო უკვე თითქმის ნახევარი საუკუნის ისტორიას ითვლიდა. იმ დროს ქართული ეკლესიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღიარება თავისთავად ნიშნავდა ფაქტობრივად უკვე არსებული საპატრიარქო ღირსების იურიდიულ ცნობას (ჯაფარიძე, 2009:587). ჩვენი აზრით, ამ დროისათვის ნახევარი საუკუნის მოპოვებული ჰქონდა ქართული ეკლესიის მეთაურს პატრიარქის ტიტული. ამ ტიტულის მოპოვებაც

საეკლესიო კანონების დაცვით მოხდებოდა. შესაბამისად, 1054-1057 წლებში მიმდინარე მოლაპარაკების დროს „საპატრიარქო ღირსების იურიდიული ცნობა“ საჭვოა. მართებულად მსჯელობს ამასთან დაკავშირებით ზაზა ალექსიძე: „ბერძნებმა, ჩანს, სწორედ ამ პერიოდში გაიაზრეს, რომ ასპარეზზე გამოდის საკმაოდ ძლიერი და კარგად ორგანიზებული ძალა, რომლის მწყემსმთავარმაც სულ ახლახან თავი მსოფლიოს მეექვსე პატრიარქად გამოაცხადა რომის, კოსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქთა შემდგომ “ (ალექსიძე.2002:315).

ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მონომახის მოღვაწეობის პერიოდში, 1054 წელს ანტიოქიაში პეტრეს პატრიარქობისას, დელეგაციის ორი წევრი: მარიამ დედოფალი და გიორგი მთაწმინდელი, საეკლესიო საკითხებზე მოლაპარაკებისათვის კონსტანტინეპოლიდან გაემგზავრნენ ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებში. „მარიამ დედოფალი, დედა ბაგრატის მეფისა სამეუფოით ქალაქად ანტიოქიად მოვიდა... აქუნდა ბრძანება სამეუფეო, თავადსა თანა და პატრიარქსა ანტიოქიისა“ (მვ. ქართ. ლიტ. ძეგლები; 1978:296). ბაგრატ IV-ის დედა მარიამ დედოფალი, კონსტანტინეპოლიდან იმპერატორის საგანგებო ბრძანებით ჩადის ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-თან მოსალაპარაკებლად, შემდეგ კი „ეგულებოდა წარსვლა წმიდად ქალაქად იერუსალიმად“. როგორც ჩანს, ქართული ეკლესიის უმნიშვნელოვანესი საკითხების გასარკვევად თვით ქართველთა დედოფალი მარიამი და ქართული ეკლესიის ისტორიის უბადლო მცოდნე გიორგი მთაწმინდელი დაინტერესდნენ ისე, როგორც V საუკუნეში წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი ჩადის ანტიოქიასა და იერუსალიმში, ამასთანავე იგი ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერით სარგებლობს, ანალოგიურად იქცევა ქართული მხარე XI საუკუნეშიც, როდესაც საეკლესიო წესების სრული დაცვით აგვარებს პრობლემას, რომელიც ქართული ეკლესიის წინაშე იდგა. ქართველე-

ბის ანტიოქიაში ჩასვლაზე საუბრობს XVIII საუკუნეში მოღვაწე ანტიოქიელი მღვდელი მიქაელ ბრეკი, რომელსაც, თავის მხრივ, გიორგი კედრენესგან უსარგებლია. ჯერ კიდევ 1906 წელს, კალისტრატე ცინცაძე ასაბუთებდა თავის ნაშრომში იმ შეუსაბამო თუ არარეალურ ფაქტებს, რომლებიც კედრენეს თხზულებაში არსებობდა. თუმცა აღნიშნული წყარო მეტად მნიშვნელოვან ცნობებსაც შეიცავს.

მიხეილ ბრეკის სიით, პეტრე ანტიოქიის 104-ე პატრიარქია და აღნიშნავს, რომ იგი კონსტანტინეპოლელი პატრიარქ მიხეილის დროს მოღვაწეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III და კონსტანტინეპოლის პატრიარქი მიხეილ I კერულარი (1043-1058) ერთმანეთის თანამედროვენი არიან. მ. ბრეკის მიხედვით, ანტიოქიის პატრიარქი პეტრე კონსტანტინეპოლის პატრიარქ მიხეილის დროს მოღვაწეობდა. მასზე ისტორიკოსი კედრენე წერდა: „ როცა მასთან მივიდნენ ქართველები, რათა მიეღოთ ხელდასხმა ძველი წესის შესაბამისად, მაგრამ მან რომ გაიგო, რომ ისინი (ქართველები) გაჭირვებას განიცდიან და დიდი ზარალი აქვთ გაბატონებული ენებისაგან. მოიწვია მღვდელმთავრების კრება და მართლმადიდებელი დოგმატის უარმყოფელი სომეხი კათალიკოსის მაგიერ ხელი დაასხა მათთვის სხვა კათალიკოსს. დაადგინა, რომ ის დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ ლოცვის დროს ანტიოქიის პატრიარქი მოეხსენიებინათ, როგორც ამას აკეთებდნენ ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს მიერ ხელდასხმული იბერიელთა პირველი კათალიკოსიდან მოყოლებული“ (Труди киевскои Дух. Акад, 1874:416). ეჭვგარეშეა, რომ ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ის მოღვაწეობის დროს ქართველები ანტიოქიაში ჩავიდნენ, მაგრამ გაუგებარია, გიორგი კედრენე რას გულისხმობდა „გაბატონებულ ენებში.“ ვ.გოილაძის აზრით, საქართველოში, ამ დროს გაბატონებული ენები არ არსებობდნენ. მართალია, იმ დროს საქართველოში კვლავ არსებობდა თბილი-

სის საამირო, მაგრამ მას საქართველოში გაბატონებულ ხალხად ვერ მივიჩნევთ. არასოდეს ყოფილა, და მით უმეტეს, XI ს-ში, საქართველო „ქრისტიანული დოგმატის უარმყოფელ“ სომეხ კათალიკოსს დამორჩილებოდა. ამ მხრივ, მ.ბრეკის ცნობები საქართველოსთვის სრულიად მიუღებელია“ (გოილაძე. 1991:140). ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ VI-VII საუკუნეებიდან გაწყდა. ხოლო რაც შეეხება X საუკუნის ბოლოს „ბერძნულ სომხეთში“, რომელიც „სპარსეთის ტერიტორიაზე იყო, გააჩნდა საკუთარი მართლმადიდებელი კათალიკოსი.

ბაგრატ III-ის მეფობის დროს, ჩატარდა რამდენიმე საეკლესიო კრება არტანუჯისა და ტაოს რეგიონში, რათა შეენარჩუნებინათ სომხებისათვის მართლმადიდებელი სარწმუნოება, რადგან XI საუკუნის დასაწყისში თვითონ სომეხი მართლმადიდებელი კათალიკოსი განუდგა მართლმადიდებლობას და გახდა მონოფიზიტი, ასევე მრავალი ადამიანი დაადგა მის გზას, თუმცა სომეხი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კვლავ მართლმადიდებელი დარჩა. სწორედ ამ მრევლზე, თვალი ეჭირა ანტიოქიის პატრიარქს, თავიანთი მხრით, ქართველ კათალიკოსებსაც საკუთარი ინტერესები ჰქონდათ ამ მრევლზე. ამ მიზნით ქართველი კათალიკოსი გაემგზავრა კონსტანტინეპოლში, იმპერატორ კონსტანტინესთან შესახვედრად, შემდეგ კი პეტრე III-სთან ანტიოქიაში, რათა სომეხი მართლმადიდებლები დამორჩილებოდნენ ქართველ კათალიკოსებს. პატრიარქმა მოიწვია საეკლესიო კრება და სომეხი მართლმადიდებლები მიაკუთვნა ქართულ ეკლესიას. ამ ცნობას ადასტურებს ბერძენი ისტორიკოსი გიორგი კედრენე.“ (Жордания, 1905:13). ძალიან საინტერესოა თედო ჟორდანიას მოსაზრება, სომეხი მართლმადიდებელი მრევლის ქართულ საკათალიკოსოზე მიკუთვნების შესახებ. ხომ არ აისახა ეს ამბავი სახეცვლილი ფორმით გიორგი კედრენეს თხზულებაში? ამის მტკიცება საკმაოდ ძნელია. ბიზანტიელები XI საუკუნეში, ევსტატე ბოილას

ეპოქაში, ძალიან ხშირად ერთმორწმუნე ქართველებსაც პირდაპირ სარწმუნოებიდან გადამდგარადაც კი მიიჩნევდნენ. შ. ბადრიძის აზრით, „ბოილას მამულები მართლაც ტაოში მდებარეობდა და აქაური მკვიდრნი ბოილას ანდერძის მიხედვით უცხო სარწმუნოებისად არიან წოდებულნი. ესტატე ბოილა ცხოვრობდა ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსის დროს“ (ბადრიძე.1972 №8:138). ვის გულისხმობდა ესტატე ბოილა უცხო სარწმუნოების ხალხად გაურკვეველია. ხომ არ იგულისხმა მან ამ ხალხში იმ სომხების ნაწილი, რომლებმაც მონოფიზიტობა მიიღეს.

კორნელი კეკელიძეც ანალოგიურად მსჯელობდა აღნიშნულ საკითხზე: „კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს აღმოსავლურ მიჯნაზე ჩამოყალიბდა ქართველთა ახალი პოლიტიკური ცენტრი ტაო-კლარჯეთის საკურაპალატო; მის შემადგენლობაში შევიდა იმ ტერიტორის ეპარქიებიც, ქართული და ქალკედონიტურ-სომხური, რომელიც ანდრია მოციქულის მიერ იყო მოქცეული. ბიზანტიელები ჯერ იძულებულნი არიან დასავლეთ საქართველოში დასთმონ თავისი პოზიციები, შემდეგ კი აქედან აღმოსავლეთის ქართველები სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარს,ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას“ (კეკელიძე,1949:12).

ვ. გოილაძე თავის ნაშრომში გვაუწყებს, რომ „XI საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში მოექცა, რომელიც „იბერიის თემად“ იწოდებოდა. სწორედ აქ გავრცელებულა თონდრიკიელთა ერესი. ე. ჰონიგმანი პირდაპირ მიუთითებს, რომ 1042-1054 წლებს შორის ავტოკეფალია ბიზანტიის მფლობელობაში მოქცეულმა იმ იბერიამ მიიღო, რომელიც ადრე დავით ტაოელის სამფლობელოში შედიოდა. მისი მტკიცებით, ეს თეოდოპოლისის ეპარქია იყო.“ (გოილაძე, 1991:173). იგივე შეხედულება გააჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, კირიონ II-ს, კირიონის აღნიშ-

ნულ მოსაზრებას უკეთებს კომენტარს და ეთანხმება ისტორიკოსი გვანცა ბურდული: ვინც მ. ბრეკის მოყვანილ და დამოწმებულ მასალებს დაკვირვებით გაუკეთებს ანალიზს, იგი დარწმუნდება, რომ ეს მოსაზრება ეკუთვნის არა მცხეთის საკათალიკოსო კათედრას, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში უწყვეტად ჰყავდა თავისი კათალიკოსები, არამედ რომელიღაც სხვა ივერიას. თვითონ ეს ფრაზაც: „როგორც ეს გააკეთა პირველმა კათალიკოსმა, ხელდასხმულმა სხვა ივერიელებისათვის“ ნათლად გვიჩვენებს, რომ აქ საუბარია სხვა და არა ჩვენს ივერიაზე (ბურდული, 2011:218). საკითხისადმი ასე მიდგომა საგულისხმოა, მით უფრო, რომ რამდენიმე მეცნიერს საკმაოდ საფუძვლიანი აზრი აქვთ ჩამოყალიბებული.

ქართული წყაროები არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით იქნეს შესწავლილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ XI საუკუნეში არავითარი საჭიროება არ არსებობდა იმისა, რომ კვლავ ეჭვის ქვეშ დამდგარიყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ პატრიარქ პეტრე III-ის დროს, სწორედ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე მდებარე მსხვილი საეკლესიო ერთეულის გამო ჩატარდა საეკლესიო კრება. ვფიქრობთ, ეს საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს. თუმცა მ. ბრეკის ცნობებში ისტორიული რეალობაც დასტურდება, როდესაც იგი საუბრობს ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს მიერ ქართველთათვის კათალიკოსის კურთხევის შესახებ, მაგრამ თავისთავად მიუღებელია ცნობა, რომ თითქოს ის პირველი ქართველი კათალიკოსი იყო.

ამას ჯერ კიდევ 1906 წელს შენიშნავდა დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე: „თეოფილაქტეს მიერ ქართველთათვის პირველი კათალიკოსის კურთხევის ცნობა თავისთავად ტყუილია, ქართველი კათალიკოსები ანტიოქიაში იკურთხებოდნენ ჯერ კიდევ წმიდა მოწამე ანტიოქიის პატრიარქის ანასტასის დროიდან (610 წ.), რო-

ცა VIII საუკუნეში კვლავ განახლდა ურთიერთობა საქართველოსა და ანტიოქიას შორის, ამ ეპოქაში ანტიოქიის პატრიარქმა ხელი დაასხა ქართველთათვის პირველ კათალიკოსს, რომელიც ამასთანავე უკანასკნელი კათალიკოსი იყო, რომელსაც ხელი დაესხა ანტიოქიაში. თეოფილაქტეს მიერ ხელდასხმული ქართველი კათალიკოსის-იოანეს შემდეგ ქართლის კათალიკოსებს ირჩევდნენ და აკურთხევდნენ მცხეთაში." (Цинцадзе, 1906:10). ქართველთათვის კათალიკოსის კურთხევის შემდეგ, გ. კედრენე იტყობინება: ანტიოქიის პატრიარქის პეტრე III-ის დროს გამოჩენილა ვიღაც ვენეციელი, რომელიც თავის თავს ვენეციის პატრიარქს უწოდებდა. პეტრე ანტიოქიელს კი მისთვის მიუწერია, რომ ღმერთმა უძველესი დროიდან ეკლესიაში დააწესა ხუთი პატრიარქი: რომის პაპი, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის, რომისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსები იწოდებიან პაპებად, კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის არქიეპისკოპოსებად, მხოლოდ ანტიოქიელი არის პატრიარქი" (Труди Киевскои Дух.Акад, 1874ч II:427). აი, ასეთი წარმოდგენა ჰქონდა 1053-1057 წლებში მოღვაწე ანტიოქიის პატრიარქ პეტრეს, რომლის აზრითაც მხოლოდ ანტიოქიის ეკლესიის ხელმძღვანელს აქვს პატრიარქის ტიტული.

ამის გამოა, ალბათ, ანტიოქიის ბერძნული საპატრიარქოს წარმომადგენლები საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ტიტულს ეჭვქვეშ რომ აყენებდნენ. ისმის კითხვა: როდის ჩავიდნენ ქართველები ანტიოქიაში და ვინ იყვნენ ისინი? გიორგი კედრენე ხომ არ გულისხმობდა ბაგრატ IV-ის დედის მარიამ დედოფლისა და გიორგი მთაწმინდელის ვიზიტს ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებში, რომელიც 1054 წელს შედგა? შესაძლოა ეს ასეც მოხდა, თუმცა მარიამ დედოფალი და გიორგი მთაწმინდელი ბაგრატ IV-სთან ერთად ჯერ კონსტანტინეპოლში ჩავიდნენ და მიაღწიეს შეთანხმებას კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში, რომლის

შემდეგადაც შეწყდა ქართველების დევნა ათონის ივერთა მონასტერში. მარიამ დედოფალი და გიორგი მთაწმინდელი, სავარაუდოდ, ჯერ შეჰხვდნენ კონსტანტინეპოლის პატრიარქ მიხეილ I კერულარს (1043-1058), ხოლო შემდეგ ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ს (1053-1057). რადგან 1054 წელს სწორედ მათ ეკავათ კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოების მეთაურთა თანამდებობები.

ისმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: ვის გულისხმობდა XII საუკუნეში მოღვაწე საეკლესიო კანონისტი თეოდორ ბალსამონი, როცა ის წერდა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მეორე კანონის განმარტებაში: „ამბობენ, რომ ანტიოქიის უწმიდესი პატრიარქის მეუფე პეტრეს დროს კრებამ დაადგინა იბერიის ეკლესია თავისუფალი და ავტოკეფალური იყოს". არის თუ არა ბალსამონის მიერ მოხსენიებული „ანტიოქიის უწმიდესი პატრიარქი მეუფე პეტრე" ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III ? ნ. მარი მიიჩნევდა, რომ ბალსამონის ტექსტის შინაარსი დოკუმენტია, რომ ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ის დროს ქართული ეკლესია იყო თავისუფალი და ავტოკეფალური. ბალსამონის ავტორიტეტის უარყოფა დაუშვებელია, თუმცა მართალია, რომ ტექსტი არ არის თავისუფალი ანტიოქიური ტენდენციურობისგან (Mapp,1906. 136).

ბალსამონის ცნობას იმეორებს XIV საუკუნის მწერალი მათე ბლასტარესი: „შემდეგი ეკლესიები არ ექვემდებარებიან არც ერთ პატრიარქს... იბერიელთა ეკლესია, რომელსაც პატივი მიენიჭა ანტიოქიის კრების დადგენილებით (წინათ ის ანტიოქიას ექვემდებარებოდა)" (ყაუხჩიშვილი, 1970 :119). ფაქტია, რომ ბლასტარესიც იმავე წყაროთი სარგებლობდა, რითაც თეოდორ ბალსამონი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ფაქტი არის მნიშვნელოვანი, რადგან ეკლესიის ისტორიაში უდიდესი საეკლესიო კანონისტების პატრიარქ ფოტისა და იოანე ზონარას შემდეგ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე საუბრობს გამოჩენილი საეკ-

ლესიო კანონისტი, თეოდორ ბალსამონი. ასევე საყურადღებოა, რომ ბალსამონი ამ საკითხს ეხება 381 წლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-2 კანონის განხილვისას, შესაბამისად, ბალსამონის ცნობის დოკუმენტად აღიარება მისაღებია. მეორე კანონზე მსჯელობისას, ბალსამონი ჩამოთვლის ავტოკეფალურ ეკლესიებს და მათ შორის ქართულსაც. ვფიქრობთ, ბალსამონის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე საუბარი მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კიდევ ერთი დამადასტურებელი ცნობაა, რომ ქართული ეკლესია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური ეკლესიაა.

X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ბაგრატ III-მ გააერთიანა ქართული სამეფო-სამთავროები და ერთიანი ქართული სახელმწიფო ჩამოაყალიბა. გარეთიანებულ საქართველოში მცხეთის კათალიკოსი, როგორც უპირატესი, განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა: ერთიან საქართველოში კი აფხაზეთის კათალიკოსის როლი და მნიშვნელობა შეიცვალა, ხოლო მცხეთის კათალიკოსის გავლენა უფრო გაფართოვდა. დღემდე მიჩნეული იყო, რომ კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულის მატარებელი პირველი კათალიკოსი მელქისედეკ I (1010-1030) იყო, მაგრამ ბევრ რამეს ცვლის წარწერა პარხლის ეკლესიისა, რომელიც დავით კურაპალატმა X საუკუნის II ნახევარში ააგო, ტაძრის მორთვის მთავარი ინიციატორი ყოფილა პატრიარქი იოანე, რომლის სახელიც მოხსენიებულია სამხრეთ ფასადის VI და VII კამარებზე და წითელი საღებავით არის შესრულებული: „სახელითა ღმრთისათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა, წმიდისა იოანე ნათლისმცემელისათა, ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქსა იოვანეს, პარხალს ეკლესიისა ზედა ჩასდუდარაი, კურაპალატსა აეშენა (Такаишвили, 1952:95). ექ. თაყაიშვილმა, წარწერაში მოხსენიებული იოანე მიიჩნია 1497-1507 წლებში მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქ იოანე

VIII-დ. ვალერი სილოგავამ კი წარწერის ადგილზე მონახულების შემდეგ დაასაბუთა, რომ დავით კურაპალატის დროს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს, ქართლის კათალიკოს იოანეს მიენიჭა პატრიარქის ტიტული და იგია ამ ტიტულის პირველი მატარებელი საქართველოს ეკლესიაში. „980 წელს ნაკურთხმა იოვანემ იმთავითვე მიიღო პატრიარქის ტიტული, რასაც იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება განაპირობებდა“ (სილოგავა. 2008:303). პარხალის ეკლესიის წარწერას ასევე X საუკუნის 60-70 წლების მიჯნით ათარიღებენ კ. დანელია და ზ. სარჯველაძე (ქართული პალეოგრაფია, 1997:68).

მართლაც, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პარხლის ეკლესიის აღნიშნულ წარწერას, რადგან ქართული ეკლესიის მეთაური ამ ტიტულს შემთხვევით ვერ მიიღებდა. ერთის მხრივ, ეს განაპირობა საქართველოს პოლიტიკურმა მდგომარეობამ, როცა 978 წელს დავით კურაპალატის შვილობილი ერთიანი საქართველოს მეფე გახდა. ამასთანავე აღსანიშნავია, დავით კურაპალატის დამსახურებით ბარდა სკლიაროსზე მოპოვებული გამარჯვება, რომლის შედეგადაც დავით მეფეს გადაეცა „ზემონი ქვეყანანი“. ამავე პერიოდში, ათონის მთაზე დაარსდა ივერთა მონასტერი, რაც ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ზრდის კიდევ ერთი მაჩვენებელი იყო. X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ სიძლიერეს თან მოჰყვა ქართული ეკლესიის გაერთიანება, ხოლო ქართული ეკლესიის მეთაურის ტიტულატურაში განხორციელდა ცვლილება. ტიტული საკმაოდ შთამბეჭდავია „ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი“. ჯერ კიდევ VIII საუკუნიდან აღმოსავლეთში მხოლოდ ქართულმა ეკლესიამ შეინარჩუნა მართლმადიდებლობა შეურყვნელად და შესაძლოა, ქვეყნის გაერთიანებას მოჰყვა კიდეც ეკლესიის მეთაურის მიერ პატრიარქის ტიტულის მოპოვება.

მიუხედავად ამ არგუმენტებისა, მაინც საეჭვოდ გამოიყურე-

ბა X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მცხეთის კათალოკოს იოანე IV-სთვის პატრიარქის ტიტულის მინიჭება. ამასთან დაკავშირებით, თავისი მოსაზრება გამოთქვა ისტორიკოსმა ვახტანგ გოილაძემ. მისი აზრით, არ უნდა იყვნენ სწორი ის მკვლევარები, რომლებიც პარხლის წარწერაში მოხსენიებულ იოვანეს X საუკუნის ბოლო ათწლეულების მოღვაწედ თვლიან. 980-1001 წლებში საქართველოს (ქართლის) საკათალიკოსო ტახტზე იოანე ოქროპირი არ მჯდარა. პარხლის ტაძრის წარწერაში სახელის გარეშე ნახსენები „კურაპალატი" საქართველოს მეფე ბაგრატ IV-არის. (გოილაძე.2011:51). უნდა შევნიშნოთ, რომ საქმეს ართულებს საქართველოს ეკლესიის მამამთავართა სიაში ორი იოანეს კათალიკოსობა, რომლებიც, მართალია, იოანე-IV -ისა და იოანე-V-ის სახელით იხსენიებიან, თუმცა ორივე ოქროპირის ტიტულით იწოდება. ფაქტია, რომ ამ პერიოდის კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგი ზუსტი არ არის და კათალოკოსთა არცერთი უძველესი ნუსხა (მოქცევაის, შიომღვიმისა და ნიკორწმინდის ნუსხები) ერთმანეთს არ ემთხვევა. გაუგებრობას იწვევს ასევე წარწერაში კურაპალატის სახელის გარეშე მოხსენიება.

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა ისტორიკოსმა გიორგი ოთხმეზურმა, რომელმაც ასევე უარყო იოანე IV-ისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭება, იოანე IV ოქროპირისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭება დავით III-ის ინიციატივით, ვფიქრობ, გამორიცხულია კიდევ იმიტომ, რომ საკუთრივ ტაოს სამეფოს უპირველესი მღვდელმთავარი ატარებდა პატრიარქის ტიტულს. იშხნის „კათოლიკე ეკლესიად" წოდება და ტაოელი მღვდელმთავრის პატრიარქობა, ვფიქრობ, მიგვანიშნებს დავით III-ის მისწრაფებაზე, მოეპოვებინა საეკლესიო დამოუკიდებლობა (ოთხმეზური 2012:276). დავით კურაპალატს, იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერი სამეფო ჰქონდა და საქართველოს აღმოსავლეთში (მცხეთის), დასავლეთში (აფხაზეთის) საკათალიკოსოები არსებობდა და მი-

სი ამგვარი მისწრაფება სრულიად ბუნებრივი იყო. მეცნიერის აზრით, ტაო-კლარჯეთის ეკლესიის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის დასტური იშხნის 954-955 წლების ფრესკული წარწერაა, რომლის ცნობითაც სტეფანე იშხნელის მღვდელმთავრად კურთხევა ტრაპიზონში მოხდა ბასილი ბერძენთა პატრიარქის მიერ. იგი გამორიცხავს წარწერაში მოხსენიებულ პატრიარქ იოვანეს, დავით კურაპალატის თანამედროვე პერიოდში მოღვაწეობას: „ჩასდუდარაი კურაპალატსა აეშენა, აღარავის ეკაზმა და მან შეკაზმა, სწორედ დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდგომ ხანაზე მიუთითებს ე.ი. კურაპალატის აშენებული მის შემდეგ არავინ შეკაზმა. პარხალის წარწერაში დასახელებული პატრიარქი იოვანე დავით კურაპალატის შემდგომ პერიოდშია საძიებელი, ის უნდა იყოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ I-ის შემდგომ აღსაყდრებული იოვანე V ოქროპირი“ (იქვე:277). ვფიქრობთ, გიორგი ოთხმეზურის არგუმენტირებული მოსაზრებები მხედველობაშია მისაღები.

ორივე ისტორკოსი გამორიცხავს 980-1001 წლებში მოღვაწე იოანე IV-ის პატრიარქის რანგში მოღვაწეობას. მართლაც, X საუკუნის ბოლო მეოთხედში ნაკლებ სავარაუდოა, საქართველოს ეკლესიის მეთაურს პატრიარქის ტიტული მოეპოვებინა, მაშინ როცა ბიზანტიასთან ჯერ კიდევ არ იყო სიტუაცია დალაგებული და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს თავისი პრეტენზიები გააჩნდა დასავლეთ საქართველოს მიმართ. ჩვენი აზრით, პარხალის წარწერაში სწორედ იოანე V ოქროპირია მოხსენიებული, რომელიც კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის შემდეგ მოღვაწეობდა და ლოგიკურია, რომ ისიც პატრიარქის რანგში იხსენიება და თავისი დამსახურების გამო საქართველოს ეკლესიამ იგი წმინდანთა დასში შერაცხა.[3]

3. აღსანიშნავია, რომ 1972 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში 16 მარტს ახალ სტილით წმინდანთა დასში იხსენიება კათალიკოსი იოანე IV, ხოლო თანამედროვე პერიოდის საქართველოს ეკლესიის კალენ-

ინტერესს იწვევს ანანია ჯაფარიძის გამოთქმული მოსაზრება, რომ შესაძლოა IX-X საუკუნეთა პერიოდში ქართლის (მცხეთის) კათალოკოსი იჯდა არა მცხეთაში, არამედ ჯერ გუარამ მამფალის „სამამფლოში“, ხოლო შემდგომ დავით კურაპალატის „ქართველთა სამეფოში“. შეიძლება, საკათალიკოსო კარი დროებით, განსაკუთრებული ვითარების გამო ქალაქ მცხეთაში აღარ იმყოფებოდა, თუმცა კი მაინც კათალიკოსს „მცხეთელი მამამთავრის“ ტიტული ჰქონდა (ჯაფარიძე,2011:186). შესაძლოა, პოლიტიკური სიტუაციის გართულების გამო მცხეთელ კათალიკოსს დროებით დაეტოვებინა მცხეთა, თუმცა ხანგრძლივი დროით მცხეთის დატოვება ალბათ საეჭვოა.

თუკი დავუშვებთ ალბათობას, რომ დავით კურაპალატის მოღვაწეობის პერიოდში, კათალიკოსი მასთან იყო გადასული, მაშინ სტეფანე იშხნელი რატომ აკურთხა ბასილი ბერძენთა პატრიარქმა? ან რაღა საჭირო იყო ტაოს საეკლესიო დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, თუკი მცხეთის კათალიკოსი ტაოში იმყოფებოდა. ამასთანავე, თუკი კათალიკოსის გადასვლა დროებით მაინც მოხდა, მის ტიტულატურაში ცვლილება ვერ მოხდებოდა, რადგან ანალოგიურ შემთხვევებში, როცა მართლმადიდებელ პატრიარქებს დროებით უწევდათ რეზიდენციების დატოვება, ისინი მაინც ძველი ტიტულებით იხსენიებოდნენ. ამასთან დაკავშირებით, „მატიანე ქართლისა“ დაახლოებით 975 წლისათვის ასეთ ცნობას გვაწვდის: დემეტრე აფხაზეთის მეფისა და მისი ძმის თეოდოსის ურთიერთბრძოლის ამბავის თხრობისას ნათელია, რომ ქართლის კათალიკოსი მცხთაშია - „ეფუცნეს წინაშე სუეტსა ცხოველსა კათალიკოსი,მღვდელთმოძღუარნი და დიდებულნი ყოველნი“(მატიანე ქართლისა :271). როგორც ვხედავთ, 975 წლისათვის ქართლის კათალიკოსი მცხეთაშია და ძმებს შორის ატეხილ დავასაც

დრებში 16 მარტს წმინდანად უკვე კათოლიკოს-პატრიარქი იოანე V-ა დაფიქსირებული.

მცხეთაში სასწაულმოქმედ სვეტიცხოველთან დაფიცებიო აწესრიგებს. ჩვენთვის აღნიშნული ცნობა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროისათვის აფხაზეთის საკათალოკოსო უკვე არსებობს, თუმცა დასვლეთ საქართველოში შექმნილი პრობლემის მოგვარებას მცხეთის კათალიკოსი კისრულობს, რაც უდავოდ მის მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს. სამწუხაროა, რომ მატიანეს ავტორი კათალიკოსის სახელს არ ასახელებს.ამ საკითხზე კი სიღრმისეული კვლევა-ძიების გარეშე აზრის გამოთქმა ჩვენი აზრით ძალზე რთულია.

X საუკუნიდან, საქართველოს ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი საკათალიკოსო არსებობდა, რომელთაგან უძველესი და უპირატესი ქართლის კათალიკოსი შესაფერის ტიტულს იღებდა. „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქი“, რომელიც მიანიშნებდა, რომ იგი თავის იურისდიქციას არა მარტო ქართლზე, არამედ აფხაზეთზეც ავრცელებდა, რადგან X-XI სს-ში ბიზანტიურ და ქართულ წარწერებში საქართველოს „აღმოსავლეთი“ და „ყოველი აღმოსავლეთი“ ეწოდებოდა. საქართველოს ერთიანი ეკლესიის შექმნის პროცესი, ქართლის კათალიკოსის მიერ პატრიარქის ტიტულის შეთავსებით დასრულდა“ (ქორიძე, 2003:15). სავარაუდებელია, რომ პატრიარქის ტიტულის ტარების უფლება ერთიანი ქართული ეკლესიის მეთაურმა კანონიკური წესების დაცვით მოიპოვა. თუმცა ამ ფაქტის დამადასტურებელი რაიმე ცნობა არ არსებობს. ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ ერთიანი ქართული ეკლესიის ჩამოყალიბების საჭიროებაც გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსი ბ. დიასამიძეც მიიჩნევს, რომ ერთიანი ქართული ეკლესიის ჩამოყალიბების პროცესი, X საუკუნის მეორე ნახევარში ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაში რეფორმის გატარების შემდეგ განხორციელდა, როცა არაერთი საეპისკოპოსო გაუქმდა (ფოთის, პეტრას, ვარციხის, ძიღანევის) და გაჩნდა ახალი კათედრები (ჭყონდიდის, მოქვის, ბე-

დიის, დრანდის, ნიკორწმინდის), შეიქმნა იმის პირობები, რომ ეგრის-აფხაზეთის ეკლესია მცხეთის ტახტს დაქვემდებარებოდა. (დიასამიძე, 2001:229).

ისტორიკოსი ბ. კუდავა ეკლესიათა გაერთიანებას ბაგრატ მესამის ეპოქას უკავშირებს. დასავლურ და აღმოსავლურქართულ ეკლესიათა გაერთიანება ყველაზე ლოგიკურია დავუკავშიროთ ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის ეპოქას (X-XI სს. მიჯნა) (კუდავა, 2002:164). თუ ამ აზრს გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ ქართული ეკლესიის გაერთიანება გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის (978-1014) მეფობის დროს მოხდა. სწორედ ამ დროს, ქართლის კათალიკოსი გახდა იოანე (980-1001). სავარაუდებელია, რომ სწორედ X საუკუნის შუა ხანებში, უფრო ზუსტად, X საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიების გაერთიანება. მკვლევართა უმრავლესობა (ანჩაბაძე, ლორთქიფანიძე, დიასამიძე, კუდავა) სწორედ ამ დასკვნამდე მიდის.

XI საუკუნის დასაწყისში, კათალიკოსი მელქისედეკ I (1010-1033) საქართველოს ეკლესიაში პირველად კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულით გვხვდება. დოკუმენტი დაწერილია 1020 წელს და ჩვენამდე მოღწეულია XVIII ს-ის პირით. დედნის თარიღი ქრონიკონი სმ უზის საბუთში შერწყმულ შედარებით ადრე დაწერილ საბუთს. მთლიანი საბუთი უთარიღოა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, საბუთი მიუხედავად მასში შესული შედარებით ადრე დაწერილი ნაწილისა, რომელსაც თარიღად უზის 1020 წელი, მაინც წარმოადგენს ერთ მთლიანს და არა ორ ნაწილად შედგენილ საბუთს.

კათოლიკოსი მელქისედეკი თავის თავს კათოლიკოზ-პატრიარქის ტიტულით იხსენიებს და მცხეთის ტაძრის სამოციქულო წარმომავლობაზე საუბრობს. „წმიდასა და კათოლიკე და სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისასა, სალოცველსა სახლსა ღმრთისა

დიდებისასა და მას შინა ღმრთივ აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა და წმიდა მყოფელსა ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან მელქისედეკ, მას ჟამსა ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ საჭეთ-პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოჲსა ეკლესიისა და შევამკევ სალხინებელად სულისა ჩემისა“ (ქართ. ისტ. საბუთების კორპუსი I, 1984:21-22). ქართული ეკლესიის მეთაური „კათოლიკე სამოციქულო საყდარს მცხეთისასა“ ამშვენიერებს და ამკობს ოქრო-ვერცხლის სამკაულებით და ძვირფასი თვლებით. აღნიშნულ სიგელში კათალიკოს-პატრიარქი ხაზგასმით აღნიშნავს მცხეთის საყდრის სამოციქულო წარმომავლობას. კათალიკოსი მელქისედეკი მოხსენიებულია ტყობა-ერედის ტაძრის (ინგუშეთი, ჩრდილოეთ კავკასია) წარწერაში, რომელიც ამჟამად ქ. გროზნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება და რომლის ტექსტი ასეთია: „ქრისტე ადიდე [ყოვლისა] აღმოსავლეთისა პატრიარქი მელქისედეკ, ამენ.“ (ნათელი ქრისტესი, 2003:303).[4] აღნიშნულ წარწერაში, მელქისედეკი იმავე ტიტულით გვხვდება, როგორიც გააჩნდა კათოლიკოს იოანე ოქროპირს, ყველაზე მთავარი კი - აღნიშნული ტაძარი საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარეობდა და ჩრდილო კავკასია, როგორც ჩანს, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკის სამწყსოში შემოდიოდა. ასე რომ, ქართული ეკლესიის მეთაურს შემთხვევით არ უწოდებდნენ „აღმოსავლეთის პატრიარქს“.

---

4. ბოლო ათწლეულებში დაღესტან-საქართველოს გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი ბოლო აღმოჩენათაგანია, მთიან დაღესტანში, ავარეთში, ქართული წყაროების ხუნძეთში, მისი დედაქალაქის ხუნძახს და მყურე აქაროს მთაზე, X-XIV სს წმ. თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძრის მიკვლევა, ძველ ქართულდამწერლობიანი ქვის ჯვრებითა და საინტერესო არქეოლოგიური მასალით. ასევე ინგუშეთში არსებული ტყობაჲ იერდას ტაძრის კვირაცხოვლობის სახელობის, X ს. II ნახ. სამეკლესიანი ბაზილიკა(ღამბაშიძე.2006:302-305).

მელქისედეკ კათალიკოსი იმდენად დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის, რომ მისი თხოვნით არა მარტო ბაგრატ III-მ „უბოძა სიმტკიცე შეუვალობისა“ ქართულ ეკლესიას (რაც შემდგომ ბაგრატ IV-მ და კვირიკე კახთა მეფემ დაამტკიცეს), არამედ თბილისის მაჰმადიანმა არაბმა ამირამაც კი. (ოთხმეზური,2012:274). აღნიშნულ პერიოდზე საუბრისას მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე აღნიშნავს; „ერთიან საქართველოს სამეფოში შეიქმნა ერთიანი საქართველოს საპატრიარქო. საქართველოს საზღვრებს შიგნით არსებული ორი საკათალიკოსოსაგან შეიქმნა ერთი საპატრიარქო. ქართველი ერის ორი ავტოკეფალური ეკლესიისაგან და აგრეთვე ჩრდილო კავკასიის, კასპიისპირეთისა და სომხეთის მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების შედეგად შეიქმნა საქართველოს საპატრიარქო“ (ჯაფარიძე, 2009:565).

ზემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიებზე, არსებული საეკლესიო ცენტრები ექვემდებარებოდა ერთიანი ქართული ეკლესიის მეთაურს, შესაბამისად ყველგან ამ ტერიტორიებზე მცხეთის კათალიკოსი იყო უპირატესი და ხდებოდა მისი მოხსენიება, როგორც „აღმოსავლეთის პატრიარქი“. ამას მოწმობს ტყობა-ერედის წარწერა. ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ორი ეკლესიური ერთეულის არსებობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, საქართველოს მეზობელ ბიზანტიის ტერიტორიაზე რამდენიმე საპატრიარქო არსებობდა, ასევე იყო სომხეთის ტერიტორიაზე. ბიზანტიის ტერიტორიაზე არსებობდა 4 დამოუკიდებელი ბერძნული საპატრიარქო, სომხებს კი ჰყავდათ სამი კათალიკოსი და ორი პატრიარქი (კუდავა, 2002:161). როდესაც ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზეც გაჩნდა ორი დამოუკიდებელი ეკლესიური ერთეული, როგორც ავღნიშნეთ, ჩამოყალიბდა ერთიანი საქართველოს საპატრიარქო. საქართველოს საპატრიარქოს ჩამოყალიბების მხარდამჭერი იყო საქართველოს სამეფო ხელისუფლება, რომელიც დაინტერესე-

ბული იყო ქართული ეკლესიის სიძლიერითა და ავტორიტეტის ამაღლებით.

აღსანიშნავია, რომ ერთიანი ქართული ეკლესიის მეთაური, კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი კონსტანტინეპოლში გაემგზავრა. იგი რამდენჯერმე იმყოფებოდა ბიზანტიაში. საფიქრებელია, რომ ამ ვიზიტების (ან ერთ-ერთი ვიზიტის) დროს მიღებულ იქნა აღმოსავლეთის პატრიარქების თანხმობა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის საპატრიარქო ხარისხში აყვანაზე. (საქ. კათოლიკოს-პატრიარქები, 2000:44).

მელქისედეკის ერთ-ერთი ვიზიტის შესახებ გვაუწყებს არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქიელი. ის ამბობს, რომ იმპერატორ რომანოზის დროს, საქართველოდან გაემგზავრა დელეგაცია. ისინი (აბხაზები) არიან ქრისტიანები, მტკიცედ დგანან ერთგულებაზე და ქრისტიანულ რწმენაზე, ეს მოითხოვს მათთან მეგობრობის აუცილებლობას და ერთმანეთში მტრობის აღმოფხვრას. განამტკიცა (რომანოზმა) მდგომარეობა მათთან იმით, რომ მიათხოვა თავისი ძმის ბასილ არგიროსის ასული ბაგრატ აფხაზთა მეფეს და მოვიდნენ ქალაქ კონსტანტინეპოლს დედამისი სენექერიმის ასული, კათალიკოსი, ე.ი. ჯასალაკი, რომელიც მათი ქვეყნის სამღვდელოების მეთაურია და ჯგუფი მათი მთავრებისა (ქართ. დიპლომატიის ისტორია, 2004:120).

მარიამ დედოფლის ეს ვიზიტი 1029-1030 წლით თარიღდება, გამოდის, რომ მარიამ დედოფალს კონსტანტინეპოლში თან ახლდა კათალიკოზ-პატრიარქი მელქისედეკ I. ეს ვიზიტი ალბათ მისთვის ერთ-ერთი ბოლო ვიზიტი იყო კონსტანტინეპოლში. ამავე ვიზიტის შესახებ გვაუწყებს „მატიანე ქართლისას“ ჩანართი: „წარვიდა კათალიკოზ-პატრიარქი მელქისედეკი წინაშე რომანოზ ბერძენთა მეფისა კონსტანტინეპოლედ. შეიწყნარა და მოსცა შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი, ჯუარნი, სამღვდელმთავრო და სამღვდელო შესამოსელი“ (ქ. ცხI:294). ბიზანტიის იმპერატორის

მხრიდან ქართული ეკლესიისათვის ასეთი შესაწირავის გაღება არის ალბათ ერთგვარი აღიარება და პატივისცემა, როგორც ჩვენი ეკლესიის, ასევე კათალიკოს-პატრიარქის მიმართ. ამის დასტურია ასევე მელქისედეკ I-სათვის ბერძნული მონასტრის კესტორიას გადმოცემა, რომელსაც 105 სოფელი ჰქონდა. ბიზანტიის იმპერიაში ეკლესია წარმოადგენდა საზოგადოების ერთ-ერთ საყრდენ სვეტს. სახელმწიფო მოწოდებული იყო, ეკლესიისათვის ყველა პირობა შეექმნა საიმისოდ, რომ მას თავისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია-სახარების ქადაგება შეძლებოდა (გვასალია, 2009:43). სამეფო ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რომ ქართული ეკლესიაც ისეთივე პრიორიტეტულ მდგომარეობაში ყოფილიყო, როგორც ბიზანტიის იმპერიაში იმყოფებოდა ქრისტიანული ეკლესია.

მელქისედეკ კათალიკოსის მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის, ბიზანტიის იმპერატორთაგან უდიდესი პატივისცემისა და აღიარების დამადასტურებელია მისი წარმატებული ელჩობები ბასილი II-ის, კონსტანტინე VIII-სა და რომანოზ III-ის კარზე (ოთხმეზური. 2012:274). ვახტანგ გოილაძე ამ საკითხზე მსჯელობისას აღნიშნავს, „მართლაც საინტერესოა, ვინ მიანიჭა მელქისედეკ I-ს პატრიარქის წოდება? საქართველოს საეკლესიო კრებამ თუ ბაგრატ III-მ? და ბოლოს რა როლი შეასრულა კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ და კონსტანტნეპოლის საიმპერატორო კარმა მელქისედეკისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭებაში? (გოილაძე. 2011:169). გამორიცხულია, რომ მელქისედეკისათვის პატრიარქის ტიტული საქართველოს მეფეს ან საქართველოს საეკლესიო კრებას მიენიჭებინა, რადგან ამგვარი რამ ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო წესებს და ამასთანავე საქართველოში მინიჭებულ ტიტულს ბერძნული საპატრიარქოები არასოდეს აღიარებდნენ. ფაქტია, რომ კათალიკოსმა მელქისედეკმა პატრიარქის ტიტული ერთერთი ვიზიტის დროს მიიღო. სავარაუდოდ ეს მოხდა მაშინ, რო-

დესაც ბიზანტიასა და საქართველოს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა სუფევდა. ვ.გოილაძე მიჩნევს, რომ „მელქისედეკ კათალიკოსმა თავის ერთ-ერთი ვიზიტის დროს (დაახ.987 წლამდე, სანამ დავით III ბასილ II-ის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდას ფოკას მიემხრობოდა) ითხოვა, მისთვის პატრიარქის წოდება მიენიჭებინათ"(იქვე:171). შევნიშნავთ, რომ გოილაძე 980-1001 წლებში იოანე IV ოქროპირის კათალიკოსობას საერთოდ გამორიცხავს, ხოლო 1001-1010 წლებში მოღვაწე სვიმეონ კათალიკოსი აფხაზეთის კათალიკოსად მიიჩნია. ასეთ შემთხვევაში მივიღებთ, რომ 980-1033 წლებში კათალიკოსის ტახტი მელქისედეკს ეჭირა, რაც ალბათ ძალზე საეჭვოა, პრობლემას ქმნის კვლავ კათალიკოსთა ზუსტი ქრონოლოგიური რიგის არარსებობა. ვფიქრობთ, საკითხი თავისი სირთულიდან გამომდინარე, შემდგომ კვლევა-ძიებას ექვემდებარება.

ერთიანი ქართული ეკლესიის მეთაურის ტიტულატურაში ცვლილება მისმა განუზომელმა ავტორიტეტმა გამოიწვია. ცნობილია, რომ ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III (ან მისი წარმომადგენელი) და ბასილი II-სთან მოლაპარაკებისათვის იმყოფებოდნენ კონსტანტინეპოლში. მოლაპარაკების თემა ეხებოდა „კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველს". მიტროპოლიტი ან. ჯაფარიძე ბრძანებს, რომ „კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი" ეწოდებოდა არა მარტო საეკლესიო შენობას მცხეთაში, არამედ საქართველოს მთლიან ეკლესიას, რომლის იურისდიქცია პონტოს ზღვიდან დარუბანდის ზღვამდე ვრცელდებოდა." (ჯაფარიძე, 2009:566). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობაზეა საუბარი, ასევე ამ ეკლესიის საფუძველთა საფუძველი საუფლო კვართი და სვეტიცხოველია. ბ. ლომინაძე შენიშნავდა: ტიტულატურაში ცვლილება საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის გაზრდამ, გაფართოებამ ტერიტორიის, პოლიტიკურად და ეკო-

ნომიკურად გაძლიერებამ გამოიწვია. საქართველოს ეკლესიის მესაჭე ახლა გამგებელი იყო არა მარტო საკუთრივ „ქართლისა“ ეთნოგრაფიულ ფარგლებში, არამედ, რაც მთავარია, პოლიტიკურად გაერთიანებული „საქართველოსი“. საქართველოს საპატრიარქო გასცდა ნაციონალურ ფარგლებს (როგორც მაშინ ბერძნული საპატრიარქოები იყო მოწყობილი), დაიქვემდებარა ქვეყნის შიგნით არაქართული თემები და გარეთ - ჩრდილო კავკასიაში ზოგიერთი მხარე (ლომინაძე, 1997:7;8). ქართული ეკლესიის მეთაურის ტიტული რამდენჯერმე შეიცვალა. ქართული ეკლესიის სრულყოფასთან ერთად, ცვლილებები ეკლესიის მეთაურის ტიტულშიც აისახებოდა. წმიდა ნინოს დროიდან ავტოკეფალიის მოპოვებამდე V საუკუნის 70-იან წლებამდე, ეკლესიის მეთაური მხოლოდ მთავარეპისკოპოსის ხარისხში იყო, V საუკუნიდან ქართული ეკლესიის მეთაური კათალიკოსის ტიტულს ატარებდა. X საუკუნიდან - „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი“, 1918 წლიდან - „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი“ (სილოგავა, 2008:167).

XI საუკუნიდან, „კათალიკოს-პატრიარქის“ ტიტულით მელქისედეკ I-ის მოხსენიება საეჭვოდ მიაჩნდათ ელენე მეტრეველსა და ვალერი სილოგავას. მათი აზრით, XVIII საუკუნის ვარიანტით მოღწეულ „მცხეთის დაწერილ“ ცალში, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის „კათალიკოს-პატრიარქის“ ტიტულით მოხსენიება უფრო გვიანდელი უნდა იყოს. ელენე მეტრეველის აზრით „ჩვენ არ გვეგულება არც მელქისედეკის თანამედროვეთა შორის და არც მოგვიანო ხანაში ქართველი კათალიკოსი, რომელსაც ასეთი აქტიური კონტაქტი ჰქონდა კონსტანტინეპოლთან. ვფიქრობთ ამან განსაზღვრა მელქისედეკის ოფიციალურ ტიტულატურაში პატრიარქის დამატება: კათოლიკოს-პატრიარქი. კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულით არ იხსენიებიან არა მარტო მელქისედეკის უშუალო მემკვიდრე კათალიკოსები (იოანე 1033-1045) და ოქ-

როპირი (1045-1048), არამედ არც მათი მომდევნო კათალიკოსები, ვიდრე XIII საუკუნის შუახანებამდე“ (მეტრეველი, 1996:180). აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან „მცხეთის საბუთის „ გარდა მელქისედეკი „აღმოსავლეთის პატრიარქის“ ტიტულით იხსენიება ტყობა-ერედის ტაძრის წარწერაშიც. იოანე ოქროპირი კი „აღმოსავლეთის პატრიარქის“ ტიტულით პარხლის ტაძრის სამხრეთ ფასადზეა მოხსენიებული. ვფიქრობთ, ამ არგუმენტების უარყოფა არ შეიძლება, თუმცა შესაძლებელია ჩვენი მოსაზრების დასადასტურებლად სხვა არგუმენტების დასახელებაც.

მიხეილ ქავთარიას აზრით მონღოლთა შემოსევათა დაწყებისთანავე ქართველი კათალიკოსები პატრიარქებად აღარ იწოდებიან,მე-XVIII საუკუნის დამდეგს, როდესაც დომენტი (ბატონიშვილი) აღზევდა(ვახტანგ VI-ის ძმა) , მან იმთავითვე დაამკვიდრა ტიტულატურაში წოდება პატრიარქი, რითაც ჩანს სურდა ხაზი გაესვა დამოუკიდებლობისათვის. დომენტიმ აღადგინა გაწყვეტილი ტრადიცია. დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებში პატრიარქის ტიტული უფრო ადრე ჩნდება (ქავთარია,2002:130).

მიხეილ ქავთარიას აღნიშნული მოსაზრებას სარწმუნოდ ვერ მივიჩნევთ, რადგან საქართველოში მონღოლთა შემოსევების შემდეგ, მცხეთის რამდენიმე კათალიკოსი მოიხსენიება პატრიარქის ტიტულით, კერძოდ, ელიოზი (გობირახისძე) XIV საუკუნე, მიქაელ VI (1419-1426), მალაქია (1532-1534), დომენტიI (1556-1560), ნიკოლოზ VII (1561-1584), ნიკოლოზ VIII (1584-1589). აღსანიშნავია, რომ ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ მცხეთის კათალიკოსებმა შეინარჩუნეს ადრინდელი ტიტული: „ჩვენ ქრისტეს ღმრთისა კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან ქართლისა კათალიკოსმან. დიასამიძემ პატრონმან იოვანე“ 2. 1765წ. „ძმამან ჩვენმან ანტონი პატრიარქმან ყოვლისა საქართველოსმან.“ 3. 1783წ. „ყოვლისა საქართველოისა პატრიარ-

ხი მეფის ძე ანტონი.“ მართალია, ამ პერიოდში მცხეთის კათალიკოსთა ხელისუფლება მთელ საქართველოზე არ ვრცელდებოდა, მაგრამ კათალიკოსებს მაინც უძველესი ტიტულით მიმართავდნენ. ამ ფაქტს ადასტურებს XVI საუკუნის ძეგლი „სამართალი კათალიკოზთა,“ რომელიც დასავლეთ საქართველოში შეადგინეს და შეკრებას დაესწრო მცხეთის კათალიკოსი მალაქია. „ქ. სახელითა ღვთისათა მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამამთავარმან ევდემოს დავსხედით და შევიკრიბენით ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისანი“ (კაკაბაძე,1913:33). საეკლესიო სამართლის აღნიშნულ ძეგლში დაცულია ისტორიული რეალობა, დასავლეთ საქართველოში ჩატარებულ საეკლესიო კრებას ესწრებოდა მცხეთის კათალიკოსი, რომელიც კვლავ ყოვლისა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად იწოდება და კრების მონაწილეთა შორის პირველად იხსენიება. ამავე პერიოდში შედგენილ მეორე საეკლესიო სამართლის ძეგლი: „აფხაზეთის დიდი იადგარის“ ბოლო ნაწილი შემდეგი შინაარსისაა: „და თქუენ წმიდანო მეუფენო, მღვდელმთავართ მთავარნო აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ“ (კაკაბაძე,1925:185).

საქართველოს სახელწიფოს დაშლის შემდეგაც კი, როცა იქმნებოდა დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი, აუცილებელი იყო ორივე კათალიკოსის ხელმოწერა,ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აფხაზეთის კათალიკოსი იხსენიება ქართლის კათალიკოსის წინ, რადგან დოკუმენტი დასავლეთ საქართველოს ეკლესიას შეეხებოდა.

XVII საუკუნიდან სამეფო ხელისუფლება აშკარად ერეოდა ეკლესიის შიდა საქმეებში. „მეფე ერეკლე I დროიდან საერო მმართველობამ შეარყია საეკლესიო წესდებულების დამოუკიდებლობა. კათალიკოზი უნდა ამორჩეულიყო სამღვდელოთა კრების მიერ, მაგრამ ჩვენმა მეფეებმა ეს ავტონომია მოუსპეს და თვი-

თონ ნიშნავდნენ კათალიკოზებს. გიორგიმ დასვა კათალიკოსად ნიკოლოზი. ერეკლე I-მა იგი განაყენა და დასვა იოანე. ვახტანგ VI ისევ ნიკოლოზს დაუბრუნა კათალიკოზობა" (ხახანაშვილი, 1891:IX). ქართველ მეფეთა ასეთი ქმედებებით ირღვეოდა საუკუნეების განმავლობაში ავტოკეფალურ ეკლესიაში დადგენილი წესრიგი, რასაც საბოლოო ჯამში უარყოფითი შედეგი მოჰქონდა ეკლესიისათვის.

მალაქია I აბაშიძე (1519-1540-ანი წლები), აფხაზეთის კათალიკოსებს შორის პირველად იხსენიება პატრიარქის ტიტულით. მალაქიას შემდეგ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსები ხშირად იხსენიებიან პატრიარქის ტიტულით. უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს პოლიტიკურად დაყოფას, მაშინვე მოჰყვა ცვლილებები საქართველოს სამოციქულო ეკლესიაშიც.

II. 2. ბერძენთა მიერ ქართული ეკლესიის ხელყოფის მცდელობა და ავტოკეფალიის „ხელახალი დადასტურება“

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XI საუკუნეში განსაკუთრებით ძლიერდება. ამ პერიოდში ქართველთა სავანეები არსებობს წმიდა მიწაზე, შავ მთაზე, ათონზე, სადაც მოღვაწეობდნენ ღვაწლმოსილი და განათლებული ქართველი ბერები. ქართულ მონასტრებში, ქართველ ბერთა სიმრავლე შეუმჩნეველი არ დარჩენილა ბერძნებისათვის. ამავე დროს მკვეთრად გაუარესდა პოლიტიკური სიტუაცია ბიზანტიასა და საქართველოს შორის. ბერძენთა მხრიდან ქართველთა შევიწროების ამბავი შემოგვინახა გიორგი მცირემ თავის თხზულებაში „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა,“ რომელშიც მოცემულია ბერძნების მიერ მორიგი დაეჭვება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებაში. თხზულებაში ნათლადაა ნაჩვენები, როგორ დაიცვა გიორგი მთაწმინდელმა ქართული ეკლესიის თავისთავადობა და როგორ დაარწმუნა ყოველმხრივი დასაბუთებით მოწინააღმდეგენი თავიანთი ეჭვების აბსურდულობაში.

„ცნობილია მისი თერთმეტი ხელნაწერი, რომელთაგან უმრავლესობა დაცულია საქართველოში. ერთი ათონის მთაზე, ერთიც პეტერბურგში. ხელნაწერთაგან ყველაზე ადრინდელია S 353 ხელნაწერი, რომელიც თარიღდება XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი ხუცესმონაზონმან ღირსისა და წმიდისა მამათმამისა გიორგი მთაწმინდელისა თუალთ მხილველმან და ხელით მსახურმან და მოწაფემან“ (გიორგი მცირე, 1994:39). გიორგი მცირე ყოფილა გიორგი მთაწმინდელის მოწაფე და მისი უშუალო თანამედროვე, ამიტომ, ბუნებრივია, მისი ცნობები განსაკუთრებით ფასეულია. „მოძღვრის გარდაცვალებით შეძრწუნებულმა გიორგი მცირემ აღწერა არა მხოლოდ მისი ცხოვრების ბოლო პერიოდი და აღსას-

რული, არამედ სრულიად გადმოგვცა მთელი თავგადასავალი, რათა არა დავიწყებულ იქნას მომავალთაგან და შემდგომითი შემდგომთა ნათესავთა." (მენაბდე, 1980:211). გიორგი მთაწმინდელის ღვაწლი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მისმა მოწაფემ საჭიროდ ჩათვალა, ყველაფერი მომავალ თაობას სცოდნოდა და დავიწყებას არ მისცემოდა. „გიორგი ათონელის მოწაფე და თანამოღვაწე გიორგი მცირე, რომელიც ყველგან თან ახლდა თავის სასახელო მოძღვარს და ყველაზე უკეთ იცნობდა მის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას და ლიტერატურულ მოღვაწეობას" (მენაბდე, 1982:17). ახლდა თუ არა გიორგი მცირე თავის მოძღვარს ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას, უცნობია, თუმცა იგი ძალზე დაწვრილებით გადმოგვცემს კამათის დეტალებს. როგორც ჩანს, გიორგი ათონელი ხშირად ჩადიოდა ანტიოქიაში.

აღსანიშნავია, რომ ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-სთან ახლო ურთიერთობა ჰქონია გიორგი მთაწმინდელს. როდესაც ანტიოქიაში ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა პეტრე მოციქულის ტაძარი, „პატრიარქი მრავლითა მწუხარებითა და ურვათაგან შეპყრობილი იყო, გიორგი ეახლა მას და მიუსამძიმრა და სიტყვათა ნუგეშინის ცემისათა და სწავლითა სულიერითა ყოველი მწუხარებაი და გლოვაი მისი განაქარვა" (გიორგი მცირე, 1994:127). ქართული წყაროს მიხედვით, ასეთი მეგობრული და ახლო ურთიერთობა ჰქონიათ პატრიარქსა და გიორგი მთაწმინდელს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, პატრიარქ პეტრეს ნათელი წარმოდგენა ექნებოდა ქართულ ეკლესიაზე. 1054 წელს ანტიოქიაში ჩავიდნენ დედოფალი მარიამი და გიორგი მთაწმინდელი, სადაც გაიმართა მოლაპარაკებები ქართული ეკლესიის შესახებ. შემდეგ კი გადაწყდა იერუსალიმში გამგზავრება. თუმცა პეტრე პატრიარქმა სთხოვა დედოფალ მარიამს, რათა არ გამგზავრებულიყო იერუსალიმში, რადგან იგი მაჰმადიანებს ეპყრათ ხელთ. გიორგი მთაწმინდელი კი მარტო მიემგზავრება იერუსალიმში და უკან კმაყოფილი

ბრუნდება ანტიოქიაში, ანტიოქიის საპატრიარქოში ვიზიტის შემდეგ მარიამ დედოფალი უკან მიდის საქართველოში (ჯაფარიძე, 2009:589).

უნდა აღინიშნოს გიორგი მთაწმინდელის დიდი დამსახურება ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების დაცვის საქმეში. თავისი სულიერებითა და განათლებით, მან შეძლო წმიდად დაეცვა ქართული ეკლესიის სახელი. უფრო მეტიც, მან დამოძღვრა და დაამშვიდა ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III, რომლის დროსაც იყო, როგორც ჩანს, მათ შორის საუბარი ქართველებისა და ბერძნების დაპირისპირებაზე.

მივუბრუნდეთ ისევ თეოდორ ბალსამონის სიტყვებს: „ამბობენ, რომ", როგორც ქვემოთ ავღნიშნეთ, ამ სიტყვას დამაჯერებლობა აკლია და „ამბობენ", „ყვებიან" აღნიშნავს ბალსამონი, ხაზს უსვამს ყველასათვის ცნობილ ამბავს, უკვე არსებობს საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია". ჰქონდა თუ არა მას რაიმე საბუთი ხელთ, თუ მხოლოდ გაგონილ ამბავს გადმოგვცემს? სავსებით შესაძლებელია, რომ ეს საბუთი არსებობდა და ინახებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს არქივში, მაგრამ ამ დროს, XII საუკუნეში, ანტიოქიაში გაბატონებული იყვნენ ჯვაროსანი კათოლიკეები. ბალსამონი იძულებული გახდა, დარჩენილიყო კონსტანტინეპოლში, ამიტომ ყველა ანტიოქიური დოკუმენტი მას ხელთ არ ჰქონდა. იგი ვიდრე პატრიარქი გახდებოდა, იყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს არქივის ხელმძღვანელი, ანუ ხარტოფილაქსი და ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ კონსტანტინეპოლში არსებულ დოკუმენტებზე. ანტიოქიის არქივის დოკუმენტები კი მისთვის მიუწვდომელი იყო. ამასთანავე, სინოდის დადგენილებები შეეხებოდა არა ბერძნულ, არამედ ქართულ ეკლესიას (Цагарели, 1912:52-55). ამრიგად, თუკი ბალსამონს ხელი არ მიუწვდებოდა ანტიოქიურ დოკუმენტებზე, იგი ზეპირი გადმოცემით, გაგონილ, მოსმენილ ფაქტს უკეთებს კომენტარს, შესაძლოა, ამით აიხსნას

„ამბობენ". სწორედ ამ სიტყვას იყენებს ბალსამონი, როდესაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე საუბრობს.

ამასთან დაკავშირებით მსჯელობს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე: ბალსამონის თანახმად იბერიის ეკლესია ავტოკეფალური იყო IV საუკუნეშივე, რადგანაც მისი აზრით, ყველა სახელმწიფოებრივი ერთეულის ეკლესია ამ დროისათვის ავტოკეფალური იყო. ჩანს, ბალსამონს იბერიის ეკლესია ავტოკეფალურ ეკლესიად მიაჩნდა II მსოფლიო კრების დროისათვის. ამიტომაც, ამ კრების მე-2 კანონის კომენტირებისას ის წერს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. მიუხედავად ამისა, მან იცის, რომ ანტიოქიის პატრიარქ პეტრეს დროს ამ საპატრიარქოს კრებამ იმსჯელა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. მას არ შეეძლო ეფიქრა, რომ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა პეტრე III-მ, რადგანაც, მისი აზრით, XI საუკუნეში ქართული ეკლესიის ავტოკეფალია უკვე ითვლიდა რამდენიმე საუკუნეს. ბალსამონს გაუგონია, რომ XI საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქოში ჩატარებულა საეკლესიო კრება, რომელსაც ქართული ეკლესიის ერთი რაღაც უფლება იურიდიულად უცვნია. მართლაც, 1056 წელს პეტრე III-ის დროს ჩატარებულმა კრებამ აღიარა ქართული ეკლესია ჭეშმარიტად მართლმადიდებელთა ეკლესიად და შეწყდა ქართველი ბერების დევნა. სახელდობრივ პატრიარქ პეტრე III-ის დროს ანტიოქიის საპატრიარქომ იურიდიულად ცნო ქართული საპატრიარქოს ფაქტობრივი არსებობა (ჯაფარიძე, 2009:591). სწორედ ეს ფაქტი აისახა თეოდორ ბალსამონის მსოფლიო საეკლესიო კრების მე-2 კანონის განმარტებაში. შესაბამისად, იგივე საკითხზე გვესაუბრება მიქელ ბრეკი, რომელიც გიორგი კედრენეს ეყრდნობა. იგივე ამბავია მოთხრობილი გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაშიც, კერძოდ, ქართველების ჩასვლა კონსტანტინეპოლსა და ანტიოქიაში. ამ მხრივ, ქართული და ბერძნული ცნობები ერთმანეთს ემთხვევა. დედოფალ მარიამისა და გიორგი მთაწმინდელის ვიზიტი წარმო-

უდგენელია, არ უკავშირდებოდეს ქართულ ეკლესიას და მათმა ურთიერთობამ ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-სთან განაპირობა ალბათ ბერძენთა მხრიდან ქართული ეკლესიის მიმართ დევნის შეწყვეტა. ეს ფაქტი გამოწვეული იყო პირველ რიგში, ქართული სამეფოს პოლიტიკური სიძლიერით. ამასთანავე კონსტანტინეპოლსა და ანტიოქიაში ჩასული დელეგაციის წევრთა უმაღლესმა რანგმა განაპირობა ვიზიტების წარმატება, რადგან დელეგაციის ერთი წევრი იყო ბაგრატ IV-ის დედა, ხოლო მეორე კი - მეცნიერი, განათლებული სასულიერო პირი, რომელსაც ბიზანტიის სამეფო კარზე განსაკუთრებული პატივით ჰხვდებოდნენ. ბაგრატ IV და მარიამ დედოფალი კონსტანტინეპოლში იმყოფებოდნენ 1050-1053 წლებში. „1056 წელს გიორგი მთაწმინდელი იერუსალიმში ჩავიდა მდიდარი შემოწირულობით. იერუსალიმში ჩასული გიორგი მთაწმინდელი შეხვედრია პროხორე ქართველს, რომელიც ამ დროს დაკავებული ყოფილა ჯვრის მონასტრის მშენებლობით. იერუსალიმიდან იგი ანტიოქიაში დაბრუნებულა და წმიდა სვიმეონის სახელობის კალიპოს ქართულ მონასტერში ცხოვრობდა“ (Прав. Палест.сборник, т. IV, вып. I; 1888:47).

ქართული მონასტრები სირიის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად აყვავდნენ და გაძლიერდნენ 969-1084 წლებში, მას შემდეგ, რაც ბერძნებმა დაიკავეს სირიის ტერიტორია. სწორედ ანტიოქიის მახლობლად ღვთისმშობლის სახელობის კალიპოს ქართულ მონასტერში 1052-1054 წლებში, იმპერატორ კონსტანტინე მონომახისა და ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ის მოღვაწეობისას გადაიწერა ქართული სახარება. ეს ფაქტი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია უშუალოდ ანტიოქიის მახლობლად ფლობდა სამონასტრო ცენტრებს, სადაც იწერებოდა წმიდა წერილი თუ მრავალი სახის სასულიერო ლიტერატურა. ქართველთა დელეგაციას ახლდნენ თუ არა სხვა პირები, ჩვენთვის უცნობია. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ დელე-

გაციის შემადგენლობაში შესაძლოა ყოფილიყვნენ სხვა სასულიერო პირები. გიორგი მთაწმინდელის მიმართ უნდა ითქვას, რომ ქართული ეკლესიის უფლებების დასაცავად ეწვია კონსტანტინეპოლის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებს, მართალია, ჩვენთვის უცნობია კონკრეტულად რაზე ისაუბრეს, მაგრამ ნათელია, რომ არსებობდა პრობლემა, რომელიც ქართულ ეკლესიას შეეხებოდა და საქმის მოგვარება გიორგი მთაწმინდელმა იკისრა.

გიორგი მთაწმინდელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მონომახთან, რომელმაც 1052 წლის ახლო ხანებში გიორგი მთაწმინდელის თხოვნით ათონის ივერთა მონასტერი სხვადასხვა გადასახადებისაგან გაათავისუფლა, იმპერატორმა ასევე საკუთარი თანხები გაიღო, რათა გადაეხურათ ივერთა მონასტერი (Соколов, 2003:211).

„გიორგი მთაწმინდელმა ყურადღება დაიმსახურა თვით ანტიოქიელი პატრიარქებისაც კი, როგორც, მაგალითად, პეტრესი და თეოდოსისა (1057-1076). უკანასკნელთან მას ქართველთა საეკლესიო დამოუკიდებლობის შესახებ ცხარე კამათიც კი ჰქონია 1057 წელს და დიდი შთაბეჭდილებაც მოუხდენია“ (კეკელიძე, 1980:217).

ამ საკითხთან დაკავშირებით 1906 წელს ი. ფერაძე წერდა ჟურნალ „Духовный вестник Грузинского экзархата“: „ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ს დროს 1053 წელს ქართული ეკლესია გახდა დამოუკიდებელი და თავისუფალი. ამ ფაქტს ადასტურებს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (XVII ს.), რომელიც იყენებს ბერძნულ და არაბულ წყაროებს და პირდაპირ ამბობს ზემო ივერიის ეპარქია დამოუკიდებელი გახდა კონსტანტინე მონომახის და ანტიოქიის პატრიარქ პეტრეს დროს. ორივენი იყვნენ ერთმანეთის თანამედროვენი“ (Правда об Автокефалий Грузинской церкви, 1906:255). შევნიშნავთ, რომ ი. ფერაძის მოსაზრება ჩვენთვის მიუღებელია, ქართული ეკლესია 1053 წლამდე იყო ავტო-

კეფალური.

ქართული ეკლესიის უფლებების დაცვა გიორგი მთაწმინდელს ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსის ზეობის დროს კვლავ მოუწია. ბერძნები ქართველებს, როგორც ჩანს, ყველგან ავიწროვებდნენ: ათონზე, შავ მთაზე, წმიდა მიწაზე, სადაც კი საშუალება მიეცემოდათ. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსისთან გამართული კამათი და ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ს დროს ჩატარებული საეკლესიო კრება, ერთსა და იმავე ფაქტს წარმოადგენდა. დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე მიიჩნევდა, რომ: „წმიდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში ანტიოქიის პატრიარქად დასახელებულია თეოდოსი, მაგრამ ჩვენ მივიჩნევთ, რომ ამ კრებას ადგილი ჰქონდა პატრიარქ პეტრე III-ის დროს“ (Цинцадзе, 1905:30). იგივე აზრს იზიარებდა ბაბილინა ლომინაძე, რომელიც მიიჩნევდა, რომ პატრიარქ თეოდოსის დროს გამართული კრება უნდა ვიგულისხმოთ კანონისტ ბალსამონის მიერ მითითებულ პატრიარქ პეტრეს დროინდელ კრებაში, რომელმაც ბალსამონის თქმით, საქართველოს ეკლესიას მისცა ავტოკეფალია (ლომინაძე, 1999:41). მართლაც, საკმაოდ უცნაურია, თუკი 1054 წელს ანტიოქიის პატრიარქის პეტრე III-ის დროს მოხდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, რატომ გახდა საჭირო, სულ რამდენიმე წელიწადში, პეტრეს მომდევნო პატრიარქის თეოდოსი III-ის დროს (1057-1076) ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე კვლავ კრების მოწვევა. მართლაც ჩატარდა ორი საეკლესიო კრება ანტიოქიაში სხვადასხვა პატრიარქის დროს, თუ მხოლოდ 1054 წელს ჩატარებულ კრებას უნდა დავუკავშიროთ თეოდოსის პატრიარქობის დროს შემდგარი კამათი. პატრიარქ პეტრეს დროს ჩატარებული კრება ქართული ეკლესიის საკითხებზე, შეცდომით ხომ არ გადაიტანეს მისი მომდევნო პატრიარქ თეოდოსის პერიოდში? გადაჭრით ამ ფაქტის მტკიცება რთულია, თუმცა ძველად საკმაოდ ხშირად იყო სახელთა აღრევა

და გადაწერისას მრავალი უზუსტობის დაშვება. ასეთივე აღრევაა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების რამდენიმე ხელნაწერში. ქართული ხელნაწერების მიხედვით, პატრიარქ პეტრეს მაგივრად იხსენიება „ნეტარი იოანე პატრიარქი“ (სახელი ქარაგმით იკითხება იე). საბინინის თარგმანითა და „ათონური პატერიკით“ - იგივე იოანე. ვინ იყო „იოანე პატრიარქი“? გიორგი მთაწმინდელის ერთ გვიანდელ ხელნაწერში Q48, რომელიც გადაწერილია 1839 წელს S 353 ნუსხიდან, იოანეს ნაცვლად წერია პეტრე. ყუბანეიშვილის გამოცემებში ხელნაწერისეული წაკითხვა „იოანე“ გასწორებულია როგორც „პეტრე“. „პეტრე“ იხსენიება ასევე ივ. ლოლაშვილის გამოცემაშიც. „იოანეს“ სახელის მქონე პიროვნება ამ პერიოდში ანტიოქიაში ნამდვილად არ მოღვაწეობდა. ფ. გრუმელის „ქრონოლოგიის“ მიხედვით პეტრე III 1053-1056 წლის მარტის ჩათვლით მოღვაწეობდა, დიონისოს - 1056 წლის აპრილიდან 1057 წლის აგვისტომდე, თეოდოს III - 1057 წლის აგვისტოდან 1076 წლამდე. ივ. ლოლაშვილი აღნიშნავს, რომ „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ თავდაპირველ ტექსტში ეწერებოდა პ˜ე (პეტრე), ხოლო შემდეგ გრაფიკული აღრევის ნიადაგზე გაჩენილა ი˜ე (იოანე). ასეთი აღრევა ხელნაწერებში ძალიან ხშირია (ლოლაშვილი, 1994:127,128).

გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის კამათი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის, დევიდ ლანგის აზრით, 1055 წლის ახლო ხანებში გაიმართა (Lang.1965:165). ასე რომ, კალისტრატე ცინცაძისა და ბაბილინა ლომინაძის მოსაზრებების უარყოფა მართებული არ იქნება.

ასეთივე ეჭვი აქვს გამოთქმული მ. თარხნიშვილსაც. „მისი აზრით „ბალსამონთან ლაპარაკია პეტრეზე, პეეტერსის მიერ გამოცემულ „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ - თეოდოსიზე. შეიძლება ბალსამონი თვითონ არ გადმოგვცემს სწორად პატრიარქის სახელს, რადგანაც მან სახელი სარწმუნო წყაროებიდან კი

არა, გადმოცემებიდან იცოდა. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მხოლოდ XI საუკუნეში ცნეს. ეს მანამდე კარგა ხნით ადრე დადასტურებული ფაქტი იყო" (თარხნიშვილი, 1994:147). თუ რატომ დაისვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი კვლავ XI საუკუნეში, ალ. ცაგარელი ძალზე საგულისხმო ახსნას გვთავაზობს. იგი ამ მოვლენას უკავშირებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების გაყოფას. „ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III იყო დიდი ნიჭისა და განათლების მქონე პიროვნება. იგი იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიხეილ კერულარის (1043-1059) თანამედროვე. მიხეილ კერულარმა განსაკუთრებული როლი ითამაშა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების შერიგების საქმეში, თუმცა XI საუკუნის შუა ხანებში მოხდა საბოლოო გათიშვა რომსა და კონსტანტინეპოლს შორის. ქართველებისათვის სრული და ფორმალური ავტოკეფალიის მინიჭება ანტიოქიის ბერძნული საპატრიარქოსაგან იმის გამო მოხდა, რომ ბერძნებს ქართული ეკლესია შეენარჩუნებინათ ბერძნულ მართლმადიდებელ სამყაროში და რომთან ყოველგვარი ურთიერთობა მოესპოთ" (Цагарели. 1912:58).

ცნობილია, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების საბოლოო გაყოფა 1054 წელს მოხდა. სწორედ ამ წელს ჩადიან კონსტანტინეპოლში ბაგრატ IV და მარიამ დედოფალი და ჰხვდებიან ბიზანტიის იმპერატორსა და კონსტანტინეპოლის პატრიარქს. სრულებით არ არის გამორიცხული, რომ საქართველოდან ასეთი მაღალი რანგის სტუმრების ჩასვლა სწორედ მაშინ მოხდა, როცა ქრისტიანულ ეკლესიაში ასეთი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ხდებოდა. როგორც ყოველთვის, ქართული ეკლესია მონაწილეობას იღებდა ქრისტიანულ ეკლესიაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებში და, რაც მთავარია, მუდამ მტკიცედ ინარჩუნებდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას - მართლმადიდებლობას.

ანტიოქიის პატრიარქ თეოდოს III-ის მოღვაწეობის დროს, შავ

მთაზე მოღვაწე სვიმონწმინდელმა ბერებმა ქართველები ანტიოქიის პატრიარქთან დაასმინეს. ვინმე ქართველი ხუცესი სვიმონწმიდის სვეტზე „განსულ იყო ჟამისწირვად ქალამანითა და საბეჭურითა, არ ჩაეცვა სამღვდელო შესამოსელი, როგორც ეს მაშინ წესად იყო მიღებული, და ამის გამო ქართველ ხუცესებს აუკრძალეს საერთოდ სვიმონწმიდაში ჟამის-წირვა“. ბერძენმა ბერებმა ქართველთა ჭეშმარიტ სარწმუნოებაში შეიტანეს ეჭვი და პატრიარქ თეოდოსის სთხოვეს: „განგვათავისუფლენ კაცთაგან ამათთა და უცხოთა თესლთა, რამეთუ არს მონასტერსა ჩვენსა ვითარ სამოცი კაცი, ქართველად სახელსდებენ თავთა თვისთა და არა უწყით, თუ რაისა ზრახვენ, ანუ რაჲ არს სარწმუნოება მათი“. ბერძენთა თავხედობა იქამდე მივიდა, რომ „თვით წმიდისა სვიმონის მიერ დამკვიდრებული ქართველების“ გაძევება განიზრახეს, აღნიშნულ საქმეში კი მათ ანტიოქიის პატრიარქის დახმარება სჭირდებოდათ, რომელიც ძალზე გაკვირვებული იყო „და ჰრქუა მათ და ვითარ ეგების ესე, რათამცა ქართველნი არა მართლმადიდებელნი იყვნეს“? (იხ. ქართ. ლიტ. ძეგლები, 1978:307). პატრიარქის სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ მას უკვირს ქართველების არამართლმადიდებლობა, აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბერძენი ბერების ჩივილი ცილისმწამებლური და უსაფუძვლო იყო, მაშინ, როცა ქართველებს ამ პერიოდისათვის, 1057 წლისათვის, ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე: ათონზე, შავ მთაზე, წმიდა მიწასა და სხვაგან მრავალი სამონასტრო ცენტრი ჰქონდათ. ბერძნებმა პატრიარქის წინაშე ქართველთა მწვალებლობაზე დაიწყეს საუბარი. „ბერძენთა და ქართველების ბრძოლამ ერთი ისეთი საკითხი წამოაყენა, რომელსაც ანტიოქიელი სამღვდელოების აზრით ქართველები სრულებით უნდა დაემარცხებინა და მათთვის დაემორჩილებინა. ეს საკითხი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის და თვითმმართველობის უფლებას შეეხებოდა“ (ჯავახიშვილი, 1983:181). ეს ბრალდებაც ისეთივე უსაფუძვლო იყო,

როგორც ქართველების არამართლმადიდებლობაში დადანაშაულება. ეს იყო კარგად მოფიქრებული დასმენა. ბოროტგანმზრახველებს ამით უნდოდათ სვიმონწმიდიდან ქართველების განდევნა და ანტიოქიის საპატრიარქოსადმი საქართველოს ეკლესიის დამორჩილება. ბერძენი ბერების დასმენის შინაარსი ასეთი იყო: „ვითარ ესე მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღუდელთმოძღუარნი ქართუელთანი, არა რომლისა პატრიარქისა ხელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიო წერილნი მათ მიერ განეგებიან და თვით დაისმენ კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არვინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა და ჯერ არს, რათა ქალაქისა ამას ხელმწიფებასა ქუეშე იყვნენ, რამეთუ ნათესავი არს უმეცარ და სამწყსო მცირე და ჩუენდა მახლობლად არიან და ჯერ არს რათა ხელმწიფებასა ქუეშე ანტიოქისა პატრიარქისასა იმწურებოდნენ და აქა იკურთხეოდეს კათალიკოზი მათი და ვიყვნეთ ჩუენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (საბინინი, 1882:462).

ბერძნები თავადვე აღიარებენ, ამ დროს ქართული ეკლესია არცერთ პატრიარქს არ ემორჩილებოდა, ამასთანავე ყოველი საეკლესიო წესი და რიგი მათ მიერ განეგება. ამასთან, ყველაზე მთავარი ქართველები „თვით დაისმენ კათალიკოზთა“ ანუ XI საუკუნის შუა ხანებში ქართული ეკლესია სრულიად დამოუკიდებელია და თვითონვე ქართველების მიერ ხდება კათალიკოსის ხელდასხმა. ამ ფაქტს კი თვითონ ბერძნები აღიარებენ. ბერძენთა შემდეგი ბრალდება იმაში მდგომარეობდა, რომ თითქოს საქართველოში ქრისტეს თორმეტი მოციქულიდან არცერთს არ ჰქონდა ნაქადაგები. ამასთანავე, ბერძნებს ქართველები მცირე სამწყსოიან და უმეცარ ხალხად მიიჩნევენ და ამის გამო მათ უნდა დაემორჩილონ, რადგან მათ მახლობლად მდებარეობდა ქართველთა ტერიტორია. მათი სურვილია, რომ ქართული ეკლესია ანტიოქიის პატრიარქს დაემორჩილოს და ქართველთა კათალიკოსის კურთხევა

ანტიოქიაში მოხდეს.

ანტიოქიის პატრიარქის გასაჩუმებლად, ქართული საისტორიო წყაროები არ გამოდგებოდა, რადგან ბერძნები მათ გააუფასურებდნენ ან სადავოს გახდიდნენ. გიორგი მთაწმინდელს უნდა დაესახელებინა იურიდიულად უდავო დოკუმენტები ქართველთა მოქცევის შესახებ. პირველი დოკუმენტი, რომელიც გიორგი მთაწმინდელმა მოატანინა, იყო „ანდრია მოციქულის მიმოსვლა“. პატრიარქმა თეოდოსმა წარმოშობით ქართველს, ტარსუს მიტროპოლიტ თეოფილეს დაავალა. წიგნის წაკითხვის შემდეგ გიორგი მთაწმინდელმა საფუძვლიანად ჩამოუყალიბა ანტიოქიის პატრიარქს შემდეგი: „წმიდაო მეუფეო! შენ იტყვ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთასა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირუელ წოდებულისა და ძმისა თვსისა მწოდებლისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგან, სიმეონს ვიტყვ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“ (საბინინი. 1882:462).

წმიდა წერილის მიხედვით, ქრისტეს პირველად ანდრია პირველწოდებული შეჰხვდა, რომელმაც შემდეგ თავისი ძმა სიმონ-პეტრე უფალთან მიიყვანა: „ჰპოვა ამან პირველად ძმაჲ თვისი სიმონ და ჰრქუა მას: ვპოეთ მესია, რომელ არს თარგმანებით: ქრისტე: ამან მოიყვანა, იგი იესუისა.“ (იოანეს. I:40-42). გიორგი მთაწმინდელმა უშუალოდ ბერძნული წყაროთი დაუსაბუთა ბერძნებს ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა, ამასთან დაამატა, რომ ქრისტეს მეორე მოციქული სვიმონ კანანელი საქართველოს ტერიტორიაზეა დაკრძალული. ნიკიტა პაფლაღონისელის „ანდრიას მიმოსვლის“ ეფთვიმე ათონელისეულმა თარგმანმა, სადაც რამდენჯერმე არის ნახსენები ანდრიასა და სხვა მოციქულების (სიმონ კანანელის, მატათას, თადეოზის) ქადაგება საქართველოში დასავლეთსა და აღმოსავლეთში საშუალება

მისცა ქართველ მოღვაწეებს მრავალგზის გამოეყენებინათ იგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაცავად“ (ბეზერაშვილი,2010:25). მოციქულთა მიერ საქართველოში ქადაგების ფაქტები გამოყენებული იქნა ლეონტი მროველის, გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის შრომებში.

ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსი დავით ნინიძე შენიშნავს: „ამ ისტორიული თხზულებით კარგად ჩანს დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული წესი ქართველთა მიერ პატრიარქის დამოუკიდებლად არჩევისა და ხელდასხმისა, აშკარაა ძლიერი ისტორიული ტრადიციის არსებობა, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურია, ამიტომაც ხაზგასმულია და ბერძნები ამას ვერ გაექცეოდნენ, რომ „ყოველნი საეკლესიონი წესნი“ ქართველების მიერ „განეგებიან“ და „თვით დაისუამენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა“. სწორედ ეს „თვით დაისუამენ“ იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკური საფუძველი, რომელიც სიმონ სენ -კვენტინის ცნობების მიხედვითაც ანტიოქიის პატრიარქისაგან აქვს მიღებული (ნინიძე, 2005:16). ხოლო, რაც შეეხება ბერძნების ბრალდებას და ქართველების მწვალებლობაში დადანაშაულებას, გიორგი მთაწმინდელმა სავსებით გასაგებად განუმარტა, რომ: „წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ, ვინათგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არა რა უარ გვიყოფიეს და არცა ოდეს წუალებასა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი და ყოველთა უარის მყოფელთა და მწუალებელთა შევაჩვენებთ და ვსწყევთ“. შემდეგ კი წმიდა მამამ ანტიოქიის პატრიარქს მიმართა, რომ უმჯობესია ბერძენთა ეკლესია დამორჩილებოდა ქართულს, რადგან: „ჰშუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და მმას ანდრიას და რათა თქუენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ“? ვინაიდან ქრისტემ მოციქულებს შორის პირველად სწორედ ანდრია პირველწოდებულს მოუწოდა საქადაგებლად,

ხოლო ანდრია მოციქულმა კი უშუალოდ თავის ძმას პეტრეს მოუწოდა სამოღვაწეოდ. რადგან ქართული ეკლესია ანდრია მოციქულის მიერ იყო განათლებული, მას ისეთივე რანგი და ღირსება ჰქონდა, როგორც პეტრე მოციქულის მიერ დაარსებულ ანტიოქიის ეკლესიას, უფრო მეტიც, ვინაიდან პეტრე მოციქული თავისი უფროსი ძმის ანდრიას მიერ იქნა მოწოდებული სამოღვაწეოდ, ამის საფუძველზე მოუწოდა გიორგი მთაწმინდელმა ბერძნებს, რათა მათი ეკლესია ქართულს დამორჩილებოდა. მწვალებლობის ბრალდება, რასაც ბერძნები ქართველებს აბრალებდნენ, გიორგი მთაწმინდელმა, პირიქით, ბერძნებს დასდო ბრალი ამ ცოდვაში. აღნიშნული ბრალდება საფუძვლიანი იყო: „ჟამი რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოვებოდა და იოანე გუთელი ეპისკოსი მცხეთას ეკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა“. გიორგი მთაწმინდელის ბრალდება არგუმენტირებული იყო და მან ამისათვის მოიშველია უმნიშვნელოვანესი წყარო, მართლმადიდებელ ეკლესიაში „დიდი სვინაქსარი“, რომელშიც ბერძნულ ენაზე გადმოცემული იყო „იოანე გუთელის ცხოვრება“. „ანტიოქიის პატრიარქს მათს ათვენტურობაში ეჭვის შეტანა არ შეეძლო, ეს ცნობები იყო ბერძნული და თანაც მოთავსებული იყო ისეთ სანდო თხზულებაში, რომლებიც ეკლესიის მიერ კანონიკურად ითვლებოდნენ“.

„ქართველმა მოძღვარმა ქედმაღალ „სამეუფოელ“ პატრიარქს და მის ელიტას დოკუმენტურად დაუმტკიცა, რომ ქართველთა ნათესავი უმეცარი ქედფიცხელი და თვითსჯულიერი კი არ არის, არამედ ძველი ქრისტიანული ტრადიციების მქონე განათლებული ერია, რომელიც მტკიცედ დგას ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, ხოლო მცხეთის საპატრიარქო ისევე უფლებამოსილია იურიდიულად, როგორც კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიის და ალექსანდრიის საპატრიარქოები“ (გიორგი მცირე,1995:134).

ბერძნებთან კამათის შემდეგ, ანტიოქიის პატრიარქსა და გი-

ორგი მთაწმინდელს შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარებულა, „დაღაცათუ შეიყვარა პატრიარქმან და ყოველმან ანტიოქიელთა, ვითარცა მამა და მოძღუარი სულიერი“. აღნიშნული კამათი იყო კიდევ ერთი მცდელობა, რათა ანტიოქიის ბერძნულ საპატრიარქოს თავისი ზეგავლენა გაევრცელებინა უძველეს ქართულ ეკლესიაზე. უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მთაწმინდელმა დაასაბუთა ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა, რომლის მიხედვითაც ქართული ეკლესია იმავე უფლებებით სარგებლობდა, რითაც ანტიოქიის უძველესი ეკლესია. უფრო მეტიც, ვინაიდან ქართული ეკლესია ანდრია მოციქულის მიერ იყო დაარსებული, არანაირი საჭიროება არ არსებობდა იმისა, რომ ქართულ ეკლესიას ანტიოქიიდან მიეღო უფლებამოსილება ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად, პირიქით, ქართული ეკლესია პირველი საკუნიდანვე სამოციქულოა და შესაბამისად ავტოკეფალურია. იგი ისეთივე უფლებებით და პატივით სარგებლობდა, რითაც ანტიოქიის ეკლესია.

იერუსალიმის ეკლესიასთან ქართული ეკლესიის გენეტიკურ კავშირზე საფუძვლიანად აყალიბებდა აზრს კორნელი კეკელიძე თავის ნაშრომში: 1) ქართულ ონომისტიკაში ჩვენ ვხვდებით ძველაღთქმისეულ ბიბლიურ სახელებს. 2) საქართველოში შემორჩენილი ძველი ებრაული ჩვეულებები, სისხლიანი მსხვერპლშეწირვის ფორმები, რომლებიც ძველი აღთქმის ეკლესიიდან იღებს სათავეს. 3) წმიდა მირონის მოხარშვის უფლება ქართულმა ეკლესიამ მიიღო იერუსალიმის პატრიარქ სერგის (843-859) დროს. იერუსალიმურ წარმომავლობაზე მეტყველებს ასევე საქართველოს ეკლესიაში ათონურ პერიოდამდე არსებული ღვთისმსახურების, ფსალმუნთა და საკითხავთა ნიმუშები. ქართველებმა წმიდა ქალაქ მცხეთაში ადგილებს დაარქვეს ისეთი სახელები რომლებიც დაკავშირებული იყო ვნების შვიდეულში მომხდარ ამბებთან. შესაბამისად, ამით ეძლეოდათ შესაძლებლობა მცხეთის საპატრიარ-

ქო ღვთისმსახურება დამსგავსებოდა ქრისტეს საფლავის იერუსალიმურ ტიპიკონს. X საუკუნის ბოლომდე ქართულ ღვთისმსახურებაში გამოიყენებოდა მოციქულ იაკობის ლიტურგია (კეკელიძე, IV. 1957:360-361).

ასეთივე აზრი ქართული ეკლესიის იერუსალიმურ წარმომავლობაზე განავითარა ნიკო მარმა 1906 წელს რუსეთის ეკლესიის წინარე თათბირის სხდომაზე, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ქართველმა მოძღვარმა ბერძნებთან კამათისას ხაზი გაუსვა ქართველების მიერ სარწმუნოების წმიდად დაცვას, რაც, მისი აზრით, ქართველებს განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებდა: „ვინადგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არა რა უარ გვიყოფიეს და არცა ოდეს წუალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი". მიუხედავად ამისა ქართველები ბერძნების მხრიდან ხშირად განიცდიდნენ დევნასა და შევიწროებას. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი მხოლოდ XI საუკუნეში არ დაწყებულა. ბერძენთა მხრიდან შევიწროებას მანამდეც ჰქონდა ადგილი, XI საუკუნეში პოლიტიკურმა დაპირისპირებამ საკმაოდ გააღრმავა კონფლიქტი, ხოლო XI საუკუნის შემდგომაც არაერთხელ მომხდარა ქართველების უსაფუძვლო დევნა-შევიწროება. ღვთისმშობლის სასწაულებრივი გამოცხადება მოხდა IX საუკუნეში, ულუმბოს მთაზე, როცა ბერძენმა მონასტრის მამასახლისმა ღირსი ილარიონ ქართველი მონასტრიდან გამოაძევა და მსახურების ჩატარების უფლება არ მისცა. იმ ღამით, ბერძენ სასულიერო პირს ღვთისმშობელი გამოეცხადა და რისხვით მიმართა: „...ჰგონებ, ვითარმედ ელინთა ოდენ ენაი მარტოდ შეწყნარებულ არს, ვითარ არა უწყი ვითარმედ ყოველთაგან ნათესავთა, რომელიცა არს მოშიში უფლისა და მოქმედი მცნებათა მისთა სათნო მისა არს იგი, არა ხედავ რაოდენნი ნათესავისაგან მათისა სათნო ეყუნეს ღმერთსა, ვითარ საწყალობლად უცხო ჰყავ თავი შენი,... რამეთუ რომელი ამათ არ შეიწყნარებს იგი მტერი არს ჩემი." (საბინინი, 1882:382).

ეს გადმოცემა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა მოუწოდა ბერძნული წარმომავლობით დაბრმავებულ ბერს და აუწყა, რომ ქრისტეს სარწმუნოებაში ელინური წარმომავლობა თუ ენა არ არის განმსაზღვრელი. ამასთანავე, დედა ღვთისამ ხაზი გაუსვა, რომ მრავალი ქართველი სათნო ეყო ღმერთს და, ვინც ქართველებს არ შეიწყნარებს, იგი ღვთისმშობლის წინააღმდეგ მოქმედებს. XI საუკუნეში ბერძენმა ბერებმა ქართველი ბერები განდევნეს ათონის მთიდან. „დღეს არცა ერთი ქართუელი არა იპოების ესევითარსა და ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაითა ჩუენ ქართველთათვის აღშენებული იყო და აღმართებული“. გამძვინვარებულმა ხარბმა ბერძენმა ბერებმა თავისი გაიტანეს კიდეც: მათ რამდენჯერმე დააწიოკეს ქართველები და მონასტერი უსირცხვილოდ სამჯერ ზედიზედ გაქურდეს და გაანადგურეს“ (ჯავახიშვილი. 1977:143).

ამ გასაჭირის დროსაც, ქართველმა „სულიერმა მამებმა“ დახმარება გიორგი მთაწმინდელს სთხოვეს, რომ ათონის ქართველთა მონასტრის დამაარსებელთა — იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება დაეწერა. ასე რომ, „საქართველო მადიდებელი უნდა იყოს გიორგი მთაწმინდელისა, რამეთუ მან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას იმ დროისათვის შეურყეველი კანონიერი საბუთი მოუპოვა და ბერძენთა სამღვდელოების მტაცებლობისაგან იხსნა. ასე რომ, 1057 წელს გიორგი მთაწმინდელი ორჯერ შეხვდა ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსის, სადაც ერის ღირსება, თვითმყოფადობა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა დაადასტურა.“ (ბალახაშვილი, 2009:67). - თხზულება ეფრემ მცირეს დაუწერია შავი მთის ქართველთა ეკლესიარხის იოანე კვირიკეს დავალებით და ბრძანებით. ვინაიდან ლეგენდარული იყო ის წყაროები, საიდანაც ეფრემს ეს ცნობები ამოუღია. მაგრამ ეს წყაროები სრულიად

ჭეშმარიტად მიჩნეული იყო ანტიოქიაში, ანტიოქელებს ისინი აკმაყოფილებდა და ეფრემის მიზანს არ შეადგენდა მათი კრიტიკული განხილვა, მისთვის საკმარისი იყო მხოლოდ მათი გადმოცემა. თხზულების შეკვეთა და დაწერა შედეგი უნდა იყოს იმ კამათისა, რომელიც 1057 წელს გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის გაიმართა (კეკელიძე. 1980:263). ბერძნები მთელი იმპერიის მასშტაბით ცდილობდნენ შეევიწროებინათ და განედევნათ ქართველი მოღვაწეები. სწორედ ასეთი ქმედების საწინააღმდეგოდ, გრიგოლ ბაკურიანის ძემ შეადგინა ბულგარეთში პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი. პეტრიწონის წესდებაში ხაზგასმით არის მითითებული: „რათა არაოდეს იყოს მონასტერსა შინა ჩემსა მკიდროობით ბერძენი ხუცესი, ანუ მონაზონი, რომელ არიან ბუნებით მძლავრნი და ანგაჰარნი და ხელოვანნი, მეშინის თუ ნუთუ სავნებელი და დასაკლებელი რაიმე შეამთხვიონ მონასტერსა ეცდნენ მამასახლისობად ხელ-ყოფითა." (შანიძე, 1986:ტ. IX:103). როგორც ტიპიკონდან ჩანს, ქართველებს შიში აქვთ, რომ ბერძნებმა, როგორც მათ სჩვევიათ, არ მიიტაცონ ქართულ მონასტერში წინამძღვრობა ან მონასტერს რაიმე ბოროტება არ შეამთხვიონ.

ასეთ მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ქართული სავანეები ბერძენთა მძლავრობის გამო. ფასდაუდებელია საქართველოს ეკლესიის თავისთავადობის დაცვის საქმეში გიორგი მთაწმინდელის ღვაწლი. საკითხი იმდენად მწვავე ყოფილა, საჭირო გახდა სამეფო ოჯახის წევრების კონსტანტინეპოლში ჩასვლა, შემდგომ კი პატრიარქების მონახულება. XI საუკუნეში მომხდარი მოვლენები კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია წმიდად ინახავდა ქრისტიანულ ეკლესიაში დადგენილ წესებს, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში მტკიცედ იცავდა თავის სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის უფლებებსაც.

თავი III

მცხეთისა და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა ურთიერთმიმართების საკითხი

III.1. აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩამოყალიბებისა და მისი მცხეთასთან გაერთიანების პროცესები

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის ფორმირების პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. როგორც წესი, საეკლესიო ხელისუფლების თვითმყოფადობას განსაზღვრავდა სახელმწიფოში პოლიტიკური სიტუაცია. საქართველოს ტერიტორიაზე VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდა ახალი სამეფო-სამთავროები, თითოეული მათგანი მიისწრაფოდა მთელი ქართული ტერიტორიების საკუთარ მფლობელობაში მოქცევისაკენ. დაახლოებით 754-758 წლიდან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) სამეფო დამოუკიდებელი გახდა. VI-IX საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. ამ საკითხის შესასწავლად მთავარ წყაროს წარმოადგენს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნუსხები ანუ ნოტაციები. აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების თაობაზე პირდაპირი ცნობის არარსებობის გამოც სწორედ ამ ნუსხებს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელია I ნოტაცია. იგი შედგენილია იმპერატორ ჰერაკლეს (610-641) დროს. აღნიშნული სია ნოტაციებისათვის სტანდარტული სამი ნაწილისაგან შედგება, ესენია: მიტროპოლიები, ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოები, ეპარქიები. მიტროპოლიების სიაში შეტანილია ფაზისის სამიტროპოლიტო კათედრა. ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოთა ნუსხაში გვხვდება ნიკოფსიისა და სებასტოპოლისის (აბაზგიის) ეპარქია, ლაზიკის ეპარქია (ცენტრი ფაზისის სამიტროპოლიტო)

ოთხი კათედრით (როდოპოლისი, საისენე,(ცაიში), პეტრა, ზიგანევი) (კუდავა,2002:13).

ასე რომ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კათედრები უშუალოდ კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა. როგორც მიიჩნევენ, ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565) დროიდან ვრცელდებოდა ბერძნული ზეგავლენა შავიზღვისპირა დასავლეთ საქართველოს რეგიონში. ეს ცნობა „ქართლის ცხოვრებაშიც“ აისახა ჩანართის სახით: „ვინაცა იუსტინიანე ტაძარი წმიდისა ღვთისმშობლისა აღაშენა აფხაზეთს შინა, ბიჭვინთას, და მღვდელნი დაადგინა მას შინა“ (ქ. ცხ. I:215). აფხაზეთში საკათალიკოსოს დაარსების შესახებ მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ჩვენ ზემოთ გამოვრიცხეთ თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ აფხაზეთის კათალიკოსად იოანეს ხელდასხმა, რადგან ამ პერიოდში „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით ქართლის საკათალიკოსო ტახტი ეკავა იოანე III-ს (744-760). მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოზზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო 720 წელს ლეონ ისავრიელის პერიოდში დაარსდა. „ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, რადგანაც ის უკვე ისავროსის დროს, 720 წელს, კათალიკოსი იყო ქვემო იბერიისა“ (ჯაფარიძე, 2009:502). ვფიქრობთ, ეს აზრიც მიუღებელია, რადგან 720 წელს ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული აფხაზეთის სამეფო და კათალიკოსის ინსტიტუტის დაარსება სამი ათეული წლით ადრე სამეფოს დაარსებამდე ძალზე საეჭვოა. ვახუშტი ბატონიშვილი გარკვევით გვაუწყებს: „ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძლურებულ იყვნენ ბერძენნიცა; და ამ ლევანის მიერ ანუ შემდგომთა მისთაგან განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინაითგან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოზს აფხაზეთისასა, და არა ეგრისისა და იმე-

რეთისასა.“ (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973:746). ვახუშტი გარკვევით ამბობს, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება ან ლეონ II-ის დროს, ან მის შემდეგ მოხდა. ისტორიკოსი ბიჭიკო დიასამიძე მიიჩნევს, რომ აფხაზეთის კათალიკოსის ხელდასხმა შეეძლო კონსტანტინეპოლის პატრიარქს, მაგრამ, როგორც ჩანს, ლეონმა გაითვალისწინა, რომ, ჯერ ერთი, იქ ხატმებრძოლი პატრიარქი იჯდა ტახტზე და, მეორეც, მას ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები და არ მოისურვებდა აფხაზეთში დამოუკიდებელი საკათალიკოსოს შექმნას. ამიტომ ლეონმა კათალიკოსის კანდიდატურა გააგზავნა ძველ სიუზერენთან - ანტიოქიის პატრიარქთან (დიასამიძე, 2001:202). საეკლესიო კანონიკის მიხედვით, აფხაზეთის კათალიკოსის ხელდასხმა კონსტანტინეპოლის პატრიარქს უნდა აღესრულებინა, 733 წლიდან კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ტახტი პატრიარქ ანასტასის (733-754) ეკავა, რომელიც ხატმებრძოლეობის აქტიური მხარდამჭერი იყო. ამიტომ, ბუნებრივია, მწვალებლისაგან ხელდასხმა ვერ მოხდებოდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები კონსტანტინეპოლის პატრიარქის დაქვემდებარებაში IX საუკუნის 80-იან წლებამდე იმყოფებოდა, შესაბამისად, ლეონ I-ის (720-740) წლებში აფხაზეთის კათალიკოსის კურთხევა მითუმეტეს ანტიოქიის პატრიარქის მიერ თითქმის გამორიცხულია.

ამასთანავე, ბიჭიკო დიასამიძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო ცენტრი ბიჭვინთა იქნებოდა, ძალზე საეჭვოა, რადგან VIII საუკუნის შუახანებში სებასტოპოლის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლის დაქვემდებარებაში იყო. ლეონ II-ის მეფობას 753/58-798 წლებით ათარიღებენ, მის დროს აფხაზეთის სამეფო დამოუკიდებელი გახდა. შემდეგი ნაბიჯი კი ეკლესიური დამოუკიდებლობა იყო, რაც, ალბათ, ცოტა მოგვიანებით განხორციელ-

და. პ. ინგოროყვა შენიშნავს, რომ, ამ ორ აქტს შორის (პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და საეკლესიო რეფორმაციას შორის) ორგანული კავშირია: საეკლესიო რეფორმაცია ეს იყო მეორე აქტი, შემდგომი საფეხური დასავლეთ საქართველოს კულტურული ემანსიპაციისა" (ინგოროყვა, 1954:232). იმავე აზრს იზიარებს ისტორიკოსი ბ. კუდავა, რომელიც აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა სამეფოს) პოლიტიკურ დამოუკიდებლობას უშუალოდ არ მოჰყოლია ეკლესიის დამოუკიდებლობა. ამის ნათელი დადასტურებაა IV, V დაVI ნოტაციები (ამ კუთხით „აფხაზთა სამეფო" არ ყოფილა გამონაკლისი მართლმადიდებლურ სამყაროში) (კუდავა.2002:26).

ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: როდის დაარსდა აფხაზეთის საკათალიკოსო? მეცნიერთა შორის ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. მწირი ცნობების გამო კონკრეტული თარიღის დადგენა საკმაოდ ძნელდება. საკითხის გარკვევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როდის გამოეყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები. ნოტაციებისა და არსებული წყაროების მონაცემების თანახმად, როგორც ეს ისტორიკოსმა ბ. კუდავამ გამოარკვია, 1981 წელს პარიზში გამოსულ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ კათედრათა ნუსხების ახალი პუბლიკაციის საფუძველზე, რომელიც ეკუთვნის ფრანგ მეცნიერს ჟან დარუზესს, დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან IX საუკუნის 80-90-იან წლებში გამოსულა.

ისტორიკოსი ზ. პაპასქირი აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოშობას IX-X საუკუნეებით ათარიღებს. ჰიპოთეტურად ჯერ კიდევ „აფხაზთა" სამეფოში „ლეონიდების" მმართველობის ხანაში, ე.ი. IX-X სს-ში, სავსებით დასაშვებია დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის ჩამოყალიბება კათა-

ლიკოსით სათავეში.(პაპასქირი,1998:146). აფხაზეთში კათალიკოსის დასმის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ჩანართი გვაუწყებს: „ხოლო ამან ბაგრატ გააჩინა და განაშენა კათალიკოსი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ ყ˙ლ“ (ქ. ცხ. I:255). ამ ცნობაში (დასახელებული ბაგრატი, პავლე ინგოროყვამ) „ქართველთა სამეფოს“ მეთაურ ბაგრატ I კურაპალატად (826-872) მიიჩნია. ამის საფუძველზე, პავლე ინგოროყვამ აფხაზეთში საკათალიკოსოს დაარსება 830 წლით დაათარიღა (ინგოროყვა, 1954:244). ნ. ბერძენიშვილმა კი მიიჩნია, რომ ძველ წყაროში იგულისხმება აფხაზთა მეფე ბაგრატ I (881-893). ისტორიკოსმა თ. ქორიძემ ივარაუდა, რომ „განთავისუფლებული საეპისკოპოსო ცენტრები იმთავითვე IX საუკუნის უკანასკნელ ოცეულში უნდა გაერთიანებულიყვნენ დამოუკიდებელ საეკლესიო ორგანიზაციად - აფხაზეთის საკათალიკოსოდ„ (ქორიძე, 2003:10).

ზემოთ დასახელებული ორივე მეცნიერის პოზიცია მსგავსია და, თუკი ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას გავიზიარებთ, გამოდის, რომ: აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საეკლესიო კათედრების კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოსვლის შემდეგ აფხაზთა მეფეს ბაგრატ I-ს დამოუკიდებელ სამეფოში კათალიკოსის დასმის შესაძლებლობა მიეცა. როგორც ჩანს, ეს საკმაოდ ხანგრძლივი და მძიმე პროცესი იყო და პოლიტიკურმა მდგომაროებამ განაპირობა აფხაზეთში კათალიკოსის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ყოველივე ამის საფუძველზე, ძნელად სავარაუდოა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო IX საუკუნის 80-90-იან წლებამდე დაარსებულიყო. ვინაიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი საეკლესიო კათედრები ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იყო, „ამიტომ ბიზანტიის ბატონობიდან გათავისუფლების შემდეგ ეგრის-აფხაზეთის მეფეები მიზნად დაისახავდნენ ქვეყნის ეკლესიის გაძლიერებას და მის მხარში ამოდგომას. ამის გაკეთე-

ბა კონსტანტინეპოლის პატრიარქის დამოკიდებულებისაგან საეკლესიო ცენტრთა გათავისუფლების გარეშე შეუძლებელი იყო“ (დიასამიძე, 2001:213).

2011 წელს მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ თავის ნაშრომში „საეპიკოპოსოები ლაზიკაში“ გამოთქვა მოსაზრება, რომ „ ფაქტიურად XX საუკუნეში შეიქმნა დასავლეთ საქართველოს იქამდე უცნობი ისტორია, რომ ეკლესიურად თითქოსდა მთელი დასვლეთ საქართველო კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში იყო და მხოლოდ IX-X საუკუნეებიდან თანდათან შევიდა ერთიან ქართულ ეროვნულში... X-XI საუკუნის დასაწყისიდან ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინეპოლი ლაზიკას უწოდებდა ვრცელ მხარეს ვანის ტბიდან ტრაპეზუნამდე“ (ჯაფარიძე.2011:335). ჩვენი აზრით აღნიშნული საკითხი უფრო ღრმა შესწავლას საჭიროებს რადგან დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში გამორკვეული იყო, რომ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში არსებული საეპიკოპოსოები IX საუკუნის დასასრულამდე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში შედიოდნენ.

აფხაზეთის კათოლიკოსის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ცნობებს შორის ყველაზე ძველია „ახალციხური ტყავის სახარება“, რომელიც XI-XII საუკუნით თარიღდება და რომელზეც არის მინაწერი, სადაც მოხსენიებულია სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოსი: „გამზრდელნი ჩემნი სვიმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი და მოძღუარი ჩემი დიმიტრი... და თ˜თ მე საწყალობელი [გიორგი]“ (ჟორდანია, 1897:90). ეს არის პირველი შემთხვევა, სადაც მოხსენიებულია აფხაზეთის კათალიკოსი თავისი სახელით. თუკი მანამდე „კათალიკოსი“ მრავლობით რიცხვში იყო წარმოდგენილი. ამ მინაწერით აშკარად დასტურდება აფხაზეთის კათალიკოსის არსებობა. „ახალციხური ტყავის სახარების“ მინაწერები უნიკალური წყაროა აფხაზეთის საკათალიკოსოს ადრეული პერიოდის (IX-X საუკუნეთა) მიჯნაზე (კუდავა, 2002:51).

ახლადდაარსებულ აფხაზეთის საკათალიკოსოს უფლებრივი მდგომარეობა აუცილებლად უნდა ეცნო სხვა მართლმადიდებელ ეკლესიას და, პირველ რიგში, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს. პირდაპირი ცნობა ამის შესახებ არ არსებობს.

აფხაზეთის საკათალიკოსოს ავტოკეფალიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნ. დურნოვო: „541 წელს დაარსებული ბიჭვინთის ეპისკოპოსი 820 წელს ბაგრატ I-ის მეფობის დროს გახდა აფხაზეთის კათალიკოსი, რომელსაც მიუღია უფლება ავტოკეფალიაზე და დამოუკიდებლობა ივერიის კათალიკოსისგან, რაც ასევე დადასტურებული იქნა კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ“ (Дурново, 1910; 19). რა წყაროს ეყრდნობა ნ. დურნოვო ჩვენთვის უცნობია, თუმცა აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის უფლების მიღება ქართლის კათალიკოსისაგან ძალზე საეჭვოა. წარმოუდგენელია, რომ ქართლის კათალიკოსს ამგვარი ნებართვა გაეცა, ხოლო კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ ამ უფლების დადასტურება საეკლესიო კანონიკის მიხედვით სავსებით დასაშვებია, რადგან სწორედ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოსვლა და აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება თანადროულად მოხდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბერძნული საეკლესიო სტრუქტურა მიუღებელი იყო ახლადშექმნილ საკათალიკოსოში. ამის გამო X საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო ახალი საეკლესიო კათედრების დაარსება. „აფხაზთა“ მეფეების დიდი სამშენებლო მოღვაწეობა მიზნად ისახავდა ძველი ბიზანტიური საეპისკოპოსოების მოშლას და მათ ნაცვლად ახალი ქართული ეპარქიების დაარსებას. „მატიანე ქართლისა“-ში დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში განხორციელებული მხოლოდ ერთი ასეთი კონკრეტული შემთხვევაა „მოცვლით“ სახელდებული (ქორიძე, 2003:11).

„აფხაზთა“ მეფეებმა ზღვისპირა ტერიტორიაზე არსებული ბერძნული კათედრების გადატანა ქვეყნის შიგნით დაიწყეს, სადაც ახალი ქართული საეკლესიო კათედრები შექმნეს. სწორედ ამ მოვლენას უწოდებენ „კათედრების მოცვლას“. კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორის ყველაზე დიდი ლაზიკის ეპარქია იყო, სადაც ფაზისის მიტროპოლიტს ექვემდებარებოდა 4 საეპისკოპოსო — როდოპოლისის, საისინის (ცაიშის), პეტრას, ზიგანევის (ძიღანევის) (გეორგიკა IV ნაკ. II 1952:187). ეს იყო ბერძნული იერარქიული სისტემა, რაც საქართველოს ეკლესიისთვის უცხო იყო, მაგალითად: ქართულ ეკლესიაში არ არსებობდა მიტროპოლიტის ინსტიტუტი. ბ. კუდავას აზრით, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსგან გამოყოფის შემდეგ მოსალოდნელია დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრები ხარისხით გათანაბრებულიყვნენ ერთმანეთთან და მხოლოდ პატივით ყოფილიყო მათ შორის განსხვავება. (კუდავა, 2002:61).

X საუკუნის განმავლობაში, აფხაზეთის საკათალიკოსოს ტერიტორიაზე ახალი ქართული საეპისკოპოსო ცენტრები შეიქმნა: ჭყონდიდის, მოქვის, ბედიისა და ქუთაისის. ამ მნიშვნელოვანი მოვლენით მოხდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაქართულება. როგორც სავარაუდოა, X საუკუნის განმავლობაში აფხაზეთის საკათალიკოსო დამოუკიდებლად არსებობდა და მას არანაირი ვალდებულება არ აკავშირებდა მცხეთის საკათალიკოსოსთან. ყოველ შემთხვევაში, აფხაზეთის საკათალიკოსო X საუკუნის 50-60-იან წლებამდე ალბათ დამოუკიდებლად არსებობდა. აფხაზეთის საკათალიკოსოს ფორმირება ეტაპობრივად განხორციელდა. თავდაპირველად მოხდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსგან გამოყოფა, შემდეგ გაჩნდა საჭიროება აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნისა, რომელმაც X საუკუნის განმავლობაში გაატარა ღონისძიებები, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ეკლესიის გასაძლიერებლად. X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, პოლიტიკურმა

სიტუაციამ კვლავ ცვლილებები განაპირობა ქართულ ეკლესიაში. თუკი აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკურმა არსებობამ აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნა განაპირობა, ქართულ სამეფო-სამთავროების გაერთიანებამ და ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიების გაერთიანება გახადა აუცილებელი, რასაც შედეგად მცხეთის კათალიკოსის მიერ პატრიარქის ტიტულის მოპოვება მოჰყვა.

ისტორიკოსი ბ. კუდავა აღნიშნავს, მოსაზრება, რომ საქართველოს ეკლესიური გაერთიანება ერთი საუკუნით წინ უსწრებდა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას (ძირითადად ამ დებულებას იზიარებენ ქართველი ისტორიკოსები), ფაქტობრივად მხოლოდ ჰიპოთეტურია (კუდავა, 2002:160). არანაირი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ საქართველოს გაერთიანებამდე ერთი საუკუნით ადრე გაერთიანდა თითქოს ქართული ეკლესია. რადგან აფხაზეთის სამეფო ცალკე სახელმწიფოებრივი ერთეული იყო და „აფხაზთა" მეფეებისათვის ნამდვილად მიუღებელი იქნებოდა მათ ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ცენტრების მცხეთის კათალიკოსისადმი დაქვემდებარება, ვიდრე ეს პოლიტიკურმა სიტუაციამ არ განაპირობა. ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში მომწიფდა ეკლესიური ერთიანობის საკითხიც, რაც ქვეყნის გაერთიანების ქვაკუთხედი უნდა ყოფილიყო. აფხაზეთის მეფეებმა პოლიტიკურ პროცესებთან ერთად ქვეყნის ეკლესიური გაერთიანებისთვის ბრძოლა წამოიწყეს. მათი აქტიური თანმებრძოლები კი ქართლის კათალიკოსები აღმოჩნდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, ეკლესიური გაერთიანებისაკენ მიიღტვოდნენ. მოხდა პოლიტიკურ ინტერესთა დამთხვევა (ქორიძე, 2003:12). ქართული ეკლესიის გაერთიანების საქმეში ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა აფხაზეთის საკათალიკოსოში გატარებულმა ღონისძიებამ, რაც გამოიხატებოდა ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღსრულებით. ვიდრე დასავ-

ლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები კონსტანტინეპოლის შემადგენლობაში შედიოდა, ღვთისმსახურება ბერძნულ ენაზე აღესრულებოდა, ხოლო აფხაზეთის სამეფოს დაარსებისა და საკათალიკოსოს შექმნის შემდეგ საეკლესიო ენა ქართული გახდა. ბ. დიასამიძე და ა. ჯაფარიძე მიიჩნევენ, რომ ჰერაკლეს დრომდე ეგრისის ეკლესიაში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა, არ შეიძლება მოკლე და ბიზანტიისათვის რთულ პერიოდში ისეთი დიდი ცვლილებების განხორციელება მომხდარიყო, რომ ეგრისის ეკლესიაში მას ღვთისმსახურების ბერძნულ ენაზე გადასვლა მოჰყოლოდა.

ქართული ეკლესიის ერთიანობის ერთგვარი გამოხატულებაა გიორგი მერჩულეს ცნობილი სიტყვები: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ვრცელი - დიდი ქვეყანა, სადაც წირვა და ლოცვა ქართულად აღესრულება, არის მთლიანი საქართველო. გიორგი მერჩულე, როდესაც საგანგებოდ უმატებს: „მხოლოი (მარტოოდენ) კვრიელეისონი ბერძნულად ითქმის, რომელ არს უფალო წყალობა ყავნ“, ე. ი. ბერძნული მღვდელმსახურება შეცვლილია ქართულით და ბერძნულიდან მარტოოდენ ერთიღა სიტყვა „კვრიელეისონი“ არის შემორჩენილი (ინგოროყვა, 1954:244). პ. ინგოროყვა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო რეფორმაცია, ჩამოშორება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსგან და მცხეთის საკათალიკოსოსთან შეერთება მე-IX საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, 845 წლამდე მომხდარა, რა დროსაც ეხება გიორგი მერჩულეს ცნობა. მისი აზრით, სწორედ ამ დროს მომხდარა ქართულ ეკლესიაში ბერძნული ენის შეცვლა ქართულით. ბ. დიასამიძე არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, რადგან ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გიორგი მერჩულე გვიდასტურებს დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში ბერძნულ ენაზე ღვთისმსა-

ხურებას (დიასამიძე, 2001:229).

ძნელი წარმოსადგენია, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ საკათედრო ტაძრებში ღვთისმსახურება ბერძნულ ენაზე არ ჩატარებულიყო. მართებულად მსჯელობდა დ. მუსხელიშვილი, როცა აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ქართული ქრისტიანული არქიტექტურის გავრცელებისა და აფხაზთა ერისთავის-ლეონის ქართლის ერისმთავარზე ნებაყოფლობით დაქვემდებარების გამო ქართული ენა და კულტურა მძლავრად იყო ფეხმოდგმული ამ მხარეშიც, ყოველ შემთხვევაში ისე მაინც, რომ ბერძნულ-ბიზანტიურთან ერთად, ქართული ქრისტიანული თემი არსებობდა (მუსხელიშვილი, 2004:381). უნდა აღინიშნოს, რომ ახლადდაარსებული აფხაზეთის სამეფო სუფთა ქართული სახელმწიფო იყო. ამის ნათელი დასტურია ამ სამეფოს სწრაფვა ქართული სამეფო-სამთავროების გასაერთიანებლად. აფხაზთა სამეფო ენით, დამწერლობით, კულტურით, პოლიტიკით ქართული სახელწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები ამავე ნიშნებით ქართველები იყვნენ. (ლორთქიფანიძე, 1990:11). შესაბამისად, აფხაზთა სამეფო დედაქალაქი ქუთაისი გახდა, რაც სრულიად ლოგიკური იყო. VIII საუკუნის დასასრულისათვის, როდესაც დასავლეთ საქართველო გაერთიანდა და აფხაზთა სამეფო შეიქმნა, ქუთაისი ამიერიდან ამ გაერთიანებული დასავლურ-ქართული სახელმწიფოს ერთადერთი დედაქალაქი გახდა (ლორთქიფანიძე, 1994:114).

აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოშობასთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრება ჰქონდა გ. საძაგლიშვილს (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი კირიონი II). მისი აზრით, აფხაზეთის საკათალიკოსომ დამოუკიდებლობა VIII საუკუნის დასაწყისიდან X საუკუნის ბოლომდე მოიპოვა, როცა განსაკუთრებით გაძლიერდა და განდიდდა ბაგრატიონთა გვარი. იგი მიიჩნევდა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო სებასტოპოლისსა და ფაზისში ჩამოყალიბდა, ხოლო აფხაზთა კათალიკოსის თავდაპირველი რეზიდენცია ბიჭ-

ვინთა იყო (Пастырь, 1887 №10:3). რა ცნობებს ეყრდნობოდა კირიონი, როდესაც აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას ბაგრატიონებს უკავშირებდა, ჩვენთვის უცნობია.

ისტორიკოსი ელდარ ბუბულაშვილი მიიჩნევს, რომ IX საუკუნის 40-იან წლებში ეგრისის ეკლესია ბიზანტიისაგან გათავისუფლდა და შეიქმნა აფხაზთა საკათალიკოსო. X საუკუნის შუა ხანებში აფხაზთა საკათალიკოსო მცხეთის საკათალიკოსოს დაექვემდებარა. ეკლესიურმა გაერთიანებამ სულიერად მოამზადა ქართველი ხალხი საქართველოს გაერთიანებისათვის (ბუბულაშვილი, 2008:18). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა უმრავლესობა აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას IX საუკუნემდე მომხდარ მოვლენად არ მიიჩნევს.

XI საუკუნეში აფხაზეთის ეკლესია უკვე მცხეთის შემადგენლობაში იმყოფებოდა, მაგრამ ეს გაერთიანება უნდა მომხდარიყო უფრო ადრე, X საუკუნეში, არაუგვიანეს ამ საუკუნის შუა ხანებისა, როცა აფხაზეთის სამეფო განსაკუთრებით აქტიურობდა საქართველოს გასაერთიანებლად, ასეთ პირობებში აფხაზეთის მეფეები აუცილებლად გამოიყენებდნენ უძლიერეს ძალას-მცხეთის საკათალიკოსოს (Ааничабадзе, 1959:150). ზ. ანჩაბაძის აზრს იზიარებს აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე და ეკლესიების გაერთიანებას X საუკუნით ათარიღებს. X საუკუნეში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიები გაერთიანებული იყო. მართალია, დასავლეთ საქართველოს ეკლესიას თავისი მწყემსი ჰყავდა, აფხაზეთის კათალიკოსის სახით, მაგრამ, როგორც ცნობილია X საუკუნისათვის დასავლეთ საქართველოს ეკლესია უკვე გამოთიშული იყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსაგან და ის მცხეთის კათალიკოსის სამწყსოში შედიოდა. ამიერიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთას ემორჩილებოდა (ლორთქიფანიძე, 1963:291). ვინაიდან არ არსებობს რაიმე ცნობა ამასთან დაკავშირებით, სადაც მცხეთის კათალიკოსი უშუალოდ ერეოდა აფხა-

ზეთის კათალიკოსის საქმიანობაში და მისი მორჩილება მცხეთის კათალიკოსისადმი ალბათ ნომინალური იყო.

აფხაზეთის საკათალიკოსოზე საუბრისას განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ესწრებოდა თუ არა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში რუის-ურბნისის საეკლესიო კრება ყველაზე მეტად გამორჩეული კრება იყო, რომელსაც ოთხი უმაღლესი საეკლესიო იერარქი ესწრებოდა. ესენი იყვნენ: „იოანე წმიდა მთავარეპისკოპოსი, ჩვენი კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოისა, ყოვლად ღირსი მამათ მთავრისა, წმიდა ბერი, სულიერი მამა ჩვენი ევსტრატი მონაზონი, ღირსი მეუფე გიორგი მონაზონი და მწიგნობართუხუცესი, სჯულიერისა მოღვაწისა არსენი კალიპოსელი მონაზონი“ (საბინინი, 1882:530). დასახელებული ოთხი სასულიერო პირიდან ყურადღებას იქცევს ევსტრატი მონაზონი. ცხადია, რომ პირველად დასახელებულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იოანე, რომელიც ამავდროულად იყო კრების თავმჯდომარე. შესაბამისად, კრებაზე დამსწრე სასულიერო პირთაგან ყველაზე აღმატებული. იოანეს შემდეგ იხსენიება „ევსტრატი მონაზონი“, ე. გაბიძაშვილი შენიშნავს „ევსტრატის კათალიკოსის შემდეგ მოხსენიება უნდა მიუთითებდეს, რომ ეს პიროვნება იმდროინდელი საქართველოს საეკლესიო სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ეს სახელი გვხვდება გელათის ბიბლიის (A-1108 XII ს) არშიაზე (გაბიძაშვილი, 1978:168). თედო ჟორდანიას მიხედვით, არშიაზე შემდეგი წარწერა ყოფილა: „მეორე თვესა მეათესა (ე.ი. 10 აპრილს) კათალიკოზ ყვეს ბერი ევსტრატი, რადგან ქართლის კათალიკოსებში ევსტრატი არ ჩანს, ამის გამო ის უნდა იყოს იმერეთის კათალიკოსი, რომელიც ისტორიამ არ იცის. შეიძლება ეს ევსტრატი დაესვათ იმერეთში გიორგი მეფის დროს 1113 წელს (ჟორდანია. 1897:38).

მეტად მნიშვნელოვანია ცნობა ევსტრატის კათალიკოზად

კურთხევის შესახებ, თუმცა ვარაუდი იმის შესახებ, რომ იგი 1113 წელს იმერეთში კათალიკოსი იყო, არასწორია, რადგან იმ პერიოდში ტიტული იმერეთის კათალიკოსი არ არსებობდა. თუკი თ. ჟორდანია მიიჩნევდა, რომ ევსტრატი გიორგი II-ის დროს გამოაცხადეს კათალიკოსად, მაშინ შესაძლებელია, რომ ის იყოს აფხაზეთის უცნობი კათალიკოსი, რომლის სახელიც რუის-ურბნისის ძეგლისწერის სინოდიკონმა შემოგვინახა. თუკი დავუშვებთ ალბათობას, რომ „ევსტრატი მონაზონი“ აფხაზეთის კათალიკოსი იყო, მაშინ ლოგიკურია, რომ იგი მოხსენიებულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ იოანეს შემდეგ, რომელიც, როგორც უპირატესი, კრების თავმჯდომარე იყო, რომლის შემდეგაც იხსენიებიან აფხაზეთის კათალიკოსი, გიორგი ჭყონდიდელი და არსენ იყალთოელი.

არსებობს ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვით: „ევსტრატი მონაზონს შესაძლოა, ქართული ეკლესიის პირველი მოძღვრის სახელი ჰქონოდა და მოძღვართა ინსტიტუტის ფაქტიური მეთაური ყოფილიყო.“ (გაბიძაშვილი. 1978:170). ამ მოსაზრებას საეჭვოს ხდის „ევსტრატის“ კათალიკოზად კურთხევის შესახებ არსებული ცნობა. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის შესახებ სიახლეს წარმოადგენს ისტორიკოს ზაზა აბაშიძის თეორია დიარქიის შესახებ. მეცნიერის აზრით დავით აღმაშენებლის მიერ რუის-ურბნისის კრების ჩატარება იყო პოლიტიკური გამარჯვება, რადგან საეკლესიო იერარქიიდან გაძევებული იქნა არამარტო უღირსი სამღვდელოება, არამედ პოლიტიკური ბანაკის წარმომადგენლები, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ სამეფო ხელისუფლებისა. დავით აღმაშენებლის მიზანი იყო, სინქრონული გაეხადა სამეფო და საეკლესიო ხელისუფლებათა მოღვაწეობა ქვეყნის საკეთილდღეოდ, როცა ორივე ხელისუფლება თავის საქმეს აკეთებს ცალ-ცალკე, ერთად კი-საერთო საქმეს. ასეთი დამოკიდებულება კარგად იყო ცნობილი ბიზანტიის იმ-

პერატორთა და სამღვდელოებისათვის“ (Абашидзе, 2010:51-65). სხვადასხვა მიზეზთა გამო ბიზანტიის იმპერატორთა მხრიდან ხშირი იყო ეკლესიაში ჩარევის მცდელობა, რომელსაც საბოლოო ჯამში ეკლესიისა და სახელმწიფოსათვის დადებითი შედეგი მოჰქონდა. კანონისტების, ისტორიკოსებისა და ღვთისმეტყველთა აზრით, ეს იყო სიმფონიური ურთიერთობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რომელსაც უწოდებენ „თეორიას დიარქიის შესახებ“. ზ. აბაშიძის აზრით, სწორედ ამგვარი დიარქია დამყარდა საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს. ეს დამოკიდებულება დარღვეულა წმინდა მეფე თამარის დროს, როცა კათალიკოს -პატრიარქმა მიქაელ IV-მ (1178-1187) უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებასთან ერთად ხელში ჩაიგდო მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელ-მაწყვერელის თანამდებობა. ამის გამო თამარ მეფემ საეკლესიო კრება მოიწვია, რომლის მიზანიც მიქაელ კათალიკოსის გადაყენება იყო. კრებაზე არ ინებეს კათალიკოსის დასწრება: „არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი, რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისა და ჭყონდიდელ-მაწყვერელობა და მწიგნობართუხუცესობა მოევერაგა უფლისაგან. არამედ ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღვაწეს“(ქ. ცხ,II:118).

ცხადია, რომ მიქაელ კათალიკოსს მართლაც ხელთ ეპყრა საერო ხელისუფლების სადავეები, რადგან მისი გადაყენება ვერ შეძლო საქართველოს ეკლესიის გაერთიანებულმა კრებამ, რომელსაც ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონი და იერუსალიმიდან საგანგებოდ მოწვეული პატრიარქყოფილი ნიკოლოზ გულაბერისძე უძღვებოდნენ. როგორც ეს ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია, მიქაელმა გამარჯვება მხოლოდ მომხრეთა მრავალრიცხოვნებით შეძლო: საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის მისი მომხრენი, ცხადია, ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ, ალბათ უმრავლესობას შეადგენდნენ (ჯავახიშვილი, VII.1984:119). მიქაელ კათალიკოსს მართლაც

ბევრი მხარდამჭერი ჰყოლია, როგორც ჩანს, რადგან მან შეინარჩუნა ძალაუფლება, რაშიც გადამწყვეტი როლი მისმა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობის დაკავებამ ითამაშა, რადგან „ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა უპირველესი, ფაქტიურად საქართველოს მეფის მოადგილე და სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობის ნამდვილი საჭეთმპყრობელი იყო“(იქვე:136). მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე შენიშნავს, რომ მიქაელ კათალიკოსმა დავით აღმაშენებლის დროს დამკვიდრებული საერო და საეკლესიო ხელისუფლების წონასწორობა დაარღვია, ისარგებლა იმით, რომ მეფე ქალს იმ დროს ქმარი, ანუ ლაშქრის მეთაური არ ჰყავდა, ხოლო ამირსპასალარი ყუბასარი ლოგინად იყო ჩავარდნილი (ჯაფარიძე,2009:812). უნდა შევნიშნოთ, რომ კათალიკოსი მიქაელის მიერ მწიგნობართუხუცესობის მიტაცება, იყო ერთადერთი ფაქტი და მისი გარდაცვალების შემდეგ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის წონასწორობა კვლავ აღდგა. მიქაელ კათალიკოსის აღნიშნული ქმედება თანამედროვეებს უარყოფითად შეუფასებიათ და მისი გარდაცვალების გამო „არავინ შეწუხნა მისთვის, არცა დიდი და არცა მცირე“. აღსანიშნავია, რომ მიქაელ კათალიკოსს კრების შემდეგ 6 წელიწადი უცოცხლია და საერო და სასულიერო ხელისუფლება გარდაცვალებამდე შეუნარჩუნებია.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არსებობდა თუ არა აფხაზეთის საკათალიკოსო IX-XIII საუკუნეებში და როგორი დამოკიდებულება ჰქონდა აფხაზეთის კათალიკოსს მცხეთის კათალიკოსთან? წარსულში მეცნიერთა ნაწილი უარყოფდა X-XI საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე მეცნიერთა უმრავლესობა სადაოდ არ მიიჩნევს IX-XIII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს უწყვეტად არსებობას. ჯერ კიდევ 1913 წელს სარგის კაკაბაძემ აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება 1196 წლით ან XII საუკუნის და-

სასრულით ივარაუდა, ეს აზრი გაიზიარა ისტორიკოსმა ვახტანგ გოილაძემ, თუმცა ეს ვარაუდი ეჭვქვეშ უნდა იქნეს დაყენებული, რადგან XI-XIII საუკუნეების მრავალ სიგელსა თუ საისტორიო წყაროში „კათალიკოსნი“ მრავლობითი ფორმით გვხვდება, შესაბამისად „კათალიკოსნი“-ს მრავლობით რიცხვში მოხსენიებაში უნდა იგულისხმებოდნენ „ქართლისა და აფხაზეთის“ კათალიკოსები, ხოლო ჟამთააღმწერელის (XIV ს.) თხზულებაში რამდენჯერმე „კათალიკოზნი ორნივეს“ მოხსენიება ნათელს ჰფენს წინა პერიოდის ისტორიკოსთა მიერ, ერთი შეხედვით, ზოგადი მნიშვნელობით მოხსენიებულ ტერმინს „კათალიკოზნი“ და ადასტურებს საქართველოში ორი კათალიკოსის არსებობას, არა თუ ავტორის თანამედროვე XIV ს., არამედ მის მიერ აღწერილ XIII ს-ის პირველ ნახევარში (ქორიძე, 2003:16).

ლაშა-გიორგის მეფობის დროიდან ჟამთააღმწერელი გვაუწყებს: „დაღათუ კათალიკოსთა ორთავე და თავადთა ამას სამეფოსათა და უმეტეს ივანე ათაბაგისა უმძიმდათ საქმე ესე“ (ქ. ცხ. II:157). სწორედ ამ ცნობის საფუძველზე ვარაუდობდა ექ. თაყაიშვილი აფხაზეთის საკათალიკოსოს XIII საუკუნის დასაწყისში დაარსებულად. ჟამთააღმწერელის შესაბამისად, ვახუშტი ბატონიშვილიც გარკვევით გადმოგვცემს: „ვითარ აღსრულდა მეფე, შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი მის სამეფოსანი, იმერნი, ამერნი კათალიკოსი ორნივე და ეპისკოპოსნი, ნიკოფსიით ვიდრე დარუბანდამდე და მეფე ყვეს რუსუდანი“ (ქ. ცხ. II:168). ექვთიმე თაყაიშვილის აზრს იზიარებს ისტორიკოსი ეპიფანე გვენეტაძე, რომელიც თვლის, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს აღდგენა შედეგი იყო იმ პერიოდში ქვეყანაში არსებული შინაბრძოლებისა.1191 წლის აჯანყების დროს თამარ მეფეს დასავლეთ საქართველოს დიდებულები დაუპირისპირდნენ. ამდენად, სავარაუდოა, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის წინააღმდეგობის ერთგვარი გამოვლინება იყო აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათა-

ლიკოსოს აღდგენა, რომელიც ფაქტობრივად საფუძველს უყრიდა ქვეყნის ორ ნაწილად დაყოფას (გვენეტაძე. 1999:75). თუკი აფხაზეთის საკათალიკოსო აღდგა თამარ მეფის ან მისი მემკვიდრის დროს, შეუძლებელია, ეს ფაქტი მიჩქმალულიყო და სადმე, რომელიმე ისტორიულ წყაროს არ შემოენახა ცნობა ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. უფრო მართებულია ვიფიქროთ, რომ XI საუკუნეში გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, მაშინ, როდესაც უაღრესად გაიზარდა მცხეთის კათოლიკოს-პატრიარქის უფლებები, აფხაზეთის კათალიკოსის ხელისუფლება დაემცრო, მაგრამ იგი არ გაუქმებულა. ბ. კუდავას აზრით, რადგან არ იყო რეალური საჭიროება აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმებისა, ასევე არ იქმნებოდა არც რეალური საჭიროება საკათალიკოსოს არსებობისა. აფხაზეთის საკათალიკოსომ შეასრულა დიდი ისტორიული მისია (IX/X-X/XI სს.). დასავლეთ საქართველოს „ეკლესიური გაქართულება“ და შემდეგ მისი მოქცევა ერთიან ქართულ ეკლესიურ იურისდიქციაში, ერთიანი, ცენტრალიზებული საქართველოს სამეფოს არსებობის პირობებში დასავლურ ქართული საკათალიკოსოს რეალური ფუნქცია თითქოს ამოიწურა და იგი დაემცრო“ (კუდავა, 2002:168).

აფხაზეთის კათალიკოსისა და მცხეთის კათალიკოსის ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საყურადღებო სამართლებრივ ძეგლებს, როგორიცაა: „მეფის კურთხევის წესი“ და „ხელმწიფის კარის გარიგება“. ს. კაკაბაძემ და ნ. ბერძენიშვილმა ორივე ზემოაღნიშნული ძეგლი შეისწავლეს და კათალიკოსთა ურთიერთმიმართების საკითხზე თავიანთი შეხედულებები წარმოადგინეს. ს. კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ „მეფის კურთხევის წესი“ XIII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა ყოფილიყო. ამ ძეგლში აღწერილია მეფის კურთხევის საეკლესიო რიტუალი და ასევე კურთხევაში მონაწილე სასულიერო პირთა შემადგენლობა. მეფის კურთხევაში მონა-

წილეობას იღებდა მცხეთის კათალიკოსთან ერთად აფხაზეთის კათალიკოსიც, თუმცა მისი არყოფნის შემთხვევაშიც კი მეფის კურთხევა მაინც ხდებოდა. „თაყვანისცეს მეფემან მდაბლად კათალიკოზსა, დაუპყრას ხელი მარჯუენე კათლიკზმან; კ˜ უკეთუ აფხაზეთისა კათალიკოზი არა იყოს: იშხნელმან: ანუ მთავარეპისკოპოსმან“ (კაკაბაძე, 1913:7).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კარგად ჩანს, თუ როგორ არის დამცრობილი აფხაზეთის კათალიკოსის პატივი, იგი რანგობრივად უთანასწორდება იშხნელ მთავარეპისკოპოსს. მეფის ზიარების შემდეგ საკურთხევლიდან გამოვიდოდნენ, „მარჯვენე ხელი კათალიკოზსა ეჭიროს: ხოლო მარცხენე ხელი აფხაზეთისა კათალიკოზსა“. მეფის კურთხევის ცერემონიალს ყოვლისა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ახორციელებს, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსი თანამონაწილეა. „აფხაზეთის კათალიკოზს უფლება არა აქვს მთლიანი საქართველოს მეფის კურთხევისა. საეკლესიო იერარქიის კიბეზე ის ქართლის კათალიკოსზე დაბლა დგას“ (ბერძენიშვილი, 1926:104). თუკი „მეფის კურთხევის წესი“ ნათლად გამოხატავს აფხაზეთის კათალიკოსის უფლებრივ მდგომარეობას, „ხელმწიფის კარის გარიგება“ კი პირმშოების უპირატესობაზე საუბრობს, რითაც სარგებლობდა ორი კათალიკოსიდან ერთ-ერთი. „პირმშოებად მან მიიღო და ოდეს აკურთხეს არ მაგად აკურთხევინეს, არ მოელის კათალიკოზსა.. ვარქვუ და აცილნეს ორნივე კათალიკოზნი: არა მე მმართებსო, არა მეო“. აქედან ცხადად ჩანს, რომ ერთი კათალიკოზთაგანი სარგებლობს პირმშოების მიმღების კურთხევის უფლებით მაშინ, როცა მეორისათვის ასეთი უფლების მინიჭება შეუძლებელია (იქვე. 1926:107).

აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ დაახლოებითი წარმოდგენა გვეძლევა კათალიკოსთა ურთიერთობის პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით. კათალიკოსებში ერთ-ერთი (ალბათ ქართლის კათალიკოსი) სარგებლობს პირმშოობის, ანუ უფროსობის

უფლებით, რაც გამოუყენებია კიდეც კათალიკოსს მეფის კურთხევისას, სავარაუდოდ, კურთხევას ვერ მიუსწრო აფხაზეთის კათალიკოსმა და შემდეგ მათ შორის გაიმართა პაექრობა, თუ რომელს მართებდა მეფის კურთხევა. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ აფხაზეთის კათალიკოსს არ აკურთხებინეს მეფე და უკანასკნელი „რავიქ ქვეშეთ შექმნილი“ ლამობს უფროსთან გათანასწორებას (ე.ი. არა უადრეს XIII საუკუნის დასასრულისა) ერთი კათალიკოზი მეორეზე დაბლა დგას. იგი იქვე გვაუწყებს, რომ ნაკლოვანების გამო შეიძლება ტექსტი სხვაგვარადაც იქნას გაგებული. პირმშოობის უფლება, რომელიც დაცული იყო სამეფო კარზე, მეფედ კურთხევისას, დაკანონებული ყოფილა ეკლესიაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებიდან” ირკვევა, აფხაზეთის კათალიკოსი უფლებრივად თავს უტოლებდა ქართლის კათალიკოსს, ვინაიდან მას მეფის კურთხევის პრეტენზია ჰქონდა. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთის კათალიკოსი, როგორც დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაური, ცდილობდა, რანგობრივად გათანასწორებოდა მცხეთის კათალიკოსს.

წვევისა და მიგებების დროს აფხაზეთის კათალიკოსი ისეთივე პატივითა და უფლებით სარგებლობდა, როგორც მცხეთის კათალიკოსი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი არაფერს ამბობს დარბაზობის დროს, რომელი კათალიკოსი იჯდა მეფესთან უფრო ახლოს. ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ დარბაზობის დროს ქართლის კათალიკოზი ზის ან მოძღვართმოძღვრის შემდგომ და აფხაზეთის კათალიკოსის ზემოთ ან მარცხენით მეფისა (იქვე. 1926:110). როგორც ჩანს, პურობის დროს ყველა თავისთვის განსაზღვრულ ადგილას ისხდა. „აწ ესე მოძღვართ-მოძღვარი, კათალიკოზნი და ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირ-სპასალარი ქვე დგანან თავის ადგილსა“ (ქართ. სამართლ. ძეგლ, II, 1965:93). ექვთიმე თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ მცხეთის კათალიკოსი მეფის

მარჯვენა, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსი მარცხენა მხარეს იჯდა:„მობრძანდეს კათალიკოსი საქართველოისა და დაჯდეს მეფისა ტახტსა ზედა მოკიდებით ნატითა და ბალიშითა მობრძანდეს კათალიკოსი აფხაზეთისა და დაჯდეს ნატითა და ბალიშითა“(თაყაიშვილი, 1907:78).

როგორც უპირატესს, მცხეთის კათალიკოსს მეფის მარჯვენა მხარე უნდა დაეკავებინა,ამასთანავე აღნიშნულია, რომ მცხეთის კათალიკოსი, „დაჯდეს მეფისა ტახტსა ზედა,“ ხოლო აფხაზეთის კათალიკოსის შემთხვევაში მეფის ტახტი არ იხსენიება. გამოდის, რომ მეფის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მცხეთის კათალიკოსი და მოძღვართმოძღვარი იჯდა, აფხაზეთის კათალიკოსი კი მეფისგან უფრო მოშორებით, ან შესაძლოა მცხეთის კათალიკოსის საპირისპირო მხარეს იჯდა. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აშკარად არის გამოკვეთილი ეკლესიაში ოთხი უმაღლესი რანგის სასულიერო პირის უპირატესობა, რომელთაც უშუალოდ მეფე იწვევდა: „მეფე აწვევს კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვარსა, ჭყონდიდელსა“. მეფე ალბათ თავდაპირველად ქართლის კათალიკოსს, შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსს, შემდეგ კი მოძღვართმოძღვარსა და ჭყონდიდელს იწვევდა მაგიდასთან დასასხდომად. XV საუკუნის შემდეგ საქართველოს ეკლესიაში შეიცვალა დადგენილი წესრიგი. ერეკლე II-მ და კათალიკოსმა ანტონ II-მ 1795 წელს მოიძიეს მეფეთა და პატრიარქთა ძველი დადგენილებები, რომლის საფუძველზეც განსაზღვრეს მეფედ კურთხევის შემდეგ სასულიერო დასის ჯდომის წესი და ადგილი: „მეფის გვერდით მარჯვენა მხარეს პირველი იჯდა- პატრიარქი ყოვლისა საქართველოსი ანტონი. სამეგრელოს, იმერეთის და სამცხის ეპისკოპოსთა, ასევე სომხეთის მიტროპოლიტის არყოფნის გამო,მისი პატივი გადაეცა ალავერდის მიტროპოლიტს“ (Пурцеладзе,1881:33).

კათალიკოსთა ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევისას განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს XII საუკუნის მიქაელ მცხე-

თის კათალიკოსის მიერ გაცემული სიგელი. რომელშიც საუბარია ხუარაზმელთაგან და თათართაგან საქართველოს მოოხრებაზე. მცხეთის კათალიკოსი მიქაელ V მოღვაწეობდა, დაახლოებით, XIII საუკუნის 40-იან წლებში. 1241 წელს კათალიკოს-პატრიარქი მიქაელი სოფელ ორომაშენს აძლევს კარის მსახურთუხუცესს ვაჩე გუარამიძეს. სიგელს ამტკიცებენ: 1. მეფე (ჩუენ დავით მეფე დამინიშნავს, 2. კათალიკოზი (რომელიც დამტკიცების, ტექსტში არც თავის სახელს და არც თანამდებობას არ ამჟღავნებს, 3. „გლახაკი არსენ“ (ესე ვითა სანატრელსა ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზს მიქაელს გუარამასძე ვაჩე შეუწყალებია... მტკიცე ყოს ღ~ნ ნაქმარი ბრძანება მათი. მე მრწემი სიწმიდისა მათისა გლახაკი არსენ ნებითა ღმრთისათა ჩემითაც ხელითა დავამტკიცებ. 4. ამირსპასალარი (ბერძენიშვილი.1966:24). ს.კაკაბაძის აზრით, აქ იგულისხმება ქართლის სხვადასხვა კათალიკოსი, თუმცა განსაკუთრებით საყურადღებოა, რატომ უწოდებს საკუთარ თავს „მე მრწემი სიწმიდისა მათისა“ სიგელში დასახელებული „გლახაკი არსენი“, რომელიც მცხეთის კათალიკოსის შემდეგ აწერს სიგელზე ხელს. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შეხედულებით: „მრწემი სიწმიდისა მათისა“, ე.ი. უმცროსი კათალიკოზი, ამავე დროს არავის, გარდა აფხაზეთის კათალიკოზისა, არ შეეძლო თავისი თავისათვის ეწოდებინა „მრწემი სიწმიდისა მათისა“. გამოდის, რომ გლახაკი არსენ“ კათალიკოზი ყოფილი კი არა ნამდვილი კათალიკოზია, მაგრამ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი, ვიდრე მიქაელ ქართლისა კათალიკოზი. ასეთი კი აფხაზეთის კათალიკოზი იყო“ (იქვე:26).

პირველ რიგში საყურადღებოა, რომ მეფისა და მცხეთის კათალიკოსის შემდეგ რიგითი სასულიერო პირი სიგელზე ხელს ვერ მოაწერდა, მაგრამ თუკი ამ შემთხვევაში აფხაზეთის კათალიკოსი იგულისხმება, მაშინ გასაკვირი არ უნდა იყოს, რატომ უწოდებს იგი საკუთარ თავს „მრწემს“ ანუ უმცროს. საინტერესოა, ვინ უნდა

იყოს „გლახაკი არსენი“. ამ პერიოდის აფხაზეთის კათალიკოსთა შორის არსენი არ იხსენიება. XIII საუკუნის 40-იან წლებში მოღვაწეობდა კათალიკოსი არსენ ბულმაისიმისძე, რომელიც ცნობილია, რომ მცხეთის კათალიკოსი იყო. თუმცა ს. კაკაბაძეს, ნ. ბერძენიშვილსა და ნ. შოშიაშვილს მიაჩნდათ, რომ არსენი აფხაზეთის კათალიკოსი იყო. იგივე აზრი გაიზიარა თ. ქორიძემ, რომელსაც მიაჩნია, რომ არსენ ბულმაისიმისძე აფხაზეთის კათალიკოსი უნდა ყოფილიყო XIII საუკუნის 40-იან წლებში (ქორიძე,2002:7). თუკი ჩამოთვლილ მეცნიერთა მოსაზრებას გავიზიარებთ, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ „გლახაკი არსენი“ აფხაზეთის კათალიკოსი არსენ ბულმაისიმისძე იყო.

ამ მნიშვნელოვან ძეგლში აფხაზეთის კათალიკოსთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტია მოცემული. საქართველოს ეკლესიაში იშხნელ ეპისკოპოსთან ერთად განსაკუთრებული პატივი და ღირსება გააჩნდათ ბედიელსა და ქუთათელ ეპისკოპოსებს. მათი პატივი განაპირობა იმან, რომ „ამიერი ბედიელი მოსაფლავეა მეფისა და ქუთათელი მაკურთხეველიცა და მოსაფლავეც არის“. ქუთათელი ეპისკოპოსის ასეთი დიდი პატივი გამხდარა საფუძველი აფხაზეთის კათალიკოსთან დაპირისპირებისა. აფხაზეთის კათალიკოსის უფლებებზე საუბრისას, მხედველობაშია მისაღები, ჟამთააღმწერელის ცნობა საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფის შესახებ,როდესაც მონღოლთაგან დევნილი დავით ულუ დასავლეთ საქართველოში გადავა და დავით ნარინსა და დავით ულუს შორის დაპირისპირება მოხდა, რომელშიც დიდგვაროვნებიც ღებულობდნენ მონაწილეობას, რამაც გამოიწვია: „აქა იქმნა განყოფა სამეფოსი, და მიერითგან შეიქმნა ორ სამეფოდ“(ქ.ცხ.II:243). სავარაუდოა, რომ სამეფოს გაყოფას თანვე მოჰყვა აფხაზეთის კათალიკოსის გააქტიურება დამოუკიდებლობისათვის და ამ პერიოდიდან აფხაზეთის კათალიკოსი, შესაძლოა, როგორც დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაური, დამოუკიდებელიც კი

იყო. სწორედ ამ პერიოდში მოხდა დაპირისპირება აფხაზეთის კათალიკოსსა და ქუთათელ ეპისკოპოსს შორის. „ქუთათელს საყდარსა შინა მეფენი დაილოცვიან, და ოდეს პირველ ვახტანგ დალოცეს და მერმე კონსტანტინე, დაისარჩლნეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იოვანე. ქუთათელმან ასე თქუა: აწ ორჯერ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი მეფენი დალოცვილან და არ მემართლები, გვირგვინი ანუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა“ (ქართ. სამართლ. ძეგლ, II, 1965:91).

ქუთათელი იოვანე ტოლს არ უდებდა აფხაზეთის კათალიკოსს, რადგან ქუთაისში მომხდარა ორი მეფის — ვახტანგისა(1289-1292) და კონსტანტინეს(1293-1327) კურთხევა და, შესაბამისად, სამეფო რეგალიები — გვირგვინი და სკიპტრა ქუთაისის ტაძარში უნდა შენახულიყო. ამასთან დაკავშირებით შენიშნავს ისტორიკოსი გ. მჭედლიძე: არ შეიძლება ცალსახად ისე გავიგოთ, რომ ქუთათელი აფხაზეთის კათალიკოსს მხოლოდ სამეფო რეგალიების შენახვის უფლებას ესარჩლებოდეს. საქმე იმაში უნდა იყოს, რომ მეფეთა კურთხევა ქუთაისის ტაძარში უნდა შესრულდეს და არა სხვაგან. ვინ უნდა შეასრულოს იგი, აქამდე დადგენილი არა ჩანს, ვახტანგისა და კონსტანტინეს კურთხევა ქუთათელმა იოვანემ შეასრულა და ამიტომაც მას აქვს პრეტენზია აფხაზეთის კათალიკოსის მიმართ (მჭედლიძე, კეზევაძე, 2008:109).

აფხაზეთის კათალიკოსთან დაპირისპირებაში ქუთათელი იქნა გამართლებული, საქმეში ვეზირები და ლაშქარი ჩაერთო, „ქუთათელი უმართლეა“ და სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს, და მოანება აფხაზეთის კათალიკოზმა, და ქუთაისის ღმრთისმშობლის წინ სამსჭვალი მოჭედეს“. ნათელია, რომ აფხაზეთის კათალიკოსის უფლებები შეზღუდულია, რადგან რიგ შემთხვევებში მასზე დიდი ძალაუფლება ჭყონდიდელ და ქუთათელ ეპისკოპოსებს გააჩნიათ. გ. მჭედლიძე მიიჩნიეს, რომ ამის

საფუძველია „აფხაზეთის კათალიკოსის კათედრა დედაქალაქიდან დაშორებითაა (ბიჭვინთაშია), მისი გავლენა ამის გამო ნაწილობრივ დამცრობილია. ეს უეჭველი ფაქტია და აფხაზეთის კათალიკოსი არათუ მცხეთის კათალიკოსს, არამედ ქუთათელ ეპისკოპოსსაც ვერ უწევს წინააღმდეგობას. ერთიანი ქართული მონარქიის არსებობის პერიოდში აფხაზეთის კათალიკოსის იმიჯი მნიშვნელოვნად შესუსტებულია. იგი დაახლოებით რიგითი მთავარეპისკოპოსის რანგში განიხილება („ქართ. სამართლ. ძეგლ, II, 1965:51-52).

თანამედროვე ეტაპზე ეჭვქვეშ დგას აფხაზეთის კათალიკოსის მიერ დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა კურთხევის საკითხი. თუმცა გადაჭრით ამის მტკიცება საკმაოდ რთულია. ისტორიკოსი თ. ქორიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერთიანობის ხანაში დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა კურთხევა აფხაზეთის კათალიკოსს არ ჰქონდა. მათ „ყოვლისა საქართველოსა დიდი მამათმთავარი“ კათალიკოსი აკურთხებდა, რაზეც მეტყველებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე საეკლესიო ცენტრების გაერთიანების შემთხვევები ერთი კონკრეტულ პირს, ერთი საეკლესიო იერარქიის ხელში. ასეთი იყო ბედიელ-ალავერდელი (XII ს-ის 20-იანი წლები), ჭყონდიდელ-მაწყვერელი, ჭყონდიდელ-სამთავნელი (XII ს-ის 70-80-იანი წლები) (ქორიძე, 2003:17). მეცნიერის აზრით, თვით აფხაზეთის კათალიკოსსაც ქართლის კათალიკოსი აკურთხებდა, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი პირდაპირი ცნობა არ არსებობს. თუკი მართლაც ქართლის კათალიკოსი აკურთხებდა აფხაზეთის კათალიკოსს, ეს კურთხევა აუცილებლად სვეტიცხოველში უნდა აღსრულებულიყო, თუმცა არავითარი მსგავსი ცნობა არ მოგვეპოვება.

ძალზე საინტერესო მოსაზრება აქვს კათალიკოსთა ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით ბ. კუდავას. აფხა-

ზეთის კათალიკოსი გაერთიანების შემდეგ იურიდიულად იყო დასავლეთ საქართველოს მწყემსმთავარი, მას ექვემდებარებოდნენ აქაური ეპისკოპოსები, ის კი, თავის, მხრივ, ემორჩილებოდა მთელი საქართველოს მწყემსმთავარს, ქართლის კათალიკოს-პატრიარქს. ნიშანდობლივია ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკაში არსად გვხვდება ქართლის კათალიკოსი, (კუდავა, 2002:168).

ჩვენთვის მისაღებია ბ. კუდავას ვარაუდი, რადგან XI-XIII საუკუნეებში აფხაზეთის კათალიკოსს შენარჩუნებული ჰქონდა გარკვეული უფლებები დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში, თუმცა რამდენიმე ეპისკოპოსთან მიმართებაში დასავლეთ საქართველოში საკმაოდ შეზღუდული იყო აფხაზეთის კათალიკოსის ძალაუფლება. მეფის კურთხევის დროს, აფხაზეთის კათალიკოსის პატივი იშხნელი ეპისკოპოსის რანგს უტოლდებოდა და მის გარეშეც შესაძლებელი იყო მეფის კურთხევა.

ზემოაღნიშნული ფაქტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაერთიანებულ საქართველოში XI საუკუნიდან აფხაზეთის კათალიკოსის უფლებები დამცრობილია, ხოლო მცხეთის კათალიკოსის უფლებები, პირიქით, გაცილებით იზრდება. იგი ჯერ პატრიარქის ტიტულს მოიპოვებს, შემდეგ კი მისი ძალაუფლება მთლიანად მთელ საქართველოზე ვრცელდება. მასვე ექვემდებარება კავკასიაში არსებული არაქართული მართლმადიდებლური საეკლესიო თემები. შესაბამისად, მცხეთის კათალიკოსი უპირატესია აფხაზეთის კათალიკოსზე და ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აფხაზეთის კათალიკოსი წყაროებში ხშირად აღარ იხსენიება. ამის ნათელი დასტურია, რომ XI-XIV საუკუნეებში აფხაზეთის სულ ოთხი კათალიკოსის სახელია მხოლოდ ცნობილი. 1) სვიმეონი (XI საუკუნის დამლევი, XII საუკუნის დასაწყისი). კათალიკოსი სვიმეონი

„ახალციხური ტყავის სახარების“ მინაწერებში იხსენიება. 2. კათალიკოსი ნიკოლოზი, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში იხსენიება; „წირვა და აღაპი საუკუნოი ბედიელყოფილისა ნიკოლოზ კათალიკოსისა... შეუნდვენ ღმერთმან.“ (მეტრეველი, 1962:88). 3) დანიელი (აფხაზეთის კათალიკოსი XIV საუკუნის II ნახევარში). ისიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში იხსენიება. 4) არსენი-აფხაზეთის კათალიკოსი XIV საუკუნის ბოლოს.

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ეკლესიური და სახელმწიფოებრივი გაერთიანების პროცესის დასრულებით ფაქტობრივად ამოიწურა აფხაზეთის საკათალიკოსოს ფუნქცია. იგი ზედმეტი რგოლი გახდა ეკლესიურ იერარქიაში (გამახარია, 2005:148). ასეთი მდგომარეობა გავრცელდა XV საუკუნემდე. აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნეში იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა აფხაზეთის კათალიკოსმა აკურთხა მცირეწლოვანი მეფე ქუთაისში. რუსუდან მეფემ „მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, აფხაზთა, დადიან-ბედიანთა, რაჭის ერისთავსა და კათალიკოსსა აფხაზეთისასა და დასუეს მეფედ დავით, ძე რუსუდანისა, აკურთხეს ქუთაისს და დაადგეს თავსა მისსა გვირგვინი. დასვეს ტახტსა ზედა სამეფოსა და მიულოცეს მეფობა წესისამებრ, და სრულყო კათალიკოსმან წესი კურთხევისა“ (ქ. ცხ.II:180).

როგორც ჩანს, დავით VI-ის კურთხევა აფხაზეთის კათალიკოსმა აღასრულა, თუმცა ალბათ ეს იყო გამონაკლისი შემთხვევა და განსაკუთრებული აუცილებლობით გამოწვეული. სამწუხაროა, რომ კათალიკოსის სახელი არაა მოხსენიებული და ჩვენ არ შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო მაკურთხეველი კათალიკოსი.

XV საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურად დაშლის

შემდეგ, აფხაზეთის საკათალიკოსო მცხეთის საკათალიკოსოს გამოეყო. ქართლის კათალიკოსისა და აფხაზეთის კათალიკოსის ურთიერთმიმართება საგრძნობლად შეიცვალა. აფხაზეთის კათალიკოსის უფლებამოსილების ამაღლებას ადასტურებს 1733 წლის კათალიკოს გრიგოლის სიგელი: „დიდათ ეღვაწათ მეფეთა მთავართა და დარბაზიერთა განდიდება ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა ბიჭვინთისა ღვთისმშობელისა და სამოციქულოსა საყდარსა და მას ზედა მჯდომარისა კათალიკოზისა ამაღლება და აღმატება, რათა შეკვრითა და განხსნითა მისითა ეგნენ სამეფონი ესე ლიხთ ამერისა, აფხაზეთისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა ეკლესიანი“. აღნიშნულ სიგელში ნათლად დასტურდება, რომ აფხაზეთის კათალიკოსის „ამაღლება და აღმატება“ მომხდარა. კათალიკოსი გრიგოლი სავარაუდოდ სარგებლობს „მცნებაი სასჯულოს“ ტექსტით.

ამიერიდან სამეფო სამთავროებად დაშლილ საქართველოში ორი ეკლესიური ერთეული არსებობდა, თუმცა მათ შორის მჭიდრო ურთიერთობა და ევქარისტიული კავშირი არასოდეს გაწყვეტილა.

ერთიანი საქართველოს პოლიტიკურმა დაშლამ, საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში არაერთი ცვლილება გამოიწვია. XVI-XVII საუკუნებში სამხრეთ საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) ტერიტორიაზე არსებულმა უძველემა საეპისკოპოსოებმა არსებობა შეწყვიტეს. ზოგიერთმა მღვდელმთავარმა, მაგალითად მაწყვერელმა ეპისკოპოსმა გელათში დაიდო ბინა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კი ჩამოყალიბდა ახალი საეპისკოპოსოები: (გელათის, ხონის, ნიკორწმინდის) და ა.შ.

1529 წლიდან დასავლეთ საქართველოში ეპისკოპოსებს აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი აკუ-

რთხებდა ბიჭვინთის საკათედრო ტაძარში. აკურთხებდა თუ არა დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებს 1529 წლიდან აფხაზეთის კათალიკოსი, ამის შესახებ პირდაპირი ცნობა არ გვაქვს. თუმცა სავარაუდოა, რომ ეპისკოპოსების კურთხევას აფხაზეთის კათალიკოსი XVI საუკუნემდეც ბიჭვინთის ტაძარში ახდენდა. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ეპისკოპოსებს კი მცხეთის კათალიკოს-პატრიარქი აკურთხებდა სვეტიცხოველში.

აღსანიშნავია, რომ XV საუკუნეში ალექსანდრე დიდის მეფობისა და კათოლიკოს-პატრიარქ თეოდორე II-ის (1429-1435) მოღვაწეობის პერიოდში დამთავრდა სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძრის აღდგენა-განახლება, რომელიც დაზიანდა თემურლენგის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად. უნდა აღინიშნოს, რომ გვიან, შუა შაუკუნეებში მრავალი ქართული ეკლესია-მონასტერი, საკათედრო თუ საკათალიკოსო ტაძარი დაზიანდა ან განადგურდა მტრების შემოსევების დროს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

1438-1439 წლებში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა, მონაწლეობა მიიღეს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე, სადაც დასავლეთის კათოლიკურ და აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის უნიის დადება უნდა მომხდარიყო. ალექსანდრე I-ის წარმომადგენლებმა თავად ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა და ახტალელმა ეპისკოპოსმა დანიელმა (სხვა ცნობით მიტროპოლიტმა გრიგოლმა), უნიაზე ხელი არ მოაწერეს.

ეს ფაქტი კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ ქართული ეკლესია მტკიცედ იცავდა მართმადიდებლურ სარწმუნოებას. მიუხედავად იმისა, რომ უნიაზე ხელი მოაწერეს ბერძნული საპატრიარქოებისა (ანტიოქიის გამოკლებით) და რუსეთის

ეკლესიის წარმომადგენლებმა. ქართველებმა კვლავ წმინდად დაიცვეს თავიანთი სარწმუნოება, როგორც ადრე მრავალგზის, მათ არ უღალატეს წინაპართა ტრადიციებს.

II.2. ეკლესიის ავტოკეფალიისა და ერთიანობის საკითხი XV-XVII საუკუნეების საქართველოში

საქართველოს პოლიტიკურმა გაერთიანებამ X საუკუნეში საფუძველი ჩაუყარა ერთიანი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ჩამოყალიბებას ქართლის კათალიკოსის ხელისუფლების ქვეშ. სწორედ ამ პერიოდში, X-XIV საუკუნეში, მიაღწია ქართულმა ეკლესიამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს. ქართული ეკლესიის განვითარებისა და სიძლიერის გარანტი ერთიანი ქართული სახელმწიფო და, რა თქმა უნდა, ქრისტიანი მირონცხებული მეფე იყო. მეფის ინტერესში შედიოდა, ეკლესიისთვის ყოველნაირად შეეწყო ხელი, რადგან ეს, პირველ რიგში, მეფის სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობითა და პოლიტიკური თვალსაზრისით იყო განპირობებული. როგორც კი დადგა ქართული სახელმწიფოს დაშლის საფრთხე, მაშინვე გაჩნდა ქართული ეკლესიის გაყოფის აუცილებლობა. როგორც X საუკუნეში პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა და ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული ეკლესია, ასევე XV საუკუნეშიც პოლიტიკურმა სიტუაციამ ცვლილებები გამოიწვია საქართველოს ეკლესიაშიც. გარდა საქართველოში მომხდარი შიდაპოლიტიკური მოვლენებისა, საგარეო პოლიტიკაში განვითარებულმა ცვლილებებმაც ძალზე დიდი გავლენა იქონია უშუალოდ საქართველოზე. ქრისტიანული სახელმწიფოს, ბიზანტიის იმპერიის დაცემამ 1453 წლიდან რთულ მდგომარეობაში ჩააყენა იმპერიის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური საპატრიარქოები.

სულთან მეჰმედ II-ის დროიდან კონსტანტინეპოლის პატრიარქებს უწევდათ ყოველწლიურად გარკვეული თანხის გადახდა, რომელიც მუდმივად იზრდებოდა სულთნის სასარგებლოდ. ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან ხშირი იყო პატრიარქის საქმიანობაში ჩარევა და ინტრიგები, რათა, რაც შეიძლებოდა, მეტი

თანხა გამოეძალათ. იყო შემთხვევები გარდაცვლილი პატრიარქების ქონების სრული კონფისკაციისა (Ист. Прав. церкви 1998:6). აღმოსავლეთის სამი საპატრიარქო: ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსლიმისა ჯერ კიდევ VII საუკუნიდან იმყოფებოდნენ მაჰმადიანების გავლენის ქვეშ. 1453 წლიდან კი ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოც (Estern Christianity.2008:170). ამიერიდან ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოები მაჰმადიანური ოსმალური სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, რისთვისაც ბერძენ პატრიარქებს ქრისტიანულ სახელმწიფოებში მოგზაურობა უწევდათ, რათა გადაეხადათ ის უამრავი გადასახადები, რასაც მაჰმადიანი მმართველები უწესებდნენ. მაჰმადიანურმა ოსმალეთმა ქართულ სახელმწიფოსაც უდიდესი საფრთხე შეუქმნა. ყველა ამ მოვლენამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია საქართველოს სინამდვილეში.

ჯერ კიდევ XV საუკუნის 20-იან წლებში გამოვლინდა სამცხე-საათაბაგოს ეკლესიური განდგომილება. ერთიანი საქართველოს ძლიერი მეფის ალექსანდრე I-სა და მცხეთის კათალიკოს-პატრიარქის მიქაელის ენერგიული ქმედების შედაგად განცალკავების გზაზე მდგომმა სამცხის მთავარმა ეს ვერ შეძლო. სამცხის მთავრებმა მიზნად დაისახეს, პირველ ეტაპზე გამოყოფოდნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოს, ხოლო სამცხე- საათაბაგო ეკლესიურად ანტიოქიის საპატრიარქოს შემადგენლობაში შეეყვანათ. ეს იყო ყოვლად გაუმართლებელი საქციელი, რომელიც მიმართული იყო ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთიანობის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში განსაკუთრებული ინტერესით „იღწვოდნენ“ ანტიოქიის ბერძნული ეკლესიის წარმომადგენლები. 1420-1428 წლებში დაწერილი სიგელით მაწყუერელი ეპისკოპოსი გერასიმე ერთგულებას უცხადებს მცხეთის კათალიკოსს მიქაელ VI-ს (1419-1426): „ვინც შემდგომად ჩემსა სხუანი მაწყვერელნი იყვნენ და საყდარშვილნი, როგორც ამას წინათ მეფეთა მლოცავ-

ნი და თქუენნი მომხსენებელნი და ერთგულნი ყოფილან, ამავე წესითა მეფეთა მლოცავნი ვიყვნეთ და თქუენნი მომხსენებელნი ვიყვნეთ: არც პატრიარქი მოვიხსენოთ ანტიოქიისა, არცა მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყნაროთ, არც ვარძიის დიაკონი ვაკურთხოთ“ (ჟორდანია. 1897:227). მაწყურელი გერასიმეს ცნობით, როგორც ჩანს, იყო მცდელობა სამცხის ეკლესიაში ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიებისა და მის მიერ ბერძენი სასულიერო პირის გამოგზავნის, ამასთანავე მაწყვერელ ეპისკოპოსებს არ ჰქონდათ უფლება, ვარძიის მონასტერში ხელი დაესხათ სასულიერო პირისთვის, რადგან ვარძიის მონასტერი მცხეთის კათალიკოსის დაქვემდებარებაში იყო. 1431-1435 წლებში მცხეთის კათალიკოსს ასევე ერთგულებას უცხადებს მაწყვერელი ეპისკოპოსი სერაპიონი. „მცხეთისგან მესხეთის საეკლესიო ჩამოშორება საეკლესიო კანონების თვალსაზრისით არც ისეთი ადვილი და მარტივი საქმე იყო, როგორც ეს ჯაყელთა გვარის ათაბაგებს ეგონათ. უზენაესი მწყემსმთავრის ურჩობა დიდ და მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა“ (ჯავახიშვილი. 1982:278). როგორც ჩანს, მცხეთის კათალიკოსმა დავით IV-მ (1443-1459) სამცხის ეპისკოპოსები დაუმორჩილებლობის გამო დასაჯა: „ოდეს მაწყურელი და სამცხის ეპისკოპოსნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა... ვინცა ანუ სამწყსონი ანუ ამას გარეთ მაწყურელობა ანუ სხვა ხელი რამე გუაძლიოს არა გამოვართუათ ყუარყუარეს თქუენდა დაუმოწმებლად“ (ჟორდანია. 1897:268). ანჩელი არქიმანდრიტი ქერობინი და კუმურდოელი ეპისკოპოსი იოანე მცხეთის კათალიკოსის ერთგულნი არიან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთის კათალიკოსი ყველაფერს აკეთებდა, რათა არ დაეშვა საქართველოს ეკლესიური გაყოფა.

განსაკუთრებით საინტერესოა 1453 წლის სიგელი, რომელშიც ვარძიისა და საფარის მონასტრების საძმო კათალიკოს დავითს ატყობინებს ბერძნების ვერაგობას: „კათალიკოზსა დავითს მეუ-

ფესა დაგიდევით აღთქმა — ჩვენ საფარისა და ვარძიისა ძმათა მას ჟამსა, ოდეს მცბიერი ბერძენი მოვიდა, ცრუ წინასწარმეტყველი და მცირითა რათმე სიტყვითა მიგვიზიდნა. აწ თქუენ გაგიწყერით და კიდეც უმართლე იყავნით: არც მიტროპოლიტი (ბერძნისა) შემოუშვათ, არც მისი წიგნი, არც მისი მცნება გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ, არც უმცხეთოდ ჩვენი მღრდელი და დიაკონი იკურთხეოდეს“ (იქვე: 269). ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პერიოდის ბერ-მონაზონთა შეფასება, ვინაიდან ისინი ბერძნებს „მცბიერ ბერძენს და ცრუ წინასწარმეტყველს უწოდებენ“. ანტიოქიის პატრიარქის წარმომადგენელმა, როგორც ჩანს, ქართველები რაღაცით მიიზიდა, თუმცა მათი ცდა მაინც ამაო გამოდგა. „ათაბაგთა განკერძოებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ მიმართული პოლიტიკისათვის განსაკუთრებით მესხეთის საეპისკოპოსოს საქართველოს ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად ანტიოქიელი პატრიარქები სახელდახელო, მარჯვე იარაღად გამოდგებოდნენ“ (ჯავახიშვილი, 1982:280).

საეკლესიო კანონიკის მიხედვით, ანტიოქიის პატრიარქის ასეთი ქმედება იყო უხეში დარღვევა და წარმოადგენდა ავტოკეფალური ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩარევას. XV საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში ხშირად ჩამოდიან ბერძენი პატრიარქები, რომლებიც გარკვეული თანხების შეგროვებასთან ერთად არ ერიდებიან, უხეშად ჩაერიონ და შექმნან „კანონიერი საფუძველი“, რათა მიიტაცონ სხვადასხვა სახელმწიფოში არსებული საეპისკოპოსო ცენტრები. აღსანიშნავია, რომ ბერძენი მღვდელმთავრების ვიზიტები სხვადასხვა ქვეყნებში განსაკუთრებით ინტენსიური ხდება 1453 წლის 29 მაისის შემდეგ, როცა თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და მთელ ქრისტიანულ სამყაროს უამრავი პრობლემა შეუქმნეს. „1454 წლის ივნისში კონსტანტინეპოლის პატრიარქი გენადი მიტროპოლიტ ეგნატეს აგზავნის რუსეთში, რომელსაც უნდა აეკრიბა შემოწირულობები. მიტროპოლიტმა

ეგნატემ 1454 წლის მთელი ივნისის თვე გაატარა ფსკოვში, იქედან კი გულუხვად დასაჩუქრებული მღვდელმთავარი გაემგზავრა ნოვგოროდში" (Митрополит Макарии, 1996:21). ბერძენი მღვდელმთავრები შორეულ რუსეთში გამგზავრებასაც არ ერიდებოდნენ, რათა მატერიალური სახსრები მოეპოვებინათ.

დაახლოებით 1500-1516 წლებში, საქართველოში იმოგზაურა ანტიოქიის პატრიარქმა დოსითეოსმა. მისი განზრახვა იყო, სამცხე-საათაბაგო ეკლესიურად ჩამოეშორებინა მცხეთის ეკლესიისაგან. ამის დასტურია მისი სიგელი, რომელშიც იგი მზეჭაბუკ ათაბაგს „დიდსა მეფესა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელმწიფეს და პატრონს" უწოდებს. სიგელში იხსენიება ბერძენი ეპისკოპოსი გრიგოლი: „მას თვით განეცადა ყოველი საქმე და თუალთა ეხილა და გულის-ხმაჲ ეყო უსჯულოება მეფეთა ერისა მათისა და პატრონის მზეჭაბუკის ღვთის მოშიშება და მართლმადიდებლობა" (ჟორდანია, 1897:317). ბერძენი მღვდელმთავრის აზრით, ქართველ მეფეთა საქციელი შეფასებულია უსჯულოებად, ხოლო მზეჭაბუკი ღვთის მოშიში და მართლმადიდებელია, რადგან მან ხელი შეუწყო ბერძენთა უკანონო ქმედებას. ანტიოქიის პატრიარქი „სამართალს აჩენს" „ვინებეთ და მას მივათუალეთ ყოველი საბრძანებელი პატრონისა მზეჭაბუკისა, რათა ეპისკოპოსნი მისგან იკურთხეოდნენ, ყოველნივე მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ იყვნენ და მაწყევარნი მისნი წყეულ და მისდა მიგვიცემიეს ხელმწიფებაი შეკვრისა და გახსნისა" (იქვე: 318). ანტიოქიის პატრიარქი უხეშად არღვევს III მსოფლიო საეკლესიო კრების კანონს, როცა იგი არღვევს ივერიის ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებს, რადგან იგი თვითნებურად ერევა და თვითონ „ადგენს სამართალს" სამცხე საათაბაგოში. დაახლოებით 1415-1420 წლებიდან ანტიოქიის რამდენიმე პატრიარქი ცდილობს ჩარევას ქართული ეკლესიის შინაურ საქმეებში. ბერძენთა მცდელობანი სწორედ ამ დროიდან დაწყებულა, რადგან მაწყვერელი ეპისკოპოსი ერთგუ-

ლების წიგნს უგზავნის მცხეთის კათალიკოსს მიქაელ VI-ს (1419-1426), აღნიშნულ საბუთში საუბარია ანტიოქიის პატრიარქსა და მისგან გამოგზავნილ კაცზე.

ამ პერიოდში ანტიოქიის საპატრიარქო ტახტი ეკავა პახუმი II-ს (1413-1414). შემდეგ კი - იოაკიმ II-ს, რომელიც 1425 წელს გარდაიცვალა. 1431-1453 წლებშიც მცხეთის კათოლიკოსებს თეოდორე III-ს (1429-1435) და დავით III-ს (1435-1439) კვლავ უწევთ ბრძოლა ეკლესიის ერთიანობის შესანარჩუნებლად. ამ პერიოდში მოღვაწე ანტიოქიის პატრიარქი დოსითეოს I (1435-1452) ცდილობს, მიიტაცოს სამცხის ეკლესია. დაახლოებით 1452 წლის ახლო ხანებში ანტიოქიის პატრიარქის ტახტს იკავებს მიქაელ III (1452-1473). ეს ის მიქაელია, რომელმაც აკურთხა ცაიშელი იოვაკიმე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად და „მარჯვენაი იერუსალიმისა“ უწოდა. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ. მიქაელის შემდეგ საქართველოში ჩამოდის ანტიოქიის პატრიარქი დოსითეოს II (1484...), რომლის წინააღმდეგაც კათალიკოს ევაგრეს (1488-1500) უწევს ბრძოლა.

1500-1501 წლებში სახსრების მოზიდვის მიზნით, სამცხე-საათაბაგოში იმყოფებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოაკიმე, რომელიც ქართველმა მთავრებმა უხვად დაასაჩუქრეს და დიდი სიმდიდრით დაბრუნდა კონსტანტინეპოლში (ხალვაში.2011:76). მშობლიურ ეკლესიასთან დაპირისპირებულმა და განკერძოების გზაზე მავალმა „ივანე მზეჭაბუკმა შეწირულობებით განამშვენა წმინდა პატრიარქები“.

ანტიოქიის პატრიარქები მთელი ასი წლის განმავლობაში ან თვითონ ჩამოდიან, ან წარმომადგენელს აგზავნიან საქართველოში, რათა აისრულონ თავიანთი საწადელი, სამცხე ეკლესიურად ჩამოაშორონ მცხეთას და, შესაბამისად, გაიჩინონ მატერიალური შემოსავლები. ათაბაგებისა და ანტიოქიის პატრიარქთა ქმედებანი მიმართული იყო ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის წინა-

აღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ანტიოქიის პატრიარქთა კიდევ ერთი მცდელობა, როგორმე თავიანთი ზეგავლენა მოეპოვებინათ, ამჯერად არა მთელ ქართულ ეკლესიაზე, არამედ მის ერთ ნაწილზე მარცხით დამთავრდა. მცხეთის კათალიკოს-პატრიარქები ღირსეულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ბერძენ პატრიარქებს არ აძლევენ საშუალებას, შეელახათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები.

ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ რღვევას მაშინვე მოჰყვა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიების გაყოფა. ამან გამოიწვია აფხაზეთის კათალიკოსის პატივისა და ღირსების უჩვეულოდ ამაღლება. დღიდან დაარსებისა აფხაზეთის საკათალიკოსომ განვითარების სამი ეტაპი გაიარა: 1) დაარსებიდან X საუკუნის 60-80-იანი წლებამდე. ამ პერიოდში აფხაზეთის კათალიკოსი დამოუკიდებელია და მისი უფლებები არ არის შეზღუდული. X საუკუნის ბოლოდან XV საუკნის 70-იან წლებამდე. ამ პერიოდში აფხაზეთის კათალიკოსის უფლებები დამცრობილია. 3) XV საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. ამ პერიოდში აფხაზეთის კათალიკოსის პატივი იზრდება და მას დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები ემორჩილებიან, თუმცა პოლიტიკური სიტუაციის გამო აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადადის. აფხაზეთის საკათალიკოსომ 1814 წლამდე იარსება, 1820 წელს მოწამეობრივად აღესრულა საკათალიკოსოს უკანასკნელი გამგებელი მიტროპოლიტი დოსითეოს წერეთელი, საკათალიკოსოს ქონება კი, რომელიც მიტროპოლიტ დოსითეოსს ეკუთვნოდა, დეტალურად აღწერეს.

XV საუკუნის მეორე ნახევარში, ერთიანი საქართველოს ბოლო მეფე გიორგი VIII, 1465 წელს ფარავანთან ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდო სამცხის ათაბაგმა. ერთ უბედურებას მეორეც დაერთო და ბაგრატ II იმერთა მეფემ ქართლი დაიკავა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა, ბაგრატ VI-ის სახელწოდებით, სწორედ მისი

მეფობის დროს საქართველოში ჩამოდის ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი. მისი ჩამოსვლა დაახლოებით 1470-1474 წლებით თარიღდება. პატრიარქ მიხეილის ჩამოსვლით ირღვევა ქართულ ეკლესიაში დადგენილი წესრიგი. თუკი ძველად აფხაზეთის კათალიკოსის ხელდასხმას ახორციელებდა ქართლის კათალიკოსი, თუმცა ამისა დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი არ გვაქვს, ამჯერად სიტუაცია შეიცვალა და აფხაზეთის კათალიკოსი ხელდასხმას ღებულობს ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქისგან. სამართლიანად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი: „მიქაელ პატრიარქი „შეემთხვა“ სწორედ იმ დროსა და პირობებს, როცა მისი კურთხევა და მადლი საჭირო და ნაყოფიერი იყო მთლიანი საქართველოს მესაფლავეთათვის“ (ბერძენიშვილი, 1971:103). ბაგრატ VI-მ ისარგებლა რა საქართველოს პოლიტიკური დაშლით, შეეცადა, დასავლეთ საქართველო ეკლესიურადაც დამოუკიდებელი გაეხადა. მან აღმოსავლეთ საქართველოსგან დასავლეთის ეს ეკლესიური გამოყოფა სათანადო წერილობითაც გააფორმებინა ჩამოსულ პატრიარქს - შეადგენინა საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლი „მცნებაი სასჯულო“, რომელმაც განადიდა აფხაზეთის კათალიკოსი (საქ.კათალიკოს-პატრიარქები; 2000:136). პატრიარქი მიხეილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მან ეს საქმე ბაგრატ მეფისა და დადიან-გურიელი შამადავლეს, ასევე მათი თავადების თანადგომით აღასრულა. ამასთანავე, მან დაიწყო გამოძიება ძველ გუჯართა, დავთართა და სიგელებისა, სადაც მას უნდოდა ეპოვა ცნობა „თუ ვითარ იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი ანტიოქიისა პატრიარქთაგან იკურთხეოდიან და ჟამთა სიძველისაგან და სოფლისა სივერაგეთაგან იყვნეს მრავალნი წესნი მოშლილ და გარდაქცეულ“ (ჟორდანია; 1892:294).

პატრიარქი მიხეილი ცდილობს, კანონიერი საფუძველი დაუდოს მის მიერ ცაიშელ-ბედიელი იოვაკიმეს კურთხევას და გაამართლოს თავისი საქციელი. ამასთანავე, მისი ბრალდება სავსე-

ბით უსაფუძვლოა, თითქოს „ჟამთა სიძველისაგან და სოფლისა სივერაგეთაგან იყვნეს მრავალნი წესნი შეშლილ და გარდაქცეულ“. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე შენიშნავს, მიხეილ პატრიარქს უნდოდა ძველი დამოკიდებულებით ესარგებლა. იგი ანტიოქიის მღვდელმთავართა საქართველოს ეკლესიაზე ბატონობის განახლება-აღდგენაზე ოცნებობდა. როდესაც ამგვარი ცნობა ხელთ ექნებოდა, მაშინ გულუბრყვილო ხალხს ადვილად დაარწმუნებდა, რომ საქართველოს ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა, როგორც „ჟამთა სიძველისაგან და სოფლისა სიავერაგეთაგან იყვნეს მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით“, ვითომც ამგვარადვე ქართული ეკლესიის თვითმწყსობა და დამოუკიდებლობა უკანონო და „შეშლილ“ წესად უნდოდა გამოეცხადებინა“ (ჯაფარიძე; 2005:893).

პატრიარქი მიხეილი კვლავ იმეორებს იმავეს, როგორც წინათ არაერთი წარმომადგენელი ბერძნული ეკლესიისა, რომ, როგორმე დაიქვემდებარონ დამოუკიდებელი ივერიის ეკლესია. სამწუხაროა, რომ ქართველთა მხარდაჭერით ისარგებლა პატრიარქმა მიხეილმა და ქართული ეკლესიის გაყოფას ჩაუყარა საფუძველი. მან სპეციალური ტიტულიც კი მიანიჭა ახლადნაკურთხ კათალიკოსს: „ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯვენაი იერუსალიმისა, აფხაზეთის კათალიკოსი და კურთხეულმცა არის, დავაყენეთ და დავსვით აფხაზეთს, საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა“. „მარჯვენაი იერუსალმისა“ თავადვე მიანიშნებს, რომ აფხაზეთის კათალიკოსის პატივი და ღირსება უფრო წარმოჩინდა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით კი: „ამით აფხაზეთის ქართული ეკლესიის თვითმწყსობის უფლება შეილახა, დამოუკიდებლობა მოისპო და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის ხელთქვეშეთი შეიქმნა... ამ საქციელით პატრიარქმა მიხეილმა, ბაგრატ მეფემ და დადიან-გურიელმა შამადავლემ ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპო-

ვარი, ქართული ეკლესიის თავისუფლება მოსპეს და გაანადგურეს“ (ჯავახიშვილი;1982.338).

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე კატეგორიულად უარყოფს ამ მოსაზრებას. ანტიოქიელი პატრიარქის-მიხეილის ჩამოსვლის შემდეგ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო არ დამორჩილებია იერუსალიმ-ანიტოქიის საპატრიარქოს, მისი თავისთავადობა და თვითმწყესობის უფლება არ შეზღუდულა. XV-XVIII საუკუნის უამრავი დოკუმენტი და მასალა, რომელიც აფხაზეთის საკათალიკოსოდანაა გამოსული ანდა მას ეხება, ნიშანწყალსაც კი არ შეიცავს იმისა, რომ ეს საკათალიკოსო იერუსალიმ-ანტიოქიის საპატრიარქოსადმია დაქვემდებარებული (ჯაფარიძე; 2003:260). „მცნებაი სასჯულო“ გასაგებად გვეუბნება, რომ ბედიელი იოვაკიმეს კურთხევა, ბაგრატ მეფისა და დადიან-გურიელი შამადავლეს სურვილით აღესრულა და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქს მხოლოდ იმიტომ სთხოვეს კურთხევა, რათა აფხაზეთის საკათალიკოსო მცხეთის საკათალიკოსოს დაქვემდებარებიდან გამოსულიყო და სრულიად დამოუკიდებელი გამხდარიყო.

თ. ქორიძის აზრით, იოვაკიმეს „ლიხთ-ამერისა და აფხაზეთის კათალიკოზად“ კურთხევის შესახებ როცა საუბრობს: დასვეს აფხაზეთს „საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა“, რითაც დოკუმენტის შემდგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ აფხაზეთის კათალიკოსი წმ. ანდრია პირველწოდებულის თანამოსაყდრე და ავტოკეფალიის კანონიერი მფლობელია, საქართველოს ეკლესიების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობის კანონიერების დასაბუთების მიზნით, ისინი იმ თვალსაზრისის დანერგვას შეეცადნენ, რომ ქართლის განმანათლებელი წმიდა ნინო იყო, ხოლო აფხაზეთის-წმიდა ანდრია პირველწოდებული (ქორიძე; 2003:19). ეს იყო შორს გამიზნული ვერაგობა და ქართული ეკლესიის გაყოფის მცდელობისადმი იყო მიმართული. ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელმა 1057 წელს ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას ხაზი

გაუსვა იმ ფაქტს, რომ ანდრია პირველწოდებული ქართველთა განმანათლებელია და იგი ნიკოფსიაში განისვენებს. წმიდა ანდრია პირველწოდებულისა და შემდგომ წმ. ნინოს საქართველოსადმი მოციქულებრივი საქმიანობა ერთმანეთს მიუსადაგა ეფრემ მცირემ (XI), ხოლო საბოლოოდ დააკანონა 1104 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (იქვე:19).

საქართველოში შემოწირულობის ასაკრებად ჩამოსულ ბერძენ პატრიარქ მიხეილს ქართველმა მეფემ და დიდებულებმა საშუალება მისცეს, აღესრულებინა ხელდასხმა, რომელიც ქართლის კათალიკოსის პრეროგატივა იყო. თამარ მეფის თანამედროვე კათათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე აღნიშნავდა თავის თხზულებაში „აღწერა სუეტისა ცხოველისა“, რომ „ოდითგანვე დაწესებულია, ეპისკოპოსის კურთხევა უნდა მოხდეს სვეტიცხოველში. ცხოველი სვეტის წინ უნდა დადოს აღთქმა ეპისკოპოსმა, რომ ის ერთგული იქნება კათოლიკე ეკლესიისა“ (აღწერა სვეტისა ცხოველისა.2003:30). ისტორიკოსი ბაბილინა ლომინაძე მიიჩნევდა, რომ აფხაზეთის კათალიკოსის კურთხევას მცხეთის კათალიკოს-პატრიარქი ახდენდა: „XV საუკუნის 70-იან წლებში აფხაზეთის კათალიკოსი აკურთხა არა მცხეთის კათოლიკოს-პატრიარქმა, როგორც ეს წესი იყო, არამედ იმ დროს საქართველოში შემთხვევით ჩამოსულმა ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქმა. იერარქიულმა გაყოფამ დაასუსტა ქართული ეკლესიის სიძლიერე ცხოვრების ყველა სფეროში“ (ლომინაძე.1997:9). მართალია, ეს იყო ერთჯერადი აქტი, მაგრამ მისი საჭიროება ნამდვილად არ არსებობდა. რაც მთავარია, ეს აქტი მიმართული იყო სახელმწიფოებრივი რღვევისა და ეკლესიური ერთიანობის წინააღმდეგ.

„მცნებაი სასჯულო“ ადგენს ასევე აფხაზეთის საკათალიკოსოს საზღვრებს ლიხთ-ამერის, ჭოროხს აქეთ, ოვსეთს აქეთ, პონტოს ზღვის აქეთ, სადაც დიდი ბიჭვინთის საზღვარი აღწევდა. მოყვანილ ცნობაში არ არის აღნიშნული საკათალიკოსოს აღმოსავლე-

თის საზღვარი. ამ ხარვეზს ავსებს მე-XVI საუკუნის ისტორიული დოკუმენტი „ბიჭვინთის იადგარი“, რომელიც აფხაზეთის საკათალიკოსოს აღმოსავლეთის საზღვრად ლიხის ქედს ასახელებს. სადაოა ასევე, რომელი კათალიკოსის (ბიჭვინთის თუ მცხეთის) სამწყსო იყო აჭარა და შავიზღვისპირეთის ტერიტორია. ჯავახიშვილის აზრით, აფხაზეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდა აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი (ქორიძე; 2001 №2:52). ფაქტიურად, აფხაზეთის კათალიკოსს მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ექვემდებარებოდა. ალბათ შემთხვევითი არ იყო აფხაზეთის კათალიკოსთა ტიტულში „ჩრდილოეთის“ შეტანა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დასუსტებამ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გაძლიერებამდე (1589) აფხაზეთის კათალიკოსს საშუალება მისცა, თავის სამწყსო საზღვრებში მოექცია ტერიტორია „კაფამდე“ (ფეოდოსია) და „რუსეთის საზღვრამდე“, რის გამოც ტიტულში „ჩრდილოეთი“ შეეტანა (ქორიძე; 2003:25). კათალიკოსი იოვაკიმე იწოდებოდა „ყოველთა ქრისტიანეთა ლიხთ-ამერისა, ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა“, რაც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საკათალიკოსოს სახელწოდება დასავლეთ საქართველოს სახელწოდებიდან მომდინარეობს. „აფხაზეთი“ ძველი ტრადიციიდან, „აფხაზთა სამეფოს“ პერიოდიდან მომდინარე დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინია, იმერეთი კი XV საუკუნიდან როგორც საკუთრივ იმერეთის, ასევე „იმერეთის სამეფოს“ და მთელი დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი და ტიტულატურაში XV საუკუნიდან „აფხაზეთის“ შესატყვისად, ზოგიერთი კათალიკოსის ტიტულში მასთან ერთად დამკვიდრებული(ქორიძე.2006:192).

მე-XV საუკუნის 70-იანი წლებიდან აფხაზეთის საკათალიკოსო დამოუკიდებლად აგრძელებს არსებობას. კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთაში მდებარეობდა, ბიჭვინთაში ხდებოდა კათალიკოსისა და ეპიკოპოსთა კურთხევა. საქართველოს პო-

ლიტიკურად დაშლის შემდეგ იმერეთის მეფეები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აარსებენ ახალ საეპისკოპოსო კათედრებს. ეპისკოპოსთა კურთხევა ბიჭვინთაში ხდებოდა: „ქრონიკონსა სიზ. მიიცვალა ქუთათელი გერასიმე, იანვრის ი. ამასვე წელიწადს დაჯდა მათი ძმისწული სვიმონ და წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინტისა“(ქართლის ცხოვრება, 1854:271). აღნიშნული კურთხევა აფხაზეთის კათალიკოს მალაქია აბაშიძეს აღუსრულებია. 1529 წელს ქუთაისის საეპისკოპოსო გაიყო სამად: „დიდად სახელოვანმან განთქმულმან ღვთის მსახურმან და ღვთივ-გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან ბაგრატ მოგუახსენა და დაგუაჯერა მოხსენება მათი... ვაკურთხეთ და დავსვით გეენათს კაცი უაღრესი ანგელოზთა, გაუჩინეთ პატივი და საჯდომი ვითარ პატრიარქთა და მეფეთაგან განაჩენსა ძეგლსა შინა წერილ არს და გაუჩინეთ სამწყსონი და საკურთხი რიონსა და ქუთათის ქალაქსა ზედა ყვირილს გამოღმა და ვიდრე კაცხის ზღუარამდის და ხრეითის აქეთ რაჭის მთამდის ოკრიბა. ს.დ.“ (კაკაბაძე; 1921:11).

ამრიგად, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის ინიციატივით ქუთაისის უძველესი საეპისკოპოსო სამ ნაწილად გაიყო. გელათის გარდა ცალკე ეპისკოპოსი დასვეს ხონში, 1544 წელს კი საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა ნიკორწმინდაშიც. შესაბამისად, აფხაზეთის კათალიკოსი დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა კურთხევას ბიჭვინთაში აღასრულებდა. თუმცა აფხაზეთის კათალიკოსის უფლებამოსილება მხოლოდ ეპისკოპოსთა კურთხევით არ შემოიფარგლებოდა. დ. ბაქრაძე გვაუწყებს, რომ აფხაზეთის კათალიკოსთა ბიჭვინთის რეზიდენცია სარგებლობდა სხვადასხვა პრივილეგიებით. აქ ხდებოდა მირონის კურთხევა, ეპისკოპოსთა ხელდასხმა და სხვა საზეიმო ღონისძიებები (Бакрадзе; 1875:122).

თუკი ბიჭვინთაში მართლაც იხარშებოდა მირონი, გამოდის, რომ აფხაზეთის კათალიკოსი ყველა იმ უფლებამოსილებით სარგებლობდა, რაც უნდა ჰქონოდა ავტოკეფალური ეკლესიის მეთა-

ურს. აღსანიშნავია, რომ ბიჭვინთაში აფხაზეთის საკათალიკოსო რეზიდენცია არსებობდა გარკვეულ დრომდე. შემდეგ კი საკათალიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადადის. რამ გამოიწვია ეს ცვლილება? საუკუნეების განმავლობაში ბიჭვინთის ტაძარი განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ბიჭვინთა წარმოადგენდა აფხაზეთის კათალიკოსთა რეზიდენციას. საკათალიკოსო რეზიდენციას ადგილსამყოფელი არ შეუცვლია, მისი არსებობის ადრეულ ეტაპზეც კი, მაშინ, როცა აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი იყო. თავიდანვე ბიჭვინთის ტაძარი უდიდესი პატივით გამოირჩეოდა, რადგან ეს იყო წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამოღვაწეო ადგილსამყოფელი. შესაბამისად ამან განაპირობა, დაარსებისთანავე აფხაზეთის კათალიკოსს ბიჭვინთაში დაედო ბინა.

XVI საუკუნეში კი, რაღაც განსაკუთრებული მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ კათალიკოსს უძველესი საკათალიკოსო ტაძარი დაეტოვებინა და გელათში გადასულიყო. ისტორიკოსმა ბ. ლომინაძემ სპეციალურად გამოიკვლია აღნიშნული საკითხი და დაადგინა, რომ 1529 და 1545 წელს აფხაზეთის კათალიკოსი ჯერ კიდევ ბიჭვინთაში იჯდა. უდავოა, რომ რეზიდენციის გადატანა უკავშირდება საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდში. XVI საუკუნეში განსაკუთრებით გაძლიერდა ოსმალეთის იმპერია, რომელმაც მრავალი მეზობელი დაიპყრო და დაიმორჩილა. ამ სამხედრო ფეოდალური სახელმწიფოს საზღვრები გადაჭიმული იყო გიბრალტარიდან სპარსეთის ყურემდე. სელიმ I-ის (1515-1520) სულთნობის დროს თურქეთმა დაიკავა სირია, პალესტინა, ეგვიპტე და არაბეთის ქალაქები მექა და მედინა, შემდეგ კი ალჟირი. 1526 წელს ბუდაპეშტი დაიკავეს თურქებმა. სულთანმა სულეიმანმა (1520-1566) 1529 წელს ალყა შემოარტყა ვენას. 1534 წელს დაიკავეს ბელგრადი და იონიის ზღვის კუნძულები (გვრიტიშვილი; 1965:223).

გაძლიერებული ოსმალეთის იმპერია ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ქვეყანა დაემორჩილებინა და მის შემადგენლობაში შეეყვანა. იგივე საფრთხე ემუქრებოდა საქართველოსაც. ოსმალეთმა ჯერ სამცხე-საათაბაგო ჩამოაცილა, საქართველოს, შემდეგ კი დაემუქრა მთლიანად მთელს საქართველოს. დიდი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთი და საკუთრივ აფხაზეთი. 1464 წელს ოსმალებმა ყირიმი დაიპყრეს, 1475 წელს დაეუფლნენ კაფას (ყოფილ თეოდოსიას), რომელიც აფხაზეთის საკათალიკოსოს უკიდურეს ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვართან მდებარეობდა. იმავე წელს ხელში ჩაიგდეს ანაპა და დაიწყეს საკუთარი გავლენის გავრცელება ჩერქეზებზე (გამახარია; 2005:171). აღსანიშნავია, რომ კონსტანტინეპოლის დაცემის 1453 წლის და ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შემდეგ, ოსმალეთი უშუალოდ გახდა საქართველოს მეზობელი, ხოლო მე-XV საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიებიც, დაიმორჩილა შესაბასისად, ამ უძველეს ქრისტიანულ მხარეს შეექმნა საფრთხე.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში, აფხაზეთი იმერეთის სამეფოს საერისთავოდ ითვლებოდა, თუმცა იგი მეფეზე უფრო ოდიშის მთავარს ემორჩილებოდა. ასეთ მორჩილებას შარვაშიძეთა საგვარეულო არცთუ დიდი ხალისით იტანდა. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, XVI საუკუნის დასაწყისში „შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა“. იმ დროისათვის, როგორც ჩანს, დადიანების ძალაუფლება აფხაზეთზე რამდენადმე შემცირებული იყო (ბერიძე.2007: 127). ქართველთა შორის შუღლმა და გაუტანლობამ ცუდი შედეგები მოიტანა, რადგან მალე ოსმალურ საფრთხესთან ერთად ახალმა საშიშროებამ იჩინა თავი - მდინარე ბზიფის მარჯვენა ნაპირზე დამკვიდრებული ჯიქები და მათი მოკავშირე მთიელები, როგორც ზღვით, ისე ხმელეთით დასავლეთ საქართველოზე შეტევას აგრძელებდნენ და აფხაზეთის გავლით

ბარში გაჭრას ცდილობდნენ. ამის საპასუხოდ, 1533 წლის იანვარში ჯიქეთზე დიდი ლაშქრობა მოეწყო, რომელსაც მამია III დადიანი და მამია I გურიელი სარდლობდნენ (იქვე; 147). ამ ბრძოლას ძალზე ცუდი დასასრული ჰქონია, რადგან დადიანი ბრძოლაში დაღუპულა, გურიელი კი თანამებრძოლებთან ერთად ტყვედ ჩავარდნილა. „დადიანი გააშიშულეს, სრულიად შიშუელი დაჭრეს, გურიელნი და სამნი ძმანი და ეპისკოპოზნი და მისნი ლაშქარნი ტყუ ყვეს. წარვიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიხსნა ცოცხალნი და მკუდარნი ფასით იყიდა“ (ქართლის ცხოვრება; II:497). ჯიქთა და მთიელთა სიძლიერე ნათლად ჩანს, რადგან მათ შეძლეს დადიანისა და გურიელის ერთიანი ძალების დამარცხება. ბრძოლა რომ მნიშვნელოვანი იყო, უდავოა, რადგან ბრძოლაში ეპისკოპოსებმაც მიიღეს მონაწილეობა, საბოლოოდ კი ტყვეების განთავისუფლება აფხაზეთის კათალიკოსმა მალაქია აბაშიძემ იკისრა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარობაში ჩავარდა საქართველო 1555 წლის ამასიის ზავით, რომლის მიხედვით ირან-ოსმალეთმა ჯერ კიდევ დაუპყრობელი ქვეყანა გაინაწილეს. 1555 წლის ოსმალეთ-ირანის ზავის შემდეგ, ოსმალეთი სისტემატიურად არბევდა დასავლეთ საქართველოს. ოსმალებმა, დასავლეთ საქართველოს ზღვასთან კავშირი მოუსპეს (საქ. ისტ. ნარკვევები;1973. IV:122). ამჯერად, ამასიის ზავის შემდეგ, ოსმალები უფრო აქტიურად მოქმედებდნენ და არბევდნენ საქართველოს. სწორედ ამ პერიოდში, დაახლოებით 1557 წლიდან, აფხაზეთის კათალიკოსი ხდება ევდემონ ჩხეტიძე. ისტორიკოს თ. ქორიძის აზრით, ევდემონ ჩხეტიძეს პირველად კათალიკოსის ტახტი 1541 წელს ეკავა, ხოლო შემდეგ, უცნობი მიზეზის გამო ტახტი დაუკარგავს და ხელახლა 1557 წელს დაუკავებია (ქორიძე, 2002:17). ფაქტი ის გახლავთ, რომ კათალიკოსი ევდემონი საკათალიკოსო ტახტზე ადის 1557 წელს, ამ ურთულეს პერიოდში, როცა ოსმალურ საფრთხესთან ერთად აფხაზეთში გაჩნდა მთიელთა თავდასხმის საშიშროება. უნდა

აღინიშნოს, რომ ზუსტად ამ პერიოდიდან იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის მორჩილებიდან გამოდიან ოდიშისა და გურიის მთავრები. ბაგრატ III მთავრებთან ბრძოლაში დამარცხდა, და მთავრებს მეფისგან დამოუკიდებლად რომ ეგრძნოთ თავი, ისინი ხონთქრის კალთასაც კი შეეფარნენ და 1553 წელს არზრუმის ფაშას ამალაში იმყოფებოდნენ (რეხვიაშვილი; 1989:53).

შესაბამისად, დამოუკიდებლობის მოსურნე ლევან დადიანს მარტოს ნამდვილად არ შეეძლო მთიელთა თავდასხმების მოგერიება. ამრიგად, XV საუკუნის 50-იანი წლებიდან ბიჭვინთაში მყოფი აფხაზეთის კათალიკოსი ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კათალიკოსები, ეპისკოპოსები ძირითადად ყოველთვის მეფის საიმედო და მისი აქტიური მხარდამჭერები იყვნენ ქვეყნის ყველა უმნიშვნელოვანეს საქმეში. შესაბამისად, აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია უკვე მდებარეობდა ტერიტორიაზე, რომლის კონტროლზეც იმერეთის მეფეს ხელი აღარ მიუწვდებოდა. ამას დაემატა ქრისტიანი მოსახლეობის თანდათან შემცირება მთიელთა მოწოლის გამო და ეკლესია-მონასტრების დაცარიელება. ვახუშტი ბატონიშვილი გარკვევით გადმოგვცემს: „ვინაითგან აფხაზნი არღარა მონებენ რჯულსა და სარწმუნოებასა...“ ხოლო ჯიქებზე საუბრისას უფრო აკონკრეტებს: „კაცნი უმეტეს მხეცთ მზგავსნი. ყოფილან პირველად ქრისტიანენი, არამედ აწ უცნობელნი მისნი“ (ქართლის ცხოვრება; IV:785, 786). აფხაზეთში ქრისტიანობის აღმოფხვრა განაპირობა გარემოებებმა, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ყოველივე ამ ფაქტების გათვალისწინებით, ბუნებრივია, იმერეთის მეფე დააყენებდა საკითხს, რათა აფხაზეთის საკათალიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადასულიყო, საიდანაც კათალიკოსი უკეთ განახორციელებდა თავის ფუნქციებს. ამასთანავე, კათალიკოსი ბინას დაიდებდა სამეფო მონასტერში და მეფესაც უფრო ახლო ურთიერთობის საშუალება მიეცემოდა

აფხაზეთის კათალიკოსთან, რომელსაც დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი ეპისკოპოსები ექვემდებარებოდნენ. კათალიკოსის რეზიდენციის გადმოტანა იყო იძულებითი ღონისძიება, რომელიც ძირითადად პოლიტიკური სიტუაციის გართულებით იყო გამოწვეული. ასეთივე იძულებით ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს ევდემონ ჩხეტიძის კათალიკოსობის პერიოდში მთიელთა თავდასხმის გამო ბედიიდან ღვთისმშობლის ხატის გადასვენება. ევდემონი იძულებული გახდა ბედიაში დასვენებული ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის მასთან დაცულ ღვთისმშობლის სარტყელიანად სამეგრელოს მთავრის რეზიდენციასთან ერთად ზუგდიდში გადაეტანა (გამახარია, 2005:173). ბედიიდან სიწმინდეების გადასვენება ქვეყნის სიღრმეში მათი გადარჩენის მიზნით იყო გამოწვეული, რათა მტრისგან საფრთხე აღარ დამუქრებოდა.

ანალოგიური ღონისძიება განახორციელა იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ, როცა მან აწყურის ღვთისმშობლის ხატი ჯერ ციხისჯუარში, ხოლო შემდეგ გელათში გადაასვენა. „ამასვე ქრონიკონსა ციხისჯვარიდამ აწყურისა ღვთისმშობელი ტყუედ წაასუენეს იმერეთს“ (ქართლის ცხოვრება. II:501). ასეთი ღონისძიებებით იმერეთის მეფე და აფხაზეთის კათალიკოსი ცდილობდნენ, მტრისგან გადაერჩინათ ქრისტიანული სიწმინდეები.

იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ 1510 წელს ოსმალთა შემოსევისას დაზიანებულ გელათის სამეფო მონასტრის შეკეთება დაიწყო. მან 1545 წელს აღადგინა და თავის საძვალედ შექმნა გელათის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. მომავალში სწორედ წმიდა გიორგის ტაძარი გახდება აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია. „აწ მრავლითა გულმოდგინებითა ყელვყავით საყდრისა და მონასტრისა წ-ის გიორგის მეორედ აღშენებად და ოდესმე სადედოფლო ყოფილიყო და აწ ჩ˜ნ სამარხოდ და საძუალედ შევქმენით. აღვაშენეთ და შევამკევით ხატითა, წიგნითა და კანდელითა“ (ჟორდანია;

1897:336). წინათ სადედოფლო ტაძარი მეფემ აღადგინა და თავისი ოჯახის საძვალედ აქცია. ამრიგად, წმიდა გიორგის ეკლესია 1545 წლამდე საკათალიკოსო ეკლესიად ვერ გახდებოდა, თვით 1545 წელს გელათში კათალიკოსი ჯერ კიდევ არ ზის. დოკუმენტში, იერარქიის სათავეში იხსენიება გელათელი ეპისკოპოსი, შემდეგ კი დანარჩენები. ცხადია, კათალიკოსის მოუხსენებლობა ამ შემთხვევაში მიუთითებს იმაზე, რომ ის ჯერ კიდევ გელათში არ ზის (ლომინაძე; 1966:179).

ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, კათალიკოსმა ევდემონმა, 1541 წლის შემდგომ კათალიკოსის ტახტი დაკარგა. ვის ეკავა 1541-1557 წლებში საკათალიკოსო ტახტი წყაროებიდან არ ჩანს ან შესაძლოა მთიელთა მოწოლის გამო ამ წლებში კათალიკოსს ბიჭვინთის დატოვება მოუხდა. თუმცა ფაქტია, რომ 1557 წლიდან ევდემონი ისევ იკავებს კათალიკოსის ტახტს. 1569 წლის გელათის წმიდა გიორგის საბუთით ირკვევა, რომ კათალიკოსი უკვე გელათში ზის. შესაბამისად, საკათალიკოსო რეზიდენციის გადატანა 1557-1569 წლებში მომხდარა. კათალიკოსის ტახტი, რომ ევდემონ ჩხეტიძის მოღვაწეობის დროს გადავიდა, ეს უეჭველი ფაქტია, მაგრამ, რომელი მეფის მოღვაწეობის დროს მოხდა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის (1510-1565), თუ მისი მემკვიდრის გიორგი II-ის (1565-1586) პერიოდში? კონკრეტული პასუხის თქმა საკმაოდ ძნელია, თუმცა მიგვაჩნია, რომ კათალიკოსის ტახტის გადმოტანის იდეის ავტორი შესაძლოა, სწორედ იმერეთის სახელოვანი მეფე ბაგრატ III იყო. ოსმალებისა და მთიელების თავდასხმის გარდა ამის მიზეზი ოდიშის მთავარზე იმერეთის მეფის კონტროლის დაკარგვა იყო. ევდემონ I ჩხეტიძის კათალიკოსობის პერიოდში, ოდიშს განაგებდა ლევან I დადიანი (1533-1572 წწ), რომელიც ფაქტობრივად გამოვიდა იმერეთის სამეფოს დაქვემდებარებიდან და დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა. მისი მთავრობის პერიოდში გახშირდა მთიელ-

თა თავდასხმები (გამახარია; 2005:173). მართებულია ჯ. გამახარიას შენიშვნა, რომ კათალიკოსის რეზიდენციის გადატანა დროში ემთხვევა ლევან I დადიანის მიერ რეზიდენციისა და ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის გადატანას ზუგდიდში. იმერეთის მეფე ბაგრატ III ჯერ აღადგინა და გაამშვენა მტრისგან დაზიანებული გელათის მონასტერი, ბოლოს კი მოხატა. აღსანიშნავია, რომ გელათში ბაგრატ მეფისა და ევდემონ კათალიკოსის ორ-ორი ფრესკაა შემონახული, ერთი ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში და მეორე წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში. ორივე შემთხვევაში ბაგრატ III და ევდემონ კათალიკოსი ერთმანეთის გვერდით დგანან. ევდემონ კათალიკოსს განსაკუთრებული დამსახურება ჰქონდა გელათში. მის უდიდეს ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მთავარ ტაძარში ჩრდილოეთის კედელზე ევდემონ კათალიკოსი გამოსახულია წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის გვერდით. ევდემონ ჩხეტიძის ფრესკის მიკროსკოპული გამოკვლევისას აღმოჩნდა საინტერესო ფაქტი. შარავანდედი, ჯვრები სამოსელზე, კათალიკოსის კვერთხი დაფარული იყო ბაჯაღლო ოქროს ფენით, რაც ადრე არ იყო ცნობილი. დღეისათვის, ოქროს ფენა ჩამოყრილია (ან მოხსნილია). ამ ადგილებზე ჩანს მხოლოდ საცხი, რომლის მეშვეობითაც ოქრო იყო მიმაგრებული (ტყეშელაშვილი; 2007:78).

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ევდემონ კათალიკოსს, როგორც გელათის აღმდგენელს, ჰქონდა ასევე განსაკუთრებული დამსახურება ეკლესიის წინაშე, რადგან მას ერგო ესოდენ პატივი და იგი ქართველ მეფეთა შორის ყველაზე დიდი მეფის გვერდით გამოსახეს ფრესკაზე. ამასთანავე, ევდემონის ფრესკის შარავანდედი და სამოსელი ბაჯაღლო ოქროთი დაფარეს. როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, დავით აღმაშენებლის ფრესკა XII საუკუნისაა და ფრესკამ შეინარჩუნა მხოლოდ ძველი ფორმები XVI საუკუნეში მისი ხელახლა მოხატვის დროს. ძველად დავით მეფის ფრესკის გვერ-

დით აუცილებლად იქნებოდა გამოსახული მისი ოჯახის წევრი ან რომელიმე მეფე, თუმცა XVI საუკუნეში გელათის ხელახლა მოხატვის დროს, შენარჩუნებული იქნა მხოლოდ დავითის ფრესკა, რომლის გვერდით ადგილი დაიკავა თავისი განსაკუთრებული დამსახურების გამო ევდეომონ ჩხეტიძის ფრესკამ რომელმაც გადაფარა დავით აღმაშენებლის მეუღლის, ან მისი მემკვიდრის ძველი ფრესკა. ევდემონის გვერდით გამოსახულია ბაგრატ III თავის მეუღლესთან ერთად.

ვფიქრობთ, რომ ევდემონ კათალიკოსის მიმართ ასეთი პატივის მიგება შემთხვევითი არ იყო, ასევეა წმიდა გიორგის ტაძარშიც, რომელიც აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია იყო. ამ ტაძარშიც, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ისა და მისი მეუღლის გვერდით ევდემონ კათალიკოსია გამოსახული. ყოველივე ამის საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია სწორედ ბაგრატ მეფისა და ევდემონ კათალიკოსის მოღვაწეობის დროს გადმოვიდა ბიჭვინთიდან. სავარაუდოდ, 1560-65 წლებში. ამგვარი მოსაზრება გამოთქვა 2008წელს ისტორიკოსმა გ. მჭედლიძემ. ევდემონ ჩხეტიძის დროს, ბაგრატ III-თან შეთანხმებით (მაშასადამე, 1565 წლამდე) საკათალიკოსოს ცენტრმა გელათში გადაინაცვლა. ამის მიზეზს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად ისიც წარმოადგენდა, რომ ევდემონის გენათლობის დროს დიდი სამუშაოები ჩატარდა გელათის ტაძრების აღდგენა-შეკეთებისათვის (მჭედლიძე, კეზევაძე; 2008:162). ევდემონ კათალიკოსი ამშვენებს ასევე მოქვისა და ბიჭვინთისა ტაძრებს. „მოქვისა ღვთისმშობელო, შეიწყალე სულითა აფხაზეთის კათალიკოზი ჩხეტიძე ევდემონ, მამკობი საყდრისა შენისა. მეოხ და მფარველ ექმენ ორთავე შინა ცხოვრებათა“ (თაყაიშვილი; 1914:234). ევდემონ კათალიკოსმა ბიჭვინთის ტაძარში ააგებინა ეკვდერი. შესაძლოა, ეკვდერი რეზიდენციის გადასვლის პარალელურად ან ტახტის გადატანამდე აიგო და მოიხატა ნიშნად იმისა, რომ

ბიჭვინთის ტაძარი კვლავ აფხაზეთის კათალიკოსის კათედრას წარმოადგენდა და კათალიკოსის ზედამხედველობის ქვეშ იყო. ბიჭვინთის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში, მისი დასავლეთის ნაწილის სამხრეთ კუთხეში აგებულია პატარა ეკვდერი, ე.წ. ევდემონის კაპელა, რომლის ინტერიერი მთლიანად მოხატული იყო, ხოლო მხატვრობას ბერძნული წარწერები ჰქონდა. 1851 წელს ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ნოროვის შესრულებული ასლის მიხედვით, წარწერა ასე გამოიყურებოდა: „ქ. მოიხსენე უფალო მონა ღვთისა პარასკევა მხატვარი, რომელმაც გააკეთა სალოცავი და გუმბათი მეუფე კათალიკოსის ევდემონის გამგებლობაში... ამისთვის წელსა 7...“ (ყაუხჩიშვილი; 1999:60-61). წარწერა ძალზეა დაზიანებული, თუმცა თუკი თარიღში ციფრი 7 ფიგურირებდა, გამოდის, რომ ეკვდერი 1567 ან 1570-იან წლებში აიგო. ევდემონ ჩხეტიძე, ჯერ კიდევ 1541 წელს მისი დაკვეთით გადაწერილ გულანში კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულით იხსენიება: „სრულ იქმნნა რვანი ხმანი პარაკლიტონი მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღ˜თისმშობელისათა, ბრძანებითა ქრისტეს მიერ კურთხეულისა აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქისა ევდემონისითა“ (ქუთ. მუზ. ხელნაწერთა აღწერილობა; 1964:225).

აღსანიშნავია, რომ იმავე ტიტულით იხსენიება ევდემონის წინა კათალიკოსი მალაქია, თუმცა იგი ერთ შემთხვევაში თავის თავს მსოფლიო პატრიარქსაც კი უწოდებს: „დიდი მამამთავართა მამამთავარი აღმოსავლისა და ყოვლისა ჩრდილოს და აფხაზეთის კათალიკოზ მსოფლიო პატრიარქი“. კათალიკოსი მალაქია I, აფხაზეთის უკანასკნელი კათალიკოსი იყო, რომელიც ბიჭვინთაში იჯდა. რატომ უწოდებს კათალიკოსი მალაქია თავის თავს მსოფლიო პატრიარქს, გაუგებარია. კათალიკოსი მალაქია, 1541 წლამდე აღესრულა, რადგან 1541 წელს, საკათალიკოსო ტახტი ევდემონ ჩხეტიძეს ეჭირა. როგორც ავღნიშნეთ, რაღაც მიზეზის გამო ევდემონმა 1557 წლამდე კათალიკოსის ტახტი დაკარგა. არსე-

ბობს როსტომ გურიელის შეწირულობის წიგნი, რომელსაც ს. კაკაბაძე დაახლოებით 1558-1562 წლით ათარიღებს. შეწირულობის წიგნში გარკვევით ჩანს, რომ კათალიკოსი ჯერ კიდევ ბიჭვინთაში ზის: „წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგახსენეთ თქუენ სასოსა და მეოხსა ყოველთა ქრისტიანეთასა წმიდათა უწმიდესსა შვიდ ცათა უმაღლესსა ყოვლად წმიდასა ღვთისმშობელსა ბიჭვინთისასა და კათოლიკე საყდართა თქუენთა ჰკადრე და მოგახსენე მე გურიელმან პატრონმან როსტომ და დედამან ჩვენმან ბატონმა დედოფალმან ქეთეონ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ბატონმან თამარ და ძეთა ჩვენთა... შეგვიწყალეთ და მობრძანდით ბატონი კათალიკოზი ევდვემონ და აღგიარეთ აღსარება ჩვენი და დაიდევით ექუსექუსი ჟამის წირვა თქუნ და შემდგომთა თქუნთა კათალიკოსთა“ (კაკაბაძე; 1921:15, 16). სამწუხაროა, რომ სიგელის კონკრეტული თარიღი ჩვენ არ ვიცით, მაგრამ, თუკი სიგელი 1558-1562 წლებს შორის დაიწერა, მაშინ გამოდის, რომ ამ სიგელის დაწერის შემდეგ მოხდა კათალიკოსის ტახტის გადატანა გელათში. ყოველ შემთხვევაში 1569 წელს ეს უკვე მომხდარი ფაქტია და კათალიკოსი უკვე გელათში ზის.

იმერეთის მეფე გიორგი II, როსტომ გურელის სიგელის შინაარსის მსგავს შეწირულობის სიგელს წერს: „საყდარო გელათისაო შვიდ წილ უძლეველო... (წირავს მამულებს) შემოგწირეთ... მეფეთ-მეფისა მამისა ჩვენისა საძვალედ წოდებულისა და სასაფლაოსა ბაგრატ მეფის ეკლესიასა და მაშიგან განწყობილსა ხატთა და მღვდელ-მონაზონათა... აწ ჩუენდა სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად ყოველთა წელიწადსა რვა-რვასა ჟამსა გვიწირავდით პატრონი კათალიკოზი და სადამდის პატრონი ევდემონ კათალიკოზი დღეგრძელად და ამაოდ იყოს, ის ნუ დაგვაკლებს წელიწადშიგან ამ მამულისათვის რვა-რვასა ჟამისა წირვასა. და რა სოფელმან მისი წესი არ დაიკლოს, ვინაცა კათალიკოზი იყოს და წმიდის

გიორგის მონასტერი და ეკლესია ჰქონდეს, ისი ნუ დაგვაკლებს წელიწადშიგან რვა-რვას ჟამის წირვასა“ (კაკაბაძე. 1921:19). სიგელიდან ვგებულობთ, რომ გელათის წმიდა გიორგის ეკლესია ამ დროს უკვე გამშვენებული და ხატებით გაწყობილი იყო. ამასთანავე, ბაგრატ მეფის საძვალე ხატებით ყოფილა გაწყობილი, სადაც მღვდელ-მონაზვნები მსახურობდნენ. სავარაუდოდ, წმიდა გიორგის ეკლესიის გამშვენიერება ჯერ კიდევ ბაგრატ მეფის სიცოცხლეში მოხდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი 1565 წლიდან, ტაძარში მღვდელ-მონაზვნები აღასრულებდნენ მსახურებას. კათალიკოსებს, რომლებიც გელათის წმიდა გიორგის ტაძარში იმსახურებდნენ, სამეფო ოჯახისათვის წელიწადში რვა ჟამის წირვა უნდა აღესრულებინათ.

აღსანიშნავია, რომ ევდემონ კათალიკოსის მოღვაწეობა გელათის მონასტერში ძალზე ნაყოფიერი იყო. მისი კურთხევით არა მარტო მოიხატა და გამშვენდა გელათის სამონასტრო კომპლექსი, არამედ მისი ხელმძღვანელობით დაიწყო გელათში მეტაფრასტული თხზულებების თარგმნა-გადაწერა.

1565 წელს, მისი კურთხევით ითარგმნა ოქტომბრის თვის საკითხავი: „ადიდენ ღ~ნ ორთავე ცხოვრებასა ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეული, საქრისტიანოს ზღუდე და მაკურთხეველი, ტომ ნათესაობით ჩხეტიძე დიდი მამამთავარი აფხაზეთის კათალიკოზი ევდემონ, რომლის ბრძანებით გათავდა თვე ესე ოქტომბერი ყოვლითურთ სრული დიდებულსა საყდარსა გელათს, მეფობისა ჩვენისა მეფეთ-მეფისა გიორგის ძისა ბაგრატ მეფეთ-მეფისა სნგ მაისს“ (ექ. თაყაიშვილის ფონდი №362:121). თუკი 1565 წელს ევდემონი გელათშია და მისი კურთხევით მთარგმნელობითი საქმიანობა მიმდინარეობს ტაძარში, ხომ არ მიგვანიშნებს ეს ფაქტი იმაზე, რომ კათალიკოსის ტახტი უკვე გადმოტანილია გელათში, როგორც აღვნიშნეთ, ეს სავსებით შესაძლებელი იყო 1565 წლისთვის.

ოქტომბრის თვის საკითხავიდან ვგებულობთ, რომ „სნგ მაისს“, ე.ი. მაისის თვეში იმერეთის მეფე ბაგრატ III უკვე გარდაცვლილია, ხოლო კათალიკოსი ევდემონი გელათშია და მისი კურთხევით მეტაფრასტული თხზულების თარგმნა წარმოებს. ამ ცნობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1565 წელს აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი გელათის წმიდა გიორგის ტაძარში არის გადმოტანილი. აღსანიშნავია, რომ ევდემონ კათალიკოსის სახელს უკავშირდება ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის მოჭედვა 1568 წელს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გელათში იყო დაბრძანებული. ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატზე რელიეფური ასომთავრული წარწერაა, საიდანაც ვგებულობთ, რომ ხატი ევდემონ კათალიკოსმა მოჭედა: „მე ყი˜სა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კ˜ზ მ˜ნ ევდემონ: ჩხეტისძემ˜ნ მოვაჭედინე და შევამკე: ხ˜ტი: ესე ყ˜დ წ˜ისა დედოფალისა: ჩნ˜ისა ღ˜თისმშობლისა... დავასვენე ტაძარსა წ˜ისა ჩნ˜ისა ღ˜თისმშობლისა ბიჭოინტას“ (მ.ს.კ.ი. 1960:100). აშკარაა, რომ ევდემონ კათალიკოსის დაკვეთით დამზადდა ბიჭვინთის ხატი, რომელიც განკუთვნილი იყო ბიჭვინთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრისთვის. ხატის ორგვარი დათარიღებით უდავოა, რომ ხატი 1568 წელს არის დამზადებული. ქრონიკონი სნვ (256+1312=1568). ხატი ასევე დათარიღებულია ქრისტეს მოსვლითგან, ინდიქტიონით და დასაბამითგან. ისტორიკოსი გ.ტყეშელაშვილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ შესაძლოა, ბიჭვინთის ღვთისმშობლის „თავი ხატი“ არსებობდა ჯერ კიდევ უძველესი პერიოდიდან და XVI საუკუნეში თურქების შემოსევის შედეგად ან დაიკარგა ან გაიძარცვა. თავის დროზე აღნიშნული ხატი რომ დიდი სიწმინდეთაგანი იყო, ამას ხატის ზურგზე მოთავსებული სანაწილეც ცხადყოფს. მეცნიერის აზრით: ევდემონ კათალიკოზმა შეამკო და მოჭედა ის (ტყეშელაშვილი; 2006:56). ბიჭვინთის ღვთისმშობლის „თავი ხატის“ არსებობა ნამდვილად შესაძლებელია, მაგრამ არანაირი ცნობა არ მოიპოვება,

თუ რა ბედი ეწია აღნიშნულ ხატს. ევდემონ კათალიკოსის მიერ ბიჭვინთის ხატის მოჭედვა-შემკობა, შემდეგ კი ამ სიწმინდის ბიჭვინთაში დაბრძანება მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ დავიწყებას არ მისცემოდა კათალიკოსის უძველესი რეზიდენცია ბიჭვინთაში, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, საფრთხის არსებობის გამო აღნიშნული ხატის დაბრძანება ბიჭვინთის ტაძარში ვერ მოხერხდა.აწ განსვენებული ბ. ლომინაძე შენიშნავდა, რომ ბიჭვინთის ხატის მოჭედვა ბიჭვინთაში არ მომხდარა, რაც ალბათ სწორი უნდა იყოს, რადგან 1568 წლისათვის ბიჭვინთაში ამის შესაძლებლობა ნამდვილად ვერ იქნებოდა. ბ. ლომინაძის აზრით, ხატი გელათში მოიჭედა, სადაც იმ დროსაც ოქრომჭედლობის სკოლა არსებობდა. ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხატი მისი მოჭედვისა და მასზე წარწერის დადების შემდეგ აღარც წაუღიათ ბიჭვინთაში? ჩარჩა გელათშივე და წარწერა კი „ბიჭვინტას“ დავასვენეო წარწერადვე დარჩა!“ (ლომინაძე; 1966:183).

ევდემონ კათალიკოსი ხომ გელათში იმყოფებოდა, ამიტომ გელათში მისი უშუალო კურთხევით ხატის მოჭედვა სავსებით შესაძლებელია. ხატის მოჭედვა იმდენად მნიშვნელოვანი იყო კათალიკოსისათვის, რომ მან შედგომში საკუთარი საფლავის ეპიტაფიაში ამოაკვეთინა ეს ფაქტი: „მე დამარხულმან საფლავთა შინა მეფეთასა დავახატვინე საყდარი ესე და შევამკვე ხატი ბიჭვინთისა ღვთისმშობლისა სახსენებელად სულისა ჩემისა“ (ლომინაძე; 1966:184). ევდემონ კათალიკოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მან „ბიჭვინთის ღვთისმშობელის“ ხატი შეამკო, ამით ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ, სადაც უნდა იყოს აფხაზეთის საკათალიკოსო რეზიდენცია, იგი მანიც დაკავშირებულია ბიჭვინთასთან. აღსანიშნავია, რომ გელათში აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენციის გადმოტანის მიუხედავად, კათალიკოსის ტახტი ბიჭვინთაში არ გაუქმებულა. XVI საუკუნის შუახანებიდან ფაქტობრივად დაცარიელებული ბიჭვინთის ტაძარი იყო, თუმცა ფორმალურად

ის რჩებოდა საკათალიკოსო კათედრად (ოკუჯავა.2007:169). კათალიკოსის წამოსვლის შემდეგ არ მომხდარა მისი ტიტულის ცვლილება. იგი შემდეგაც „აფხაზეთის კათალიკოსად“ ან „ბიჭვინტის კათალიკოსად“ იწოდება.

ამრიგად, XVI საუკუნის 60-იან წლებში, დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა სიტუაციამ განაპირობა აფხაზეთის კათალიკოსის ადგილსამყოფელის შეცვლა. აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენციის გელათში გადმოტანის მრავალი მიზეზი არსებობდა. პირველ რიგში, აფხაზეთზე კონტროლი დაკარგა იმერეთის მეფემ, შემდეგ კი აფხაზეთზე ოდიშის მთავრის ზეგავლენაც საკმაოდ შესუსტდა. ამას დაემატა ოსმალეთის აგრესია შავიზღვისპირა რეგიონებში და ყველაზე მთავარი, XVI საუკუნიდან აფხაზეთში ჩრდილოკავკასიიდან გადმოსახლებულმა ტომებმა განსაკუთრებით შეავიწროვეს აფხაზეთის ქრისტიანი მოსახლეობა. ყოველივე ამის საფუძველზე, აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები თავიანთ მოღვაწეობას ვეღარ ახორციელებდნენ, ამიტომ კათალიკოსის გადასვლა ქვეყნის სიღრმეში, გელათში მოხდა, სადაც სამეფო ხელისუფლებამ კათალიკოსს შესაფერისი პირობები შეუქმნა.

XV-XVIII საუკუნეებში, მცხეთის კათალიკოსთა მხრიდან აღიკვეთა კახეთის სამეფოს ეკლესიური სეპარატიზმის არაერთი მცდელობა. ამ პერიოდის ისტორიული საბუთებიდან კარგად ჩანს, რომ ალავერდელი და სხვა კახი ეპისკოპოსები შენდობისა და პატიების მიზნით ერთგულებას აღუთქვამენ მცხეთის კათალიკოს-პატრიარქს.

XVII საუკუნეში საქართველოს მრავლად სტუმრობდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურები, მათ შორის ანტიოქიის ორი: მაკარი და ნეოფიტე, იერუსალიმის სამი: თეოფანე, პაისი და დოსითეოსი, ასევე ალექსანდრიისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქები, რომლებიც ძირითადად თანხების შესაგროვებ-

ლად იყვნენ ჩამოსულები. XVII საუკუნის 60-იან წლებში, აღმოსავლეთის პატრიარქთა ხშირი ვიზიტის მიზეზი იყო რუსეთის პატრიარქ ნიკონის გადაყენებისა და ახალი პატრიარქის არჩევის საკითხი, რომელიც უშუალოდ რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძის ინიციატივით მოეწყო. პატრიარქ ნიკონის გადასაყენებლად საჭირო შეიქნა აღმოსავლეთის პატრიარქთა მოსკოვში შეკრება. ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი საქართველოში ყოფილა მოწყალების შესაგროვებლად, როცა შეიტყო რუსეთში მიწვევის შესახებ. ანტიოქიის საპატრიარქო, ისევე, როგორც აღმოსავლეთის სხვა საპატრიარქოები, თურქეთის ბატონობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. მაკარიოსს დიდი ვალები დასდებია, რომელიც ყოველწლიურად იზრდებოდა მაღალი პროცენტული გადასახადის გამო. ამ ვალის გამო იგი იძულებული იყო არაერთხელ ემოგზაურა ახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში (ასათიანი,1973:25).

ძველ ქართულ საეკლესიო ხელნაწერებში, ზუსტად არის ასახული ისტორიული რეალობა: „ტნბ-1664 აქ ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს მოვიდა. ბ. წელსა ალექსანდრიის პატრიარქი მოვიდა“ (ოდიშელი,1968:48). პატრიარქმა მაკარიოსმა იმოგზაურა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოშიც. იგი აღიარებდა საქართველოს ტერიტორიაზე ორი კათალიკოსის არსებობას. ერთს ექვემდებარება სამეგრელო, იმერეთი და გურია, მეორეს თბილისი, კახეთი, ახალციხე და მისი მხარეები (ქვეყნები) (Жузе, 1905:30). ანტიოქიის პატრიარქი თავადვე ასახელებს, თუ რომელი ტერიტორიები ექვემდებარებოდა ქართველ კათალიკოსებს. ამასთანავე, იგი აღნიშნავს, რომ ქართველი კათალიკოსები საერთოდ არ სჯიან მათ დაქვემდებარებაში მყოფ სასულიერო პირებს, არასწორი მოქმედების გამო, თუმცა დასჯის შემთხვევაში მათგან თანხას იღებენ და ისევ აძლევენ სრულ თავისუფლებას. პატრიარქი მაკარიოსი ქართული ტაძრების აღ-

წერისას, სრულიად არარეალურ ამბებზე საუბრობს.„ ქართული ტაძრების უმრავლესობას არა აქვს ტრაპეზი და ჩვენ ხშირად გვიწევს ავუხსნათ ქართველ სამღვდელოებას, რომ წმიდა ტრაპეზი გოლგოთის სიმბოლოს განასახიერებს, სადაც იესო იყო ჯვარცმული და საიდანაც იოსებმა, ნიკოდიმოსმა, იოანე ღვთისმეტყველმა და მენელსაცხებლე დედებმა ჯვრიდან გარდამოხსნეს. ჩვენ დაგვიჯერეს და მოვახერხეთ მოგვეწყო ყველა ტაძარში სამსხვერპლო. ქართველების უმრავლესობამ , როგორც კაცებმა, ისე ქალებმა არ იციან პიჯვრისწერა“ (იქვე:31). ანტიოქიის პატრიარქი, როგორც მისი წინამორბედნი თავიანთი „განმანათლებლობით“ გამოირჩეოდნენ და მათი შეხედულებებით, თითქოს ქართულ ეკლესია-მონასტრებს ტრაპეზი არ გააჩნდა მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო ქართველი ხალხის უმრავლესობამ პირჯვრისწერა და „მამაო ჩვენო“ არ იცოდა. მაკარიოსის ფანტაზია უფრო შორს მიდის, როცა იგი საუბრობს, თითქოს „სამეგრელოში სამღვდელოთა და დიაკვნების უმეტესობა მოუნათლავია და მე მომიხდა მომენათლა ბევრი მათგანი“.

მაკარიოსის აღნიშნული ცნობები სრულიად გაუგებარია. უნდა აღინიშნოს, რომ ანტიოქიის პატრიარქები ამგვარი შეფასებით ცდილობდნენ, გაემართლებინათ თავიანთი მოგზაურობანი სხვადასხვა ქვეყნებში. „როცა ასეთი გზით შეგროვილი თანხები არ აღმოჩნდებოდა საკმარისი, მაშინ (მაკარიოსი) შორეულ მოგზაურობებს აწყობდა უცხო ქვეყნებში, გასცემდა უამრავ ინდულგენციას, მდიდრებსა და დაფასებულ პირებს ასაჩუქრებდა წმინდანთა ნაწილებით და ცხოველმსყოფელი ჯვრის ნაწილებით. ამ გზით მან ააგო პატრიარქის ბრწყინვალე სასახლე დამასკოში“ (Цинцадзе,1906:58). უარყოფითად ახასიათებდა ასევე ეპისკოპოსი კირიონი პატრიარქ მაკარის 1905 წელს თედო ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში, იგი აღნიშნავდა:

„აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოსი იყო დომენტი II 1660-1676 წლებში. კაცი ღირსი და განსწავლული, რომელიც არ აპარპაშებდა აღმოსავლეთ საქართველოში ცრუპენტელა მაკარის“ (ვარდოსანიძე, 2010:69).

მოსკოვში ჩასული ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსს, შემდეგი ტიტულით მიემართავდნენ: დიდი მეუფე მაკარი, პატრიარქი დიდი საღვთო ქალაქ ანტიოქიისა და ქვეყნების: კილიკიის, ივერიის, სირიის, არაბეთისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა“ (Павел Алерскии,1898:108). აღნიშნული ტიტული იყო უძველესი დროის გამოძახილი, XVII საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქცია ჩამოთვლილ ქვეყნებზე არ ვრცელდებოდა და მხოლოდ ანტიოქიის პატრიარქთა სურვილს გამოხატავდა. ჯერ კიდევ VII საუკუნიდან აღმოსავლეთის სამი საპატრიარქო; ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმისა მოექცნენ მაჰმადიანთა ზეგავლენის ქვეშ, ამიტომ დარჩა მხოლოდ მათი საპატრიარქო ტიტულატურა, ხელისუფლების გარეშე. ანტიოქიის საპატრიარქოს ხელისუფლება არათუ ივერიასა და აღმოსავლეთზე, არამედ XVII საუკუნისათვის თვით ანტიოქიაზეც კი ვერ ვრცელდებოდა და მათი რეზიდენცია დამასკოში იყო განთავსებული.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის პატრიარქ ნიკონის გასამართლებას ესწრებოდა ქართველი მიტროპოლიტი ეპიფანე, როგორც წარმომადგენელი ერთ-ერთი ავტოკეფალური ეკლესიისა (Цагарели, 1912:22). კალისტრატე ცინცაძის ცნობით, პატრიარქ ნიკონის გასამართლებისას 1666-1667 წლებში, მოსკოვის კრებაზე მიწვეული იყო მთავარეპისკოპოსი იოსებ სააკაძე (კალისტრატე ცინცაძის არქივი N 114:3).

XVII საუკუნეში იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოზმა ქართლის მეფე ვახტანგ VI -ს გამოუგზავნა სიგელი, რომელშიც აღნიშნული იყო ივერიის მეფეთა დამსახურება წმიდა მიწაზე.

ერთ-ერთი სიგელით, 1701 წელს დოსითეოსი წერს იმერეთის კათოლიკოსს გრიგოლის და სთხოვს მას, როგორც კათოლიკოსმა მოიწვიოს საეკლესიო კრება, რომელზეც აიკრძალებოდა ქრისტიანების გაყიდვა მაჰმადიანებზე, კანონის დამრღვევებს კი ანათემა დადებოდათ (Цагарели, 1888:76). სიგელში პატრიარქი დოსითეოსი როგორც მის თანასწორს, ისე მიმართავს აფხაზეთის კათოლიკოს გრიგოლის. პატრიარქი დოსითეოსი საუბრობს ასევე ქართველთა და ბერძენთა სარწმუნოებრივ ერთობაზე: „ამისთვის იერუსალიმში დაედება ანათემა ყველას ვინც ისაუბრებს ქართველებისა და ბერძნების სარწმუნოებრივ განსხვავებაზე; ერთია ღმერთი, ერთია უფალი, ერთია რწმენა“ (Иоселяни, 1866:4).

პატრიარქ დოსითეოსისა და მრავალთა გადმოცემით აფხაზეთის კათალიკოსები იძულებით გადავიდნენ გელათში, მათ არ შეეძლოთ, თავისუფლად ჩასულიყვნენ აფხაზეთში, სადაც XVI საუკუნეში მოხდა მოსახლეობის ცვლილება. დოსითეოსის მიერ მოთხრობილი ამბავი, ლევან II დადიანის მიერ 40 ათასი აფხაზის მონათვლის შესახებ ადასტურებს, რომ პოლიტიკურად და ეკლესიურად აფხაზეთი შედიოდა სამეგრელოს დაქვემდებარებაში. ამის საპირისპიროდ, აფხაზი მეცნიერი აჯინჯალი და სხვები ტენდენციურად აშუქებენ მოვლენებს. მათი აზრით, ქართველები მირონის მიღების გამო ყოველთვის იმყოფებოდნენ მეგობრულ ურთიერთობაში აფხაზებთან (Гамахариа, 2005:14-15).

თანამედროვე ეტაპზე, რუსეთის მიერ ოკუპირებულ სეპარატისტული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულმა აფხაზეთის ეკლესიამ, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიმართა თხოვნით აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების მიზნით. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა განაცხადა, რომ აფხაზეთი არის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კანონიკური

ტერიტორია. აღნიშნული განცხადება ადასტურებს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიმართ სამართლიან დამოკიდებულებას და ღრმა პატივისცემას მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან.

კათალიკოსის გელათში გადმოსვლის შემდეგ ბიჭვინთას, როგორც საკათალიკოსო ცენტრს, თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ბ. ლომინაძის სამართლიანი შეხედულებებით: მირონის კურთხევის ტრადიცია აფხაზეთში ბიჭვინთის ეკლესიაში შენარჩუნებულ იქნა თვით გვიან პერიოდამდე. მირონის კურთხევა მთავარ ატრიბუტს წარმოადგენს ავტოკეფალურ ეკლესიისათვის. პატრიარქ პაისიოსის 1658 წელს გადმოცემით, ბიჭვინთაში მირონის საკურთხებლად შეიარაღებულები მიდიან და მისულები მძევლებასაც მოითხოვენ ადგილობრივი მთავრებისაგან (ლომინაძე, 1966:235-236).

ბიჭვინთის ტაძარში მირონის კურთხევას ადასტურებენ კათოლიკე მისიონერები: კასტელი, ძამპი, შარდენი და სხვები. სავარაუდოდ, მირონის კურთხევა აფხაზეთში ხდებოდა რამდენიმე წელიწადში ერთხელ საჭიროების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, თავისი არქიმანდრიტის მიერ მირონის დარიგებაზე საუბრობს კახეთსა და ქვემო ივერიაში (Иоселиани, 1866:14).

გელათში მყოფ კათალიკოსებს არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი ბიჭვინთის საკათალიკოსო ტაძართან. ასევე კათალიკოსები პერიოდულად ჩადიოდნენ ბიჭვინთაში მირონის საკურთხებლად. აფხაზეთის კათალიკოსთა მიერ ბიჭვინთაში მირონის კურთხევა იმის მანიშნებელი იყო, რომ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო სრული ავტოკეფალური უფლებებით სარგებლობდა.

თავი IV
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერატორის უხეში ჩარევით ქართული სახელწმიფოსა და ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელდა უკანონო ქმედებები. ამ ქმედებებმა გამოიწვია ქართული სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობის შეწყვეტა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, რამაც უმძიმესი შედეგები მოუტანა ქართველ ხალხს. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით რუსეთის მხრიდან დაირღვა მოციქულთა 34-ე კანონი, რომლის მიხედვითაც „ყველა ერის ეკლესია უნდა იმართებოდეს საკუთარი ეპისკოპოსების მიერ“.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია, რომელიც V საუკუნიდან ავტოკეფალური იყო, საეგზარქოსოს სახით სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენელი ნაწილი გახდა. როგორც აღვნიშნეთ, საეკლესიო კანონიკიდან გამომდინარე, რუსეთის ეკლესიას არ ჰქონდა უფლება, გაეუქმებინა მასზე უძველესი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. თუკი ეს უფლება არ გააჩნდა რუსეთის ეკლესიას, მაშინ როგორ შეძლო ამ ფაქტის აღსრულება? მართებულია მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია კი არ გაუქმებულა, არამედ შეჩერდა რაღაც დროის მონაკვეთში. ეს დრო გაგრძელდა 106 წლის განმავლობაში, მაგრამ რუსეთის ეკლესიას იურიდიულად რისი გაუქმების უფლებაც არ ჰქონდა, შესაბამისად, მას ვერც გააუქმებდა ანუ, როგორც ალ. ცაგარელი მიიჩნევდა: „ქართულ ეკლესიას, რომელიც 1811 წლიდან საეგზარხოსოს სახით არსებობდა, ავტოკეფალია როგორც დე იურე არ დაუკარგავს, არამედ წაერთვა შესაძლებლობა ამ უფლების ფაქტიურად აღსრულებისა“ (Цагарели, 1912:18). შესაბამისად, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ავ-

ტოკეფალია დე იურე, არ დაუკარგავს 1811 წლის შემდეგაც, არამედ იძულებით იქნა შეჩერებული 106 წლის განმავლობაში. ისტორიკოსი ქეთევან პავლიაშვილი რუსულ იმპერიულ საეკლესიო პოლიტიკას საქართველოსადმი ხუთ პერიოდად ჰყოფს. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1783-1811 წლების ჩათვლით. ამ დროს რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა საეკლესიო პროგრამის გასაიდუმლოებასა და ერთგვარი თადარიგის დაჭერას საქართველოს პოლიტიკური ათვისების შემდგომ ქართულ ეკლესიაზე უფლების მოპოვებისათვის" (პავლიაშვილი; 2008:15).

ჯერ კიდევ 1783 წელს, გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატში გამოვლინდა რუსეთის ინტერესი ქართული ეკლესიის მიმართ. კანონიკურად არასწორად იყო შედგენილი ტრაქტატის მე-8 მუხლი, რომელშიც ქართული ეკლესიის მეთაური რუსეთის სინოდის რიგით წევრად ცხადდებოდა. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს მე-8 ადგილი უნდა დაეკავებინა რუსეთის წმიდა სინოდში: „კათალიკოსსა ანუ უმთავრესსა არქიეპისკოპოსსა მათსა აქუნდეს ადგილი რიცხვთა შორის რუსეთის მღვდელმთავრთასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა და უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგს ტიტლოსა უწმიდესისა სინოდის ჩლენობისასა". რადგან ტრაქტატი საქართველოს ეკლესიისათვის არ წარმოადგენდა იურიდიული დატვირთვის აქტს, ბუნებრივია, VIII არტიკულის ამოქმედებაც რუსეთის მხრიდან ნაადრევი იყო (იქვე; 2008:27). ტრაქტატზე ხელმოწერის დროს, ქართველმა ელჩებმა აღნიშნული მუხლის გამო პროტესტი გამოთქვეს, რადგან ა. ბეზბოროდკოს მიერ შედგენილი პროექტის პირველ ვარიანტში, რომელიც ქართულ მხარესთან იყო შეთანხმებული, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს მე-5 ადგილი უნდა დაეკავებინა პირველხარისხოვან რუს მღვდელმთავრებს შორის (ბუბულაშვილი; 2006:12). რომელ ადგილს დაიკავებდა ქართული ეკლესიის

მეთაური რუსეთის ეკლესიის სინოდში, არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ორივე შემთხვევაში ირღვეოდა საეკლესიო სამართალი. ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური ამავდროულად არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი. შეუძლებელია, ეს არ სცოდნოდა ისეთ განათლებულ სასულიერო მოღვაწეს, როგორიც იყო კათალიკოსი ანტონ I. მან არათუ სცნო ეს, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო დებულება, არამედ რუსეთის სინოდის წევრობაც მიიღო და რუსეთის მიტროპოლიტთა დარად თეთრი კუნკულ-ბარტყულით შეიმოსა. ეს იყო ქართველ სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეთა დიდი შეცდომა (აბაშიძე. თადუმაძე. 2010:198).

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ 1784 წლის 24 აინვარს ხელი მოაწერა ტრაქტატის რატიფიკაციას (პაიჭაძე, 1980:41). საბოლოო ჯამში, 1783 წლის ტრაქტატის მე-8 მუხლი მიმართული იყო ქართული ეკლესიის თავისთავადობის წინააღმდეგ. ტრაქტატის დადებიდან ძალიან მალე გამოვლინდა რუსეთის იმპერიის მესვეურთა ზრახვები. 1782 წლის მიწურულსა და 1783 წლის დამდეგს ეკატერინე II-ის მდივანმა, იმპერიის საგარეო- პოლიტიკური უწყების ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე ბეზბოროდკომ კავკასიის ხაზის უფროსს გრიგოლ პოტიომკინს წერილობით აცნობა ეკატერინეს აზრი ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებთან კავშირის დადების თაობაზე. წერილში ა. ბეზბოროდკო შეეხო კათოლიკოს-პატრიარქის უფლებრივ მდგომარეობას. „ქართლ-კახეთის კათალიკოსი რუსეთის იერარქთა შორის დაიკავებს ადგილსო“. ეს იმას ნიშნავდა, რომ მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი, სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქი არქიეპისკოპოსს გაუტოლეს(გურული.2010:80).

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების თაობაზე. მანიფესტი სიონის საკა-

თედრო ტაბარში წაუკითხეს ქართველ მამულიშვილებს რუსულ ენაზე. 1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლება მაშინვე იწყებს მზადებას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის. 1801 წლის თებერვალში, რუსეთის იმპერატორის ბრძანებულებით, კათალიკოს ანტონ II-ს დაევალა, შეედგინა ქართული ეკლესიისა და სამღვდელოების რეალური მდგომარეობის ზუსტი აღრიცხვა.მას უნდა აღეწერა საეკლესიო მმართველობა და წარედგინა თავისი მოსაზრება ამ მმართველობაში სასურველი ცვლილების შეტანის შესახებ.ანტონ II მიჰხვდა რას მოითხოვდნენ მისგან და დროის მოგების მიზნით ამ ბრძანებულების შესრულებას საერთოდ უგულებელყოფდა (ორჯონიკიძე,1992:85).

1801 წლის მარტში კავკასიის მთავარმართებელი კარლ კნორინგი კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს სთხოვს, უპასუხოს შემდეგ კითხვებზე: რამდენი ეპარქია იყო ქართლ-კახეთის სამეფოში და ვინ იყვნენ ეპარქიის მმართველები. რამდენი მონასტერი და სამრევლო ეკლესია იყო თითოეულ ეპარქიაში და რამდენს შეადგენდა მათი შემოსავალი, როგორ განაგებდნენ მონასტერსა და ეკლესიებს ან როგორ ხდებოდა სასულიერო წოდების მინიჭება და ა. შ.

კათალიკოსმა ანტონ II-მ საპასუხო წერილში, რომელიც ოქტომბერში უკვე მიღებული ჰქონდათ პეტერბურგში, ხაზი გაუსვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობას: „კონსტანტინე დიდის დროს საქართველოში მოვიდა წმიდა ნინო, რომლის შემდეგაც მირიან მეფე და ქართველი ხალხი ეზიარა ქრისტიანობას. მირიან მეფემ მცხეთაში ააგო ტაბარი და კონსტანტინე დიდს სთხოვა, მასთან გაეგზავნა მღვდლები. ბიზანტიის იმპერატორს მასთან გაუგზავნია ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი, რომლისგანაც მიიღო ნათლისღება მეფემ და ქართველმა ხალხმა. რამდენიმე ხნის შემდეგ ვახტანგ გორგასალმა ააშენა მოციქულთა სახელობის ეკლე-

სია, სადაც დასვა კათალიკოს-პატრიარქი უწმიდესის ტიტულით. ბერძენი იმპერატორები და მსოფლიო საეკლესიო კრებები სცნობდნენ საქართველოს ეკლესიის თვითმწყსობას და საპატრიარქო ღირსებას“ (Акти, I. 1886:530). სავსებით ნათელია, რომ ანტონ II-ს ჰქონდა წარმოდგენა რუსეთის მესვეურთა განზრახვაზე, ამიტომ მან ხაზი გაუსვა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას, რომ ქართული ეკლესიის საპატრიარქო უფლებებს აღიარებდნენ ბიზანტიის იმპერატორები და მსოფლიო საეკლესიო კრებები. კათალიკოსმა ანტონ II-მ თავის წერილში უპასუხა კარლ კნორინგის დასმულ კითხვებსაც, რომ ქართლში იყვნენ საეკლესიო იერარქები: მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები. ეპარქიის მმართველები გამორჩეული იყვნენ მეფისა და კათოლიკოს-პატრიარქის მიერ, ისინი სარჩოს იღებდნენ საეკლესიო გლეხების მიერ გაღებული გადასახადიდან და საეკლესიო მამულებიდან. ანტონ II-ისა და, ცხადია, სხვა ინფორმაციის მიღების შემდეგ პეტერბურგში შეუდგენიათ დოკუმენტი სათაურით „Наличныи состав Грузинского Патриархата“ (გურული, 2010:15-16).

დოკუმენტში დაწვრილებითაა განხილული, ვინ იყო ქართლ-კახეთის ეკლესიის მეთაური, რა ქონება გააჩნდა კათალიკოსს, მღვდელმთავრებს და რომელი სოფლები ეკუთვნოდათ მათ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ავტოკეფალური ეკლესია, მსოფლიოს ქრისტიანული ეკლესიების მსგავსად საეკლესიო კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მატარებელი იყო. საქართველოს ეკლესიის მეთაური იყო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, რომელიც მართავდა ეკლესიის უმაღლეს ორგანოს - საკათალიკოსო საბჭოს, ამ უკანასკნელის მეშვეობით - საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (პავლიაშვილი, 2008:25). ეკლესიის მმართველობის ასეთი სისტემა მიუღებელი იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის, ამასთანავე, მათი ინტერესის საგანს

შეადგენდა ქართული ეკლესიის შემოსავალი და საეკლესიო მამულები: „ალექსანდრე პირველი და მისი მთავრობა ვეღარ ითმენდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას და ჩქარობდნენ, რაც შეიძლება მალე დაემორჩილებინათ იგი რუსეთის სინოდისათვის. ამ მიზნის მიღწევას ძირითადად კათოლიკოს ანტონ II-ის რუსეთში გადაყვანა აფერხებდა“ (გონიკაშვილი; 2002:290).

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შემდეგ, ეკლესია (მცხეთის ავტოკეფალური საპატრიარქო) ინარჩუნებდა თავის უფლებრივ მდგომარეობას, ადგილს მსოფლიოს მართლმადიდებელ საპატრიარქოთა შორის. თავისი უფლებებით აღჭურვილი რჩებოდა კათოლიკოს-პატრიარქი და საეკლესიო კრება,აგრძელებდა ფუნქციონირებას ყველა ეპარქია. ამგვარი სიტუაცია, ცხადია, რუსეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო. ამიტომ ყველაფერი გაკეთდა, რათა ეკლესიის ყველა ეს უფლება შელახულიყო (ვაჩნაძე.გურული,2009:41).

1802 წლიდან მთავარმართებელთა მხრიდან დაიწყო კათალიკოს ანტონის პირადი უფლებების შელახვა და მისი ყოველმხრივი შევიწროება. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდა მთავარმმართებელი პავლე ციციანოვი, რომელიც კათალიკოსის ყოველ მოქმედებას კონტროლს უწევდა. კათალიკოს-პატრიარქს სურდა, მცხეთაში წასულიყო საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებით, მტრებმა კი ხმა დაუყარეს, ეპიდემიის გამო მცხეთაში გახიზვნას აპირებსო, მთავარმართებელმა კი მას, დაუკითხავად წასასვლელად გამზადებულ ანტონ II-ს, 1803 წლის 15 ივნისს მუქარის წერილით მიმართა: „ფეხი არ გაადგა, თორემ იმპერატორთან გიჩივლებო“ (ბუბულაშვილი, 2002:27). ასეთი იყო დამოკიდებულება „ქრისტიანი“ მთავარმართებლისა მცხეთის კათალიკოს-პატრიარქისადმი, რომელსაც არ ჰქონდა უფლება, დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება და სვეტიცხოველში აღესრულებინა მსახურება. სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ, კათალი-

კოს-პატრიარქს გადაწყვეტილებები მთავარმართებელთან შეთანხმებით უნდა მიეღო. ციციანოვი თავის ქმედებით ცდილობდა, ქართული ეკლესია ფინანსურადაც დაესუსტებინა. 1802 წლის 16 ნოემბერს ხანძრის შედეგად დაიწვა თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის კუთვნილი 19 სავაჭრო დუქანი. სიონის ტაძარი ძირითადად ამ დუქნებიდან მიღებული შემოსავლით არსებობდა. პავლე ციციანოვმა კათალიკოს ანტონ II-ის თხოვნას უარით უპასუხა, რის გამოც, ტაძარი უსახსროდ დარჩა (გურული; 2010:24). მთავარმართებლის განზრახვა არა მარტო სიონის ტაძრის დასუსტება, არამედ ქართული ეკლესიის შემოსავლების მითვისება და ეკლესიის სახაზინო უწყებაში მოქცევა იყო.

მთავარმართებელი ციციანოვი უხეშად ერეოდა კათალიკოსის საქმიანობაში და უფლებას არ აძლევდა თავის ეპარქიებში ახალი ეპისკოპოსები აერჩია. კათალიკოსმა ანტონმა მთავარმართებელთან შეუთანხმებლად არქიმანდრიტი დოსითეოზი წილკნის ეპისკოპოსად აკურთხა, რის გამოც ციციანოვს აღშფოთება ვერ დაუმალავს. სხვა შემთხვევაში კი ციციანოვი სხვაგვარად მოიქცა: მან ურცხვად მისწერა ანტონ კათალიკოსს, რომ გამოთავისუფლებული ნიქოზის საეპისკოპოსო ადგილი სამთავროს მონასტრისათვის მიეწერათ. იგი თავს იწონებდა იმპერატორის წინაშე: „ამ გზით სამი ეპარქია გავაუქმე და სამი კიდევ დამრჩაო“ (ბუბულაშვილი, 2003:31). რუსი მოხელეები დაკავებულნი იყვნენ უძველესი ქართული საეპისკოპოსოების გაუქმებით და ამ ქმედებით თავსაც კი იწონებდნენ იმპერატორთან. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია პავლე ციციანოვის, 1804 წლის 23 მარტის იმპერატორის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომლის ასლი მან კათალიკოს ანტონ II-ს გაუგზავნა: საეკლესიო ქონების აღწერის დაყოვნების გამო არ მინდოდა თავს დაგტყდომოდათ იმპერატორის რისხვა, ამიტომაც აქამდე თავს ვიკავებდი. მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები ყოველგვარი წესისა და რიგის გარეშე ახდენენ

მღვდლად ხელდასხმას, ხოლო არქიმანდრიტები ბერად აღკვეცას. ასეთი მდგომარეობა ქმნიდა იმის საფრთხეს, რომ საქართველოს ერთი ნაწილი იქცეოდა ბერულ სამყაროდ, ხოლო მეორე ნაწილი თეთრი სამღვდელოების სამყაროდ..." (გურული; 2010:28).

იმის გამო, რომ ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესიის მეთაური ცდილობდა შეენარჩუნებინა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული საეკლესიო წეს-ჩვეულებები, თუმცა მის ამ ქმედებას ციციანოვის აზრით, შესაძლოა გამოეწვია იმპერატორის რისხვა. ციციანოვის ბრალდება სრულიად უსაფუძვლო იყო იმასთან დაკავშირებით, თითქოს ქართველი მღვდელმთავრები ყოველგვარი წესების დარღვევით ახდენდნენ მღვდლად ხელდასხმას. ამ პერიოდში მღვდლად ხელდასხმას ქართველი ეპისკოპოსები ახორციელებდნენ კანონიკური წესით, როგორც დადგენილი იყო მართლმადიდებელ ეკლესიაში, ვიანაიდან ქართველი მღვდელმთავრები არ ათანხმებდნენ მთავარმართებელთან, თუ ვის უნდა დასხმოდა ხელი, ამიტომ სახელმწიფოსათვის მიუღებელი იყო ასეთი ფორმა. ქართული ეკლესიისაგან განსხვავებით, რუსული ეკლესია სულ სხვაგვარად იყო მოწყობილი. პირველი ცვლილებები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობაში შეიტანა პეტრე პირველმა, რომელმაც 1721 წელს გააუქმა ეკლესიაში პატრიარქის თანამდებობა და მის ნაცვლად დააწესა კოლეგიალური მმართველობა უწმიდესი სინოდის სახით, რომელსაც 1722 წელს სათავეში ჩაუყენა საერო პირი ობერ-პროკურორი, რომელიც აღჭურვა უდიდესი ძალაუფლებით (თორაძე, 2007:304). სინოდის ობერ-პროკურორი იმპერატორის ნება-სურვილის აღმსრულებელი იყო, ამიტომ, ბუნებრივია, ამ სისტემისათვის, მიუღებელი იქნებოდა ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის ტრადიციული წესები. კათოლიკოს-პატრიარქი ანტონი და ქართველი მღვდელმთავრები სამღვდელო პირების ხელდასხმას ახორციელებდნენ მრევლის სულიერი მოთხოვნი-

ლების შესაბამისად, რათა ქართლ-კახეთის ნებისმიერ სოფელსა თუ დასახლებულ პუნქტში მოსახლეობა არ ყოფილიყო მოკლებული ღვთის სიტყვას. რუსულ მმართველობას ეშინოდა თეთრი და შავი სამღვდელოების გამრავლების, რადგან ფინანსურად მათი უზრუნველყოფა ვერ მოხდებოდა. ციციანოვს ასეთი მაგალითი მოჰყავდა: „ერთ-ერთ ეკლესიას ძალზე მცირე შემოსავალი ჰქონდა და ამავე დროს ეკლესიის შტატში 14 მღვდელი ირიცხებოდაო (გურული; 2010:29). ამ თვალსაზრისით ქმედითი ნაბიჯი გადადგა მთავარმართებელმა ივანე გუდოვიჩმა. 1807 წლის 7 ივლისის ბრძანებით, სოფლის დაბალი სამღვდელოება გაათავისუფლა თავადაზნაურთა ყმობისაგან და სხვა ბეგარა-გადასახადებისაგან. გათავისუფლებული სამღვდელოება კი სახაზინო უწყებაში მოაქცია და ამით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების გზაზე (ბუბულაშვილი; 2002:32).

რუსულ მმართველობას ათი წელი დასჭირდა, რომ გაეუქმებინა მცხეთის საპატრიარქო და ამისთვის ყველაფერი გაკეთდა, რათა ის წინააღმდეგობა დაეძლიათ, რომელიც წინ ეღობებოდათ. მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი 1809 წლიდან უკვე იწყებს ღია მოქმედებას, რომელიც მას დაავალა საიმპერატორო კარმა და უწმიდესმა სინოდმა. მთავარმართებელმა ტორმასოვმა ყოველგვარი შენიღბვის გარეშე კატეგორიულად მოითხოვა, რომ საქართველოს ეკლესიაში უწესრიგობის მოგვარებისთვის საჭირო იყო მისი რეორგანიზაცია. ანტონ II ფიქრობდა, თუკი რუსეთის მმართველი წრეები ხელს არ ახლებდნენ ეკლესიის დამოუკიდებლობას, შესაძლებელი იყო, საქართველოს ეკლესიაშიც გარკვეული ცვლილებები მომხდარიყო (იქვე:34). თუმცა რუსეთის მესვეურთა გეგმები სულ სხვაგვარი იყო.მთავარმართებელ გენერალ ტორმასოვის მიერ 1809 წლის 6 ივნისს უწმიდესი სინოდის წინაშე წარდგენილი პროექტი, რომლის თანახმად საქართველოში სასუ-

ლიერო მმართველობის ახალი ორგანოს დიკასტერიას სათავეში უნდა ჩადგომოდა კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II, ხოლო მის მოადგილედ კი დადგინებულიყო რუსეთის ეკლესიის მღვდელ-მთავარი ვარლამ ერისთავი“ (პავლიაშვილი, 2008:33).

რუსეთის ეკლესიის მსგავსად თბილისშიც იქმნებოდა დიკასტერია, თუმცა განხვავება ის იყო, რომ დიკასტერიას სათავეში ჩაუდგებოდა ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური, რომლის მოადგილეც იქნებოდა სხვა ავტოკეფალური ეკლესიის მღვდელმთავარი. ეს ფაქტი საეკლესიო სამართლის დარღვევა იყო, რადგან ერთი ეკლესიის მღვდელმთავარი ამავდროულად არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა ეკლესიის წევრი. ასეთი მდგომარეობა, პირველ რიგში, რუსეთის ხელისუფლებისათვის იყო მიუღებელი, ამიტომ ყველაფერი გაკეთდა, რათა გაუქმებულიყო ქართული ეკლესიის თავისთავადობა. ვარლამ ერისთავი, რომელიც ჯერ კიდევ 1794 წელს გაემგზავრა რუსეთში ანტონის კურთხევით, 1808 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში ბრუნდება.პეტერბურგის საიმპერატორო კარი დიდ იმედებს ამყარებდა ვარლამ ერისთავზე, რომელიც გვერდში ამოუდგებოდა მთავარმართებელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების საქმეში. ვარლამი საჭიროდ მიიჩნევდა დიკასტერიის დაარსებას, რომლის შემადგენლობაში ტორმასოვის მითითებით დასახელდნენ ქვათახევის არქიმანდრიტი დოსითეოსი, იკორთის გამალიელი, კახეთის არქიმანდრიტი ელეფთერ ზუკაკიშვილი, მცხეთის იოანე მაღალაშვილი; დეკანოზები იოსებ წინამძღვრიშვილი და დიმიტრი ალექსეევი.ვარლამმა წამოაყენა წინადადება, რომ მოლდავეთისა და ვლახეთის საეკლესიო მეთაურის მსგავსად შეცვლილიყო საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის ტიტული და კათოლიკოს-პატრიარქის ნაცვლად მას უნდა ეწოდოს „ მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი და სინოდის ეგზარქოსი საქართველოში“(ბუბულაშვილი,2002:43).ასეთი იყო რუსული ცნობიერების ქართველი

მღვდელმთავრის ხედვა, იგი იმპერატორის ხელისუფლებამ თავიანთი მიზნების მისაღწევად მშვენივრად გამოიყენა.

1809 წელს კათალიკოს ანტონ II-ის შემოსავალი 4000 მანეთს შეადგენდა, თუმცა რუსეთის მთავრობამ კათალიკოსს შემოსავლის აღნიშნული წყარო ჩამოართვა. აღნიშნული ქმედებით კათალიკოსს მოუსპეს საარსებო საშუალება და ამით კათალიკოსი რუსეთის ხელისუფლებაზე დამოკიდებული გახადეს. არც ისე ადვილი გამოდგა ავტოკეფალური ეკლესიის უწმიდესი სინოდისადმი დაქვემდებარება. საქმეს ისიც ართულებდა, რომ შეუძლებელი იყო ზუსტი შემოსავლის დადგენა, რაც ეპისკოპოს ვარლამის განმარტებით, იმით იყო გამოწვეული, რომ ეპარქიის მღვდელმთავრები, რომელთა ხელში იყო მთელი შემოსავალი, არავის აბარებდნენ ანგარიშს (შაკიაშვილი. 2004:127).

განსაკუთრებით მძიმე იყო 1808 წლის 7 ივლისის ბრძანებულება, რომლითაც იკრძალებოდა სასულიერო პირთა ხელდასხმა. თუკი ამის აუცილებლობა იყო, მაშინ იგი უნდა მომხდარიყო საიმპერატორო კართან შეთანხმებით, მაგრამ, თუკი რომელიმე მღვდელმთავარი მოახდენდა სასულიერო პირის ხელდასხმას, სინოდი ამ გადაწყვეტილებას გააუქმებდა, ხელდასხმული პირი დაბრუნებული იქნებოდა წინამდებარე ხარისხში (ბუბულაშვილი, 2002:39). ამ უკანონო ბრძანებულებით შეიზღუდა ქართული ეკლესიის თავისთავადობა, უფლება, რომელსაც ქართველი მღვდელმთავრები საუკუნეების განმავლობაში აღასრულებდნენ, სამღვდელო პირების ხელდასხმას ამიერიდან საიმპერატორო კართან შეუთანხმებლად ვეღარ აღასრულებდნენ. ეს უკანონო ბრძანებულებები ითვალისწინებდა ეტაპობრივად შეეზღუდათ, შემდეგ კი საერთოდ გაეუქმებინათ ავტოკეფალია და ქართული ეკლესია, რუსეთის ეკლესიის შემადგენელ ნაწილად გადაექციათ.

სასულიერო დიკასტერიის დაარსების დროს, ჯერ კიდევ 1809 წელს, გაუქმდა თბილისის სამიტროპოლიტო, რამაც ძალზე აღაშ-

ფოთა მიტროპოლიტი არსენი, რომელიც დაპირისპირებული იყო კათალიკოს ანტონთან. 1810 წელს „მიტროპოლიტ ვარლამის ჩაგონებით, ანტონ კათალიკოსსა და თბილელ მიტროპოლიტ არსენს შორის უსიამოვნება ჩამოვარდა“ (ჯაფარიძე, 2009:1093). სამწუხაროდ, მიტროპოლიტმა არსენმა თავისი ქმედებებით საკმაოდ ცუდი როლი ითამაშა, მან ცილიც კი დასწამა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს. იგი იმპერატორს ატყობინებდა, რომ ანტონ II-მ გაძარცვა მცხეთის სვეტიცხოვლისა და ალავერდის ტაძრები, ხოლო ტაძრებიდან მოპარული ნივთები ბაზარზე იყიდებაო (გურული, 2010:46). მიტროპოლიტი არსენი აბეზღებდა ანტონ II-ს იმპერატორთან, რადგან კათალიკოსს მეფის ნებართვის გარეშე ვინმეს კურთხევა არ შეეძლო, თუმცა კათალიკოსი ანტონი ამ წესსაც არღვევდა. მიტროპოლიტი არსენი, კათალიკოსის გარდა, მრავალ სასულიერო პირს დაუპირისპირდა, მათ შორის მიტროპოლიტ ვარლამ ერისთავს. 1809 წლის 2 ნოემბერს საქართველოს მთავარმართებელს ობერ-პროკურორი ატყობინებდა, რომ იმპერატორის გადაწყვეტილებით ანტონ II აუცილებლად უნდა წასულიყო რუსეთში. ანტონ II-ის პეტერბურგში მიწვევა კათოლიკოს-პატრიარქის „საპატიო გადასახლებას“ ნიშნავდა, საიდანაც მას დაბრუნება აღარ ეწერა (ბუბულაშვილი, 2002:44). იმავე წლის 7 დეკემბერს საქართველოს მმართველ გენერალ ახვრედოვს კათალიკოსი ანტონი ატყობინებდა: „რომ ავადმყოფობით ვიყავი შეპყრობილი და უკიდურესად დავსუსტდი, რადგან დღემდე ძალიან შერყეულია ჩემი ჯანმრთელობა“ (იქვე:44).

კათალიკოს ანტონის რუსეთში გამგზავრება გადაიდო. იგი 1810 წლის ნოემბრამდე საქართველოში იმყოფებოდა. ამ ერთი წლის განმავლობაში მას მრავალჯერ ატკინეს გული და მრავალი ცილი დასწამეს. ცილისმწამებელი მიტროპოლიტი არსენი ძალზე ცუდად ექცეოდა სასულიერო პირებს, ამის გამო მას სასამართლოში უჩივლეს. საბოლოო ჯამში, სასამართლომ მიტროპოლიტ

არსენის საკითხი კათალიკოს ანტონს გადასცა, რომელმაც მიტროპოლიტი არსენი, როგორც აღვნიშნეთ, გადააყენა თბილისის მიტროპოლიტის თანამდებობიდან. კათალიკოს ანტონს ცილი დასწამა მასთან დაახლოებულმა ბერმა სერაპიონმა, რომელმაც ანტონ II-ს დააბრალა თბილისში პატიმრობაში მყოფი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის გაქცევის ორგანიზება. კათალიკოს-პატრიარქი დაუსმენია ასევე არქიმანდრიტ დიონისეს. ამ დასმენამ კათალიკოსი ისე შეაძრწუნა, რომ ცრემლები ვერ შეიკავა (გურული, 2010:75). კათალიკოსი ანტონი ეჭვობდა, რომ ამ დასმენების უკან მიტროპოლიტი არსენი იდგა. ასეთმა უღირსმა ადამიანებმა დააჩქარეს კათალიკოსის რუსეთში გამგზავრება. ისინი იყვნენ ბრმა იარაღი რუსეთის ხელისუფლების ხელში. კათალიკოს ანტონ II-ს ბრალდებები წაუყენეს ასევე, თითქოს იგი საეკლესიო მამულებს უკანონოდ არიგებდა.

1810 წლის 16 სექტემბერს კათალიკოსი ანტონი გენერალ ტორმასოვს წერდა: „ჩემამდე მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ გუბერნიის პროკურორი ახორციელებს ჩემზე მუქარას, რომელიც ცრუ დასმენებს ემყარებოდა. ჩემს შესახებ დაწერილი საჩივრები არ არის მართალი. საეკლესიო მამულების ბოძებისას მე ვხელმძღვანელობდი იმ წესით, რომელიც საქართველოში 1400 წელია არსებობს. ჩემამდე ყველა კათალიკოსს გააჩნდა იგივე ხელისუფლება“. ბოლოს იგი დასძენდა, რომ მოქმედებდა იმპერატორის მიერ მინიჭებული სიგელის ძალით, რაც ადასტურებდა, რომ კათალიკოს-პატრიარქი რჩებოდა ძველ უფლებებში (Акты, IV:157). კათალიკოსმა ანტონმა, კიდევ ერთხელ დააფიქსირა ქართული ეკლესიის უძველესი წარმომავლობა, რომ იგი სამართლიანი მემკვიდრე იყო მცხეთის საპატრიარქო ტახტზე და სამართლიანად განაგებდა ყოველივეს. საეკლესიო მამულებსა და ქონებას ერთი მიზნით ურიგებდა სხვადასხვა წოდების ადამიანებს. ანტონ II-მ კარგად უწყოდა. რომ ახლოვდებოდა მცხეთის საპატრიარქო ტახ-

ტისა და უძველესი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დრო. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საეკლესიო ქონება, მათ შორის ეკლესიებისა და მონასტრების მამულები, რუსეთის ეკლესიის მფლობელობაში გადავიდოდა. კათალიკოს-პატრიარქს სურდა, ეკლესიის კუთვნილი მამულების, რაც შეიძლება, დიდი ნაწილი ქართველებს დარჩენოდათ (გურული, 2010:72). საქართველოს უკანასნელი კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II, რომელიც ბაგრატიონთა სამეფო გვარის წარმომადგენელი იყო, იძულებითი წესით ტოვებდა სამშობლოს. საქართველოს ეკლესიის სინამდვილეში დადგა ისეთი მომენტი, რომლის მსგავსი წინათ არასოდეს ყოფილა. 1810 წლის 3 ნოემბერს, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II თბილისიდან პეტერბურგში გაემგზავრა. კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II, მცხეთის საპატრიარქო ტახტის მფლობელი და უძველესი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესიის მამამთავარი, რუსეთში გაემგზავრა სასულიერო დიკასტერიის დაარსებასთან დაკავშირებით. ეს იყო ფორმალური საბაბი ანტონ II-ის თბილისიდან გაწვევისათვის (იქვე:82).

1811 წელს, 10 წელიწადის ლოდინის შემდეგ, „დაკმაყოფილდა“ მთავარმართებლის მოხსენება იმის შესახებ, რომ „კათალიკოსს არ ძალუძს ქართულ ეკლესიაში წესრიგის აღდგენა, არამარტო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არამედ უმთავრესად იმ მიზეზით, რომ თვითნებურ ბრძანებლობას და უპახუსიმგებლობას არის მიჩვეული, რის უფლებასაც მას ადგილობრივი ადათ-წესების მიხედვით მისი მეფური წარმოშობა აძლევს, წერდა ტორმასოვი“ (ორჯონიკიძე,1992:85).

1808 წლის თებერვალში არქიეპისკოპოს ვარლამ ერისთავს შეუდგენია ახალი პროექტი. საიმპერატორო კარმა და უწმინდესმა სინოდმა აღნიშნული პროექტის რეალიზაციისათვის 5 000 რუსული რუბლი გამოყო. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სამუდამოდ ჩამოაშორა კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II საქართველოს

ეკლესიის მმართველობას, დატოვა უწმინდესი სინოდის წევრად, დააჯილდოვა ანდრია პირველწოდებულის ორდენით და წელიწადში 54 000 მანეთი ჯამაგირი დაუნიშნა. უბოძა ალექსანდრე ნეველის ორდენი და თეთრი ბარტყულა სერაფიმებით, მაგრამ პატრიარქს არასოდეს უღალატია თავისი პრინციპებისთვის და სიცოცხლის ბოლომდე დარჩა საქართველოს ეკლესიის უფლებების ქომაგად (პავლიაშვილი, 2008:35). ვარლამ ერისთავის პროექტის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე არსებული 13 ეპარქიიდან უნდა დარჩენილიყო ორი ეპარქია: მცხეთისა ანუ ქართლისა და ალვერდისა ანუ კახეთისა. 9 საარქიმანდრიტოდან უნდა დარჩენილიყო 5 საარქიმანდრიტო. საეკლესიო გადასახადი ნატური შეიცვალა ფულადი გადასახადით. ეგზარქოსმა ვარლამმა დაიწყო საეკლესიო მიწების სახელმწიფო ხაზინისადმი გადაცემა, რითაც ქართველ სამღვდელოებას მოუსპეს დამოუკიდებელი ეკონომიკური ბაზა და დასაბამი მისცეს ქართული ეკლესიის მღვდელმსახურთა ცარიზმის მორჩილ მოხელეებად გადაქცევის პროცესს (ბუბულაშვილი.2002:44).

აღსანიშნავია, რომ პროექტის მე-7 მუხლში ხაზგასმულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური წარმომავლობა. საქართველოს კათალიკოსები დაადგინა ბიზანტიის იმპერატორმა და აღიარებული იყვნენ მსოფლიო პატრიარქების მიერ. შესაბამისად, პატივისცემის ნიშნად ქართლის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის წოდება შემდეგი იქნებოდა: „მიტროპოლიტი მცხეთისა და ქართლისა და უწმიდესი სინოდის ეგზარქოსი საქართველოში“ (Акты, IV:162). ვინაიდან რუსეთის ეკლესიამ შეიერთა ავტოკეფალური ქართული ეკლესია, შესაბამისად, კათალიკოსის სამართალმემკვიდრეს მიეცა ტიტული „უწმიდესი სინოდის ეგზარქოსი საქართველოში“.

ახლადდაარსებული დიკასტერიის წევრები იქნებოდნენ არა მღვდელმთავრები, არამედ არქიმანდრიტები. რუსეთის მსგავსად

შემოღებული იქნა სასამართლო კონკისტორია და სასულიერო მმართველობა. განათლების ასამაღლებლად გადაწყდა, დაარსებულიყო სასულიერო სემინარია. მთავარმართებელმა, 1811 წლის 18 თებერვალს ვარლამ ერისთავის შედგენილი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი რუსეთის სინოდს გაუგზავნა განსახილველად.

ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ ჯერი მიდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაზე. დიკასტერიის დაარსების პროექტი სინოდმა აღიარა და იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაამტკიცა 1811 წლის 30 ივნისს. სწორედ ეს დღე ითვლება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დღედ. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ქართული ეკლესიაში უმაღლესი იერარქი იყო „მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი“, საქართველოს ეგზარქოსი. ამ თანამდებობაზე დაინიშნა, 1811 წლიდან, მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი, რომელიც რუსული მმართველობის აქტიური მხარდამჭერი იყო. ქართული ეკლესიის დაქვემდებარებით რუსეთის წმიდა სინოდმა დაარღვია მოციქულთა 34-ე, I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-6, II მსოფლიო საეკლესიო კრების მე-2 და III მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონები (Цагарели, 1912:18). საეკლესიო დადგენილებებს ერთმანეთთან კავშირი აქვს, ამიტომ, ბუნებრივია, ქართული ეკლესიის თავისთავადობის გაუქმებამ გამოიწვია მოციქულთა და მსოფლიო კრებათა დადგენილებების დარღვევა. ავტოკეფალიის გაუქმებით დაირღვა ასევე საუკუნეების განმავლობაში მიღებული საქართველოს საეკლესიო კრებათა დადგენილებები, რომლითაც დაირღვა მოციქულთა 37-ე, ნიკეის კრების მე-5, ანტიოქიის კრების 20-ე, ქალკედონის კრების 19-ე, კართაგენის კრების 17-ე, 73-ე, 76-ე, 95-ე, ტრულის კრების 8-ე, ნიკეის კრების მე-6 კანონები. ყველა ეს კანონი საჭიროებდა კრების მოწვევას, რომელსაც უნდა დასწრებოდნენ ეპისკოპოსები (იქვე:18).

ალექსანდრე ცაგარელის აზრით, არ შეიძლებოდა რუსი წმინდანების დღესასწაულთა აღნიშვნა საქართველოს ეკლესიის დადგენილების გარეშე. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ არ აღინიშნებოდა ასევე ზოგიერთი ქართველი წმინდანის დღესასწაული. ისტორიკოსი ვახტანგ გურული თავის ნაშრომში ასაბუთებს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერად გაუქმებისთვის აუცილებელი იყო შემდეგი: 1) კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს უნდა მოეწვია საეკლესიო კრება, რომელიც მიიღებდა განჩინებას ავტოკეფალური უფლებების გაუქმების თაობაზე. ასეთი საეკლესიო კრება მოწვეული არ ყოფილა. 2) გაუქმებული მცხეთის საპატრიარქოს რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში შესვლაზე თანხმობა უნდა მიეცა რუსეთის საეკლესიო კრებას. 3) მცხეთის უძველესი საპატრიარქოსა და უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის აუცილებელი იყო მსოფლიო მართლმადიდებელი პატრიარქების თანხმობა. ასეთი თანხმობა რუსეთს არც უთხოვია და, ცხადია, არც მიუღია (გურული, 2010:100). ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისას რუსეთის წმიდა სინოდს არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნა არ გაუთვალისწინებია.

1826 წელს მოსკოვში დაიბეჭდა „История Грузинской иерархий." ნაშრომში არასწორადაა წარმოდგენილი ისტორიული რეალობა და ბევრი რამ შეგნებულად არის დამახინჯებული: „საქართველოს ეკლესია V-VI საუკუნეებში თავის საქმეებს აგვარებდა კონსტანტინეპოლში, შემდეგ კი ანტიოქიის პატრიარქთან. ერთმა ქართველმა მეფემ XI საუკუნეში სთხოვა ბიზანტიის იმპერატორს საქართველოსთვის პატრიარქის მოადგილე, რომელსაც ეწოდებოდა კათალიკოსი" (Ист. Груз. Иерархии.1826:17). როგორც ვხედავთ, ნაშრომში საერთოდ უარყოფილია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები და ავტორი. ცდილობს, ვინმეზე დამოკიდებულად წარმოაჩი-

ნოს საქართველოს ეკლესია. მართლმადიდებელ ეკლესიაში იყო შემთხვევები, როცა კონსტანტინეპოლის ავტოკეფალურმა ეკლესიამ 1394 წელს შეიერთა ტირნოვოს საპატრიარქო და ოხრიდის საარქიეპისკოპოსო (Дурново, 1907:4). კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ ისევე უკანონოდ გააუქმა აღნიშნული საპატრიარქოები, როგორც რუსეთის ეკლესიამ XIX საუკუნეში გააუქმა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია. ბერძნული საპატრიარქოების ქმედებას ასე აფასებს პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი: ბიზანტიელმა პატრიარქებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა უკვე საბოლოოდ განემტკიცებინათ ბერძნების გამარჯვება ყველა სლავურ „ავტოკეფალიაზე“, რომელთა აღიარება მათ ადრე უნებურად უწევდათ. კონსტანტინეპოლელი პატრიარქები სისტემატიურად ცდილობენ, არა მარტო დაიქვემდებარონ ყველა აქამდე ავტოკეფალური სლავური ეკლესია, არამედ ცდილობენ მათ „გაბერძნებას“. ტირნოვოს საპატრიარქო მოისპო თურქეთის მიერ ბულგარეთის დაპყრობისთანავე. 1394 წელს კონსტანტინეპოლიდან იქ ბერძენი მიტროპოლიტი გაგზავნეს და საპატრიარქო კონსტანტინეპოლის პატრიარქის რიგით ეპარქიად გადაიქცა (შმემანი, 2011:352).

იგივე ბედი გაიზიარა 1018 წელს დაარსებულმა ოხრიდის ავტოკეფალურმა ეკლესიამ 1776 წელს, ერთი წლით ადრე კი არსებობა შეწყვიტა პეჩის სერბულმა საპატრიარქომ. პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი რეალურად აფასებს სიტუაციას, იგი ბერძნულ საპატრიარქოებს სამართლიანად ადანაშაულებს სერბეთისა და ბულგარეთის ეკლესიათა ავტოკეფალიის გაუქმებაში. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ბულგარეთმა და სერბეთმა სახელმწიფოებრიობა დაკარგეს, შემდეგ კი ჯერი მიდგა საეკლესიო დამოუკიდებლობის გაუქმებაზე. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები საქართველოშიც, ერთი განსხვავებით - საქართველო არა მუსულმანებმა, არამედ ქრისტიანულმა იმპერიამ დაიპყრო, შემდეგ კი ქართული ეკლესიის ავტოკეფალია იძულებით გა-

აუქმა. რუსული ეკლესია იმავე უკანონო ქმედებას ახორციელებს უძველესი ივერიის ეკლესიის მიმართ, როგორსაც მანამდე ბერძნული საპატრიარქოები აკეთებდნენ სერბეთისა და ბულგარეთის ავტოკეფალური ეკლესიების მიმართ.

რუსეთის იმპერია გეგმაზომიერად ახორციელებდა თავის მიზნებს საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ ჯერი მიდგა დასავლეთ საქართველოზე. 1810 წლის სექტემბერში. იმერეთიდან განდევნეს სოლომონ II იმერთა მეფე, რომელმაც ღირსეულად იბრძოლა ძლიერი მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერი გააწყო. 1810 წელს იმერეთის სამეფომ დამოუკიდებლობა შეწყვიტა. რუსეთის საიმპერატორო კარი დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობას ვერ მოითმენდა. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) უკანასკნელი კათალიკოსი მაქსიმე II აბაშიძე (1776-1795) კიევში აღესრულა 1795 წელს. იმავე წლიდან აფხაზეთის საკათალიკოსოს გამგებელი იყო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს წერეთელი (1781-1820). სწორედ მისი გამგებლობის პერიოდში რუსეთის ხელისუფლებამ ჩაიდინა მეორე უკანონო ქმედება ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საკათალიკოსოს გაუქმებისათვის პირობებს ამზადებდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი და მისი ობერ-პროკურორი ალექსანდრე გოლიცინი. ამჯერად საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის გამტარებლად გვევლინება გორის ეპისკოპოსი დოსითეოზი, რომლის შედგენილი პროექტიც რუსეთის სინოდმა მოიწონა და დასამტკიცებლად იმპერატორ ალექსანდრე I-ს წარუდგინა. 1814 წლის 30 აგვისტოს იმპერატორმა პროექტი მოიწონა და დაამტკიცა (გურული, 2010:110).

აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული იყო უძველესი ბიჭვინთის საკათალიკოსოს გაუქმება და, შესაბამისად, მთელი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიასთან შეერთება. აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში იქნებოდა ერთი

ეგზარქოსი, რომელიც ასე იწოდებოდა: „საქართველოსა და იმერეთის ეგზარქოსი“. თბილისში უნდა დაარსებულიყო უწმიდესი სინოდის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომელიც დაექვემდებარებოდა თვით რუსეთის უწმიდეს სინოდს: „სინოდალური კანტორის დაარსებით უქმდებოდა თბილისში არსებული დიკასტერია. სამაგიეროდ, დიკასტერია არსდებოდა ქუთაისში, რომლის გამგებლობაში შევიდოდნენ იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სამღვდელოება, ეკლესიები და მონასტრები (იქვე:112). იმავე პროექტით იმერეთში (დასავლეთ საქართველოში) არსებული ეპარქიები ხელუხლებლად უნდა დარჩენილიყო მღვდელმთავრების სიცოცხლის ბოლომდე. სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ეს მიღებული დადგენილებაც უხეშად იქნა დარღვეული.

ამრიგად, რუსეთის წმიდა სინოდისა და რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის უხეში ჩარევით 1811-1814 წლებში გაუქმდა მცხეთისა და აფხაზეთის უძველესი საკათალიკოსოები. მცხეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები რუსეთის ეკლესიაზე ბევრად უძველესი ავტოკეფალური ეკლესიები იყვნენ. აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმებით რუსეთის ეკლესიამ ანალოგიურად დაარღვია მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებები, როგორც მცხეთის საკათალიკოსოს გაუქმების შემთხვევაში. აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმების მომენტში კათალიკოსი არ ჰყავდა სათავეში და მას მხოლოდ საკათალიკოსოს გამგებელი მიტროპოლიტი დოსითეოსი მართავდა, რამაც, შესაძლოა, უფრო გააიოლა მისი გაუქმება. თუმცა 1814 წლის აქტი ჯერ კიდევ საკათალიკოსოს თეორიულ გაუქმებას ნიშნავდა, მაგრამ მისი ფაქტიური გაუქმება 1820 წელს მოხდა, შესაბამისად, საკათალიკოსოს გამგებელი, ისე როგორც ანტონ II, იძულებით ჩამოაშორეს საეკლესიო მმართველობას.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში წინააღმდეგობა ჯერ კი-

დევ 1815 წლის 8 მაისს თბილისში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გახსნის გამო დაიწყო. სინოდალურ კანტორას უნდა დამორჩილებოდა იმერეთისა და ჯერ კიდევ ავტონომიური სამთავროების: გურიისა და სამეგრელოს ეკლესიებიც. იმერეთისა და ასევე გურია-სამეგრელოს სამღვდელოება არა მარტო ქუთაისში დიკასტერიის გახსნის, არამედ საქართველო-იმერეთის კანტორისადმი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამორჩილების წინააღმდეგ გამოვიდა“ (ვაჭრიძე, 1999:232).

მთავრობამ ამჯერად (პოლიტიკური და საერთაშორისო ვითარების გამო) უარი თქვა თავის განზრახვაზე, ქუთაისში დიკასტერია გაეხსნა. 1814 წლის 17 ოქტომბერს შეიქმნა იმერეთის საეპარქიო კანცელარია. 1815 წლის ოქტომბერში საქართველოს ეგზარქოსმა ვარლამმა იმოგზაურა იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, სადაც შეხვდა მღვდელმთავრებსა და თავადაზნაურობას. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში მღვდელმთავრები და თავადაზნაურობა უკმაყოფილო იყვნენ საეკლესიო პოლიტიკით, რადგან ექზარქოსი ვარლამი ქუთაისში დიკასტერიის არსებობას მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა. დასავლეთ საქართველოს ეკლესიის საბოლოო დამორჩილებისა და გაკონტროლების მიზნით 1818 წელს საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი იმერეთში გაემგზავრა. ჯერ კიდევ იმერეთში გამგზავრებამდე მთავარმართებელი ერმოლოვი აფრთხილებდა ექზარქოსს, რათა საეკლესიო საკითხი აჯანყებაში არ გადაზრდილიყო. მიუხედავად ამისა, „თეოფილაქტე თვითონ გაემგზავრა იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში სინოდალური კანტორის ჩინოვნიკები გააგზავნა, რომლებმაც ეკლესიების ქონების აღწერა დაიწყეს: აუქმებდნენ ეკლესიებს, ეპარქიებს, ამცირებდნენ სამრევლოებს, ერეკებოდნენ უმრევლოდ დარჩენილ მღვდლებს“ (კიკვიძე, 1977:91). ასეთმა აგრესიულმა შეუბრალებელმა დამოკიდებულებამ ხალხისა და ეკლესიის მიმართ აჯანყება გამოიწვია. ქართველ

ხალხს უსპობდნენ ყველაზე მთავარს — ღვთისმსახურებასა და ლოცვას მშობლიურ ენაზე, რაც ავტოკეფალური ეკლესიის უმთავრესი ღირსებაა. მსგავსი შინაარსის შემცველია იმ პერიოდში ქუთაისისა და შოროპნის მაზრების მცხოვრებლების მიერ დაწერილი წერილი: „მოსვლითა იმერეთსა შინა მაღალყოვლადუსამღვდელოესობის თეოფილაქტესი მიველტვენით დიდიდან მცირემდის შოროპნისა და ქუთაისის მაზრისანი თავადნი, აზნაურნი, გლეხნი, საშინელ მწუხარებასა ვიდრე ნათლისღებისგან და ქრისტეს ჯვარცმითგან მტკიცედ დამპყრობელსა სარწმუნოებასა ჩვენსა შემპატიჟებელ გვექმნენ, პირველ ესე რომ მრავალნი წმიდანი ეკლესიანი დაირღვევიან და პატიოსანი ქებულნი ხატნი და ჯვარნი მიღებულ გვექმნებიან, ჩვენგანვე აღზრდილნი საკუთარი მლოცეველი მღვდლები მიგვიყვებიან და ჩვენ მოკლებულ ვიქმნებით პირველ ქრისტეს დიდებისაგან და მეორე ხორციელი სამსახურისაგან, მაკურთხეველისა ჩვენისა მღვდელმთავრების კურთხევისაგან სრულიად მოშორებულნი ვიქნებით“ (ტყეშელაშვილი, 2005:24).

ეგზარქოს თეოფილაქტეს იმერეთში ჩასვლით მოსახლეობა ძალზე დამწუხრებულა, რადგან ქართველ ხალხს ართმევდნენ საუკუნოვან სარწმუნოებას, იკეტებოდა და ირღვეოდა მრავალი ტაძარი. მოსახლეობას ართმევდნენ წმიდა ხატებსა და ჯვრებს: „გვართმევენ ჩვენ მღვდელმთავრებს, ტაძრებს, მღვდლებს, რომ სიკვდილის შემდეგ არ გველირსოს დამარხვა, ხოლო სიცოცხლეში არ მოგვეცეს ღმერთის განდიდებისა და ლოცვის საშუალება“. ვფიქრობთ, ეს სიტყვები კომენტარს არ საჭიროებს, რუსეთის მესვეურთა ქმედებანი სრულიად არაქრისტიანული და არაადამიანური იყო. ეგზარქოს თეოფილაქტეს უსამართლო ქმედებამ ქართველი ხალხი იმ უკიდურეს ზომამდე მიიყვანა, რომ მღვდელმთავარზე იარაღით გაიწია, საბოლოო ჯამში კი ექზარქოსის საქციელმა იმერეთში საეკლესიო აჯანყება გამოიწვია. რუსულმა

მმართველობამ მეტად აღმაშფოთებელი გადაწყვეტილება მიიღო. მათ გადაწყვიტეს საკათალიკოსოს გამგებელ ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოსისა (წერეთელი) და გაენათელ მიტროპოლიტ ექვთიმეს (შარვაშიძე) სიკვდილით დასჯა. „ყველაზე საშიშია, რომ არ გაიგონ მიტროპოლიტების სიკვდილი, რომელთა მკვლელობაც ააღელვებს ხალხს, სამღვდელოებას და თავადებს. ასევე ცუდად იმოქმედებს ეს ფაქტი ჩვენს ჯარისკაცებზეც, რომელთაც რწმენა აქვთ სამღვდელოებისა. არავითარ შემთხვევაში არც ერთის სხეული არ დატოვოთ იმერეთში, არ დამარხოთ. ასევე არ ჩააგდოთ გვამები მდინარეში, თორემ სწრაფ მდინარეს შეუძლია სხეული ზემოთ ამოიტანოს. აუცილებლად მიიტანეთ სხეულები კაიშურამდე, სადაც შეიძლება ისინი მიაბაროთ მიწას“ (Акти, VI. ч I:582). ასეთი არაადამიანური მეთოდით რუსეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა, აესრულებინა თავისი მიზანი და ფაქტიურად გაეუქმებინა უძველესი ავტოკეფალური ეკლესია. 1820 წლის 4 მარტს, დიდმარხვაში, მღვდელმთავრები შეიპყრეს, თავზე ტომრები ჩამოაცვეს, ხელები შეუკრეს და ნაცემ-ნაგვემი ასაკოვანი მიტროპოლიტები რუსეთის გზას გაუყენეს. რუსის ხიშტებით დაჩხვლეტილი მიტროპოლიტი დოსითეოსი სურამსა და გორს შორის გზაზე გარდაიცვალა. ეგზარქოს თეოფილაქტეს ბრძანებით, მიტროპოლიტი დოსითეოსი პირველივე ეკლესიაში ქრისტიანული წესით ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე უნდა დაეკრძალათ (Руская старина 1895:121). გარდაცვლილი, სისხლისაგან დაცლილი ნატანჯი მიტროპოლიტი დოსითეოსი ანანურის ეკლესიამდე ატარეს ისე, რომ ხალხს მისი სიკვდილის შესახებ არაფერი გაუგია. ასეთი ბედი ჰხვდა წილად აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს უკანასკნელ გამგებელს.

1820 წელს ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა აფხაზეთის უძველესმა საკათალიკოსომ. ამის გამო ამხილა იმპერატორი ალექსანდრე I პეტერბურგში იძულებით გადასახლებულმა მიტრო-

პოლიტმა ექვთიმემ: „საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების წართმევისათვის, სამშობლოს დამცველების წამებისათვის მას (იმპერატორს)უწოდა ახალი ნერონი“ (მნათობი, 1988, 10:152). საქართველოს ეკლესიის ღირსეულმა წარმომადგენელმა საკადრისი პასუხი გასცა რუსეთის იმპერატორს, რომელმაც უკანონოდ მოუსპო დამოუკიდებლობა ქართულ სამეფოებს და ქართულ ეკლესიას კი შეუჩერა თავისთავადობა. რუსული ხელისუფლება განსაკუთრებით დაინტერესებული იყო აფხაზეთის კათალიკოსის ნივთების ბედით. 1822 წლის 22 მარტს აღწერილი იქნა საკათალიკოსო ნივთები, რომელთა უმეტესობა დღესდღეობით დაკარგულად ითვლება. 1820 წლიდან გაუქმდა იმერეთში არსებული ოთხი ეპარქია და მათ ნაცვლად 1821 წელს შეიქმნა იმერეთის ეპარქია (ტყეშელაშვილი, 2005:35).

ამრიგად, 1814-1820 წლებში იძულებით გაუქმდა აფხაზეთის საკათალიკოსო, რომელსაც თითქმის ათასწლოვანი არსებობის ისტორია ჰქონდა. საკათალიკოსოს უკანასკნელი გამგებელი წამებით იქნა მოკლული, საკათალიკოსო ქონება კი გაიძარცვა. აფხაზეთის საკათალიკოსოს გამგებელი მიტროპოლიტი დოსითეოს წერეთელი დაუპირისპირდა უკანონობას, რომელიც მიმართული იყო საკუთარი ეკლესიისა და ხალხის წინააღმდეგ. ამ საქმეს იგი გმირულად შეეწირა.

1811-1814 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორი ავტოკეფალური ეკლესია: მცხეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები იძულებით, საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით იქნა გაუქმებული. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში 1811 წლიდან დაიწყო ყველაზე მძიმე პერიოდი, რომელიც გაგრძელდა მთელი 106 წლის მანძილზე. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო იმპერიის შემადგენლობაში ქართული ავტოკეფალური ეკლესიების არსებობა.

თავი V
ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მისი საერთაშორისო აღიარებისათვის

V.1 ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 106 წლის განმავლობაში საეგზარქოსოს სახით შედიოდა რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში. ამ პერიოდში უდიდესი ზიანი მიადგა ქართულ ეკლესიას. გაუქმდა უძველესი ეპარქიები, შემცირდა სასულიერო პირთა რაოდენობა, გაიძარცვა ეკლესია-მონასტრები, დაიკარგა მრავალი ქრისტიანული სიწმინდე. განსაკუთრებით ცუდი შედეგები მოჰყვა ღვთისმსახურების რუსულ ენაზე აღსრულებას. ქართველ ხალხს მოესპო შესაძლებლობა, წირვა-ლოცვა მოესმინა მშობლიურ ენაზე. სამღვდელოება ვერ ღებულობდა სათანადო განათლებას, შესაბამისი განათლების გარეშე კი სასულიერო პირები ვერ გადასცემდნენ მრევლს ქრისტეს მაცხოვნებელ სარწმუნოებას. ამან ქართველ ხალხში გამოიწვია ქრისტიანული რელიგიისადმი გაციება. ექზარქოსის სახელზე გაგზავნილ თითქმის ყველა მოხსენებით ბარათში ხაზგასმულია, „რომ ხალხი ეკლესიებში არ დადის, ეკლესიები ნახევრად ცარიელია, დიდი დღესასწაულების დღეებშიც კი თუ არა რუსები, რომლებიც მლოცველთა უმეტესობას შეადგენენ... შეიძლებოდა დამშვიდებული სინდისით დაგვეკეტა ეკლესიები“ (ხუციშვილი; 1972:6). ექზარქოს ევსევის იმერეთში მოგზაურობისას მლოცველები ვერ უნახავს, რის გამოც გაოცება ვერ დაუმალავს. რუსი საეკლესიო მმართველობა თავს იმით ინუგეშებდა, რომ, რახან ეკლესიებში ქართველი ხალხი არ დადიოდა, დამშვიდებით შეეძლოთ ეკლესიები დაეკეტათ, მიზეზი კი ნაკლებად აინტერესებდათ, თუ რამ გამოიწვია ქრის-

ტესმოყვარე ერში სარწმუნოების ესოდენ დაქვეითება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში ექსარხოსობის პერიოდში დაიკარგა მრავალი საეკლესიო ხელნაწერი: „მტკვარში იქნა გადაყრილი საქართველოს ეკლესიის დადგენილებები და კანონები, ცეცხლს მისცეს უძველესი საეკლესიო დოკუმენტები, ნაწილი კი პეტერბურგში იქნა გადატანილი,.. თანამედროვე ეტაპზე 860 ტაძარზე მეტი დგას ღვთისმსახურების გარეშე“ (Дурново, 1907:12). ასე აფასებდა 1907 წელს ნ. დურნოვო რუსების „მოღვაწეობას“ საქართველოში. ასე ბარბაროსულად გაანადგურეს საქართველოს ეკლესიის უძველესი დოკუმენტები. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რა რაოდენობის და რა შინაარსის ხელნაწერები განადგურდა.

ერის ღირსეული შვილები ხშირად იმაღლებდნენ ხმას ქართველი ერისა და ეკლესიის უფლებების დასაცავად, მათ შორის, გაბრიელ ეპისკოპოსი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი,ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები.

„XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მართალია, არ დასმულა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა, მაგრამ ქართველი საზოგადოება, კერძოდ, კი თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით აქტიურად იბრძოდნენ ქართველთა სარწმუნოებრივი უფლებების დასაცავად. 1883-1910 წლებში ქართულ ენაზე გამოდიოდა ორკვირეული ჟურნალი „მწყემსი“ დეკანოზ დავით ღამბაშიძის რედაქტორობით, რომელიც ქართველი ერის გულისთქმას გამოხატავდა“ (ბუბულაშვილი, 2000:51). ამასთან დაკავშირებით 1944 წელს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე წერდა : „ექსარხოსის დროს იმდენად აირია საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა, რომ მთელი საუკუნის მანძილზე არ შეწყვეტილა მათ უკუღმართობაზე მოხსენებების მირთმევა, ვისდამიც ჯერ იყო, მაგრამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ სიტყვა არ დაძრულა, ამ სიტყვის წარმოთქმას

გაურბოდნენ ქართველებიც და რუსებიც, თურმე საშიში იყო". კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე შემდეგ საუბრობს თავის წერილზე, რომელიც 1894 წელს გამოაქვეყნა ჟურნალში „пастирь" და რაზეც ჟურნალის რედაქტორს დეკანოზ დავით ღამბაშიძეს დაატყდა ეგზარქოსის რისხვა: „ვლადიმერ ექსარხოსმა დაიბარა მამა დავითი და დაემუქრა, თუ წერილი არ დამთავრებულა იმით, რომ საქართველოს ეკლესია არასოდეს არ ყოფილა დამოუკიდებელიო, ჟურნალსაც დაგიხურავ და შენც საქართველოდან გაგასახლებო. შეძრწუნებული მოხუცი მოვიდა ჩემთან და შემომჩივლა თავისი მდგომარეობა" (კალისტრატეს არქივიN114ფ.3-5). საბოლოოდ ეგზარქოსი დამშვიდებულა, რადგან მოუხსენებიათ მისთვის, რომ წერილი ნაწილია ვრცელი თხზულებისა, რომელიც კრიტიკულად განუხილავთ ეგზარქოსის ყოფილ ორ დამსახურებულ პროფესორს ი.მალიშევსკისა და ა.ოლესნიცკის. საბოლოოდ, ხიფათს გადარჩენილა რედაქტორ-გამომცემელი, მთელი რისხვა კი ავტორზე ყოფილა გადატანილი „რა დროს ავტოკეფალიაზე ლაპარაკიაო". უნდა აღინიშნოს,რომ კალისტრატე ცინცაძის მეცნიერულად დამუშავებული წერილი „Автокефалия Грузинскои церкви" 1905 წელს წიგნად მაინც გამოვიდა.

XX საუკუნის დასაწყისში საეგზარქოსოს რეაქციულმა დამოკიდებულებამ, მოუსავლიანობამ, ახალი გადასახადების დაწესებამ დააჩქარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება, შემდეგში კი პროცესი ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნაში გადაიზარდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში გლეხთა მოძრაობამ უკიდურესად მწვავე ხასიათი მიიღო. მათ აუტანელ ყოფას კიდევ უფრო ამძიმებდა სამღვდელოებისთვის „დრამის" გამოსაღები გადასახადი. ყოველივეს დაერთო 1902-1903 წლის მოუსავლიანობა, რასაც მასიური შიმშილი და მარცვლეულის ფასის გაორმაგება მოჰყვა. 1902-1904 წლების აგრარულმა მოძრაობამ რე-

ვოლუციური ხასიათი შეიძინა და სოციალ-დემოკრატთა პროპაგანდის შედეგად გლეხობამ პროტესტი გამოუცხადა საეგზარქოსოს ღონისძიებებს (პავლიაშვილი; 2008:178-179).

რუსული ხელისუფლება ყველა ამ ფაქტის საქმის კურსში იყო. ამის გამო, 1903 წელს რუსეთის იმპერატორმა დააკმაყოფილა სინოდის ობერ-პროკურორის თხოვნა და საქართველოს სამღვდელოებას დამატებით 500 000 მანეთი გამოუყო (ხუციშვილი; 1972:35), თუმცა, აღნიშნული ქმედება ვერ ჩააცხრობდა იმ სიძულვილს, რასაც საეგზარქოსო ხელისუფლება თესავდა ქართველ ერში, პირიქით, ქართველმა სამღვდელოებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა დაისახა უპირველეს მიზნად. პროცესები დააჩქარა რუსეთში მიმდინარე მოვლენებმა. 1905 წლის 9 იანვარს, ე. წ. „სისხლიანი კვირა“, როდესაც პეტერბურგში მთავრობის ბრძანებით დახვრიტეს მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია, ნიკოლოზ II-ის ბრძანების საფუძველზე. 1905 წლის 18 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. ბულგინმა სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს უფლება მისცა, გულახდილად გამოეთქვა აზრი, თუ რა ღონისძიებას შეეძლო ხელი შეეწყო ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (საითიძე,2003:447).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას მხარს უჭერდა როგორც ქართველი სამღვდელოების უდიდესი უმრავლესობა, ასევე ქართველი ინტელიგენცია ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. ქართველი ავტოკეფალისტები ჯერ კიდევ 1905 წლის მარტის თვეში შეკრებილან და პირველი პეტიცია გაუგზავნიათ რუსეთის ხელისუფლებისადმი. მეორე პეტიცია გაუგზავნიათ მაისის თვეში. პეტიციებში გაანალიზებული ყოფილა საქართველოს ეკლესიაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის მიზეზები. სამღვდელოება მოითხოვდა სასკოლო რეფორმას, სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლებას,მთავრობის

პოლიტიკის სამსხურისა და ყოველგვარი სამოხელეო და საკანცელარიო მოვალეობისაგან გათავისუფლებას. ქართველი სამღვდელოება ავტოკეფალიასთან ერთად სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის დემოკრატიული მოთხოვნითაც გამოდიოდა. ამასთან ერთად მოითხოვდა ჩამორთმეული საეკლესიო მამულების დაბრუნებას (ჯაფარიძე; 2003:11).

1904-1905 წლებში გარკვეული უარყოფითი როლი ითამაშა რუსეთ-იაპონიის ომით შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა. საეგზარქოსო ხელისუფლება სისტემატიურად აგზავნიდა სანკტ-პეტერბურგში პოლიტიკურად სანდო სასულიერო პირთა სიას, რომლის ძალითაც ქართველი სამღვდელოება იგზავნებოდა ფრონტზე. სამღვდელოებას ცალკე ტვირთად დააწვა ომის გამო საეკლესიო თანხების სარეზერვო ფონდში გადარიცხვა. ყოველ დღესასწაულსა და ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ უნდა შეგროვილიყო შემოწირულობები (პავლიაშვილი; 2008:191-193). ომის მძიმე ტვირთი ძალზე მძიმე იყო სამღვდელოებისა და ისედაც გაღარიბებული მოსახლეობისათვის, ამასთანავე, რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა ქართველი ერისთვის სრულიად უსარგებლო და მიუღებელი იყო.

1905 წლის დასაწყისშივე მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის მითითებით გენერალმა გრიაზნოვმა დაარსა შავრაზმული ორგანიზაცია „პატრიოტთა საზოგადოება“, მაისის თვეში ჩამოყალიბდა ახალი შავრაზმული ორგანიზაცია „წესრიგის მომხრეთა პარტია“, რომლის დამაარსებელები იყვნენ სინოდალური კანტორის წევრი დეკანოზი ი. ვოსტორგოვი და თბილისის მეორე სამისიონერო ეკლესიის წინამძღვარი ს. გოროდცევი (იქვე:202). დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი იყო ერთ-ერთი აქტიური მოწინააღმდეგე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი გერმოგენი მას ასე ახასიათებ-

და: „მას აქვს დიდი ტალანტი არარსებულის გამოგონებისა, ასევე უნარი ხელისუფლებისათვის ხოტბის შესხმისა, მაშინაც კი, როცა იგი საამისოდ არაფერს აკეთებს, ქართველთა მოძულეა და პოლიტიკური მიზნების გამო აუცილებელია მისი შენარჩუნება (კვიციანი, 2005:15).

ქართველი სამღვდელოების მიმართ უარყოფითმა და აგრესიულმა დამოკიდებულებამ, შეიძლება ითქვას, უფრო დააჩქარა მოვლენები. 1905 წლის 31 მაისს ხელისუფლების ბრძანებით სასტიკად დაარბიეს ქართველი სამღვდელოების ყრილობა. კრების მოწვევის მთავარი ორგანიზატორი იყო დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა 26-დან 30 მაისამდე. არცერთი ქართველი მღვდლისათვის თბილისში გასამგზავრებელი ბილეთი არ მიეცათ. თბილისის პოლიციას კი ებრძანა 27-29 მაისს თბილისში ჩამოსული მღვდლების დაპატიმრება (ვაშაყმაძე 2010:7). სამღვდელოების ყრილობამ, რომელიც გაიმართა 28-29 მაისს, მიიღო პეტიცია, რომლის შინაარსი ასეთი იყო: „უძველესი დროიდან მოკიდებული XIX საუკუნემდე ივერიის ავტოკეფალური ეკლესია არასდროს ყოფილა ქვრივოხერი... რუსეთის მთავრობამ სინოდთან ერთად. მიუხედავად მე-3 მსოფლიო კრების მე-8 წესისა და მე-4 მსოფლიო კრების 39-ე წესისა, ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა და საქართველოში დაიწყო ეგზარქოსების დანიშვნა. ვინაიდან ივერიის ეკლესია კანონიკურად გახლავთ ავტოკეფალური, ვინაიდან არ ყოფილა კრების დადგენილება მისი ავტოკეფალიის გაუქმებისა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო“. ქართველი სამღვდელოება ითხოვს: 1) ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათალიკოსითურთ აღდგეს მცხეთა-ივერიის კათალიკოსატი ადრინდელ საზაღვრებში. 2) აღდგეს წესი, როცა ღვთისმსახურთა განთავისუფლებულ ადგილებს არჩევნების შედეგად იკავებენ. 3) კათალიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი (თავმჯდომარე კათა-

ლიკოსი), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან საბჭოები. ქართველი სამღვდელოება პეტიციაში ითხოვდა, აგრეთვე, ივერიის ეკლესიას დაბრუნებოდა სახელმწიფოსათვის გადაცემული ყველა მამული (ჯაფარიძე, 2003, III:56). პეტიციას ხელი მოაწერა 412 სასულიერო პირმა. პეტიციის ასლები გაეგზავნათ სინოდის ობერ-პროკურორს, კავკავსიის მეფისნაცვალს და სინოდის თავმჯდომარე მიტროპოლიტ ანტონს, 31 მაისს საღამოს 7 საათისთვის, როცა ყრილობას უნდა დაეწყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის აღდგენის საკითხის განხილვა, სასულიერო სემინარიის რექტორის ბინაში გამოჩნდა პოლიცია უბნის პრისტავ ნაბიბეკოვის უფროსობით, პოლიციას მალე შეემატნენ კაზაკები, რომლებიც სხდომის დარბაზში ხმაურის საბაბით შეიჭრნენ სემინარიის შენობაში და დაიწყეს ყრილობის დელეგატთა უმოწყალო ცემა, განურჩევლად ერისა და ბერისა. კაზაკები მღვდლებს უყვიროდნენ: „თქვენ უნდა ლოცულობდეთ და არა ბუნტობდეთ". ყრილობის დარბევა ინსპირირებული იყო მშიშარა და პირწავარდნილი შოვინისტ რექტორ ნიკანდრის მიერ, რომლის უკან ეგზარქოსი და რუსი სამღვდელოება იდგნენ (როგავა, 1997:99).

ქართველმა თავადაზნაურობამ 1905 წლის 31 მაისს დარბეულ სამღვდელოებას სოლიდაროზა გამოუცხადა და მწვავე პროტესტი გამოხატა ამ ფაქტის მიმართ. თბილისის გუბერნიის მარშალის მოადგილის ჯამბაკურ ორბელიანის მეთაურობით დეპუტაციამ მოითხოვა ამ საქმის გამოძიება: „მნელია, გამოძიებით ახსნას კაცმა დაწვრილებით იმისთანა შემთხვევა, როგორიც, შეხვდა ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებას თბილისში, მაგრამ რაც აღმოაჩინა გამოძიებამ, ისიც საკმაოა, რომ ჩვენის მხრით გულითადი მწუხარება და თანაგრძნობა გამოუცხადოთ ქართლ-კახეთის სამღვდელოებას იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მას მიაყენეს 31 მაისს" (ბურდული; 2010:16). ასე სასტიკად გაუსწორდნენ ქართველ სამღვდელოებას, რომლებიც თავიანთი ეკლესიის კანონი-

ერი უფლებების აღდგენისთვის იბრძოდნენ, რუსული მმართველობა კი მათრახების ცემით დაუპირისპირდა. თბილისის საქალაქო დუმამ 2 ივნისს თავის სხდომაზე სპეციალურად განიხილა ეს საკითხი და სათანადო რეზოლუცია მიიღო.

ექვთიმე თაყაიშვილი ასე აღწერს იმ დროის ვითარებას: „ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა, თან უნდა წაგვეღო ბაირაღები და პლაკატები წარწერებით: „აღგვიდგინეთ ავტოკეფალია და სხვა. წამოიჭრა საკითხი: ვინ უნდა გაძღოლოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას? ილიამ გვითხრა: „თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო!“ (ჯაფარიძე;2009:1108). 1905 წლის 7 ოქტომბერს შედგა თავადაზნაურთა წინამძღვრების კრება, სადაც აღიძრა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. 11 ოქტომბერს კი მეფისნაცვალს წარუდგა დელეგაცია, რომელიც შედგებოდა თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურთა მარშლებისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული წევრებისაგან. თავადმა ვ. მიქელაძემ, კერძოდ, განუცხადა მეფისნაცვალს: „საქართველოს ეკლესიას აღარა ჰყავს მეთაური, აღარ აქვს კანონიერი ავტოკეფალია... მას უნდა დაუბრუნდეს ხალხის მიერ არჩეული კათალიკოსი... განზრახული ავტონომია კავკასიის ეკლესიისა მიტროპოლიტის მეთაურობით ვერ დააკმაყოფილებს ქართველ ერს... ამ ცვლილებით მოისპობა საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი არსებობის უკანასკნელი კვალიც კი“ (ჯაფარიძე; 2003:83). ქართველთა დელეგაციაში ილია ჭავჭავაძეც იმყოფებოდა, რომლისთვისაც ვორონცოვ-დაშკოვს განუცხადებია: „დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც და მაშინ დაგიჭერთ მხარსო“. ილიას გადმოცემით, მეფისნაცვალი იმ აზრს ეჭიდებოდა, რომ „ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთო, განა

გაგონილა ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდეს“. ამის გამგონე ექვთიმე თაყაიშვილს ილიასათვის უთქვამს: „ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტიის იმპერია ერთი სამართლმადიდებლო სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა“ (ბუბულაშვილი; 2003:34).

1905 წელს ავტოკეფალიის საკითხზე წაუკითხავს ილიას შემდეგი მოხსენება: „თქვენო ბრწყინვალებავ, რუსეთის ფარგლებში ყველა არარუს (ინოროდეცს) სარწმუნოებრივი მმართველობის საქმეში საკუთარი დამოუკიდებლობა აქვს. სომხები, მუსულმანები, ებრაელები და ა. შ. თავიანთ აღმსარებლობის მმართველობაში თვისთავადნი არიან. უცნაურია, რომ ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები, თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო... ამგვარი უგნური ვითარების შემდგომი შენარჩუნება, ჩვენი აზრით, მიჩნეული უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ შეცდომად. ამიტომაც განსახილველად წარმოგიდგენთ შუამდგომლობას ქართული ეკლესიისათვის, მის წიაღში უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიის დაბრუნების შესახებ“ (იქვე:36). თერგდალეულთა ლიდერი ილია ჭავჭავაძე, მისი თანამებრძოლნი ი. გოგებაშვილი და აკ. წერეთელი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. ისინი ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლას ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ. იმედოვნებდნენ, რომ ავტოკეფალიის აღდგენა ერის წინსვლის, სარწმუნოების აღორძინებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საფუძველი შეიქნებოდა (ჯაფარიძე, 2003:15). 1905 წლის 16 ნოემბერს ქართველმა მღვდელმთავრებმა ლეონიდემ (ოქროპირიძემ), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილმა), გორის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ოქროპირიძე), ალავერდის

ეპისკოპოსმა პეტრემ (კენჭოშვილი) საქართველოს ეგზარქოსს მიმართვა გაუგზავნეს, სადაც ითხოვდნენ უწმინდესი სინოდისაგან ქართველი სამღვდელოების სამართლიანი მოთხოვნების დაუყოვნებლივ აღსრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობის დაუკითხავად კათოლიკოსის ამორჩევით იმუქრებოდნენ (პავლიაშვილი, 2008:210).

ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა 1905 წლის დეკემბერში. 18 დეკემბრამდე თბილისში მიმდინარეობდა სრულად საქართველოს ეკლესიის სამღვდელოების დელეგატთა კრება. კრებამ მიიღო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი: „საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი“. აღნიშნული პროექტი იყო საფუძველი 1917 წლის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა. „რეორგანიზაციის პროექტში წარმოდგენილი იყო საქართველოს ეკლესიის ძირითადი პრინციპები, წეს-წყობილებისა და მართვა-გამგეობის წესები. მეხუთე პარაგრაფით განსაზღვრული იყო საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული დაყოფა. §6 „საქართველოს ეკლესიის ტერიტორიას შეადგენს ქართველის ტომით დასახლებული ადგილები ეხლანდელის ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისა, ზაქათალისა, სოხუმისა, ბათუმისა და ყარსის ოლქთა საზღვრებში... §7. საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებას შეადგენენ: ა) სრულიად საქართველოს კათალიკოს მამამთავარი, რომელიც ამავე დროს არის მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა, ბ) სამი ეპისკოპოსი, გ) მღვდელნი, დ) დიაკვნები და ე) მედავითნეები. §9. მთელ საქართველოს ეკლესიას თავში უდგას: ა) სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება და ბ) საკათალიკოსო საბჭო კათალიკოსის თავმჯდომარეობით, ეპარქიას მოთავეობს: ა) საეპარქიო კრება და ბ) საეპარქიო საბჭო ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით... §13 კათალიკოსს ირჩევენ ყველა ქართველი ეპისკოპოსები, წარმომადგენელნი სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდელო-

ებისა რიცხვით 30, რომელთაგან 15 ქართლის ეპარქიისაა, რადგან კათალიკოსი ამ ეპარქიისათვის მთავარ ეპისკოპოსადაც ითვლება, ხოლო ხუთ-ხუთი დანარჩენი სამი ეპარქიიდან), და მორწმუნეთა დელეგატები რიცხვით 60 (ცამეტ-ცამეტი ოთხივე ეპარქიიდან და 8 ქალ. თბილისიდან. როცა კათალიკოსის არჩევა გათავდება, კრება წარუდგენს დასამტკიცებლად ხელმწიფეს და დამტკიცებისა და კურთხევის შემდეგ აცნობებს ყველა ავტოკეფალურ ეკლესიებს (ვაშაყმაძე; 2010:12-14). პროექტის პირველი თავის მესამე მუხლი შეეხებოდა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობას: საქართველოს ეკლესიას, როგორც ისტორიულად ასევე კანონიკურად, აქვს სრული უფლება ავტოკეფალიაზე, ამასთანავე აქვს უფლება დამოუკიდებელი იყოს სხვა ეკლესიებისაგან- (სცსა.ფ.488.ს 26389).

პროექტში ხაზგასმით პირველ თავშივე იყო აღნიშნული, რომ საქართველოს ეკლესიას ისტორიულ-კანონიკურ საფუძველზე შენარჩუნებული ჰქონოდა ავტოკეფალიის უმთავრესი ღირსება-დამოუკიდებლობა სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან მიმართებაში.რეორგანიზაციის პროექტი შედგებოდა 26 პარაგრაფისგან, რომლებშიც განსაზღვრული იყო საეპარქიო საბჭოს, ეპისკოპოსის, საოლქო საძმო კრების, საოლქო საძმო საბჭოს, სამრევლო საბჭოს, სამრევლო კრების და კრებულის წევრთა უფლება მოვალეობანი და არჩევის წესები.

1905 წლის 15 ნოემბერს დეკანოზი დავით ღამბაშიძე პეტერბურგიდან იწერებოდა: „აქ როგორც ხმა დადის, მიზეზად უარის ყოფისა ავტოკეფალიაზე, ასახელებენ ხარჯს. ამბობენ, რომ საქართველოს ეკლესიის შენახვა წელიწადში 400 000 მანეთად გვიჯდება და თუ ავტოკეფალია მივანიჭეთ, იმ შემთხვევაში ხარჯს ჩვენ აღარ მივცემთო, მაგრამ, ჩვენის აზრით, ის საეკლესიო მამულები, რომელიც მთავობამ ჩამოართვა, ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს. თუნდ რომ არც ეყოს, თავისუფალი მაინც იქმნება ჩვენი ეკლესია

იმ ბორკილებისაგან, რომლებითაც იგი შეზღუდულია, ჩვენ საქართველოს გამოყოფას კი არ ვთხოულობთ რუსეთიდან, არამედ ავტონომიურ მმართველობას, კათალიკოსის დანიშვნას, რომელსაც მოკლებული ვართ წინააღმდეგ მოციქულების კანონისა“ (საქ. ეკლ. ისტორია XX- XXI ს-ბი, 2007:145). ძალზე უსამართლო იყო რუსეთის მესვეურთა მხრიდან, დამოკიდებულება ქართველი ერის კანონიერ მოთხოვნაზე, რადგან 400 000 მანეთი, რომელიც იხარჯებოდა საქართველოს ეკლესიაზე რუსეთის ხაზინიდან, ამ შემოსავალს ქართველი ერი ქმნიდა და შესაბამისად ჩვენი ერის შექმნილი შემოსავალი იხარჯებოდა ქართულ ეკლესიაზე. ამასთანავე, სწორად შენიშნავდა დეკანოზი დავით ღამბაშიძე, თუკი ეკლესიას თავისი კუთვნილი მამულები დაუბრუნდებოდა, დამოუკიდებლად არსებობა აღარ გაუჭირდებოდა.

ამ პერიოდში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად ქართველი საზოგადოება ითხოვდა საქართველოს ავტონომიას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1905 წლის 1 აპრილს თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ ილიას აქტიური მონაწილეობით განიხილა საქართველოს ავტონომიის საკითხი. კრებამ მიმართა იმპერატორს და ითხოვა მიენიჭებინა საქართველოსთვის „უფლება საკუთარი კანონებით მართვა-გამგეობისა“ (ჯაფარიძე; 2003:89). ქართველმა ინტელიგენციამ 1905 წლის 24 სექტემბერს ილიასა და სხვათა ხელმოწერებით ნიკო ნიკოლაძეს ფოთში გაუგზავნა წერილი, რომელშიც თხოვდნენ, ჩამოსულიყო თბილისში, რათა შეერთებოდა ქართულ დეპუტაციას მეფისნაცვალთან ვიზიტის დროს. იმავე წლის 11 ოქტომბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიიღო საქართველოს დეპუტაცია ავტოკეფალიის საკითხის განსახილველად ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით (გიორგაძე, გურგენიძე; 1987:141). 1905 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში შედგა სამღვდელოების ყრილობა რიყის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში. კრებას დასწრებია ილია

ჭავჭავაძე, რომელსაც ავადმყოფობის გამო ექიმისგან ლაპარაკი აკრძალული ჰქონდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კავკასიის მეფისნაცვალი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ვერ გადაწყვეტდა. ამის გამო ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში ყოფნის დროს გიორგი ჟურულთან ერთად შეხვედრია უწმიდესი სინოდის ობერპროკურორ ა.დ. ობოლენსკის, რომელსაც, როგორც კალისტრატე ცინცაძე გადმოგვცემს, დაწვრილებით განუმარტა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში. ღვთისმსახურების სლავურ ენაზე დაწესებას და სასწავლო პროცესის რუსულ ენაზე წარმართვას, ილიას დასკვნით, სარწმუნოებისა და ზნეობის დაცემა მოჰყვა (ბუბულაშვილი, 2003:38). დეკემბრის თვეში ილია ჭავჭავაძე ალექსანდრე ხახანაშვილს წერდა: „მთელი ორი საათი ვილაპარაკეთ ჩვენი ავტოკეფალიისათვის... როგორც ეტყობა ობოლენსკი არ თანაუგრძნობდა საქართველოს ავტოკეფალიას, მაინცდამაინც ის დასკვნა გამოიყვანა ობოლენსკიმ, რომ ჯერ სანამ სახელმწიფოს „დუმა“ შედგება და სამღვდელოების კრება საერთოდ რუსეთის ეკლესიის გამო გაიმართება, იმ დრომდე ზოგიერთი ცვლილება მოხდებაო (იქვე:39).

სინოდის ობერ-პროკურორსა და ილია ჭავჭავაძეს შორის საუბარი ყოფილა საქართველოს ეგზარქოსად ერთ-ერთი ქართველი მღვდელმთავრის დანიშვნის შესახებ. ამასვე მოწმობს 1905 წლის 31 ნოემბრით დათარიღებული კირიონის წერილი მღვდელ ს. ჩიჯავაძისადმი, ეპისკოპოსი კირიონი შეხვედრია მიტროპოლიტ ფლაბიანეს და მისთვის განუცხადებია: „რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია უნდა დაუბრუნდეს მეთქი. იმან სთქვა თუ ეგზარქოსად ქართველს დაუნიშნავენ, ქართველები უნდა დაშოშმინდნენ და დასჯერდნენო. პროფესორი სოკოლოვი ვნახე, რომელსაც მოუხსენებია ანტონ მიტროპოლიტისათვის, რომ უტყუ-

არი და შეურყეველი საბუთებია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისაო"(კირიონის არქივი N240.ფ.42). როგორც ჩანს, იმ ეტაპზე რუსულ წრეებში მართლაც ტრიალებდა აზრი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეგზარქოსად ქართველი პიროვნება უნდა დაენიშნათ და ქართველები ამას დასჯერებოდნენ, თუმცა რუსეთის მესვეურები საბოლოოდ ამ დათმობაზეც არ წავიდნენ. 1906 წლის 2 იანვრის წერილიდან, რომელიც ეპისკოპოს კირიონს გაუგზავნია პეტერბურგიდან საქართველოში ს. ჩიჯავაძისადმი, ირკვევა, რომ მღვდელი ალექსი გიორგაძე პეტერბურგში შეხვედრია პროფესორ გლუბოკოვსკის კირიონის დავალებით. პროფესორს აღუნიშნავს, რომ: „აქამდე კირიონს თვლიდნენ დიდ მავნე კაცად, თითქმის პოლიტიკურ დამნაშავედ. ეს ხელმწიფესაც ჰქონდა ჩაგონებული. ახლა სხვა აზრი ტრიალებს კირიონზედაო ყველა წრეებში, ახლა ყველა დარწმუნებულია, რომ ის განვითარებული კაცია და ერთადერთი კანდიდატია საეგზარხოსო კათედრისაო" (საქ. სამოც. მართლმ. ეკლესიის ავტოკეფალიისათვის; 2005:9). რუსულ წრეებშიც კირიონ ეპისკოპოსის საქართველოს ეგზარქოსად დანიშვნაზე საუბარიც კი ერთგვარი წარმატება იყო, თუმცა საბოლოო ჯამში ამ საქმეს აღსრულება არ ეწერა, რადგან ეგზარქოსის თანამდებობაზე განათლებული ქართველი მღვდელმთავრის დანიშვნა იმპერიის მესვეურთა გეგმებში არ შედიოდა.

იმ პერიოდში რუსმა მოღვაწეებმა დაიწყეს ტენდენციური ხასიათის სტატიების გამოქვეყნება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. მათ შორის გვინდა გამოვყოთ არქიმანდრიტ ნიკანდრის სტატია, რომლის შინაარსი აბსურდულობამდეც კი მიდის. არქიმანდრიტი ნიკანდრი იმოწმებს პლატონ იოსელიანის ნაშრომს, რომელშიც თითქოს ავტორს ვერ გადაუწყვეტია აღიაროს თუარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია კანონიკურად, რადგან მან ამის შესახებ მხოლოდ ბალსამონის ცნობა ნახა. იგი ასევე იმოწმებს მიხაელ ბრეკსა და ანტიოქიის პატრიარქ მაკა-

რის ცნობებს საქართველოს ეკლესიის შესახებ. „პატრიარქი მაკარი საქართველოში მოქმედებდა, როგორც მისდამი დაქვემდებარებულ ეპარქიებში: განაჩენდა სამართალს სამღვდელოებაში, უწესებდა მათ სასჯელებს, აძევებდა და კვეთდა ეპისკოპოსებს ეკლესიიდან, მათ ნაცვლად ნიშნავდა ახლებს, ხალხი, დიდებულები და სამღვდელოება პატრიარქის ამგვარ ქმედებას სამართლიანად მიიჩნევდა...ანტიოქიის პატრიარქს საქართველოში ჰყოლია ასევე თავისი მოადგილე კუკოსინის მიტროპოლიტი, რომელიც იწოდებოდა ქართლისა და კახეთის არქიმანდრიტი სრულიად საქართველოსი...ქართველ ეპისკოპოსებს ასევე არ ჰქონდათ უფლება ხელი დაესხათ ახლად გამორჩეულ კათალიკოსზე, ზემოთხსენებული არქიმანდრიტი ნიკიფორე კი არჩეულ იქნა გარდაცვლილი კათალიკოსის ზაქარიას ადგილზე, რადგან არ ჰქონდა შესაძლებლობა ანტიოქიაში კურთხევისა (Духов. Вестник. 1905:16-18).

რუსი არქიმანდრიტის ნააზრევი, სამეცნიერო ღირებულებებს რომ სრულიად მოკლებულია, ვფიქრობთ ამაზე საუბარი ზედმეტია. ბოლოს იგი „აგვრგვინებს“ თავის სტატიას, თითქოს; „გადაწყვეტილად არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რუსეთის სინოდმა დაიქვემდებარა საქართველოს ეკლესია, რადგან ის თავადაც ღებულობდა მონაწილეობას ამ საქმეში, საქართველოს ეკლესიამ თავი არ უნდა მიიჩნიიოს შეურაცხყოფილად რუსეთის სინოდზე დაქვემდებარების გამო. განა სულ ერთი არ არის, რომელს დაექვემდებარები: ანტიოქიის პატრიარქს, თუ რუსეთის სინოდს? განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წმინდა სინოდთან შეერთება უფრო მოხერხებულია, ვიდრე ანტიოქიის პატრიარქზე დაქვემდებარება. რაც შეეხება ტიტულს „კათალიკოსი“ და „მთავარეპისკოპოსი“, როგორც ახლა იწოდება საქართველოს ეკლესიის პირველიერარქი, ეს ერთი და იგივეა“(იქვე:20). მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერულ კრიტიკას, არქიმანდრიტ ნიკანდრის სტატია ვერ უძლებს, მაინც აუცილებელია მასზე გარკვეული კომენტარი გავაკე-

თოთ. რუს სასულიერო პირს იმავე წელს Духовныи вестник-ის № 21-22 გამოეხმაურა ქართველი მეცნიერი სერგი გორგაძე. იგი საუბრობს ბალსამონის ცნობის მნიშვნელობაზე. პირველი, როგორც ისტორული თვალსაზრისი, რადგან მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრები ბალსამონი, ზუსტად, კეთილსინდისიერად კონსტატირებას უკეთებს ფაქტს, რომ მის პერიოდში არსებობდა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია. მეორე, კანონიკური თვალსაზრისით, რადგან ბალსამონი ცნობილია, როგორც კანონიკის სპეციალისტი საეკლესიო კანონების გარჩევისა, ამასთანავე ის თვითონ იყო ანტიოქიის პატრიარქი (1186-1203), პირადად დაინტერესებული, რათა დაექვემდებარებინა ანტიოქიის ეკლესიისათვის საქართველოს ეკლესია, მიუხედავად ამისა, იგი ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიას აყენებს კვიპროსისა და ბულგარეთის ეკლესიების გვერდით. ამ ფაქტს მიიჩნევს კანონიკურად და ჩვეულებრივად (Горадзе.1905:43).

საქართველოში ანტიოქიის პატრიარქის მოადგილეს შესახებ, ს.გორგაძე აღნიშნავდა, რომ ბერძენი არქიმანდრიტის ყოფნა საქართველოში ნებადართული იყო ქართველი მეფეების მიერ, რათა მოლაპარაკებოდნენ ბერძენ მეფეებსა და მიეღოთ მონაწილეობა მართლმადიდებელი სარწმუნოების საკითხების განხილვისას. შევნიშნავთ, რომ მიტროპოლიტ ნიკიფორეს საქართველოს კათალიკოსად არჩევის შესახებ ცნობა კი ალბათ ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება, რადგან ასეთ შემთხვევას ჩვენი ეკლესიის ისტორიაში ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება, არქიმანდრიტ ნიკანდრის განცხადებას, თითქოს საქართველოს ეკლესიამ თავად მიიღო მონაწილეობა, რათა რუსეთის სინოდს დაქვემდებარებოდა და ამის გამო თავს შეურაცყოფილად არ უნდა გრძნობდეს, უბრალოდ, ამგვარი განცხადება რეალობის აშკარა დამახინჯებაა და სასულიერო პირისათვის შეუფერებელი საქციელი, მით უფრო როცა მისთვის საეკლესიო კანონიკა არაფერს წარმოადგენს, რო-

ცა საუბრობს ივერიის ავტოკეფალურ ეკლესიაზე, რომლისთვისაც სულერთი უნდა იყოს ვის დაექვემდებარება, ანტიოქიისა თუ რუსეთის ეკლესიას. ამასთანავე რუს არქიმანდრიტს ისიც ვერ გაურჩევია, რომ „მთავარეპისკოპოსი“ და „კათალიკოსი“ სხვადასხვა მცნებებია და, რომ საქართველოს ეკლესიის მამამთავარი, როგორც ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებდა.

1905 წელს რუსეთის სასულიერო წოდებაში წარმოიშვა სურვილი, რომ აღდგენილიყო პატრიარქობის ინსტიტუტი, რომელიც იქამდე ორასი წლით ადრე გააუქმა პეტრე პირველის მმართველობამ. იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ და წმიდა სინოდმა გადაწყვიტეს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხიც ამ კრებას განეხილა. საკითხი საქართველოში აქტუალურად იდგა. ქართველ სამღვდელოებას 1906 წლის 14 იანვარს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება, მაგრამ ეს საქმე გადაიდო, რათა დალოდებოდნენ სინოდის გადაწყვეტილებას (ჯაფარიძე; 2003:93). 17-19 იანვარს პეტერბურგში შედგა სინოდის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე. ეპისკოპოსი კირიონი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აღნიშნულ კრებას: „ამისთანა დიდი და პასუხსაგები საქმის გაძღოლა სინოდის წინ ჩვენ ორთა გვხვდა და დაგვაწვა კისერზედ. ამგვარი საქმე თითქმის ათასი წლის წინათ იკისრა და დააგვირგვინა კიდეც დიდებულმა საქართველოს შვილმა გიორგი მთაწმინდელმა“ (ჯვარი ვაზისა. 1990.№8:58). სამწუხაროდ, რუსეთის სინოდმა არ ირწმუნა ქართველი მღვდელმთავრების, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გააუმჯობესებდა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას. 19 იანვრის თათბირი ეძღვნებოდა „საქართველოს საეგზარქოსოს“. საუბრის დროს ეგზარქოსმა განაცხადა: „ნამდვილად გავიგე, რომ ავტოკეფალიის ქვეშ იფარება ეროვნული ავტონომია“.

ამის შესახებ, 1907 წელს გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს ატყობინებდა: „ქართული სეპარატიზმი, როგორც ასეთი, არსებობს, რაც გამოიხატება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის წამოწევის მოთხოვნით. ავტოკეფალიის მოთხოვნა არ არის სიღრმისეული, ანუ ის არის რამდენიმე უმაღლესი იერარქის სურვილი, უბრალო ხალხი კი მასში მონაწილეობას არ ღებულობს" (Воронцов-Дашкова. 1907:22).

ქართველეთაგან ავტოკეფალიის მოთხოვნის წინააღმდეგ რუსეთის ეკლესიის მხრიდან შემუშავდა სამი განსხვავებული პროექტი. პირველი პროექტით 1906 წლის იანვარში დაიგეგმა საქართველოს საეგზარქოსოსა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გაუქმება. საქართველოს საეგზარქოსოს ნაცვლად უნდა შექმნილიყო დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის (მასში ზაქათალის ოლქიც შევიდოდა). იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის ეპარქიები. საქართველოს საეგზარქოსოში შემავალი ბაქოს, ერევნის, ელიზავეტპოლისა და ყარსის ეპარქიებისაგან უნდა ჩამოყალიბებულიყო ერთი ასევე დამოუკიდებელი ეპარქია. თითოეულ ეპარქიას უნდა ჰყოლოდა საკუთარი მმართველობა პრესვიტერული საბჭოების სახით, რომელიც სინოდს დაექვემდებარებოდა (ქოქრაშვილი, 2008:294). აღნიშნული ქმედება ითვალისწინებდა, რომ მთელი საქართველო გადაქცეულიყო რუსეთის ეკლესიის ერთ რიგით ეპარქიად, რადგან მათთვის მიუღებელი იყო საქართველოს საეგზარქოსო არსებული ფორმით. რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები გააუქმებდნენ არა მარტო საქართველოს საეგზარქოსოს, არამედ მათთვის ნებისმიერი ქმედება გამართლებული იყო რუსეთის ეკლესიის საკეთილდღეოდ. ამის დასტურია 1906 წლის 17 იანვრის სხდომა, რომელიც პეტერბურგში ჩატარდა. როგორც ავღნიშნეთ, ამ სხდომას ესწრებოდნენ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე, რუსეთის ეკლესიის მხრიდან კი-მიტროპოლიტი ანტონი, ეგზარქოსი ნიკოლოზი, მიტ-

როპოლიტი ფლაბიანე, ობერ-პროკურორი ალექსი დიმიტრის ძე ობოლენსკი და სხვები.

ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ეპისკოპოს კირიონის წერილები მღვდელ ს. ჩიჯავაძისადმი. კირიონი 17 იანვრის სხდომის შესახებ აღნიშნავს: „ობერ-პროკურორმა განაცხადა- საჭირო არ არის ავტოკეფალია, ჩვენ მოგცემთ ისეთ კაცს, რომელსაც ყველა ეს თვისება ექნებაო“ ამაზე კირიონს უპასუხია- „მაგ სისტემის უვარგისობა ასი წლის განმავლობაში საკმარისად დამტკიცდა-მეთქი. დღეს რომ კარგი დანიშნოთ, ხვალ შეიძლება უვარგისი მოჰყვეს, თქვენ კი არ უნდა დანიშნოთ, ხალხმა უნდა აირჩიოს ეკლესიის თავი, იგი ხალხის შვილი უნდა იყოს, ხალხის ნდობით აღჭურვილი, ხალხისთვის ნამდვილი კეთილი მზრუნველი მამა და არა მამინაცვალი“. ეპისკოპოს ლეონიდეს კი კითხვაზე მიტროპოლიტმა ფლაბიანემ შემდეგი პასუხი გასცა: „მაშ, ღმერთმა რომ გაუმარჯოს რუსეთის იარაღს და აიღოთ კონსტანტინეპოლი, იერუსალიმი, ანტიოქია და სხვა... თქვენ განა მოსპობთ იქ საპატრიარქოებს?!“ მიტროპოლიტმა ფლაბიანემ დიდის აღტაცებით წამოიძახა: „უეჭველად, უეჭველად, საპატრიარქოებს გავაუქმებდითო“!!! (კირიონის არქივი.N.256:ფ. 8-15).

ვფიქრობთ, მიტროპოლიტ ფლაბიანეს პასუხს კომენტარი არ სჭირდება, ოსმალეთის მაჰმადიანური მმართველობის პერიოდშიც კი ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოები აგრძელებდნენ არსებობას, თუმცა რუსი მიტროპოლიტის აზრით, თუკი ეს ტერიტორიები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდოდა, მაშინ უძველეს საპატრიარქოებს არსებობა უნდა შეწყვიტათ.1906 წლის 19 იანვარს პეტერბურგში გაიმართა „საქართველოს საეგზარქოსოსადმი მიძღვნილი“ მეორე თათბირი. ამ შეკრებაზე უნდოდათ მოეწვიათ „დიმიტრი ბალტიის ეპისკოპოსი“, რომელსაც კირიონი „რძენაწყენ დიმიტრის“ უწოდებდა. იგი უნდა ყოფილიყო საქართველოდან ხალხის მიერ გაძევებული

(ფოთიდან 1904 წელს), ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე, მოწინააღმდეგე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და მტერი ყოველივე ქართულისა (ჯაფარიძე, 2003:06). ეპისკოპოსი დიმიტრი სიტყვით გამოსულა რუსეთის სინოდის სხდომაზე, სადაც განუცხადებია: „დაიჭირეთ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე საქართველოში და ეკლესიის ავტოკეფალია არავის გაახსენდებაო". უღირსი მღვდელმთავარი 1905 წელს იძულებული გახდა, ჩოხაში გადაცმული გასცლოდა მისგანვე უარყოფილ სამშობლოს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის წინააღმდეგი იყო ეპისკოპოსი ექვთიმე ელიაშვილი, რომელსაც კირიონი ასე ახასიათებდა:„მელიაშვილი აქ არის და დაიარება ექსარხოსთან.ეს ისეთი ყაიდის კაცია, რომ სამოთხეშიც არ დასტოვებს თავის ვერაგობას"(ვარდოსანიძე,2010:73-76). ფრიად სამწუხაროა ქართველი მღვდელმთავრების ამგვარი დამოკიდებულება ავტოკეფალიის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით.

კრების გახსნამდე ეგზარქოსს ხმამაღლა განუცხადებია: „ქართველ სამღვდელოებას უკვე მიუმართავს ავტოკეფალიის თაობაზედ კონსტანტინეპოლის პატრიარქისათვის და, ამბობენ, მისგან თანხმობის პასუხი მიუღიაო". ეპისკოპოს კირიონს უთქვამს, რომ „კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოვაკიმე II ძალიან ბრძენი კაცია და მაგგვარი მიწერ-მოწერა რომ ნამდვილად ყოფილიყო, ის თავის პასუხს რუსის სინოდსაც აცნობებდა... ცხადია, რომ თქვენ ვიღაცას შეცდომაში შეუყვანიხართ" (საქ. სამოც. ეკლ. ავტოკეფ. 2005:37). ეპისკოპოს ლეონიდეს წაუკითხავს მოხსენება იმის შესახებ, „თუ როგორ დააქვეითა საქართველოს ეკლესია ეგზარქოსების მმართველობამ ერთი საუკუნის განმავლობაში, ამაზე ძლიერ აღელვებულა საქართველოს ეგზარქოსი ნიკოლოზ ნალიმოვი. დაწყებულა მწვავე ხასიათის კამათი ურთიერთის ეკლესიების შეურაცხმყოფელი. ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ ქართველების გულს ქრისტიანული სარწმუნოება არ გაჰკარებია, თუმცა კი

ხმლით ხელში იცავდნენ მას. ამის დასტურად მიაჩნდათ ის, რომ მათი აზრით, ქართველებს ეროვნებით ქართველი ცოტა წმინდანი ჰყავდათო“ (ჯაფარიძე, 2003, III:97).

ამასთან დაკავშირებით ეპისკოპოს კირიონს საუბარი ჰქონია მიტროპოლიტ ფლაბიანესთან, რომელსაც მისთვის ასტრახანის ეპისკოპოსობა შეუთავაზებია: „მე მტკიცე უარი ვუთხარი ასტრახანში გადასვლაზედ, ჰავა იქ ვერა ყოფილა კარგი, ფულის გულისთვის მე ჩემ დღეში არ მიმსახურია და იქ ვერ წავალ მეთქი. მერე მოვაგონე წინა დღის კრებაზედ ეგზარქოსისაგან წარმოთქმული სიტყვები, რომლებითაც უარჰყო მან ჩვენი ქართველი წმინდანები. პირადი შეურაცყოფა ადვილია განვაგრძე მე, ვაპატიებ კაცს, ხოლო ნაციონალურ წმინდანთა წმიდის შებღალვას კი არა“(კირიონის არქივი N 256 ფ.29-30).

სამწუხაროდ, რუსი იერარქების შეურაცხყოფას ქართველების მიმართ საზღვარი არ ჰქონდა. რუსი მღვდელმთავრები, ბერძნების მსგავსად, უსამართლოდ და ცრუ ბრალდებებით გამოირჩეოდნენ, თუმცა მსგავსი ქმედებებით არანაირი ჩრდილი ქართულ ეკლესიას არ ადგებოდა. იმავე საღამოს ქართველი მღვდელმთავრები შეხვედრიან მიტროპოლიტ ანტონს, მასთან საუბრისას კირიონს განუცხადებია: „კრებაზე საფუძვლიანი და არსებითი მსჯელობა არ არი, ერთი წევრი აუქმებს საპატრიარქოებს, მეორე ქართველ წმინდანებს უარყოფს მეთქი. ანტონმა გაიცინა და სთქვა: არ არის რასაკვირველია კარგი მაგისთანა დაუფიქრებელი და წინდაუხედავი მსჯელობაო. სინოდს არავითარი ეჭვი არა აქვს ავტოკეფალიაზედ,განაგრძო მან, არც წინააღმდეგია მისი, გარნა აღემატება ეს კითხვა მის კომპეტენციას და გადასცემს მას მომავალ საეკლესიო კრებასო“(იქვე.ფ.31). მისასალმებელია, რომ რუსულ ეკლესიაში მიტროპოლიტ ფლაბიანესა და ეგზარქოს ნიკოლოზის მსგავსად არ ფიქრობდა ყველა მღვდელმთავარი, ამასთანავე ისინი ვერ უარყოფდნენ საქართველოს ეკლესიის

ისტორიულ ავტოკეფალიას, თუმცა გადაწყვეტილების მიღება მათ კომპეტენციას აღემატებოდა. 26 იანვრის სხდომაზე სინოდის ობერ-პროკურორს განუცხადებია „რასაც თხოულობს ხალხი ავასრულებთო: ქართველ ეგზარქოსს დავნიშნავთ, ქართული ენის პროგრამას გავაფართოებთო, ეპისკოპოსებს სრული უფლება მიეცემათო, კანტორას გავაუქმებთო. მე ვუპასუხე: ამას სუყველას გამოაკეთებს ავტოკეფალია მეთქი"(იქვე:ფ.34).

შევნიშნავთ, რომ ობერ-პროკურორის არცერთი დანაპირები არ შესრულებულა და პირიქით, რუსეთის სინოდმა სამომავლოდ საეგზარქოსოს გაუქმება და კავკასიის სამიტროპოლიტოდ გადაკეთება გადაწყვიტა, თუმცა მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. 1906 წლის 27 თებერვალს კირიონი შემდეგი შინაარსის წერილს წერს ს.ჩიჯავაძეს: „ძალიან გაგვიჭირდა საქმე, ეხლა აქ გვირჩიეს მანდიდან დავაჩქარებინოთ საქმე, თორემ აქ როგორღაც ყურებს არ იბერტყავენ. უნდა შეიკრიბოთ, მოიწვიოთ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, გ. დიასამიძე და სხვა და გააცნოთ აქაური საქმის მდგომარეობა.შეადგინოთ დეპუტაცია ვორონცოვ -დაშკოვთან და სთხოვოთ მას საქართველოს ბედკრულ ეკლესიას უშველოს რამე. ეჭვი არ არის,რომ როგორც კეთილი კაცი, რომელმაც სომხებს დიდი საქმეები გაუკეთა, ეცდება ამ ბოლო დროს ჩვენთვისაც რათა საქართველოს ეკლესიური კითხვა სასარგებლოდ დააბოლოოს"(კირიონის არქივი N264 ფ.66). როგორც წერილიდან ირკვევა, ავტოკეფალიის საქმე ძალზე უიმედოდ იყო და კირიონი საქართველოდან ითხოვდა დახმარებას. 1906 წლის 8 მაისს კირიონი შეხვედრია სინოდის ახალ ობერ-პროკურორს, რომელთანაც საუბარი ჰქონია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე: „ბევრი ვესაუბრე მას ჩვენი საეკლესიო მართვის დეფექტებზედ, რაზეც მიპასუხა, რომ ამის შემდეგ მაგისთანა ზიანებს აღარ ექნება ადგილიო"...რაზეც კირიონს უპასუხია: „თქვენ მხედველობაში არ იღებთ ენის ცოდნას მეთქი, მე შემიძლიან რუსულ

ენაზედ ვსწირო, მაგრამ რუს ეპისკოპოსს შეუძლიან წირვა-ლოცვა ქართულად მეთქი? მერე ქართველებისა და ლატიშების შედარება როგორ შეიძლება, ეს ჩვენი შეურაცხყოფა არის, იმათ ამ მცირე ხანში მიიღეს ქრისტიანობა, ჩვენ კი 1600 წლის კულტურული ეკლესია გვაქვს. როგორც ლაპარაკში ეტყობა ეს ძველი რეჟიმის სამჭედლოშია გამოჭედილი.(პობედონოსცევის) აღთქმის კაცია. ამისთანა ჩინოვნიკებისაგან რას უნდა მოელოდეთ, ესრე თუ სცვალეს ობერ-პროკურორები ჩვენი საეკლესიო კითხვა თავის დღეშიდ არ გათავდება"(კირიონის არქივიN272.ფ.75). ძნელია არ დავეთანხმოთ ეპისკოპოს კირიონს, ობერ-პროკურორი, რომელიც ქართველებს და ლატიშებს შეადარებს ერთმანეთს, რთულია მისგან რაიმე დადებითი გადაწყვეტილება მოგვესმინა საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეოდ.

1906 წლის მარტიდან დეკემბრამდე პეტერბურგში მიმდინარეობდა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი, რომლის დასრულების შემდეგ მოწვეული იქნებოდა რუსეთის საეკლესიო კრება. სულ საეკლესიო კრების წინარე თათბირის მონაწილეთა შორის იყო 10 ეპისკოპოსი და სასულიერო აკადემიებისა და უნივერსიტეტის 21 პროფესორი. თათბირის წევრი იყო უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი ა. დ. ობოლენსკი. საეკლესიო კრების წინარე თათბირზე შეიქმნა შვიდი განყოფილება. წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებზე განიხილებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ქართველთაგან განხილვაში მონაწილეობას ღებულობდნენ ეპისკოპოსები: კირიონი, ლეონიდე, გორის ეპისკოპოსი ექვთიმე (ელიაშვილი); პროფესორები: ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ალ. ხახანაშვილი.

1906 წლის 2 ივნისს გაიმართა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომა. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ეპისკოპოსი კირიონი, რომელმაც სხდომას წარუდგინა ორი მოხსენება: 1) „საქართველოს ეკლესიის საკითხისათვის"; 2)

„რა აიძულებს ქართველებს, მიაღწიონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას?“

კირიონის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ეპისკოპოსი ლეონიდე, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა ეგზარქოსთა ანტიქართული პოლიტიკა: „ისინი თრგუნავდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, დევნიდნენ ყველაფერს: საქართველოს ეკლესიის წმიდა ტრადიციებს, რიტუალებს, სპობდნენ წმიდა ეკლესიის სიძველეებს. მათი ქმედებების გამო ეგზარქოსები ვერ სარგებლობდნენ ქართველი საზოგადოების ნდობით, ყოველივე ზემოთქმულის გამო ქართველმა სამღვდელოებამაც დაკარგა მრევლის ნდობა და ა.შ.“ (ბურდული, 2010:26).

ქართველი მღვდელმთავრების გამოსვლებს ძალზე უარყოფითად შეხვდნენ დეკანოზი ტ. ბუტკევიჩი და პროფესორი ნ.ნ. გლუბოკოვსკი, რომლებმაც მოითხოვეს საქართველოს ეგზარქოსებისათვის წაყენებული ბრალდებების მთელი სიმკაცრითა და სიზუსტით შემოწმება. ეპისკოპოსმა კირიონმა წინარე თათბირის პირველი მოხსენებისას ხაზი გაუსვა ქართული ეკლესიის მიერ VIII საუკუნეში (751 წელს) ანტიოქიის საეკლესიო კრების მიერ ქართული ეკლესიისათვის სრული ავტოკეფალიის მინიჭების ფაქტს. რუსი პროფესორები კი „თითქოს ხელჩასაჭიდ არგუმენტებს ეძებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების უარყოფისათვის (იქვე:42). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ეჭვქვეშ დააყენა დეკანოზმა თ. ტიტოვმა. რუსი მეცნიერებიდან კოლეგების აზრს არ იზიარებდა დეკანოზი ი.ი. სოკოლოვი, რომელმაც სხდომის მონაწილეებს შეახსენა: „ჩვენ რა უფლება გვაქვს ძალა გამოვიყენოთ საქართველოს ეკლესიის მიმართ, რომელიც ექვსი საუკუნით უფროსია რუსეთის ეკლესიაზე?“ სასიამოვნოა, რომ ბიზანტიის ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი დიდი სპეციალისტი რეალურად აფასებდა მოვლენებს. იგი არ უარყოფდა, რომ ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიაზე უძვე-

ლესი და, რაც მთავარია, ავტოკეფალური იყო.

1906 წლის 8 ივნისს გაიმართა წინარე თათბირის მეორე განყოფილების მორიგი სხდომა, სადაც სიტყვით გამოვიდა დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი უარყოფითი შეხედულებით სალიტურგიო ენასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ქართველები ღვთისმსახურებას ასრულებენ ქართულად და სკოლაშიც ქართულად ასწავლიდნენ ქართული ენის არმცოდნე ყველა ტომს, როგორებიც იყვნენ: სამურზაყანოს მკვიდრნი, სვანები, თუშები, მეგრელები. ვოსტორგოვის არასწორი შეხედულებით „ქართული ეკლესიის ავტოკეფალია ქართველი ხალხის სურვილი არ არის. ეს პოლიტიკური აზრია, რომელშიც იფარება ავტონომიის სურვილი. სომხებს იდეა აქვთ, შექმნან დიდი არმენია ჩრდილოეთ ნახჩევანის საზღვრამდე, ქართველებს კი გაუჩნდათ იდეა, მოითხოვონ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია... ქართული ეკლესიის საქმე დღეისათვის არის მხოლოდ მცირე ნაწილი საქართველოს საკითხისა, ამასთანავე სრულიად უმნიშვნელო...“ (Марръ, 1906:7-8). რუსეთის ეკლესიის „განათლებული“ დეკანოზი უმნიშვნელოსა და მცირეს უწოდებს ქართველების მიერ ავტოკეფალიის მოთხოვნას. დეკანოზის აზრით ავტოკეფალიაზე საუბარი უკვე დაგვიანებული იყო: „თუკი მოგცემთ ავტოკეფალიას, მაშინ რუსები განაწყენდებიან, რადგანაც ახლა ძალზე ბევრნი არიან ამიერკავკასიაში და თუკი შეიძლებოდა საუბარი ავტოკეფალიაზე, ალბათ გასული XIX საუკუნის 70-იან წლებამდე, როცა იქ არც რუსული სამრევლოები და არც რუსი სამღვდელოება არ არსებობდა. ახლა კი ცხოვრებას ვერ შეცვლი“ (ბურდული, 2010:64).

აღსანიშნავია, რომ რუსული ეკლესიის ყველა წარმომადგენელმა გულის სიღრმეში იცოდა, რომ ქართველთა მოთხოვნა სამართლიანი იყო, რასაც თავადაც არაერთხელ აღიარებდნენ. სამწუხაროდ, დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი არამარტო ავტოკეფა-

ლიის წინააღმდეგი, არამედ საერთოდ ქართველთმოძულე იყო, მან ქართველებს „აზიელი ბარბაროსები“, სიცრუეზე და სისხლზე აღზრდილები, ბრძოლის ნებისმიერი საშუალების მკადრებელნი უწოდა (კვიციანი, 2005:15). ქართველებზე ასეთი წარმოდგენის მქონე სასულიერო პირს, ნამდვილად არ შეეძლო წინარე თათბირის სხდომებზე საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეოდ რაიმე დადებითი გადაწყვეტილება მიეღო. ამასთან დაკავშირებით მართებულად მსჯელობდა ნ. დურნოვო: „ქართველებმა რუსებს თავიანთი სამეფო ჩააბარეს მშვიდობიანი და კულტურული აღორძინებისათვის, თუმცა რუსეთის სინოდი დაკავებული იყო არა საღვთო საქმეებით, არამედ ვოსტორგოვის მკაცრი რუსიფიქატორული სისტემით, ისეთ ადამიანს, როგორიც ვოსტორგოვია, განა შეიძლება ზემოქმედება ჰქონდეს რუსეთის სინოდზე? აი, რას დაამგვანეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნავთსაყუდელი — ივერიის ეკლესია? სარწმუნოება დაეცა, ხალხმა ზურგი აქცია ეკლესიას, ჩამორთმეულ იქნა საეკლესიო ქონება, საღვთო ტაძრები დაცარიელდა, მონასტრებში აღარ არიან ბერები... ხალხს წაერთვა საშუალება, რათა მშობლიურ ენაზე ილოცონ“ (Дурново, 1909:14).

8 ივნისის სხდომაზე ქართველი მღვდელმთავრების მიერ ავტოკეფალიის დაჟინებულმა მოთხოვნამ ძალზე შეაშინა და დააბნია მეორე განყოფილების სხდომების მონაწილე რუსი პროფესორები და სასულიერო პირები. სხდომაზე მყოფ პროფესორებს მიაჩნდათ, რომ ავტოკეფალიის მოთხოვნის საკითხმა პოლიტიკური სახე მიიღო, რომ ავტოკეფალიის საკითხი მჭიდრო კავშირში იყო პოლიტიკასთან. ეპისკოპოსი კირიონი არ დაეთანხმა ასეთ მოსაზრებას: „მაშასადამე, აქედან გამოდინარე, რუსეთში პატრიარქობის აღდგენის მოთხოვნა ყოფილა პროდუქტი პოლიტიკური მოძრაობისა“ (ბურდული, 2010:68). ეპისკოპოს კირიონს დამსწრეთაგან პასუხი ვერავინ გასცა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღდეგე პოფესორ ოსტროუმოვს მტკიცედ შეეკამათა კირი-

ონი: „მაშინ რა არის ეგზარქოსობა საქართველოში, განა ავტოკეფალიის ნაშთი არ არის, როგორც აჩრდილი ეკლესიური თვითმწყემსობისა?“ სხდომაზე კამათი გამოიწვია საქართველოს ეკლესიის საზღვრების დადგენის საკითხმა. ვოსტორგოვის აზრით, თუ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიას მიანიჭებდნენ, გაურკვეველი გახდებოდა არაქართული სამრევლოების ბედიც. ვოსტორგოვს არც ის დავიწყებია, რომ 1783 წლისათვის საქართველოში ორი კათალიკოსი იჯდა- აფხაზეთისა და მცხეთის“ (იქვე:74).

ამ საკითხთან დაკავშირებით, არ შეიძლება, არ აღინიშნოს პროფესორ სამუილოვის კრიტიკა კ. ცინცაძის წიგნზე „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“. მისი თქმით: 1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, როგორც ისტორიული ფაქტი არ არსებობდა; 2. VIII საუკუნეში საქართველოს ეკლესიის მეთაური პატრიარქი იყო და არა ავტოკეფალური კათალიკოსი; 3. XVIII ს-ში ანტიოქიის პატრიარქს აქ თავისი „ნაცვალი“ ჰყავდა, რომელიც მთელი ივერიის არქიმანდრიტად მოიხსენიებოდა (კვიციანი, 2005:22). პროფესორი სამუილოვი საკუთარ აზრებს თავადვე ეწინააღმდეგებოდა. თუკი საქართველოს ეკლესიის მეთაური VIII საუკუნეში პატრიარქი იყო, როგორ შეიძლებოდა, იგი ავტოკეფალური არ ყოფილიყო. რუსმა სწავლულებმა გააგრძელეს „ბერძენთა მცდელობანი“, რომლებიც ძველად არაერთხელ შეეცადნენ, დაემტკიცებინათ, თითქოს ქართული ეკლესია ავტოკეფალური არ იყო. საქმის ასეთი გადაწყვეტა მათთვის მისაღები იყო. ამ შემთხვევაში ქართველთაგან ავტოკეფალიის მოთხოვნას საფუძველი გამოეცლებოდა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის წინააღმდეგ რუს სწავლულებს ჩამოეყალიბებინათ ორი თეორია: 1. საქართველოს ეკლესია რუსეთის უწმიდეს სინოდამდე ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს და 2. საქართველოში ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კათალიკოსი — ქართლ-კახეთისა და აფხაზეთ-იმერეთისა არსებობდა. აქედან გამომდინარე სვამდნენ

კითხვას, თუ რომელი მათგანი ითხოვდა ავტოკეფალიას?(იქვე:22). ამ ისტორიული სიყალბის გაქარწყლებას და ისტორიული ჭეშმარიტების პროპაგანდას ემსახურებოდა მიზნად ქართველი ისტორიკოსების მოღვაწეობა.

საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა კანონიერად არ მიიჩნია, რადგან ავტოკეფალიის აღდგენა ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს. მიუხედავად ქართველი მღვდელმთავრების მცდელობისა და დასაბუთებისა, რომ ქართული ეკლესია ავტოკეფალურია და მათი მოთხოვნა კანონიერი იყო, შედეგი ვერ გამოიღო. აი, რას აცხადებდა ეპისკოპოსი კირიონი: ჩემი უკანასკნელი მარტივი ფორმულა, რომელსაც ყოველ კითხვაზედ მოისმენს ჩემგან სინოდი, არის შემდეგი: „Во имя Отца, и Сына, и Св. Духа, Автокефалия, Амин“ (საქ. სამოც. ეკლ. ავტოკეფ. 2005:57). ეპისკოპოს კირიონის ღვაწლს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში უკვალოდ არ ჩაუვლია. ვინაიდან რუსეთის წმიდა სინოდმა ავტოკეფალიის საკითხზე დადგენილება ვერ გამოიტანა, იგი გადასაწყვეტად გადასცა უზენაეს ხელისუფლებას. ამის დასტურია 1906 წლის 11 აგვისტოს იმპერატორის ბრძანებულება, რომლის მიხედვით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი განსახილველად უნდა გადასცემოდა რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას. ამას „მოჰყვა 1906 წლის 23 აგვისტოს უმაღლესი ბრძანებულება, რომელიც ეხებოდა საქართველოს ეკლესიის შინაგანი წყობის მოწესრიგებას, ეპისკოპოსთა უფლებების გაფართოებას, სასულიერო სკოლებში პროგრამების გადასინჯვას, ქართული ენის სწავლებისათვის ყურადღების გამახვილებას, სასულიერო წიგნების ქართულად თარგმნას... მაგრამ მის გასატარებლად არც სინოდი და არც მეფის ხელისუფლება თავს სრულებითაც არ იწუხებდა“ (ჯაფარიძე, 2003, III:100). ეს დადგენილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, ალექსანდრე ცაგარელი

გადმოგვცემს: „როგორც ამბობენ, კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქართული ეკლესიის საკეთილდღეოდ მრევლს არ ჭირდება არამარტო კათალიკოსი, არც სამიტროპოლიტო და არც საეგზარქოსო, არამედ უბრალო საეპისკოპოსო ეპარქია... თუკი კომისიის ასეთი დადგენილება ამოქმედდებოდა, ეს იქნებოდა ძალისმიერი ლიკვიდაცია არამარტო კათალიკოსისა და ავტოკეფალიისა, ყოველ შემთხვევაში ქაღალდზე, არამედ საერთოდ ქართული ეკლესიისა“ (Цагарели, 1912:107). რუსეთის მესვეურთა აღნიშნული უკანონობა ვერ განხორციელდა, ასეთ უსამართლობას არ დაუშვებდა ქართველი ხალხი, ქართული ინტელიგენცია და საქართველოს ეკლესიის ღირსეული შვილები.

1906 წლის 17 ნოემბერს გაიმართა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი, რომელზეც უნდა ემსჯელათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე. ქართველთა მხრიდან სხდომას ესწრებოდნენ იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე და პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები: ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი, ვერ ესწრებოდოდნენ ეპისკოპოსი კირიონი და გორის ეპისკოპოსი ექვთიმე.

დეკანოზმა ტ.ი. ბუტკევიჩმა ლეონიდეს თხოვნა, სხდომაზე მოეწვიათ საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალისტი, მკაცრად გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ სხდომაზე უკვე იყო ამ საკითხში განსწავლული პროფესორი ი.ი. სოკოლოვი. ბუტკევიჩმა ასევე მოითხოვა გარკვეულიყო, თუ რა სტატუსით იყვნენ მოწვეულნი ქართველი მეცნიერები, მხოლოდ იმიტომ, რომ ფლობდნენ ქართულ ენას, თუ როგორც მრჩევლები. ალ. ცაგარელმა კრების დამსწრე პირებს აუხსნა, რომ ისინი იქ იმყოფებოდნენ, როგორც საქართველოს ისტორიის სპეციალისტები. მან არ დაუკარგა ღვაწლი პროფესორ ი. სოკოლოვს და აღნიშნა, რომ ის კარგად ფლობდა საქართველოს ისტორიის თაობაზე არსებულ ბერძნულ წყაროებს. ქართველ მეცნიერს შეეწინააღმდეგა პრო-

ფესორი ნ.ნ. გლუბოკოვსკი. ეპისკოპოსმა ლეონიდემ მას პასუხი გასცა: „ვიცი აქ არავინ არის ვინც ქართულად წაიკითხავდა“. შეურაცხმყოფელი იყო პროფესორ ბუტკევიჩის გამოსვლა: „თუ ქართული წყაროები ასე მნიშვნელოვანია, მაშინ რატომ მოჰყავს კირიონს უმთავრესი ფაქტი ავტოკეფალიისათვის არა ქართული წყაროდან, არამედ დურნოვის რუსული წიგნიდან? ცხადია, რომ ქართულ ლიტერატურაში არაფერი ფასეული არ არის ამის შესახებ, თუ ქართველები რამეს მალავენ, ეს მათი ღირსების საქმეა“ (ბურდული, 2010:14-15). ცხადი იყო, რომ რუსი მეცნიერები აგდებულად უდგებოდნენ ქართული ეკლესიის საკითხს, მათთვის მიუღებელი იყო ყოველივე ქართული, მათთვის არასასურველი იყო ორი მაღალი რანგის მეცნიერის კრებაზე დასწრება, რადგან მათთან კამათი ძნელი იქნებოდა.

ალ. ცაგარელმა კრების დამსწრეთ შესთავაზა, რომ ი. სოკოლოვმა, როგორც ბერძნული წყაროების მცოდნემ, წარადგინოს თავისი მოხსენება, ნ. მარი წარმოადგენდა უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე, XVIII საუკუნიდან კი მოხსენებას თვითონ წარადგენდა, 1801 წლიდან კი ამ წყაროებზე დაყრდნობით მოხსენებას ეპისკოპოსი ლეონიდე გააკეთებდა, თუმცა ქართველი მეცნიერის წინადადებას უარყოფითად შეჰხვდნენ. ი. ვოსტორგოვმა კი საერთოდ ეჭვი შეიტანა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაში. ეპისკოპოსმა ლეონიდემ ამის საწინააღმდეგოდ აღნიშნა, რომ ეგზარქოსების მიერ ქართული ენის არცოდნა არანორმალური ფაქტი იყო, მან გაიხსენა ასეთი შემთხვევა: „პირველ ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში აღნიშნავდნენ ცხოველმყოფელი სვეტის დღესასწაულს. ეგზარქოსმა ადგილობრივი დღესასწაულის აღმნიშვნელი ხატი ჩამოახსნევინა და ღვთისმშობლის საფარველის ხატი მოატანინა: „არანაირი თქვენი დღესასწაული არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე“ (იქვე:28).

როგორც მოსალოდნელი იყო, და მიუხედავად ქართული მხა-

რის არაერთი მცდელობისა, მათ არგუმენტირებულ მოსაზრებას რუსული მხარე არ ითვალისწინებდა, შესაბამისად, სხდომაზე არანაირი დადგენილება არ მიუღიათ.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომები გაიმართა 1906 წლის 24 ნოემბერს, 1 დეკემბერსა და 5 დეკემბერს.

აღნიშნულ სხდომებზე ქართველთა მხრიდან ხდებოდა დასაბუთება იმისა, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იყო საუკუნეების განმავლობაში.

რუსი დეკანოზი ტ. ბუტკევიჩი გამოვიდა სიტყვით და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაში ეჭვი შეიტანა. მან ბალსამონის ცნობას გადმოცემა უწოდა და აღნიშნა, რომ „რომელი ავტოკეფალიით სარგებლობენ ქართველები? კათალიკოსი ვალდებულია საკუთარ ლოცვებში მოიხსენიოს ანტიოქიის პატრიარქი, რომელსაც ყოველწლიურად უხდის 1000 დრაჰკანს“ (იქვე. 2010:59). ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეებს ქართველი მეცნიერები ნიკო მარი და ალექსანდრე ცაგარელი სცემდნენ პასუხს. გამოსვლაში ნიკო მარმა დიდი დრო დაუთმო გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებას, იგი წერს: „გიორგი მთაწმინდელის დასაბუთებას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. წმიდა მამის ცნობა ჩვენ ახლა გვაინტერესებს სხვა თვალსაზრისითაც. ეს მოწმობა ადასტურებს იმას, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას უძველეს ეპოქაშიც ჰყავდა არაკეთილმოსურნეები, მათ შორის ანტიოქიის ეკლესიაშიც... საქართველოს ეკლესიის შიგნით არავითარი მდგომარეობა და საჭიროება არ იყო ამისათვის, რომ ანტიოქიისათვის მიემართა. საქართველოს ეკლესია საუკუნებით ადრე სარგებლობდა დამოუკიდებლობით. იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია თავისუფალი და ავტოკეფალური იყო მოწმობს თეოდორე ბალსამონიც (1186-1023). პატრიარქ პეტრეს (1053-10570) დროს ანტიოქიის საეკლესიო კრების დადგენილების მიხედვით. (ბურდული. 2012:81). ნიკო მარმა

სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ ქართული ეკლესია იერუსალიმური წარმომავლობისაა. „მოციქულ ბართლომეს მიერ საქართველოს განათლების (გაქრისტიანების) ფაქტი. პირველი ქრისტიანული ტაძრები საქართველოში შენდებოდა იერუსალიმის წმინდანების სახელზე, როგორიც იყო მაგალითად, წმიდა სტეფანე, ასევე იერუსალიმური სიწმინდეების სახელზე, როგორიც იყო სიონი და ჯვარი. ნიკო მარი თვლიდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა მოციქულმა ბართლომემ, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი-ანდრია პირველწოდებულმა“ (ბურდული.2010:78).

ნიკო მარის მოხსენებაში კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობას, მან საერთოდ უარყო ქართული ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოსთან კავშირის აუცილებლობა, რადგან საქართველოში ქრისტიანობა უშუალოდ იერუსალიმიდან შემოსულა და ქართული ეკლესია თავიდანვე ავტოკეფალური იყო. ნ.მარი შენიშნავდა“საქართველოს ეკლესიისათვის ბალსამონის ხუთსტრიქონიან ტექსტს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საქართველოს ეკლესიის მართლმადიდებლობის სასარგებლოდ საგმირო მოღვაწეობის გადმოცემას“.

5 დეკემბრის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ალექსანდრე ცაგარელი შემდეგი მოხსენებით: „ XVII-XVIII საუკუნეების ოფიციალური საბუთები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“. ალ. ცაგარელმა კრების მონაწილეებს აუხსნა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით რუსეთის სინოდმა დაარღვია არა მარტო მსოფლიო და ადგილობრივი კრებების კანონები, არამედ განჩინებანი ადგილობრივი ქართული ეკლესიისა. „რუსეთმა, რომელიც 700 წელიწადი მიიღებდა ხოლმე გამოგზავნილ მღვდელმთავრებს კონსტანტინეპოლიდან, გამოსცადა თუ რა შეუფერებელი იყო ეკლესიის მმართველად უცხო ტომის და უცხო ენის მღვდელმთავარი... თვით დედანს ანტიოქიის საკ-

რებულო დადგენილებისა ჩვენამდის არ მოუღწევია ან ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი, მაგრამ უეჭველია, ის არსებობდა“ (ცაგარელი, 1911:32-35). ქართველი მეცნიერის აზრით, ქართული ეკლესია ავტოკეფალიისაგან არ მოელოდა შემოსავლის მომატებას, არც შრომისა და ზრუნვის შემცირებას — „მაგრამ სარწმუნოება და ეკლესია ამისაგან უეჭველია შეიმატებენ. სამწყსოს სულის ცხონება კი უმთავრესი მიზანი და დანიშნულებაა დედამიწაზე ეკლესიის და მის მსახურთა“. რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები ქრისტიანული სულისკვეთებით არ მსჯელობდნენ და ნაკლებად აწუხებდათ ქართველი ერის სარწმუნოებრივი მდგომარეობა.

ალ. ცაგარელი ითხოვდა საქართველოში ყოფილიყო ერთი კათალიკოსი, რადგან საქართველო ტერიტორიულად არ იყო დიდი. „შენახვა ორი საკათალიკოსო უწყებისა დაჯდება ძვირად, თუ ზოგჯერ კიდევაც იყვნენ ორი კათალიკოსი, ეს იმ მიზეზის გამო, რომ საქართველო იყო განყოფილი სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ, რომელთაგანაც თვითეულს მეფეს სურდა თავის სამეფოში ჰყოლოდა დამოუკიდებული ეკლესიის თავი“ (იქვე: 46). ვინაიდან XVIII საუკუნის ბოლომდე საქართველოში ორი საკათალიკოსო არსებობდა, რადგან საქართველო პოლიტიკურად დაშლილი იყო, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მცდელობის დროს კი საქართველო გუბერნიების სახით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ამიტომ ორი საკათალიკოსოს აღდგენის საჭიროება და შენახვის შესაძლებლობა არ იყო. მოხსენებაში ცაგარელი შეეხო ასევე საქართველოს ეკლესიის ქონების საკითხს. საუკუნეების მანძილზე ქართველ მეფეთა, დარბაისელთა და უბრალო ხალხის მიერ შეწირული ქონება გადარჩა სპარსელების, არაბების, მონღოლების და თათართა შემოსევების პერიოდში. თუმცა მართლმადიდებლური რუსის მმართველობის დროს ქართულ ეკლესიას ქონება ჩამოერთვა. აღსანიშნავია, რომ 5 დეკემბრის სხდომაზე რუსმა მეცნიერმა ი.ი. სოკოლოვმა

თავის მოხსენებაში „საქართველოს ეკლესია XVIII საუკუნეში“ კვლავ დაიცვა და მხარი დაუჭირა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას.

ეროვნული ეკლესიის ავტკოეფალიისათვის მებრძოლ ქართველ მეცნიერთა შორის იყო ალ. ხახანაშვილი. მეცნიერმა წინარე კრების საეკლესიო თათბირზე წაიკითხა მოხსენება „საქართველოს ეკლესია და განათლების მდგომარეობა XVIII საუკუნეში“.

1906 წლის რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომები უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გზაზე, სხდომებზე არ მომხდარა დადებითი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები (ერთი ნაწილი) დარწმუნდნენ იმაში, რომ ქართველთა მოთხოვნა ავტოკეფალიის აღდგენაზე კანონიერი იყო და ეს მთელი ერის მოთხოვნა იყო. ეპისკოპოსმა კირიონმა და ეპისკოპოსმა ლეონიდმა მთელი სიმწვავით დააყენეს საკითხი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობის თაობაზე და რუსი სამღვდელოებისა და მეცნიერებისაგან მოითხოვდნენ ავტოკეფალიის უკანონობის აღიარებას. ქართველმა მღვდელმთავრებმა ბრძოლის ორი ეტაპი დაგეგმეს: პირველი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობის აღიარების მიღწევა; მეორე. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობის დასაბუთება. (ბურდული.2012:375). ცხადია, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები ავტოკეფალიის უკანონოდ გაუქმებას არ აღიარებდნენ, რადგან ამის აღიარების შემთხვევაში, ქართველი მღვდელმთავრები მოითხოვდნენ კანონიერების დაუყონებლივ აღსრულებას.

რუსეთის საეკლესიო კრებამ მიიღო უარყოფითი დადგენილება საქართველოს ეკლესიის თაობაზე, მაშინ როდესაც, თავის

მხრივ, საჭიროდ სცნო რუსეთის ეკლესიაში პატრიარქობის აღდგენა (ჯაფარიძე, 2003:107). წინარე საეკლესიო თათბირის სხდომებზე თვით რუსეთის ეკლესიისათვის მიიღეს ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, პატრიარქის ინსტიტუტის აღდგენის თაობაზე. უნდა ითქვას, რომ 1906 წლის შემდეგ ძალიან მალე მოხდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, რუსეთის ეკლესიაში კი პატრიარქის გარეშე 200 წლოვანი პერიოდის გასვლის შემდეგ კვლავ აირჩიეს პატრიარქი.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნაში რუსეთის ხელისუფლება ხედავდა ასევე ქართველთა პოლიტიკური ავტონომიის საფრთხეს. იოანე ვოსტოროგოვსა და მსგავსი სულისკვეთების პირებს ეჭვი შეჰქონდათ არამარტო ავტოკეფალიის აღდგენის ჭეშმარიტებაში, ისინი გაჟღენთილნი იყვნენ თავიანთი შოვინისტური იდეებით, ამიტომ მათთვის მიუღებელი იყო ქართველი ერის ერთიანობის იდეა, ქართულ ენაზე სწავლა-განათლება და საერთოდ, ყოველივე ქართული. 1905 წელს დეკანოზ ვოსტორგოვის უსამართლო და შეურაცხმყოფელ გამოსვლას გამოეხმაურა ნიკო მარი: „ქართველთა ტომების ნაციონალური ერთობა, ამა კულტურისაგან შექმნილი, ძლიერ ბრწყინვალედ გამოიხატება ნაციონალურს ქართულს ეკლესიაში და მისგან წარმოშობილს და ყველასათვის საღვთოდ მიჩნეულს ენაში... ვითარცა იგი გვამი ერთ არს და მრავალი ასოები აქვს და ყოველი იგი ასოები ერთისა მის გვამისა მრავალღა თუ არს, ერთ გვამვე არს ეგრეცა ქრისტე, ეგრეცა „საქართველოს ეკლესია“, რამეთუ ჩვენ ყოველთა ერთითა სულითა და ერთითა ენითა, ჩვენ ყოველთათვის თანასწორად საღვთო ენითა, ერთის მიმართ გვამისა ნათელ ვიღეთ, გინა თუ მეგრელთა, გინა თუ გურულთა, გინა თუ იმერთა, გინა თუ სვანთა, გინა თუ ქართლელთა, ესე იგი მთელმა საქართველომ“ (მარი, 1905:11).

ასე ლამაზად, წმიდა წერილზე დაყრდნობით განუმარტა ქარ-

თველთა ერთიანობის იდეა ქართველთმოძულე ვოსტორგოვს ნიკო მარმა, თუმცა რუს სასულიერო პირს თავისი აზრი არ შეუცვლია. პირიქით, 1906 წელს ნიკო მარს კვლავ უწევს ვოსტორგოვის მცდარი შეხედულებების განქიქება: „მამა ვოსტორგოვი აცხადებს: კავკასიაში ყველაზე უფრო მოსაწონი არიან მაჰმადიანებიო, ისინი ყველაზე უფრო ერთგულნი არიან, წინ არ მიიწევენ, რადგანაც არა აქვთ გაზეთები, არ ჰყავთ ინტელიგენცია, არა აქვთ ფული სხვების მოსასყიდად და მწერლების გადასაბირებლად“ (ივერია, 1906, №15). დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო“ იდევნებიან, ხოლო ვოსტორგოვის შეფასებით „მაჰმადიანები ყველაზე ერთგულები ყოფილან კავკასიაში, რადგან მათ არ ჰყავდათ საკუთარი ინტელიგენცია“, თუმცა აქაც მცდარი შეხედულება ჰქონდა ვოსტორგოვს. ამ პერიოდში ვოსტორგოვის მსგავსად ქართველების მიმართ შეურაცხმყოფელი და მკრეხელური ქადაქებებით გამოდიოდნენ საქართველოში მოღვაწე რუსი სამღვდელოების წარმომადგენლები. რუსი ეროვნების ბათუმში მოღვაწე მღვდელი პრანიცკი ეკლესიაში ქადაგებისას რუს ჯარისკაცებს ასე უქადაგებდა: „თქვენი სამსახური მეფისათვის აქ, განაპირა ქვეყანაში „ინოროდცებს“ შორის, სადაც „ტუზემცები“ ეროვნული მოძრაობას ეწევიან და რუსეთისაგან განცალკავების იდეალს ეტრფიან. აქ ყოველ მხრით გახვევიათ ფარული მოღალატე მტრები, მტრები წმინდა რუსეთისა და პირადად თქვენი... ასეთი ენით ლაპარაკობდნენ სინოდის აგენტები: პრანიცკები, ვოსტორგოვები და გორდოვცოვები და მათნი მსგავსნი... სანამ სარწმუნოება არ მოსპობილა და ჩვენი ერის დიდძალ უმრავლესობას ღვთის ლოცვა-ვედრება თავის სულიერ მოთხოვნილებად მიაჩნია, მას მისი რწმენის შესაფერისი ეკლესია და მღვდელიც ესაჭიროება“ (ივერია, 1906, №4).

იმ პერიოდის ქართულ პრესაში ხშირად ნახავდით მსგავი ში-

ნაარსის სტატიებს. რუსი სამღვდელოების ასეთი დამოკიდებულება აღრმავებდა ავტოკეფალურ მოძრაობას. 1906 წელს ა. ნატროევი წერდა: „ყოველგვარი განსხვავებული მოსაზრებები, თუ როდის მოიპოვა საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა V, VIII თუ X საუკუნეებში, იყო თუ არა თავდაპირველად ანტიოქიისა თუ კონსტანტინეპოლის პატრიარქებთან დამოკიდებულებაში, ერთი თუ ორი საკათალიკოსო არსებობდა საქართველოში და რა ვითარებაში აღმოცენდა ეს მეორე, ეს ყველაფერი კითხვებია, თუმცა ისინი არსებითად ერთი ნაბიჯითაც ვერ მიუახლოვდება დასმული ამოცანის გადაწყვეტას... ცხადია, რომ ერთი ფაქტია, რაც არ იწვევს არავითარ ეჭვს, საქართველოს რუსეთთან მიერთებისას, საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იყო“ (Натроев.1906:22).

ავტოკეფალურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, როგორც საქართველოს ეკლესიის ღირსეული წარმომადგენლები, ასევე ქართველი მეცნიერები და ქართული ინტელიგენციის ღირსეული წევრები: აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი. ავტოკეფალურ მოძრაობას მხარს უჭერდა ასევე ქართული პოლიტიკური პარტიების ნაწილი. 1904 წელს გამოქვეყნდა იაკობ გოგებაშვილის წერილი საქართველოს ეკლესიის შესახებ. ამ წერილში იაკობ გოგებაშვილი „უსაყვედურებს ივანე ჯავახიშვილს იმის გამო, რომ მან ეჭვი შეიტანა ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნის შესახებ, თითქოს ქართული ეკლესია მოკლებულია ღირსებას სამოციქულო ეკლესიისას“ (გოგოლაშვილი, 2011:12).

იაკობ გოგებაშვილი იყენებდა რა ჭეშმარიტ ისტორიულ ფაქტებს, აღნიშნავდა: ქართულმა ეკლესიამ „მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე განვლო სამი მთავარი პერიოდი: ანტიოქიური, ნაციონალური და რუსული. ანტიოქიური პერიოდი გაგრძელდა ას წელიწადზე მეტხანს, როცა ანტიოქიის პატრიარქის მიერ ინიშნებოდა კათალიკოსად ბერძენი. მეფე ადარნასეს პერიოდიდან ქართულმა ეკლესიამ პირველად შეძლო მოეპოვებინა

უფლება იმისა, რომ სათავეში ჰყოლოდა არჩეული კათალიკოსი საქართველოს ნამდვილი შვილი“ (გოგებაშვილი, 1955:97). ასევე საკმაოდ სწორად მსჯელობს იგი, როცა ქართული ეკლესიის განვლილ პერიოდზე საუბრობს. ნაციონალურ პერიოდს იაკობი ორ ქვეპერიოდად ჰყოფდა: ავტონომიური, ანუ კათალიკოსის პერიოდი და ავტოკეფალური, ანუ პატრიარქის პერიოდი. VIII საუკუნიდან წყდება ნომინალური დამოკიდებულება და ავტონომიური კათალიკოსი ხდება თვითმეთაური. XIX საუკუნის დასაწყისში ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში შედის, იწყება ქართული ეკლესიის ახალი ფაზა, მაგრამ როგორი? კიდევ უფრო ბიუროკრატიული, ვიდრე ანტიოქიური. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უმორჩილებენ ძალად მმართველ სინოდს, წმიდა ბიუროკრატიულ კოლეგიას“ (იქვე:100).

იაკობ გოგებაშვილის მსგავსად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ნატრობდა აკაკი წერეთელი თავის პოემაში „ვორონცოვი“. საცენზურო კომიტეტის განკარგულებით პოემის მთელი გამოცემა ჩააწყეს ყუთში, დაბეჭდეს და გადაიტანეს პოლიციის სამმართველოში. საცენზურო კომიტეტი უცებ ვერ გაერკვა, რა იყო აკაკის პოემაში მთავრობის საწინააღმდეგო. აკაკი გულისტკივილით იხსენებდა იმ დროს, როცა ქართველებს თავისი კათალიკოსი ჰყავდა:

„ის დრო, როცა ჩვენივე ჩვენ ვიყავით უფროსი
და სამღვდელოებასაც ყავდა კათალიკოსი...
გაისმოდა ყოველგან წირვა-ლოცვა ქართული,
კანანახით გალობა, ქართულ კილო ჩართული.
დღეს სადღაა ანც ერთი?
სუყველა გადაგვარდა, სუყველა გადაგვარდა.
შეგვძულდა ჩვენი თავი და სხვაც არ შეგვიყვარდა.“

აკაკი ასევე მიუღებლად თვლიდა ეგზარქოსის მიერ სლავიანურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარებას, რასაც დიდი ზიანი მოჰქონ-

და ერისათვის:

ექსარხოსი სწირავდა ფორმად სლავენურადა,

მლოცველებს არ ესმოდათ, ქონდათ სანანურადა. (საქ. ეკლ. ისტორია XX- XXI, 2007:203-204).

იმავე მოტივზე დაწერილ აკაკის ლექსში „იესო ტკბილოსა“ და „დედა ღვთისას“ გასაუბრებაა გადმოცემული. ლექსი ავტორის მიუთითებლად ფარულად ვრცელდებოდა ხალხში ათეულობით წლების მანძილზე (ლაშხი.2012:42).

„რაც ეკლესიას ივერთა
მისცა მსოფლიო კრებამა,
ის დღე ახადა გარეშე
ძალამ და აოხრებამა.

აღარ ჰყავს კათალიკოზი,
მღვდელმთავარ მეუფროსები,
მათ ნაცვლად ნაძალადევათ
დაუსვეს ეგზარხოსები“.

რუსული ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რათა ავტოკეფალიის ნებისმიერი გამოვლინების შემთხვევა აღეკვეთა. ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში, როგორც ავღნიშნეთ, განსაკუთრებული როლი ითამაშეს ქართველმა ისტორიკოსებმა, მათ შორის მნიშვნელოვანი იყო ივანე ჯავახიშვილის, ნ. მარის, ალ. ცაგარელის, მიხეილ თამარაშვილის შრომები. 1906 წელს ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოსცა თავისი ნაშრომი: „политическое и социалное движние въ Грузии XIX веке“, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კათალიკოსის რუსეთში გაწვევის შემდეგ რუსულმა ხელისუფლებამ გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესიაა. 16 წლის შემდეგ საქართველოს რუსეთთან შეერთებისა ქართველებს მოესპოთ შესაძლებლობა, საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურების ქართულად მოსმენისა. ამ ენაზე 1400

წლის განმავლობაში მხურვალედ ლოცულობდნენ. არც სპარსელებს, არაბებს, მონღოლებსა და თურქებს არ გაუკეთებიათ ის, რაც რუსულმა ხელისუფლებამ და მისმა ექსარხოსებმა გაუკეთეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას" (Джавахов, 1906:21). იმ დროისათვის ქართველი მეცნიერების ასეთ თამამ განცხადებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

1907 წელს პეტერბურგში გამოდის მონუმენტური გამოცემა „Политическая Энциклопедя". ივ. ჯავახიშვილმა ენციკლოპედიაში განთავსებისათვის მოამზადა სტატია: „Автокефаля Грузинскои церкви". სტატიაში ავტორი ასაბუთებს, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია უსამართლოდ და უხეშად არის გაუქმებული გასული საუკუნის დასაწყისში ცარიზმის ადმინისტრაციის მიერ. იგი იძლევა მკვეთრად ჩამოყალიბებულ, დასაბუთებულ შეხედულებას საერთოდ ავტოკეფალიის შესახებ და გადმოსცემს ამ საკითხზე თავის ისტორიულ, პოლიტიკურ და იურიდიულ თვალსაზრისს" (ვარაზაშვილი, 2000:33). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე გამოცემული მიხეილ თამარაშვილის წიგნი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე". ამით ქართველთა გასაჭირი ევროპის მოწინავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა (იქვე:64). ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნამ აუცილებელი გახადა, ქართველ მეცნიერებს მოეძიათ ქართული და უცხოური წყაროები, რათა მეცნიერულად დაესაბუთებინათ ავტოკეფალიის კანონიერება. 1905-1912 წლებში შეიქმნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, რომლებსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ არამარტო ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში, არამედ თანამედროვე ეტაპზეც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ავტოკეფალიის საკითხები აქტიურად შუქდებოდა ჟურნალ „საქართველოს სააგზარქოსოს სასულიერო მახარებელში". 1906 წლის ბოლო ნომერში ა. ნატროშვილი ასე ახასიათებდა ეკლესი-

ის მდგომარეობას: გავიდა ასი წელი რაც საქართველოს ეკლესიას რუსი იერარქები მართავენ და რას ვხედავთ? სარწმუნოება მოკვდა ქართველ ხალხში. ეკლესიები ცარიელია დიდი დღესასწაულების დროსაც კი. მათ გაუგონარი მკრეხელობით ძარცვავენ. საქართველოს ეკლესიას არა ჰყავს თავი, ის უცხოა მისთვის, უცხონი არიან მწყემსნიც, რომლებიც ვერ მეტყველებენ მშობლიურ ენაზე. ხალხი და სამღვდელოება დაშორდა ერთმანეთს. მათ აღარ ესმით ერთმანეთის. საჭიროა ავტოკეფალიის აღდგენა (შაკიაშვილი, 2004:149)

აღსანიშნავია, რომ ავტოკეფალურ მოძრაობაში არსებობდა განსხვავებული ტაქტიკური თვალსაზრისი ავტოკეფალიის აღდგენის საკითხში. ერთი ნაწილის აზრით, „ქართველი სამღვდელოება უნდა დასდგომოდა ე.წ. ლოდინის ტაქტიკას და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ღიად დაეტოვებინა უფრო ხელსაყრელ დრომდე“ (ქოქრაშვილი, 2004:117). აღნიშნულ ჯგუფში შედიოდნენ არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, მღვდელი კალისტრატე ცინცაძე და მღვდელი ანტონ თოთიბაძე. არსებობდა „საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღმდგენი ძმობა“, რომლებიც უფრო რადიკალურები იყვნენ. მათ შემდეგი მოთხოვნები ჰქონდათ: 1) მოსპობა წირვა-ლოცვაზე ექსარხოსის მოხსენიებისა, მოსპობა მასთან მის კანცელარიასთან და სასინოდო კანტორასთან მიწერ-მოწერისა და ურთიერთობისა. სავალდებულოა ეგზარქოსის კეთილმოწესე მღვდლები (ბლაღოჩინები) თანამდებობიდან გადადგნენ (იქვე:118). იმ პერიოდში ასეთი ზომების გატარება ძალზე გაჭირდებოდა და თითქმის შეუძლებელიც კი იყო.

1907 წელს ავტოკეფალურ მოძრაობაში გაჩნდა ახალი მიმართულება. ამ ნაწილს დახმარებისათვის კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქისათვის უნდა მიემართა. ამ იდეის ხორცშესხმაში დიდი როლი შეასრულეს იმხანად ინგლისში მოღვაწე ქართველმა ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა და საქართველოში მყოფმა

სასულიერო პირთა ერთმა ჯგუფმა. დახმარებისა და თანადგომის მიზნით იგი თავის მეუღლესთან ერთად 1906 წელს საქართველოში ჩამოვიდა. მათ საიდუმლოდ თან ჩამოიყვანეს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ქალბატონი დრაიჰორტი და ცნობილი ჟურნალისტი ნევინოსონი. მათ შემოიარეს მთელი საქართველო. მოინახულეს დეკანოზი დ. ღამბაშიძე და ეპისკოპოსი ლეონიდი (ოქროპირიძე) (ბუბულაშვილი. 2007:152). იმ დროს თბილისსა და მთელ საქართველოში საალყო წესები იყო გამოცხადებული და დიდი სიფრთხილე იყო საჭირო კრებებისა და ერთმანეთთან შეხვედრის დროს. „რუსი დამსჯელი რაზმების სიმხეცემ და ძალმომრეობამ გურიაში, იმერეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებშიც 1905-06 წლებში ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია. საყოველთაო სურვილი იყო, გამოქვეყნებულიყო და განათლებულ კაცობრიობას დაენახა სამარცხვინო, საზიზღარი, ფაქტები ქალაქებისა და სოფლების გადაწვისა. მცხოვრებლების აწიოკების, ამოწყვეტისა და დედაკაცების გაუპატიურებისა. მეც ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, ამისთვის ხელი შემეწყო“ (ჩერქეზიშვილი, 2011:17), წერდა იმ პერიოდში ვარლამ ჩერქეზიშვილი.

რუსეთის იმპერია ჩვეული ხერხებით ცდილობდა, ჩაეხშო ქართველი ხალხის კანონიერი მოთხოვნები. ამ ურთულეს პერიოდში ჩერქეზიშვილის მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა გმირობის ტოლფასი იყო. მთელი ამ დროის განმავლობაში ქართველი მამულიშვილი, რომელიც იმ დროისათვის 64 წელს იყო გადაცილებული, მკაცრ კონსპირაციულ ცხოვრებას ეწეოდა. როგორც ეს ჟანდარმერიისათვის ვ. ჩერქეზიშვილის საქართველოდან გამგზავრების შემდეგ გახდა ცნობილი, ხალხში მღვდლის ანაფორით დადიოდა (ფერაძე, 1998:96). ვ. ჩერქეზიშვილის ჩამოსვლას მოჰყვა პეტიციის შედგენა. რომელშიც აღწერილი იყო, თუ როგორ გააუქმა რუსეთის ხელისუფლებამ ქართული ეკლესიის ავტოკე-

ფალია. კონსტანტინეპოლის პატრიარქისათვის გაგზავნილი მიმართვის ქართული ტექსტი უსათაუროა: „საქართველოს ეკლესია და სამწყსო, ქრისტიანობის მმოსავი 16 საუკუნის განმავლობაში, ეხლა კი დამონებული ერთმორწმუნე ქრისტიანული ეკლესიის მიერ, რომელმაც უარჰყო კანონიკური სამართალი და დათრგუნა უფლებანი ივერიის მართლმადიდებელი ეკლესიისა... მოჰმართავს თქვენს უწმიდესობას, უმაღლესს უფროსს ეკლესიისას, რათა მოისმინოთ სავალალო ისტორია ჩვენ საეკლესიო უფლებათა მოსპობისა, ივერიის ხალხში სარწმუნოების დაცემისა, რათა აღიღოთ ხმა თქვენი ივერიის ეკლესიის დასაცავად... დღეს ჩვენ მრავალსაუკუნოებით არსებულ ეკლესიას სრულიად გვისპობენ. ქრისტიანობა საქართველოში დაცემის გზაზეა და ამიტომ მივმართავთ ყველა მსოფლიო საქრისტიანო ეკლესიებს, აღიმაღლონ ხმა თავის ერთ მოძმე ეკლესიის უფლებების დასაცავად, გავლენა და ავტორიტეტი საქართველოს ეკლესიისა წმიდა ადგილებში გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ბევრი სხვა ეკლესიისა, ვიდრე ახლა აქვს გავლენა და ავტორიტეტი რუსულ ეკლესიას; რომელსაც მხარს უჭერს უდიდესი მონარქია“ (ბუბულაშვილი, 2007:156-159). ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ გასული იყო თითქმის ასი წელი, ამიტომ ამ მიმართვას მსოფლიო პატრიარქის მიმართ ქართველთა მხრიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

მიმართვაში ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ანტიოქიის „პატრიარქ პეტრე III-ს (1053-1057) დროს ქართული ეკლესია სრული ავტოკეფალიით სარგებლობდა, რომ 1811 წელს საეკლესიო კანონების დარღვევით გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. ქართველი ხალხი და სამღვდელოება ერთხმად ითხოვდა სამართლიანობის აღსრულებას. სწორედ ამის გამო მიმართეს მათ კონსტანტინეპოლის პატრიარქს, რომელსაც ხმა უნდა აემაღლებინა ამ უსამართლობის გამო. ამასთანავე წერილში მსოფლიო პატ-

რიარქს სთხოვდნენ, მოეწვია მსოფლიო საეკლესიო კრება, რათა განეხილათ „უწმიდესი სინოდის უსამართლო ქმედება“. ვარლამ ჩერქეზიშვილს კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი განკუთვნილი თხოვნა უნდა გადაეცა გელათის მონასტრის ყოფილი არქიმანდრიტისათვის, საქართველოდან ემიგრირებული ნიკოლოზ ნამორაძისათვის, რომელიც იმჟამად თურქეთში იმყოფებოდა. ჩვენთვის ცნობილი არ არის წერილმა მიაღწია თუ არა დანიშნულების ადგილს. იგი ჯერჯერობით მოკვლეული არ არის (ქოქრაშვილი, 2004:124). პეტიცია გამოქვეყნდა რამდენიმე ენაზე, 1907 წელს კი ტექსტი ჰააგის კონფერენციის დელეგატებს დაურიგდათ. ვარლამ ჩერქეზიშვილის და დეკანოზ დავით ღამბაშიძის მეშვეობით მსოფლიო პატრიარქისადმი გაგზავნილი მიმართვა 1912 წელს ანგლიკანმა მთავარდიაკონმა დ. დოულინგმა დაურთო ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულ „საქართველოს ეკლესიის ისტორიას“ ქართული და ინგლისური ტექსტები იდენტურია (ბუბულაშვილი, 2007:154). მთელი საუკუნის განმავლობაში თითქმის პირველად იყო, რომ ქვეყნიერებამ საქართველოზე დაილაპარაკა. ფრანგულად პეტიციის სრული ტექსტი დაიბეჭდა L`indenendance Belge-ში, ინგლისურად Chicago Daily Nws-ში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ გაზეთიდან ცნობა გადაიღო შეერთებული შტატების მთელმა პრესამ (ჩერქეზიშვილი, 2011:29).

ქართველ მეცნიერს, ალექსანდრე ცაგარელს საზღვარგარეთ ყოფნის დროს განუზრახავს სტამბოლში ჩასვლა, რათა მსოფლიო პატრიარქ იოვაკიმე III-ს შეხვედროდა, თუმცა ვერ მოუხერხებია. 1907 წლისათვის მან კონსტანტინეპოლის პატრიარქს გაუგზავნა სტატია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. აღნიშნული სტატიით მსოფლიო პატრიარქი დაინტერესებულა, რის გამოც იგი ბერძნულად უთარგმნიათ და გაზეთ „ათინაში“ გამოუქვეყნებიათ. იოვაკიმე III ხშირად ესაუბრებოდა ქართული ეკლესიის გულშემატკივარ ნ. დურნოვოს. ამ უკანასკნელთან დია-

ლოგში მსოფლიო პატრიარქს გამოუხატავს თავისი პოზიცია და აღუნიშნავს, რომ რუსეთის უწმიდეს სინოდს კანონიკურად არა აქვს საქართველოს ეკლესიის მართვის უფლებაო. 1914 წელს ალ. ცაგარელი მაინც შეხვედრია სტამბოლში კონსტანტინეპოლის პატრიარქს, რომელიც კმაყოფილი დარჩენილა ავტოკეფალისტთა აქტიურობით (ბუბულაშვილი, 2007:153).

კონსტანტინეპოლის პატრიარქის პოზიცია საქართველოს ეკლესიის მიმართ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ნ. დურნოვოსა და ალ. ცაგარელის ვიზიტები კონსტანტინეპოლში მსოფლიო პატრიარქთან, სადაც მიმდინარეობდა მსჯელობა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე, წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

1908 წლის 28 მაისს თბილისში თავის რეზიდენციაში მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი. მკვლელობა დააბრალეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ერთ-ერთ მთავარ მებრძოლს ეპისკოპოს კირიონს (საძაგლიშვილს), რისთვისაც იგი რეპრესირებული იქნა. ეგზარქოსის მკვლელობაში ბრალი დასდეს ასევე არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას და 1909 წლის დამდეგს სინოდის განკარგულებით რუსეთში გადაასახლეს. იგი იხსენებდა: „1909 წლის იანვრის მეორე ნახევარში მერგო წილად ცრემლების ფრქვევით მოვშორებოდი სამშობლო მხარეს... გადატანილი მოგზაურობისა და სულიერი ტანჯვის გამო დაავადმყოფებული ჩამაგდეს ნესტიან სენაკში და ექიმის მოწვევის ნებასაც დიდხანს არ მრთავდნენ“(ამბრ. ხელ.არქივის აღწერ.2011:16). ამბროსი ხელაია გადაასახლეს რიაზანში სტარაია-რუსას მონასტერში. 1910 წელს ამბროსის ყველა უფლება აღუდგინეს,თუმცა სამშობლოში მაინც არ დააბრუნეს. ასეთი დიდი მსხვერპლი გაიღეს საქართველოს ეკლესიის ღირსეულმა შვილებმა, რათა სანუკვარი მიზნისთვის მიეღწიათ.

ამ პერიოდში დაიძაბა ურთიერთობა რუს და ქართველ სამღვდელოებას შორის. მიუხედავად რეპრესიებისა, ამ პერიოდის

მთავარი საკითხი კვლავ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო.

აღსანიშნავია, რომ ჟანდარმერიას თავისი აგენტები ჰყოლია შეგზავნილი ქართველ ავტოკეფალისტთა რიგებში. სათანადო ორგანოები საკმაოდ მიზანმიმართულად იძიებდნენ ავტოკეფალისტების საქმეს.1910 წლის ივნისში ავტოკეფალისტების სახლები გაუჩხრეკიათ და დაურბევიათ. მთავარი ბირთვი ამ მოძრაობისა დაშალეს და სხვადასხვა პროვინციულ რაიონებში გადაასახლეს. მათ შორის იყვნენ მღვდლები: ტიმოთე ბაკურაძე, დავით ჩიკვაიძე, იოსებ ჩიჯავაძე, ნიკიტა თალაკვაძე და სხვანი. ეს იყო უდიდესი დარტყმა ავტოკეფალურ მოძრაობაზე, რომლის ერთობლივ ორგანიზატორად ეგზარქოსის მმართველობა, პოლიცია და ჟანდარმერია გვევლინება. 1912 წლის იანვარს პოლიციის ინფორმაციით, ავტოკეფალური მოძრაობა არ ჩამკვდარა. იგი იატაკქვეშეთში განაგრძობდა არსებობას (ქოქრაშვილი, 2004:125-126). საერო და სასულიერო ხელისუფალთა წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ შექმნილი ვითარების სირთულე და სდევნიდნენ კიდეც ავტოკეფალისტებს. მთავრობამ ამ მოძრაობის ბევრი მონაწილე გადააყენა სამსახურიდან, დააქვეითა თანამდებობიდან და ბევრიც რუსეთის შიგა გუბერნიებში გადაასახლა.(ხუციშვილი,1987:147). მიუხედავად ასეთი მკაცრი ზომებისა ქართველ ხალხს არასოდეს შეუწყვეტია სულიერი თავისუფლებისათვის ბრძოლა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მღვდელ იოსებ ჩიჯავაძის უთარიღო წერილი ეპისკოპოს კირიონისადმი: „ბერძნები და რუსები შეკავშირდნენ და ერთად მუშაობენ ჩვენ წინააღმდეგ. მაგ უბედურებმა არ იციან, რომ მერე მაგათზე მოიცლის რუსეთის პოლიტიკა. რა უნდათ ჩვენგან თუ კანონიერს ვთხოულობთ, განა ეს ვისმეს უფლებას არღვევს?“ (ჩხარტიშვილი,2012:200). სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ბერძნებისა და რუსების რა კავშირზე ჰქონდა საუბარი იოსებ ჩიჯავაძეს, თუმცა

ისტორიულ სინამდვილეს თუ გავითვალისწინებთ, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიულ მოწინააღმდეგეებს რუსებთან კავშირი არ უნდა გაძნელებოდათ.

1908 წელს კვლავ შემუშავდა ახალი პროექტი, რომელიც გულისხმობდა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებას და მის ტერიტორიაზე სამი დამოუკიდებელი ეპარქიის დაარსებას. თუმცა, რუსულმა მმართველობამ იმ დროს ეს ვერ შეძლო. 1912 წლის 7 თებერვალს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში სიტყვით გამოვიდა ქართველი დეპუტატი ევგენი გეგეჭკორი. მან დასვა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობის შესახებ: „ჩვენ ვერ გავჩერდებით, როდესაც ერთი კალმის მოსმით, გენერალ ტორმასოვის წინადადებით ფეხქვეშ გაითელა ღვთისა და ადამიანის კანონები“ (ქოქრაშვილი,2004:126).

1912 წელს გამოქვეყნდა ეპისკოპოს დავით კაჭახიძის სტატია- „К вопросу об Автокефалий Иверскои Церкви“. ამასთან დაკავშირებით 1912 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსი არქიეპისკოპოსი პიტირიმი მას საყვედურობს: „მის ყოვლადუსამღვდელოესს პიატიგორსკის ეპისკოპოსს და ვლადიკავკაზის ეპარქიის ვიკარს დავითს: წმიდა სინოდმა იმსჯელა გაზეთ „Закавказье“ N 183 ნომერში გამოქვეყნებულ თქვენ სტატიაზე, რომ ქართველების სურვილი აღადგინონ ავტოკეფალია, არ არის დაბნეულობა და სეპარატიზმის გამოვლინება. ამგვარი სტატიების დაბეჭდვა იწვევს დაბნეულობას და შეაქვს არეულობა საქართველოს საეგზარქოსოში. სხვათა შორის ყველა სასულიეროს და მათ შორის მღვდელმთავარის მსახურება მიმართული უნდა იყოს, რათა ეკლესიის წევრებს შორის იყოს მშვიდობა და სიყვარული“(სცსა.ფ.488ს.26974).ქართველი მღვდელმთავრის მიერ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნაზე, რუსი ეგზარქოსი იქეთ უკითხავს მორალს ეპისკოპოს დავითს მშვიდობასა და სიყვა-

რულზე.

1916 წლის განმავლობაში რუსეთის სინოდი არაერთხელ მიუბრუნდა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტს. შემუშავებული გეგმით უნდა შექმნილიყო კავკასიის სამიტროპოლიტო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას როსტოვის დონიდან ერზრუმამდე. მისი ცენტრი ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ქალაქში განთავსდებოდა. უქმდებოდა საქართველოს საეგზარქოსო, ხოლო საქართველოს ეკლესია მასში ერთ-ერთი ეპარქიის სტატუსით გაერთიანდებოდა (ქოქრაშვილი, 2008:295).

რუსეთის სინოდის ამ ვერაგულ პროექტსაც არ ეწერა აღსრულება, რადგან რამდენიმე თვეში ისტორიული კანონზომიერება აღდგა. 1916 წლის მარტში უწმიდესი სინოდის ერთ-ერთმა კომისიამ განიხილა და მოიწონა პროექტი, რომელიც სოხუმის ეპარქიისაგან არაქართული სამრევლოების გამოყოფას ითვალისწინებდა. გამოყოფილი სამრევლოები მიეწერებოდა „შავი ზღვის ეპარქიას“, რომელიც მომავალში უნდა შექმნილიყო. კ. კეკელიძის დამოწმებული წყაროს თანახმად, სოხუმის ოლქის მართლმადიდებელი მოსახლეობის შემადგენლობის ოფიციოზი ასე შედგებოდა: რუსები 3648, აფხაზები 20777, ბერძნები 4079, სვანები 170, სამურზაყანოელები 35 516, მეგრელები 17346 და ქართველები 6053. იმპერიის მთავრობა არამც თუ აფხაზებს, სამურზაყანოელებს, მეგრელებსა და სვანებსაც არ სცნობდა ქართული მოდგმის ხალხად (პაპუაშვილი, 1996:10). რუსეთის სინოდი ყველაფერს აკეთებდა, რომ ქართველთა ეროვნული და ეკლესიური ერთიანობა დარღვეულიყო. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა 1914 წლიდან, როცა ეგზარქოსად დაინიშნა პიტირიმი. იგი, როგორც საქართველოს ეკლესიის მიმართ ლიბერალურად განწყობილი პიროვნება, საქართველოს ეგზარქოსად მიუღებელი იყო. ამის გამო ის 1916 წელს პეტერბურგის მიტროპოლიტად გადაიყვანეს, თუმცა იგი შეძლებისდაგვარად ცდი-

ლობდა ქართველი ხალხის დახმარებას.

ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ, ემხილებინათ რუსეთის ძალმომრეობა. 1916 წლის 9 მაისს სტოკჰოლმიდან „რუსეთის ჩაგრულ ერთა ლიგამ", რომელშიც გაერთიანებული იყო იმპერიაში შემავალი ყველა ერის წარმომადგენელი აშშ-ს პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს ვაშინგტონში ტელეგრამა გაუგზავნა. ტექსტს ქართველი ერის სახელით ხელს აწერდა მიხაკო წერეთელი. ტელეგრამის ტექსტში ქართველი ერის სარწმუნოებრივ უუფლებობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იმავე წელს „თავისუფალ საქართველოს კომიეტეტმა" შვეიცარიაში გამოაქვეყნა „მიმართვა განათლებულ კაცობრიობას". ამ მიმართვაშიც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას (ბუბულაშვილი, 2000:55-56).

1916 წლის დეკემბერში ქართველი სამღვდელოების კრებამ იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს მოსთხოვა „განხორციელდეს სურვილი ქართველი ერისა, მის ეკლესიას თქვენი უდიდებულესობის ბრძანებითა და წყალობით დაუბრუნდეს ავტოკეფალია", მაგრამ ვიდრე იმპერატორის კანცელარიაში ამ მოთხოვნას განიხილავდნენ და დადგენილებას მოამზადებდნენ, მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია (ბენდიანიშვილი, 2008). 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთში, პოლიტიკური თვალსაზრისით მრავალი ცვლილება განხორციელდა. რუსული ეკლესია კი რევოლუციის დამთავრებისთანავე დროებითი მთავრობის სამსახურში ჩადგა. ქართველი სამღვდელოება როგორც კი დარწმუნდა, რომ დროებითი მთავრობა არ აპირებდა საქართველოს ეკლესიაზე უწმინდესი სინოდის კომპეტენციის შეწყვეტას, მას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა (პავლიაშვილი, 2008:255).

1917 წლის მარტის დასაწყისში ქართველმა ავტოკეფალისტებმა აქტიური მოქმედება დაიწყეს. 6 მარტს ეპისკოპოს ანტონ გიორგაძის ინიციატივით ფერისცვალების მონასტერში, სადაც იგი

ცხოვრობდა, შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:ნოე ჟორდანია, სოსიკო მერკვილაძე, იპოლიტე ვართაგავა,ალექსანდრე ლომთაძე, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე.(ვარდოსანიძე,2010:96). მათი მონაწილეობით ეპისკოპოსმა ანტონმა შექმნა „12 მარტის აქტი". დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე ასახელებს კიდევ სამ პირს, რომლებიც ამ შეხვედრას დასწრებიან: თ.სახოკიას, ვ.კარბელაშვილს და პ.ბარათაშვილს. ავტოკეფალიის აღდგენის აქტი განსაკუთრებით დამუშავდა დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ბინაზე, სადაც 8 მარტს „მოწვეულ იქნა თათბირზე ნოე ჟორდანია, ის მოიყვანა სოსიკო მერკვილაძემ.დარიის მონასტრიდან მოვიდა ანტონ ეპისკოპოსი. ამ მცირე კრებაზე მივიღეთ ნ. ჟორდანიასგან პოლიტიკური დირექტივები ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში. (თალაკვაძე,2013:74). ეპისკოპოს ანტონის მიერ შედგენილ ავტოკეფალიის აღდგენის აქტს საბოლოო სახე 1917 წლის 8 მარტს მიუღია დეკანოზ თალაკვაძის ბინაზე და ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა ეპისკოპოს ანტონის გარდა ნოე ჟორდანიასაც მიუღია.

1917 წლის 12 მარტს, კვირას მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში შეიკრიბა ათასობით ადამიანი. ღვთისმსახურება აღავლინა გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე). მსახურებაზე იყვნენ: იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი), გორის ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე), არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), თბილისის ქართველი სამღვდელოება, საქართველოს საგუბერნიო და სამაზრო მარშლები, თავადაზნაურობა და წირვაზე მოსული მორწმუნე ხალხი. წირვისა და პარაკლისის აღსრულების შემდეგ ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ წაიკითხა უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება:

„ა) დღეიდან, ე.ი. 12 მარტიდან, გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია;

ბ) დროებით კათალიკოსის არჩევამდე ეკლესიის გამგედ ინიშნება გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე;

გ) საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც სასულიერო, ისე საერო პირები.

მთავარი დოკუმენტის შინაარსი კი შემდეგნაირი იყო: „1917 წელსა მარტის 12 დღესა მცხეთის წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საყდარში, კვირა დღეს, შევიკრბენით რა ჩვენ, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარნი, სამღვდელოების კრებული და სამწყსოთა წარმომადგენლები, შევასრულეთ წირვა და სავედრებელი პარაკლისი. გავითვალისწინეთ რუსეთის სახელმწიფოში მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახალი მთავრობის დაფუძნება და მისი საყოველთაო საზოგადოდ სახელმძღვანელო დებულებანი და განსაკუთრებით სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლების მისგან აღსარება მივიღეთ რა მხედველობაში:

ა) ვინაიდან საქართველოს ეკლესია არსებობდა დამოუკიდებლად, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, რომლის მოსპობა ანუ გაუქმება არ ექვემდებარებოდა არავითარ ძალას, გარდა მსოფლიო კრებათა და სრულიად არაკანონიკურად შეაჩერეს მისი ავტოკეფალური მართვა-გამგეობა;

ბ) საჩქაროდ განგრძობილ იქნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მართვა-გამგეობა“ (გაზ.საქართველო, 1917:№59).

აღნიშნული დოკუმენტის მიღება ავტოკეფალური მოძრაობის ლოგიკური დასასრული იყო. საქართველოს ეკლესიის კანონიკური უფლებებისათვის დაწყებული ბრძოლა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო, 1917 წლის 12 მარტს ავტოკეფალიის აღდგენით დაგვირგვინდა. ავტოკეფალიის აღდგენის აქტში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების გარეშე უკანონოდ იყო

გაუქმებული, რისი უფლებაც არავის არ ჰქონდა. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ 12 მარტიდან „საჩქაროდ განგრძობილ“ იქნეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ე.ი. 1811 წელს ძალადობით შეჩერებული ქართული ეკლესიის ავტოკეფალია უნდა გაგრძელებულიყო.

ავტოკეფალიის აღდგენის მეორე დღესვე, სრულიად საქართველოს ეკლესიის მოსაყდრე ეპისკოპოსმა ლეონიდემ წერილი მისწერა საქართველოს ყოფილ ეგზარქოსს პლატონს.“მართვა-გამგეობა საქართველოს ეკლესიისა, რომელიც უხსოვარი დროიდან სარგებლობდა ავტოკეფალურის უფლებით, XIX საუკუნის დასაწყისში ხელში ჩაიგდო, წინააღმდეგ თვით ეკლესიის სურვილისა, რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა... გერთმევათ უფლება განაგოთ საქართველოს ეპარქიები და მრევლი... საქართველოს საკათალიკოსოს საზღვრებში, ასევე ის კრედიტი, საქართველოს ეკლესიის შესანახად რომ უნდა გადაიდოს ხოლმე. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობას ვიწყებ მე“. (გაზ. საქართველო 1917№61).

აი, რას წერდა ეპისკოპოსი ლეონიდე ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ: „ 12 მარტს მცხეთაში, სარწმუნოებრივი მონობის ბორკილების ნამსხვრევები გავაყოლეთ მტკვრისა და არაგვის ზვირთებს, ზღვის უფსკრულში სამუდამოდ დასამარხად. დღეს ჩვენი ეკლესია თავისუფალია. დღეიდან ქართველ ერს აღარა გადაეღობება რა, რომ მშობლის ენაზე ილოცოს და ადიდოს ღმერთი“ (გაზ.საქართველო,1917№67).

1917 წლის მარტში სტარაია-რუსადან გამოგზავნილ მისალოც წერილში არქიმანდრიტი ამბროსი აღნიშნავდა: „მრავალტანჯულ საქართველოს ვულოცავ სასიხარულო ამბავს: მისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. გიხაროდენ შენც, მშობელო დედავ, საკათალიკოსო ეკლესიავ, აღსდეგ და მოავლინე შენი ცხოველმყოფელობა ურწმუნოების გზაზე დაყენებულ ხალხის საკეთილდღეოდ,

აღმობრწყინდი მველებურის სისპეტაკითა და სიწმინდით“(ამბრ. ხელაიას არქივ.აღწერ.2011:19). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალისათვის თავდადებულ მებრძოლს არ ჰქონდა უფლება სამშობლოში დაბრუნებისა, რათა პირადად დასწრებოდა ავტოკეფალიის აღდგენის დღესასწაულს.

ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით მერაბ კოსტავა აღნიშნავდა: საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მოიპოვა ავტოკეფალია, რითაც დაამტკიცა, რომ მუდამ იყო და არის ერთიანი, სუვერენული იდეის გამომხატველი. საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირველ მერცხლად, მის მესაყვირედ საქართველოს ეკლესია იქცა (მნათობი,1990:145).

ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ანჩისხატის ეკლესიაში მირონის კურთხევას, რომელიც ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ შესრულებულა საქართველოს ეკლესიაში. მირონის მოხარშვის დოკუმენტი შეუდგენია ბერ გობრონ წკრიალაშვილს. „ეკლესიაში გამზადებულ იქმნა ქართულ სტილზე აგებული ქურა. ქურა აშენებული ეკლესიის შუა ნაწილში. ქურაზე იდგა ზედადგარი, რომელზეც სპილენძის დიდი ქვაბი იყო შემოდგმული წმიდა მირონის მოხარშვისათვის... ვნების კვირეულის ორშაბათს დღის 12 საათზე კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა თბილელ მიტროპოლიტ ლეონოდესთან და ქართველ სამღვდელოებასთან ერთად გადაიხადა ღვთისმშობლის პარაკლისი, რის შემდეგაც საკუთარი ხელით აიაზმის სხურებით ჩაუშვა ქვაბში ჯვრის სახით სპეციალურად პინაკებზედ და სასმისებში კანდელაკის მიერ გაზადებული მირონის მასალების ნაწილი. მირონის ქვაბთან იქმნენ მორიგენი მუდმივად მთავარ-დიაკონნი, რომელთაც ევალებოდათ მთელი დღე-ღამის განმავლობაში ქვაბის მორევა განუწყვეტლივ, ხოლო სამღვდელოებას ორ-ორი სახარების კითხვა“ (ვარდოსანიძე,2011:21-22).

მირონის კურთხევა დიდ ხუთშაბათს დასრულებულა, როგორც წესი, შემდეგ წმინდა მირონი სპეციალურ თუნუქის ჭურჭელში შეუნახავთ. მირონის კურთხევა ავტოკეფალური ეკლესიის ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა, მისი კურთხევა საქართველოს ეკლესიაში საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა და ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ მისი მოხარშვა სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო.

1917 წელსა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე გადამწყვეტი როლი ითამაშა, რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა. საქართველოს ეკლესიაში ამ პერიოდში უკვე მყარი ნიადაგი იყო მომზადებული ავტოკეფალიის აღსადგენად. ქართული ეკლესიის კანონიერი უფლებების აღდგენა ერის სულიერი მოთხოვნილებების აღსრულება იყო.

ამიერიდან, ქართულ ეკლესიაში ღვთისმსახურება და საქმის წარმოება ისევ ქართულ ენაზე შესრულდებოდა. 1917 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაგვირგვინება იყო კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები. სულ პატრიარქობის ორი კანდიდატი იყო: ეპისკოპოსი ლეონიდე და ეპისკოპოსი კირიონი. 11 ხმის უპირატესობით გაიმარჯვა ეპისკოპოსმა კირიონმა. შესაბამისად, ავტოკეფალია აღდგენილ ივერიის ეკლესიას უკვე განაგებდა კანონიერად არჩეული ეკლესიის მეთაური, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, რომლის მიზანს შეადგენდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია ეღიარებინათ რუსეთისა და აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს. აღნიშნული ბრძოლა მეტად რთული და ხანგრძლივი აღმოჩნდა. იგი გაგრძელდა XX საუკუნის განმავლობაში და 1990 წელს კონსტანტინეპოლში დაგვირგვინდა ავტოკეფალიის საბოლოო აღიარებით.

V.2. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის შემდეგ აუცილებელი იყო, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა ეღიარებინათ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ პატრიარქებს. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რუსეთში მცხოვრები ქართველი მოღვაწეები: პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი. ისინი ცდილობდნენ რუსეთის დროებითი მთავრობის წინაშე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი დაეცვათ. რუსეთის დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალია აღიარა 1917 წლის 27 მარტს, რომლის მიხედვით საქართველოს ეკლესიის მეთაურს უნდა დაქვემდებარებოდნენ მხოლოდ ქართველები, ხოლო რუსები, ბერძნები და სხვები უნდა დამორჩილებოდნენ ამიერკავკასიის რუს მიტროპოლიტს, რომლის რეზიდენცია თბილისში უნდა ყოფილიყო. ეს იყო პირველ რიგში საეკლესიო კანონიკის უხეში დარღვევა, რადგან ამით ილახებოდა ავტოკეფალური ეკლესიის უფლებები. კირიონმა კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის პირველსავე დღეებში ჩამოაყალიბა საქართველოს ეკლესიის სამოქმედო პროგრამა, რომლის მიზანი იყო:„ საქართველოს ეკლესიის ისტორიულ უფლებათა ფარგლებში განმტკიცება, ავტოკეფალურობის ტერიტორიული პრინციპით განხორციელება, რუსული ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგად ეკლესიისა და სამწყსოს შორის დარღვეული კარვშირის გამთლიანება“ (ქოქრაშვილი,2008:284).

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტის დავალებით, 1917 წლის 9 ივნისიდან 2 აგვისტომდე პეტერბურგში ქართული დელეგაცია იყო ჩასული შემდეგი შემადგენლობით: ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე, დეკანოზი კალისტრატე

ცინცაძე, არქიმანდრიტი ამბროსი ხელია. ქართული დელეგაცია მიიღო დროებითი მთავრობის მეთაურმა კერენსკიმ. მალე დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი დებულება მიიღო, რომლის მიხედვითაც „საქართველოს ეკლესიის საბოლოო მოწესრიგებამდე და სარწმუნოების სამინისტროს დაარსებამდე, სინოდის ობერპროკურორს ქართული ეკლესიის მიმართ რჩება იგივე უფლებები, რა უფლებებიც ჰქონდა საქართველოს საეგზარქოსოს მიმართ“ (ვარდოსანიძე, 2001:21). რუსეთის დროებითი მთავრობა ყველაფერს აკეთებდა, რათა ქართული ეკლესიის კანონიერი უფლებები შეელახა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მომენტში პეტერბურგში იმყოფებოდა დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ზუსტად მიუთითებდა იმ ნაკლს, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების 27 მარტის აქტს ჰქონდა. რადგან რუსები და სხვა არაქართველი მართლმადიდებლები რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში უნდა დარჩენილიყვნენ. ივანე ჯავახიშვილის თქმით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს, სინოდის ობერპროკურორ ლვოვთან შედარებით, გაცილებით უფრო გაგებით ეკიდებოდა მისი თანაშემწე ა.ვ. კარტაშოვი. კარტაშოვს დეპუტაციის გაგზავნასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის აზრი გაუზიარებია. მას განუცხადებია: „რუსის ეკლესია მოვალეა ბოდიში მოიხადოს საქართველოს წინაშე“ (არაბიძე. 2009:351).

რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის მოგვარების მცდელობას ადგილი ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის-ვლადიმერ ბენეშევიჩის თბილისში ვიზიტისას 10 აპრილიდან 4 ივნისის ჩათვლით, როცა მას მოლაპარაკება ჰქონდა დეკანოზ კ. კეკელიძესა და ნ. თალაკვაძესთან. მალე ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ ბენეშევიჩი რუსული იმპერიული ინტერესების დამცველი იყო და ეგზარქოსყოფილ პლატონის კონსულ-

ტაციებით სარგებლობდა (ვარდოსანიძე, 2001:18). ბენეშევიჩმა განაცხადა, რომ ტერიტორიული ავტოკეფალიის მოთხოვნის დაკმაყოფილება მის კომპეტენციაში არ შედიოდა. ამ საკითხს განიხილავდა, არა როგორც კანონისტი, არამედ როგორც მთავრობის გამოგზავნილი მოხელე. იგი საკუთარი პროექტით საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიის ნაცვლად ავტონომიას სთავაზობდა. (არაბიძე,2008:305).

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ძალზე დაძაბული ურთიერთობა ქართველ და რუს სამღვდელოებას შორის. ამის გამო, 24 ივნისს საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ რუსეთის დროებით მთავრობას და ობერ-პროკურორს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „17-18 ივნისს მოხდა შეტაკება რუსთა და ქართველთა. რუსებმა ისარგებლეს ქართველთა მოთმინებით, რომელთაც დაუთმეს უხეშ ძალას. საქართველოს ეკლესიის სახელით მოგმართავთ თხოვნით, მიაქციოთ ყურადღება ეპისკოპოს გრიგოლს და სინოდის კანტორის უკანონო მოქმედებას, რომელიც საბოლოოდ მიმართულია ქართველების საბოლოოდ გამოსაძევებლად მშობლიური ადგილებიდან“ (ვაშაყმაძე, 2011:19-20). უნდა ითქვას, რომ ქართული სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, რუსეთის სახელმწიფო თავის სინოდთან ერთად კვლავინდებურად უხეშად არღვევდა ქართველთა უფლებებს, საქართველოს ეკლესიის უკანასკნელი ეგზარქოსი იძულებით გამოიყვანეს თავისი რეზიდენციიდან. ეგზარქოსყოფილი პლატონი გაჯიუტდა და არ თმობდა საკათალიკოსო რეზიდენციას, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები პირველნი შევიდნენ ეგზარქოსის სასახლეში, გამოაძევეს პლატონი და დააბინავეს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა მიტროპოლიტ ლეონიდის მეთაურობით (ვარდოსანიძე, 1994:19). ასე უსახელოდ დაასრულეს თავისი 106 წლიანი „მოღვაწეობა“ საქართველოში რუსმა ეგზარქოსებმა, ხოლო მათი უკანასკნელი წარმომადგენელი იძულებით გააძევეს

საქართველოდან. 1917 წლის 2 ნოემბერს ახლადნაკურთხი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II აღმოსავლეთის პატრიარქებს თავის ეპისტოლეს უგზავნის. ეპისტოლეში კათალიკოსი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერატორის ბრძანებით „უნეტარესი კათოლიკოზ-პატრიარქი ანტონ მეორე დამხობილ იქნა, საყდრისაგან თვისისა და იძულებით წარიგზავნა კედართა ჩრდილოეთისათა... ათჩვიდმეტსა სექტემბერსა მიმდინარე წლისასა აღირჩია უღირსობაი ჩემი და სახელმედვა მე „მთავარეპისკოპოსად მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად“ (ჯვარი ვაზისა, 1987, I:10). კირიონ II-მ ეპისტოლეში აღმოსავლეთის პატრიარქებს შეახსენა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერატორის მიერ იძულებით შეაწყვეტინეს კათალიკოსობა ანტონ II-ს, 1917 წლის 17 სექტემბერს კი კირიონის პატრიარქად გამორჩევით ისტორიული სამართლიანობა აღდგა.

1917 წლის 19 აგვისტოს გაიხსნა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება, სადაც გადაწყდა რუსეთის პატრიარქად აერჩიათ ტიხონ ბელავინი. რუსეთის სინოდი კვლავ უკანონოდ მიიჩნევდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტს. 1917 წლის 29 დეკემბერს რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა მრისხანე წერილით მიმართა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს კირიონ II-ს. პატრიარქი ტიხონი თვლიდა, რომ საქართველოში ეკლესიური გამგებლობა ეკუთვნოდა რუსეთის წმიდა სინოდს, რომ თითქოს ეგზარქოსობის ხანაში ქართველობას არავითარი უკმაყოფილება არ გამოუთქვამს რუსული მმართველობის მიმართ. პატრიარქი ტიხონი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობას ულტიმატუმს უყენებდა, რომ წარმდგარიყვნენ რუსეთის საეკლესიო კრებაზე, როგორც დამნაშავენი და ეღიარებინათ თავიანთი შეცოდებანი. წერილი იმდენად შეურაცხმყოფელი იყო, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოს

-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა კირინ II-მ საერთოდ არ უპასუხა მას (ვარდოსანიძე, 2001:12). 1919 წლის 5 აგვისტოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ ეპისტოლე გაუგზავნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ტიხონს. კათალიკოსი ლეონიდე საფუძვლიანად უსაბუთებს ეპისტოლეში პატრიარქ ტიხონს ისტორიულ რეალობას: „ეკლესიურმა ხალხმა საქართველოსამ მოიწადინა და 12 მარტს აღადგინა თავისი მშობლიური ეკლესია მის ავტოკეფალურ უფლებებში და ეს თვითგამორკვევის აქტი იქმნა დამტკიცებული ამ წლის 27 მარტს დროებითი მთავრობის მიერ და დიდ აქტად წოდებული. ივერიის ავტოკეფალური მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესია აუწყებს ამას ქრისტეს მიერ საყვარელ თავის დას - სრულიად რუსეთის მართლმადიდებელ კათოლიკე ეკლესიას, თქვენი უწმიდესობის სახით“ (ჯვარი ვაზისა, 1990, 3:73). კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე არ მორიდებია რუსეთის პატრიარქ ტიხონს და მას, როგორც თავის თანასწორს - პატრიარქი პატრიარქს, ასე მიმართავს.

აღსანიშნავია საქართველოს მენშევიკური მთავრობის მერყევი პოლიტიკა ავტოკეფალიის საკითხთან მიმართებაში. „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის, თუმცა ის პოლიტიკურის თვალსაზრისით არც რევოლუციას ნიშნავს და არც სოციალიზმს“ - აღნიშნავდა მენშევიკური მთავრობა. აქედან გამომდინარე, ნათელი იყო, რომ მენშევიკებისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მხოლოდ რუსული ეკლესიისაგან გათავისუფლების ფაქტი იყო და არა ეროვნული თავისუფლების ნიშანი (პავლიაშვილი, 2008:288).

უწმიდესი კირიონ II-ისა და ლეონიდეს მცდელობა განაგრძო უწმიდესმა ამბროსიმ, რომელმაც წერილობით მიმართა კონსტანტინეპოლის უწმიდეს პატრიარქს ბასილ III-ს, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს გრიგოლ III, იერუსალი-

მის პატრიარქს უწმიდეს დამიანეს, ალექსანდრიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს გრიგოლ III-ს, ალექსანდრიისა და სრულიად ეგვიპტის პატრიარქს ნიკოლოზს. 1920 წლის 2 მარტს გ.რცხილაძე კათალიკოს ლეონიდეს ატყობინებს: „ჩემთან იყო სადარბაზოდ მსოფლიო პატრიარქის მოადგილე ლოკუმ-ტენესი... თქვენი უწმინდესობის წერილი წაკითხული იყო სინოდის სხდომაზე და ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინაო. ამჟამად იმუშავებენ პასუხის ტექსტს, რომელსაც მოკლე ხანში გაახლებენ. აღნიშნული პასუხები საქართველოს ეკლესიის მესვეურთ არ მიუღიათ. ამიტომ ადასტურებს მიტროპოლიტ კალისტრატეს აზრის ჭეშმარიტებას რუსეთის ეკლესიის ხათრის შენახვასთან დაკავშირებით“.

სავსებით ლოგიკური იყო კალისტრატე ცინცაძის აზრი, რადგან კონსტანტინეპოლის ეკლესიას სურდა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებით არ გაეღიზიანებინა რუსეთის მესვეურები. ყოველგვარ ზღვარს სცილდება 1919 წელს რუსეთის პრესაში გამოქვეყნებული კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის პატრიარქთა ყალბი წერილების შინაარსი. კონსტანტინეპოლის პატრიარქის წერილში აღნიშნულია, რომ ის არ ცნობს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას და მოუწოდებს მის იერარქებს, ყური უგდონ თავიანთი მწყემსის-პატრიარქ ტიხონის ხმას. შეწყვიტონ მასთან მტრობა. გაცილებით აღმაშფოთებელია ანტიოქიის პატრიარქის ყალბი მიმართვის შინაარსი: დაგავიწყდათ, რამდენ ხანს იყავით მოსვენებით, მშვიდობიანად რუს მართლმადიდებელთა საფარველქვეშ? არასოდეს ყოფილხართ ავტოკეფალური... რუსეთის ეკლესიასთან შეერთებამდე თქვენი ეკლესია იყო ანტიოქიის დაქვემდებარებაში... გირჩევთ მოეგეთ გონს და მოინანიეთ (არაბიძე. 2007:290-292). სამწუხაროა, რომ რუსეთის წარმომადგენლები იმ დონემდეც კი დაეშვნენ, რომ ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქების სახელით ყალბი წერილები

გამოაქვეყნეს პრესაში, რათა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის უკანონობა დაესაბუთებინათ. ამის შესახებ განუცხადებია კონსტანტინეპოლის პატრიარქის მოადგილეს ლოკუმ ტენესს, რომელსაც უთქვამს, რომ საქართველოს ეკლესია ცნობილია ავტოკეფალურად მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა იქნა ცნობილი.

მსოფლიო საპატრიარქოს დუმილი საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში არ დრღვეულა მოგვიანებითაც, მაგ. 1926 წლის 10 ივნისისათვის განზრახულ მსოფლიო მე-8 საეკლესიო კრებაზე არ მიიწვიეს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი, მაშინ როცა კრებაზე მიწვეულნი იყვნენ რუსეთის, უკრაინისა და პოლონეთის ეკლესიები. 1926 წლის 24 ივლისს საკათალიკოსო საბჭომ ეპისტოლე გაუგზავნა ყოვლადუწმიდეს ბასილი მესამეს, წერილში საკათალიკოსო საბჭო ულოცავდა მის ყოვლადუწმიდესობას მსოფლიო მერვე კრების მოწვევას (რომელიც ვერ შედგა) და თანაც გამოთქვამდა მწუხარებას, რომ კრებაზე საქართველოს ეკლესია არ იყო მიწვეული. წერილში ასევე საუბარი იყო იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც საქართველოს ეკლესიასთან დაიჭირეს რუსეთის სინოდმა და პატრიარქმა ტიხონმა, რომელთაც შეთხზეს და გამოაქვეყნეს ვითომც კონსტანტინეპოლის პატრიარქის ყალბი წერილი, „აღმოსავლეთის პატრიაარქთა მდუმარებამ, საქართველოს ადგილობრივი უძველესი ეკლესიის მიმართ უყურადღებობამ კადნიერყო შფოთისა, მძულვარებისა და ძმათა ურთიერთზე ამხედრების მოყვარენი, არ გვსურს ვიფიქროთ,რომ ეს მდუმარება და უყურადღებობა გამოწვეულია ამა სოფლიო მოსაზრებითა: პატარა ერის ეკლესიური ინტერესები მსხვერპლად შეეწიროს დიდი ერის ეკლესიურ მეგობრობას და კეთილგანწყობას...“ (ცინცაძე.2010:354-355). როგორც ჩანს ქართველების მცდელობამ გარკვეული შედეგი გამოიღო უკვე მომდევნო წელს.

1926 წლის 2 ივნისს საკათალიკოსო საბჭოს წევრთა და თბი-

ლისის ოლქის წარმომადგენელთა თათბირმა მსოფლიო კრებაზე ერთი წარმომადგენლის- ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ქრისტეფორეს გაგზავნა დაადგინა, რათა მას კრებაზე ან კრების გარეშე განეცხადებინა, რომ საქართველოს ეკლესია არსებობს, როგორც დამოუკიდებელი ერთეული და აქვს თავისი სურვილები და მისწრაფებანი. 18 ივლისს ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე საკათალიკოსო საბჭოს მოახსენებდა: სასწაული უნდა მოხდეს (შეიძლება მოხდეს), რომ ჩვენს დელეგაციას უსმინონ და ვაი, თუ მხოლოდ საბაბი მიეცეთ, ჩვენ გამოგვაცხადონ ოფიციალურად სხიზმატიკოსებად: დიდი რუსეთის ეკლესიას ბერძნები არ აწყენინებენ (არაბიძე.2007:293). საბოლოოდ დელეგაციის გაგზავნის საკითხი მოხსნილა, რადგან VIII მსოფლიო საეკლესიო კრება განუსაზღვრელი დროით გადადებულა. საყურადღებოა, რომ მიტროპოლიტ კალისტრატეს მსგავსად ეპისკოპოსი დავითიც რეალურად მსჯელობდა რუსების განაწყენებასთან დაკავშირებით.

1927 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე ასე გადმოცემდა ამ ფაქტს: 1926 წლის 4 ნოემბერს კონსტანტინეპოლის პატრიარქს მიუმართავს რუსეთის სინოდისთვის: „უახლოეს დროში დამყარდეს კანონიკური ურთიერთობა უწმიდეს სინოდსა და საქართველოს კათალიკოსს შორის“. რუსეთის სინოდს ბაქოს მიტროპოლიტისათვის დაუვალებია, მოლაპარაკება ეწარმოებინა საქართველოს ეკლესიასთან. 1926 წლის 25 დეკემბერს თბილისს სტუმრად ეწვია ბაქოს მიტროპოლიტი, იგი უშუალოდ შეხვდა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის, შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე ეპისკოპოსები მელქისედეკი,ალექსი და ვარლამი.პატრიარქის ნებართვის შემდეგ სიტყვით გამოვიდა მიტროპოლიტი კალისტრატე: „თქვენო მეუფებავ! პირადი შეხვედრის დროს თქვენ მეგობრობას გვთავა-

ზობთ, წერილობით კი მოითხოვთ თქვენდამი დამორჩილებას, გვეძახით „რასკოლნიკებს“...თუ ჩვენ ვავიწროებთ რუს სამღვდელოებას, დაგვისახელოს თუნდ ერთი შემთხვევა აი, ამ თქვენმა მხლებელმა ტფილისელმა დეკანოზმა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის ამისთანა შემთხვევას ვერ გვიჩვენებს. მერე, რომელ ცნობაზეა ლაპარაკი: ვინ ვინ უნდა იცნოს? ჩვენ უნდა თქვენ გვიცნოთ, თუ თქვენ ჩვენ უნდა გიცნოთ? თუ დამიჯერებთ, ჩვენ დიდი ხანია ცნობილნი ვართ“(ცინცაძე,2010:360).

მიტროპოლიტმა კალისტრატემ, ისე როგორც შორეულ წარსულში წმიდა გიორგი მთაწმინდელმა, იმავე ლოგიკით დაუსაბუთა რუს მღვდელმთავარს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება. ამაზე მიტროპოლიტმა პეტრემ პიჯვარი გადაიწერა და განაცხადა: „თქვენ სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ივერიის წმიდა ეკლესიას ვინ არ იცნობს, ვინ იტყვის, რომ იგი „რასკოლის“ მატარებელიაო? გარწმუნებთ, რომ მოხდა გაუგებრობა, რისთვისაც სინოდი ფრიად სწუხსო“. ძნელია ვერწმუნოთ რუს მღვდელმთავარს „სინოდის ფრიად მწუხარებასთან“ დაკავშირებით, სინამდვილეში არანაირი გაუგებრობა არ მომხდარა, რუსეთის სამღვდელო სინოდზე გავლენა იქონია კონსტანტინეპოლის პატრიარქის წერილმა, რასაც 1927 წლის 25 თებერვალს, მოჰყვა სამღვდელო სინოდის მხრიდან შემდეგი დადგენილების მიღება: „Акт о признаний Автокефалий Грузинской Церкви“. „ცნობილ იქმნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ტფილისისა და სოხუმის ეპარქიები აღარ ითვლებოდეს სამღვდელო სინოდის შემადგენლობაში,მათი გადაცემის საკითხი გადაწყდეს საქართველოს საკათალიკოსოსთან შეთანხმებით, რათა რუსმა მართლმადიდებელმა სამრევლოებმა შეინარჩუნონ რუსული ადათები საეკლესიო ცხოვრებაში“. (იქვე:365). ასევე დადგინდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის საქმეზე ცალკე აქტი შემდგარიყო, რომელიც უნდა წარდგენოდათ აღმოსავლეთის

მართლმადიდებელ პატრიარქებსა და საქართველოს ეკლესიას. სამღვდელო სინოდის თავმჯდომარე იყო ლენინგრადის მიტროპოლიტი ბენიამინი. რუსეთის სამღვდელო სინოდის აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს იყო მხოლოდ პროექტი და მას დადგენილების სახე არ მიუღია, ამასთანავე ამ აქტის მიღებას არ აღუდგენია ევქარისტიული კავშირი ორ ეკლესიას შორის.

1927 წლის ბოლოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა ასევე ალექსანდრიის პატრიარქმა მელეტიმ, რომელმაც წერილი გამოგზავნა კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე ციცქიშვილის აღსაყდრებასთან დაკავშირებით: „გვწამს რა უწმიდესი ეკლესია ივერიისა დარჩა ხელუხლებელი და ერთგული ძველისა და მამაპაპეულისადმი, ვაკურთხევ უფალსა, რამეთუ ინება აღვლენა დაქვრივებულის ტახტისა ღვთივმოსავისა და საღვთო სიტყვათა შინა გამოწვრთნილის კაცისა, თქვენს უნეტარესობას. ვხარობთ ივერიის ძმურ ეკლესიასთან... რაც შეეხება ივერიის ეკლესიის ავტოკეფალურად გამოცხადებას, ესეც შეიქმნა ჩვენისა და ჩვენთან მყოფ მიტროპოლიტთა დასის მსჯელობის საგნად. ასეთ გარემოებას როგორც ისტორიულსა და კანონიკურს საფუძველზე დამყარებულს პატივსა ვცემთ მქონეთათვის და პრინციპად მიგვაჩნია ღვთის მოსაობით დაცვა ძველთაგან მომდინარე მდგომარეობათა“ (არაბიძე.2007:295). 1927 წლისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რუსეთისა და ალექსანდრიის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა აღიარეს, თუმცა, როგორც ავღნიშნეთ, ამ დადგენილებებს რეალური ცვლილებები არ მოჰყოლია.

ამასთანავე, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას აღიარებდა კონსტანტინეპოლის ეკლესიაც. ამას მოწმობს 1928 წლის 28 სექტემბრის საკათალიკოსო სინოდის ოქმები, სადაც ჩანს, რომ მსოფლიო პატრიარქ ბასილი III-ს საქართველოს მართლმადიდებელი

ეკლესიის სინოდისათვის მიუმართავს კითხვით, თუ როგორ გადაწყდეს მომავალ 1929 წლისათვის პეტრე-პავლობის მარხვის საკითხი, რა სახით შეიძლება მოგვარდეს პასქალიის საკითხი ახალი კალენდრის მიხედვით და შეიძლება თუ არა ამ საკითხების გადაწყვეტა მსოფლიო კრების მოუწვევლად (ვარდოსანიძე. 2001. 4:15). 1927 წლის 17 თებერვლიდან კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო გადავიდა ახალ სტილზე, ამის შესახებ პატრიარქი ბასილი საქართველოს ეკლესიას უგზავნის პატრიარქისა და სინოდის ეპისტოლეს. (საქ.ეკ.კალენდარი.1928;33).

1943 წლის ოქტომბერში რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. 1943 წლის 14 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ოფიციალური წერილით მიულოცა რუსეთის პატრიარქ სერგის პატრიარქად არჩევა და გამოთქვა რწმენა ამ ორ ეკლესიათა შორის ურთიერთობის აღდგენისა. აღსანიშნავია, ამ პერიოდში საქართველოს ეკლესიის აქტიური პროპაგანდა ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების მიზნით. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ზოგადად ეკლესიის ომის საწინააღმდეგო კამპანია მიზეზ-საბაბად იქცა საბჭოურ საეკლესიო კურსში სერიოზული სახეცვლილების შეტანისათვის“ (პავლიაშვილი, 2008:478). ორი საეკლესიო იერარქის ურთიერთობისკენ ლტოლვამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ 1943 წლის 28 ოქტომბერს დაიწყო მთელ რიგ საკითხებზე შემამზადებელი მოლაპარაკებები. ამ მისიით რუსეთის პატრიარქმა სერგიმ საქართველოს საკათალიკოსოში წარმოგზავნა თავისი წარმომადგენელი, სტავროპოლისა და პიატიგორსკის არქიეპისკოპოსი ანტონი. საქართველოს სასულიერო ხელისუფლებასთან შეხვედრისას მეუფე ანტონმა აღნიშნა, რომ პატრიარქისაგან მოვლინებული იყო საქართველოს ეკლესიის ხელისუფლებასთან, რათა ადგილზე გამოერკვია რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ლოცვითი და კანონიკური განხეთქილების

ლიკვიდაციის საშუალებანი. საეკლესიო კანონმდებლობიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ საეკლესიო საზღვრები უნდა დამთხვეოდა სამოქალაქოს, რომ რუსული საპატრიარქო თანახმა იყო ეღიარებინა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია საქართველოს სსრ-ს საზღვრებში (ბენდელიანი, 2002:138).

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ევქარისტული კავშირის აღდგენა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის. მათ შორის ურთიერთობა 1917 წლიდან გაწყვეტილი იყო. მართალია, 1927 წელს რუსეთის სამღვდელო სინოდმა აღიარა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, თუმცა ლოცვითი კავშირი ეკლესიებს შორის არ აღდგენილა. 1943 წლის ოქტომბერში რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის როგორც ტერიტორიული ავტოკეფალია, ასევე საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტული და VI ადგილი მსოფლიო დიპტიხში.

რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიისა და ლიტურგიკულ-კანონიკური აღიარების საქმეში დიდი როლი მიუძღვის საბჭოთა კავშირის ერთპიროვნულ ლიდერს იოსებ სტალინს. 1943 წლის 4 სექტემბერს სტალინმა კრემლში მიიწვია მიტროპოლიტები: სერგი, ალექსი, ნიკოლოზი და გადაწყდა რუსეთის ეკლესიაში პატრიარქის ინსტიტუტის აღდგენა. 8 სექტემბერს მოსკოვში 20 იერარქის მონაწილეობით შემდგარმა კრებამ სრულიად რუსეთის პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი სერგი. 14 სექტემბერს რუსეთის პატრიარქ სერგის მიმართა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ: „ეკლესიებმა, რუსულმა და ქართულმა, იცხოვრონ ერთმანეთთან მშვიდობით და თანხმობით სადიდებლად ღვთისა“ (ჯაფარიძე,III.2003:174-175). ისტორიკოსი სერგო ვარდოსანიძე კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესა და სტალინის შეხვედრის ფაქტს არ ადასტურებს: „უწმიდესი კალისტრატესა და სტალინის პირისპირ

შეხვედრა არ შემდგარა. ამიტომ გავრცელებული ინფორმაცია, ვითომც კრემლში უწმიდესი კალისტრატე სამოქალაქო სამოსით გამოცხადდა, ფოლკლორის ჟანრს განეკუთვნება" (ვარდოსანიძე.2009:86). ამ ფაქტს პატრიარქ კალისტრატეს წერილიც ადასტურებს, რომელიც მან ი.სტალინს გაუგზავნა 1948 წლის 21 ივლისს: „კაცთა შორის რჩეულო, ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება. ალბათ, ამის ღირსი არ ვარ. მიიღეთ, ძვირფასო იოსებ, საქართველოს ეკლესიისა და მისი მეთაურის გულწრფელი მადლობა მშობელი საბჭოთა კავშირში არსებული სარწმუნოებრივ ორგანოზაციათა სიაში შეყვანისათვის" (იქვე:87). ცხადია, რომ მათი შეხვედრა არ შემდგარა, პატრიარქის სიტყვაში კი კარგად ჩანს პატივისცემა საბჭოთა ბელადის მიმართ. უდავოა, რომ სტალინის ავტორიტეტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საქმეში. 31 ოქტომბერს სიონის საკათედრო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს თანამწირველი იყო მთავარეპისკოპოსი ანტონი. „პატივი და დიდება თქვენ, რადგან პირველი იყავით სიყვარულისა და მშვიდობის ინიციატორი ორ ეკლესიას შორის, რომ პირველმა მოისურვეთ და შეიცანით ორ წმინდა ღვთიურ ეკლესიებს შორის ლოცვით და კანონიკურ ურთიერთობათა აღდგენის მნიშვნელობა და აუცილებლობა" - მიმართა უწმიდეს კალისტრატეს მთავარეპისკოპოსმა ანტონმა (ვარდოსანიძე, 2011:18). რუსეთის პატრიარქმა წერილებით მიმართა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებს და აცნობა, რომ ამიერიდან რუსეთის ეკლესია ოფიციალურად აღიარებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას.

მომავალში ამას მოჰყვა საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო აღიარებაც. პატრიარქმა სერგიმ ოქტომბერში მიმართა საქართველოში მცხოვრებ რუსებს: „1943 წლის 31 ოქტომბერს დამთავრდა განხეთქილება და ეჰვი წარსულს ჩაბარდა... ვადიდოთ საქართვლოს ღვთისათნომყოფელთა ნათელი კრებული: საქარ-

თელოს განმანათლებელი მოციქულთა სწორი ნინო და ქართველი მოღვაწენი, რომელნიც რუსეთის წმიდა ნათლობამდე მრავალი წლით ადრე უკვე ანათებდნენ მსოფლიოში ქრისტეს მადლს. გვჯერა, ზეცაში განდიდებული საქართველოს ლოცვით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შუამდგომლობის“ (ვარდოსანიძე, 2001:211). ეს იყო გულწრფელი აღიარება რუსი პატრიარქისა, რაც ძალზე იშვიათი მოვლენა იყო. პატრიარქ სერგის სინოდალური განჩინების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქ კალიტრატეს წერილი გამოუგზავნა, რომელშიც მიუთითებდა, რომ არ უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რაც იწერებოდა და ითქმებოდა წარსულში ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. რაც ხელს უშლიდა მოცემული საკითხისადმი მიუკერძოებელ მიდგომას (ჯაფარიძე. 2003.III:117). აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეკლესიაში პატრიარქ სერგის აზრს ჰყავდა მონიწააღმდეგენი. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებამ განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია საქართველოს ეკლესიისადმი ოპოზიციურად განწყობილი რუსი სამღვდელოების ერთ ნაწილში,რომელიც პატრიარქ სერგის საეკლესიო კურსის მოწინააღმდეგე იყო. ყველაზე რთულ დროს კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ქართული ეკლესია აღწევს უდიდეს გამარჯვებას, ნაყოფიერად იყენებს მის ღვაწლს სამამულო ომში და იპოვებს ეროვნული ეკლესიის იურიდიული უფლებების აღიარებას რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან (კულტ. ისტ. საკითხები, 1999, VII:115).

1943 წლის შემდეგ, საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო აღიარების საქმეში იწყება ახალი ეტაპი. 1945 წელს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის პატრიარქი ალექსი I. 1948 წელს უწმიდესმა კალისტრატემ მონაწილეობა მიიღო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის 500 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში. მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებზე დიდი შთაბეჭდი-

ლება მოახდინა მისმა გამოსვლებმა (ვარდოსანიძე, 2009:93).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საქმეში თავისი წვლილი მიუძღვის კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემს (სიდამონიძეს). 1962 წლის 4 მაისს კათალიკოსმა ეფრემმა ოფიციალური თანხმობა განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანებულიყო. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიეცა შესაძლებლობა, საერთაშორისო ტრიბუნა გამოეყენებინა ჩვენი ეკლესიის ინტერესებისათვის. 1962 წელს უწმიდესი ეფრემი გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კონფერენციაზე. როგორც პროფესორი ფიშერი აღნიშნავდა, პატრიარქის გამოსვლისათვის განსაზღვრული იყო 40 წუთი. უწმიდესი ეფრემ II 3-საათიანი გამოსვლით წარსდგა მსმენელთა წინაშე. ეს იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ეკლესიის სრული სურათის წარდგენის მცდელობა, თანაც წარმატებული (ვარდოსანიძე, 2007:39).

ზოგიერთმა ეკლესიამ (მაგ. პოლონეთის) ქართული ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა მხოლოდ დე-ფაქტოდ. 1961 წელს პირველ სრულიად მართლმადიდებელთა თათბირზე მხოლოდ ორი სასულიერო პირი მიიწვიეს საქართველოდან. ეს ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს ეკლესია ავტონომიურად იყო მიჩნეული და არა ავტოკეფალურად. ამ შემთხვევაში ქვეყნის სამი წარმომადგენელი უნდა მიეწვიათ. ელადის ეკლესიის მიერ გამოცემულ კალენდარშიც საქართველოს ეკლესია ავტონომიურად (კონსტანტინეპოლის ეკლესიაზე დაქვემდებარებულად) იყო მოხსენიებული. ეს საკითხი პასუხგაუცემელი დატოვეს ბელგრადისა და ჟენევის საეკლესიო თათბირებმა და კონფერენციებმა. როდესაც მეცნიერული საბუთიანობით ვერაფერს გახდა მეუფე ილია, უკიდურეს ზომას მიმართა - პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა (მეტრეველი, 2008:47-48).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საბოლოო აღიარე-

ბის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს. იგი ჯერ კიდევ შემოქმედელი ეპისკოპოსი იყო, როცა 1963 წელს კუნძულ როდოსზე მართლმადიდებელ ეკლესიათა ფორუმზე დააფიქსირა საქართველოს ეკლესიისადმი უპატივცემულობა, რადგან ისინი ოფიციალურად არ სცნობდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. მოსკოვის საპატრიარქოს ტახტის მიტროპოლიტი კოლმენისა და კუტიცკის პიმენი, თავის წერილში პატრიარქ ათენიგორას, 1970 წლის 10 აგვისტოს (ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მიღების შემთხვევაში) სწერდა, რომ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა დამყარდა 467 წელს ანტიოქიის ეკლესიის მიერ. ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი მთავარეპისკოპოსი იერონიმე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ფიქრობდა, რომ 556 წელს ეს საკითხი ანტიოქიის სინოდის მიერ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი საბოლოოდ, მხოლოდ 604 წელს იქნა ეს გადაწყვეტილება ცნობილი სხვა პატრიარქების მიერ. 1971 წელს ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდარი უკვე რეალურ ინფორმაციას გადმოცემდა. კერძოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია დაადასტურა მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, ასევე ბრიუსელისა და ბელგიის მთავარეპისკოპოსი ვასილი (კივოშენი) აცხადებდა, რომ „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია V საუკუნიდან დამოუკიდებელია, VIII საუკუნიდან კი ავტოკეფალური. 1012 წლიდან მას პატრიარქი უდგას სათავეში“ (Скурат, 1994:39). ზემოთ ჩამოთვლილი ცნობები ძალზე მნიშვნელოვანია. როგორც ჩანს, მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს რეალური ინფორმაცია გააჩნდათ საქართველოს ეკლესიაზე, თუმცა საბოლოოდ ამ ყველაფერს ოფიციალური ფორმა უნდა მიეღო.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე საბერძნეთში ვიზიტის შესახებ იხსენებს: კუნძულ როდოსზე გაიმართა ყოველთა მარ-

თლმადიდებელთა შეკრება, რომელსაც მე ვესწრებოდი. საქართველოს ეკლესიას კრებაზე ადგილი ავტონომიურ ეკლესიათა შორის ჰქონდა მიჩენილი. იქ შევხვდი მსოფლიო პატრიარქის დელეგაციას, რომელსაც ცნობილი პიროვნება, მიტროპოლიტი მელიტონი მეთაურობდა. ჩვენ მასთან გვქონდა ძალიან მკვეთრი და მკაცრი კამათი. მე ვუთხარი, რომ საქართველოს ეკლესია ავტონომიური არასოდეს ყოფილა და რომ ჩვენ შევდიოდით ანტიოქიისა და არა მსოფლიო საპატრიარქოში. იქ ძალიან დიდი დახმარება გამიწია ბრიუსელის მთავარეპისკოპოსმა ვასილი კივოშეინმა... მან ბრწყინვალედ იცოდა ბერძნული და კამათის დროს აქტიურად ეჭირა ჩვენი მხარე(კათ.პატრ. ილია II. 2008:263). ეპისკოპოს ილიას კვლავ მოუწია ბერძნებთან კამათი, როგორც ეს წარსულში ხდებოდა, როცა ქართველი მოღვაწეები მტკიცედ იცავდნენ საქართველოს ეკლესიის უფლებებს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეპიკოპოსმა ილიამ მომხდარის შესახებ მოახსენა კათალიკოს-პატრიარქ ეფრემს, რასაც მოჰყვა მსოფლიო პატრარქთან საპროტესტო წერილის გაგზავნა.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოწვევით 1978 წლის 1-4 ივნისს თბილისში იმყოფებოდა მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი. საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა პირველი სერიოზული მოლაპარაკება ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ ქართველი მეცნიერები; პროფესორები: მ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, ო. ჯაფარიძე, პ. ზაქარაია, შ. ლომსაძე, ი. სიხარულიძე, გ. მამულია, ნ. ასათიანი, რ. სირაძე, ა. ბოგვერაძე, დ. გოგოლაძე, თ. ბერაძე, ი. ლოლაშვილი, ბ. ლომინაძე. პატრიარქის თხოვნით ქართველ მეცნიერებს უნდა ემუშავათ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაზე, რადგან მოსაგვარებელი იყო ავტოკეფალიის აღიარების საკითხი.

1979 წლის 2-8 მაისს კათოლიკოს-პატრირქი ილია II თანმხლებ

პირებთან ერთად სტამბულში იმყოფებოდა კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქის უწმიდესი დიმიტრიოსის მიწვევით. შეხვედრაზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია- II-მ განაცხადა: „როდესაც წერილს ან მილოცვას გვიგზავნის კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო, სწორად არ არის მოხსენიებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ისე, როგორც წოდებულია V საუკუნიდან... საქართველოს ეკლესია კანონიერად უნდა იკავებდეს თავის ადგილს... როცა ხდება კუთვნილი ადგილის დარღვევა, ეს გავლენას ახდენს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაზე და მის ავტორიტეტზე მთელ მსოფლიოში... ჩვენ გვსურს, ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს“ (ვარდოსანიძე, 2008:175).

80-იან წლებში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა ავტოკეფალიის აღიარების საკითხზე. ამ პერიოდში ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურთა ვიზიტებს საქართველოში. მათთან შეხვედრებზე მთავარი საკითხი იყო ავტოკეფალიის აღიარება და საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ადგილი დიპტიქში. საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ: 1981 წელს პაპი და პატრიარქი ალექსანდრიისა ნიკოლოზ VI, იმავე წლის 17-20 სექტემბერს იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქი დიოდოროს I (კარვალისი). ვიზიტის მიზანი იყო საქართველოსა და იერუსალიმის ეკლესიებს შორის ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში დაწყებული კონტაქტების აღდგენა. „ჩვენ გვერდით არიან ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, რომლებმაც იქადაგეს ქრისტეს მცნებანი საქართველოში“ („ჯვარი ვაზისა“, 1981, №2:16). დიპტიხში თავის კუთვნილ ადგილთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წერილობითი მხარდაჭერა მოითხოვა და მის მოთხოვნას დადებითად გამოეხმაურნენ: სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი პიმენი (1982 წ. 29.IX), პრაღისა და ჩეხოსლოვაკიის მიტრო-

პოლიტი დოსითეოსი (1982 წ. 16.VII), ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე (1982 წ. 16.V), ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი უწმიდესი ნიკოლოზ V (1982 წ. 1.IX). შთამბეჭდავი იყო იერუსალიმის პატრიარქის დიოდოროსის წერილი: „დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთსულოვნებით საქართველოს მოწამეობრივმა, მაგრამ ამავე დროს დიდებულმა საპატრიარქომ უნდა მიიღოს თავისი შესაბამისი ადგილი კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიხში“ (ვარდოსანიძე, 2008:177).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საბოლოო აღიარება მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ, 1990 წელს, მოხდა. 1990 წლის 7 იანვარს სიონში წირვის დამთავრების შემდეგ საქართველოში სტუმრად მყოფმა მიტროპოლიტმა ქრიზოსთომოსმა ოფიციალურად გამოაცხადა მსოფლიო საპატრიარქოს გადაწყვეტილება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტულის აღიარების შესახებ. მეორე დღეს, 8 იანვარს, უწმიდესი და უნეტარესი ილია II გაეცნო უკვე საბოლოო ტექსტს. სიტყვების: „ვაღიარებ“ და „ვცნობ“ ნაცვლად ყველგან ეწერა „ვამტკიცებ“ და „ვაცხადებ“. ამასთანავე, ერთ-ერთი ბოლო მუხლის მიხედვით, საქართველოს ეკლესიას მირონი უნდა წამოეღო კონსტანტინეპოლის ეკლესიისაგან. ისევ გაგრძელდა კამათი. ბერძენმა მიტროპოლიტმა საკუთარი ხელით ჩაასწორა, თუმცა აღნიშნა, რომ მირონის საკითხი ჩემს კომპეტენციას და ძალებს აღემატებაო. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მირონის საკითხზე მკაცრად განაცხადა, რომ: „საქართველოში არსებული ისტორიული საბუთების მიხედვით, მირონი უკვე VIII საუკუნიდან იხარშება. არსებობს ჰიპოთეზები, რომლებიც კიდევ უფრო ადრეულ ეპოქაში გადასწევენ ამ თარიღს... ეჭვიც არ მეპარება თქვენს სიტყვებში, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ არც მე და არც დიმიტრიოს I და,

საერთოდ, არცერთი ჩვენგანი უკვდავი არაა. მე შთამომავლობას ვერ დავუტოვებ საკამათო საკითხს. ვინ მაპატიებს, საუკუნეების წინათ მოპოვებული უფლება დღეს ერთი ხელის მოწერით რომ გავაუქმო?„(ჯვარი ვაზისა.1990,I:20). ბოლოს შეთანხმდნენ, რომ, თუკი საქართველოს ეკლესიის შეთავაზებულ ვარიანტს დასთანხმდებოდა კონსტანტინეპოლის ეკლესიის სინოდი, მაშინ დეპეშას გამოაგზავნიდა მიტროპოლიტი ქიზოსთომოსი და 4 მარტს მართლმადიდებლობის დღესასწაულზე სტამბულში საქართველოს ეკლესიის მეთაურს საზეიმოდ გადაეცემოდა სათანადო საბუთები. 1 მარტს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა. ვიზების მიღების შემდეგ, 3 მარტს, დელეგაცია ჯერ ბერლინში, შემდეგ კი სტამბულში გადაფრინდა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: 1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა),3.ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე (მარგალიტაშვილი), 4. სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი პროტოპრესვიტერი გიორგი (გამრეკელი), 5. სიონის საკათედრო ტაძრის მთავარდიაკონი ამირან ამირანაშვილი, 6. საპატრიარქოს ბერძნული ენის თარჯიმანი თამარ მესხი, 7. საპატრიარქოს საგარეო საქმეთა მდივანი ბორის გაგუა.

3 მარტს კონსტანტინეპოლის რეზიდენციაში ქართული დელეგაცია მიიღო კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ყოვლადუწმიდესმა დიმიტრიოს I-მა. აღსრულდა პარაკლისი, რომლის შემდეგ კონსტანტინეპოლის წმიდა სინოდის მდივანმა არქიმანდრიტმა მელიტონმა წაიკითხა ტექსტები: 1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი და 2. საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების საპატრიარქო და სინოდის განჩინება. საქართველოს ეკლესიის მრავალსა-

უკუნოვანი ისტორიის მანძილზე აღნიშნული ორი დოკუმენტის მიღებით საბოლოოდ იქნა აღიარებული კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ ისტორიული წყაროების საფუძველზე ქართული ეკლესიის სრული ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული. 4 მარტს მართლმადიდებლობის დღესასწაულზე კონსტანტინეპოლისა და საქართველოს პატრიარქებმა ერთად აღასრულეს სადღესასწაულო ღვთისმსახურება. წირვის დასრულების შემდეგ სიტყვით გამოვიდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მან ქადაგებაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია V საუკუნიდან ავტოკეფალური იყო და მას კათალიკოსი უდგა სათავეში. XI საუკუნიდან კი საქართველოს ეკლესიის მეთაური პატრიარქის ტიტულის მფლობელი იყო. იგი შეეხო საქართველოს ეკლესიის ადგილს დიპტიქში და აღნიშნა, რომ საქართველოს საპატრიარქოს მუდამ ეკავა VI ადგილი რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის შემდეგ (იქვე:10). დიპტიქთან დაკავშირებით მან მაგალითად მოიყვანა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ნიკოლოზის სიგელი: „ჩვენც გლახაკი ქრისტეს მიერ. შემდგომად ხუთთა პატრიარქთა... და სვეტიცხოვლის მეექვსესა პატრიარქსა და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზი ნიკოლოზი ვამტკიცებ და წარვწერ“. კათოლიკოს ნიკოლოზის სიგელში რომ ისტორიული რეალობაა გადმოცემული, ამას მოწმობს 1437-1439 წლების ფერარა-ფლორენციის კრების აქტები: „პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებული იყვნენ: ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი (ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენელი), ანტიოქიის პატრიარქის მიერ წარმოგზავნილი ეფესოს არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი — იბერიის მიტროპოლიტი. (ტაბაღუა,1984:214).

ვინაიდან დიპტიქში სხვადასხვა დროს მოხდა ცვლილებები, რადგან რომის ეკლესიის პირველი ადგილი კონსტანტინეპოლმა

დაიკავა, რუსეთის მეფეს სურდა და აღმოსავლეთის საპატრიარქოებიც არ იყვნენ წინააღმდეგი, რუსეთის პატრიარქს დიპტიხში დაეჭირა ადგილი ალექსანდრიის პატრიარქის შემდეგ, მაგრამ, რადგანაც წინა საუკუნეებში წმიდა მამათა მიერ დადგენილი იყო დიპტიხში ალექსანდრიის საპატრიარქოს შემდეგ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა ხსენება, ამიტომ აღმოსავლეთის პატრიარქებმა გადაწყვიტეს, რუსეთის პატრიარქის ადგილი დიპტიხში ყოფილიყო იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ (იქვე:23). ამრიგად, რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის გამო აღმოსავლეთის პატრიარქებმა რუსეთის ეკლესიას დიპტიხში მეხუთე ადგილი მიანიჭეს.

დღეისათვის საბოლოოდ არ არის განსაზღვრული ქართული ეკლესიის ადგილი მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიხში, რადგან რუსეთის ეკლესია მეექვსე ადგილზე იხსენიებს ქართულ ეკლესიას, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის,ანტიოქიისა და იერუსალიმის ბერძნული ეკლესიები კი მეცხრე ადგილზე, ბულგარეთის ეკლესიის შემდეგ. 2011 წლის 22-26 თებერვალს შამბეზში (შვეიცარია) შედგა სრულიად მართლმადიდებლური მოსამზადებელი კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდა საქართველოს ეკლესიის დელეგაცია: მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) და პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე. აღნიშნულ სხდომაზე განიხილებოდა საქართველოს ეკლესიის საფუძვლიანი თხოვნა, ყველა ადგილობრივი ეკლესიის დიპტიხში მისთვის კუთვნილი მეექვსე ადგილის მინიჭების შესახებ), თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კომისიამ ვერ მოახერხა, რადგან მიიჩნია, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია ადგილობრივმა ეკლესიებმა ერთობლივი მოსაზრებები ჩამოაყალიბონ (საპატრიარქოს უწყებანი, 2011:604). 1990 წელს ღიად დარჩა მხოლოდ დიპტიხის საკითხი, თუმცა უნდა აღინიშნოს,

რომ 1990 წლის 25 იანვრის კონსტანტინეპოლის წმიდა სინოდის მიერ დადგენილი ორი დოკუმენტი საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობისაა. პირველ სიგელში მოყვანილია საეკლესიო კანონისტ თეოდორ ბალსამონის ცნობები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ: „რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა“. ამის საფუძველზე: „მივიჩნევთ, რომ იგი ჩართულია და არის ძმურ მართლმადიდებელ ეკლესიათა პლეადაში და ვადასტურებთ ამასთანავე იმას, რომ იგი სახელდებულია, როგორც წმიდა ავტოკეფალური ეკლესია სრულიად საქართველოისა“. ვცნობთ მას, როგორც ჩვენ სულიერ დას, რომელიც უფლებამოსილია მართოს და აწარმოოს საქმენი დამოუკიდებლად და ავტოკეფალურად“ (ჯაფარიძე. 2003:184). აღნიშნული სიგელით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხრიდან აღიარებული იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, შესაბამისად აღიარებულ იქნა საქართველოს ეკლესიის მმართველობითი ორგანო წმიდა სინოდი და მისი თავმჯდომარე. ამავე სიგელით საქართველოს ეკლესია და მისი მეთაური ვალდებულია, სხვა დანარჩენ ავტოკეფალურ ეკლესიებთან მიმართებაში დაიცვას სულიერი და კანონიკური ურთიერთობა წესების შესაბამისად.

მეორე სიგელით აღიარებული იქნა საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტული: კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ მოახდინა აღიარება მასზე, რომ „საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებულ იქნეს საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით. როგორც ადრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში მისი ტიტული: „მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა“. ორივე დოკუმენტის მიღებისას გათვალისწინებული იქნა ისტორიული რეალობა. სწორედ უძველეს ქართულ

და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით აღიარეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და საპატრიარქო ტიტული.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას მალევე მოჰყვა ლოგიკური რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის №183 დადგენილებით: მუხლი 2. ვინაიდან ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არის ავტოკეფალური, დაწესდეს, რომ საქართველოში არსებული მართლმადიდებლური ეკლესიების, მათი ქონებისა და სახსრების აღრიცხვას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ახორციელებს დამოუკიდებლად. მე-3 მუხლით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა საკულტო ნაგებობა, მათი უძრავ-მოძრავი ქონებით ქართული ეკლესიის საკუთრებად გამოცხადდა (ვაშაყმაძე, 2011:7).

ამ დადგენილებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და გავლენა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საფუძველი ჩაეყარა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საკონსტიტუციო შეთანხმებას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა დაადგინა: ვინაიდან 1801 წელს საქართველომ იძულების წესით უკანონოდ ჯერ სახელმწიფოებრივი, ხოლო 1811 წელს ეკლესიური დამოუკიდებლობა დაკარგა... დღეს, როდესაც ხდება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია მიიჩნევს, რომ ანექსიის პერიოდში განხორციელებული რელიგიური პოლიტიკა და სხვა ქმედებანი ვერ ჩაითვლება კანონიერად და უფლებას იტოვებს, თავის კანონიკურ საზღვრებში აღდგენილად გამოაცხადოს დამოუკიდებლობის დაკარგვამდე არსებული (სტატუს-ქვო-ს) მდგომარეობა.

2002 წლის 14 ოქტომბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს სახელმწიფოსა (პრეზიდენტი ედუ-

არდ შევარდნაძე) და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II) ხელი მოეწერა საკონსტიტუციო შეთანხმებას. საკონსტიტუციო შეთანხმება დიდი მნიშვნელობის სამართლებრივი აქტია, რომელიც 12 მუხლისაგან შედგება. კონსტიტუციურ შეთანხმებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, განსაზღვრულია ეკლესიის უფლებამოსილებები კულტურულ-საგანმანათლებლო, თავდაცვის, იუსტიციის სფეროებში. ეკლესიის საკუთრებად გამოცხადებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები,მიწის ნაკვეთები, მუზეუმებში, საცავებში არსებული საეკლესიო საგანძური. კონსტიტუციური შეთანხმებით გამოინახა ქართულ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის უნიკალური სამართლებრივი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ეკლესიის დამოუკიდებლობას, მისი სუვერენული უფლებების დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, ეკლესიის ყველა იმ უფლებით აღჭურვას, რომელიც აუცილებელია ერის გამაერთიანებლისა და მისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი სხვა ფუნქციების შესასრულებლად.(მჭედლიძე,კეზევაძე,2008:478).

ამ ორი დოკუმენტის მიღება ლოგიკური დასასრული იყო საუკუნოვანი ბრძოლისა, ავტოკეფალიის აღსადგენად რომ წარმოებდა. როგორც აღვნიშნეთ, საეკლესიო ავტოკეფალია საფუძველია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და პირიქით. XIX საუკუნეში სახელმწიფოებრიობის გაუქმებას მოჰყვა საეკლესიო ავტოკეფალიის შეწყვეტა. რუსული მმართველობის პერიოდში შეიცვალა და განადგურდა ის ადათები და წესები, რაც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ქართულ ეკლესიაში. ავტოკეფალიის საბოლოოდ აღიარების საქმეში აღსანიშნავია კათოლიკოს-პატ-

რიარქ ილია II-ის უდიდესი ღვაწლი. მან ჯერ კიდევ მღვდელმთავრობის პერიოდში დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის და სამი ათეული წელი დასჭირდა ამ პროცესს. 1990 წელს კონსტანტინეპოლში საბოლოოდ მოხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარება. ამიერიდან ქართული ეკლესია და მისი მეთაური იმავე პატივითა და უფლებებით ისარგებლებდა, როგორც სხვა ავტკოკეფალური ეკლესიები. თანამედროვე ეტაპზე რუსულენოვან და ინგლისურენოვან ელექტრონულ საიტებზე აღიარებულია ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის პერიოდში,სადაც მოხსენიებულია კონსტანტინეპოლის პატრიარქი წმ. გენადი, რომელსაც გაუგზავნია ანტიოქიაში კათალიკოსად საკურთხებელი კანდიდატი პეტრე. საიტებზე ასევე არსებობს ინფორმაცია 1811 წელს ავტოკეფალიის გაუქმებისა და 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.

ელექტრონულ ენციკლოპედიაში „ბრიტანიკა“ საქართველოს ეკეს არის ისტორიული კანონზომიერება. ავტოკეფალიის საბოლოო აღიარებით აღსრულდა ქართველი ხალხის დაუცხრომელი სურვილი და საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდა იგივე პატივი და ღირსება, რითაც საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა. ამიერიდან აღარ იქნება მსჯელობისა და განსჯის საგანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რაც არაერთხელ მომხდარა ბერძენთა მხრიდან. 1990 წელს კონსტანტინეპოლში მიღებული ავტოკეფალიის აღიარებისა და საპატრიარქო ტიტულის დოკუმენტებში ასახულია ქართული ეკლესიის ისტორიული და, რაც მთავარია, კანონიერი უფლება, რათა ქართული ეკლესია იწოდებოდეს ავტოკეფალურად, ხოლო მისი მეთაური ატარებდეს პატრიარქის ტიტულს. ავ-

ტოკეფალიის საბოლოო აღიარების შემდეგ დაიწყო სულიერი ფერისცვალება ქართველ ხალხში, რომელიც მტკიცედ იცავს დიდი გიორგი მთაწმინდელის ნაანდერძევს: „ვინაიდგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არა რა უარ გვიყოფიეს“.

თავი VI
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლებრივ-კანონიკური მხარე

საქართველოს ეკლესია დღიდან დაარსებისა დღემდე შეურყვნელად იცავს მართლმადიდებელ სარწმუნოების სიწმინდეს. ამ ფაქტზე ყოველთვის გაზგასმით საუბრობდნენ საქართველოს ეკლესიის ღირსეული მოღვაწეები (არსენ საფარელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და სხვა). ამის შესახებ საუბრობს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II 1993 წლის საშობაო ეპისტოლეში: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დიდად აფასებს თავის მოციქულებრივ წარმოშობას და მიაჩნია, რომ ჭეშმარიტი ეკლესია მხოლოდ ის არის, რომელმაც ურყევად დაიცვა წმინდა წერილი, ქრისტეს მოწაფეთა წმინდა სწავლება, წმინდა მამათა დადგენილებები.საქართველოს ეკლესიის ნებისმიერი მღვდელმთავრის, მღვდლის ანდა დიაკვნის იერარქიულ წარმოშობას საუკუნეთა მანძილზე, აუცილებლად მივყავართ ან წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულამდე, რომელმაც პირველ საუკუნეში იქადაგა საქართველოში და დაარსა აქ პირველი ეკლესია, ანდა წმინდა პეტრე მოციქულამდე, რომელმაც სათავე დაუდო ანტიოქიის ეკლესიას(კათ-პატრ.ეპისტოლენი.2009:258). კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ამავე ეპისტოლეში ბრძანებს: „როდესაც თანამედროვე ისტორიკოსები და ზოგჯერ ღვთისმატყველნიც ეკლესიაზე წერენ, უფრო ხშირად მის გარეგნულ მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას ან წარსულის მიხედვით აფასებენ მის როლს. ეკლესია გაცილებით იმაზე დიდია ვიდრე ჩვენ გვგონია. ეკლესია მისტიკური სხეულია უფლისა“ (იქვე:360).

როდესაც ხატმებრძოლობამ მთელი აღმოსავლურ ქრისტიანული სამყარო მოიცვა, საქართველო ალბათ, ერთადერთ ქვეყა-

ნად დარჩა, რომელსაც ეს წვალება არ შეხებია. უძველესი დოგმატურ-პოლემიკური ძეგლების შექმნა საქართველოში დაიწყო, როგორც ჩანს კავკასიაში მომხდარი დიდი საეკლესიო განხეთქილების შემდეგ (VII ს.დამდეგი) და საქრთველოს ეკლესიის მიერ აღიარებული მართლმადიდებლური კურსის დასასაბუთებლად და განსამტკიცებლად. ამ ხანებში უკვე ითარგმნება პოლემიკური თხზულებები, მაშინ არსებული მწვალებლობების წინააღმდეგ (არიანობა, ნესტორიანობა,მონოთელიტობა და სხვა), მაგრამ წამყვანი მაინც არის პოლემიკა მონოფიზიტურ ეკლესიებთან (ძირითადად სომხეთთან) (ალექსიძე.2004:43).

საქართველოს ეკლესია, მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი, რომ იყო ამას მოწმობს ქართლის კათალიკოს კირიონსა და სომეხთა კათალოკოს აბრაამს შორის გამართული პოლემიკა მეშვიდე საუკუნის დასაწყისში. კათალიკოსი კირიონი სომეხ კათათალიკოსს გარკვევით ეუბნება, რომ დასაბამიდან საქართველოს ეკლესია მტკიცედ იცავს მოციქულთა ნაქადაგებ ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ე.ი. მეშვიდე საუკუნის დასაწყისში,(როგორც შემდგომშიც) საქართველოს ეკლესია მართლმადიდებლური ორიენტაციისა იყო. ამასთან დაკავშირებით კატეგორიულად ვერ გავიზიარებთ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოსაზრებას, თითქოს „ქართლი 520/2 წლიდან ვიდრე 551/4 წლებამდე (სულ 30 წელი, უფრო ზუსტად, 532-551 წლებში) ქალკედონურ-მონოფიზიტური მიდრეკილებისა ყოფილა, მაგრამ ის მსოფლიო ეკლესიის წევრია, რადგან თვით საბერძნეთში იმ დროს მონოფიზიტობა გავრცელებული ყოფილა. არასოდეს ქართული ეკლესია მსოფლიო კათოლიკე ეკლესიას არ დასცილებია, არც ერთი წლით. ის მუდამ მისი ნაწილი იყო, როგორი სარწმუნოებრივი მიმდინარეობისაც მსოფლიო ეკლესია იყო, ქართული ეკლესიაც მასვე იღებდა და იცავდა. როცა მსოფლიო ეკლესიამ კატეგორიულად და საბოლოოდ უარყო მონოფიზიტობა, ქართულმა ეკლესიამაც უარყო ის(ჯაფარი-

ძე.2009:384). შევნიშნავთ, რომ ქართლი მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე არასოდეს ყოფილა, შეუძლებელია საქართველოს ეკლესია მხოლოდ 20 წლის მანძილზე ყოფილიყო მონოფიზიტური, შემდეგ კი იგი დიოფიზიტური გამხდარიყო. ჯერ ერთი მსოფლიო ეკლესია არასოდეს ყოფილა მონოფიზიტური, მონოფიზიტობა მხოლოდ ზოგიერთმა ეკლესიამ აღიარა სხვადასხვა დროს, ისიც გარკვეული დროით. იყო დრო, როდესაც კონსტანტინეპოლის ეკლესიაც, კი მიიდრიკა ხატმებრძოლობისაკენ და საქართველოს ეკლესია აღმოსავლეთში ერთადერთი იყო, რომელმაც შეინარჩუნა მართლმადიდებლობა. მეთერთმეტე საუკუნეში წმინდა მამა გიორგი მთაწმინდელმა ბერძნული წყაროებით ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას დაადასტურა, რომ საქართველოს ეკლესია ყოველთვის მტკიცე დამცველი იყო მართლმადიდებლობისა, რაზეც წიგნის წინა თავში გვქონდა საუბარი. მართლმადიდებლობის მტკიცე დაცვაზე, ხაზგასმით საუბრობს 1103 წელს ჩატარებული რუის-ურბნისის საეკლესიო კრება.

ვახტანგ მეფის ისტორიკოსი ჯუანშერი, ვახტანგ გორგასლის მართლმადიდებლობის შესახებ თავის თხზულებაში ხაზგასმით უთითებს, რის საფუძველზეც შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კეთილმსახური მეფის ერთადერთი სურვილი ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვა და განმტკიცება იყო. ვახტანგ მეფემ სიყრმიდანვე ბერძენი მღვდელმთავრისაგან შეიმეცნა მართმადიდებლური სარწმუნოება: „ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა“.(ქრ. ცხ.I:146). მცირეწლოვანი მეფე ხედავდა თუ როგორ „შემორეოდა ქართლს ცეცხლის-მსახურება ტყუეობისა და საზღვართა მიხუმისაგან. და უმეტეს იურვოდა სჯულისათვის გონებასა შინა, არამედ მძლავრებისაგან სპარსთასა ვერ იკადრებდა გამოცხადებად“. სპარსეთის ზეგავლენის გამო ქართლში მე-5 სა-

უკუნის შუახანებში ცეცხლთაყვანისცემის გავრცელება დაწყებულა, რაზეც ქრისტიანი მეფე ძლიერ წუხდა, თუმცა ძლიერი სპარსეთის გამო მოქმედებას ვერ ბედავდა. ქართლთან ერთად ირანის ზეწოლას აშკარად განცდიდა ამიერკავკასიის ორი ქვეყანა ალბანეთი და სომხეთი. ამის შესახებ გვაუწყებს სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი, რომელიც საუბრობს თუ როგორ ჩავიდა სპარსეთში ქართლის, ალბანეთის და სომხეთის დიდებულები, რომელთაც სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვეს. „მართალია მივდივართ, მაგრამ ცისა და ქვეყნის შემოქმედის უარყოფას ვერ დავეთანხმებით. ღმერთი აგვისრულებს ამას, როდესაც ჩვენ თავს ვუჩვენებთ ერთ ხორცად და ერთ სულად, გვეხსომება რა წმინდა მოციქულები, წმინდა ეკლესიის ქადაგნი, რომელთაც ერთი გული და ერთი სული ჰქონდათ“ (ფარპელი, 1962:217). აქედან ნათლად ჩანს, რომ 451 წლისათვის ალბანეთი, სომხეთი და ქართლი მართმადიდებლურ მრწამსზე იდგნენ. სამივე ქვეყნის დიდებულებმა, რომლებიც სპარსეთში იმყოფებოდნენ მიიღეს მოჩვენებითი მაზდეანობა: „უბრძანეს მოეწყოთ სამივე ქვეყანაში სიცრუის სკოლები და ესწავლებინათ მოგვთა მოძღვრება საერთოდ ყველასათვის, კაცებისა და ქალებისათვის. მათაც იკისრეს, იგულმოდგინეს თან წაეყვანათ მოგვთა სიმრავლე“ (იქვე:231). გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვახტანგ გორგასლის ტახტზე ასვლისას დაახლოებით V საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში ქართლი უდიდესი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ვახტანგ მეფის სწრაფვა ბერძნებთან დაახლოებაზე, იგი გადარჩენას სწორედ ბიზანტიასთან კავშირში ხედავდა.

ვახტანგ მეფის განხორციელებული რეფორმა (კათალიკოსობის დაწესება) რელიგიურთან ერთად პოლიტიკური მიზნებითაც იყო ნაკარნახევი. მხოლოდ ბიზანტიასთან მჭიდრო კავშირ-

ში შეინარჩუნებდა საქართველო თავის თვითმყოფადობასა და ქრისტიანულ სარწმუნოებას. ყოველივე ამის საფუძველზე გვინდა განვაცხადოთ, რომ წმინდა მეფის მაზდეანობაში ან მონოფიზიტობაში დადანაშაულება მკრეხელობის გარდა უსამართლო და ალოგიკურიც არის.

ვახტანგ მეფის მართლმადიდებლური ორიენტაციის მანიშნებელია ასევე მის მიერ საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ ოპიზის მონასტრის მშენებლობა: „უბრძანა, რათა გამონახოს ხევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი“. ბიზანტიის იმპერიაში იმხანად აღორძინებული სამონასტრო ცხოვრების მსგავსად ქართველი მეფეც იწყებს მონასტრების აგებას და ეს ფაქტი ავტოკეფალიის მოპოვებამდე ხდებოდა. მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვა-შენარჩუნების სურვილი ვახტანგ გორგასალს მოწამეობრივად გარდაცვალების წინაც კი არ დავიწყებია, როდესაც მიმართა თავის ოჯახის წევრებს, კათალიკოსს და წარჩინებულებს: „აწ გამცნებთ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“. თავისი მოღვაწეობის პერიოდში კეთილმსახურმა მეფემ თავი არ დაზოგა ქვეყნისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ, იგი თავისი თავგანწირვით იცავდა არამარტო საქართველოს, არამედ მთელ საქრისტიანოს; „არა ხოლო ქართლი მიეცეს განსარყუნელად, არამედ იერუსალიმიცა, რომელ არს მშობელი ყოველთა შვილთა ნათლისათა“. აკი მოუწოდა მან სპარსელებთან ბოლო ბრძოლის წინ პეტრე კათალიკოსს: „უწყოდე, რამეთუ არა ხარკისა მიცემისთვის გუბრძვანან, არამედ ქრისტეს დატეობისათვის, აწ მე ესე განმიზრახავს, რამეთუ ცხოვრებასა ჩემსა სიკუდილი უმჯობეს არს სახელსა ზედა ქრისტესა, რათა სასუფეველი გვაქვნდეს“ (ქრ.ცხ.1955:201). მირონცხებულმა მეფემ თავისი დამსახურებით, თავისთავადობა

მოუპოვა ივერიის ეკლესიას და თავის სამშობლოს ზვარაკად შეეწირა, რითაც წარუვალი დიდება მოიპოვა. ყოველივე ამის საფუძველზე, მომავალმა თაობებმა წმინდა მეფე შესაბამისი პატივითა და დიდებით უნდა მოიხსენონ, ვინაიდან შეუფასებელია ვახტანგ გორგასლის ღვაწლი საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ქართველი ხალხის მიმართ.

საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია V საუკუნეში რომ მოიპოვა, ამის დასტურად შეგვიძლია ისიც მოვიყვანოთ, რომ მეხუთე საუკუნის გასულსა და მეექვსე საუკუნის დასაწყისში ღვთისმსახურება უკვე ქართულად სრულდებოდა. ამის შესახებ საბა განმწმედელი თავის ანდერძში საუბრობს (გარდ.532წ.) „ივერიელებსა და ასურელებს ნება არ აქვთ, ჟამისწირვა შეასრულონ თავიანთ ეკლესიაში (რომელიც საბას მონასტერში იყო); იქ მათ შეუძლიათ წართქუან ჟამნობა, შეასრულონ სამხრობა და წარიკითხონ თავიანთ ენაზე სამოციქულო და სახარება“. აქედან ჩანს, რომ ამ დროს ქართველებს თავიანთ ენაზე ჰქონიათ არა მარტო სამოციქულო და სახარება, არამედ ჟამნობა, სამხრობა და ჟამისწირვაც (კეკელიძე.1980:574). თუკი VI საუკუნის 30-იან წლებში იერუსალიმში საბა განმწმედელის ლავრაში, ქართველებს უფლება ჰქონდათ, წაეკითხათ ჟამნი, სამოციქულო და სახარება ქართულ ენაზე, ეს იმის მანიშნებელია, რომ სულ მცირე, V საუკუნის დასასრულისათვის საღვთისმსახურო წიგნები და წმინდა წერილი უკვე თარგმნილი იყო ქართულ ენაზე, სავარაუდოდ, ეს საქმე წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ბრძანებით უნდა დაწყებულიყო ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგ, ამასთანავე ქართველების დამკვიდრება ბერძნულ მონასტერში დაახლოებით V საუკუნიდან უნდა მომხდარიყო ვახტანგ მეფის დამსახურების გამო. ამის გარდა 532 წლისათვის ქართველების მოღვაწეობა წმინდა საბას ლავრაში იმის მანიშნებელიცაა, რომ საქართველოს ეკლესია ამ დროს (ისე როგორც ყოველთვის)

მართლმადიდებელი სარწმუნოების მტკიცე დამცველი იყო. ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს ეკლესიაში მეათე საუკუნის დამდეგამდე გამოიყენებოდა პალესტინური ანუ იერუსალიმის ან ქრისტეს საფლავის ტიპიკონი. მეათე საუკუნიდან კი ათონზე დამკვიდრებულმა ქართველებმა თარგმნეს ტიპიკონის ახალი რედაქცია ეგრეთწოდებული „აიასოფიას ან კონსტანტინეპოლის“ „დიდი ეკლესიის ტიპიკონი“, რომელმაც იერუსალიმის ტიპიკონი თანდათან განდევნა პრაქტიკიდან. დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში, XII საუკუნის პირველ მეოთხედში კი საქართველოში შემოსულა ეგრეთწოდებული „საბაწმინდური“ ტიპიკონის „მთაწმინდის“ რედაქცია, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდე გამოიყენებოდა, მეთვრამეტე საუკუნის შუახანებში კი ანტონ კათალიკოსმა იგი შეასწორა სლავური ტიპიკონის მიხედვით(იქვე:574-576). აღნიშნული ტიპიკონი დღემდე გამოიყენება საქართველოს ეკლესიაში. ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია, ზუსტად უბამდა მხარს მართლმადიდებელ ეკლესიაში განვითარებულ მოვლენებს და როგორც ავტოკეფალურ ეკლესიას შეეფერებოდა, ჩვენში მყარად მკვიდრდებოდა ტიპიკონის ის სახეობა, რომელიც ბერძნულ ეკლესიაში გამოიყენებოდა სხვადასხვა პერიოდში.

თავდაპირველად საქართველოში, როგორც უძველეს ქრისტიანულ სახელმწიფოში, ღვთისმსახურების დროს გამოიყენებოდა წმინდა მოციქულთა იაკობისა და პეტრეს ლიტურგიები. ბიზანტიასთან დაახლოების შემდეგ კი საქართველოში მკვიდრდება კონსტანტინეპოლის რედაქციის ბასილი დიდისა და იოანე ოქროპრის ლიტურგიები. X საუკუნიდან კი იაკობის ჟამისწირვა თანდათან დავიწყებას მიეცა.

მნიშვნელოვანია, რომ ქართულ სამონასტრო ღვთისმსახურების პრაქტიკაში, ისტორიული ცნობების საფუძველზე,უკვე IX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის მცდელობით, ტაო-კლარჯეთის

მონასტრებში ღვთისმსახურება საბა განმწმენდელის ლავრის ტიპიკონის ქართული თარგმნის საფუძველზე სრულდებოდა, ხოლო XII საუკუნის I მეოთხედში შიო-მღვიმის მონასტერს დავით აღმაშენებელმა განუწესა სვიმონ მესვეტის (შავ მთაზე) მონასტრის ტიპკონი, რომელიც თავისთავად წარმოადგენდა საბას ლავრის ტიპიკონის საფუძველზე შედგენილ წესდებას(ეკლესიის საუნჯე.2013:333). დიდ ინტერესს იწვევს ის,რომ საქართველოს ეკლესიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ღვთისმსახურებას, ამას მოწმობს „უნიკალური კრებული ეგრეთწოდებული გულანი, რომელიც არის კრებული ყველა საღვთისმსახურო წიგნისა. გულანი უზარმაზარ ზომისა იყო და ამიტომ კაცს არ შეეძლო მისი ხელში დაჭერა. იგი ეკლესიაში ანალოღიაზე იდო“. გულანი არის უნიკალური საღვთისმსახურო წიგნების კრებული, რომელსაც ქრისტიანულ სამყაროში ანალოგი არ მოეპოვება.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით სრულად აკმაყოფილებს ყველა პირობას,რომ ჰქონდეს ავტოკეფალური ეკლესიის სტატუსი. ავტოკეფალური ეკლესიის დაარსების წინაპირობებია: მოციქულთა ხელისუფლება, მსოფლიო საეკლესიო კრება და ავტოკეფალური ეკლესიები. არსებობს ასევე ავტოკეფალიის მიღების სხვა ფაქტორები: სახელმწიფო ხელისუფლება, ეპისკოპოსის ხელისუფლება და კონსტანტინეპოლის ეკლესიის ხელისუფლება(Троицки.1948:33). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან მიმართებაში ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორი დასაბუთებულად არსებობს. როგორც ჩვენ წიგნის პირველ თავში ავღნიშნეთ, ს.ტროიცკის მიერ დასახელებული ფაქტორებიდან ერთ-ერთის მიხედვით მოქმედებდა სწორედ ვახტანგ გორგასალი, რადგან საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია არ ჰქონდა მოპოვებული, როცა იგი მიმართავდა კონსტანტინეპოლის ავტოკეფალურ ეკლესიას, ვინაიდან მსოფლიო საეკლესიო კრება უკვე ჩატარებული იყო (451წ. ქალ-

კედონი), ანუ სამართლებრივად ვახტანგ მეფე ქრისტიანულ ეკლესიაში არსებული წესების შესაბამისად დგამდა ნაბიჯს, რათა საქართველოს ეკლესიას კანონიერად მოეპოვებინა დამოუკიდებლობა. ავტოკეფალიის მოპოვებისას დასახელებული ფაქტორებიდან ფიგურირებს ანტიოქიის ავტოკეფალური საპატრიარქო და ბიზანტის საიმპერატორო ხელისუფლება.

საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციული მოწყობა განხორციელდა გეგმაზომიერად, საეკლესიო კანონიკის დაცვით. ამის ნათელი მაგალითი იყო, მიქაელ მთავარეპისკოპოსის შეცოდებათა განსჯა კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ, ანუ ვახტანგ გორგასალი უშუალოდ არ ჩაერია საეკლესიო სქმეებში და მისი განკიცხვა კონსტანტინეპოლის პატრიარქს მიანდო, ამასთანავე საკათალიკოსო კანდიდატის კურთხევის საკითხიც მასთან შეთანხმდა. საბოლოოდ კი ბერძნული წარმომავლობის კათალოკოსის კურთხევა ანტიოქიაში განხორციელდა ძველი წესის შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს შემდეგი რეალობა: საჭიროების გამო კონკრეტული სახელმწიფოს მონარქი მიმართავს ბიზანტიის იმპერის დედაქალაქში მოღვაწე პატრიარქს, რომელიც აგვარებს ქართულ ეკლესიაში არსებულ პრობლემას და ასევე მასთან თანხმდება მომავალი კათალიკოსის კურთხევის საკითხიც. ქრისტიანულ ეკლესიაში არსებული უძველესი ტრადიციით, ავტოკეფალური შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ის ეკლესიები, რომლებიც მოციქულებმა დააფუძნეს. ამასთან დაკავშირებით ძველად მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არ ყოფილა ეჭვსქვეშ დაყენებული. მაგალითად რომის პაპებს ლეონ დიდსა და ნიკოლოზ I-ს ეჭვი შეჰქონდათ კონსტანტინეპოლის ეკლესიის ავტოკეფალიაში, რადგან მათი აზრით ეს ეკლესია მოციქულთა მიერ არ იყო დაფუძნებული, ზუსტად ასევე ანტიოქიის ეკლესია ამტკიცებდა, თითქოს საქართველოს ეკლესია არ იყო ავტოკეფალური, ვინაიდან არცერთი მოციქული არ იყო ნამყოფი

საქართველოში(იქვე:38). როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაშიც ძნელი სათქმელია, რომ რომისა და ანტიოქიის ეკლესიის უმაღლეს იერარქებს არ სცოდნოდათ, ბიზანტიისა და საქართველოს ეკლესიის ტერიტორიაზე ქრისტეს მოციქულებს რომ ჰქონდათ ნაქადაგები. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს კონსტანტინეპოლის და საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის გაზრდასთან, რაც მიუღებელი იყო უძველესი ეკლესიებისათვის (რომის და ანტიოქიის ეკლესიები), ამასთანავე ამ ეკლესიების სიძლირე მათთვის მიუღებელი იყო უპირველესად პოლიტიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე.

ვინაიდან წიგნის წინა თავებში აქ ჩამოთვლილ საკითხებზე გვქონდა დეტალური საუბარი, ამიტომ რიგ საკითხებს ზოგადად შევეხებით. VII-XI საუკუნეებში კონსტანტინეპოლისა და საქართველოს ეკლესიების მიმართ ამგვარი პრეტენზიების გამოთქმა, რაც უმეტესად დადიოდა პიროვნულ დონეზე და ეს არ იყო საერთო ქრისტიანული ეკლესიების დამოკიდებულება, მაგრამ რაც მთავარია მათ მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს არანაირი ცვლილება არ გამოუღია აღნიშნულ ეკლესიებთან მიმართებაში. მაგრამ, როგორც ვიცით, XI საუკუნეში უძველესი ტრადიციის საფუძველზე გიორგი მთაწმინდელმა ბერძნებს ბერძნულივე წყაროებით დაუსაბუთა საქართველოს ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა და აჩვენა, რომ ივერთა ეკლესია პირველ საუკუნეში დააფუძნა ქრისტეს მოწაფეებმა (ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი) და არანაირი საჭიროება არ არსებობდა ჩვენი ეკლესიის ბერძნულ ეკლესიაზე დაქვემდებარებისა.

სამართლებრივი თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს XII საუკუნეში მოღვაწე პატრიარქისა და საეკლესიო კანონისტის თეოდორ ბალსამონის ცნობას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე, რაზეც, ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, სადაც იგი მსოფლიო საეკლესიო 381 წლის კრების მეორე კანონის განმარ-

ტებისას საუბრობს. ბალსამონის ცნობა ნათელი დასტურია იმისა, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურია და ამ ფაქტს ქრისტიანულ სამყაროში ცნობილი კანონისტი უკეთებს კომენტარს.

მიუხედავად ტენდენციურობისა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეფრემ მცირეს თხზულებას „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა," რომელშიც ასევე ხაზგასმითაა საუბარი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე და ეს ცნობა ანტიოქიურ წყაროდან არის აღებული. აღნიშნული წყარო ადასტურებს საქართველოს ეკლესიის თავდაპირველ კავშირს ანტიოქიის საპატრიარქოსთან, თუმცა თხზულებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საქართველოს ეკლესია საეკლესიო კანონების სრული დაცვით განთავისუფლდა ანტიოქიის ეკლესიისაგან და ამასთანავე მიიღო მირონის კურთხევის უფლებაც, როგორც ავტოკეფალურმა ეკლესიამ. თუკი გიორგი მთაწმინდელი მიიჩნევდა, რომ საქართველოს ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა იყო საფუძველი ავტოკეფალიისა, ეფრემ მცირეს მიხედვით კი საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიის ეკლესიიდან კანონიკის დაცვით მიიღო ავტოკეფალია. ორივე შემთხვევაში ნათელია, რომ საქართველოს ეკლესიას სრული კანონზომიერებით ჰქონდა მოპოვებული ავტოკეფალია, პირველ შემთხვევაში ავტოკეფალიის საფუძველია მოციქულთა ხელისუფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში ანტიოქიის ავტოკეფალური ეკლესია.

საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, როგორც ავღნიშნეთ, ეჭვს ქვეშ დააყენეს 1906 წელს, როცა მიმდინარეობდა წინარე თათბირის სხდომები, თუმცა ქართველ მღვდელმთავართა და მეცნიერთა მიერ შესაბამისი წყაროებით დასაბუთებულ იქნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

რუსეთის საეკლესიო კრებაზე, თავის მეოთხე მოხსენებაში „ეროვნულობის პრინციპი ეკლესიაში" ეპისკოპოსმა კირიონმა მთლიანად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის არსებობის კა-

ნონიკური არგუმენტების მიმოხილვას დაუთმო. იგი მოხსენებაში დაეყრდნო მოციქულთა 34-ე კანონის მიმოხილვას. მისი აზრით კანონიკურად დადგენილი წესები, მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები და მოციქულთა 34-ე კანონი, მას სრულიად სამართლიანად აძლევდა უფლებას მოეთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ძველი საეკლესიო საზღვრების გათვალისწინებითა და კათოლიკოს-პატრიარქით სათავეში: „უარი უთხრა ქართველ ხალხს მსგავსი კანონიკური მოთხოვნის გამო, ეს ყველაზე მცირე უკანონობაა. საქართველოს ეკლესიის წარსული, სახელოვანი ცხოვრება და მისი დამსახურება ქრისტიანობისადმი, ამიერიდან მას აძლევს დამოუკიდებელი არსებობის უფლებას“ (ბურდული.2011:25). უნდა ითქვას, რომ რუსმა მეცნიერებმა და სამღვდელოებამ პოლიტიკური თვალსაზრისის გამო, ქართველთა კანონიერ მოთხოვნას უარით უპასუხეს.

ჯერ კიდევ 1907 წელს ნიკოლოზ დურნოვო მოუწოდებდა რუსეთის სინოდს: „კანონიკურ საფუძველზე რუსეთის მმართველ სინოდს არ აქვს უფლება საქართველოს ეკლესის მართვისა, ხოლო დაყრდნობა იმაზე, რომ 1811 წლიდან ქართულ ეკლესიას ძალდატანებით მართავდა არ შეიძლება. სწორედ ეს ძალდატანება აიძულებს ქართველებს, მოითხოვონ, რათა რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავრებმა აღიარონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“(Дурново.1907:30). მართებულად მიუთთებდა ნ. დურნოვო თავის ნაშრომში- „უძველესი წყობა საქართველოს ეკლესიისა, რომელიც მკაცრად იყო დაცული IV საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით, დარღვეულ იქნა სამღვდელო კოლეგიის მიერ, ამასთანავე საეკლესიო წესებით ქართული ეკლესია განსხვავდებოდა რუსულისაგან, ამას ისიც ემატებოდა, რომ ყველა რუს ეგზარქოსს არ შესწევდა ძალა იმისა, რომ ისე ემსახურათ ქართულ ეკლესიაში, როგორც მსახურობდნენ ქართველი პატრიარქები(იქვე:16-36).

ცხადია, რომ რუსი ეგზარქოსები ვერ იტვირთავდნენ იმ უდი-

დეს ღვაწლს, რასაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, როგორც ერის სულიერი მამები ატარებდნენ. ამ საქმეში უმთავრესი დაბრკოლება ქართული ენის არცოდნა იყო, ამასთანავე ის სულიერი სიახლოვე, რაც არსებობდა კათალიკოსებსა და ქართველ ერს შორის რუსი მღვდელმთავრებისათვის სრულიად უცხო იყო, რადგან ამ დროისათვის პატრიარქობა რუსეთში ასი წლის გაუქმებული იყო. რუსმა ეგზარქოსებმა არ იცოდნენ ასევე ქართული ადათ-წესები, ქართული გალობა, ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი და ა.შ. რაც უფრო აღრმავებდა უფსკრულს უმაღლეს იერარქიასა და მრევლს შორის. 1907 წელს ამხანაგობა „კალამმა“ გამოაქვეყნა სტატია შემდეგი სათაურით: „საქართველოს ეკლესიის აკლება“, სადაც საუბარია, ვინაიდან: „ივერიის ეკლესიას არ ჩამორთმევია ავტოკეფალურობა, რადგან არ შეკრებილან ქართველი ეპისკოპოსები და არ დაუდგენიათ საქართველოს ეკლესიის გაუქმება, მაშასადამე საქართველოს ეკლესია დღესაც ავტოკეფალურია (ნიკ.1.5.ქალკედ.19,კართ.27. 87. სარდ.5), ამიტომ რუსეთის უმართებულეს სინოდს „კანონიერი“ საფუძველი არა აქვს, განაგოს საქართველოს ეკლესია(საქ.ეკლ.აკლება.1907:6-7).

ასევე არაკანონიკურად მიაჩნდათ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საბოლოო საკითხი განეხილა რუსეთის კრებას, რადგან: „განა შეუძლია ადგილობრივ კრებას, თუნდაც რუსეთისა იყოს, იგი შეეხოს „კანონიერად“ მის არა ქვეშევრდომი ეკლესიის საქმეს? ვფიქრობთ, რომ არა, რადგან რუსეთის ეკლესიის კრებას უფლება არ აქვს, გაერიოს გარეშე ავტოკეფალური ეკლესიის საქმეში“. ვფიქრობთ აქ წარმოდგენილი არგუმენტები შეუვალია, რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდს არ ჰქონდა კანონიკური უფლება, როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების, ასევე მისი აღდგენის საკითხზე მსჯელობის უფლება.

საეკლესიო კანონების დარღვევაზეა საუბარი ერთ-ერთ უთარიღო წერილში, რომელიც ეგზარქოს ნიკონის გაუგზავნეს

XXსაუკუნის დასაწყისში: „თუკი თქვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა გვეტყვის ჩვენ, რომ საქართველოს ეკლესია 1811 წლიდან ემორჩილება რუსულ ეკლესიას, ეს გარემოება თქვენ არ გაძლევთ უფლებას წარმოაჩინოთ თავი საქართველოს ეკლესიის მმართველად, იმ ეკლესიისა, რომელსაც თქვენ არ აურჩევიხართ და არ დაუმტკიცებიხართ...გთხოვთ არ დაარღვიოთ კანონიკური სამართალი, რომელიც თქვენ უნდა დაიცვათ ისევე, როგორც ჩვენ... ქართველი ღვთისმსახურები არ იქნებიან პასუხისმგებელნი, თუკი მოხდება რამე სამწუხარო, გამომდინარე იმ რუსიფიკატორული პოლიტიკით, რომელსაც იყენებენ რუსი ეგზარქოსები, რაც ხალხის უკმაყოფილებას იწვევს. უკეთესია უარი თქვათ იმ ეკლესიის მართვაზე, რომელიც თქვენ არ გეკუთვნით“ (ს.ც.ს.ა.ფ.488.ს.26429:4). მიუხედავად ასეთი არგუმენტირებული წერილისა, რომლის მსგავსი იმ პერიოდში მრავლად იწერებოდა, რუსეთის ეკლესიის მხრიდან მათზე რეაგირება არ ხდებოდა.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ 1917 წლის 12 მარტის აქტზე, მას შემდეგ, რაც ქართველმა სამღვდელოებამ ისტორიული სამართლიანობა აღადგინა მცხეთაში.

სამწუხაროდ 1917 წლის 12 მარტის აქტი ეჭვს ქვეშ დააყენეს. ამას მოწმობს 1917 წლის 29 დეკემბრის წერილი, რომელიც რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა გამოუგზავნა ქართველ სამღვდელოებას. უწმიდესი ტიხონი თავის წერილში ბრძანებს: „კანონიკურად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ რუსეთის საეკლესიო კრებაზე... თქვენი ეპისკოპოსები უნდა დალოდებოდნენ საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას, თუმცა გაწყვიტეს მასთან კანონიკური ურთიერთობა და ჩაატარეს მთელი რიგი თვითნებური ქმედებები. თქვენი უკანონო მოქმედებანი დასრულდა 8 სექტემბერს, როცა თქვენ აირჩიეთ რუსეთის ეკლესიის ეპისკოპოსი კირიონი სრულიად საქართველოს კათალიკოსად და შექმენით ახალი სამიტროპოლიტო

და საეპისკოპოსო კათედრები და იქ გაამწესეთ წმინდა სინოდს დაქვემდებარებული ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები. გთავაზობთ, რათა ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსები დაემორჩილოთ საეკლესიო წესებს და კანონიკური წესების დაცვით გამოცხადდეთ რუსეთის საეკლესიო კრებაზე და აღიაროთ თქვენი ცთომილება, უარყოთ თქვენი სურვილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ მოწყობაზე რუსეთის საეკლესიო კრების სამსჯავროზე" (www.ank.in.ua/index.php).

იგივე აზრი განავითარა 1948 წელს ს.ტროიცკიმ თავის ნაშრომში „О Церковнои Автокефалий," სადაც საუბრობს, რომ „ადგილობრივმა ეპისკოპოსებმა 1923 წელს პოლონეთის, ხოლო 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადეს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვაწყდებით კანონიკური აქსიომების დარღვევას, ასეთი თვითამაღლება ეწინააღმდეგება ღვთის სიტყვებს: „არავინ თავისით არ ღებულობს ამ პატივს" (ებრ.5.4) სუფთა კანონიკურად ეს არის პირდაპირი დარღვევა მოციქულთა 34-ე და ანტიოქიის კრების მე-9 კანონებისა, ამიტომ ასეთ თვითაღიარებულ ავტოკეფალიებს იგივე ბედი ეწიათ, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აღიარებულ ეკლესიებს. მათ არ აღიარებენ არც დედა ეკლესია და არც სხვა ეკლესიები, ან ისინი ლიკვიდირებულნი იქნებიან კანონიკური წესების შესაბამისად (Троицки,1948:41-42). ხომ არ დარღვეულა კანონიკური აქსიომები 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისას ამაზე რუსი მეცნერი არ დაფიქრებულა, ალბათ ამგვარი უკანონო ქმედება მართლაც ეწინააღმდეგება ღვთის ნებას. და ეს პატივი „თავისით" კი არა კანონიკური წესების დაცვით იქნა მოპოვებული მეხუთე საუკუნეში და უხეშად იქნა გათელილი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. თუკი საქართველოს ეკლესია თვითაღიარებული ეკლესია იყო, რატომ არ მოხდა მისი ლიკვდაცია? პირიქით, ვინაიდან საქართველოს ეკლესია ისტორიულად მეხუთე საუკუნიდან ავტოკეფა-

ლური იყო, მისი ავტოკეფალია XX საუკუნეში ყველა ავტოკეფალურმა ეკლესიამ აღიარა.

ანალოგიური შეხედულება გამოთქვა ცნობილმა საეკლესიო სამართლის სპეციალისტმა დეკანოზმა ვლადისლავ ციპინმა, რომელიც უთუოდ ამახინჯებს ფაქტებს: „1801 წელს საქართველო შეუერთდა რუსეთის იმპერიას. ამის შემდეგ მალე 1811 წელს გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთის წმინდა სინოდმა განსვენებული კათალიკოსის ნაცვლად საქართველოში დანიშნა ეგზარქოსი. 1917 წელს საქართველოს ეკლესიამ აღიდგინა თავისი ავტოკეფალური სტატუსი, რომელიც რუსეთის ადგილობრივმა ეკლესიამ 1917-1918 წლებში და მისმა ახლად არჩეულმა პატრიარქმა არ აღიარა. 1943 წელს რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური სტატუსი, თუმცა არ იქნა შეთანხმებული რა ვითარებაში გამოცხადდა ავტოკეფალია 1917 წელს"(Ципин.2004:296). იგივე ავტორი 1917 წლის აქტზე საუბრობს თავის მეორე ნაშრომში „История Русскои Церкви". „1917 წლის მარტში უმაღლესი ეკლესიის თანხმობის გარეშე ეპისკოპოსთა ჯგუფმა გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. უწმიდესმა ტიხონმა გამოთქვა მწუხარება არაკანონიკურ გაყოფაზე, ქართველი ეპისკოპოსების არდამორჩილებაზე უმაღლეს იერარქ პლატონზე, რომელსაც ჩამოართვეს ეგზარქოსის თანამდებობა" (Ципин.1997:35).ზემოთმოყვანილ პრეტენზიებზე დღემდე არ არის არგუმენტირებული პასუხები გაცემული, გამომდინარე აქედან, შევეცდებით, დავასაბუთოთ 1917 წლის 12 მარტის აქტის კანონიერება.

პირველ რიგში, როდესაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 1917 წლის აქტზე ვიწყებთ საუბარს, აუცილებელია, ჯერ 1811 წლის 30 ივნისის სინოდის უკანონო დადგენილებაზე გავამახვილოთ ყურადღება. 1917 წლის 12 მარტის აქტი სწორედ სამართლიანობის ლოგიკური აღდგენა იყო,

იმ სამართლიანობისა, რომელიც 1811 წელს ასე უსამართლოდ გაითელა. ვიდრე უშუალოდ ავტოკეფალიის აღდგენის სამართლებრივ საკითხებზე გადავიდოდეთ, მინდა, მოვიყვანო დეკანოზის ვ. ციპინის წიგნიდან 1917 წლის 11 ოქტომბრის რუსეთის საეკლესიო კრებაზე ასტრახანის ეპისკოპოსის მიტროფანეს სიტყვა, რომელმაც აღნიშნა: „პეტრე პირველის მიერ პატრიარქის ინსტიტუტის გაუქმება არაკანონიკური აქტი იყო, რუსული ეკლესია უმეთაუროდ დარჩა. სინოდი აღმოჩნდა რუსეთისთვის უცხო დაწესებულება. პატრიარქობის აღდგენის აზრი, როგორც „ოქროს ოცნება“, მრავალი წლის მანძილზე არსებობდა რუსი ხალხის აზროვნებაში. ჩვენ გვინდა პატრიარქი, როგორც სულიერი ლიდერი და ხელმძღვანელი, რომელიც მოუწოდებდა რუს ხალხს ცხოვრების შეცვლისკენ, გმირობისაკენ და ამ გზაზე პირველი თვითონ წავიდოდა“. ეპისკოპოსმა მიტროფანემ კრების დამსწრეებს შეახსენა, რომ მოციქულთა 34-ე და ანტიოქიის კრების მე-9 კანონებით განსაზღვრულია, რომ ყველა ერს უნდა ჰყავდეს პირველი (უპირატესი) ეპისკოპოსი (Ципин.1997:12).

რუსი მღვდელმთავარი ძალზე სწორად მსჯელობს რუსეთის ეკლესიაზე საუბრისას და პატრიარქობის ინსტიტუტის გაუქმებას არაკანონიკურად აფასებს. თუკი რუსეთის იმპერატორის მიერ საკუთარ სახელმწიფოში პატრიარქობის გაუქმება არაკანონიკური იყო, საქართველოსთან დაკავშირებით რაღა უნდა ვთქვათ? ე.ი. რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ანალოგიური ქმედებაც საქართველოს ეკლესიის მიმართ არაკანონიკურად უნდა შევაფასოთ, თუმცა ამის აღიარება საეკლესიო სამართლის სპეციალისტ დეკანოზს არ სურს. თუკი მრავალი ხნის მანძილზე პატრიარქობის აღდგენა რუსი ხალხის „ოქროს ოცნება იყო“, ქართველებისთვის მსგავსი ოცნება რატომ იყო არაკანონერი ან სეპარატიზმის გამოვლინება გაუგებარია.

დეკანოზი ვ. ციპინი რუსი მღვდელმთავრის პირით ქართვე-

ლების გულისნადებს გადმოგვცემს, პეტრე პირველის დროიდან რუსეთის ეკლესია უმეთაუროდ, ხოლო წმინდა სინოდი რუსეთისთვის უცხო დაწესებულება გამხდარა! თუკი წმინდა სინოდი რუსეთისთვის გახდა უცხო, მაშ ქართველებისათვის იგი ხომ სრულიად უცხო იქნებოდა და მათ მიერ ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა სავსებით ბუნებრივი პროცესი იყო. და ბოლოს, თუკი რუსეთთის ეკლესიასთან დაკავშირებით აუცილებელი იყო მოციქულთა და მსოფლიო კრებათა დადგენილებების აღსრულება, ქართველებმა რა დააშავეს? ჯერ კიდევ 1906 წელს შეახსენებდნენ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები აღნიშნულ კანონთა დარღვევის შესახებ „ივერიის ეკლესიასთან“ მიმართებაში, თუმცა მათი თხოვნა ყურად არავინ იღო. ასეთი მიდგომა საქართველოს ეკლესიის მიმართ სხვა არაფერია, თუ არა ტენდენციურობა და საეკლესიო კანონების საკუთარი შეხედულებისამებრ ცხოვრებაში გატარება.

დავუბრუბდეთ უწმინდეს ტიხონის წერილს, სადაც პატრიარქი ბრძანებდა, რომ საქართველოს ეკლესიის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ რუსეთის საეკლესიო კრებაზე და ქართველების ქმედება თვითნებურად შეაფასა, რამაც გამოიწვია კანონიკური ურთიერთობის გაწყვეტა ორ ეკლესიას შორის. რუსეთის პატრიარქის წერილს უპასუხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ 1919 წლის 5 აგვისტოს. პატრიარქი ლეონიდე წერილის დასაწყისში ყურადღებას ამახვილებს იმპერატორ ალექსანდრე პირველზე, რომელმაც ქართველი კათალიკოსის თხოვნის მიუხედავად იგი ჩამოაცილა საქართველოს ეკლესიის საქმეებიდან. რომლითაც დაირღვევა მიციქულთა და მსოფლიო კრებათა დადგენილებები. „რატომ მოვითხოვეთ 1905 წელს ავტოკეფალიის აღდგენა? ამ წელს ოფიციალურად იქნა ნებადართული, გველაპარაკა სიმართლე და ჩვენც ვთქვით. განა მარტო ჩვენ გვქონდა მცდელობა, რათა

აღდგენილიყო კანონიკური სამართლიანობა 1905 წელს?თვით რუსეთის ეკლესია, რომელიც გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო ვიდრე საქართველო, რომელიც 200 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იდგა პრობლემის წინაშე - „ Патриархами во фраках и мундирах." (კალისტრატე ცინცაძის არქივი, ფ. № 221:5-12).

კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ წერილში ხაზი გაუსვა იმპერატორ ალექსანდრეს მიერ საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელებულ უკანონო ქმედებას, რამაც გამოიწვია „საქართველოს ეკლესიის თავისი იერარქების საეკლესიო კრების თანხმობის გარეშე რუსეთის წმიდა სინოდზე დაქვემდებარება." ალექსანდრე ცაგარელი თავის ნაშრომში იგონებს: „პირადად ჩემთვის ადრეული ახალგაზრდობის დროიდან ცნობილია, რომ ქართველ სამღვდელოებასა და მრევლში ყრუ ჩურჩული საკათალიკოსოს აღდგენის თაობაზე, რადგან სამართლიანად, ამას მიჩნევდნენ ქართველ ხალხში სარწმუნოების დაცემის მიზეზად. მაგრამ ქართველებს ოფიციალურად არ შეეძლოთ გაეპროტესტებინათ, იმავე მიზეზით, რისთვისაც რუსები დუმდნენ 200 წელი რუსეთში პატრიარქობის გაუქმების გამო (Цагарели.1912:2).

რუსეთის იმპერიაში 1905 წლამდე თვით რუსებსაც არ ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რათა აღდგენილიყო რუსეთის ეკლესიაში პატრიარქობის ინსტიტუტი, რაც სრულებით ლოგიკური იყო, ისე როგორც ქართველების მიერ ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა. უწმიდესი ლეონიდე წერილს ბოლოს ბრალდებას იქეთ უყენებდა რუსეთის ეკლესიას: „ XIX საუკუნის დასაწყისში წმიდა სინოდი ჩაერია საქართველოს ეკლესიის საქმეებში თავისი ინიციატივით. საქართველოს ეკლესია იმედოვნებდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, წმიდა სინოდის სახით სიხარულით მიიღებდა მის განთავისუფლებას საქართველოს ეკლესიის საქმეებისაგან 1917 წელს და გამოას-

წორებდა შეცდომას, რომელიც დაუშვა დროებითმა ხელისუფლებამ, თუმცა ეს არ მოხდა. (კალისტ.ცინც. არქ. № 221: 19).

ლეონიდეს წერილში საუბარია ასევე საქართველოს ეკლესიის ბოლო ეგზარქოსის უმართებულო საქციელზე, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებულ ცნობას, „ რომლის საფუძველზეც მას ერთმეოდა უფლება, ყოფილიყო არქიეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა, ნაცვლად ძმური მისალმებისა რუსი სალდათების ხიშტებით დაგვემუქრა“.

წერილის ბოლოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ბრძანებს: „ რატომ გამოვცხადდეთ რუსეთის საეკლესიო კრებაზე და ვაღიაროთ ჩვენი დაბნეულობა, რომელიც უადგილო და უმიზნოა. ჩვენ საქმეში არ არის დაბნეულობა და თუკი ასეთი მაინც აღმოჩნდება, მის აღმოსაფხვრელად ყველა ეკლესიას აქვს საშუალება, რომელიც თქვენი სიწმინდისათვის არის ცნობილი“ (იქვე:24). უწმიდეს ლეონიდეს წერილში რუსეთს პატრიარქ ტიხონისადმი საერთოდ უარყოფილია საქართველოს ეკლესიის მხრიდან რაიმე არაკანონიკური ქმედება, პირიქით, 1917 წლის 12 მარტის აქტი სახელდებულია „ თვითგამორკვევის დიდებული აქტის“ სახელწოდებით, რომელიც სამართლიანად იქნა მიღებული.

რაც შეეხება ს. ტროიცკისა და ვ. ციპინის მოსაზრებას, თითქოს 1917 წლის 12 მარტის აქტით დაირღვა კანონიკური აქსიომები საქართველოს ეკლესიის მხრიდან, ესეც სერიოზულ ეჭვის ქვეშ დგას. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოხსენება წაიკითხა 2005 წელს ისტორიკოსმა ზაზა აბაშიძემ რუსეთში, საღვთისმეტყველო კონფერენციაზე. მან გააკრიტიკა სმოლიჩის წიგნში გატარებული აზრი, თითქოს 1917 წელს საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია გამოაცხადა დედა ეკლესიის თანხმობის გარეშე. ამის საპირისპიროდ ზაზა აბაშიძე მთლიანად უარყოფს ამ ბრალ-

დებას: „რის საფუძველზე და როდის გახდა რუსეთის ეკლესია (Кириархалнои) დედა ეკლესია საქართველოს ეკლესიისათვის? შეესაბამებოდა კი ყველაფერი ის, რაც ხდებოდა საქართველოს ეკლესიაში 1801 წლიდან საეკლესიო კანონებს? საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო ანტიოქის დედა ეკლესიიდან V საუკუნის 60-70-იან წლებში ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში. VIII საუკუნის შუახანებამდე ქართლის კათალიკოსებს მცხეთაში საეკლესიო კრებაზე ირჩევდნენ და თანხმობას ანტიოქიის პატრიარქისაგან იღებდნენ. თეოფილაქტე ანტიოქიელის დროიდან კი ქართველებს მიეცათ უფლება ჰყოლოდათ საკუთარი კათალიკოსი ანტიოქიის თანხმობის გარეშე(Абашидзе.2005:246).

ამის საფუძველზე იმ რუს მეცნიერებს ვინც უკანასკნელ დრომდე მიიჩნევდა, თუ მიიჩნევს, რომ 1917 წელს ქართველებს თანხმობა უნდა მიეღოთ რუსეთის ეკლესიისაგან, გვინდა შევახსენოთ, რომ საქართველოს ეკლესიისათვის რუსეთის ეკლესია ვერ იქნებოდა დედა ეკლესია, იმ მარტივი მზეზის გამო, რომ საქართველოს ეკლესიამ სულ მცირე 11 საუკუნით ადრე მიიღო ავტოკეფალია ანტიოქიის დედა ეკლესიისაგან, ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოსთვის რუსეთის ეკლესია ვერ ჩაითვლება დედა ეკლესიად. აღნიშნული სტატიიდან გვინდა მოვიყვანოთ კიდევ ორი ამონარიდი. პირველ შემთხვევაში ქართველი მეცნიერი აკრიტიკებს იმ რუს მოღვაწეებს, რომლებმაც XX საუკუნის დასაწყისში ეჭვი შეიტანეს, თითქოს 1811 წელს საქართველოს ეკლესია არ იყო ავტოკეფალური და ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა. ამ მოსაზრების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი ყოფილა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ნიკანდრი (ფენომენოვი), რომელიც მიიჩნევდა , რომ- „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაში, რუსეთის სინოდს არ მიუძღოდა ბრალი და ეს გადაწყვეტილება რუსეთის იმპერატორის მიერ იქნა მიღებული, ვინაიდან საქართველო რუსეთის შემადგენლობაში

შევიდა, იმპერატორმა ალექსანდრე პავლეს ძემ საჭიროდ ჩათვალა საქართველოს ეკლესია დამორჩილებოდა რუსეთის წმინდა სინოდს, ამ უფლებით არ ირღვეოდა მსოფლიო საეკლესიო კანონები, უფლება, რითაც ყოველთვის სარგებლობდნენ ბიზანტიის იმპერატორები". ზ.აბაშიძე სტატიაში აღნიშნავს, რომ არქიმანდრიტ ნიკანდრს, როგორც სემინარიის რეტორს უნდა სცოდნოდა, რომ ბიზანტიის იმპერიაში არსებობდა ოთხი დამოუკიდებელი საპატრიარქო და კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესია.

ქართველ მეცნიერს სტატიაში მოჰყავს ასევე ამონარიდი ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორ ბერდნიკოვის წიგნიდან- „სახელმწიფო ხელისუფლება, როგორიც არ უნდა იყოს ის, ქრისტიანული თუ წარმართული არ აქვს უფლებამოსილება გამოსცეს საეკლესიო კანონი და იმოქმედოს ეკლესიაში. ეკლესიაში, მხოლოდ ღმერთს და მის შუამავალ წინამძღვრებს აქვთ უფლება მოქმედებისა და განკარგვისა"(იქვე:253-254). საბოლოოდ მეცნიერის დასკვნით 1811 წელს განხორციელებული აქტი საქართველოს ეკლესიის მიმართ „კანონის საწინააღმდეგო" იყო, არც იმპერატორ ალექსანდრე პირველს, არც ეპისკოპოს ვარლამს და მით უფრო გენერალ ტორმასოვს არ ჰქონდათ უფლება ჩარეულიყვნენ საქართველოს საეკლესიო საქმეებში.

არქიმანდრიტი ნიკანდრი და პროფესორი ბერდნიკოვი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ, ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ არ სცოდნოდათ ქრისტიანულ ეკლესიაში საუკუნეების განმავლობაში დადგენილი წესები, რომლებიც ასე შეგნებულად იქნა უარყოფილი XIX საუკუნეში, XX საუკუნეში კი როდესაც ქართველმა მოღვაწეებმა სამართლიანობის აღდგენა მოითხოვეს, სამწუხაროდ რუსეთის მესვეურების მხრიდან კვლავ უსამართლო დამოკიდებულება მივიღეთ. თანამედროვე ეტაპზე თითქოს შერბილებულია რუს მეცნიერთა ნაწილის პოზიციები საქართველოს ეკლესიის ავტო-

კეფალის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა მათი მიკორძოებული მიმართება ამ საკითხისადმი მაინც აშკარაა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ი.მელნიკოვას სტატია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე, სადაც აღნიშნავს, რომ: „ავტოკეფალური მოძრაობის დროს განსაკუთრებით მძიმე იყო რუსი ეგზარქოსების მდგომარეობა. ისინი საეკლესიო დისციპლინის შესაბამისად ექვემდებარებოდნენ რუსეთის წმინდა სინოდს, ამასთანავე ღრმად განიცდიდნენ იმ ტრაგიზმს, რომელიც გამეფებულიყო ქართველებსა და რუსებს შორის, ამასთანავე მათ არ შეეძლოთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრების არსებული სისტემის შეცვლა“ (Мелникова.2009:404).

რუს მეცნიერს გვინდა შევახსენოთ, რომ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ქართველი სამღვდელოება და მრევლი იმყოფებოდა და არა ეგზარქოსები, იმავე გვერდის სქოლიოში მეცნიერი აღნიშნავს, რომ საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქი კრიონი მიაჩნიათ, როგორც წმინდანი და იმოწმებს „ქართველ წმინდანთა ცხოვრებას“. კათალიკოს-პატრიარქი კირიონი კი არ მიაჩნიათ, არამედ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ კანონიზირებულია წმინდანთა დასში და რუს მეცნიერს ეს ფაქტი უნდა შეენიშნა, მით უფრო, როცა იგი საუბრობს ასი წლის წინანდელი მოვლენების ობიექტურ შეფასებებზე და როგორც იგი აღნიშნავს- „ამ ამბებში მონაწილე ადამიანები ძალიან ძვირფასები არიან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის-წმინდა პატრიარქი ტიხონი, წმინდა მღვდელმოწამე ვლადიმერი ბოგოიავლინსკი და წმინდა მღვდელმოწამე კირილე სმირნოვი“. უნდა შევნიშნოთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ადამიანები რუსი, ქართველი თუ ბერძენი ყველა ერთნაირად იმსახურებს პატივისცემას, თუკი ჩამოთვლილი ადამიანები რუსეთის ეკლესიის საკეთილდღეოდ გაწეული ღვაწლისათვის შერაცხა რუსეთის ეკლესიამ წმინდანთა დასში, საქართველოს ეკლე-

სიამ ანალოგიურ საფუძველზე წმინდანთა დასში შერაცხა კათალიკოს-პატრიარქი კირიონი და კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, ამიტომ წმინდანად შერაცხილ პიროვნების მიმართ ყველას დიდი მოწიწება მართებს.

ხაზგასმით გვინდა ავღნიშნოთ ილამაზ დადეშქელიანის მნიშვნელოვანი ნაშრომი- საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურ-სამართლებრივ საკთხებზე, რომელიც გამოაქვეყნა 1922 წელს ლონდონში.

აღნიშნულ ნაშრომში ავტორი საინტერესოდ წარმოგვიდგენს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობას, რომ არცერთ ავტოკეფალურ ეკლესიას არასდროს განუხილავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ჩამორთმევის საკითხი, ვინაიდან „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალია ჩამოერთვა საერო ხელისუფლების ბრძანებულებით, რომლის საფუძველზეც იგი დაექვემდებარა რუსეთის სინოდალურ მმართველობას. ეს გადაწყვეტილება გაუქმდა, იმავე უფლებამოსილების მიერ 1917 წ. 27 მარტს, როდესაც რუსეთის დროებითმა მთავრობამ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია“ (დადეშქელიანი: 2011:8).

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთის საერო ხელისუფლებას (წმიდა სინოდსაც, რომელიც იმართებოდა საერო პირის მიერ) არ ჰქონდა უფლებამოსილება იმისა, რომ მიეღო რაიმე დადგენილება საქართველოს ეკლესიასთან მიმართებით, უფრო კონკრეტულად -„საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებით მის მიერ შედგენილ არცერთ დადგენილებას არ გააჩნდა კანონიკური მნიშვნელობა და რჩებოდა მხოლოდ საერო ძალის მქონე წესებად“. ამიტომ, როგორც დე იურე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არასოდეს დაუკარგავს: „არამედ მხოლოდ მისი ფიზიკური გამოყენების შესაძლებლობა იქნა შეზღუდული და თავად ეს ეკლესია კი

ყოველთვის ინარჩუნებდა ავტოკეფალური მართვის კანონიკურ უფლებას. შესაბამისად, ის რუსი ეპისკოპოსები, რომლებიც საერო, და არა კანონიკური დადგენილების საფუძველზე ახორციელებდნენ საქართველოს ეკლესიის მართვას ხელყოფდნენ ეკლესიის კანონიკურ წესებს და მოქმედებდნენ საეკლესიო სამართლის წესების უხეში დარღვევით" (იქვე:18). ამის შესაბამისად საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებით დაირღვა მოციქულთა 30-ე კანონი: „უკეთუ ვინმე ეპისკოპოსმან სოფლიონი მთავარნი თანა შეიწინეს და მათ მიერ დამპყრობელ იქმნეს ეკლესიისა, განიკუეთნენ და უზიარებელ იქმნენინ იგი და ყოველნი, რომელნი თანა-ეზიარნეს მას" (დიდი სჯულის კანონი.1975:218).

ეპისკოპოსის არჩევისა და კურთხევის უფლება ყოველთვის ეკუთვნოდა ეპისკოპოსთა კრებას. მეოთხე საუკუნიდან კი სახელმწიფო ხელისუფალის გავლენა ეპისკოპოსთა დადგინებისას ნორმირებული იყო კანონიკური პრინციპებიდან გამომდინარე (Милашь,1996:92). მოციქულთა ამ კანონიდან გამომდინარე საქართველოს ეკლესია მოაკლდა მოციქულთა მიერ დადგენილ უფლებას, საეკლესიო კრების შეკრებისა,რომელსაც შემდეგ უნდა გამოერჩია და დაედგინა ეპისკოპოსი,ამ უფლებას რუსეთის სინოდი აღასრულებდა უკანონოდ 1811 წლიდან. ასევე დაირღვა მოციქულთა 34-ე კანონი, რომლის მიხედვითაც „ყველა ერის ეპისკოპოსები უნდა ცნობდნენ პირველს მათ შორის, აღიარებდნენ მას, როგორც თავ ეპისკოპოსს და თავიანთ ძალაუფლებაზე აღმატებული არაფერი მოიმოქმედონ მისი ნებართვის გარეშე" (წმ.მოციქულთა კანონები.2006:116).

მოციქულთა ამ კანონში საუბარია ყველა ერში არსებულ ადგილობრივ ეკლესიაში უნდა იყოს აღიარებული უპრატესი და თავი ეპისკოპოსი. შესაბამისად 1810 წლიდან უხეშად დაირღვა მოციქულთა 34-ე კანონი, ვინაიდან საქართველოს ეკლესიის თავი ეპისკოპოსი (კათალიკოს-პატრიარქი ანტონი) იძულებით ჩამო-

აცილეს ხელისუფლებას და მისი ნებართვის გარეშე მოქმედებდნენ რუსი ეგზარქოსები საქართველოს ეკლესიაში.რუსეთის ეკლესიის მხრდან დაირღვა ასევე მოციქულთა 35-ე კანონი: „ეპისკოპოსსა ნუმცა უკადრებიეს გარეგან სამრემლოისა თვისსა ხელთდასხმისა ქმნა ქალაქთა შინა და სოფელთა, რომელნი არა მიმდგომ იყვნენ ეკლესიისა მისსა“(დიდი სჯულის კანონი.1975:219). ამის მიხედვით თითოეული ეპარქიალური ეპისკოპოსი მთლიანად დამოუკიდებელია საკუთარი იერარქიული უფლების შესრულების დროს საკუთარ ეპარქიაში.არავის აქვს უფლება ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში ეპარქიის მართვის კუთხით, ან მოახდინოს გავლენა პირდაპირ ან ირიბად მღვდელმთავრის უფლებებზე (Милашь.1996:101).

კანონი ამასთანავე უფლებას აძლევს სხვის ეპარქიაში ხელდასხმის უფლებას, მხოლოდ ეპარქიის ეპისკოპოსის თანხმობით. თუმცა ეს თანხმობა რუსეთის ეკლესიის მესვეურებს არასოდეს ჰქონიათ მიღებული. ამ კანონით სამთავროს პირველ ეპისკოპოსსაც ეკრძალება ჩაერიოს სხვა ეპარქიის საქმეებში, როცა ჩვენ შემთხვევაში სხვა ქვეყნის სინოდი ეგზარქოსის სახით ჩაერია საქართველოს ეკლესიის საქმეებში. მოციქულთა 37-ე კანონით დაირღვა საქართველოს ეკლესიაში ეპისკოპოსთა კრების ორჯერ მოწვევის შესაძლებლობა. 106 წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიაში არ ჩატარებულა ეპისკოპოსთა კრება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ტარდებოდა შემოდგომაზე და გაზაფხულზე.

საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებით დაირღვა ასევე ანტიოქიის 22-ე და სარდიკიის მე-3 ადგილობრივი საეკლესიო კრებათა დადგენილებები. პირველი კანონით: „ეპისკოპოსი ნუმცა ზედა-შევალს უცხოსა ქალაქსა,რომელი არა მის ქუეშე იყოს, ნუცა სოფლიოთა გარეგანთა სამრემლოისა მისისათა ხელთ-დასხმისათვის ვიეთისამე“(დიდი სჯულის კანონი,1975:252). სარდიკიის

კრების მე-3 კანონით კი არცერთ ეპისკოპოსს არ აქვს უფლება, გადავიდეს სხვა ოლქში, რათა ჩაატაროს რაიმე მღვდელმოქმედება, ადგილობრივი ეპისკოპოსის მოწვევის გარეშე. ასევე კამათი ეპისკოპოსებს შორის უნდა გადაწყდეს კრებაზე, რომელიც შედგება იმავე ოლქში, რომელიც ეკუთვნის ხსენებულ ეპისკოპოსს. ამ ოლქში არ შეიძლება მოწვეულ იქნეს სხვა ოლქის ეპისკოპოსი (Милашь.1996:120).

ასევე დაირღვა კონსტანტინეპოლის ადგილობრივი კრების (ორგზის) 16 კანონი, რომლის ძალითაც: არაფრით არ შეიძლება იმ ეკლესიაში დადგინებულ იქნეს ეპისკოპოსი, რომლის წინამძღვარიც ჯერ კიდევ ცოცხალია და თავის ღირსებაშია, თუკი თავადვე არ იტყვის უარს ეპისკოპოსობაზე. რამეთუ ჯერ ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი იმ ბრალეულობის კანონიერი გამოძიება, რომლისთვისაც იგი შეიძლება ჩამოშორებულ იქმნეს ეპისკოპოსობას. ხოლო თუ ეპისკოპოსთაგან ვინმე, თავის ღირსებაში მყოფი, უარს არ ამბობს თავის წოდებაზე, მაგრამ, ამასთან არ სურს თავისი ერის მწყემსვა(მილაში. 2011:268). ვინაიდან ანტონ კათალიკოსი ჯერ კიდევ არ იყო გარდაცვლილი, ასევე მას არანაირი ბრალეულობა არ მიუძღოდა და მას უარი არ უთქვამს, რათა დაემწყსო საქართველო, ბუნებრივია, რუსეთის სინოდს არ ჰქონდა უფლება ანტონის რუსეთში გაწვევისა. ამავე კანონის ძალით, საეპისკოპოსო კათედრა თავისუფლად ითვლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ეპისკოპოსი გარდაიცვლებოდა ან მას ეპისკოპოსთა კრება არ განკვეთდა. ანტონ კათალიკოსის განკვეთის უფლება რუსეთის სინოდს კანონიკურად არ ჰქონდა, მით უფრო, მას არავითარი საეკლესიო დარღვევა არ ჰქონდა.

მას შემდეგ რაც საქართველოს ეკლესიამ აღადგინა სამართლიანობა 1917 წელს, ამაზე გაჯავრებულმა რუსეთის სინოდმა 14 ივნისს N 4509 დადგენილებით გამოაცხადა თბილისი კავკასიის ეგზარქოსის საკათედრო ქალაქად, ხოლო კავკასიის ეგზარქოსს

მიანიჭა ტფილელობა მიტროპოლიტის პატივით, ერთი სიტყვით, შეიტანა ეკლესიაში ეგრედ წოდებული ფილეტიზმი. ეს ფაქტიც საეკლესიო კანონიკის კიდევ ერთი დარღვევა იყო რუსეთის ეკლესიის მხრიდან. ამასთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე იგონებს: სამღვდელო სინოდი მის მიერ გამოგზავნილ ორ ეპისტოლეში მოითხოვს მისდამი დამორჩილებას და განაგრძობს საკათალიკოსოს ტერიტორიაზე მყოფ არაქართულ სამრევლოთა მართვა-გამგეობას. მაშასადამე, ფილეტიზმი აქ გამეფებულია...(ცინცაძე.2010:355).

ფილეტიზმი არის საეკლესიო სამართლის უხეში დარღვევა, როცა ერთ ტერიტორაზე ორი სხვადასხვა ეკლესიის მმართველობა ხორციელდება ეროვნული ნიშნის მიხედვით. ამ შემთხვევაშიც რუსეთის ეკლესია კვლავ არაკანონიკურად მოქმედებს საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა თანამედროვე ეტაპზე რუსულენოვან ელექტრონულ საიტებზე შესაძლოა წააწყდეთ ტენდენციური შინაარსის შემცველ სტატიებს, რომლებშიც საქართველოს ეკლესიას ფილეტიზმში დებენ ბრალს, საქართველოს ეკლესიის გარდა ფილეტიზმში ბრალს დებენ ბულგარეთის ეკლესიასაც. ფილეტიზმის საშიშროებაზე ჯერ კიდევ 1906 წელს საუბრობდა ამბროსი ხელაია: ეკლესიურმა კანონიკამ არ იცის ავტოკეფალური ეკლესიების სამწყსოთა შედგენა ეროვნების მიხედვით. ერთი და იგივე ადგილობრივი ეკლესია ყოფილა და არის მშობელი დედა ადგილობრივ მორწმუნეთათვის განურჩევლად მათი ჩამომავლობისა: ეკლესია ჰგმობს, უარჰყოფს და დანაშაულად სთვლის, როდესაც მის სამწყსოს საზღვრავენ ეროვნებით, ნათესაობის მიხედვით. თუ საქართველოს ეკლესიის სამწყსოდ მარტო ქართველი მოდგმის ერები ჩავთვალეთ ფილეტიზმს ვერსად ვერ წაუვალთ(ჯვარი ვაზისა.1906:7). ამ საკითხის შესახებ მსჯელობისას ისტორიკოსი ნუგზარ პაპუაშვილი აღნიშნავს: საეკლესიო ისტორიაში ამ ტენდენციას ფილეტიზმი ეწოდე-

ბა, რაც ეკლესიების ტომობრივ დაყოფას ნიშნავს. იგი მკაცრადაა დაგმობილი წმინდა მამებისა და მასწავლებლების მიერ, რადგან ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, როგორც საყოველთაო რელიგიის, სულისკვეთებასა და შეაქვს ქაოსი საეკლესიო ცხოვრებაში ერთაშორისი ურთიერთობის თვალსაზრისით. ამის გამო ეკლესიები (სამრევლოები, საეპიკოპოსოები, საპატრიარქოები) ორგანიზებულია არა ეროვნების, არამედ ტერიტორიის მიხედვით. არსებობს არა „ქართული ეკლესია", არამედ „საქართველოს ეკლესია", რომელიც აერთიანებს სახელმწიფოს საზღვრებს შორის მცხოვრებ მართლმადიდებლებს ტომისა და კანის ფერის განურჩევლად (პაპუაშვილი.1998:303).

ავტოკეფალიაზე საუბრისას ფილიპ ვალტერსი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მთავარი ატრიბუტი ავტოკეფალური ეკლესიის არსებობაა სახელმწიფოში, ეს ფუნდამენტური პრინციპი დღესაც ძალაში რჩება.ამის შემდეგ იგი საუბრობს ბულგარეთის ეკლესიაზე, 1870 წელს ოსმალეთის სულთანმა თავისი ფირმანით აღიარა ბულგარეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა, ამ ეკლესიას ხელმძღვანელობდა ეგზარქოსი ანთიმ I, რომელმაც 1872 წელს გამოაცხადა ბულგარეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა. თუმცა ამ ქმედებაზე უმკაცრესი იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქის პასუხი, რომელმაც გააკეთა განცხადება ბულგარეთის ეკლესიის განხეთქილებაზე და ბრალი დასდო მათ ფილეტიზმში. ამით დაირღვა ძველი მართლმადიდებლური პრინციპი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს კონკრეტულ ერთ ტერიტორიაზე ერთი ეპისკოპოსი უნდა მოღვაწეობდეს.(Walters.2002:361). ფილეტიზმში ბრალდებული ბულგარელები დასაჯეს და ეკლესიიდან განდევნეს, როგორც სქიზმატიკოსები. აღნიშნული სასჯელი მოიხსნა მხოლოდ 1945 წელს. პატივცემული მკვლევარი როდესაც ბულგარეთის ეკლესიას ფილეტიზმში დებს ბრალს ავიწყდება, რომ ბულგარეთის ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა კონსტანტი-

ნეპოლის საპატრიარქოს ჩარევით XIV საუკუნეში, ამიტომ ცალმხრივად ამ ეკლესიის სქიზმასა და ფილეტიზმში დადანაშაულება არამართებულია.

1872 წელს ბულგარეთის ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების საფუძველი სულთნის ფირმანი და ამ ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია იყო, რომელიც უკანონოდ იქნა გაუქმებული. აქვე გვინდა შევეხოთ ევგენი პავლენკოს სტატიას, რომელშიც ავტორი საუბრობს ბულგარეთის ეკლესიის სქიზმაზე, შემდეგ კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე, სადაც აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას აქვს უძველესი ისტორია, რაზეც საეკლესიო კანონისტი თეოდორ ბალსამონი საუბრობს მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მეორე კანონის განმარტებისას. მას სტატიაში მოჰყავს ეპისკოპოს კირიონის 1906 წელს წარმოთქმული სიტყვა. ეპისკოპოსი კირიონი სწერს: „სულიწმინდის მოფენის შემდეგ მოციქულებმა სხვადასხვა ენებზე განადიდეს ღმერთი და შემდგომ იქადაგეს სახარება წარმართებში, მათ მშობლიურ ენაზე. პავლენკოს აზრით- მოციქულთა ქადაგება სხვადასხვა ენებზე საჭირო იყო რათა გაერთიანებულიყო ხალხები ქრისტიანულ ჭეშმარიტებაში და არა იმისათვის, რომ დაყოფილიყვნენ ისინი ნაცონალური პრინციპით.

ეპისკოპოსი კირიონი თავის სიტყვაში იმოწმებს მოციქულთა 34-ე კანონს, რომლის ძალითაც ყველა ერს აქვს უფლება ჰყავდეს უმაღლესი თანამდებობის საეკლესიო პირი. პავლენკოს აზრით კი მოციქულთა 34-ე კანონში საუბარია „თვითეული ტერიტორიის ეპისკოპოსზე“ და არ „თვითეული ხალხის ეპისკოპოსი“(Павленко. www.Portal-credo.ru.). ხაზგასმით გვინდა შევნიშნოთ, რომ დიდი სჯულის კანონის ძველ ქართულ ვარიანტში მოციქულთა 34-ე კანონში ვკითხულობთ: „თითოეულისა ნათესავისა ეპისკოპოსთაი“, ნათესავი არის ეროვნების პირდაპირი აღმნიშვნელი სიტყვა. ნიკოდიმ მილაშიც ანალოგიურად საუბრობს ამ კანონზე: „ყო-

ველი ერის ეპისკოპოსები უნდა ცნობდნენ პირველს მათ შორის".

ალბათ კომენტარი ზედმეტია, ბატონი პავლენკო მოციქულთა 34-ე კანონის განმარტების საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, რაც რა თქმა უნდა დასაგმობია. და ბოლოს იგი დასკვნის სახით გადმოგვცემს: ბულგარეთისა და საქართველოს ეკლესიის ფილეტიზმის მაგალითზე ქრისტიანობა ემსახურება მხოლოდ ნაციონალური იდეის ფორმირებას, რაც მიგვიყვანს არაკანონიკურობასა და საეკლესიო განხეთქილებასთან. ფილეტიზმი ისევე, როგორც ეკუმენიზმი არის ჩვენი საუკუნის დაავადება, რომელიც ძალიან მალე არღვევს მართლმადიდებლობას(იქვე). პატივცემულ მკვლევარს გვინდა მივმართოთ! ღვთისაგან ბოძებული უფლება, რომელსაც მოციქულთა 34-ე კანონი ანიჭებს ყველა ერს და ამ უფლების ძალით წართმევა ხომ არ არღვევს მართლმადიდებლობას? რომელ საუკუნის დაავადებაზე საუბრობს არაკომპეტენტური კანონისტი, როცა იგი ორ უძველეს ავტოკეფალურ საქართველოსა და ბულგარეთის ეკლესიაზე საუბრობს, მაშინ როცა ორივე ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია აღიარებულია ყველა ავტოკეფალური ეკლესიის მიერ. როცა ორივე ამ ეკლესიამ ურთულესი პერიოდი გამოიარა მუსულმანური სახელმწიფოების ძალადობრივი ქმედებების გამო. როდესაც ამ ეკლესიათა კანონიერი იერარქები, მათ შორის პატრიარქები უკანონოდ იდევნებოდნენ წლების მანძილზე. ამაზე ბატონი პავლენკო არაფერს ამბობს და მხოლოდ ფილეტიზმი დაინახა კანონიერი უფლების აღდგენაში, ჩვენი აზრით ასეთი ქმედება დიდი უსამართლობაა და მიუტევებელ ცოდვად შეიძლება შევაფასოთ, XXI საუკუნეში საქართველოსა და ბულგარეთის უძველეს ეკლესიათა ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერებაში ეჭვი შეიტანო.

ტენდენციურად აშუქებენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს თანამედროვე პერიოდშიც არაერთი რუსი მეცნიერი. მ.ბესონოვი საკუთარ ნაშრომში აღნიშნავს, რომ: ვინაიდან სა-

ქართველო XVIII საუკუნეში ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო, 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე თავისი ნებით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. თავისი ვრცელი ისტორიის მანძილზე კი მან არაერთგზის დაკარგა თავისი ავტოკეფალია. ავტოკეფალია დაკარგა საქართველომ რუსეთთან შეერთების დროს, როცა კათალიკოსი გახდა რუსეთის სინოდის წევრი, ამას მოჰყვა კათალიკოსის ტიტულის გაუქმება და საქართველოს საეგზარქოსოს ჩამოყალიბება (Бессонов.1990:86).

რუს მეცნიერს გვინდა შევახსენოთ, რომ საქართველო თავისი ნებით არ შესულა რუსეთის შემადგენლობაში, ამასთანავე იგი ვერ დაგვისახელებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის დაკარგვის შემთხვევებს გარდა, რუსეთის მიერ 1811 წლის უკანონო აქტისა. განსაკუთრებული სიყალბით გამოირჩევა ალექსანდრე დვორკინის ნაშრომი, სადაც ავტორი არარეალურ ამბებზე საუბრობს: თითქოს წმინდა ნინოს მოღვაწეობის შემდეგ ქართულ და სომხურ ეკლესებს ჰქონდათ ერთი მიზანი, ამ ეკლესიებს მეთაურობდა ქალაქ დვინის კათალიკოსი. როდესაც ერეკლე მეფემ თხოვნით მიმართა რუსეთს, რათა მისი სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესულიყო, 1801 წელს კი მისი ეს თხოვნა დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ საქართველოს კათალიკოსი მიწვეულ იქნა პეტერბურგში, სადაც ის დარჩა გარდაცვალებამდე 1812 წლამდე. ამის შემდეგ გაუქმებული იქნა საკათალიკოსო. 1918 წელს კი საქართველოს ეკლესიამ აღადგინა ავტოკეფალია. (Дворкин.2003:338).

რუსი მეცნიერის საყურადღებოდ გვინდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს ეკლესიას არასდროს მართავდა დვინის სომეხთა კათალიკოსი, ვინაიდან მეხუთე საუკუნიდან საკუთარი კათალიკოსი გვყავდა. ამასთანავე კათალიკოსი ანტონი 1812 წელს პეტერბურგში არ გარდაცვლილა და საქართველოს ეკლესის ავტოკეფალია ჯერ კიდევ კათალიკოსის სიცოცხლეში 1811 წელს

გაუქმდა, კათალიკოსი კი 1827 წელს გარდაიცვალა ნიჟნი ნოვგოროდში. ავტოკეფალია კი საქართველოს ეკლესიამ 1917 წელს აღადგინა. შევნიშნავთ, რომ XXI საუკუნეში მეცნიერის მხრიდან ამდენი უზუსტობის დაშვება შემთხვევითობა არ უნდა იყოს და იგი მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ საეკლესიო კანონების დაცვით აღადგინა უკანონოდ შეჩერებული ავტოკეფალია და ამის შემდეგ მან მიმართა ავტოკეფალური ეკლესიების მეთაურებს და მათგან მიიღო ხელახალი აღიარება ისტორიული ავტოკეფალიისა.

1990 წლის კონსტანტინეპოლის პატრიარქ დიმიტრიოსის განჩინებაში ხაზგასმითაა აღნიშნული: „ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შემავალი წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც უძველესი დროიდან მიიღო თვითმართველი და თავისუფალი გამგებლობა და შესაბამისად, საეკლესიო მმართველობითი ორგანიზაცია“. საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, რომლის აღიარებაც არ სურდა რუსეთის ეკლესიის მესვეურებს, მსოფლიო პატრიარქის მხრიდან სამართლიანად იქნა აღიარებული და ამან განჩინებაშიც ჰპოვა ასახვა. მნიშვნელოვანია, რომ განჩინებაში საუბარია ბალსამონის ცნობაზე საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებით: „სინოდის გადაწყვეტილებითა და სულიწმინდის განათლებულნი ვაცხადებთ საქართველოს უწმიდეს ეკლესიას იმავე თვითმართველი სტრუქტურითა და ორგანიზმებით, რაც უძველესი დროიდან გააჩნდა და რაც დამოწმებულია აგრეთვე ბალსამონის მიერ“.მსოფლიო პატრიარქის 1990 წლის განჩინებაში ბალსამონის ტექსტის დაფიქსირება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, ამით ერთხელ და სამუდამოდ გაეცა პასუხი იმ ადამიანებს, ვინც კი ოდესმე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ეჭვს ქვეს აყენებდა. ამის შესახებ 1990 წლის 18 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატ-

რიარქი ილია II ბრძანებდა: „ჩვენ განსაკუთრებით ვითხოვდით, რომ ეცნოთ ეს ძველი ავტოკეფალია, რადგან ჩვენ ახლა კი არ ვიღებდით ავტოკეფალიას, არამედ იგი მივიღეთ V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის დროს და ეს უნდა წარმოჩენილყო. სწორედ ეს არის მასში აღნიშნული და აღიარებული“(კათოლ.პატრ. ილია II. წგ. II.1997:85).

ამის შესაბამისად რუს მეცნიერთა და სეკლესიო პირთა მიერ 1917 წლის 12 მარტის აქტის კანონიერებაში ეჭვის შეტანა არასამართლიანია და დაუშვებელია, რადგან საქართველოს ეკლესიის მხრიდან არასოდეს, არც მეცხრამეტე და არც მეოცე საუკუნის განმავლობაში საეკლესიო კანონები არ დარღვეულა. პირიქით დარღვევები ყოველთვის რუსული ეკლესიის მხრიდან ხორციელდებოდა, თავდაპირველად 1811 წელს უკანონოდ იქნა გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომლითაც დაირღვა მოციქულთა, მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა დადგენილებები.

1905-1906 წლებში საქართველოს ეკლესიამ მოინდომა თავისი კანონიერი უფლებების აღდგენა, თუმცა რუსეთის ეკლესიის მხრიდან დაუსაბუთებელი უარი მიიღო. 1917 წელს ავტოკეფალიის სამართლიანი აღდგენის შემდეგ, რუსეთის დროებითმა მთავრობამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალია, რაც ასევე უსამართლო გადწყვეტილება იყო.

რუსეთის ეკლესიის მხრიდან კი საერთოდ ეჭვი შეიტანეს ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობაში და ეს ფაქტი კანონიკური აქსიომების დარღვევად შეაფასეს, ავტოკეფალია კი თვითაღიარებულად გამოაცხადეს, ამ შემთხვევაშიც უკანონობასთან გვქონდა საქმე.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ დეკანოზ ტ.ბუტკევიჩის ამონარიდი საკუთარი წიგნიდან, რომელიც 1913 წელს გამოვიდა ხარკოვში და ნაშრომში ავტოკეფალურ ეკლესიათა უმაღლეს მმართველობაზეა

საუბარი. პროფესორი ბუტკევიჩი სერბეთის ეკლესიაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ სერბეთის ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა XIII საუკუნეში, ხოლო 1375 წელს მისმა ეკლესიის მეთაურმა მიიღო პატრიარქის ტიტული. სერბეთის საპატრიარქომ მხოლოდ 420 წელი იარსება და 1766 წელს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ჩარევით არსებობა შეწვიტა, სერბი მღვდელმთავრები შეიცვალნენ ბერძნებით.

XIX საუკუნეში სერბეთის ეკლესიამ კვლავ აღადგინა ავტოკეფალია და ერთ-ერთ ადგილობრივ კრებაზე მხედველობაში მიიღო შემდეგი პრინციპები, რომელსაც ზედმიწევნით ჩამოთვლის რუსი დეკანოზი: ისინი ზრუნავენ რათა სერბ ხალხში შენარჩუნდეს მართლმადიდებელი სარწმუნოება სრული სიწმინდით, რომელიც თანხმობაში იქნებოდა წმინდა წერილთან, წმინდა გარდამოცემასთან, მოციქულთა კანონებთან, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებებთან, წმინდა მამათა დადგენილებებთან და და განსაკუთრებით სერბი ხალხის ძველ ტრადიციებთან. (Буткевичь.1913:80). დაგვეთანხმებით ალბათ, ქართველების მოთხოვნაც 1905-1906 წლებში ანალოგიური იყო, თუმცა დეკანოზი ბუტკევიჩი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის სასტიკი წინააღმდეგი იყო. სერბეთის შემთხვევაში კი იგი აღნიშნავს: „სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია, თავისი უმაღლესი მმართველობით, ეჭვს გარეშეა, რომ არის უკეთეს მდგომარეობაში და უფრო ახლოს დგას მსოფლიო საეკლესიო კანონებთან, ვიდრე ბერძნული ეკლესია. შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ სერბეთის ეკლესიას აღარ ჰყავს სასტიკი მეთვალყურე და კონტროლიორი, როგორიც არის ბერძნული ეკლესია“(იქვე:90). თუკი სერბეთის ეკლესიისათვის ბერძნები იყვნენ სასტიკი მეთვალყურენი, საქართველოს ეკლესიისათვის სასტიკ მეთვალყურეებად რუსები გვევლინებოდნენ, თუმცა ამ შეხედულებას რუსი მეცნიერები და სამღვდელოება ნაკლებად იზიარებდა.

დღეისათვის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია თავის მოღვაწეობას ახორციელებს შემდეგ საფუძვლებზე:

1. წმინდა წერილი და საღვთო გადმოცემა.
2. წმიდათა მოციქულთა და წმიდათა მსოფლიო და ადგი ლობრივ კრებათა და წმინდა მამათა კანონები და წესდებები.
3. საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ კრებათა დადგენილებები.
4. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისი კანონები.

1995 წლის საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებით საქართველოს ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან, დამოუკიდებელია და ახორციელებს მასთან ურთიერთობას საეკლესიო კანონების, სახელმწიფო კონსტიტუციის და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე. საეკლესიო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის ადგილობრივი საეკლესიო კრება, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდი, ხოლო კრებებს შორის პერიოდში უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი და მმართველი არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სრული ტიტულია: უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე მამაი ჩვენი ილია II.

პატრიარქი ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს მამამთავარს. პატრიარქებად იწოდებიან უძველესი და უდიდესი ტრადიციების მქონე ეკლესიების მეთაურები. მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურთაგან კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებს მხოლოდ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი. მარ-

თლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციისამებრ მეთაურს ირჩევს წმინდა სინოდი. კათოლიკოს-პატრიარქის ასარჩევად საჭიროა წმინდა სინოდის მღვდელმთავართა ნახევარზე მეტი. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა საჭირო ხმები, იმართება მეორე ტური, როგორც წესი მამამთავარი აირჩევა სამუდამოდ. (ჩიკვაიძე. საეკლესიო სამართლის საკითხები).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ასარჩევი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ა) უნდა იყოს ეროვნებით ქართველი, ბ) უნდა იყოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი, გ) უნდა ჰქონდეს საღვთისმეტყველო განათლება და საეკლესიო მმართველობის საკმარისი გამოცდილება, დ) ასაკით უნდა იყოს არანაკლებ ორმოცი წლისა და არაუმეტეს სამოცდაათი წლისა, ე) უნდა იყოს ბერი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პატივის ნიშნებია: ძოწისფერი მანტია, შავი საპატრიარქო კუნკულ-ბარტყული ჯვრითა და ფრთებზე გამოსახული სერაფიმებით, ორი პანაღია და ჯვარი, დიდი პარამანი და ჯვრით წინგაძღოლის უფლება. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უშუალო იურისდიქციაში იმყოფებიან, როგორც თბილისის სიონის, მცხეთის სვეტიცხოვლის, გელათის, მოქვისა და გონიოს საკათედრო ტაძრები, ასევე ყველა სტავროპიგიალური მონასტერი. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იწვევს და თავმჯდომარეობს საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდს და გაფართოებულ კრებას. კათალიკოს-პატრიარქს აქვს თავისი ტვიფარი და ბეჭედი. (მართვა-გამგეობის დებულება.1995:7-17). 1927 წლის ივნისში საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში შევიდა ცვლილება. გაუქმდა მოსაყდრეობა, როდესაც კათალიკოს -პატრიარქი თავის ადგილზე იყო და დაწესდა ქორეპისკოპოსობა, იგი შეიძლება ჰყოლოდა მხოლოდ კათალიკოს-პატრიარქს და იყო სინოდის წევრი (ჯაფარიძე.2012:133). ცვლილებები განხორციელ-

და ასევე 1945 წლის მართვა-გამგეობის დებულებით, რომლის მიხედვითაც გაუქმებული იქნა არა მხოლოდ ადრინდელი „საკათალიკოზო საბჭო“, რომელსაც იმდენად დიდი უფლებები გააჩნდა, რომ კრებათა შორის პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა ეკლესიას, არამედ 1927 წელს დადგენილი „საკათალიკოსო სინოდიც“. ახალი დებულების მიხედვით, კრებათა შორის პერიოდში უკვე სრული მმართველი იყო კათალიკოს-პატრიარქი, რომელთანაც არსებობდა „კათალიკოს-პატრიარქის თანაი სინოდი“(იქვე:146). 2010 წელს წმინდა სინოდის დადგენილებით კათალიკოს-პატრიარქს სამართავად გადაეცა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, ამასთანავე კათალიკოს-პატრიარქის ტიტულატურამ განიცადა ცვლილება. ბერძნული ტრადიციის ეკლესიებში (კონსტანტინეპოლი, ალექსანდრია, ანტიოქია,იერუსალიმი, საქართველო, კვიპროსი, საბერძნეთი, ალბანეთი) შავი ფერის კუნკულ-ბარტყული, ხოლო სლავური ტრადიციის ეკლესიებში (რუსეთი, სერბეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, ჩეხეთ-სლოვაკეთი, ამერიკა) თეთრი ფერისაა მიღებული. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიის მეთაურნი ატარებენ ნახევარსფეროსებრი ფორმის კუნკულ-ბარტყულს, რომლებზეც გამოსახულია სერაბიმები და ჯვარი. ერთი ზოლი უფრო ფართე ეშვება ზურგისაკენ და ორი მკერდზე (ეკლესიის საუნჯე.2013:332). საქართველოს ეკლესის მეთაურის კათოლიკოს-პატრიარქის კუნკულ-ბარტყულს შუბლზე ამშვენებს დიდი ჯვარი.

1993 წლიდან ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულმა სამრევლოებმა გაწყვიტეს კავშირი საქართველოს საპატრიარქოსთან, ხოლო 2009 წლის 15 სექტემბერს სოხუმის საკათედრო ტაძარში ეგრეთწოდებულმა აფხაზეთის ეკლესიამ გამოაცხადა ავტოკეფალია და ოფიციალურად განაცხადა საქართველოს საპატრიარქოდან გამოყოფა. თვითაღიარებულმა ეკლესიის მმართველმა მღვდელმა ბესარიონ აპლიამ ამასთან დაკავშირებით გა-

ნაცხადა: „ვინაიდან სოხუმ-აფხაზეთის ეპარქია 1943 წლამდე ექვემდებარებოდა საქართველოს საკათალოკოსოს და აფხაზეთის ტერიტორია ძალადობრივად იქნა მიერთებული საქართველოს ეკლესიას, დღეს ჩვენ შეგვიძლია გამოვაცხადოთ ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ. აღდგენილი იქნება აფხაზეთის ადგილობრივი ეკლესია ორი ეპარქიით; ბიჭვინთისა და სოხუმის ეპარქიებით" www.expertmus.livejournal.com.

ამ ქმედებით თვითაღიარებულმა აფხაზეთის ეკლესიამ დაარღვია საეკლესიო წესები და შესაბამისად მათი ეს ქმედება არაკანონიკურად უნდა ჩაითვალოს. ვინაიდან აფხაზეთის ეპარქია 2010 წლამდე იურიდიულად ექვემდებარებოდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველს მიტროპოლიტ დანიელს (დათუაშვილი), ხოლო 2010 წლიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველი არის საქართველოს ეკლესიის მეთაური სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II. ამის საფუძველზე ნებისმერი ქმედება და საეკლესიო საქმეების წარმოება შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველთან. ცხუმ -აფხაზეთი იურიდიულად დღესაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიაა და ამას ოფიციალურად აღიარებს ყველა ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური, ე.ი. ბესარიონ აპლიასა და აფხაზეთის სამღვდელოების ქმედება არაკანონიკურია. ამის გარდა, ბესარიონ აპლიას განცხადებაში მრავალი სიყალბეა, იგი შეგნებულად ამახინჯებს ისტორიულ რეალობას. ჯერ ერთი, აფხაზეთის ეპარქია არა მარტო 1943 წლამდე, არამედ დე ფაქტო 1992 წლამდე ექვემდებარებოდა საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას და მის ძალადობრივ მიერთებაზე საუბარი სრული აბსურდია.

ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 1992 წელს დედასამშობლოს ძალადობრივად ჩამოაცილეს უძველესი ქართული კუთხე აფხაზეთი, რომლის შემდგომაც აფხაზეთის ტე-

რიტორიაზე დარჩენილმა რამდენიმე სასულიერო პირმა დაიწყო არაკანონიკური ქმედებები. ასევე სიყალბედ უნდა შევაფასოთ განცხადება, თითქოს 1931 წელს აფხაზეთი ადმინისტრაციულად იქნა შეყვანილი როგორც აფხაზეთის ასსრ საქართველოს შემადგენლობაში. ამის საპირისპიროდ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისას აფხაზეთი უკვე იყო დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენელი ნაწილი, ამიტომ საუბარი 1931 წელს აფხაზეთის ადმინისტრაციულად საქართველოში შეყვანაზე არარეალურია და აბსურდულია. აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების საფუძვლად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ 2008 წლის აგვისტოს ბოლოს რუსეთის ფედერაციამ აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რომლის შემდეგაც, 2009 წელს, მათ გამოაცხადეს ავტოკეფალია. შევნიშნავთ, რომ ცივილიზებული მსოფლიო (გარდა ნიკარაგუისა და ვენესუელისა) არ აღიარებს აფხაზეთის როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის არსებობას.

ამასთანავე აფხაზეთის ტერიტორიაზე ამჟამად არ იმყოფება კანონიერად ნაკურთხი მღვდელმთავარი, რომელიც აღასრულებს კანონიკური წესების დაცვით სამღვდელო პირების კურთხევას, ამასთანავე საეკლესიო კანონისტ ვლადისლავ ციპინის მიხედვით ავტოკეფალური ეკლესიის აღიარებისათვის სულ მცირე ოთხი საეპისკოპოსო კათედრა უნდა არსებობდეს, ამიტომ ბუნებრივია, დღესდღეობით აფხაზეთში ოთხი კანონიერად ნაკურთხი ეპისკოპოსი არ არსებობს. სასულიერო პირები, რომლებიც დღეისათვის მოღვაწეობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე და მათ ხელდასხმა მიღებული აქვთ რუსი მღვდელმთავრების მიერ, რომლებმაც ამით დაარღვიეს დიდი სჯულის კანონი, ხოლო ყველა ეს სასულიერო პირი არღვევს საეკლესიო კანონებს საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში. არაკანონიკურად უნდა შეფასდეს ასევე თვითაღიარებული აფხაზეთის ეკლესიის წარმომადგენლების ვიზიტი

მსოფლიო პატრიარქთან სტამბულში, ავტოკეფალიის აღიარების მოთხოვნით, რაზეც მათ განემარტათ მსოფლიო პატრიარქისაგან, რომ აფხაზეთი კანონიკურად არის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ტერიტორია და შესაბამისად მათ აღნიშნულ მოთხოვნას საფუძველი არ აქვს. როგორც ჩანს, აფხაზეთის ეკლესიაში არ იყო სრული თანხმობა კონსტანტინეპოლის ვიზიტთან დაკავშირებით, ამას მოწმობს ბესარიონ აპლიას განცხადება, რომელიც მიიჩნევს, რომ: „მამა დოროთე და მამა ანდრია არიან საქართველოს ეკლესიის წევრები და ეს ხალხი არის მართლმადიდებელი აფხაზი ხალხისა და მოსკოვის საპატრიარქოს მტრები. კონსტანტინეპოლის ეკლესიას არანაირი ურთიერთობა არ აქვს აფხაზეთთან"(Эхо Москвы.2012.12январ).

ძალზე გაუგებარია ბესარიონ აპლიას განცხადება მამა დოროთეს და მამა ანდრიას საქართველოს ეკლესიის წევრებად აღიარების შესახებ, თუკი ამას დაუშვებთ, მაშინ მათ რა ესაქმებოდათ კონსტანტინეპოლოლის საპატრიარქოში. 2011 წლის დასაწყისში გამწვავდა კონფლიქტი პრო რუსულ (ბესარიონ აპლია) და პრო ბერძნულ პარტიას შორის, რომელთა სურვილია, მიიღონ დამოუკიდებლობა კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან. შედეგად ამ კონფლიქტს ის მოჰყვა, რომ 2011 წლის 15 მაისს აღდგენილ იქნა ეგრეთწოდებული ანაკოფიის ეპარქია, რომელსაც ეწოდა აფხაზეთის მიტროპოლია ცენტრით ახალი ათონი. ამის საფუძველზე აფხაზეთში დღესდღეობით არსებობს ორი თვითაღიარებული ეკლესიური ერთეული:

1. აფხაზეთის ეკლესიის მმართველი მღვდელი ბესარიონ აპლია. რომელსაც განხეთქილების შემდეგ ექვემდებარება 15 სამრევლო(6 აფხაზური და 9 სლავური).
2. ანაკოფიის ეპარქია ანუ აფხაზეთის მიტროპოლია. მმართველი არქიმანდრიტი დოროთე დბარი (www.hierarchy. Religare. ru).

აფხაზეთის ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირების მხრიდან სახეზეა საეკლესიო კანონების შემდეგი დარღვევები:

ა) დიდი სჯულის-კანონის მოციქულთა 34-ე, 39-ე; ანტიოქიის მე-9, მე-20; IV მსოფლიო კრების მე-8, მე-19; VI მსოფლიო კრების მე-8, ლაოდიკიის 57-ე და სხვა კანონების შესაბამისად, მმართველი ეპისკოპოსის გარეშე რაიმე საეპარქიო კრების ორგანიზება და ჩატარება არაკანონიკურია და ასეთი კრების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ბათილად ითვლება.

ბ) მოციქულთა მე-15; I მსოფლიო კრების მე-15, მე-16; IV მსოფლიო კრების მე-5, მე-13, მე-20, 23; ანტიოქიის მე-9, VI მსოფლიო კრების მე-17; VII მსოფლიო კრების მე-10 და სხვა კანონების შესაბამისად, სასულიერო პირს ეკრძალება, მონაწილეობა მიიღოს უცხო ადგილობრივი ეკლესიისა თუ ეპარქიის მართვა-გამგეობაში: მღვდელ-მონაზონი დოროთე დბარი და მღვდელ-მონაზონი ანდრეი ამპარი არიან რუსეთის საპატრიარქოს, მაიკოპის ეპარქიის მღვდელმსახურნი, ხოლო ბერ-დიაკონი დავით სარსანია- საქართველოს საპატრიარქოს მცხეთა-თბილისის ეპარქიის მსახურებიდან დაყენებული სასულიერო პირი შესაბამისად, აფხაზეთში მათ მიერ შესრულებული ნებისმიერი საეკლესიო საქმიანობა არაკანონიკურია და მოკლებულია ძალას(ქმუტაშვილი.www.ortodoxtheology.gy).

აქვე გვინდა შევეხოთ ზოგიერთ საკითხს, რომელიც მოცემულია მიხეილ ტარნავას წიგნში: „Краткий очерк Историй Абхазскои Церкви“, რომელიც 1917 წელს სოხუმში გამოქვეყნდა. წიგნის ელექტრონული ვერსია დევს აფხაზეთის ელექტრონული ბიბლიოთეკის საიტზე. მიხეილ ტარნავას წიგნის გაცნობისას მკითხველი დარწმუნდება, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო დაარსებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე, მის გაუქმებამდე, სუფთა ქართული ეკლესიური წარმონაქმნი იყო. ავტორი წიგნში აფხაზეთზე საუბრისას ჩამოთვლის ერთიანი საქართველოს მეფეებს: ბაგრატ

III-ს, გიორგი I-ს, ბაგრატ IV-ს, გიორგი II-ს და დავით აღმაშენებელს, რომელთაც ჰქონდათ აფხაზეთის მეფეთა ტიტული. იგი საუბრობს ნიკოფსიაზე, რომელიც უყო დასავლეთის უკიდურესი პუნქტი ქართველთა სამეფოსი. საუბრობს ასევე არარეალურ ამბებზე: იმერეთის სამეფოს დაშლის შემდეგ რამდენიმე სათავადო დაარსებულა, ამ გარემოების დახმარებით აფხაზებმა მხოლოდ 1390 წელს ხელახლა აირჩიეს თავისი კათალიკოსი არსენი, რომელიც ბიჭვინთაში ცხოვრობდა. შემდეგ ასახელებს კათალიკოს იოვაკიმეს, რომელმაც 1472 წელს დაიკავა კათალიკოსის ტახტი, ბოლოს კი ჩამოთვლის 16 კათალიკოსს, იგი კათალიკოსების ჩამოთვლისას შეგნებულად არ უთითებს გვარებს, ჩვენ ფრჩხილებში ამ ჩამონათვალს დავუმატებთ გვარებს:

1. მალაქია I- 1533 (აბაშიძე)
2. ევდემონი 1582 (ჩხეტიძე)
3. ექვთიმე - (საყვარელიძე)
4. მალაქია - 1682 (გურიელი)
5. მაქსიმე I - (მაჭუტაძე)
6. გრიგოლი I - 1631
7. ზაქარია - 1658 (ქვარიანი)
8. სვიმეონი - 1666 (ჩხეტიძე)
9. ევდემონი - 1667(ჩხეტიძე)
10. დავითი - 1670 (ნემსაძე)
11. ნიკოლოზი 1710 -?
12. გრიგოლი - 1713 (ლორთქიფანიძე)
13. გერმანე -1742 (წულუკიძე)
14. ნიკოლოზი მეორედ?
15. იოსები - (ბაგრატიონი)
16. მაქსიმე -1795 (აბაშიძე)

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) დასხელებული კათალიკოსები, სავსებით ცხადია, რომ ყველანი ქართველები იყ-

ვნენ, თუმცა ავტორი ცდილობს მათი წარმომავლობა დამალოს და საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო აფხაზებმა შექმნეს XIV საუკუნეში, რაც სრული აბსურდია. აფხაზეთი და აფხაზეთის ეკლესია დაარსებიდან XIX საუკუნემდე და შემდგომშიც, 1992 წლამდე; იყო სუფთა ქართული წარმომავლობის და ამ ეკლესიას მართავდნენ ეთნიკურად ქართველი სასულიერო პირები. ჩვენ საგანგებოდ დავიმოწმეთ მიხეილ ტარნავას წიგნი, რომელიც აფხაზეთის ეკლესიას ეძღვნება, რათა ტენდენციურობა არ დაგვწამონ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ, რა ტენდენციური ცნობებიც უნდა განთავსდეს სხვადასხვა ელექტრონულ საიტებსა და სპეციალურ ნაშრომებში, ისტორიულ რეალობას ვერავინ შეცვლის, აფხაზეთი არის უძველესი ქართული ქვეყანა, სადაც IX-X საუკუნეებიდან არსებობს საკათალიკოსო, აფხაზეთის კათალიკოსებად კი გვევლინებოდნენ ქართველები. ამის დამადასტურებლად სამი უძველესი ქართული წყარო გვინდა დავიმოწმოთ. აქედან ყველაზე ძველი ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის: „და ამავე ადერკის მეფობაში მოვიდნენ წმინდა თორმეტ მოციქულთაგანნი ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთში და ეგრისში. და იქ აღესრულა წმინდა სვიმონ კანანელი-ნიკოფსიის ქალაქში, ბერძნების საზღვარზე“(ქართლის ცხ.1955:38).

პირველ საუკუნეში, ქრისტეს მოციქულთა მოღვაწეობის პერიოდში, აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო, რასაც ადასტურებს კიდეც „მეფეთა ცხოვრება“. მეორე მნიშვნელოვანი წყაროს- „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ცნობებიც იდენტურია ამ საკითხთან დაკავშირებით. XI საუკუნის შუახანებში ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას გიორგი მთაწმინდელი ხაზგასმით აღნიშნავს- „ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანნი, სიმეონს ვიტყვ კანანელსა, ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“(საბინინი.1882:462). ე.ი. მე-

თერთმეტე საუკუნის შუახანებში აფხაზეთი კვლავ საქართველოს შემადგენელი ნაწილია. XVIII საუკუნის შუახანებში ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გვაუწყებს: „ხოლო ანაკოფიის დასავლეთით არის აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრისი...არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მპყრობლობს აფხაზთა, არავის მორჩილებასა შინა მყოფი“(ქართლის ცხ.1973:784).

ზემოთჩამოთვლილ წყაროთა ცნობებით ნათლად დასტურდება, რომ აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, ამიტომ ნებისმიერი მცდელობა რეალობის უარსაყოფად ამაო იქნება. ნაშრომის მესამე თავში ვისაუბრეთ იმ გარემოებებზე, რომელიც განვითარდა XV-XVI საუკუნეებში, რამაც გამოიწვია აფხაზეთში მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილება. დღევანდელი აფხაზების წარმომავლობაზე იმსჯელა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა, რომელიც ასევე ადასტურებს მათ ჩრდილო კავკასიურ წარმომავლობას: „აფხაზები აგრე ჰგვანან კავკასიის მთიელ ხალხებს, ყოფაში, სარწმუნოებით, რომ როგორც ჩანს მეხორბლეობა ან სულ არა აქვთ, ან მეტად მცირე, რომ ისინი მეგრელებს არ ჰგვანან ყოფა-ცხოვრებით, ყველაფერი ეს იმის მოწმობაა, რომ XVII საუკუნის აფხაზები მართლაც კავკასიანებია... ესენი არ არიან აბორიგენები, მათ ვერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა... ყველაფრიდან ჩანს, რომ აფხაზები XVII საუკუნეში თავისთავადი ხალხია, კავკასიანელთა მონათესავეა, პრიმიტიული ყოფითა და წარმართული რელიგიით”(ბერძენიშვილი.1990:614).

აქვე გვინდა დავიმოწმოთ ისტორიკოს გერონტი გასვიანის წიგნიდან „აფხაზეთი ისტორიული საქართველოა“ ამონარიდი: XVI საუკუნის მეორე ნახევარში აფსუები ჯერ კიდევ ყუბანის შუა წელში აფხაზეთიდან საკმაოდ შორს ცხოვრობდნენ. სხვათა შორის, ყუბანის სათავეებში ახლაც ცხოვრობენ აბაზები (დაახლოე-

ბით 6 ათასამდე სული), რომლებიც საუბრისას ამტკიცებენ, აფხაზად წოდებული აფსუები თავიანთი განაყოფის, ენისა და ჯიშის ხალხი არიან. საქმე ეხება აფსუების ენობრივ და გენეტიკურ ნათესაობას ყუბანისპირეთის აბაზებთან, რომელთა განაყოფიც ისინი არიან და არა ძველ-შუასაუკუნეების აფხაზები, რომელთანაც არავითარი კავშირი არ აქვთ (გასვიანი.2011:15-16). გამომდინარე აქედან, დღევანდელი აფხაზების მცდელობას, თავი წარმოაჩინონ ისტორიული აფხაზების მემკვიდრეებად საფუძველი არ აქვს. ამის დასტურია ისიც: „მათ, რომ უძველესი დროიდან ეცხოვრათ აფხაზეთში, ისინი, რომ ძველი ქრისტიანი აფხაზები ყოფილიყვნენ, რანაირად გაუქრებოდათ ის საზოგადოებრივი მეხსიერება, რომ ყველაფერი დაევიწყებინათ და ამის შემდეგ თავიდან დაბრუნებოდნენ პირველყოფილურ წარმართობას... აფხაზეთში XVI საუკუნის ბოლომდე არ არსებობს აფსუების ნაკვალევი ანუ ტოპონიმიკა, ჰიდრონიმიკა, ეთნონიმიკა, ასევე აფხაზეთში არ არსებობს მათი ციხე-სიმაგრე და რაც მთავარია, მათი კუთვნილი ეკლესია-მონასტერი“(იქვე:16). აფხაზეთში დღემდე არსებობს ათეულობით ეკლესია-მონასტერი, რომლებზეც შეინიშნება ქართული წარწერები, ფრესკები და ა.შ.

2013 წლის 26 ივნისს ჩერემენეცკის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის მონასტერში გამართულ მართლმადიდებელ მისიონერულ კონფერენციაზე აფხაზეთის შესახებ განცხადება გააკეთა პროფესორმა, მთავარდიაკონმა ანდრია კურაევმა. აღსანიშნავია, რომ ანდრია კურაევი დღეისათვის ერდადერთი იშვიათი გამონაკლისია რუს მეცნიერთა შორის, რომელიც რეალურად აფასებს სიტუაციას. რუსმა თეოლოგმა გამოსვლისას ისაუბრა დღევანდელი აფხაზების წარმომავლობაზე. „რა საერთო აქვთ აფხაზეთთან იმათ, ვისაც ჩვენ დღეს აფხაზებს ვუწოდებთ, ფაქტია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არის გასაოცარი უძველესი ქრისტიანული ტაძრები, არსებობდა უძველესი მართლმადიდებელი აფხა-

ზეთის სამეფო, არსებობდა აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია. ყველაფერი ეს სიმართლეა! საქმე ის არის, თუ რა კავშირი აქვთ ამასთან იმათ, ვინც დღეს იქ ცხოვრობს. პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადამიანები თავის თავს „აფსუას“ უწოდებენ, თავის ქვეყანას „აფსნის“ და არა აფხაზეთს. სიტყვა „აფხაზეთი“ კი ქართული სიტყვაა. ე.ი. ისინი, ვინც ოდესღაც თავის თავს აფხაზებს უწოდებდნენ, ქართული ეთნოსის ნაწილს წარმოადგენდნენ, როგორც მეგრელები და სხვანი. ქართველი ისტორიკოსებიც ასე ფიქრობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ აი, ის ავთენტური, ქართული ეკლესიის წიაღში და ქართველ ხალხთან გაერთიანებული მართლმადიდებელი აფხაზები თურქებმა გაჟლიტეს და გამოდევნეს იქიდან, იმ სანაპიროდან, მე16-17 საუკუნეებში, ნაწილი გაქრა და ნაწილი აღმოსავლეთით, საქართველოს ღრმა მთიანეთში გაიხიზნა, ხოლო დაცარიელებულ სანაპირო ზოლში თურქულმა ხელისუფლებამ მთებიდან ჩერქეზები ჩამოასახლა“(კურაევი. www.reportiori.ge).

ოკუპირებულ აფხაზეთში დღესდღეობით მიზანმიმართულად მიმდინარეობს უძველესი ქართული ტაძრების (ილორი, ბედია, დრანდა და ა.შ.) რეკონსტრუქცია, რომლის მიზანია, წაიშალოს ქართული წარწერები, ფრესკები და, საერთოდ, ქართული კვალი, რაც ბარბაროსობად უნდა შეფასდეს. შესაბამისად ამის დამადასტურებელია ასევე უამრავი ქრისტიანული სიწმინდე: ბიჭვინთის სახარება XII საუკუნე, მოქვის სახარება 1300 წლის ახლოს, ბედიის ბარძიმი X საუკუნე, მოქვის ტაძრის საწინამძღვრო ჯვარი XVI საუკუნე. საეკლესიო სამართლის ისეთი ძეგლები, როგორებიცაა: „მცნებაი სასჯულო“ XV საუკუნე, სამართალი კათალიკოზისა XVI საუკუნე, აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი XVI-XVII საუკუნეები და მრავალი წერილობითი, ეპიგრაფიკული და მატერიალური კულტურის მასალა. ამასთანავე აფხაზეთის საკათალიკოსოში საუკუნეების მანძილზე წირვა-ლოცვები ქარ-

თულ ენაზე აღევლინებოდა.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველომ მიიღო ქვეყნის უმაღლესი კანონი-კონსტიტუცია, ქვეყნის ძირითადი კანონი, რასაც მოჰყვა 1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთაში საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე მიიღეს მართვა-გამგეობის ახალი დებულება. ორივე ამ კანონის მიღება მოხდა „შეგნებულად". ასეთი ნაბიჯების გადადგმამ შინაგანად სახელმწიფოსა და ეკლესიას ერთმანეთთან საურთიერთობოდ მისცა სამართლებრივი ბიძგი, რამაც კონკორდატის დადებამდე მიგვიყვანა..(ვაშაყმაძე.2011). კონსტიტუციური შეთანხმება უმაღლესი რანგის იურიდიული დოკუმენტია. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, მას უნდა შეესაბამებოდეს როგორც სახელმწიფოს ყველა კანონი, ისე საქართველოს უმაღლესი ორგანოების მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. სახელმწიფო აღიარებს, რომ ეკლესია თავის საქმანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთანხმებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. (ჩიკვაიძე.2005:10-11). 2002 წელს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმებით სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დასრულებული სამართლებრივი ფორმა ჩამოყალიბდა.

დასკვნები

V საუკუნის შუახანებამდე ქართულ ეკლესიაში ერთი ეპარქიის არსებობა ძალზე საეჭვოა, თუნდაც ტერიტორიული პრინციპით: ერთ ეპისკოპოსს ძალიან გაუჭირდებოდა მრავალი ქალაქისა და სამრევლოს მართვა. ქართლში V საუკუნის II ნახევარში არსებობდა რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრა, რომლებიც ძირითადად ალბათ დიდ ქალაქებსა და მსხვილ საეკლესიო ცენტრებში იყო წარმოდგენილი და იერარქიულად მცხეთის მთავარეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს უფლებები მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე კანონის მიხედვით ძალზე გაიზარდა. ვახტანგ გორგასალმა საეკლესიო კანონიკის მიხედვით სწორედ კონსტანტინეპოლში გააგზავნა მიქაელ მთავარეპისკოპოსი, რათა მეფე-მღვდელმთავარს შორის ატეხილი დავა ისე გადაწყვეტილიყო, როგორც იმ პერიოდის საეკლესიო სამართალი მოითხოვდა.

აღსანიშნავია, რომ ქართული ეკლესიის პირველი მეთაურის ხელდასხმა მოხდა ბიზანტიის იმპერატორ ლეონ I-ის (457-474) მოღვაწეობის პერიოდში, მაშინ კათალიკოსად საკურთხებელი პიროვნება პეტრე, კონსტანტინეპოლის პატრიარქი, ანტიოქიის პატრიარქი და ვახტანგ მეფე — ყველანი მართლმადიდებლები იყვნენ.

ქართლის ეკლესიის მეთაურის კურთხევის საკითხის გარკვევისას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის პატრიარქთა სარწმუნოებრივ მიმართულებას. ჯუანშერის მიერ დასახელებული იმპერატორი ლეონ I მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებელი იყო, შესაბამისად მისი თანამედროვენი კონსტანტინეპოლის პატრიარქი წმიდა გენადი (458-471) და ანტიოქიის პატრიარქი მარტი-

რიუსი (456-468) მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველები იყვნენ, ამიტომ შეუძლებელია, კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელ პატრიარქს კათალიკოსად საკურთხებელი კანდიდატი ანტიოქიის მონოფიზიტ პატრიარქთან გაეგზავნა. საეკლესიო კანონებით ასეთი ფაქტი დაუშვებელია და მსგავსი შემთხვევა არ არსებობს ეკლესიის ისტორიაში.

5. ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურმა სიძლიერემ და წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის საერთაშორისო ავტორიტეტმა განაპირობა, V საუკუნის 60-იან წლებში ქართულ ეკლესიას მოეპოვებინა ავტოკეფალია. ბიზანტიასთან მიმართებით ვახტანგ მეფის საეკლესიო თუ საერო საკითხებში მჭიდრო კავშირმა ხაზი გაუსვა ქართული სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიის მართლმადიდებლურ ორიენტაციას.

6. 681 წლის მსოფლიო VI საეკლესიო კრებამ მცხეთის კათალიკოსი აიყვანა იმავე პატივსა და ღირსებაში, რომელშიც მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელი პატრიარქები იმყოფებოდნენ. ამავე დროს მცხეთაში დაიწყო წმიდა მირონის კურთხევა. ეს მოვლენები, რომლებიც ქართულ ეკლესიაში განხორციელდა, სრულიად კანონზომიერი იყო, თუმცა რამდენიმე საუკუნე მაინც დასჭირდა, რომ ქართული ეკლესია ორგანიზაციულად და ადმინისტრაციულად აღმოსავლეთში მართლმადიდებელთა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი გამხდარიყო.

7. საქართველოს ეკლესიის მამამთავართა სიაში ქართლის კათალიკოს წმიდა მამაის (731-744) მომდევნო კათალიკოსია იოანე III (744-760). ამ ფაქტს ადასტურებს X საუკუნის ძეგლი შატბერდის კრებული, რომელშიც ჩართულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. სწორედ იოანე III აკურთხა მცხეთის კათალიკოსად ანტიოქიის პატრიარქმა თეოფილაქტემ (744-750) VIII საუკუნის 40-იან წლებში.

ამასთანავე, იოანე ვერ იქნებოდა აფხაზეთის პირველი კათა-

ლიკოსი, რადგან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საეკლესიო ცენტრები კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში შედიოდა. ამიტომ ბუნებრივია, საეკლესიო კანონიკიდან გამომდინარე, აფხაზეთის კათალიკოსის ხელდასხმა სწორედ კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან უნდა მიეღო.

8. თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ ნაკურთხი მცხეთის კათალიკოს იოანეს მიერ მოხდა ხელდასხმა იოანე გუთელი ეპისკოპოსისა, რასაც ადასტურებდა კიდეც „დიდი სვინაქსარი“, რაზეც იმსჯელა XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელმა.

9. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე საუბრისას ერთი რამ სავსებით ნათელია: ბერძნული ეკლესიის მესვეურები თითქმის ყოველთვის ცდილობდნენ, „კანონიერი“ საფუძველი მიეცათ, თითქოს ქართული ეკლესია დამოუკიდებელია, მაგრამ მას გარკვეული ვალდებულებები აკისრია ანტიოქიის საპატრიარქოსადმი. ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიება მსახურებაზე, თუ საქართველოში ანტიოქიის პატრიარქის პირადი წარმომადგენლის გამოგზავნა. ძირთადად კი, როგორც ეს მეცნიერულმა გამოკვლევებმა აჩვენა, ეს არის ბერძნების ამბიციური სურვილი, რეალობა კი სულ სხვა ფაქტებს გვიდასტურებს.

10. XI საუკუნის 50-იან წლებში ქართული ეკლესიის მეთაურს პატრიარქის ტიტული ნახევარი საუკუნის მოპოვებული ჰქონდა. შესაბამისად, ამ ტიტულის მოპოვებაც საეკლესიო კანონების სრული დაცვით მოხდებოდა. ამიტომ 1054-1057 წლებში კონსტანტინეპოლში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს საქართველოს ეკლესიის მიერ „საპატრიარქო ღირსების იურიდიული ცნობის“ აღიარება საეჭვოა.

11. ეკლესიის ისტორიაში უდიდესი საეკლესიო კანონისტების - პატრიარქ ფოტისა და იოანე ზონარას შემდეგ ქართული ეკ-

ლესიის ავტოკეფალიაზე საუბრობს გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, შემდგომში ანტიოქიის პატრიარქი თეოდორ ბალსამონი. საყურადღებოა, რომ ბალსამონი ამ საკითხს ეხება 381 წლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-2 კანონის განხილვისას, შესაბამისად, ბალსამონის ცნობის დოკუმენტად აღიარება მისაღებია.

12. XI საუკუნეში ბერძნები თავადვე აღიარებდნენ, რომ ამ დროს ქართული ეკლესია არცერთ პატრიარქს არ ემორჩილებოდა, ამასთანავე ყოველი საეკლესიო წესი და რიგი მათ მიერ განეგება. ამასთან, ყველაზე მთავარი, ქართველები „თვით დაისმენ კათალიკოზთა“ ანუ XI საუკუნის შუა ხანებში ქართული ეკლესია სრულიად დამოუკიდებელია და თვითონვე ქართველების მიერ ხდება კათალიკოსის ხელდასხმა. ამ ფაქტს კი თვითონ ბერძნები აღიარებენ.

13. ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას გიორგი მთაწმინდელმა დაასაბუთა ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა, რომლის მიხედვითაც ქართული ეკლესია იმავე უფლებებით სარგებლობდა, რითაც ანტიოქიის უძველესი ეკლესია. უფრო მეტიც, ვინაიდან ქართული ეკლესია ანდრია მოციქულის მიერ იყო დაარსებული, არანაირი საჭიროება არ არსებობდა იმისა, რომ ქართულ ეკლესიას ანტიოქიიდან მიეღო უფლებამოსილება ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად. ივერიის ეკლესია პირველი საუკუნიდანვე სამოციქულოა და შესაბამისად ავტოკეფალური.

14. X საუკუნის განმავლობაში აფხაზეთი საკათალიკოსო დამოუკიდებლად არსებობდა და მას არანაირი ვალდებულება არ აკავშირებდა მცხეთის საკათალიკოსოსთან. აფხაზეთის საკათალიკოსოს ფორმირება ეტაპობრივად განხორციელდა. თავდაპირველად მოხდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსგან გამოყოფა, შემდეგ გაჩნდა საჭიროება საკათალიკოსოს შექ-

მნისა, რომელმაც X საუკუნის განმავლობაში გაატარა ღონისძიებები, რაც მნიშვნელოვანი იყო ეკლესიის გასაძლიერებლად. X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში პოლიტიკურმა სიტუაციამ კვლავ ცვლილებები განაპირობა ქართულ ეკლესიაში. თუკი აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკურმა არსებობამ აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნა განაპირობა, ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებამ და ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიების გაერთიანება გახადა აუცილებელი.

15. გაერთიანებულ საქართველოში XI საუკუნიდან აფხაზეთის კათალიკოსის უფლებები დამცრობილია, ხოლო მცხეთის კათალიკოსის უფლებები, პირიქით, გაცილებით იზრდება. ერთიან საქართველოში აფხაზეთის საკათალიკოსომ შეინარჩუნა არსებობა. XV საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურად დაშლის შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო მცხეთის საკათალიკოსოს გამოეყო. კათალიკოსთა ურთიერთმიმართება საგრძნობლად შეიცვალა. აფხაზეთის კათალიკოსის უფლებამოსილება გაიზარდა. საკათალიკოსო რეზიდენციამ შეიცვალა ადგილმდებარეობა და კათალიკოსის ტიტულატურაც შეიცვალა.

16. XV საუკუნეში საქართველოში შემოწირულობის ასაკრებად ჩამოსულ ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქ მიხეილს, ერთ-ერთმა ქართველმა მეფემ ბაგრატ VI-მ და დიდებულებმა საშუალება მისცეს, აღესრულებინა ხელდასხმა, რომელიც სავარაუდოდ, მცხეთის კათალიკოსის პრეროგატივა იყო. მართალია, ეს იყო ერთჯერადი აქტი, მაგრამ მისი საჭიროება ნამდვილად არ არსებობდა. რაც მთავარია, ეს აქტი მიმართული იყო სახელმწიფოებრივი რღვევისა და ეკლესიური ერთიანობის წინააღმდეგ. პატრიარქი მიხეილი შეეცადა კანონიერი

საფუძველი დაედო მის მიერ ცაიშელ-ბედიელი იოვაკიმეს კურთხევისათვის, რათა გაემართლებინა თავისი საქციელი.

17. XVI საუკუნის 50-იანი წლებიდან ბიჭვინთაში მყოფი აფხაზეთის კათალიკოსი ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კათალიკოსები, ეპისკოპოსები ძირითადად ყოველთვის მეფის საიმედო და აქტიური მხარდამჭერები იყვნენ ქვეყნის ყველა უმნიშვნელოვანეს საქმეში. შესაბამისად, აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია უკვე მდებარეობდა ტერიტორიაზე, რომლის კონტროლზეც იმერეთის მეფეს ხელი აღარ მიუწვდებოდა. ამას დაემატა ქრისტიანი მოსახლეობის თანდათან შემცირება მთიელთა მოწოლის გამო და ეკლესია-მონასტრების დაცარიელება. ბუნებრივია, ამის გამო იმერეთის მეფე დააყენებდა საკითხს, რათა აფხაზეთის საკათალიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთიდან გადასულიყო გელათში, საიდანაც კათალიკოსი უკეთ განახორციელებდა თავის ფუნქციებს. კათალიკოსის რეზიდენციის გადმოტანა იყო იძულებითი ღონისძიება, რომელიც ძირითადად პოლიტიკური სიტუაციის გართულებით იყო გამოწვეული.

18. 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ გამოიწვია მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილების დარღვევა. ავტოკეფალიის გაუქმებით დაირღვა ასევე საუკუნეების განმავალობაში მიღებული საქართველოს საეკლესიო კრებათა დადგენილებები.

19. 1811-1814 წლებში გაუქმდა მცხეთისა და აფხაზეთის უძველესი საკათალიკოსოები, რომლებიც რუსეთის ეკლესიაზე ბევრად ძველი ავტოკეფალური ეკლესიები იყვნენ. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს გაუქმებით რუსეთის ეკლესიამ ანალოგიურად დაარღვია მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებები, როგორც მცხეთის საკათალიკოსოს გაუქმების შემთხვევაში.

20. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო იმპერიის შემადგენლობაში ქართული ავტოკეფალური ეკლესიების არსებობა. 1811 წლიდან დაიწყო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი, რომელიც მთელი 106 წლის განმავლობაში გაგრძელდა, თუმცა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ისტორიული სამართლიანობა აღდგა.

21. 1906 წლის განმავლობაში პეტერბურგში გაიმართა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომები, რომლებზეც იხილებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა კანონიერად არ მიიჩნია, რადგან ავტოკეფალიის აღდგენა ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს. მიუხედავად ქართველი მღვდელმთავრების მცდელობისა და დასაბუთებისა, რომ ქართული ეკლესია ავტოკეფალური და მათი მოთხოვნა კანონიერი იყო, იმ ეტაპზე შედეგი ვერ გამოიღო.

22. 1917 წლის 12 მარტს მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში წაკითხულ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი. აღნიშნული დოკუმენტის მიღება ავტოკეფალური მოძრაობის ლოგიკური დასასრული იყო. ავტოკეფალიის აღდგენის აქტში ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების გარეშე უკანონოდ იყო გაუქმებული. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა. საქართველოს ეკლესიაში ამ პერიოდში უკვე მყარი ნიადაგი იყო მომზადებული ავტოკეფალიის აღსადგენად. ქართული ეკლესიის კანონიერი უფლებების აღდგენა ერის სულიერი

მოთხოვნილებების აღსრულება იყო.

24. 1943 წელს რუსეთის ეკლესიამ კვლავ აღიარა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, ამასთანავე აღდგა ევქარისტული კავშირი ორ ეკლესიას შორის.

1990 წლის 4 მარტს სტამბულში კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ საბოლოოდ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც აისახა შესაბამის დოკუმენტებში. პირველი დოკუმენტით აღიარებული იქნა საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი. მეორე დოკუმენტით განისაზღვრა, საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების საპატრიარქო და სინოდის განჩინება.

აღნიშნული ორი დოკუმენტის მიხედვით საბოლოოდ იქნა აღიარებული კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ ისტორიული წყაროების საფუძველზე ქართული ეკლესიის სრულყოფილი ავტოკეფალია. ეს იყო ისტორიული კანონზომიერება, რომლის საფუძველზეც საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდა იგივე პატივი და ღირსება, რითაც საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა. ამიერიდან საქართველოს ეკლესიიის კანონიერი ავტოკეფალია აღარ იქნება მსჯელობისა და განსჯის საგანი. წმიდა ანდრია პირველწოდებულის მიერ დაარსებული საქართველოს სამოციქულო ეკლესია, მართლმადიდებლობის მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენს მთელ მსოფლიოში.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ავტოკეფალიას, რომელიც უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებაა ყველა ერისათვის, საქართველოს სასულიერო ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაშიც დიდი როლი აქვს შესრულებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკური და სასულიერო წრეები V საუკუნიდან მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლაში

თითქმის მუდმივად იყვნენ ჩართულნი, ამ ბრძოლამ მრავალი მოღვაწე აღზარდა, გამოაწრთო და გარდა სულიერ-კანონიკური ზეამაღლებისა დიდ ეროვნულ - პატრიოტულ სამსახურში ჩააყენა. მათ გარეშე ჩვენი ქვეყნის განმანათლებლური და ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა იმ დონეს ვერ მიაღწევდა , რაც მას XIX საუკუნის 60-იან და XX საუკუნის 90-იან წლებში ახასიათებდა.

დიპტიქი

დიპტიქი ბერძნული (δίπτυχος) სიტყვაა, რომელიც ძველად აღნიშნავდა წიგნაკს, იგი შედგებოდა ხის, ძვლის ან მეტალის ორი დაფისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო თასმით. მისი ზედაპირი დაფარული იყო ცვილით, რომელზეც კვეთდნენ წარწერებს. ადრექრისტიანულ ეპოქაში ასეთ წიგნაკებს იყენებდნენ მოწამეთა სახელების ჩასაწერად. თანამედროვე ეტაპზე დიპტიქი არის მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების მოხსენიების რიგი ღვთისმსახურების დროს. ყველა ავტოკეფალური ეკლესია ერთმანეთს თანასწორია.

პირველი ავტოკეფალური ეკლესიები აღმოცენდნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე და და მათ მეზობელ სახელმწიფოებში. IV საუკუნიდან არსებობდა ხუთი ავტოკეფალური (პენტარქია) ეკლესია: 1. რომის, 2.კონსტანტინეპოლის, 3. ალექსანდრის, 4. ანტიოქიის, 5. იერუსალიმის. შემდეგ ანტიოქის ეკლესიას გამოეყო კვიპროსის და საქართველოს ეკლესიები. თავდაპირველად რომის ეკლესია იყო წარმოდგენილი პირველ ადგილზე. IV საუკუნის ბოლოდან დაწინაურდა კონსტანტინეპოლის ეკლესია. გამომდინარე იქედან, რომ ის იყო დედაქალაქის ეპისკოპოსი და ეპისკოპოსებს შორის იმპერატორი პირველად მასთან ურთიერთობდა. მან მიიღო სტატუსი, როგორს შუამავალი იმპერატორსა და სხვა პატრიარქებს შორის. (Ципин.2004:299).

უნდა შევნიშნოთ, რომ V საუკუნეში სირიის ნიკეის საეკლესიო კრების მეორე კანონის მიხედვით: „მსოფლიოში უნდა არსებობდეს მხოლოდ 4 პატრიარქი, მსგავსად 4 სახარებისა, სამოთხის 4 მდინარისა; მსოფლიოს 4 მხარისა. მათ შორის პირველი რომის პაპი, როგორც დაადგინეს მოციქულებმა, შემდეგ ალექსანდრიის, ეფესოს და ანტიოქიის პატრიარქები. კონსტანტინეპოლის ეკლესიის აღმოცენებამ და მისმა ამაღლებამ დაარღვია ეს წესრიგი. ამის

შემდეგ ამავე კრების მიხედვით ეფესოს საპატრიარქო კათედრა გადატანილ იქნა იმპერიის დედაქალაქში.(Гидулянов.19:411). აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ ვითარებათა გამო დიპტიქში სხვადასხვა დროს რამდენჯერმე მოხდა ცვლილება. VI საუკუნის ბოლოდან წმინდა იოანე მმარხველის პერიოდიდან, კონსტანტინეპოლის პატრიარქებმა მიიღეს მსოფლიო პატრიარქის ტიტული,რაზეც დიდი პროტესტი გამოთქვა რომის პაპმა გრიგოლ დიდმა. აღმოსავლეთის სხვა საპატრიარქოების გავლენა კი კიდევ უფრო შესუსტდა. პირველი: ეგვიპტესა და სირიაში სხვადასხვა ერესების აღმოცენების გამო. მეორე: VII საუკუნიდან არაბთა ბატონობის გამო მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. (Ципин.2004:300).

XI საუკუნეში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების გაყოფის შემდეგ, რომის ეკლესიას მართლმადიდებელი ეკლესიები უკვე აღარ იხსენიებდნენ. ამიერიდან დიპტიქში პირველი ადგილი კონსტანტინოპოლის ეკლესიამ დაიკავა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1438 წელს შემდგარი ფერარა-ფლორენციის კრება, რომელსაც მსოფლიოს მართლმადიდებელ პატრიარქთა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კრებაზე საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს მეექვსე ადგილი ეკავა რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიათა წარმომადგენლების შემდეგ. აქედან ჩანს, რომ ძველ დიპტიქში იბერიის ეკლესიას ეჭირა VI ადგილი. XIX საუკუნის შუა წლებამდე წმინდა დიპტქში იხსენიებოდა მხოლოდ აღმოსავლეთის ოთხი პატრიარქი, მხოლოდ ამ საუკუნეში და შემდგომ ახალი ავტოკეფალური ეკლესიების (ელადის, სერბეთის, რუმინეთის, პოლონეთის და ალბანეთის) დაარსების შემდეგ კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ისინი დაავალდებულა, დიპტიქში მოეხსენებინათ ოთხი პატრიარქის გარდა სხვა ეპისკოპოსები და ეკლესიები. (ჯაფარიძე.2009:10-11). XV საუკუნეში რუსეთის ეკლესიამ დიპ-

ტიქში მესამე ადგილი მოითხოვა კონსტანტინეპოლისა და ალექსანდრიის ეკლესიის შემდეგ, თუმცა მათი ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საბოლოოდ რუსეთის ეკლესიამ დიპტიქში მეხუთე ადგილი 1589 წელს დაიკავა, როდესაც ჩამოყალიბდა რუსეთის საპატრიარქო. დიპტიქში ცვლილებები XIX და XX საუკუნეების განმავლობაშიც განხორციელდა და აღმოცენდა ახალი ავტოკეფალური ეკლესიები: სერბეთის, ბულგარეთის, რუმინეთის,პოლონეთის, ჩეხეთის და სლოვაკეთის.

თანამედროვე დიპტიქის ფორმირებაზე სხვადასხვა ფაქტორებმა იქონიეს გავლენა: ეკლესის სიძველემ,ავტოკეფალიის გამოცხადებამ ქრონოლოგიის მიხედვით და სხვა. (უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრინციპი საქართველოსა და კვიპროსის ეკლესიებთან მიმართებაში დაცული არ არის).

დღეისათვის არსებობს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქი. შევნიშნავთ, რომ განსხვავებები უძველეს საპატრიარქოებთან მიმართებაში არ არსებობს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ აღიარებულ დიპტიქში 15 ავტოკეფალური ეკლესია იხსენიება, ხოლო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დიპტიქით 14 ავტოკეფალური ეკლესია იხსენიება. განსხვავებები არსებობს ავტონომიურ ეკლესიებთან მიმართებაშიც. („http://www.rudocs.exdat.com/dosc/index-168723“).

რუსეთის ეკლესიის მიერ აღიარებული დიპტიქი	კონსტანტინეპოლის ეკლესიის აღიარებული დიპტიხი
1. კონსტანტინეპოლის ეკლესია	1. კონსტანტინეპოლის
2. ალექსანდრიის ეკლესია	2. ალექსანდრიის ეკლესია
3. ანტიოქიის ეკლესია	3. ანტიოქიის ეკლესია
4. იერუსალიმის ეკლესია	4. იერუსალიმის ეკლესია
5. რუსეთის ეკლესია	5. რუსეთის ეკლესია
6. საქართველოს ეკლესია	6. სერბეთის ეკლესია
7. სერბეთის ეკლესია	7. რუმინეთის ეკლესია
8. რუმინეთის ეკლესია	8. ბულგარეთის ეკლესია
9. ბულგარეთის ეკლესია	9. საქართველოს ეკლესია
10. კვიპროსის ეკლესია	10. კვიპროსის ეკლესია
11. ელადის ეკლესია	11. ელადის ეკლესია
12. ალბანეთის ეკლესია	12. პოლონეთის ეკლესია
13. პოლონეთის ეკლესია	13. ალბანეთის ეკლესია
14. ჩეხეთის და სლოვაკეთის	14. ჩეხეთის და სლოვაკეთის
15. ამერიკის ეკლესია	

ავტონომიური ეკლესიები

სინაის	სინაის
ფინეთის	ფინეთის
იაპონიის	ესტონეთის

განსხვავება ავტოკეფალურ ეკლესიებსა და ავტონომიურ ეკლესიებში მდგომარეობს იმაში, რომ პირველთ სამოციქულო მემკვიდრეობითობის საკუთარი ჯაჭვი აქვთ, და მათი ეპისკო-

პოსები, მათ შორის უპირატესის ჩათვლით, ამავე ეკლესიის მიერ დგინდებიან, ავტონომურ ეკლესიებს კი ამის უფლება არ აქვთ და მათი პირველიერარქები დედა-ეკლესიათა მიერ დგინდებიან(ეკლესიის საუნჯე.2013:352).

კონსტანტინეპოლის საპატრიარქო არ აღიარებს ამერიკის ეკლესიის ავტიკეფალურ სტატუსს. რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის რიგით ადგილს, ვინაიდან 1990 წელს კონსტანტინეპოლში არ გადაწყვეტილა საკითხი, რათა საქართველოს ეკლესიას დაბრუნებოდა თავისი კუთვნილი ისტორიული ადგილი დიპტიქში, ამიტომ ბერძნული საპატრიარქოები საქართველოს ეკლესიას იხსენიებენ მეცხრე ადგილზე, ხოლო რუსეთის ეკლესია მეექვსე ადგილზე.

თანამედროვე ეტაპზე მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის (კვიპროსი, საქართველო, პოლონეთი, ალბანეთი) არ არის თანხმობა დიპტიქში რიგითობასთან დაკავშირებით. 2011 წლის 21-26 თებერვალს შამბეზში (შვეიცარია) გაიმართა მართლმადიდებელ ეკლესიათა მოსამზადებელ კომისიათა სხდომა, სადაც განიხილეს პოლონეთისა და ალბანეთის ეკლესიების თხოვნა, რომლის მიხედვით, ვინაიდან მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში პოლონეთის ეკლესია წინ უსწრებს ალბანეთის ეკლესიას, დაისვა საკითხი რათა მართლმადიდებელმა ეკლესიებმა გაცვალონ ადგილები დიპტიქში.(ალბანეთი-12-ეა,პოლონეთი მე- 13)

მოსამზადებელმა კომისიამ ამასთანავე განიხილა განსაკუთრებული შემთხვევები.

ა) ქართული ეკლესიის თხოვნა, რათა მან მიიღოს მეექვსე ადგილი წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის, ვინაიდან საქართველოს ეკლესია სამოციქულო წარმომავლობისაა, ამასთანავე მას უმველეს დროში აქვს მოპოვებული ავტოკეფალია და საპატრიარქო ტიტული.

ბ) კვიპროსის ეკლესიის თხოვნა, რათა მან დაიკავოს უფრო მა-

ღალი ადგილი დიპტიქში, რადგან კვიპროსის ეკლესია სამოციქულო წარმომავლობისაა და ავტოკეფალია მიანიჭა მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ეფესოში (431). კომისიამ აღიარა თავისი სისუსტე აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში. კომისიას ხელმძღვანელობდა პერგამოს მიტროპოლიტი იოანე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიას წარმოადგენდა ზუგდიდისა და ცაიშის მტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე). აღნიშნული საკითხები კვლავ ღიად დარჩა, რადგან მოსამზადებელ კომისიას არ ჰქონდა შესაბამისი უფლებამოსილება და კომპეტენცია ზემოთჩამოთვლილი პრობლემების გადასაწყვეტად.

2013 წლის 18 იანვარს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა მიტროპოლიტმა ფილარეტმა (იგი არ იმყოფება ევქარისტიულ კავშირში რესეთის საპატრიარქოსთან) მიმართა მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსს, რათა სრულიად მართლმადიდებელთა საეკლესიო კრებას განეხილა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. მიტროპოლიტმა ფილარეტმა აღნიშნა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია შედგება 15 მილიონი მართლმადიდებლისაგან, რომლებიც გაერთიანებულია 4500 სამრევლოდ და მართავს 40 ეპისკოპოსი. ვფიქრობთ საკითხის სირთულიდან გამომდინარე პრობლემის გადაწყვეტა ძალზე რთული იქნება, რადგან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნულ დათმობაზე არ წავა.

2011 წლის ოქტომბერში კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის არქიეპისკოპოსმა ბერძნულ ტელეკომპანია Ekai მიმართა, რომ მას არასამართლიანად მიჩნია კვიპროსის ეკლესიის ადგილი მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში. არქიეპისკოპოსის აზრით კვიპროსის ეკლესიამ დიპტიქში უნდა დაიკავოს მეხუთე ადგილი, უმველესი საპატრიარქოების შემდეგ, მოსკოვის საპატრიარქოს ნაცვლად. „რუსები ქრისტიანები გახდნენ მეათე საუკუნე-

ში, ჩვენ კი პირველ საუკუნეში, ჩვენი ეკლესია ათასი წლით უფრო ძველია რუსეთის ეკლესიაზე და ვითხოვთ დაფასებას“ განაცხადა არქიეპისკოპოსმა ქრიზოსტომოსმა.(Rublev-museum. livejournal. Com /130451.html). 2012 წლის 8 ივნისს რუსეთის პატრიარქი უწმიდესი კირილე სტუმრად ეწვია კვიპროსს.ვიზიტის მიზანი იყო კვიპროსის ეკლესიის ერთ-ერთი გადაუჭრელი საკითხის გადაწყვეტა, რომელიც რუსეთის ეკლესიას უკავშირდებოდა, კერძოდ საერთომართლმადიდებლურ დისკუსიის სხდომაზე გაჟღერებულ მოთხოვნას, რომლს მიხედვითაც კვიპროსის ეკლესიას უნდა დაეკავებინა რუსეთის ეკლესიის დღევანდელი ადგილი დიპტიქში. შეხვედრაზე სრულიად კვიპროსის არქიეპისკოპოსმა ქრიზოსტომოსმა განაცხადა: შამბეზის სხდომებზე კვიპროსის ეკლესია თანხმა იყო წასულიყო დათმობაზე და დათანხმებულიყო მეექვსე ადგილს მოსკოვის საპატრიარქოს შემდეგ. „რუსეთის პატრიარქი იკავებს მეხუთე ადგილს მრავალი საუკუნის მანძილზე, სხვა საპატრიარქოები კი აღმოცენდნენ მხოლოდ XX საუკუნეში. ჩვენ გავაკეთეთ დათმობა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს იყო არასწორი. კვიპროსის ეკლესიამ უნდა დაიკავოს მეხუთე ადგილი, უძველესი საპატრიარქოების შემდეგ. იერუსალიმის ეკლესიის შემდეგ უნდა იხსენიებოდეს კვიპროსის ეკლესია, ჩვენი ეკლესია პატარაა, მაგრამ ჩვენ გვაქვს უძველესი მემკვდრეობა“.(Rublev-museum. livejournal.com/324284.html).

ალბათ აღნიშნული პრობლემის განხილვა მხოლოდ რუსეთისა და კვიპროსის ეკლესიებს შორის მართებული არაა, რადგან მისი გადაჭრა ორ ეკლესიას არ ხელეწიფება. ამასთანავე იგივე შამბეზის სხდომებზე საქართველოს ეკლესიამ მოითხოვა თავისი კანონიერი მეექვსე ადგილი დიპტიქში, მაგრამ თუკი მეექვსე ადგილს კვიპროსი დაიკავებს პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩება. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება რუსეთის ,საქართველოს და კვიპროსის ეკლესიებს და თუკი სიძველეზეა

საუბარი საქართველოს სამოციქულო ეკლესია არანაკლებ ძველი და ავტორიტეტული ეკლესიაა, რომელიც უშუალოდ მოციქულთა მიერ არის დაფუძნებული. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია 1917 წელს აღიდგინა და საბოლოო აღიარება კი მხოლოდ 1990 წელს მოხერხდა, ეს არის პირდაპირ კავშირში რუსეთთან, რადგან სწორედ რუსული სახელმწიფოსა და ეკლესიის ჩარევით საქართველოს ეკლესიას წაერთვა თავისთავადობა. აუცილებელია, რათა ყველა ეკლესიის კანონიერი მოთხოვნა იყოს შესწავლილი და დაკმაყოფილებული სამართლიანად. ვფიქრობთ საქართველოსა და კვიპროსის ეკლესიების აღნიშნული მოთხოვნა სავსებით სამართლიანია, მაგრამ ალბათ გამორიცხულია იგი დააკმაყოფილონ, რადგან რუსეთის სამოციქულო ეკლესიის ავტორიტეტი ძალზე დიდია და ამასთანავე დიპტიქში ამგვარ ცვლილებას საეჭვოა, რომ სხვა ავტოკეფალურმა ეკლესიებმა დაუჭირონ მხარი. ამ ეტაპზე დიპტიქში ამგვარი ცვლილებების შეტანა ძალზე გაჭირდება, მომავალში კი როგორც ძველად დიპტიქზე აუცილებლად მოახდენს გავლენას მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენები. 2014 წლის 6-9 მარტს სიტყვით გამოვიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ტაძარში.

„ფრიად ვწუხვარ იმის გამო, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერ კიდევ თავისი კუთვნილი ადგილი არ უკავია კონსტანტინეპოლის ეკლესიის დიპტიქში. თუ ეს არ გამოსწორდება და თუ ყველა თემა არ იქნება შეტანილი, მომავალი კრების განსახილველ საკითხის დღის წესრიგში, ჩვენთვის მასში მონაწილეობის მიღება ძალიან რთული იქნება.

მოგეხსენებათ ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ეს არის ღია ჭრილობები საქართველოს სხეულზე. ირღვევა საეკლესიო კანონიკური ნორმებიც, როდესაც სხვადასხვა ეკლესიის

წარმომადგენლები ჩვენთან შეუთანხმებლად და ჩვენი ნებართვის გარეშე ჩადიან აფხაზეთის ეპარქიაში, რომელიც ცხინვალის რეგიონთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის განუყოფელი ნაწილია“.

ინტერნეტ-რესურსების მიხედვით მართლმადიდებელ ეკლესიათა მრევლის მიახლოებითი რაოდენობა ასე გამოიყურება.

1. კონსტანტინეპოლის ეკლესია - 2000 000 (მლნ.ადამიანი) დაარსებულია მოციქულების ანდრია პირველწოდებულის, პავლესა, ფილიპესა და იოანე ღვთისმეტყველის მიერ. ავტოკეფალია მოიპოვა 330 წელს. კონსტანტინეპოლის ეკლესიას მართავდნენ ისეთი გამორჩეული მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი (389წ), წმინდა იოანე ოქროპირი (407წ), წმინდა პატრიარქი გერმანე (740წ). იურისდიქცია ვრცელდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ექვემდებარება ათონის მთა, კუნძული კრეტა, დოდოკანერი და ჩრ. საბერძნეთი. ასევე ექვემდებარება ფინეთის ავტონომიური ეკლესია. საპატრიარქო კათედრა არის წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძარი ფანარში- უბველესი ბერძნული უბანი (სტამბოლი. თურქეთის რესპუბლიკა). ტიტული- ყოვლადუწმინდესი, მთავარეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა-ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი, რომელიც 1991 წლის 2 ნოემბრიდან (რიგით 232-ე) მართავს კონსტანტინეპოლის ეკლესიას.
2. ალექსანდრიის ეკლესია - 80 000 (ათასი) დაარსებულია მოციქულ მარკოზის მიერ. ალექსანდრიის ეკლესიის გამორჩეული მოღვაწეები იყვნენ: წმინდა ათანასე დიდი (373წ), წმინდა კირილე ალექსანდრიელი (444წ). ალექსანდრიის ეკლესია ითვლება ბერმონაზვნობის სამშობლოდ. იურისდიქცია ვრცელდება ეგვიპტესა და მთელი აფრიკის მართლმადიდებელ მო-

სახლეობაზე. საპატრიარქო კათედრა არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების ტაძარი ალექსანდრიაში.(ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა). ტიტული- უნეტარესი თეოდორე პაპი და პატრიარქი დიდისა ქალაქისა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა, იგი 2004 წლის 24 ოქტომბრიდან (რიგით 116) მართავს ალექსანდრიის ეკლესიას.

3. .ანტიოქიის ეკლესია - 1 მლნ. 370 ათასი. დაარსებულია მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს მიერ. ანტიოქიის ეკლესიას მართავდა წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი (107 წ). ანტიოქიის ეკლესიის ისტორიული ცენტრი იყო სირიის დედაქალაქი ანტიოქია. (ამჟამად ქ.ანთაქია. თურქეთის რესპუბლიკა). ოსმალთა მიერ ანტიოქიის დაპყრობის შემდეგ ეკლესიის ცენტრი გადმოტანილი იქნა დამასკოში და დღემდე იქაა. იურისდიქცია სირიის გარდა ვრცელდება ლიბანში, ერაყში, ქუვეითში, ახლო აღმოსავლეთში, ევროპაში, ამერიკაში და ავსტრალიაში. კათედრა არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი დამასკოში. (სირიის რესპუბლიკა). ტიტული- უნეტარესი იოანე პატრიარქი ღმრთის ქალაქისა დიდისა ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთისა, 2013 წლის 10 თებერვლიდან (რიგით 167) მართავს ანტიოქიის ეკლესიას.

4. იერუსალიმის ეკლესია - 130 ათასი. დაარსებულია 70 მოციქულთაგან ერთ-ერთი უფლის ხორციელი ძმის იაკობის მიერ. იერუსალიმის ეკლესია ითვლება დედად ქრისტიანული ეკლესიებისა.იერუსალიმის ეკლესის ცნობილი წარმომადგენლები არიან: წმინდა კირილე (386წ), წმინდა იუბენალი (458წ). იურისდიქცია ვრცელდება ისრაელის, პალესტინის, იორდანიის და საუდიის არაბეთის ტერიტორიაზე. მას ექვემდებარება სინას მთის ავტონომური ეკლესია. საპატრიარქო კათედრა არის ქრისტეს აღდგომის ტაძარი იერუსალიმში.(ისრაელის სახელმწიფო). ტიტული- უნეტარესი თეოფილე პატრიარქი წმი-.

დისა ქალაქისა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინისა, 2005 წლის 22 ნოემბრიდან (რიგით 141) მართავს იერუსალიმის ეკლესიას.

5. რუსეთის ეკლესია- 50-100 მლნ.დაარსებულია მოციქულ ანდრია პირველწოდებულის მიერ. ავტოკეფალია მოიპოვა 1589 წელს. იურისდიქცია ვრცელდება რუსეთის ფედერაციაზე, უკრაინის, ბელორუსიის, ასევე დსთს ზოგიერთ რესპუბლიკაზე. ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 2007 წელს რუსეთის ეკლესიამ აღადგინა ევქარისტიული კავშირი რუსეთის ემიგრანტულ ეკლესიასთან. რუსეთის ეკლესიას ექვემდებარება იაპონიის ავტონომიური ეკლესია. საპატრიარქო კათედრა არის ქრისტე მაცხოვრის ტაძარი მოსკოვში. ტიტული-უწმიდესი კირილე პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთისა.

6. საქართველოს ეკლესია - 4 მლნ. დაარსებულია წმინდა მოციქულების ანდრია პირველწოდებულის და სვიმონ კანანელის მიერ. ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით საქართველოში იქადაგეს ასევე ბართლომე, თადეოზ და მატათა მოციქულებმა.საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის დროს 468-470 წლებში. საქართველოს ეკლესიის დედა ტაძარი არის სვეტიცხოველი, სადაც ხდებოდა და ხდება საქართველოს მეფეებისა და კათალიკოს-პატრიარქთა კურთხევა. საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის და კანადის, სამხრეთ ამერიკისა და ავსტრალიის ეპარქიებზე, რომელნიც შედგება ამ ქვეყნებში არსებული ქართული დიასპორის სამრევლოებისაგან. საპატრიარქო კათედრა არის თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი. ტიტული- უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, და ბიჭვინთი-

სა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე ილია II, იგი 1977 წლის 25 დეკემბრიდან (რიგით 142) მართავს საქართველოს ეკლესიას.

7. სერბეთის ეკლესია- 10 მლნ. დაარსებულია ანდრია პირველწოდებულის მიერ. ავტოკეფალია მოიპოვა 1219 წელს. სერბეთის ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდება სერბეთსა და იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა ჩერნოგორიაზე, ბოსნია-ჰერცოგოვინაზე, ხორვატიაზე, სლოვენიისა და მაკედონიის რესპუბლი- კებზე.პატრიარქის კათედრა არის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარი ბელგრადში (სერბეთის რესპუბლიკა). ტიტული- უწმიდესი ირინეოსი პეჩის მთავარეპისკოპოსი და ბელგრად-კარლოვიცის მიტროპოლიტი, 2010 წლის 23 იანვრიდან მართავს სერბეთის ეკლესიას.

8. რუმინეთის ეკლესია- 16 მლნ. დაარსებულია წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის მიერ. ავტოკეფალია მოიპოვა 1885 წელს, 1925 წლიდან არსებობს საპატრიარქო. იურისდიქცია ვრცელდება რუმინეთის, უნგრეთის და მოლდოვის რესპუბლიკებზე. ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებულ რუმინულ სამრევლოებზე. პატრიარქის კათედრა არის წმინდანთა მოციქულთა სწორთა მეფე კონსტანტინესა და დედოფალ ელენეს სახელობის ტაძარი ბუქარესტში. (რუმინეთის რესპუბლიკა). ტიტული- უნეტარესი დანიელი, უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტი და ბუქარესტის მთავარეპისკოპოსი, პატრიარქი სრულიად რუმინეთისა, 2007 წლის 30 სექტემრიდან (რიგით მე-6) მართავს რუმინეთის ეკლესიას.

9. ბულგარეთის ეკლესია- 8 მლნ. დაარსებულია წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის მიერ. ავტოკეფალია მოიპოვა 919 წელს. იურისდიქცია ვრცელდება ბულგარეთის რესპუბლიკაზე. ასევე არაერთ ეპარქიაზე ევროპის, ამერიკის და ავსტრალიის ქვეყნებში. პატრიარქის კათედრა არის წმინდა

კეთილმორწმუნე მთავარ ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი სოფიაში (ბულგარეთის რესპუბლიკა). ტიტული-უწმიდესი ნეოფიტე, პატრიარქი სრულიად ბულგარეთისა და მიტროპოლიტი სოფიისა, 2013 წლის 24 თებერვლიდან (რიგით 22) მართავს ბულგარეთის ეკლესიას.

10. კვიპროსის ეკლესია- 420 ათასი. დაარსებულია მოციქულთა-პავლეს, ბარნაბასა და მარკოზის მერ. ავტოკეფალია მოიპოვა 431 წელს. იურისდიქცია ვრცელდება კუნძულ კვიპროსის რესპუბლკის ტერიტორიაზე. სამღვდელმთავრო კათედრა არის წმინდა მოციქულ და მახარებელ იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარი ნიქოზიაში.(კვიპროსის რესპუბლიკა). ტიტული- უნეტარესი ქრიზოსტომოსი მთავარეპისკოპოსი ახლისა იუსტინიანესი და სრულიად კვიპროსისა, 2006 წლის 12 ნოემბრიდან (რიგით 65) მართავს კვიპროსის ეკლესიას.

11. ელადის ეკლესია - 8 მლნ. დაარსებულია მოციქულ პავლეს მიერ. ავტოკეფალია მოიპოვა 1833 წელს. ელადის ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდება საბერძნეთის რესპუბლიკაზე კუნძულ კრეტას გამოკლებით. საპატრიარქო კათედრა არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების ტაძარი. ტიტული - უნეტარესი იერონიმე მთავარეპისკოპოსი ათენისა და სრულიად ელადისა, 2008 წლის 16 თებერვლიდან (რიგით 21) მართავს ელადის ეკლესიას.

12. ალბანეთის ეკლესია - 700 000 (ათასი) დააფუძნეს წმინდა მოციქულთა- სწორი ძმების- კირილესა და მეთოდეს მოწაფეებმა- კლიმენტმ და ნაუმმა IX-X საუკუნეებში. ავტოკეფალია გამოაცხადა 1922 წელს და კონსტანტინეპოლმა აღიარა 1937 წელს. კათედრა არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების ტაძარი ტირანაში(ალბანეთის რესპუბლიკა). ტიტული- უნეტარესი ანასტასი მიტროპოლიტი ტირანისა და სრული-

ად ალბანეთისა, 1992 წლის 2 აგვისტოდან (რიგით მე-4) მართავს ალბანეთის ეკლესიას.

13. პოლონეთის ეკლესია - 500 000(ათასი). ავტოკეფალია მოიპოვა 1948 წელს, როდესაც მოსკოვის საპატრიარქომ მას მიანიჭა ავტოკეფალია. იურისდიქცია ვრცელდება პოლონეთის რესპუბლიკაზე და ასევე პორტუგალიისა და ბრაზილიის პოლონურ სამრევლოებზე. კათედრა არის წმინდა მოციქულთასწორ მარიამ მაგდალინელის სახელობის ტაძარი ვარშავაში. ტიტული- უნეტარესი საბა მიტროპოლიტი ვარშავისა და

საქართველოს ეკლესიის მამამთავართა უძველესი ნუსხები

ნიკორწმინდის ნუსხა

1. იოანე
2. სამოველ
3. შიო
4. ევლალი
5. პეტრე
6. სამოველ
7. მელქისედეკ
8. ოქროპირი
9. გიორგი
10. გაბრიელ
11. პეტრე
12. ევსტატი
13. გიორგი
14. დიმიტრი
15. ბასილი
16. იოანე
17. სვიმეონ
18. მელქიზედეგ ძე მეფისა
19. საბა
20. არსენი გულაბერიძე
21. მიქაელ მირიანის ძე

შიომღვიმის ნუსხა

1. ოქროპირი
2. სვიმეონ
3. მელქისედეკ
4. იოვანე
5. დიმიტრი
6. ბასილი
7. იოანე
8. სვიმეონ
9. საბაი
10. ნიკოლოზ
11. მიქაელ
12. თეოდორე
13. ბასილი
14. იოანე
15. ეპიფანე
16. არსენი
17. გიორგი

„ მოქცევაი ქართლისაის“ ნუსხა

1.პეტრე
2. სამოელი
3. თავფეჩაგ
4. და საბია
5. ევლალე
6. მაკარი
7. სამოველ
8. სიმონ-პეტრე
9. სამოველ სხვა
10. ბართლომე
11. იოვანე
12. ბაბილა
13. თაბორ
14. სამოველ
15. ევნონ
16. თავფაჩაგ
17. ევლალე
18. იოველ
19. სამოველ
20. გიორგი
21. კვირონ
22. იზიდ-ბოზიდ
23. თეოდორე
24. პეტრე (ესე ცხრანი ცოლოსანნი იყვნეს)
25. მამა
26. იოვანე
27. გრიგოლ
28. კლემენტოს
29. სარმეან
30. თალელე
31. სამოველ
32. კვირილე
33.გრიგოლ
34. სამოველ
35. გეორგი
36. გაბრიელ
37. ილარიონ
38. არსენი
39. ევსუქი
40. ბასილი
41. მიქაელ
42. დავით
43. არსენ

საქართველოს ეკლესიის მამამთავრები

ქართლის (მცხეთის) მთავარეპისკოპოსები

1. იოანე I ..... 326-360 წწ.
2. იაკობი 360- 375
3. იობი 375-390
4. ილია I 390-400
5. სვიმეონ I 400-410
6. მოსე 410-425
7. იონა 425-429
8. იერემია 429-433
9. გრიგოლ I 434-434
10. ბასილი I 434-436
11. მობიდანი 436-448
12. იოველ I 448-452
13. გლონოქორ ..... VIს.40-იან წლები
14. მიქაელ I 452- 467

ქართლის (მცხეთის) კათალიკოსები

1. წმ. პეტრე I 468-502
2. წმ. სამოელ I 502-505
3. გაბრიელ I 505-507
4. თავფეჩაგ I 507-516
5. ჩერმაგი 516-523
6. საბა I 523-552
7. ევლალე 533-544
8. მაკარი 544-553
9. სამოელ II 553-569
10. სვიმონ II 569-575
11. სამოელ III 575-582
12. სამოელ IV 582-591
13. ბართლომე 591-595
14. კირიონ I 599-614/16
15. იოანე II 614-619
16. ბაბილა 619-629
17. თაბორი 629-634
18. სამოელ V 634-640
19. ევნონი 640-649
20. თავფეჩაგ 649-664
21. ევლალე II 664-668
22. იოველ II 668-670
23. სამოელ VI 670-677
24. გიორგი I 677-678
25. კირიონ II 678-683
26. იზიდ-ბოზიდი 683-685
27. თეოდორე I.....685- 689
28. პეტრე II 689-720

29. წმ. მამაი 720-744
30. იოანე III 744- 760
31. გრიგოლ II 760-767
32. კლემენტოსი. ..... VIII ს. 70-იანი წწ.
33. წმ. სარმეანე 767-774
34. თალალე ..... VIII ს.70- იანი წლების ბოლოს•
35. მიქაელ II 774-780
36. სამოელ VII 780-784
37. კირილე I 784-802
38. გრიგოლ III 802-814
39. სამოელ VIII 814-826
40. გიორგი II 826-838
41. გაბრიელი II 838-860
42. ილარიონი ..... IX ს.50-იანი წწ
43. წმ. არსენ დიდი(საფარელი).....860-887
44. ევსუქი 887-914
45. ბასილ II 914-930
46. მიქაელ III 930-947
47. დავითი I 947-955
48. არსენ II 955-980
49. წმ. იოანე IV.....980-1001 „ოქროპირი"
50. სვიმონ III 1001-1010

51. წმ.მელქისედეკ I 1010-1033
52. იოანე V ოქროპირი.....1033-1049
53. ექვთიმე I 1049-1055
54. გიორგი III 1055-1065
55. გაბრიელ III 1065-1080
56. დიმიტრი 1080-1090
57. ბასილ III 1090-1100
58. იოანე IV 1100-1142
59. სვიმეონ IV.....1142-1146 (გულაბერისძე)
60. საბა II 1146-1150
61. ნიკოლოზ I ..... 1150-1178 (გულაბერისძე)
62. მიქაელ IV.....1178-1187
63. თეოდორე II 1188-1204
64. ბასილ IV 1204-1205
65. იოანე VII 1205-1210
66. ეპიფანე 1210-1220
67. ექვთიმე II 1220-1222
68. არსენ III 1222-1225
69. გიორგი IV .....XIII ს. 30-იანი წწ.
70. ნიკოლოზ .....XIII ს. 30-იანი წლები
71. მიქაელ V .....XIII ს. 40-იანი წწ.
72. არსენ .....241-1250 (ბულმაისიმისძე)
73. ნიკოლოზ III 1250-1282
74. აბრაამი I 1282-1310
75. ექვთიმე III 1310-1325
76. ბასილ V .....XIV ს.30-60 იანი წწ.
77. დოროთეოზ I 1350-1356
78. შიო I 1356-1364

79. ნიკოლოზ IV ..... XIV ს. 70-იანი წწ.
80. გიორგი V ..... XIV ს.80-90 იანი წწ.
81. ელიოზ...IV ს. 90-იანი წლები ბოლო -1419 (გობირახისძე)
82. მიქაელ VI 1419-1426
83. დავით II .....1426-1428 (ბაგრატიონი)
84. თეოდორე III 1429-1435
85. დავით III 1435-1438/39
86. შიო II 1439-1443/47
87. დავით IV .....1443/47-1459 (ჯავჯავაძე)
88. მარკოზი 1460-1466
89. დავით V 1466-1479

90. ნიკოლოზ V 1478-1488
91. ევაგრე 1488-1492; 1500-1503
92. აბრაამ II 1492-1497
93. ეფრემ I 1497-1503
94. დოროთეოს II 1503-1505; 1511-1516
95. იოანე VIII 1505-1509
96. დიონისე 1510-1511
97. ბასილი VI 1517-1528; 1529-1531
98. მელქისედეკ II .....1528-1529;1540-1545 (ბაგრატიონი)
99. მალაქია 1532-1534
100. გერმანე 1535-1546
101. ნიკოლოზ VI 1546-1547
102. სვიმონ V 1547-1548
103. ზებედე I 1552-1556
104. დომენტი I 1556-1560
105. ნიკოლოზ VII .....1561-1584 (ბარათაშვილი)
106. წმ.ნიკოლოზ VIII .....1584-1589 (ბაგრატიონი)
107. დოროთეოს III 1589-1595
108. დომენტი II 1595-1610
109. ზებედე II 1610-1611
110. იოანე IX .....1612-1616 (ავალიშვილი)
111. ქრისტეფორე I 1616-1622
112. ზაქარია .....1623-1632 (ჯორჯაძე)
113. წმ.ევდემოზ I .....1632-1642 (დიასამიძე)
114. ქრისტეფორე II .....1642-1660(ურდებეგისძე-ამილახვარი)
115. დომენტი III .....1660-1676(მუხრანბატონი)
116. ნიკოლოზ IX .....1678-1688;1692-1695 (ამილახვარი)
117. იოანე X .....1688-1692;1695-1700 (დიასამიძე)

118. ევდემოზ II .....1700-1705 (დიასამიძე)
119. დომენტი IV .....1705-1724;1739-1741 (ბაგრატიონი)
120. ბესარიონი .....1724-1737 (ბარათაშვილ-ორბელაშვილი)
121. კირილე.....1737-1739 (ციციშვილი)
122. ნიკოლოზ X .....1741-1744 (ხერხეულიძე)
123. ანტონ I .....1744-1755;1764-1788 (ბაგრატიონი)
124. წმ.იოსები ..... 1755-1764 (ჯანდიერი)
125. წმ.ანტონ II .....1788-1810(ბაგრატიონი)

საქართველოს ეგზარქოსები 1811-1917 წლები

1.ვარლამი ერისთავი 1811-1817
2.თეოფილაქტე რუსანოვი 1817-1821
3.იონა ვასილევსკი 1821-1832
4.მოსე ბოგდანოვ-პლატონოვი 1832-1834
5.ევგენი ბაჟენოვი 1834-1844
6.ისიდორე ნიკოლსკი 1844-1858
7.ევსევი ილინსკი 1858-1877
8.იოანიკე რუდნევი 1877-1882
9.პავლე ლებედევი 1882-1887
10.პალადი რაევი 1887-1892
11 ვლადიმერ ბოგოიავლინსკი 1892-1898
12. ფლაბიანე გორდეეცკი 1898-1901
13. ალექსი I ოპოცკი 1901-1905
14.ნიკოლოზ ნალიმოვი 1905-1906
15. ნიკონ სოფიისკი 1906-1908
16. ინოკენტი ბელიაევი 1909-1913
17. ალექსი II მოლჩანოვი 1913-1914
18. პიტირიმ ოკნოვი 1914-1915
19. პლატონ რაჟდესტვენსკი 1915-1917

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ

1. წმ.კირიონი III.....1917-1918 (საბაგლიშვილი)
2. ლეონიდე .....1919-1921 (ოქროპირიძე)
3. წმ. ამბროსი .....1921-1927 (ხელაია)
4. ქრისტეფორე III .....1927-1932 (ციცქიშვილი)
5. კალისტრატე .....1932-1952 (ცინცაძე)
6. მელქისედეკ III .....1952-1960 (ფხალაძე)
7. ეფრემ II .....1960-1972 (სიდამონიძე)
8. დავით V .....1972-1977 (დევდარიანი)
9. ილია II .....1977 წლდან დღემდე (შიოლაშვილ - ღუდუშაური)

ზემოთ წარმოდგენილი საქართველოს ეკლესიის მამამთავართა სია შეადგინა ისტორიკოსმა ზაზა აბაშიძემ.აღნიშნული სიიდან ჩვენ ამოვიღეთ მხოლოდ კათალიკოსი ევსტათი, რომელიც ზაზა აბაშიძემ პირობითად მოათავსა XI საუკუნის 50-60-იან წლებში მოღვაწე კათალიკოს გიორგი III ტაოელის წინ. ჩვენი აზრით, კათალიკოსი ევსტათი უნდა იყოს აფხაზეთის (დასავლეთ) საქართველოს კათალიკოსი, რომელიც სავარაუდოდ XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა. დღესდღეობით საქართველოს ეკლესიის მამამთავართა ყველაზე სრულყოფილი სია წარმოდგენილია, აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები," რომელშიც მოცემულია მცხეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა IV-XX საუკუნეების ჩათვლით. კათალიკოსთა ზუსტი ქრონოლოგიური რიგის დადგენა დღემდე ვერ ხერხდება, რაც, პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ ქართლის კათალიკოსთა უძველესი ნუსხები:

„მოქცევაი ქართლისაი," „ქართლის ცხოვრების" თხზულებათა ავტორების, შიომღვიმის 1172 წლის ხელნაწერისა და ნიკორწმინდის XVI საუკუნის მეფეთა და სულთამოსახსენებელი განსხვავდება ერთმანეთისაგან.არცერთი ნუსხა არ ემთხვევა ერთმანეთს. ამასთანავე დასადგენია გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ არის თუ არა ნიკორწმინდის ნუსხაში აფხაზეთის კათალიკოსთა სახელები მოხსენიებული, თუკი ეს ვარაუდი დადასტურდა გადასახედი იქნება საქართველოს ეკლესიის მამამთავართა სია. (უკანასკნელ პერიოდში ეს ვარაუდი გამოსთქვა ისტორიკოსმა ვახტანგ გოილაძემ).

ხაზგასმით გვინდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს ეკლესიის პირველი მეთაურის კათალიკოს პეტრეს მოღვაწეობის დასაწყისს მეცნიერთა უმრავლესობა მეხუთე საუკუნის 60-70-იანი წლებით განსაზღვრავს, ისტორიკოსი გ.მჭედლიძე კათალიკოს პეტრეს მოღვაწეობას V საუკუნის სამოციანი წლებით ათარიღებს(მჭედლიძე.2009:199). კათალიკოს პეტრეს მოღვაწეობა V საუკუნის სამოციანი წლებით თარიღდება ასევე 2014 წლის საქართველიოს ეკლესიის კალენდარში. რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს , რომ საქართველოს ეკლესიამ სწორედ ამ პერიოდში მოიპოვა ავტოკეფალია. შევნიშნავთ, რომ კატეგორიულად ვერ გავიზიარებთ ახალგაზრდა მკვლევარის მოსაზრებას, თითქოს საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია 498 წელს მოეპოვებინოს. იგი პეტრეს მოღვაწეობას 498 წლიდან დაახლოებით VI საუკუნის დასაწყისით, სამოელის მოღვაწეობას VI საუკუნის დასაწყისით, ხოლო მცხეთის მესამე კათალიკოსის გაბრიელის მოღვაწეობას კი 505-507 წლებით განსაზღვრავს (სალუაშვილ.2011:26). გამოდის, რომ კათალიკოსებმა პეტრემ და სამოელმა კათალიკოსის ტახტზე სულ 7-9 წელი (498-505) დაჰყო, რაც აშკარა შეცდომაა. ანრი ბოგვერაძე „მოქცევაი ქართლისაზე" დაყრდნობით მსჯელობს პეტრე კათალიკოსის მოღვაწეობის თარიღზე: „მოქცევაი ქართლისაის" პეტრე

კათალიკოსი დაჩის მეფობაში არ გადმოყავს, ეს ნიშნავს, რომ ის ვახტანგის სიცოცხლეშივე აღესრულა და მის ადგილზე სამოელი ეკურთხა, რომელსაც თავის მხრით, დაჩის მეფობის გარკვეულ პერიოდშიც უმოღვაწია. ჯუანშერის ქრონოლოგია, რომ მცდარია, როცა პეტრე კათალიკოსს დაჩის მეფობაში წარმოგვიდგენს გარდაცვლილად, ამას „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობით 506 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე გაბრიელ კათალიკოსის მონაწილეობაც მოწმობს. ეს უკანასკნელი, ისიც არ ვიცით, სამოელის უშუალო მომდევნო იყო თუ არა(ბოგვარაძე.1998:70-71). გამომდინარე აქედან, უნდა დავასკვნათ, რომ კათალიკოსი პეტრე კათალიკოსის ტახტს იკავებს მეხუთე საუკუნის 60-იან წლებში და იგი უნდა გარდაცვლილიყო იმავე საუკუნის 90-იან წლებში. პეტრეს შემდეგ კათალიკოსის ტახტს იკავებს სამოელი, რომელსაც კათალიკოს გაბრიელის მოღვაწეობამდე ეკავა ტახტი. 2012 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა კურთხევით დაიბეჭდა მოსახსენებელი, რომელშიც მთავარეპისკოპოს იოანედან IV კათოლიკოს-პატრიარქ დავით V- ის ჩათვლით სულ მღვაწეობდა 149 მამამთავარი(მოსახსენიებელი.2012:22-25). აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკლესიის მამამთავართა თითქმის არცერთი სია არ ემთხვევა ერთმანეთს.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები

პირველი საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოება იქადაგა ქრისტეს ხუთმა მოციქუმა:

1. ანდრია პირველწოდებული
2. სვიმონ კანანელი
3. მატათა მოციქული
4. ბართლომე მოციქული
5. თადეოზ მოციქული

რუსული წყაროს ცნობით საქართველოში თომა მოციქულსაც უქადაგია.

შევნიშნავთ, რომ ვერ გავიზიარებთ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოსაზრებას, ქრისტეშობიდან 30-35 წლებში ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის შესახებ. ანდრია მოციქულის საქართველოში 30-35 წლებში შემოსვლა გამორიცხულია შემდეგი არგუმენტების გამო.

ა) ქრისტესშობიდან 42 წელს პეტრე მოციქული იმყოფებოდა პალესტნაში, ქალაქ იაფაში მეტყავე სვიმეონის სახლში, სადაც მან ლოცვის დროს იხილა შემდეგ ჩვენება: ციდან დაეშვა ჭურჭელი, რომელიც სავსე იყო არაწმინდა ცხოველებით და ფრინველებით. როცა ჭურჭელი დაეშვა მოციქულთან მას მოესმა ხმა „აღდეგ პეტრე, დაკალი და ჭამე.“ ხილვა განმეორდა სამჯერ და მოციქულს ეუწყა კვლავ: „რომ ღმერთმა გაწმინდა ყოველივე, რასაც შენ არაწმიდად თვლი.“ ამ ცნობას „საქმე მოციქულთა“ გვაწვდის და მოასწავებდა შემდეგს: არაწმინდა ცხოველები და ფრინველები განასახიერებდა მთელ წარმართულ სამყაროს, რომ ქრიტეს სჯული ისევე უნდა გავრცელებულიყო წარმართებში, როგორც იუდეველებში, შესაბამისად ქრისტეშობიდან

42 წელს მოციქულებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ წარმართებში დაწყებული ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება.

ბ) მოციქულებზე სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ, მიუხედავად იუდეველთა მიერ მოციქულების დევნა-შევიწროებისა, ქრისტეშობიდან 45 წლამდე მოციქულები მუდმივად იმყოფებოდნენ იერუსალიმში. (Смирнов. 2007:37). შესაბამისად, მხოლოდ ანდრია პირველწოდებული ვერ დატოვებდა იერუსალიმს.

გ) სწორედ 45-46 წლით თარიღდება პავლე მოციქულის პირველი მისიონერული მოღვაწეობა წარმართებში, აქედან გამომდინარე ანდრია პირველწოდებული 45 წლამდე ვერ დატოვებდა იერუსალიმს, ვინაიდან მოციქულები ამ დროიდან იწყებენ ქადაგებას წარმართებში. 45 წელი უნდა ავიღოთ ქვედა ზღვრად ანდრია მოციქულის საქართველოში შემოსვლისა. რაც შეეხება ზედა ზღვარს, მხედველობაში უნდა მივიღოთ „ქართლის ცხოვრების" ჩანართის ცნობა, რომლის მხედვითაც ანდრია მოციქული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კურთხევით და მისი უშუალო დავალებით მობრძანდება საქართველოში. აქედან გამომდინარე ანდრია მოციქულის საქართველოში შემოსვლა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებამდე, ე.ი. ქრისტეშობიდან 48 წლამდე უნდა ვივარაუდოთ. ზემოთჩამოთვლილი არგუმენტების გათვალისწინებით ანდრია პირველწოდებულის საქართველოში პირველი შემოსვლა 45-48 წლებით უნდა განისაზღვროს.

1. IV საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა, ქართველთა განმანათლებელმა მოციქულთასწორმა წმინდა ნინომ.

დაახლოებით 326 წლიდან საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. საქართველოს ეკლესიის კალენდრებსა და ქართველ წმინდანთა ცხოვრებებში მითითე-

ბული არ არის წმინდა ნინოს გარდაცვალების მიახლოებითი თარიღიც კი, მაშინ როდესაც რუსეთის საეკლესიო კალენდრებსა და ელექტრონულ რესურსებში წმინდა ნინოს გარდაცვალების წლად მითითებულია 335 წელი(Прав. Церков. Календарь.2014:14). ჩვენი დაკვირვებით შეიძლება მიახლოებით განისაზღვროს წმინდანის გარდაცვალების თარიღი. ამის საშუალებას პირველ რიგში გვაძლევს „ქართლის ცხოვრება“, სადაც საუბარია, რომ წმინდა ნინო აღესრულა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის გარდაცვალებამდე. საეკლესიო ისტორიაში ზუსტად არის დადგენილი კონსტსნტინე დიდის გარდაცვალება და იგი 337 წლით თარიღდება, ამის საფუძველზე უნდა განვაცხადოთ, რომ წმინდა ნინო ყველა შემთხვევაში გარდაცვლილი უნდა იყოს 337 წლამდე. შესაბამისად მისი გარდაცვალება უნდა მომხდარიყო 335 ან 336 წელს. კალისტრატე ცინცაძის აზრით წმინდა ნინო 338 წელს უნდა გარდაცვლილიყო(ქართული მწიგნობრობა.ტ.10.2011:140).

2. V საუკუნის სამოციან წლებში სპარსეთიდან დაბრუნებული ვახტანგ მეფე საქართველოს ეკლესიაში ახორციელებს უმნიშვნელოვანეს რეფორმას, ამას ადასტურებს „მოქცევაი ქართლისაის“ სინური რედაქციაც: „მაშინ წარიყვანეს ვახტანგ გორგასარი სპარსთა და შემდგომად რავდენისამე ჟამისა მოიქცა. და მთავარეპისკოპოსი იყო მიქაელ. ამან მიამთხვია ფერხი ვახტანგ გორგასარსა და განაძო ეკლესიისაგან. ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთსა და ითხოა მეფისაგან და პატრიარქისა კათალიკოზი. და მოსცეს კათალიკოზი პეტრე“-(მოქცევაი ქართლისაი.2007:17). დაახლოებით 468-470 წლებში საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა ანტიოქიის სა-პატრიარქოსაგან.

VI საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ფართოდ გაიშალა სამონასტრო ცხოვრება, ასურელი მამების მიერ

დაარსებულ სამონასტრო ცენტრებში აღზრდილმა მოღვაწეებმა არაერთი ეკლესია-მონასტერი დაარსეს. ამას მოწმობს უძველეს ეკლესიათა ნაშთები, რომლებიც მრავლად არსებობს (მოქმედი თუ არამოქმედი), როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და ისინი VI-VII საუკუნეებით თარიღდებიან.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 744-750 წლებში, ანტიოქიის პატრიარქთეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობის პერიოდში, ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე სრულიად გათავისუფლდა ანტიოქიის ეკლესიისაგან. თეოფილაქტე ანტიოქიელმა საქართველოს ეკლესიას მიანიჭა პროტრეპტიკონი ანუ წერილობითი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ქართველებს შეეძლოთ კათალიკოსი ეკურთხებინათ.

IX საუკუნის ბოლო მეოთხედში, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები გამოვიდნენ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან, რასაც მოჰყვა აფხაზეთის სამეფოში საკათალიკოსოს დაარსება. X საუკუნის ბოლოს გაერთიანებულ საქართველოში ორი საკათალიკოსო: მცხეთის (აღმოსავლეთ საქართველოში) და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოში) არსებობდა. XI საუკუნის დამდეგს მცხეთის კათალიკოსმა მელქისედეკმა კათალიკოს-პატრიარქის ტიტული მიიპოვა. მცხეთის კათალიკოსი, როგორც უპირატესი იწოდებოდა ყოვლისა საქართველოს მამათმთავარი. გაერთიანებულ საქართველოში აფხაზეთის საკათალიკოსო კვლავ არსებობდა, მცხეთის კათალიკოსი რანგით უპირატესი იყო აფხაზეთის კათალიკოსზე.

1178 წელს გიორგი მესამემ განაახლა საქართველოს ეკლესიის შეუვალობის სიგელი. „მოვიგონეთ ეკლესიათა სამეფოისა ჩვენისათა ყოვლისა ბეგრისა უსამართლოისათა და დაჭირებულისაგან ხსნაი განთავისუფლებაი... ამისავე

მიზეზისთვის შეკრიბეს ყოველნი სამეფოსა ჩვენისა და ეპისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი და გვიბრძანეს და მოგვახსენეს დაჭირებულობაი ეკლესიათა და განრყუნა სასჯულოთა საქმეთა, ამისთვის განვაჩინეთ კაცნი ყოველგან და განვაგეთ გულსმოდგინედ შეკაზმვა და განთავისუფლება წმიდათა ღმრთისა ეკლეისათა.“

1103 წელს წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში, რუის-ურბნისში ჩატარდა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო კრება. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე ეკლესიიდან განკვეთეს უღირსი საეკლესიო პირები და აღკვეთეს ის მანკიერებები, რომელიც იმ დროს არსებობდა საქართველოში. კრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა და განამტკიცა საქართველოს ეკლესიის მართმადიდებლური მიმართულება და სიწმინდე: „არა გვეცრუვნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არც განგცეთ შენ სიქადულო ჩვენო მართმადდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაოდგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნილ ვართ“. ეს სიტყვები შესაბამისობაში მოდის ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის მიერ წარმოთქმულ სიტყვებთან, რომელიც მან წარმოთქვა ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას: „რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს არა რა უარ გვიყოფიეს და არცა ოდეს წუალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი“.

1811 წელს საეკლესიო კანონების დარღვევით გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და 106 წლის მანძილზე საეგზარქოსოს სახით რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა. 1917 წლის 12 მარტს აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

1943 რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და აღდგა ევქარისტიული კავშირი ორ ეკლესიას

შორის.

1990 წლის 4 მარტს სტამბულში, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში საბოლოოდ იქნა აღიარებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) უცნობი კათალიკოსები

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს დაარსების ზუსტი თარიღის დადგენა ვერ ხერხდება. მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დასავლეთ საქართველოში საკათალიკოსოს დაარსება დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრების კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსგან გამოყოფის შემდეგ არის სავარაუდებელი IX-X საუკუნეთა მიჯნაზე. ჩვენთვის უცნობია, ვინ იყო ახლადდაარსებული საკათალიკოსოს პირველი მეთაური. ჩვენი შეხედულებით, აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება დაახლოებით IX საუკუნის 80-90 იან წლებიდან არის სავარაუდებელი, აღნიშნული წლებიდან დასავლეთ საქართველოს არცერთი საეკლესიო ცენტრი აღარ იხსენიება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში. ამჟამად ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს, წარმოვაჩინოთ აფხაზეთის ზოგიერთი კათალიკოსის ვინაობა და დავადგინოთ მათი მოღვაწეობის მიახლოებითი ქრონოლოგიური ჩარჩო.

აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებიდან, IX საუკუნის ბოლოდან, XV საუკუნის 70 იან წლებამდე, სულ ცნობილია აფხაზეთის ოთხი კათალიკოსი სვიმეონი (XI საუკუნის დამლევს), ნიკოლოზი (XIII საუკუნის დამლევს), დანიელი (XIV საუკუნის მეორე ნახევარი), არსენი (1389-1392 წწ). XV საუკუნის 70-იანი წლებიდან კათალიკოსის ტახტს იკავებს ცაიშელბედიელი იოვაკიმე. მართლაც უცნაურია, დაახლოებით ექვსი საუკუნის განმავლობაში (IX-XV საუკუნეებში) ჩვენთვის მხოლოდ ოთხი კათალიკოსის სახელია ცნობილი, მაშინ როცა ამავე პერიოდში მცხეთის საკათალიკოსო ტახტზე მინიმუმ 40-ზე მეტი კათალიკოსია დაფიქსირებული. ხაზგასმით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ საქართველოს პოლიტიკურად გაერთიანების შემდეგ აფხაზეთის საკათალი-

კოსოს არსებობა არ შეუწყვეტია. ამ ფაქტს ადასტურებს სიტყვა „კათოლიკოსნის“, მრავლობით ფორმაში მოიხსენიება XI-XIV საუკუნეებში, საიდანაც ნათელია, რომ მემატიანეებს მცხეთისა და აფხაზეთის კათალიკოსები ჰყავდა მხედველობაში. აღნიშნულ პერიოდში მოღვაწე კათალიკოსთა შესახებ ვგებულობთ ისეთ მნიშვნელოვან წყაროებში, როგორიცაა „მოქცევაი ქართლისაი“ , შიო-მღვიმის 1270 წლის კათალიკოსთა მოსახსენებელი და ნიკორწმინდის კათალიკოსთა სულთა მატიანეში.

ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებში მოხსენებული კათალიკოსები მხოლოდ მცხეთს კათალიკოსები არიან, თუ მათში ხომ არ არის აღრეული აფხაზეთის კათალიკოსთა სახელები? ამასთან დაკავშრებით, 2011 წელს გამოთქვა ვარაუდი ისტორიკოსმა ვახტანგ გოილაძემ. მისი აზრით 1001-1010 წლებში მოღვაწე მცხეთის კათალიკოსი სვიმეონ III შესაძლოა, იყოს „ახალციხური ტყავის სახარების“ ანდერძში მოხსენიებული აფხაზეთის კათალიკოსი სვიმეონი. (გოილაძე,2011:53). თუკი ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, გამოდის, რომ აფხაზეთის კათალიკოსი სვიმეონი, რომელიც პირველი კათალიკოსია აფხაზეთის კათალიკოსებს შორის, ვისი ვინაობაც ჩვენთვის ცნობილია, ამ შემთხვევაში იცვლება მისი მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩო და იგი მთელი ასი წლით ადრე ინაცვლებს.

ჩვენი ვარაუდით XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი ეკავა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დამსწრე ევსტრატი მონაზონს. კრებაზე ოთხი უმაღლესი რანგის სასულიერო პირიდან ყურადღებას იქცევს ევსტრატი მონაზონი. ცხადია, რომ პირველად დასახელებულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ იოვანე, რომელიც ამავდროულად იყო კრების თავმჯდომარე. შესაბამისად, კრებაზე დამსწრე სასულიერო პირთაგან ყველაზე აღმატებული იოანეს შემდეგ იხსენიება „ევსტრატი მონაზონი“, ენრიკო გაბი-

ძაშვილის აზრით, „ევსტრატის მოხსენიება კათალკოსის შემდეგ უნდა მიუთითებდეს, რომ ეს პიროვნება იმდროინდელი საქართველოს საეკლესიო სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა.(გაბიძაშვილი,1978:168). აღნიშნული სახელი იხსენიება გელათის ბიბლიის (A-1108) არშიაზე, ბიბლია, დაახლოებით, XII საუკუნით თარიღდება. თედო ჟორდანიას მიხედვით, არშიაზე შემდეგი წარწერა ყოფილა: „ მეორე თვესა მეათესა (ე.ი. 10აპრლს) კათალიკოზ ყვეს ევსტრატი, რადგან ქართლის კათალიკოსებში ევსტრატი არ ჩანს, ამის გამო ის უნდა იყოს იმერეთს კათალიკოსი, რომელიც ისტორიამ არ იცის. შეიძლება, ეს ევსტრატი დაესვათ იმერეთში გიორგი მეფის დროს 1113 წელს (ჟორდანია:1897:38).

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ცნობა ევსტრატის კათალიკოსად კურთხევის შესახებ, თუმცა მისი იმერეთის კათალიკოსობა 1113 წელს არასწორია, რადგან იმ პერიოდში იმერეთის კათალიკოსის ტიტული არ არსებობდა. თუკი თ. ჟორდანიას ვარაუდს გავიზიარებთ, რომ ევსტრატი გიორგი II-ის დროს გამოაცხადეს კათალიკოსად, მაშინ შესაძლოა რომ ის იყოს აფხაზეთის უცნობი კათალიკოსი, რომლის სახელიც რუის-ურბნისის ძეგლისწერის სინოდიკონმა შემოგვინახა. თუკი დავუშვებთ ალბათობას, რომ „ ევსტრატი მონაზონი “ აფხაზეთის კათალიკოსი იყო, მაშინ ლოგიკურია, რომ იგი მოხსენიებულია ყოვლისა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ იოანეს შემდეგ, რომელიც, როგორც უპირატესი კრების თავმჯდომარეა, რომლის შემდეგაც იხსენიება აფხაზეთის კათალიკოსი, გიორგი ჭყონდიდელი და არსენ იყალთოელი. საკმაო გაუგებრობას იწვევს ევსტრატის მონაზვნის პატივით მოხსენიება, მართლაც, თუკი ევსტრატი კათალიკოსი იყო, რატომ იხსენიება იგი როგორც მონაზონი? ამასთან დაკავშირებით დავეყრდნოთ ისეთ უმნიშვნელოვანეს წყაროს, როგორიცაა „ხელმწიფის კარის გარიგება“.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ჩამოთვლის ყველა იმ შემთხვევას, სადაც საქართველოს ეკლესიის ოთხი უმაღლესი იერარქი მონაზვნის პატივშია მოხსენიებული: „მწდე ჩვენთაცა დარბაზით ათქს ოთხთავე: მოძღვართმოძღვარსა, კათალიკოზთა და ჭყოინდლისა, რა დარბაზს მოვიდნენ. საწოლის მწიგნობარს წვევა დაუწერია. „ამრეჯიბს მართებსო ოთხთა მონაზონთა და სამთა ვეზირთა წვევაო.“ „განმგეთ უხუცესი მონაზონთა ოთხთავე სამ-სამის ჯამით ითვალავს“ (ბერძენიშვილი,1971:21). ნათელია, რომ ოთხი უმაღლესი იერარქი, საქართველოს ეკლესიაში, მცხეთის კათალიკოსი, აფხაზეთის კათალიკოსი, მოძღვართმოძღვარი და ჭყონდიდელი მონაზვნის პატივში იხსენიებიან. შესაძლოა, სწორედ ამ ვითარებასთან გვქონდეს საქმე რუის-ურბნისის კრების შემთხვევაშიც, სადაც ევსტრატი მონაზვნის ტიტულით იხსენიება. სავარაუდოდ, ევსტრატი მონაზონს აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტი XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის 10-ან წლებში ეკავა. იგი აფხაზეთის კათალიკოსთა ჩამონათვალში კათალიკოს სვიმეონის შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ.

2002 წელს ქართველმა მეცნიერმა თეიმურაზ ჯოჯუამ ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მიაკვლა XII საუკუნის გარეჯულ კრებულს „სანატრელი “, ხელნაწერის ქვედა არშიაზე ნუსხურით შემდეგი მინაწერი ტექსტია: „ს (უ) ლსა ხობისა კათალ(ი)კოზ(ი)სა ბართლომესა(ა) შ(ეუნდვნე)ს ღ(მერთმა)ნ. ტექსტში ნახსენებია კათალიკოსი ბართლომე, რომელსაც ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში ვერსად ვხვდებით. (ჯოჯუა,2002:117). თ. ჯოჯუამ აღნიშნული მინაწერი მათი მოხაზულობის მიხედვით XV-XVI საუკუნეებით დაათარიღა, ხოლო კათალიკოსი ბართლომეს მოღვაწეობა 1488-1519 წლებით განისაზღვრა. ამავე პერიოდში მასვე ეკავა ხობის საეპისკოპოსო კათედრა. 1484-1488 წლებში დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში ვნმე ბარ-

თლომე ჯერ ცაიშის, ხოლო 1488 წლიდან ქუთათელი მთავარ -ეპისკოპოსის ტიტულში იხსენიება, ბიჭვინთიდან საკათალი-კოსო რეზიდენციის გელათში გადატანამდე, ლიხთიმერეთის მწყემსმთავრები ბიჭვინთის პარალელურად ხობში მოსაყდრე-ობდნენ და მათი ტიტულიც „ხობის კათალიკოსიც“ სწორედ ამ პერიოდში და ამ გზით უნდა იყოს მიღებული.(იქვე:127). ამრიგად კათალიკოსი ბართლომე, აფხაზეთის კიდევ ერთი ახ-ლადაღმოჩენილი მეთაურია, მისი მოღვაწეობის მიახლოებითი თარიღის დადგენას კი ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

ყურადღებას იპყრობს გელათის სამონასტრო კომპლექსში, ცენტრალური ღვთისმშობლის შობის სახელობის ცენტრალუ-რი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე საფლავის ქვა ,რო-მელიც წარმოადგენს მრგვალი ფორმის 130-140სმ. სიმაღლის სვეტს, მის ზედა ნაწილს ამშვენებს ძველი ქართული ჩუქურ-თმა, რომელიც ბოლოვდება ორი მრგვალი სარტყლით, მის ქვემოთ კი შემდეგი წარწერა იკითხებოდა: „ქ. ესე. ქვა იაკობ: მოვატანინე: აბხაზეთის: კათალიკოზმან:ღმერთო: შეუნდვენ: ცოდვანი: მისანი: ამინ: (Древности восточная. 1891;226). ასე ამო-იკითხა სვეტის წარწერა 1891 წელს გიორგი წერეთელმა. სვე-ტის ოთხკუთხა ნაწილი მიწაშია ჩაშვებული, სვეტის ძირი კი ოვალური ფიგურებითაა გაფორმებული. სვეტის ზედა ნაწილი ჩაღრმავებულია და აშკარაა, რომ მასზე ქვის სხვა დეტალი იყო ძველად დამატებული, რომელიც ჟამთა ვითარების გამო დაზი-ანებულა. დღეისათვის სვეტის წარწერა გარკვევით არ იკითხე-ბა. საფლავის სვეტი მრავალმხრივ არის საინტერესო, აფხა-ზეთის კათალიკოსი იაკობი, სხვაგან არსად იხსენიება ქარ-თულ წყაროებში. აღნიშნული წარწერა საშუალებას არ იძლევა დავადგინოთ იაკობ კათალიკოსის მოღვაწეობის მიახლოებითი პერიოდი. სვეტის სიძველის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი შესაძლოა XV-XVI საუკუნეებით დათარიღდეს.

როდის მოღვაწეობდა კათალიკოსი იაკობი გელათში, XVI საუკუნის შემდეგ, როცა ბიჭვინთიდან რეზიდენცია გადმოიტანეს, თუ XVI საუკუნემდე? XV საუკუნეში აფხაზეთის კათალიკოს იოვაკიმეს მოღვაწეობის 1470-ან წლებამდე ჩვენთვის უცნობია ვის ეკავა აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი. შესაძლოა კათალიკოს იაკობს კათალიკოსის ტახტი იოვაკიმეს მოღვაწეობამდე ეკავა, ან უფრო სავარაუდებელია XVI საუკუნის შუახანების შემდგომ, მას შემდეგ, რაც გელათში კათალიკოსი რეზიდენციამ გადმოინაცვლა, თუმცა უფრო კონკრეტული თარიღის დადგენა ვერ ხერხდება ამ ეტაპზე. გამოთქმულია მოსაზრება: იაკობი შეიძლება იყოს ბედიელი მიტროპოლიტი რომელიც 1470 წლის ახლო ხანებში მოღვაწეობდა, საქმეს უფრო ართულებს, ვინაიდან ამ პერიოდში ბედიელ ეპისკოპოსთა შორის გიორგი კალანდია თავის ნაშრომში „ოდიშის საეპისკოპოსოები“ იაკობის სახელის მქონე პიროვნებას საერთოდ არ ასახელებს. მიუხედავათ იმისა, რომ ვერ განისაზღვრა იაკობ კათალიკოსის მოღვაწეობის მახლობითი თარიღის დადგენა, აღნიშნული საფლავის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, საქართველოს სინამდვილეში კათალიკოსის საფლავის მსგავსი ქვა იშვიათია. ჩვენი აზრით კათალიკოს იაკობის საფლავის ქვა კომუნისტური მმართველობის პერიოდში გადადგილებული იყო და საფლავის თავდაპირველი ადგილსამყოფელი შესაძლოა, ტაძართან უფრო ახლოს იყო. მომავალში აუცილებელია იაკობის პიროვნებასთან დაკავშირებით გაგრძელდეს შემდგომი კვლევა-ძიება.

ისტორიკოსი გიორგი კალანდია ბედიელ ეპისკოპოსთა შორის ასახელებს ცაიშელ-ბედიელ ეპისკოპოსს მელქისედეკს, რომელსაც ამავდროულად აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი ეკავა.(კალანდია,2004:97). მისი აზრით კათალიკოს მელქისედეკს აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტი XV საუკუნის I ნახევარში

ეკავა. კათალიკოსი მელქისედეკი არ არის შეტანილი აფხაზეთის კათალიკოსთა სიაში, შესაბამისად ისიც უცნობ კათალიკოსთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ.

ვახტანგ ბერიძე თავის ნაშრომში ასახელებს აფხაზეთის კიდევ ერთ უცნობ კათალიკოსს, რომლის ფრესკასაც ხობის ტაძარშია წარმოდგენილი. ხობის ტაძრის XVII საუკუნის მოხატულობაში, ლევან II დადიანის ოჯახისა და ხობელი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის გვერდით კათალიკოს ილარიონის გამოსახულებას ვხვდებით.

„ხობში ცენტრალური კვადრატის ჩრდილოეთ-დასავლეთ ბურჯზე, აღმოსავლეთის მხრივ კიდევ ერთი სასულიერო პირია დახატული.[კათა]ლიკოზ[ი] ილარიონ. ამ კათალიკოზის ვინაობა სრულებით უცნობია.“ (ბერიძე.1973:83).

კათალიკოსი ილარიონი იხსენიება მე-17 საუკუნის ორ საბუთში. ერთი საბუთის მიხედვით, იმერეთის მეფე ალექსანდრე ეზია იოსელიანისადმი მიცემულ წყალობის წიგნში იხსენიება კათალიკოსი ილარიონი. საბუთში ბანძის ომზეა საუბარი: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი, ქრთამი სრული გამოგართვით. კათალიკოსი ილარიონ ომზე დაირჩინე“. (იქვე: 83). კათალიკოსი ილარიონი იხსენიება ასევე კაცხის საბუთებში, რომელიც 1677 წელსაა განახლებული და დაწერილი „ხელითა კათალიკოსისა ილარიონისათა“, თუმცა სარგის კაკაბაძემ ეჭვი შეიტანა აღნიშნულ წარწერაში: „შესაძლებელია ეს ილარიონ კათალიკოსი იყოს დავით ნემსაძეზე არდრე ცოტა ხნით კათალიკოსად მყოფი შემდეგ კათალიკოსობიდან გადამდგარი და კაცხის მონასტერში მცხოვრები პირი ან წაკითხვა კათალიკოსი იყოს შემცდარი ნაცვლად კანდელაკისა“ (კაკაბაძე, 1928:36-37). მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, კათალიკოსი ილარიონი ნამდვილად რეალური პიროვნება ჩანს, ვინაიდან არსებობს მისი ფრესკა და წყალობის წიგნი, სადაც კათალიკოსია მოხსენიებული. რაც შეეხება მის

ვინაობას, კათალიკოსი ილარიონი აშკარად დამსახურებული პიროვნება ჩანს, რადაგან მისი ფრესკა ხობის ტაძარში ლევან II დადიანის ოჯახისა და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ფრესკის გვერდითაა წარმოდგენილი. თ. ჯოჯუა ილარიონის კათალიკოსობას 1657 წლის ახლო ხანებში, კათალიკოსს მაქსიმე მაჭუტაძის გარდაცვალების შემდეგ ვარაუდობს. ილარიონს დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ეკავა კათალიკოსის ტახტი.

ამრიგად ჩვენ მიერ მოძიებული და დადგენილი იქნა აფხაზეთის ხუთი უცნობი კათალიკოსი, რომლებიც არ არიან დაფიქსირებული არც ბაბილინა ლომინაძისა და არც თამარ ქორიძის მიერ შედგენილ აფხაზეთის კათალიკოსთა ქრონოლოგიურ რიგში. შესაბამისად, აუცილებელია, დასახელებული ხუთი კათალიკოსი შეყვანილ იქნას აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა საერთო სიაში.

აფხაზეთის უცნობი კათალიკოსები:

1. ევსტრატი-XI ს-ის ბოლო. XII ს-ის დასაწყისი
2. მელქისედეკი XVს-ის I ნახევარი
3. ბართლომე- XV საუკუნის 80-იანი წლები
4. იაკობი - სავარაუდოდ XVI ს.
5. ილარიონი -1657 წელი

საბაზო სია, რომელსაც დავამატეთ უცნობი კათალიკოსები შედგენილია ისტორიკოს თამარ ქორიძის მიერ და გამოქვეყნებულია 2000 წელს. წიგნში „საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქები“.

საბოლოო ჯამში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგი ასე გამოიყურება (თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ეს საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს):

აფხაზეთის (დასავლეთ) საქართველოს კათალიკოსები :

1. სვიმეონი .....XI ს.
2. ევსტარტი .....XI ს-ის ბოლო XIIს-ის დასაწყისი
3. ნიკოლოზი .....XIII ს-ის დამლევს
4. დანიელი .....XIV ს-ის მეორე ნახევარში
5. არსენი .....XIV საუკუნე
6. მელქისედეკი .....XVს-ის I ნახევარი
7. იოვაკიმე .....XV ს-ის 70-იანი წლები
8. ბართლომე .....XV საუკუნის 80-იანი წლები
9. სტეფანე 1490-1516

10. მალაქია აბაშიძე .....1519-XVI ს-ის 40-იან წლები
11. იაკობი .....XVI საუკუნე
12. ევდემონ ჩხეტიძე 1557-1578
13. ექვთიმე I საყვარელიძე 1578-1616
14. მალაქია II გურული 1616-1639
15. გრიგოლ I.....1639
16. მაქსიმე I (მაჭუტაძე) 1639-1657
17. ილარიონი 1657-1658
18. ზაქარია ქვარიანი.....1658-1660
19. სვიმონ ჩხეტიძე 1660-1666
20. ევდემონ II (საყვარელიძე) 1666-1669
21. ექვთიმე II(საყვარელიძე) 1669-1673
22. დავითი (ნემსაძე).....1673-1696
23. გრიგოლ II (ლორთქიფანიძე) 1696-1742
24. ბესარიონ (ერისთავი) 1742-1769
25. გერმანე (წულუკიძე) .....XVIII ს-ის შუაწლები
26. იოსები (ბაგრატიონი).....1769-1776
27. მაქსიმე II (აბაშიძე) 1776-1795
28. დოსითეოსი წერეთელი 1795-1814 საკათალიკოსოს გამგებელი

წმიდა კათალიკოსები და კათალიკოს-პატრიარქები

1. წმ. პეტრე 468-502
2. წმ. სამოელ I 502-505
3. წმ.მამაი 731-744
4. წმ. სარმეანე 767-774
5. წმ. არსენ I საფარელი 860-887
6. წმ. იოანე ოქროპირი.....980-1001
7. წმ.მელქისედეკ I 1010-1030
8. წმ. ნიკოლოზ V III 1584-1589
9. წმ. ევდემოზ I 1630-1637
10. წმ. იოსები 1755-1764
11. წმ. ანტონ II 1788-1810
12. წმ. კირიონ II 917-1918
13. წმ. ამბროსი 1921-1927

ბაგრატიონი კათალიკოსები

1. დავით II 1425-1428
2. მელქისედეკ II 1528-1552
3. ნიკოლოზ VIII 1584-1589
4. დომენტი IV 1705-1741
5. ანტონ I 1744-1755. 1763-1788
6. ანტონ II 1788-1810
7. იოსები 1769-1776

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსოები

საქართველოში პირველი საეპისკოპოსო დაარსდა სამცხეში, აწყურში წმინდა ანდრია პირველწოდებულის მიერ პირველი საუკუნის 40-იან წლებში. აწყურის ეპისკოპოსი მაწყვერელის სახელწოდებით საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არამარტო სამცხის, არამედ საქართველოს ეკლესიის სინამდვილეში. XVI საუკუნიდან მაწყვერელი ეპისკოპოსი ანტონი გელათში მკვიდრდება. ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ 1917 წელს კვლავ აღდგა აწყურის საეპისკოპოსო კათედრა. 1978 წლის 14 დეკემბრის საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის დადგენილებით: აწყურის ეპარქიას ამიერიდან ეწოდოს „ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთისა“(ვაშაყმაძე.2011:32). ჩვენი აზრით მაწყვერელის ტიტული კვლავ უნდა აღდგეს საქართველოს ეკლესიაში, ვინაიდან იგი ყველაზე ძველია და ქრისტეს მოციქულის მიერ არის დაფუძნებული. ცნობილია,რომ საქართველოში მეორე საეპისკოპოსო წმინდა ბართლომე მოციქულმა დაარსა იშხანში. იშხნელი ეპისკოპოსიც ძალზე დაწინაურებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მეფის კურთხევაში ღებულობდა მონაწილეობას.

საქართველოს ეკლესიის უდიდეს ავტორიტეტზე მიგვანიშნებს, 325 წელს პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე საქართველოდან ორი მღვდელმთავრის, ტრაპიზონის ეპისკოპოს დამნუსის და ბიჭვინთის ეპისკოპოს სტრატიფილეს დასწრება.

წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის დროიდან მეოთხე საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართლის პირველი ეპისკოპოსია იოანე.

მეხუთე საუკუნეში წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის დროს დაარსდა 12 ახალი საეპისკოპოსო: ახიზის,ერუშეთის, წუნდის-,მანგლისის,ბოლნისის, რუსთავის, ნინო- წმინდის, ჭერემის,ჩელეთის, ხორნაბუჯის, აგარაკის, მცხეთის, ბოლოს კი ნიქოზის.

ჯერ კიდევ ავტოკეფალიის მოპოვებამდე ქართლში არსებობდა რამდენიმე საეპისკოპოსო, თუმცა წყაროები მათ შესახებ დაწვრილებით ცნობებს არ გვაწვდიან.

506 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე საეპისკოპოსოთა რიცხვი 24-ე გაიზარდა. XI-XII საუკუნეებში საქართველოს ეკლესიაში ეპარქიათა რიცხვი დაახლოებით 55-ე გაიზარდა.

XV- XVI საუკუნეებდან დასვლეთ საქართველოში ახალი საეპისკოპოსოები იქმნება: შემოქმედის, ჯუმათის, გელათის, ხონის-,ნიკორწმინდის, ხიონწმინდის. მანამდე ეს ტერიტორია ეკლესიურად „ქუთათლის სამწყსო იყო“(ქართველიშვილი.2006:18). ამ პერიოდიდან საქართველოს ეკლესიას ჩამოცილდა სამხრეთ საქართველოს საეპისკოპოსოები. XIX საუკუნიდან ავტოკეფალიის გაუქმების დროს საქართველოში არსებობდა 25 საეპისკოპოსო, აღმოსავლეთ საქართველოში 13-ის ნაცვლად დარჩა ორი, ხოლო დასავლეთ საქართველოში 12-ის ნაცვლად ერთი ეპარქია. 1917 წლის სექტემრიდან ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ შეიქმნა 13 ეპარქია: მცხეთის, კათედრა მწყემსმთავრისა ტფილისში, ალავერდის, ბოდბის, ურბნისის, აწყურის, ქუთაისის, გენათის, ნიკორწმინდის, ცაგერის, ჭყონდიდის, ბათუმ-შემოქმედის, ცხუმ-ბედიის (მართვა-გამგეობის დებულება.1917:6). [5]

1917 წელს მიღებულ მართვა-გამგეობის დებულებამ 1945 წელს განიცადა ცვლილება. კათოლიკოზ-პატრიარქი მოციქულთა 34-ე კანონის თანახმად, საჭიროების მიხედვით იწვევს კათოლიკოზ

5.მიტროპოლიტები პატივით ეპისკოპოსებზე მაღლა დგანან. სამიტროპოლიტო კათედრები იერარქიულად თანასწორნი არიან, აგრეთვე საეპისკოპოსო კათედრები. მწყემსმთავარნი პატივდებულ იქნებიან ხელდასხმის (ქიროტონიის) უხუცესობის მიხედვით. ტფილელი, როგორც კათალიკოსის უახლოესი მღვდელმთავარი არის მოსაყდრე კათალიკოზისა.

-პატრიარქი თანაი საეკლესიო სინოდს და მიმართავს სამწყსოს სახელმძღვანელო ეპისტოლეებით (მართვა-გამგეობის დებულება.1945:9). საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1995 წლის 18-19 სექტემბერს შეიმუშავა მართვა-გამგეობის ახალი დებულება. წმინდა სინოდის განჩინებით ეპარქიათა რიცხვი 27-მდე გაიზარდა. 2002 წლის 17 ოქტომბრის წმინდა სინოდის განჩინებით ეპარქიათა რიცხვი 31-მდე გაიზარდა. 2006 წლის დადგენილებით 38-მდე, ხოლო 2013 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით კი 44-მდე.

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს საეპისკოპოსოები XIII საუკუნის ძეგლის „განგება დარბაზობის“ მიხედვით

1. ჭყონდიდელი [6]
2. დიდისა სომხეთის მიტროპოლიტი
3. შემოვიდეს მთავარეპისკოპოსი
4. მაწყვერელი
5. ამბა ალავერდელი
6. ქისიყელი
7. კუმურდოელი
8. ნინოწმინდელი
9. იშხნელი
10. ანჩელი
19. კაწარელი
20. ურბნელი
21. მრუელი
22. სამთავნელი
23. ნიქოზელი
24. ვალაშკერტელი
25. ბოლნელი
26. კარელი
27. ხარჭაშნელი
28. ტფილელი

6. მეფესთან დარბაზობის დროს ეპისკოპოსები იერარქიის მიხედვით სხდებოდნენ, დასავლეთ საქართველოდან მოხსენიებულია მხოლოდ ჭყონდიდელი ეპისკოპოსი, რომელსაც მწიგნობართუხუცესის უმაღლესი საერო თანამდებობაც ეკავა, ამიტომ მას იერარქიაში პირველი ადგილი ეკავა.

11. მტბევარი
12. წურწყუბელი
13. წყაროსთაველი
14. ერუშნელი
15. მანგლელი
16. წინწყაროელი
17. რუსთაველი
18. წილკნელი
29. წალკელი
30.ბანელი
31. ჭერემ-ქალაქელი
32. დმანელი
33. დადაშნელი
34. გიშელი

ჩამოთვლილი კათედრების გარდა აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა დროს არსებობდა შემდეგი საეპისკოსოები: ცურტავისა, უჯარმისა, რუსთავისა, წუნდისა, ჭერემისა, უჯარმისა, აგარაკისა, ჩელეთისა, ხორნაბუჯისა, ხუნანისა, ახტალისა.

დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები

1. ქუთათათელი
2. ჭყონდიდელი
3. ცაიშელი
4. ბედიელი
5. მოქველი
6. დრანდელი
7. ხობელი
8. წალენჯიხელი
9. ცაგერელი, პირველად იხსენიება XI საუკუნეში
10. ნიკორწმინდელი XVI საუკუნიდან
11. გელათელი XVI საუკუნიდან
12. ხონელი XVI საუკუნიდან
13. შემოქმედელი XV საუკუნიდან
14. ჯუმათელი XV საუკუნიდან
15. ხინოწმნდელი XV საუკუნიდან

„განგება დარბაზობისას“ მარცხენა კიდეზე გადამწერის ხელით მიწერილია: „შემოვიდეს ციხე-გოჯელი და დაჯდეს ბედიელს ქვემოთ.“

ყოვლისა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდა ასევე ხუნძეთის საკათალიკოსო, რომელშიც შედიოდა ინწუხის, წახურის და სხვა საეპისკოპოსოები.

საქართველოს ეკლესიის საეპისკოპოსოები არსებობდა იერუსალიმსა და ანტიოქიაში: მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე თავის ნაშრომში აღნიშნავს; იერუსალიმში ქართველი ეპისკოპოსის (სამუელი?) საფლავის ქვის აღმოჩენა მიუთითებს იმაზე, რომ ქართველთა თემს იერუსალიმში საკუთარი ეპისკოპოსი ჰყავდა. მღვდელმოწამის აზრით ქართველებს ეპისკოპოსი იერუსალიმ-

ში უნდა ჰყოლოდათ VI საუკუნეში. 1050 წელს გოლგოთას ნაწილი მიიღო ქართველთა მეფემ ბაგრატ კურაპალატმა, რომელმაც იქ ქართველი ეპისკოპოსი დანიშნა. საუკუნეების განმავლობაში ქართველებს ორი ეპისკოპოსი ჰყავდათ იერუსალიმში. იერუსალიმში ორი ქართველი ეპისკოპოსი ცხოვრობს (ერთი ჯვრის მონასტრისა, 1583წ., მეორე გოლგოთისა, 1584 წ).(ფერაძე.2012:123). კათალიკოს-პატრიარქი კირიონი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ: დავით აღმაშენებელმა (1089-1125) სინის მთაზე დიდმოწამე ეკატერინეს ქართულ მონასტერში დააფუძნა მიტროპოლიტის კათედრა (ქართული მწერლობა. 2005:281).

ე.რეის მიხედვით ანტიოქიის მახლობლადშავ მთაზე ქრთველები ირჩევდნენ თავიანთ ეპისკოპოსს და სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ ანტიოქიის პატრიარქისაგან.(იქვე:118). თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სამოციქულო ეკლესიას საზღვარგარეთ გააჩნია შემდეგი ეპარქიები: დასვლეთ ევროპის ეპარქია, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქია, ავსტრალიის ეპარქია, სამხრეთ ამერიკის და ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია. დასავლეთ ევროპის ეპარქიაში დღეისათვის მოქმედებს 72 სამრევლო, ეპარქიის მმართველია მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), რომელსაც ექვემდებარება 17 სასულიერო პირი. ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიაში მოქმედებს 12 სამრევლო, ეპარქიის მმართველია მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი). დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის ეპარქიაში მოქმედებს ორი ეპარქია. ეპარქიის მმართველია მიტროპოლიტი შიო (მუჯირი). 2000 წლიდან კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლობა მოქმედებს კვიპროსში(საქ.სამოც.ეკლ.კალენდარი.2014:314-340).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 1917 წლის 12 მარტის აქტი

1917 წელსა, მარტის 12 დღესა, მცხეთის წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო ტაძარსა შინა, დღესა კვირიაკესა, შემოვკრბით ჩვენ, სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსთ-მთავარნი, სამღვდელონი კრებულნი და ერისაგანთა წარმომადგენელნი და, შემდგომ ლიტურღიისა და კეთილდღეობისათვის ახლისა მთავრობისა საველდრებლის პარაკლისის შესრულებისა, გულისხმა ვყავთ სახელმწიფოსა შინა. რუსეთისასა მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახლისა მთავრობისა დაფუძნებაი, ეგრეთვე სახელმძღვანელონი დებულებანი ამა მთავრობისანი საკუთრივ მის მიერ სინიდისისა და სარწმუნოების თავისუფლების აღსარებაი (მუხ.3). ამათანავე განვბჭეთ, ვითარმედ: ა) ეკლესიისა ქართველთასა აქუნდა, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, ავტოკეფალური არსებობაი, რომლისა მოსპობაი ანუ გაუქმებაი არავის ძალედვა, თვნიერ მსოფლიო კრებისა, გარნა მას შინა სრულიად არაკანონიერად შეწყვეტილ იქმნა ავტოკეფალური მართვა-გამგეობაი; ბ) რუსეთსა შინა დამყარდა ახალი სახე სახელმწიფოის მართვა-გამგეობისაი და მას აღარ შეესაბამების ქართველთა ეკლესიისა უფლებაშეჩერებულად ყოფნაი; ამისათვის აუცილებლად ვსცანით და ერთხმად და ერთსულად განვაჩინეთ:

ა) ამიერითგან აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოსა და შინა ავტოკეფალური საეკლესიო მართველობაი, ხოლო, ვიდრე კანონიურად აღირჩეოდეს კათალიკოსი საქართველოის ეკლესიისაი, მოსაყდრედ მისა დაინიშნოს ყოვლადსამღვდელო ლეონიდე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, და მასთან, განსაგებელად ეკლესიისა, დაწესდეს დროები-

თი მმართველობაი საქართველოს ეკლესიისაი, სასულიერთა და საეროთა პირთაგან შემდგარი.

ბ) ვინაითგან საქართველო ქვაკუთხედად თვისისა არსებობისა აღიარებს სრულსა სოლიდარობასა რუსეთისა ახალსა მთავრობასა თანა, განჩინებაი ესე ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს უფალს როძიენკოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავადს ლვოვს, სინოდის ობერპროკურორს უფალს ლვოვს და კავკასიის კომისარიატს-ტფილისში.

საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალის ცნობისა და მტკიცების სიგელი.

დიმიტრიოსი, წყალობითა ღმრთისა მთავარეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

„ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყუარულსა ზედა და აღვაორძინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელ არს თავ მისა ქრისტე, რომლისაგან ყოველი გუამი შენაწევრებულ არს ყოვლითა შეახლებითა უხუებისაითა შეწევნისაებრ საზომისა თვითეულისა ასოისა; სიორძილსა მას გუამისასა ჰყოფდით აღსაშენებლად თავისა თქუენისა სიყუარულით“ (ეფეს. 4,15-16). ამბობს მოციქული ერთა პავლე, და მართლაც ერთი სამწყსოა და ქრისტეს ერთი სხეულია, და ასევე წოდება ღვთისმიერი ქვეყანასა ზედა ეკლესია მისი სულიერი ერთიანობის გამო, და არანაირი, რა თქმა უნდა, გზით არ შეუშლია ხელი ამას, არც პირველ და არც მის შემდგომ საუკუნეებში, სტრუქტურისათვის ადგილობრივი და სხვადასხვა ქვეყნების ეკლესიებისა, რომელნიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი, შინაგანად თვითმმართველნი, თავიანთივე მწყემსმთავართაგან და მოძღვართაგან და ქრისტეს სახარების მსახურთაგან მართულნი არიან და შეადგენენ ერთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას.

ასეთივეა კავკასიის კურთხეულ მიწაზე, ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შემავალი წმიდა და მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც უძველესი დროიდან მიიღო თვითმმართველი და თავისუფალი განმგებლობა და შესაბამისად, საეკლესიო მმართველობითი ორგანიზაციაც. რწმენაში სიმტკიცისა და ეკლესიური ცხოვრებით მრავალი და შესანიშნავი მაგალითის მაჩვენებელი. იგი დღესაც შეუნელებლად და უცვლელად იცავდა და იცავს ჩვენი მართლმადიდებელი

ეკლესიის მოძღვრებას და მის მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებებს. ამჟამად კი, თავის განმგებლობაში კანონიერების მსურველი, ყველა წმიდა მსგავსი აღმსარებლობის ეკლესიებთან მეგობრულ და სიყვარულით სავსე ურთიერთობებში და სამსახურში მყოფი მიმართავს, ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას, ჩვენს ეკუმენურ საპატრიარქო ტახტს და ითხოვს კურთხევასა და მტკიცებას თავისი თვითმმართველობითი სტრუქტურისა. რემეთუ ასე შეთანხმებულმა, ვითარცა ვაზმა განუყოფელი ღვთის ვენახისა, ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა კანონიერ პლეადაში მყოფმა, განაგრძოს აყვავება ქრისტეს სხეულისა.

ეს ღირსებით სავსე მიმართვა და თხოვნა სიყვარულით მივიღეთ ჩვენ და ჩვენმა წმიდა კურთხეულმა სინოდმა, ვინაიდან ჩვენი ეკუმენური ტახტი ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს სამართლიანი უფლებებისა და სტატუსის მომთხოვნ წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიებს; ხელი ჩასჭიდოს მათ და დაეხმაროს დრიოთ აუცილებლობით გამოწვეული ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში, რამეთუ, თანახმად მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო ცხოვრებისა და წესისა, ღირსეულად მოპოვებულმა მისმა ავტორიტეტმა აღავსო ავტოკეფალური მმართველობის მინიჭების უფლების უპირატესობით და ჩამოყალიბდა გარკვეული ადმინისტრაციული უფლებები. ამდენად, ჩვენი უმდაბლესობა და ჩვენი კურთხეული მიტროპოლიტები, ყოვლადპატივდებულთა თანა სულიწმიდის მიერ ჩვენს ძმებთან და თანამწირველებთან ერთად განიმსჭვალა აზრით და სიამოვნებით იწონებს, რომ პატაკად მომავალი წმიდა და დიდი მსოფლიო კრებისა, ჩვენმა უპირველესმა ტახტმა, კონსტანტინოპოლის ეკლესიამ აკურთხოს, ცნოს და დაამტკიცოს საქართველოს წმიდა ეკლესიის ავტოკეფალია და დამოუკიდებელი სტრუქტურა. იგი მუდამ გარანტირებული და

ხელშეუხებელი იქნება ჩვენი წმიდა რწმენისა და საეკლესიო კანონიკური წესის თანახმად, მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობაში.

სინოდის გადაწყვეტლებითა და სულიწმიდით განათლებულნი ვაცხადებთ საქართველოს უწმიდეს ეკლესიას მავე თვითმმართველი სტრუქტურითა და ორგანიზმებით, რაც უძველესი დროიდან გააჩნდა და რაც დამოწმებულია აგრეთვე ბალსამონის მიერ, რომელიც წერს: „...ამბობენ, რომ დღეთა მათ შინა უწმიდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი ქალაქისა დიდიდსა ანტოქიისა უფალი პეტრესი, გამოტანილ იქნა სინოდური დადგენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა“. მივიჩნევთ, რომ იგი ჩართულია და არის ძმურ მართლმადიდებელ ეკლესიათა პლეადაში და ვადასტურებთ, ამასთანავე, იმას, რომ იგი სახელდებულია როგორც „წმიდა ავტოკეფალური ეკლესია სრულიად საქართველოისა“. ვცნობთ მას, როგორც ჩვენს სულიერ დას, რომელიც უფლებამოსილია მართოს და აწარმოოს საქმენი დამოუკიდებლად და ავტოკეფალურად, თანახმად წესისა. სხვა ადგილობრივ წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის კანონიერი უფლებებით მოქმედებს, მეთაურად ჰყავს უფალი ღმერთი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, და კანონიკური და საეკლესიო წესის თანახმად, აღიარებს და პატივს ცემს ჩვენი მსოფლიო საპატრიარქო ტახტის პირველადობას, და ვითარცა თავის უმაღლეს მმართველობით ორგანოს, სცნობს საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართაგან შემდგარ სინოდს, რომლის თავმჯდომარეც არის მთავარეპისკოპოსი მცხეთა თბილისისა და კათალიკოსი სრულიად საქართველოსა.

ჩვენს უწმიდეს სამოციქულო და მსოფლიო საპატრიარქო ტახტთან, ასევე, ყოველ მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიასთან სულიერი და კანონიკური ერთიანობის დაცვის

მიზნით, მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური წესის თანახმად, ყოველი მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათალიკოსი სრულიად საქართველოისა მოვალეა მათ მეთაურებს აცნობოს მისი არჩევა და აღსაყდრება სამშვიდობო საინტრონიზაციო ეპისტოლეებით. წარმოაჩინოს ამასთანავე აღმსარებლობა და დასტური მისი და მისადმი რწმუნებული წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომ შეუბღალავად დაიცვას მართმადიდებლურ სარწმუნოებასა და ღვთისმოსაობას, და ამასთანავე, მართლმადიდებელი ეკლესიის საღმრთო და წმიდა კანონებსა და წესებს; რიგის მიხედვით მოიხსენიებს წმიდა დიპტიხში სახელს ყოველი მსოფლიო პატრიარქისა და სხვა უწმიდეს პატრიარქთა და წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების უნეტარეს განმგებელთა. რაც შეეხება მირონის საკითხს, დაცული იქნება ამასთან დაკავშირებით დადგენილი საეკლესიო წესი, რათა ხილულად და უხილავად შედგეს და განცხადდეს შინაგანი და გარეგანი განუყოფელი ერთიანობა მართლმადიდებელი ეკლესიისა.

ამასთანავე, ვურჩევთ, რომ ზოგადი ხასიათის საეკლესიო პრობლემებისა თუ დაბრკოლებათა დროს, რომელნიც ავტოკეფალური ეკლესიების საგანმგებლო საზღვრებში იჩენენ თავს, ხოლო საყოველთაო განსჯასა და კენჭისყრას ექვემდებარებიან, მთავარეპისკოპოსმა მცხეთა-თბილისისა და კათალიკოსმა სრულიად საქართველოისა მიმართოს ჩვენს უწმიდეს მსოფლიო საპატრიარქო ტახტს, რომლის მიერაც დაუკავშირდება ყოველ მართლმადიდებელ საეპისკოპოსოს, ჭეშმარიტი სიტყვის მართლმკვეთელთ და, თავისსავე თხოვნის შესაბამისად, მიიღებს მისგან სარწმუნო აზრსა და შეხედულებას მისას და ძმური ეკლესიებისას.

ამრიგად, ჩვენს მუდმივ, სრული შემადგენლობის, წმიდა და კურთხეული სინოდის 1990 წლის 23 იანვრის სხდომაზე

ნაფიქრს, განსჯილს და სინოდალურად ჩვენს მიერ დამტკიცებულს, რომ მტკიცედ დავიცვათ, ვადასტურებთ ამ საპატრიარქო და სინოდალური სიგელით, რომელიც შედგენილი და ხელმოწერილია ჩვენი წმიდა და ქრისტეს დიდი ეკლესიის წესდების თანახმად, ზუსტად და უცვლელად. ვაუწყებთ და ვუგზავნით მთავარეპისკოპოსს სრულიად საქართველოის, ქრისტეს მიერ ჩვენს საყვარელ ძმასა და თანამწირველს უფალ ილიას, სრულიად საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის კურთხეული სინოდის თავმჯდომარეს და როგორც წესია, აგრეთვე ეკლესიური კანონიკის მიხედვით მოქმედ და გამოცხადებულ მოძმე მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიებს, დასაცავად და განსამტკიცებლად სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობისა.

უფალი ღმერთი ჩვენი, მადლითა და წყალობითა პირველისა, დიდისა და უმაღლესისა მღვდელმთავრისა ქრისტე ღმერთისა ჩვენისა, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა მისისა, მარადქალწულისა ღვთისმშობლისა მარიამისა, პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა იოანესი, წმიდათა და დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა, წმიდა მოციქულთა სწორისა ნინოსი და ღირსთა და ღვთივდაცულ მამათა ჩვენთა, განამტკიცებს და დაიცავს წიაღსა ერთი წმიდა და კათოლიკე ეკლესიისა, ძმურ ავტოკეფალურ ეკლესიისა სრულიად საქართველოისა, წარუძღვება და ააყვავებს მას სადიდებლად წმიდისა სახელისა თვისისა, ნუგეშად მორწმუნე მრევლისა მისისა და სიხარულად ჩვენი წმიდა სამოციქულო მსოფლიო ტახტისა და ყოველთა მოძმე მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიათა. მაცხოვრის მიერსა წელსა 1990, თვესა იანვრისა 25.

საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტულის ცნობის და ბოძების საპატრიარქო სინოდური განჩინება.

დომიტრიოსი, წყალობითა ღმრთისათა მთავარეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი.

რამდენადაც, მრავასაუკუნოვანი წესის თანახმად, ჩვენი უწმინდესი სამოციქულო და მსოფლიო საპატრიარქო ტახტი ინარჩუნებს კანონიერ უფლებას ჩაერიოს ღვთის წმიდა ეკლესიათა მოთხოვნილებებში, გამოიჩინოს გარკვეული მზრუნველობა და დააკმაყოფილოს ისინი, ამიტომ ჩვენი უმდაბლესობა, ჩვენს კურთხეულ და ყოვლადპატივდებულ მიტროპოლიტებთან მსჯელობის შედეგად, საეკლესიო კანონმდებლობიდან გამომდინარე, განიმსჭვალა აზრით, რომ საქართველოს უწმიდეს მართლმადიდებელ ეკლესიას, ვითარცა ავტოკეფალურსა და დამოუკიდებელს, მართლმადიდებელ ეკლესიათა სისტემაში შემავალსა და თვითმმართველსა, მიეცეს ძმური თანხმობა და ალიარება ჩვენი უწმიდესი კონსტანტინეპოლის ეკლესიისაგან მასზედ, რომ საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებულ იქნეს საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით. როგორც ადრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში მისი ტიტული - „მთავარეპისკოპოსი მცხეთ-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა“, ასევე იხსენებოდეს ამიერითგანაც მართმადიდებლურ საღმრთო და წმიდა განგებებში.

ღრმად დარწმუნებულნი ვართ, იმაში, რომ ჩვენი წმიდა და ქრისტეს დიდი ეკლესიის გასჯის და მისი წმიდა სინოდის დადგენილებას გაიზიარებენ და მხარში დაუდგებიან უნეტარესნი პატრიარქნი და განმგებელნი ღვთის ყოველი წმიდა ეკლესიისა და მიღებული იქნება ერთსულოვანი თანხმობა სა-

ქართველოს მოძმე ეკლესიის საპატრიარქო ღისრების აღიარების შესახებ. გამოვთქვამთ ჭეშმარიტ იმედს, რომ ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ჩვენი წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის შენებას, ეკლესიის სიძლიერეს და წინსვლას.

სიხარულით ვაუწყებთ ყოველივე ამას ჩვენთვის ძალზე საყვარელ და ყოვლადღისრეულ თქვენს უნეტარესობას, თქვენს ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავრებს, მორწმუნე წმიდა სამღვდელოებას, საქართველოს საპატრიარქო ღვთსმოსავ და მორწმუნე მართლმადიდებელ ხალხს.

ვეამბორები თქვენს საყვარელ უნეტარესობას ძმური ამბორით, მივმართავთ თქვენს ქრისტესმოყვარე მრევლს ჩვენი პირველმღვდელმთავრული ლოცვა-კურთხევით და ვითხოვთ ყოველთათვის მადლისა და უსაზღვრო წყალობას უფლისას.

კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის საქართველომ მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში აღიდგინა ისტორიული ადგილი, როგორც დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ;

-საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს. იგი მე-5 საუკუნიდან ავტოკეფალურია და მისი სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი და კათედრაა მცხეთა, საპატრიარქო კათადრებია, აგრეთვე, თბილისი და ბიჭვინთა;

-მართმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები;

-საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

-საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად

საქართველოს სახელმწიფო (შემდგომში სახელმწიფო), წარ-
ოდგენილი საქართველოს პრეზიდენტით და საქართველოს
ამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია
ემდგომში ეკლესია), წარმოდგენილი სრულიად საქართვე-
ოს კათოლიკოს-პატრიარქით, დებენ კონსტიტუციურ შეთან-
მებას (შემდგომში შეთანხმება):

მუხლი 1.

1. სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას ითა-
ნამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის
დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.
3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან დადონ
შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფე-
როში, რომელთა განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ
მიიღება შესაბამისი აქტები.
4. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ სა-
ჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქ-
მიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის
ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებე-
ბისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმო-
ადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატ-
რიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (
ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით); ხოლო სამართლებ-
ლივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათო-
ლიკოს-პატრიარქი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.

როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

მუხლი 2.
სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია, არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.

მუხლი 3.
სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

მუხლი 4.
სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან.

სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება.
სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები.

მუხლი 5.

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

2. სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

მუხლი 6.

1. ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. ეკლესია თავის არასღვთისმსახურო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმია-

ნობას.

4. ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.

5. ეკლესიის მიერ საღვთისმსახურო პროდუქცია-მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა განთავისუფლებულია გადასახადისაგან.

6. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.

მუხლი 7.

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს) მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

2. ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით.

მუხლი 8.

ახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაც-ში (მუზეუმებში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერ-ი საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა).

1. ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური, როგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილს, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმიდა ნაწილებისა და წმიდა რელიქვიების გარდა).

მუხლი 9.

1. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანძურის სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენა, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს.

მუხლი 10.

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

მუხლი 11.

1. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 183; 12.04.90).

2. აღნიშნული საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მიწის გადაცემისა და სხვა დეტალების დასადგენად პარტეტულ საწყისებზე იქმნება კომისია (ამ შეთანხმების ხელისმოწერიდან ერთი თვის ვადაში), რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს.

მუხლი 12.

1. შეთანხმება შედგება წინამდებარე ტექსტისა და ტერმინთა განმარტებისაგან.
2. შეთანხმებაში ცვლილებებისა დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმიდა სინოდის დამტკიცებით.
3. შეთანხმებას ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.
4. შეთანხმება ძალაში შედის პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებისთანავე.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II**

საქართველოს სახელმწიფოს სახელით **საქართველოს პრეზიდენტი ე.შევარდნაძე**

სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი
14 ოქტომბერი 2002 წ.

The Main Points in the History of the Georgian Church Autocephaly

The Georgian Church is one of the oldest churches in the Apostolic Orthodox World. The five apostles: Andrew the First-called, Simon the Zealot (also called the Canaanite), the Holy Apostle Bartholomew, the Holy Apostle Jude (also called Lebbaeus, surnamed Thaddeus, brother of James the brother of God) and the Holy Apostle Matthias (replaced Judas Iscariot) preached in the 1st century on the territory of Georgia. This is why the Georgian Church is called apostolic. In the year of 326 due to the spiritual activity of St. Nino (Nina), equal of the Apostles and Enlightener of Georgia, Christianity was announced as the state religion in Georgia. According to the old Georgian historical sources, granting autocephaly to the Georgian church took place in the second half of the fifth century during the reign of the Georgian King Vakhtang Gorgasali. Considering the sources it can be concluded that in the second half of the fifth century there existed several bishops in Georgia mainly in large cities and religious centres. Hierarchically they were under the jurisdiction of the bishop of Mtskheta. It was due to the King Vakhtang that the Georgian Church was granted autocephaly. Because of his reasonable internal and foreign affairs the Byzantine Empire as well as Persia respected the Georgian state. Being strong enough as a Christian state it turned out to be necessary to have its own independent leader for the church who would be equal of the leaders of other churches of that time. It should be noted that the first leader of the Georgian Church had not been granted his rank by the monophysite patriarch of Antioch. From our point of view, the Georgian Church got its autocephaly during the reign of the Holy King Vakhtang Gorgasali and Byzantine Emperor Leon in the years of 468-470 when St. Gennadius was the Patriarch of Constantinople (457-471) and Marcirius _ the Patriarch of Antioch

(459-470). All of them were orthodox. Also Peter and Samuel who were sent as representatives of Georgia to Antioch were people of the orthodox religion.

For some time Catholicoses used to be sent from Byzantium and appointed by the Greeks. But in approximately one century the Georgian Church ceased such relations with Antioch and Georgians began to hold the throne themselves.

A well-known Georgian figure of the 11th century Ephrem the Lesser (Minor) reports in one of his works that in the period of the Theophylactus of Antioch (744-750) several monks were sent from Georgia to Antioch. One of the monks _ John was granted by him the rank of Catholicos. The mentioned statement was taken by Ephrem the Lesser from the "Chronographs of Antioch". In spite of the tendency it is of great importance for the clarification of the question of the Georgian Church Autocephaly as Ephrem notes that Theophylactus the Patriarch of Antioch issued a written document according to which Georgians would be able to choose and appoint a Catholicos themselves. Thus, the assumption that certain John appointed by Theophylactus might have been Catholicos of Abkhazeti (Abkhazia) should be denied. John mentioned here could not have been the Catholicos of Abkhazeti because in 744-750 the kingdom of Abkhazeti had not been founded yet. Besides the political freedom of the West Georgia (Kingdom of Abkhazeti) was not immediately followed by the freedom of its church.

It should be emphasized that in the history of the church after the great church canonists such as Patriarch Photius and John (Ioannes) Zonaras, Theodore Balsamon _ a prominent church canonist _ reports on the Georgian Church Autocephaly. He mentions the question when discussing the second canon of the Second World Ecclesiastic Council in 381. This historical source is one more document confirming that the Georgian Church is one of the oldest autocephalous churches in the

world.

In the 11th century the representatives of the Greek Church doubted the legality of the Georgian Church Autocephaly. They presented the following charges against Georgians: 1.As if none of the apostles had preached in Georgia; 2.They doubted the truth of Georgians' religion and accused them of the heresy. While arguing with the Greeks, George the Hagiorite (Giorgi Mtatsmindeli or Giorgi Atoneli), one of the most influential HYPERLINK „http://en.wikipedia.org/wiki/Christian" \o „Christian" Christian churchmen of medieval Georgia, used Greek historical sources to support his statement and proved to the Greek the apostolic origin of the Georgian Church and added that Christ's first apostle Andrew the First-called had preached in Georgia, apostle Simon the Canaanite was buried on the territory of Georgia. As for the second accusation, George the Hagiorite, on the contrary, accused Greeks of the sin and said: "There was a time when none of the Orthodoxy could be found in the whole Byzantium and, therefore, the John the Bishop of Geat had to leave for Mtskheta to be given the rank of a bishop. Accordingly, as the Georgian Church had been founded by the apostles, it should have been respected the same way as the Church of Antioch; besides as the Georgian Church had been founded by apostles, it had been autocephalous since the very first century and needed no authority to be given by the Church of Antioch.

Since the 11th century the rights of the Catholicos of Abkhazeti had been decreased in the United Georgia and the rights of the Catholicos of Mtskheta, on the contrary, _ increased. Firstly, he received the title of the Patriarch and later his influence was spread over the whole Georgia. Non-Georgian Orthodox Church Communities existing in the Caucasus were also under his subordination. In the XV-XVI centuries the Patriarchs of Antioch made one more attempt to intervene in the affairs of the Georgian Church. The visit of Antioch-Jerusalem Patriarch

to Georgia in XV century to collect donations is a justification of this.

In the 15th century the King of the Imereti region Bagrat III lost his control over Abkhazeti due to the aggression of the Ottoman Empire and the pressure of the tribes moved to Abkhazeti from the North Caucasus which was followed by the complication of the internal political situation. On this basis the Catholicoses of Abkhazeti or the West Georgia were not able to implement their work. That was why the residence of the Catholicos was moved from Bichvinta to the depth of the country _ Gelati, where the Royal Authorities provided the appropriate conditions for the Cathlicoses.

In Gelati Catholicoses never ceased their contact with the Bichvinta Cathedral. From time to time they arrived in Bichvinta to consecrate the chrism. In the 19th century, after abolishing the kingdom of Kartl-Kakheti, turn had come to abolish the Georgian Church Autocephaly. The project approved of by the Russian Synod was confirmed by the Emperor Alexander I on the 30th of June, 1811.This date is considered to be the day of annulment of the Georgian Church Autocephaly. The leader of the Georgian Church Catholicos-Patriarch Anton II was forcibly taken to Russia. By annulling the Georgian Church Autocephaly the resolutions of the holy apostles and World Ecclesiastic Councils were annulled. After the abolishment of the residence of the Catholicos in Mtskheta on 30th of August in 1814, the same happened in the West Georgia (Abkhazeti) either. In 1811-1814 Catholicos's residences were abolished by the rough interference of the Emperor and the Russian Church Holy Synod. The autocephalous Catholicos's residences of Mtskheta and Abkhazeti were much older churches than the Russian Church. The Catholicos's residence of Abkhazeti that had the history of nearly one thousand years of existence was forcibly abolished. Its last leader Metropolitan Dositheos (Tsereteli) was tortured and the treasure of the residence was robbed. In 1811 the most difficult period in the

history of the Georgian Church began and lasted for 106 years.

In 1905-1906 the most significant events were the sessions to proceed the revival of the Georgian Church Autocephaly held in St. Petersburg before the Russian Church local council. Georgians' legal demand on reviving the autocephaly was denied by the Russian Church. The Russian authorities considered the revival of the autocephaly as the danger of the political autonomy.

On 12th of March 1917 the political events taking place in Russia played the significant role on the process of reviving the Georgian Church Autocephaly. On 17th of September in 1917 the successful conclusion of the reviving autocephaly was the appointment of Kirion II as the Catholicos-Patriarch whose aim was that Russian and Eastern Churches recognized the Georgian Church autocephaly. Finally, the Russian Church recognized the Georgian Church Autocephaly on 31st of October in 1943. The Eucharistic union between the two orthodox churches was restored. After the long-term struggle the recognition of the Georgian Church Autocephaly occurred on 4th of March in 1990. The delegation of the Georgian Church was received in Istanbul by the Patriarch of Constantinople His Holiness Dimitrios I. The delegation of the Georgian Church was given two documents: 1.The document of the recognition and confirmation of the Holy Orthodox Georgian Church Autocephaly; 2. The document of the recognition and donation of Patriarch's title and decision of the Patriarch and Synod for the Georgian Church. Thus, the regularities were restored: from now on the Georgian Church Autocephaly will never be the topic for discussions and reasoning that had occurred many times by Greeks. By means of these documents the historical autocephaly of the Georgian Church has been recognized. On the basis of this the leader of the Georgian Church has the title of a Patriarch.

პირთა სახელების საძიებელი

ა

აბაშიძე ზაზა.....22,177,349,350
აბაშიძე მაქსიმე. აფხაზეთის კათალიკოსი.....243
აბრაამ სომეხთა კათალიკოსი.....114,115
აბრაამგარმელია. მიტროპოლიტი.....433
ათანასე დიდი.....395
აკაკი კონსტანტინეპოლის პატრიარქი.....64,65,68
აკაკი შანიძე.....162
ალადაშვილი გიორგი. ეპისკოპოსი.....298
ალექსანდრე კონსტანტინეპოლელი.....45
ალექსანდრეცაგარელი.....7,15,153,225,240,277,278,281,292
ალექსანდრე პირველი საქართველოს მეფე.....194
ალექსანდრე პირველი. რუსეთის იმპერატორი...238,240,243,244
ალექსანდრე ტორმასოვი. მთავარმართებელი.....233
ალექსიძე ზაზა.....16,61,64,87,117,122,331
ანანია ჯაფარიძე. მიტროპოლიტი 17,87,113,140,148,164,168,178,
.....202,256,331
ანატოლი. კონსტანტინეპოლის პატრიარქი.....69,70
ანასტასი მღვდელმოწამე. ანტიოქიის პატრიარქი.....94,99,127
ანდრია პირველწოდებული.....20,77,156,202
ანდრია კურაევი. მთავარდიაკონი.....376
ანრი ბოგვერაძე.....16,75
ანტონ პირველი კათალიკოსი.....142,227
ანტონ მეორე კათალიკოსი.....183,228,229,230,231,234,236,238
ანტონ გიორგაძე.ქუთათ. ეპისკოპოსი.....298
არაბიძე ირინა.....304,305,309,310,312
არსენ ბულმაისიმისძე.....185
არსენ აფხაზეთის კათალიკოსი.....372
არსენ კალიპოსელი. იყალთოელი.....176

არსენ საფარელი. კათალიკოსი.....117
არსენი თბილელი მიტროპოლიტი.....236,237
არჩილ მეფე.....105,106,107,108
აღათონ რომის პაპი.....88,89

ბ

ბაბილინა ლომინაძე.....16,66,94,103,118,140,203,206,218,224
ბაგრატ პირველი კურაპალატი.....167
ბაგრატ მესამე კურაპალატი.....124,135,213
ბაგრატ მეოთხე კურაპალატი.....56,122,127,149,153
ბაგრატ მეექვსე. საქართველოს მეფე.....200,205
ბაგრატ მესამე იმერეთის მეფე.....205,210,211,212,217
ბალენდუხტ დედოფალი.....42
ბართლომე ქართლის კათალიკოსი.....96
ბართლომე აფხაზეთის კათალიკოსი.....421
ბართლომეოსი კონსტანტინეპოლის პატრიარქი.....395
ბასილი მესამე. კონსტანტინეპოლის პატრიარქი.....313
ბასილი მეორე ბიზანტიის იმპერატორი.....139
ბესარიონ აპლია. მღვდელი.....370
ბერი ეგნატაშვილი.....207
ბერძენიშვილი ნიკო.....17,167,181,182,185,374
ბესონოვ მ.....361
ბენეშევიჩი ვლადიმერ.....207
ბიჭიკოდიასამიძე.....17,165,173
ბუტკევიჩი ტ. დეკანოზი.....272,279,364
ბუბაკუდავა.....18,98,135,137,171,180,188
ბუბულაშვილი ელდარი. 18,174,230,231,233,235,239,250,290,291 ---.....293,341
ბურდული გვანცა.....18,126,255,272,278,282
ბოლოტოვი.....385

ბ

გაბრიელ ქართლის კათალიკოსი.....412
გაბიძაშვილი ენრიკო.....12,175
გამრეკელი გიორგი. პროტოპრესვიტერი.....322
გამალიელი. იკორთის არქიმანდრიტი.....234
გასვიანი გერონტი.....375
გვენეტაძე ეპიფანე.....180
გენადი კონსტანტინეპოლელი პატრიარქი.....51,56,62,63,70,72
გერასიმე მაწყვერელი ეპისკოპოსი.....194,195
გერასიმე ქუთათელი.....205
გივი როგავა.....255
გიორგი მთაწმინდელი..11,102,127,128,145,146,147,150,151,152,156
.....157,158,159,161,162,265
გიორგი კონსტანტინეპოლის პატრიარქი.....85
გიორგი მამულია.....75
გიორგი მცირე.....145,146
გიორგი მაშენებელი.....121
გიორგი მერჩულე.....172
გიორგი მონაზონი, ჰყონდიდელი.....176
გიორგი II იმერეთის მეფე.....211,215
გიორგი VIII საქ-ოს მეფე.....199
გიორგი კედრენე.....123,124
გოგებაშვილი იაკობი.....285,286
გოილაძე ვახტანგი.....31,52,59,72,73,97,119,123,125,140,418
გონიკაშვილი მიხეილი.....230
გორგაძე სერგი.....22,23,264
გრიგოლი აფხაზეთის კათალიკოსი.....190
გრიგოლი ბერძენი ეპისკოპოსი.....197
გრიგოლი ბაკურიანის ძე.....162
გრიგოლ ღვთისმეტყველი.....37,38,55
გრიგოლ განმანათლებელი.....133

გუარამ მამფალი.....133
გურული ვახტანგი.....18,227,229,231,232,238,241
გურიელი როსტომი.....215
გულბერაძე ნიკოლოზი.....26,177,203

დ

დავით აღმაშენებელი.....212
დავით ნინიძე.....110,157
დავით IV კათათალიკოს-პატრიარქი.....195
დავით კურაპალატი.....110,129,130,131,140
დავით მუსხელიშვილი.....173
დანიელ აფხაზეთის კათალიკოსი.....189
დაჩი ვახტანგს ძე.....42,413
დემეტრე აფხაზეთის მეფე.....133
დვორკინი ალექსანდრე.....361
დიმიტრი აბაშიძე, ეპისკოპოსი.....268
დიმიტრი ბაქრაძე.....205
დიმიტრიოსი I კონსტანტინეპოლის პატრიარქი.....322,362
დიოდოროს I კარვილის, იერუსალიმის პატრიარქი.....320
დომნუსი ტრაპიზონის ეპისკოპოსი.....428
დომენტი ბატონიშვილი,კათალიკოსი.....142
დონალდ რაიფილდი.....77
დოროთე დბარი არქიმანდრიტი.....370
დოსითეოსი I ანტიოქიის პატრიარქი.....198
დოსითეოსი იერუსალიმის პატრიარქი.....150
დოსითეოსი ქვათახევის არქიმანდრიტი.....234
დურნოვო ნიკოლოზი.....7,14,15,70,169,250,274,341

ე

ევდემონ ჩხეტიძე კათალიკოსი..208,210,211,213,214,214,215,216,217

ევსევი ნიკოლაძე.....7,119
ევსტათი ანტიოქიელი.....21,23,25,26,27
ევსტატე ბოილა.....125
ევსტათი მონაზონი.....175,176
ელიაშვილი ექვთიმე, ეპისკოპოსი.....268
ერეკლე I ქართლის მეფე.....143,144
ერეკლე II ქართლ-კახეთის მეფე.....183
ეფთვიმე ათონელი.....89
ეფრემ მცირე.....10,23,24,25,92,95,111,112,161

ვ

ვალერი სილოგავა.....130
ვარაზაშვილიაკაკი.....47,49,288
ვარდოსანიძესერგო.....19,268,302,315
ვართაგავა იპოლიტე.....298
ვარლამ ერისთავი, ეგზარქოსი.....236
ვასილ კოვოშეინი, მთავარეპისკოპოსი.....319
ვაშაყმაძე ზაზა.....254,259,305,428
ვაჩე გუარამისძე.....184
ვახუშტი ბატონიშვილი.....51,165,209
ვახტანგ გორგასალი.. 16,34,35,39,37,39,40,41,42,43,46,48,49,51,5
.....3,54,55,56,57,58,63,68,71,72,74,76,80,332,334
ვახტანგ VI ქართლის მეფე.....142,144,223
ვაჭრიძე გოდერძი.....245
ვაჰან I სივინიელი.....116
ვინსენტ დე ბოვე.....110
ვლადიმერ ბოგოიავლინსკი,მღვდელმოწამე.....352
ვორონცოვ - ლაშკოვი მეფისნაცვალი.....256,266,270
ვოსტორგოვი იოანე, დეკანოზი.....253,273,283,284

ზ

ზარიძე ვლადიმერ.....106
ზაქარია აფხაზეთის კათალიკოსი.....263
ზვიადაძე გიორგი პროტოპრესვიტერი.....324
ზენონი ბიზანტიის იმპერატორი.....328
ზოსიმე შიოშვილი, ეპისკოპოსი.....82
ზუკაკიშვილი ელეფთერი, არქიმანდრიტი.....234
ზურაბ ანჩაბაძე.....174
ზურაბ პაპასკირი.....166

თ

თადეოზ მოციქული.....20
თალალე ქართლის კათალიკოსი.....100
თამარ მესხი.....322
თამარ მეფე.....177
თამარ ქორიძე.....167,171,185,187,202,204
თამარაშვილი მიხეილი.....62
თამაზ ბერაძე.....106,207
თანაკვაძე ნიკიტა, დეკანიზი.....298
თარხნიშვილი მიხეილი.....152
თაყაიშვილი ექვთიმე.....7,10,69,97,129,176,179,216,256
თედო ჟორდანია.....14,64,69,70,82,83,100,103,175
თეოდორი ანტიოქიის პატრიარქი
თეოდორე ბალსამონი ანტიოქიის პატრიარქი.....49,59,61,66,70,
.....121,129,147,264,325,339
თეოდორე III მცხეთის კათალიკოსი.....198
თეოდოს III ანტიოქიის პატრიარქი.....119,151,154
თეოფანე ანტიოქიის პატრიარქი.....86,88
თეოფილაქტე ანტოქიის პატრიარქი.....12,89,92,93,94,97,98,99,
.....100,103 104,105,106,107,109,112

თეოფანე ანტიოქიის პატრიარქი.....86
თეიმურაზ ბატონიშვილი.....97

o

იაკობ ცურტაველი.....81
იაკობი აფხაზეთის კათალიკოსი.....421
ივანე ლოლაშვილი.....152
ილამაზ დადეშქელიანი.....353
ილარიონი აფხაზეთის კათალიკოსი.....423
ილარიონ ქართველი.....160
ილია II კათალიკოს-პატრიარქი.....317,318,320,321,322,323,328,
.....330,363
ილია ფერაძე.....150,151
ინგოროყვა პავლე.....166,172
იოანე III ანტიოქიის პატრიარქი.....95
იოანე გუთელი ეპისკოპოსი.....96,97,101,102,103
იოანე დრასხანკერტელი.....113
იოანე ეპისკოპოსი.....20,24,68
იოანე ოქროპირი.....395
იოანე III მცხეთის კათალიკოსი.....93,95,99,100,164
იოანე IV ოქროპირი, ქართლის კათალიკოსი.....131,132
იოანე V ოქროპირი, ქართლის კათალიკოსი.....132,133
იოვაკიმე აფხაზეთის კათალიკოსი.....201,204
იოვაკიმე კონსტანტინეპოლის პატრიარქი.....292
იოვანე ქუთათელი.....186
იოსებ სტალინი.....314
იოსელიანი პლატონი.....25,60,65
იუბენალი იერუსალიმის პატრიარქი.....396
იუსტინიანე იმპერატორი.....80,82,83,84,164

კ

კავად I, შაჰი....74
კაკაბაძე სარგისი....7,30,62,74,75,100,179,181,191
კალანდია გიორგი....422
კალისტრატე მარგალიტაშვილი, მიტროპოლიტი....322
კალისტრატე ცინცაძე კათალიკოს პატრიარქი..7,13,14,22,,66,67
....118,123,126,151,251,275,310,311,316,357
კარბელაშვილი პოლიევქტოსი....16
კარლ-კნორინგი, მთავარმართებელი....228
კარტაშევი ა....85
კაჭახიძე დავითი, ეპისკოპოსი....295
კეკელიძე კორნელი....68,107,159
კვიციანი ტასო....254,274
კიკვიძე აბელი....245
კირილე ალექსანდრელი....395
კირილე რუსეთის პატრიარქი....393
კირილე სიმირნოვი, მღვდელმოწამე....352
კირიონი ქართლის კათალიკოსი....114,116,117
კირიონ II კათალიკოს-პატრიარქი...7,56,71,102,126,174,262,265,
....267,269,270,272,276,288,306
კონსტანტინე დიდი, იმპერატორი....228
კონსტანტინე VIII, ბიზანტის იმპერატორი....142,139
კონსტანტინე კოპრინიმი, იმპერატორი....92,101
კორიუნი 31
კოსტავა მერაბი....301
კონსტანტინე პოგონატი იმპერატორი 87
კონსტანტინე მონომახი იმპერატორი....122

ლ

ლევან I, დადიანი....209,211,212

ლეონ I, აფხაზეთის მთავარი.....165
ლეონ II, აფხაზეთის მეფე.....104,165
ლეონ I იმპერატორი.....51,54,56,59,63,69,72
ლეონ ისავრიელი, იმპერატორი.....164
ლომოური ნოდარი.....19,28,47

მ

მათე ბლასტარესი.....11,128
მარი ბროსე.....16,61
მარტირიუსი ანტიოქიელი.....63,65,70
მაკარი ანტიოქიის პატრიარქი.....97,98
მაკარიოსი ანტიოქიის პატრიარქი XVII ს....97,98,103,104,221,222
მამია I გურიელი.....208
მამია III დადიანი.....208
მამაი ქართლის კათალიკოსი.....99,100
მარიამ დედოფალი 122,127,128,138,149
მარიამ ლორთქიფანიძე.....17,63,105,173
მაქსიმე ბულგართის პატრიარქი.....321
მალაქია აფხაზეთის კათალიკოსი.....144,205,208,214
მატათა მოციქული.....156
მინა კონსტანტინეპოლის პატრიარქი.....82
მირიან მეფე.....56
მიქაელ მთავარეპისკოპოსი.....29,42,46,48,49,51,52,55,58,59,65,67
მიქაელ ბრეკი. მღვდელი.....92,123,124,126
მიქაელ ქართლის კათალიკოსი.....107,108
მიქაელ ალბანეთის კათალიკოსი.....100
მიქაელ VI კათოლიკოს-პატრიარქი.....194,195,198
მიხეილი ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი.....201,203
მიხეილი კერულარი. კონსტანტინეპოლის პატრიარქი...201,203
მიხეილ საბინინი.....15,55,69,81,152

მელიტონ კელენჯერიძე.....14
მელქისედეკ პირველი. კათოლიკოს-პატრიარქი..129,135,136,
.....137,138,139,141
მელქისედეკი აფხაზეთის კათალიკოსი.....422
მელიტონი არქიმანდრიტი.....323
მელიტონი ქალკედონის მიტროპოლიტი.....319
მენაბდე ლევან.....146
მეტრეველი ელენე.....141,142
მედეა ბენდელიანი.....19,314
მეტრეველი როინ.....101,318
მერკვილაძე სოსიკო.....298
მოვსე ქართლის ეპისკოპოსი.....117
მოსე კალანკატოელი.....100
მუსხელიშვილი დავითი.....107
მზეჭაბუკ ათაბაგი.....197
მჭედლიძე გიორგი.....109,186,187,213

ნ

ნიკანდრი არქიმანდრიტი.....262,351
ნიკიტა პაფლაღონელი.....156
ნიკოლოზ II იმპერატორი.....252,265
ნიკოლოზ კათალიკოსი.....323
ნიკოდიმ მილაში.....61,355,356
ნიკო მარი 7,160,273,280,283
ნინო ქართველთა, განმანათლებელი.....52,53,72,141,228
ნიკონი რუსი ეგზარქოსი.....293,342
ნიკონი რუსეთის პატრიარქი.....222

ო

ობოლენსკია.ობერ-პროკურორი.....261

ოდიშელი ჯუმბერი.....220
ოკუჯავა კ.....219
ოთხმეზური გიორგი.....131,132
ორესტი იერუსალიმის პატრიარქი.....10,95
ოქროპირიძე ლეონიდე კათალიკოს-პატრიარქი.....257,300,308,
.....347,348

პ

პავლე I, რუსეთის იმპერატორი.....227
პაისიოსი ანტიოქიის პატრიარქი.....224
პაპუაშვილი ნუგზარი.....296,357,358
პეროზ შაჰი.....55,71
პეტრე მოციქული.....158
პეტრე ფულონი, პატრიარქი.....46,61,62,63,66,67,70,119
პეტრე I, ქართლის კათალიკოსი..41,55,56,58,59,63,64,73,78,79,89
პეტრე III, ანტიოქიის პატრიაირქი.....119,122,123,128,147,148
პეტრე I, რუსეთის იმპერატორი.....232
პეტრე კენჭოშვილი,ეპისკოპოსი.....258
პახუმი ანტიოქიის პატრიარქი.....198
პლატონ ეგზარქოსი.....305

ჟ

ჟორდანია ნოე.....298
ჟურული გიორგი.....261

რ

რომანოზი,ბიზანტიის იმპერატორი.....121,139

ს

სამოელ კათალიკოსი.....41,412

სალუაშვილი ს.....412
სიდამონიძე ეფრემი. კათოლიკოს-პატრიარქი.....317
სვიმონ კანანელი.....20
სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოსი.....189,418
სელიმ პირველი. სულთანი.....206
სერგირუსეთისპატრიარქი.....313,314,316
სიმონ დე სენ-კვენტინი.....92,110,111,157
სულეიმანსულთანი.....206
სოლომონ II. იმერეთის მეფე.....237,238
სტრატოფილე. ბიჭვინთის ეპისკოპოსი.....428

ტ

ტარნავა მიხეილი.....371
ტაბაღუა ილია.....12,324
ტიმოთე ბაკურაძე.....294
ტიხონბელავინი.რუსეთისპატრიარქი.....306,307,345,347
ტროიცკი ს. საეკლესიო კანონისტი.....337,344,349
ტყეშელაშვილი გივი.....218
ტყეშელაშვილი ლევან.....212.246.248

უ

უხტანესი.....113,115,116

ფ

ფარსმან მეფე.....80,81
ფარპელი ლაზარე.....333
ფილარეტი კიევის მიტროპოლიტი.....392
ფლაბიანე მიტროპოლიტი.....267,269
ფურცელაძე დიმიტრი.....184

ქ

ქავთარია მიხეილი.....142
ქერობინი ანჩელი არქიმანდრიტი.....195
ქეთევან ბეზერაშვილი.....157
ქეთევან პავლიაშვილი.....19,226,235,252,253,297,313
ქოქრაშვილი ხათუნა.....18,266,289,294,295
ქრიზოსტომოსი კვიპროსის არქიეპისკოპოსი.....393
ქშუტაშვილი ალექსი მღვდელი.....371

ღ

ღამბაშიძე დავითი. დეკანოზი.....250,251,259,260
ღამბაშიძე გივი 136

ყ

ყაუხჩიშვილ სიმონ.....128
ყაუხჩიშვილი თინათინ.....214

შ

შარაშენიძე გერასიმე. მიტროპოლიტი.....324
შარვაშიძე ექვთიმე. მიტროპოლიტი.....247,248
შაკიაშვილი თამარ.....235,289
შამადავლე დადიან-გურიელი.....200
შევარდნაძე ედუარდ. საქართ. პრეზიდენტი.....327
შიოლაშვილი დიმიტრი. მიტროპოლიტი.....433
შმემანი ალექსანდრე 242
შიო მუჯირი. მიტროპოლიტი.....433
შავმთელი ნიკონ.....92

ჩ

ჩერქეზიშვილი ვარლამ.....290,292
ჩიჯავაძე იოსებ მღვდელი.....261,267,294

ჩიკვაიძე დავით.....377
ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ.....424

ც

ციპინი ვლადისლავ. დეკანოზი.....345,346
ციციანოვი პავლე. მთავარმართებელი.....232
ციცქიშვილი ქრისტეფორე. კათალიკოს-პატრიარქი.....312

წ

წერეთელი აკაკი.....286,287
წერეთელი დოსითეოსი. მიტროპოლიტი.....243,244,248
წერეთელი მიხაკო.....297
წინამძღვრიშვილი იოსები. დეკანოზი.....234

ჭ

ჭავჭავაძე ილია.....256,260,261,284
ჭკადუა დავითი.მიტროპოლტი.....322
ჭუაძე თეოდორე. მიტროპოლიტი.....324

ხ

ხახანაშვილი ალექსანდრე.....261,282
ხელაია ამბროსი. კათოლიკოს-პატრიარქი.....293,301
ხოსრო შაჰი.....54,71

ჯ

ჯავახიშვილი ივანე.....68,72,113,201,287,288
ჯანაშია ნიკოლოზი.....69
ჯანაშია სიმონი.....45
ჯანაშვილი მოსე.....26
ჯემალ გამახარია.....223

ჯოჯუა თეიმურაზი.....420
ჯუანშერი.....45,46,47,48,51,52,56,58,64,71,74,80,84

ჰ

ჰერაკლეიმპერატორი.....163

გამოყენებული და დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა. უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი. საქართველოს საპატრიარქო. „ალილო“. თბ. 2005.
2. ასათიანი ნ. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ) „მეცნიერება“.თბ. 1973.
3. არსენ საფარელი. განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ.თბ. 1980.
4. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა-თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. თბ. 1938.
5. ბადრიძე შ. ესტატე ბოილას ანდერძი.ჟრ. ცისკარი. 8. 1972
6. ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი.წგ. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ.ტ.II. თბ.1959.
7. თეოდორე ბალსამონი. წიგნი გეორგიკა.ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.ტომი VIII .ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩშვილმა. თბ.1970.
8. ბატონიშვლი ვახუშტი. აღწერა სამეფოისა საქართველოსა. წგ. ქართლის ცხოვრება. ტ.IV.ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.1973.
9. ბლასტარესი მათე. წიგნი გეორგიკა.ბიზანტიელი მწელების ცნობები საქართველოს შესახებ.ტომი VIII .ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩშვილმა. თბ.1970.
10. გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა. ტექსტი

გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. „მეცნიერება“ თბ.1994.
11. ნიკოლოზ გულაბერისძე. უწმინდესი და უნეტარესი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, აღწერა სუეტისა ცხოველისა სასწაულებისა, XIIს. მცხეთა. 2003.
12. ე. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. „მეცნიერება“ თბ.1978.
13. დიდი სჯულის კანონი.გამოსაცემად მოამზადეს ე.გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ.დოლაქიძემ,გ.ნინუამ.თბ.1975.
14. ეფრემ მცირე. უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების თბ. 1959.
15. ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბ.1968.
16. ექ.თაყაიშვილი სამი ისტორიული ხრონიკა. (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა) ტფ.1890.
17. ექ.თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი.წგ. პირველი.ტფ.1907.
18. ექ.თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წგ.მეორე.ტფ.1914
19. პ.ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის; კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ.1954.
20. იოვანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული ცხოვრება.ბერძნული ტექსტი თარგმანითა და გამოკვლევებით გამოსაცემად მოამზადა მ. მაჩხანელმა.თბ.1982.
21. ს.კაკაბაძე. მეფის კურთხევის წესი.მე-XIII ს.დასაწყისს შედგენილი. ტფ. 1913.

ს.კაკაბაძე. სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო. ტფ.1913.
ს.კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები.I. ტფ. 1921.
ს.კაკაბაძე. აფხაზეთის დიდი იადგარი.წგ. საისტორიო მოამბე. II. თბ.1925.
ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. ლ.ნ.ჯანაშია.თბ.1962.
„მოქცევაჲ ქართლისაჲ“. შატბერდის კრებული. X ს.მეცნიერება.თბ.1979.
მცირე ქრონიკები.კინკლოსების ისტორიული მინაწერები. ტექსტი გამოსცა შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა.გამომცემლობა „მეცნერება„თბ. 1968.
მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი. 33 . ბიჭვინთის ხატის 1568 წლის წარწერა.ლომინაძე ბ. თბ.1960.
„ მატიანე ქართლისა“ .წგ.ქართლის ცხოვრება.ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბ. 1955.
მილაში ნიკოდიმოსი, ეპისკოპოსი, მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები განმარტებებით. ტ.I. „ალილო“. თბ. 2007.
მილაში ნიკოდიმოსი,ეპისკოპოსი, მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები განმარტებებით. ტ.II . „ალილო“. თბ. 2007
მილაში ნიკოდიმოსი ეპისკოპოსი. წმინდა მოციქულთა კანონები.თბ.2006.
მეტრეველი ელენე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.) თბ.1962.
„მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანე“ ნიკორწმინდის ხელნაწერში. წგ: „დაბრუნება“. ექ.თაყაიშვილი. თბ.1991.

5. „მოქცევაჲ ქართლისაჲ". ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წგ.I .თბ.1964.
6. „მოქცევაი ქართლისაი" ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები. გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბ.2007.
7. დ.ნინიძე. ქართველთა მირონისა და ავტოკეფალიის საკითხისათვის .თბ.2005.
8. ჟამთააღმწერელი. წგ. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II. თბ. 1959.
9. საბინინი მ. საქართველოს სამოთხე. სრული აღწერა ღვაწლთა და ქებათა და ვნებათა საქართველოს წმიდათა.პეტერბურგი. 1882.
10. ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVIსს) „მეცნიერება" თბ.1984.
11. უხტანესი ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ.თბ.1975.
12. ქართლის ცხოვრება გამოცემული მ. ჩუბინოვისაგან. ნაწილი მეორე. პეტერბურგი.1854.
13. ქართლის ცხოვრება.ძველი სომხური თარგმანი.ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი.აბულაძემ. თბ.1953.
14. ქართული სამართლის ძეგლები. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი.დოლიძემ .„მეცნიერება". თბ.1965.
15. ქართული სამართლის ძეგლები. III.საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი დოლიძემ. „მეცნიე-

რება“. თბ.1970.
ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. [წიგნი პირველი]. ტფ.1890
ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე) ტფ. 1897
ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ.სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. „მეცნიერება“ 1984.
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ- ეთნოგრაფიულ მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. II. თბ.1964.
ალ.ცაგარელი მოწმობანი მე-XVII-XVIII საუკუნეები. ოფიციალური მიწერ-მოწერებისა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ქუთ.1911.
თ.ყაუხჩიშვილი. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. I. დასავლეთი საქართველო. „ლოგოსი.“ თბ.1999.
აკ.შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი.წგ.თხზულებანი თორმეტ ტომად.ტომი IX. „მეცნიერება“ თბ. 1971.
ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ.1978.
ნ.ჯანაშია შუშანიკის წამება. ისტორიულ წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა. თბ.1988.
ალ.ხახანაშვილი გუჯრები. გამოცემა დეკ. დ. ღამბაშიძისა. Кут.1891.
თ.ჯოჯუა XII საუკუნის გარეჯული კრებულის ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათალიკოსი ბართლომე. საქარ-

თველოს სიძველენი I.თბ.2002.
57. ჯუანშერი. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა მშობელთა და თვით მის დიდისა და ღმრთისმსახურისა მეფისაი". წგ. ქართლის ცხოვრება. ტაქსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.ტომი I. თბ. 1955.
58. Акты собранные Кавказской Археографической комиссией. Т. I. ТиФ.1866.
59. Акты собранные Кавказской Археографической комиссией. Т. IV. ТиФ.1870.
60. Акты собранные Кавказской Археографической комиссией. Т. VI.ч.I.ТиФ.1874.
61. Житие Иоанна Готского. Журнал Министерства Народного Просвешения.№1.Петербург.1873.
62. Житие Иоанна Готского. Журнал Министерства Народного Просвешения.№8.Петербург. 1878.
63. Павел Алепксии. Путешествие Антиохискаго Патриарха Макарья В Россию В половине XVII века. Г. Муркос. Выпуск Первый. Москва. 1896.
64. Правила Праваславной церкви с толкованиями Никодима епископа Далматинско-Истрийского. Том II. Свиато-Троицкой Сергиевои Лаври 1996.
65. Правила Праваславной Церкви с толкованиями Никодима епископа Далматинско-Истрийского. Том II. Свиато-Троицкой Сергиевой Лаври 1996.
66. Михаил Брек. Список Антиохиискиx Патриархов, Труди Киевской Духовной Академии. II. 1874.
67. Пурцеладзе Д. Грузинские Церковные Гуджари. (Грамоти) Тиф.1881.
68. Такаишвили Е. Описание рукописей Общества распастраненя

грамотности среди Грузинского населеня. Т. II. Тиф. 1906-1912
Грузинский извод сказания о посте „ араджаворь„ Мелкисеть-Бековь, Христианский восток. Т.5 випуск II. Петроград 1917.
Хаханов А. Правила VI вселенского собора. Москва.1903.
Иоселяни П. Послания Иерусалимского Патриарха. Доситея в Грузию.1866.
Жузе П. Грузия 17 столетий по изображению Патриарха Макаря.Казан. 1905.
Цагарели А. Памятники Грузинской старин святой земле и на синае. Праваславний Палестинский сборних. Т.IV випуск первий . Петербург.1888.
lives and legends of the Georgian saints. David Marshall Lang. London. 1965.

ლიტერატურა

1. ზ.აბაშიძე მ.თადუმაძე. საქართველო-რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ისტორიიდან. რელიგიის ისტორიის საკითხები. I.თბ. 2010.
2. ზ.აბაშიძე. სარგის გორგაძე. ქართლის ეკლესიის იერარქიული მდგომარეობის შესახებ (IV-Vსს). თბ. 1997.
3. ზ.ლექსიძე. ვახტანგგორგასლსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსის კონფლიქტის გამო. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ.1976.
4. ზ. ალექსიძე. ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკური საფუძვლები შუა სუკუნეების საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა თვალთახედვით. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 341. თბ.2002.
5. ზ. ალექსიძე ქრისტიანობა საქართველოში ანდრია პირველწოდებულიდან დღემდე. კრ.ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში.თბ.2004.
6. ზ. ალექსიძე. „მოქცევაი ქართლისაის“ კათალიკოსთა სია. წგ. შოთა მესხია.90. თბ.2006.
7. კ. ალიბეგაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. ბიბლიოგრაფია. თბ.2011.
8. ი. არაბიძე. ახალი წყაროები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით (1920). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. I.თბ.2007.
9. ი.არაბიძე. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომი) წვლილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის უფლებათა განხორციელების საქმეში. კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბ. 2007.
10. ი. არაბიძე. საქართველოს საეკლესიო საქმეთა გადამწყვეტი კომისრის პროფესორ ბენეშევიჩის მოღვაწეობა და საქა-

რთველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 1 (3) თბ. 2008.
11. ი. არაბიძე. ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ-უფლებათა განხორციელების საქმეში. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები.II. თბ. 2009.
12. ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა.თბ.2005.
13. ვ. ბალახაშვილი. ღირსი გიორგი მთაწმინდელი(ათონელი 1000 (1009-2009)).თბილისი-ბორჯომი 2009.
14. მ.ბენდელიანი. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება 1941-1945 წლებში. კულტურის ისტორიის საკითხები. VII. თბ.1999.
15. მ.ბენდელიანი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი ფაქტის გამო 1918-1921 წლები. საისტორიო ძიებანი. IV.თბ.2001.
16. მ. ბენდელიანი მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში.თბ.2002.
17. ა.ბედიანიშვილი. ქართველი სამღვდელოება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში „უნივერსალი“. თბ.2008.
18. თ.ბერაძე. ეგრის-აფხაზეთის სამეფო. წგ: სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში „ინტელექტი”. თბილისი-ზუგდიდი.1999
19. თ. ბერაძე. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVI საუკუნეში. წგ: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან აფხაზეთი თბ.2007.
20. ვ. ბერიძე ხობის ტაძრის ისტორიისათვის. მაცნე ისტ.არქ.ეთნ. და ხელ. ისტ.სერია.1973N 2.
21. მ. ბერძენიშვილი. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის.თბ.1973.
22. ნ.ბერძენიშვილი. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება. თბ.1926.

23. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები.წგ. III. "მეცნიერება". თბ.1966.
24. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები.წგ.V. „მეცნიერება". თბ.1971.
25. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები.წგ. IX. "მეცნიერება"1971.
26. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990.
27. ქ.ბეზერაშვილი. ქართული წერილობითი ტრადიცია ღვთისმშობლის შესახებ.რელიგიის ისტორიის საკითხები I.თბ. 2010.
28. ე. ბუბულაშვილი. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები. თბ.1998.
29.ე.ბუბულაშვილი. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ II.თბ.2002.
30. ე.ბუბულაშვილი ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი და საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი. ანალები. 2002წ. 1.
31. ე.ბუბულაშვილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში. ავტორეფერატი. თბ.2006.
32. ე.ბუბულაშვილი. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები. გამომცემლობა „ახალი ივირონი" თბ.2007.
33. ე. ბუბულაშვილი. საქართველოს სამოციქულო ეკლესია. თბ.2008.
34. ე.ბუბულაშვილი. ქართველ-ავტოკეფალისტთა მიმართვა მსოფლიო პატრიარქს. ლოგოსი.2007.№4
35. ან.ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში.თბ.1979.
36. ან.ბოგვერაძე. სამოელ I ქართლის კათალიკოსი. საქართველოს ეკლესიის, სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელო–

ვნების საკითხები.სვეტიცხოვლისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენცია.თბ.1998.
37. ვ.ბოლოტოვი. ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში. „ახალი ივირონი“ თბ. 2009.
38. მ.ბროსე საქართველოს ისტორია.ნაწილი პირველი.თბ. 1895.
39. გ.ბურდული. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ქართველ მეცნიერთა ღვაწლი.1906 წელი.“ უნივერსალი“თბ.2010.
40. გ. ბურდული. რომელ ივერიის ეკლესიას ებოძა ავტოკეფალია. ეპისკოპოს კირიონის მოხსენება რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე. წგ. ქართული დიპლომატია. წელიწდეული 15. „არტანუჯი“ თბ. 2011.
41. გ.ბურდული. ეპისკოპოს კირიონის მოხსენებები რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წ.) თბ.2011.
42. გ. ბურდული. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანო-ნიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი). თბ. 2012.
43. ჯ. გამახარია. ფხაზეთი და მართმადიდებლობა.თბ.2005.
44. მ.გაგუა. შამბეზის სრულიად მართმადიდებლური მოსამზადებელი კომისიის ბოლო სხდომათა შედეგების ზოგადი მიმოხილვა.(ავტოკეფალიის მინიჭებისა და დიპტიქის საკითხებზე). გაზ.საქართველოს საპატრიარქო. 2011 წელი №20.
45. გ. გასვიანი. აფხაზეთი ისტორიული საქართველოა. თბ.2011.
46. დ. გეგეშიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. წგ. ფილოსოფიური ძიებანი VI.თბ.2002.
47. გ. გვასალია. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ბიზანტიური მოდელის მოკლე მიმოხილვა.ქრისტიანობის კვლევები. III. თბ.2009.
48. ეპ.გვენეტაძე. კათალიკოსთა ორთავეს საკითხისათვის.საისტორიო ძიებანი. II. თბ.1999.

49. ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. ტ4.თბ.1955.
50. გ. გოგოლაშვილი. „არა ცილი წამო“ ! ჩვენი მწერლობა. 2011.
51. ვ. გოილაძე ქართული ეკლესიის სათავეებთან. „საქართველო“. თბ.1991.
52. ვ.გოილაძე. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბ. 1991.
53. ვ.გოილაძე. მირონის კურთხევის დაწესება საქართველოში. „უნივერსალი“თბ.2008.
54. ვ.გოილაძე. ათასწლოვანი სვეტიცხოველი. ნარკვევები.თბ. 2011.
55. ს.გორგაძე. საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი. ჟრ. მოამბე. მაისი. თბ.1905.
56. ი.გორგაძე. ნ. გურგენიძე ილია ჭავჭავაძე. ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე. „მეცნიერება“. თბ.1987.
57. მ . გონიკაშვილი. ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში.თბ.2002.
58. დ.გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. თბ.1965.
59. ვ. გურული. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება.თბ.2010.
60. ვ. გურული. ეკლესიის საკითხი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობაში (1771-1811). საქართველოს საქმოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხები. თბ.2010.
61. კ. დანელია. სარჯველაძე.ზ. ქართული ეპიგრაფიკა.თბ.1997.
62. ბ. დიასამიძე. დასავლეთ საქართველოს ეკლესია. (I-IX საუკუნეები) ,,გამომცემლობა აჭარა“ ბათ.2001.
63. ეკლესიის საუნჯე. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები. შემდგენელი დავით შოვნაძე. თბ.2013.

64. აკ.ვარაზაშვილი. საქართველოს ეკლესიის ისტორიის და ავტოკეფალიის ზოგიერთი საკითხი. „ინტელექტი“თბ.1999.
65. აკ.ვარაზაშვილი. ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში.თბ.2001.
66. ს.ვარდოსანიძე. უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II. ოზურგეთი 1994.
67. ს.ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში.“მეცნიერება“თბ.2001
68. ს.ვარდოსანიძე.საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო პოლიტიკა 1917-1947 წლებში. ჟურ.საქართველოს საპატრიარქო. № 4. თბ.2001.
69. ს.ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927). თბ.2009.
70. ს.ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932).თბ.2009.
71. ს.ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II.თბ. 2009.
72. ს.ვარდოსანიძე. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები) პირველი გამოცემა. თბ.2010.
73. ს.ვარდოსანიძე. XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები თბ.2011.
74. ზ. ვაშაყმაძე. საქართველოს ეკლესიის 1905 წლის რეორგანიზაციის პროექტი თბ. 2010.
75. ზ. ვაშაყმაძე. საქართველოს ეკლესის დროებთი მმართველობა. თბ.2011.
76. ზ. ვაშაყმაძე. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა

საქართველოში 1990-2010 წელი.თბილისი 2011.
77. ზ. ვაშაყმაძე თანამედროვე ქართული საეკლესიო სამართალი. თბ.2011.
78. მ. ვაჩნაძე. გურული საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1801-1921)თბ.2009.
79. გ.ვაჭრიძე. იმერეთის დროებითი მმართველობა. 1810-1840წ. ქუთაისი.1999.
80. ვ. ზარიძე. აფხაზეთი. ტაბუდადებული ისტორიის საკითხები. „ჯისიაი". თბ.2004.
81. მ.თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს,წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა. „კანდელი". თბ.1995.
82. დეკანოზი ნიკიტა მალაქიას ძე თალაკვაძე. მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. ლიტერატურის მუზეუმი.თბ.2013.
83. მ. თარხნიშვილი. ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები. წერილები. „კანდელი" 1994.
84. ექ. თაყაიშვილი. ძველი საქართველო.ტ.II. ტფ. 1913.
85. ექ. თაყაიშვილი. ძველი საქართველო.ტ.III. ტფ. 1913-1914.
86. ვ.თორაძე. თორაძე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია. „ელფი" თბ.2007.
87. გაზ.ივერია. 1906წ.№4
88. გაზ.ივერია. 1906წ.№15.
89. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია. პირადი არქივების აღწერილობა. საითიძე გ.ხოსიტაშვილი ი. ხელ.ეროვ. ცენტრი. 2011.
90. პ.კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი.ტფ.1900.
91. ს. კაკაბაძე. საისტორიო კრებული.წიგნიII.თბ.1928.
92. ს. კაკაბაძე. საისტორიო მოამბე III. ტფ.1928.

93. ს. კაკაბაძე. ვახტანგ გორგასალი. ,, ცოდნა“ თბ. 1959.
94. ს. კაკაბაძე. ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა. გამომცემლობა ,,ნეკერი“ თბ.1994.
95. გ. კალანდია. ოდიშის საეპისკოპოსოები. თბ.2004.
96. ტ.კვიციანი. ნ.დურნოვო და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის საკითხი.საისტორიო ძიებანი.თბილისი 1999.
97. ტ.კვიციანი. რუსი სამღვდელოებისა და ინტელიგენციის პოზიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხში 1905-1907 წლებში. ავტორეფერატი. თბ. 2005.
98. კ. კეკელიძე. კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში. თბ.1949.
99. კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ.III. თბ.1955.
100. კ. კეკელიძე. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში. ეტიუდები.ტ IV. თბ. 1957.
101. კ. კეკელიძე. ეტიუდები.ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ.VII. თბ. 1961.
102. კ. კეკელიძე. ეტიუდები.ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ.XII საქართველოს სსრ.თბ. 1973.
103. კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია.ტ. I. „მეცნიერება“ თბ. 1980 .
104. მ.კელენჯერიძე. საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია. ქუთ. 1918.
105. აბ.კიკვიძე. საქართველოს ისტორია. 1801-1890. თბ.1977.
106. მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში. ჟრ. მნათობი. 1990.№7
107. ბ.კუდავა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI სს.) დისერტაცია. თბ. 2002.
108. შ. კურდღელაშვილი. ქართული სტამბის ისტორიიდან .თბ. 1959.

109. ც. ლაშხი დამეხსენი ჩრდილოეთო ანუ აკაკი და რუსეთი. თბ.2012.
110. ბ. ლომინაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის.კრ– მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორისათვის . ნაკვ. 31.თბ. 1954.
111. ბ. ლომინაძე. ქართულიფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სენიორიები.I. „მეცნიერება“ თბ.1966.
112. ბ.ლომინაძე. საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია . ჟრ. რელიგია 1992.№1-2
113. ბ.ლომინაძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიწათმფლობელობა ძველი დროიდან XX ს–მდე(1917).ქუთ. 1997.
114. ბ. ლომინაძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია V საუკუნეში. კრ. საქა–რთველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. VII. „ცოტნე“ თბ. 1999.
115. მ.ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლოტი–კური გაერთიანება (IX-X სს) თბ. 1963.
116. მ.ლორთქიფანიძე. ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში. „მეცნიერება“ თბ.1973.
117. მ.ლორთქიფანიძე. ქუთაისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქი. კრ. „ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუ-ნემდე“. „მეცნიერება“. „ქუთაისი“. თბ.- ქუთ. 1994.
118. ნ. ლომოური. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან. „მეცნიერება“თბ.1975.
119. ნ.ლომოური. საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია. წგ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ. 2000.
120. ნ.ლომოური. ქრისტიანობის გავრცელება და დამკვდრება საქართველოში. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.

თბ.2009.
121. ს. მაკალათია. ვახტანგ გორგასალი. თბ.1942.
122. გ. მამულია. ქართული ეკლესია V-IV სს . „მეცნიერება“. თბ. 1992.
123. ნ. მარი. ქართველთა ეროვნება. ქუთ. 1905.
124. ლ.მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. II. თბ.1980.
125. ლ.მენაბდე. ქართული კულტურის კერა ათონზე. თბ.1982.
126. ელ. მეტრეველი. ათონის კულტურულ საგამნანათლებლო კერის ისტორიიდან. თბ.1996.
127. რ.მეტრეველი. პატრიარქი ერის სულიერი მამა. „არტანუჯი“. თბ.2008.
128. მოსახსენებელი შეადგინა გ.მაჩურიშვილმა. „ალილო“ თბ.2012.
129. მსოფლიო საეკლესიო კრებები. (ისტორია,ღვთისმეტყველება, კანონები) თბ.2009.
130. დ.მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ. 2003.
131. მ. მჭედლიძე. ზოგადი და ქართული ქრონოლოგიის კურსი. ქუთ. 2009.
132. გ.მჭედლიძე. მ. კეზევაძე ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტო– რია და თანამეროვეობა) საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი 2008.
133. დ.ნინიძე. პროვინციის მეფეები.XIV–XV საუკუნეების საქა– რთველო.თბ.1995.
134. ევ. ნიკოლაძე. საქართველოს ეკლესიის ისტორია. ქუთ. 1918.
135. გ.ოთხმეზური. „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი“. საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი. მასალები. თბ.2012.

136. კ.ოკუჯავა. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია.XVII საუკუნეში. წგ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. „ინტელექტი“. თბ. 2007.
137. ე.ორჯონიკიძე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში(XIX ს-ის პირველი ნახევარი)„ მეცნიერება“ თბ.1992.
138. გ.პაიჭაძე. გიორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა. თბ.1980.
139. ქ.პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელური ეკლესიის ისტორია (1800-1945) ნაწ. პირველი. თბ.2008.
140. ზ. პაპასკირი. აფხაზეთი საქართველოა. თბ. 1988.
141. ზ.პაპასქირი. „აფხაზთა“ საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლოგიისათვის. წგ. შოთა მესხია.90. თბ. 2006.
142. ნ. პაპუაშვილი. საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის. თბ. 1996.
143. ნ. პაპუაშვილი. საქართველოს ეკლესია ორი ეპოქის მიჯნაზე (19 საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები. თბ.1998.
144. გ.როგავა. საქართველოს ეკლესიის ისტორია „სამშობლო“ თბ.1996.
145. გ. როგავა. ქრისტიანული რელიგია საქართველოში „სამშობლო“ თბ. 1997.
146. ს.სალუაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მღვდელმთავართა ტიტულატურისა და მათი მონაცვლეობის საკითხისათვის. თბ.2011.
147. საქართველოს ეკლესის აკლება. კალამი №7.ტფ.1907.
148. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1928. ტფ.1928.
149. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1972.თბ,1972.

150. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2014.თბ.2014.
151. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV. თბ.1973.
152. საქართველოს ისტორია. ტომი I. თბ. 2008.
153. საქართველოს ეკლესიის ისტორია XX-XXIს-ბი. გამოსაცემად მოამზადეს,შენიშვნები დაკომენტები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა.,, არტანუჯი" თბ. 2007.
154. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება 1917წ.ტფ.1917.
155. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება 1945წ. თბ.1945.
156. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება 1995წ. თბ.1995.
157. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. აკად. როინ მეტრეველი. "ნეკერი"2000.
158. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის. კირიონ II. "ალილო" თბ.2005.
159. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. 2007.
160. გაზ. საქართველო. 1917 წ. №59.
161. გაზ. საქართველო. 1917 წ. №61.
162. გაზ. საქართველო. 917წ. №67.
163. გ.საითიძე. გზა ავტოკეფალიისაკენ. წგ. ნათელი ქრისტესი საქართველო. წგ.I თბ. 2003
164. კირიონ საძაგლიშვილი. ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში. წგ.ქართული მწერლობა ტ.23. "ნაკადული"თბ.2005.
165. ვ.სილოგავა პატრიარქი X საუკუნის საქართველოში. წგ.I ნათელი ქრისტესი საქართველო. თბ.2003.
166.ვ.სილოგავა. ოშკი X საუკუნის მემორიალური ძეგლი. თბ.2008.
167. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. წ. II თბ.1997.
168. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. წგ. III. თბ. 2008.
169. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II. ეპისტოლენი. წგ.1. თბ.2009.
170. გ.ტყეშელაშვილი. გელათის საგანძური. "საგანძური" ქუთ. 2006.
171. ლ. ტყეშელაშვილი. საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი დოსითეოსი და ეფთვიმე 1820 წ.გელათის სასულიერო აკადემია.გამომცემლობა თბ. 2005.
172. ლ.ტყეშელაშვილი. "გელათი. მეორე იერუსალიმი, სხვა ათინა" გელათის სასულიერო აკადემია.ქუთ. 2007.
173. გ.ფერაძე. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. წგ.მწიგნობრობა ქართული.ტ.14.თბ.2012.
174. გ. ფერაძე. ვარლამ ჩერქეზიშვილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი. ჟრ. რელიგია.1998. № 7–8
175. მ.ქავთარია. რამდენიმე საკითხი დომენტი კათათალიკოსის ბიოგრაფიიდან კრ. ლიტერატურული ძიებანი XXIII „მერანი" თბ.2002
176. თ.ქორიძე. აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია (IX-XVI სს.) ავტორეფერატი. თბ. 2003.
177. თ.ქორიძე. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს)საკათა–ლიკოსოს საზღვრები XVI-XVII საუკუნეებში.საისტორიო ალმანახი.კლიო. თბ. 2001 № 12.
178. თ.ქორიძე. XI-XV საუკუნეების აფხაზეთის კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგი. საისტორიო ალმანახი. კლიო. თბ. 2002 № 15.
179. თ.ქორიძე. აფხაზეთის კათალიკოსთა ტიტულატურა. წგ.

შოთა მესხია 90. თბ.2006.
180. ხ. ქოქრაშვილი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი და ქართველი სამღვდელოება (1905–1907). საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები VII.თბ. 2004.
181. ხ.ქოქრაშვილი. კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II–ის ეროვნული და საზოგადოებრივი პოზიცია. ახალი და უახლესი ისტორიის საკთხები.1(3). თბ.2008.
182. ხ.ქოქრაშვილი. წგ.რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. უნივერსალი.თბ. 2008.
183. გ. ღამბაშიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესია და ქრისტიანული რელიგიისა და ქართული კულტურის ძეგლები ჩრ. კავკასიის ქვეყნებში. კრ. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში. თბ.2004.
184. თ.შაკიაშვილი. ჟურ. „საქართველოს საექზარქოსოს სასულიერო მახარებელი“ და საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი. საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. VII. თბ. 2004.
185. თ.შაკიაშვილი. საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში. სამონასტრო მეურნეობები. ჟრ. საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები VIII. თბ.2004.
186. ნ. შიოლაშვილი ისტორიულ ეთნოგრაფიული შტუდიები.V თბ.2002.
187. დ. ჩიკვაიძე. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები. თბ.2005.
188. ვ.ჩერქეზიშვილი. თხზულებანი. ტომი I .შემდგენელი და რედაქტორი დიმიტრი შველიძე.საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.თბ. 2011
189. ც. ჩხარტიშვილი. მღვდელ იოსებ ჩიჯავაძის წერილები.

ქართული წყაროთმცოდნეობა. „უნივერსალი “ 2011–2012.
190. პროტო პრესვიტერი ალექსანდრე შმემანი. მართლმადიდებლობის ისტორიული გზა.2011.
191. რ.ხალვაში. ანდრია პირველწოდებული საქართველოში. ბათ.2011.
192. მ. ხუციშვილი. საქართველოს საეჭვარხოსოს რეაქციული ღონისძიებები.თბ. 1972.
193 მ.ხუციშვილი. საქართველოს ეკლესიის სოციალ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში. გამომცემლობა ,,მეცნიერება"თბ.1987.
194. კალისტრატე ცინცაძე. მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის წარსულიდან. წგ.მწიგნობრობა ქართული.ტ.9. თბ.2010.
195. ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია ტ I.თბ.1979.
196. ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია ტ II.თბ..1983.
197. ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია ტ III.თბ. 1982.
198. ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია ტ IV.თბ.1996.
199. ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია ტ.VII.თბ.1984.
200. ივ.ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია ტ VIII.თბ. 1984.
201. ს.ჯანაშია. შრომები ტI.თბ. 1949.
202. მ.ჯანაშვილისაქართველოს საეკლესიო ისტორია.ტფ.1886.
203. ო.ჯანელიძე. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია. თბ. 2009.
204. მიტრ. ან. ჯაფარიძე აქართველოს საეკლესიო კრებები წ.I .თბ. 2003.
205. მიტრ. ან. ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები წ.II თბ. 2003.
206. მიტრ. ან. ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები წ.III თბ. 2003
207. მიტრ.ან. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის

ისტორია. "ალილო"თბ.2009
208. მიტრ. ან. ჯაფარიძე. საეკლესიო სამართალი-კანონები. თბ.2012.
209. მიტრ. ან. ჯაფარიძე. დიპტიხი და დიასპორა. თბ. 2009.
210. მიტრ. ან. ჯაფარიძე ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობები. თბ.2011.
211. მიტრ. ან. ჯაფარიძე. სსაეპისკოპოსოები ლაზიკაში. თბ.2011.
212. შ.ჯაფარიძე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1905-1907 წლების რევოლუციურ საქართველოში.ავტორეფერატი.თბ. 2003.
213. შ.ჯაფარიძე. პოლიტიკური პარტიები და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი (1905-1907) კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები VIII. თბ.2000.
214. ო.ჯიქური რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში XIX საუკუნეში აფხაზეთი: ისტორია და პოლიტიკა. თბ. 2008.
215. ჯვარი ვაზისა. 1906.№11.
216. ჯვარი ვაზისა.1987 №1.
217. ჯვარი ვაზისა.1981 №2.
218. ჯვარი ვაზისა.1990.N1.
219. Абашидзе З.Диархиа Давида строителя „ნეკერი". თბ.2010.
220. Абашидзе З. К Историй упразднения Грузинской церковной Автокефалий и образованияГрузинского Экзархата Русской Провославной церкви. XV Ежегодная Богословская Конференция. 2005.
221. Анчабадзе З. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв) Сухуми.1959.
222. Архимандрить Никандрь Об Автокефалности Грузинской Церкви и Церковнои жизни вь Грузий при Католикосахь. Духовний вестник Грузинского экзархата 1905 гю №13-14
223. Бакрадзе Д. записки обшество любителеи кавказскои

археологии. Кн. 1 Тиф.1875.
224. Бессонов М. Н. Православие Наши дни. Москва.1990.
225. Проф. Прот. Т. И.Буткевичь. Высшее управление вь Провославных Автокефалныхъ Церквахъ. Харковь.1913.
226. Воронцов-Дашков- Всего даннеишая записка по управлению Кавказским Краемь.1907.
227. Гамахария Дж. по церковнои и этнополитическои истории Абхазий. Тб.2005.
228. Гидулянов. П. В Восточние Патриархи в периодь четирехь вселенскихь соборовь. Ярослав 1907ю
229. Горгадзе с. Автокефалност Грузинской Церкви. Духовний вестник Грузинского экзархата 1905 г. № 21-22
230. Горгадзе с. Свобода Совести и свобода Церкви вь древнеи Грузий. Духовний вестник Грузинского экзархата 1905г. № 23-25
231. Дворкин А. Очерки ро Историй Вселенской Праваславной Церкви. Нижний Новг.2003.
232. Джавахов,И. Политическое и Социалное движение вь Грузий XIX в. С.п.б.1906
233. Джанавили, М. История Грузинская Церкви кн. I. Тиф. 1898.
234. Дурново,Н. Судби Грузинскои церкви. Москва.1907.
235. Дурново Н. Предпалагаемое решение Грузинского церковнаго вопроса. Москва. 1909.
236. Дурново Н. Историческии очерк. Автокефалних церквеи Иверскои и Имеретинскои. Москва1910.
237. Духовни вестник 1906г.№3,6,9,
238. Жорданя Ф. Краткая Историчесская сведеня об Автокефалий Грузинской церкви. Кут.1905.
239. Дровности восточная и Труди восточной комисии. Т.I, вип. I москва.1891.

240. История Грузинскои иерархии. Москва. 1826.
241. История Православной церкви в XIX веке. Провославныи восток. москва.1998.
242. Иоселяни Р. Краткая история Грузинской церкви.1843.
243. Карташев А.В. Вселенские собори. клин.2002.
244. Кекелидзе К. К вопросу об иерусалимской происхаждений Грузинской церкви. ეტიუდები. ტ.IV.თბ.1957.
245. Кекелидзе, К. Литургическая справка по вопросу об Автокефалий Грузинскои церкви-ეტიუდები ტ.VII.თბ. 1961.
246. Епископ Кирион, Краткии очерк историй Грузинской церкви и Эгзархата за XIX столетие, Тиф.1901.
247. Митрополит Макари-история Русской церкви кН. 4.Моск.1996.
248. Маррь Н. история Грузии С.Петербург.1906.
249. Маррь Н. Историчесскии очерк Грузинскои церкви с древний временам. Журнал. Церковная ведемоти.1907№3.
250. Садзагелов Г. Краткий очерк Грузинской Церковной историй. Пастир 1887№10.
251. Мелникова И. Е. К Истории восстанавления Автокефалий Грузинской церкви 12 марта 1917 г.XIX Ежегодная Богословская Конференция. 2009.
252. Ментешашвили А. Историчесскии предпосылки современного сепаратизма в Грузии .Тб .1998.
253. Натроев А. Мцхеть и его соборь Светицховели. Тиф. 1900.
254. Натроев А. Кь вопросу обь автокефалий. Духовний вестник Грузинского екзархата 1906 г №8.
255. Православный церковный календар 2014.
256. Савинин М. История Грузинской церкви до конца VI века. С.Петербург. 1877.
257. Сказкин С.Д. История Бизантии Т.I.Москва.1967.
258. скурат, К. История Поместних провославних церквей.

Москва. 1994.
259. Соколов И.-Состаяние Монашества в Бизантииской церкви.С.Петербург.2003.
260. Такаишвили, Е. Археологические зксредиция 1917г. Тб. 1952.
261. Тарнава М. Краткий очерк Историй Абхазской Церкви. сухуми 1917.
262. Ton"emelis, Правда обь Автокефалии Грузинскои церкви. Кут. 1906.
263. Троицкий с. О церковнои Автокефалий 1948 ЖМР №7.
264. Успенски Ф. История Бизантиискои империи Т.I.Москва 2001.
265. Цагарели А. Статьи и заметки по Грузинскому Церковному вопросу. С. Петербург. 1912.
266. Цинцадзе К. Автокефалия церкви Грузинскои . Тиф. 1905.
267. Цинцадзе К. историческая справка по вопросу об Автокефалъности Грузинской церкви. тиф.1906.
268. Протоиереи Владислав Ципин. курс церковнаго право. Клин. 2004.
270. Broset.M. Histoire De La Georgie. Pariz. 1849.
271. Allen.W. A History of The Georgian People-London.1917.
272. Angold.Michael.The Cambridge History of Christianty.Eastern Christianity.Cambridge University.2008.
273. Archdeacon Dowling D.D. Sketches of Georgian Church History. London 1912.
274. Toumanoff Cyril. Iberia between Chosroid and Bagratid. Rule. 1963.
275. Lang David Marshall.The Georgians.Thames And Hudson. London .1966.
276. John Meyendorff. The Orthodox Churche Its past and its Role the world today.Grestwood,Ny 10707,1996.

276. Donald Rayfield, Edge of Empires A history of Georgia, London. 2012.
277. Philip Walters, Notes on Avtokephaly and Phyletism. Religion, state and Society. Vol. 30 №4, 2002

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი

საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია. ფონდი 488, საქმე N 26389, 26429,26974.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

1.კირიონის არქივი N 240,256,264,272
2.კალისტრატე ცინცაძის არქივიN 114, 221
3.ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი №362

საქართველოს საპატრიარქოს არქივი ახალი აღწერა საქმე № 6587

ელექტრონული რესურსები

1. www.orthodoxwiki.org/Church of Georgia
2. www.pravenc.ru. www.pravenc.ru
3. მღვდელი ალექსი ქშუტაშვილი. აფხაზეთში არსებული საეკლესიო მდგომარეობის შესახებ.www.ortodoxtheology.gy.
4. მთავარდიაკონ ანდრია კურაევის სენსაციური განცხადება აფხაზებზე. www.reportiori.ge"
5. ჩიკვაიძე დავით.საეკლესიო სამართლის საკითხები. www.ortodogcy.ge
6. www.theorthodox church.info/blog/news/2012/02/
7. http://www.britannica.com/EBchecked/topic/230317/Georgian-Orthodox-church
8. http://ru.wikipedia.org/viki/"
9. www.Rublev-museum.livejournal.com/324284.html www.Rublev-museum.livejournal.com/324284.html" www.Rublev-museum.livejournal.com/324284.html
11. www. Expertmus.livejournal.com/40028.html
12. Абхазская Провославная Церков www.hierarchy.religare.ru/h-orthod-abxaz.html" www.hierarchy.religare.ru/h-orthod-abxaz.html.
13. Павленко Е Ерес Филетизма История современость. www.Portal-credo.ru.
14. Должна ли Абхазская Церковь независимои. simvol-veri.ru.

ფოტოების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით
ირაკლი ლორთქიფანიძეს.